

საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ტარიელ ფუტკარაძე

ქართველოლოგიის შესავალი

თბილისი
2014

Saint Andrew the First-Called Georgian University

Tariel Putkaradze

**Introduction to
K a r t v e l o l o g y**

**Tbilisi
2014**

“ქართველოლოგიის შესავალში“ წარმოდგენილია ზოგადი ცნობები ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ-კულტურული ისტორიის შესახებ. შედარებით ვრცლადაა განხილული (წინარე)ქართველური ტომების ისტორია და ქართველოლოგიისათვის ამჟამად აქტუალური ზოგი საკითხი, რომელიც, სხვათა გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად გაუმართლებელი სუბიექტურობითაა წარმოდგენილი. სახელმძღვანელოს ტიპის წიგნში შეუძლებელია ქართველოლოგიის ყველა მიმართულების სრულყოფილი განხილვა, თუმცა, “ქართველოლოგიის შესავალში“ ნაკლებად განხილული საკითხების საკომპენსაციოდ, ნაშრომს დართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია.

ობიექტური ცოდნის თავისუფალი სივრცე ზრდის საზოგადოებებს შორის ნდობასა და თანაცხოვრების პერსპექტივას, რამდენადაც განათლება არსებითად განსაზღვრავს საზოგადოების თვითაღქმასაც და სხვათა სწორ ხედვასაც. მოცემულმა საზოგადოებამ საკუთარი მეობა (იდენტობა) თუ სხვათა ისტორია რომ გაიაზროს, საჭიროა, მას გასაგები ენით მიეწოდოს **აკადემიური ცოდნა** - ინფორმაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე ენათმეცნიერული, ეთნოლოგიური, კულტუროლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევების შეჭერებული შედეგები.

წარმოდგენილი ნაშრომი ერთი მოკრძალებული ნაბიჯია ამ მიმართულებით.

მაღლიერების გრძნობას გამოვხატავ **რეცენზენტებისა** და ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის, **პროფესორ სერგო ვარდოსანიძის** მიმართ; მათ “ქართველოლოგიის შესავალი“ გამოქვეყნებამდე გულდასმით წაიკითხეს და საყურადღებო მოსაზრებები მოგვაწოდეს, რამაც კარგი სამსახური გაგვიწია სახელმძღვანელოს საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში.

რეცენზენტები:

აკადემიკოსი როინ მეტრეველი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი ამირან არაბული
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი ნომადი ბართაია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 978-9941-9382-0-7

გამომცემლობა “ქართული უნივერსიტეტი“

©T.Putkaradze

Introduction to Kartvelology aims to provide general information on the linguistic, ethnic and cultural history of the Georgians; the book offers rather extensive information on (pre)Kartvelian tribes. The textbook also discusses some current critical issues of Kartvelology that are often presented with *unjustifiable* subjectivity due to the (geo)political interests of others: the history of the Georgian nation is underestimated or fabricated due to ultra-nationalistic or other reasons.

Incorporating a thorough analysis in all directions of Kartvelology is impossible in a single textbook. However, the book presents an *extensive bibliography* in order to compensate for less discussed issues provided in “Introduction to Kartvelology”.

A free space of objective knowledge contributes to the prospects of mutual existence and respect between societies as education essentially determines self-perception of the society and its relevant perception of The Other. In order for a given society to conceptualize its own identity and the history of others it is necessary to be provided with academic knowledge in a clear language that will incorporate the verified outcomes of an extensive body of research conducted in modern linguistics, ethnology, culture, literature and historiography.

The present book is a modest step in this direction.

I would like to express my gratitude to the **reviewers** as well as to Professor **Sergo Vardosanidze**, Rector and Head of Academic Council of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia. They carefully read “Introduction to Kartvelology” before its publication and provided the author with significant reasoning. These considerations truly contributed to the shaping of the textbook in its final form.

Reviewers:

Prof.dr **Roin Metreveli**, Doctor of History

Prof.dr. **Amiran Arabuli**, Doctor of Philology

Prof.dr. **Nomadi Bartaia**, Doctor of Philology

სახელმძღვანელო დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მზრუნველობით; შესაბამისად, მადლობას ვუხდით ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, **ილია მეორის სრულუფლებიან წარმომადგენელს, ბოდბელ ეპისკოპოს იაკობს** (იაკობაშვილს) და ქართული უნივერსიტეტის კანცლერს, **ბატონ თამაზ ვაჩაძეს**.

The book was published through the efforts of senior management of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia. Therefore, I would like to express my sincere *appreciation to the **Bishop of Bodbe Iakob (Iakobashvili), the representative of His Holiness and Beatitude Iliia II***, Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan Bishop of Abkhazia and Bichvinta, the founder of the Georgian University, and **Tamaz Vachadze**, Chancellor of the Georgian University.

მეცნიერებისა და განათლების დაგეგმვაში
უშუალოდ აისახება ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და
სახელმწიფოს შენების ტენდენციები

Tendencies in state-building and safeguarding a nation's identity are im-
mediately reflected in the planning of science and education

ხშირად ეთნონიმთა და ქორონიმთა შინაარსი იმიტომ
ყალბდება, რომ მოიძებნოს
ოკუპაციის “ლეგიტიმური” საფუძვლები

Often certain connotations are assigned to ethnonyms and
choronyms in order to provide a “legitimate” basis for occupation

შინაარსი

შესავალი	13	-
ტ. საქართველო: ზოგადი ცნობები.....	13	-
ჟ. ქართველოლოგია; ქართველოლოგიის დარგები.....	25	-
ღ. ქართველოლოგიის ორგვარი “სტანდარტი“	27	-
1. ქართველთა თვითსახელწოდება - ქართველი	33	-
1.1. ქართველ- ფუძის ისტორია.....	33	-
1.2. ქართველ- და ქართლ- ფუძეთა მიმართება.....	36	-
1.3. ხალდ-/ქალდ- და ქართ- ფუძეთა მიმართების ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული ასპექტები	38	-
2. ცდომილებები ქართველთა საცხოვრისის სახელებში.....	40	-
2.1. ქორონიმის (/ეთონონიმის) სემანტიკის განსხვავებული ინტერპრეტაციების მიზეზები	40	-
2.2. ლაზიკა და ეგრისი.....	45	-
2.3. კოლხეთი და ქართლი	50	-
3. ქართველთა ეთნოგენეზი (წარმომავლობა) და თავდაპირველი საცხოვრისის საკითხი	52	-
3.1. ბიბლიური და მითოლოგიური თვალთახედვა	52	-
3.2. ქართველთა მიგრაციის თეორია	56	-
3.3. ცენტრალურ კავკასიაში ქართველთა ავტოქთონობის თეორია	58	-
4. ქართველური ტომები და მათი სახელების ისტორია	61	-
4.1. ხურიტები, ურარტუელები, ხათები, ქაშქები, მუშქები, დაიანელები (ტაოელები), კოლხები, კოლეები, (კოლაელები), კარდუხები, თაბალები	61	-
4.2. ტიბარენი, სასპერები, იბერები, ქუთები, ჰალიძონები, ხალიბები, დიძერები, ძიდრიტები, მაკრონები, ფასიანები, ეკექედრები.....	71	-

4.3. ჰენიოხები, სანები, ჭანები, ლაზები, აფხაზები, აფშილები, აფსარები, აფსუები, სვანები, სვანოკოლხები, ამარანტები, დვალეები, ტუსკები/ თუშები.....	- 82 -
5. ქართველთა სახელმწიფოს - ქართლის (საქართველოს) - საზღვრები ქართული წყაროების მიხედვით.....	- 101 -
5.1. ქართველთა სახელმწიფოს საზღვრები ძველი წყაროების მიხედვით.....	- 101 -
5.2. ქართველთა სახელმწიფოს საზღვრები გიორგი მერჩულის მიხედვით.....	- 108 -
5.3. “ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“ (1790)	- 115 -
6. საერთოქართველური ენა, ქართველთა სამწიგნობრო ენა-	122 -
6.1. საერთოქართველური ენის არსებობის დრო. ქართველთა და სხვა ეთნოსთა ენები “ქართლის ცხოვრებაში“.....	- 122 -
6.2. ქართველთა სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემა; სამწიგნობრო ენის სტილური სახესხვაობანი-	127 -
6.3. სახელმწიფო ენა, დედაენა, კილო, კილოკავი.....	- 136 -
უმწერლებო ენისა და კილოს გამიჯვნის საკითხი და ე.წ. ქართიზაცია/ქართველიზაციის მცდარი თეორიის კრიტიკული ანალიზი	- 136 -
7. ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები	- 151 -
7.1. წარმართობა; ღმერთი, კურთხევა	- 151 -
7.2. ამირანი და პრომეთე.....	- 155 -
7.3. ქრისტიანობამდელი არაქართული რელიგიები საქართველოში.....	- 158 -
8. ქრისტიანობამდელი ქართული კულტურა; ანბანი....	- 160 -
8.1. ქრისტიანობამდელი ქართული კულტურა.....	- 160 -
8.2. ქართული ანბანის შექმნის ისტორია. ქართული ანბანის საყრდენი მოდელი.....	- 171 -
8.3. ქართული ანბანის სახეები: მრგვლოვანი, ნუსხა-ხუცური, მხედრული	- 175 -

9. ქრისტიანობა, როგორც საქართველოს 16-საუკუნოვანი დასავლური ორიენტაცია. საქართველოს ეპარქიები.....	- 178	-
9.1. სამი მოციქული საქართველოში; 16-საუკუნოვანი პროდასავლური არჩევანი	- 178	-
9.2. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპარქიები.....	- 183	-
9.3. გახალხურებული ქრისტიანობა მთიანეთში.....	- 186	-
10. ქრისტიანული ქართული კულტურის ცენტრები, ხელოვნების ნიმუშები; ძველი ქართველი სასულიერო მოღვაწენი	- 190	-
10.1. ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრები	- 190	-
10.2. ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშები	- 199	-
10.3. ცნობილი ქართველი მოღვაწენი	- 203	-
11. ქართული ხელნაწერები; ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ	- 209	-
11.1. ხელნაწერები - კულტურული მემკვიდრეობა	- 209	-
11.2. "ქებაჲს" ხელნაწერები	- 213	-
11.3. "ქებაჲს" ტექსტის ანალიზი	- 220	-
12. ქართული მწერლობის ძირითადი ტენდენციები.....	- 223	-
12.1. სასულიერო და საერო მწერლობა; ერთიანი ქართული სამწიგნობრო ენის ორი ძირითადი სტილი	- 223	-
12.2. ხელისუფლების გადაცემის საკითხი შოთა რუსთველის "ვეფხისტყაოსანში"	- 227	-
12.3. ილიას "განდევლის" ტექსტი და ქვეტექსტი	- 231	-
13. საზღვარგარეთის ქართველოლოგიური ცენტრები. უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველები.....	- 240	-
13.1. საზღვარგარეთის ძველი ქართველოლოგიური ცენტრები.....	- 240	-
13.2. საზღვარგარეთის თანამედროვე სამეცნიერო ცენტრები და იქ მომუშავე ქართველოლოგები.....	- 247	-
13.3. უცხოეთში მოღვაწე ქართველები.....	- 257	-

14. ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში.....	- 271 -
14.1. ქართველური კილოების გავრცელების ველი	- 272 -
14.2. რეგიონული ან უმცირესობის ენების საკითხი საქართველოში. იდეოლოგიზებული კვალიფიკაციები და ეთნოლინგვისტური რუკები	- 290 -
14.3. ქართული ენის ტექნოლოგიზება. ქართველური მემკვიდრეობის გადარჩენის გზები	- 293 -
15. ქართველთა ტრადიციული წეს-ჩვეულებანი. ხალხური შემოქმედება. ქართველთა ეროვნული ხასიათი.....	- 298 -
15.1. ქართველთა ტრადიციული წეს-ჩვეულებანი.....	- 298 -
15.2. ხალხური შემოქმედება	- 304 -
15.3. ქართველთა ეროვნული ხასიათი	- 311 -
ბიბლიოგრაფია	- 323 -
დ ა ნ ა რ თ ი	- 354 -
1. 1918 წ. “საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“:.....	- 355 -
2. თედო სახოკია, თქვენ რაღას მისდევთ?!.....	- 356 -
3. კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი კონცეფცია	- 360 -
4. 1991 წ. “9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“-	361 -
5. ქუთაისური მემორანდუმი.....	- 362 -
6. ღვთისმშობლის წილხვედრი სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი	- 365 -
7. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საკვირაო ქადაგება-	366 -
8. სატრანსლიტერაციო სქემა	- 370 -
9. ქართველთა სხვადასხვაენოვანი ეთნონიმები, ქორონიმები, ენა-კილოების სახელები.....	- 371 -
10. ტ. ფუტყარაძე, დაზმირ ჯოჯუა, ბეჟან ხორავა, საქართველო ბოლო 5 საუკუნეში (ქრონოლოგია).....	- 378 -

შესავალი

ს. საქართველო: ზოგადი ცნობები

საქართველოს სახელმწიფო მდებარეობს 40' და 47' აღმოსავლეთის განედის და 41' და 44' სამხრეთის გრძედს შორის, ევროპისა და აზიის საზღვარზე - **ცენტრალური კავკასიის** დასავლეთ ნაწილში (კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთით).

ფართობი - 69 7000 კვ.კმ.; საქართველოს მოსახლეობა - 4 497.6 ათასი კაცი (2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

საქართველოს დედაქალაქია თბილისი (მოსახლეობა - 1 172.7 ათასი კაცი). უდიდესი ქალაქები: ქუთაისი (მოსახლეობა 189.7 ათასი კაცი), ბათუმი (122.2 ათასი კაცი), რუსთავი (117.9 ათასი კაცი), სოხუმი (რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ აღწერის შედეგები არ გვაქვს), ზუგდიდი (72.2 ათასი კაცი), გორი (50.2 ათასი კაცი), ფოთი (47.3 ათასი კაცი), თელავი (20.2 ათასი კაცი)...

ეთნიკური შემადგენლობა (2002 წლის აღწერის მიხედვით). საქართველოს ავტოქთონი მოსახლეობაა ქართველები¹. ქართველთა გარდა, ამჟამად საქართველოში ცხოვრობენ სხვადასხვა დროს შემოხიზნული სხვა ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში. მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა ასეთია: ქართველები - 83,8%, აზერბაიჯანელები - 6,5%, სომხები - 5,7%, რუსები - 1,5%, ოსები - 0,9%, ბერძნები - 0,3%, უკრაინელები - 0,2%, აფხაზები - 0,1%, ებრაელები - 0.1%, სხვა - 0.1% (ამჟამად ინტენსიურად ხდება ჩინელებისა და ინდოელების ჩამოსახლება; მათი მონაცემები არ გვაქვს).

სახელმწიფო ენა. საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული სალიტერატურო ენა; საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე - აფხაზეთში, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით აქვს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, სახელმწიფო ენებია ქართული და აფხაზური.

ეროვნული ვალუტა: ლარი, 1 USD - 1,75 ლარი.

ოფიციალური დასვენების დღეები: 1 იანვარი - ახალი წელი, 7 იანვარი - შობა, 19 იანვარი - ნათლისღება, 3 მარტი - დედის დღე, 8 მარტი - ქალთა დღე, აღდგომა, 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 28 აგვისტო - მარიაშობა, 14 ოქტომბერი - სვეტიცხოვლობა, 23 ნოემბერი - გიორგობა.

კლიმატი. კავკასიის ცენტრალურ ნაწილში არსებული საქართველო ჩრდილოეთიდან წამოსული ცივი და სამხრეთიდან წამოსული ცხელი ჰაერნაკადების შეხვედრის ადგილია. აღმოსავლეთ საქართველოში კლიმა-

¹ რუსეთის იმპერიული **იდეოლოგიების** გავლენით ზოგ ცნობილ ენციკლოპედიკურ ანუ ქართული ეთნოსი დანაწევრებულადაა წარმოადგენილი; იხ., მაგ.: http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE რომლის მიხედვითაც დღესაც კი ქართველთა ნახევარი არაქართველადაა ჩათვლილი.

ტი უფრო მშრალი და კონტინენტურია (ცხელი ზაფხულითა და ზომიერი ზამთრით), დასავლეთ საქართველოში კი უფრო სუბტროპიკული: ბარში ზომიერი ზაფხულია, ზამთარი კი - თბილი; მთის სოფლებში ზამთრობით თოვლი დევს 2-4 თვის მანძილზე.

ფლორა და ფაუნა. საქართველოს გეოგრაფიული და კლიმატური მრავალწახნაგოვანი თავისებურება განსაზღვრავს ფლორის საოცარ მრავალფეროვნებას. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფლორა საკმაოდ განსხვავებულია. აღმოსავლეთ საქართველოს არაწიწვოვან ზონებში არის მშრალი და ნახევრად მშრალი ჰავა, რის გამოც გამწვანება და მცენარეულობა შედარებით ნაკლებია. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ნოტიო ჰავის გამო იგი ხშირი ტყეებით გამოირჩევა.

საქართველოში მრავალფეროვანია ცხოველთა სამყაროც: ფაუნა მოიცავს ევროპული, ცენტრალური აზიისა და აფრიკის ფაუნის ძირითად სახეობებს.

საქართველოში ამჟამად არსებობს ძუძუმწოვართა ასობით სახეობა, აგრეთვე 330 სახის ფრინველი, 48 რეპტილია, 11 ამფიბია და 160 თევზის სახეობა და სხვ.

საქართველოს ისტორია (მოკლედ). საქართველო ერთ-ერთი დიდი ისტორიის მქონე ქვეყანაა; ორიგინალურ ქართულ კულტურაში ასახულია როგორც ევროპული, ასევე აღმოსავლური ცივილიზაციების ნაკადები.

საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი უძველესი პერიოდიდან სახლობს. უცხოური წყაროების მიხედვით, **ქართველთა** პირველი სახელმწიფოები არსებობს ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან (კოლხა, დიაოხი; შდრ., ურარტუ ქართველთა მონათესავე ხალხის სახელმწიფო იყო). მოგვიანებით, **დიაოხი** გაინაწილეს **კოლხამ** და **ურარტუმ**. ძველი კოლხა (სავარაუდოდ, ქართული წყაროების "სრულიად ქართლი") მოიცავდა თითქმის მთელ თანამედროვე საქართველოს, მტკვრის შუა და ზემო წელს, ჭოროხის ხეობას და შავი ზღვისპირეთს სინოპემდე; ამას ცხადყოფს არქეოლოგიური მონაცემები. ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების (სპარსელები, ბერძნები, კიმირიელები...) დაპირისპირების ეპიცენტრში მოქცეული **კოლხა/ქართლი** - ქართველთა სახელმწიფო სუსტდება:

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბერძნები ბატონდებიან, აღმოსავლეთ საქართველოში - სპარსელები; შესაბამისად, უცხოურ წყაროებში მკვიდრდება ქართველთა სახელმწიფოს აღმნიშვნელი ორი ქორონიმი: ბერძნების კონტროლირებად ტერიტორიას **ლაზიკა** ერქვა², სპარსელების ველში დარჩენილ საქართველოს კი - იბერია. **ძველი**

² ბერძნული წყაროების მიხედვით, როგორც წესი, კოლხიდა/ლაზიკა იფარგლება ჭოროხის, რიონის, ენგურისა და კოდორის ხეობებით. ქართულ და სპარსულ წყაროებში ამ მხარეს აფხაზეთი ჰქვია. ბერძნული წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქაური მოსახლეობა - ლაზები - ქართულენოვანია; მაგ., პროკოფი კესარიელი წერს: ლაზებმა ბერძნული ენა არ იციან, ამიტომ ამახინჯებენ თავიანთი დედაქალაქის ბერძნულ სახელს, კერძოდ, კოტიაიონს ქუთათისს/ქუთათისს ეძახიან (გეორგიკა, 1965, გვ.195); შდრ., "ქუთათისი" ქართული სახელია; ჩვენთვის ცნობილი მეგრულ-ლაზურის სახელი კი არის **ქუთეში**.

ქართული წყაროები ქართველთა საცხოვრისის ორივე ნაწილს ქართლად თვლიან.

ქართველთა სახელმწიფოს თანამიმდევრულ ისტორიას ქართული წყაროები ბერძენთა მორჩილი ქართული წარმომავლობის აზოს, შორსმჭვრეტელი ქართველი ერისთავის - **ქუჯისა** და ქართველთა ტრადიციული სამეფო გვარის წარმომადგენლის - **ფარნავაზ მეფის** - ამბით იწყებენ; კერძოდ, ფარნავაზისა და ქუჯის ძალისხმევით ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე აღორძინდა ქართველთა სახელმწიფო - **ქართლი**, რომლის დედაქალაქი იყო მცხეთაში.

ფარნავაზის ქართლი მოიცავდა თითქმის მთელ **ძველ კოლხეთს**: დალიძიდან ხუნანამდე, ჩრდილოეთით - კავკასიონის, სამხრეთით კი ტაოკლარჯეთის ჩათვლით; ისტორიული წყაროების მიხედვით, ეგრისის საერისთავოს ნაწილი - ტერიტორია **ამჟამინდელი დალიძიდან ქალაქ ძველ ლაზიკამდე - ნიკოფსიამდე** (ნიკოფსია, ბერძნ. Nikofsis; ისტორიული ციხე ქალაქი შავი ზღვის პირას, ქ. ტუაფსეს ჩრდილოეთ-დასავლეთით 47 კმ-ზე) დაპყრობილი ჰქონდათ ბერძნებს (ეს ნაწილი საქართველოს უბრუნდება ვახტანგ გორგასლის დროს).

ქართული საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება I საუკუნიდანვე დაიწყო; კერძოდ, **ქრისტიანობა აქ ქართულ ენაზე იქადაგეს ქრისტეს მოწაფეებმა**: წმ. ანდრია პირველწოდებულმა, წმ. სვიმონ კანანელმა და წმ. მოციქულმა მატათამ. ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ანდრია პირველწოდებულმა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ეკლესია ააგო იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთ ცენტრალურ კუთხეში - აჭარაში; მანამდე მან იქადაგა ქართველთა ერთ-ერთ განაპირა ქალაქში - ტრაპიზონში.

IV საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში შემოვიდა წმინდა ნინო (კაბადოკიელი), რომლის ქადაგების შემდეგ, 326 წელს, **მეფე მირიანმა** ქრისტიანობა გამოაცხადა სახელმწიფო რელიგიად. ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს ფართომასშტაბიანი კულტურული აღორძინებაც; მომდევნო საუკუნეში მოღვაწეობენ ცნობილი ქართველი სწავლულები: პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი. ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში ქართველთა სახელმწიფოში ფუნქციონირებდა რიტორიკისა და ფილოსოფიის სკოლა (კოლხეთის სკოლა). ამავე პერიოდიდანაა შემონახული სხვადასხვა ენიდან ნათარგმნი საეკლესიო, ისტორიო-გრაფიული თუ ფილოსოფიური ლიტერატურა, ორიგინალური (ქართულენოვანი) აგიოგრაფია და საისტორიო მწერლობა (“წმინდა ნინოს ცხოვრება”, “შუშანიკის წამება”, “ევსტათი მცხეთელის მარტვილობა”... “ქართლის ცხოვრება”...).

V საუკუნის დასაწყისში ქართლი დაიპყრო სპარსეთის იმპერიამ, მაგრამ ვახტანგ გორგასლის დროს ისევ აღდგა კავკასიური მასშტაბის ძლიერი საქართველო. გორგასლის სახელთან ასოცირდება დიდი საეკლესიო რეფორმაც.

VI-IX საუკუნეებში საქართველოს არაბები იპყრობენ; საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დიდ კრიზისში ვარდება.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდად ითვლება XI-XII საუკუნეები, როდესაც ტაოკლარჯეთისა და აფხაზეთის სამე-

ფოეების აქტიურობით აღდგა **ერთიანი საქართველოს** სახელმწიფო ქართულენოვანი კულტურით.

1089 წელს ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი II გადადგა ტახტიდან და თავისი ადგილი დაუთმო 16 წლის ვაჟს - დავითს. **დავით IV** იყო უდიდესი პოლიტიკური ფიგურა და რეფორმატორი, მას მადლიერმა ქართველმა ერმა **აღმაშენებელი** უწოდა. 1104 წელს დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეულ იქნა დიდი საეკლესიო კრება, რომელსაც, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლების გარდა, ესწრებოდნენ საერო საზოგადოების წარმომადგენლებიც (მათ შორის დავით აღმაშენებელი). ეს კრება ისტორიაში შევიდა **რუის-ურბნისის საეკლესიო კრების** სახელით. დავითმა შექმნა რეგულარული ჯარი, საქართველოდან განდევნა არაბი დამპყრობლები, აღადგინა ერთიანი სახელმწიფო და საქართველო ისევ აქცია კავკასია-წინააზიის წამყვან სახელმწიფოდ.

საქართველოს სახელმწიფოს **ოქროს ხანა** გაგრძელდა თამარის მეფობის დროს (1184-1213). საქართველო არა მხოლოდ ივერიებდა კავკასიაში შემოჭრილ დამპყრობლებს, არამედ აძევებდა მათ კავკასიის სხვა სამეფოებიდან. აღსანიშნავია შამქორის (1195) და ბასიანის (1202) ბრძოლები. თამარის მეფობის პერიოდში საქართველო გახდა უძლიერესი სახელმწიფო მცირე აზიაში. თამარის ეპოქაში დაიწერა **საქართველოს ოქროს ხანის სიმბოლო** - შოთა რუსთველის ბრწყინვალე პოემა - “ვეფხისტყაოსანი”.

მე-13 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში პირველად გამოჩნდნენ მონღოლები (ლამა გიორგის დროს); მომდევნო ათწლეულებში მათ დაიპყრეს საქართველო. მონღოლობის პერიოდში ეკონომიკა განადგურდა, აყვავებული ქალაქები დაინგრა; დაკნინდა ქართული კულტურა.

ძლიერი და ერთიანი საქართველო ისევ აღორძინდა მეფე გიორგი V ბრწყინვალის ზეობის დროს (1314- 1346); მან აღადგინა ქართული მონასტრები იერუსალიმსა და სინას მთაზე. ამავე პერიოდში ქართველებმა იერუსალიმში თავისუფლად შესვლის უფლება მოიპოვეს.

1386-1403 წლებში საქართველო რვაჯერ ააოხრა თემურ-ლენგმა: გადაწვა სოფლები და ქალაქები, მოიშალა საირიგაციო არხები, გაჩინა ადგილობრივი მეთურნობა... გადარჩენილი მოსახლეობა გაიხიზნა მთაში.

მოგვიანებით საქართველო გახდა ოსმალეთ-ირანს შორის ომის ასპარეზი. 1555 წელს გეოპოლიტიკურად სტრატეგიული საქართველო გავლენის სფეროებად გაინაწილეს ირანმა და ოსმალეთმა (ამასიის ზავი), რამაც ხელი შეუწყო საქართველოს დაშლას **“პატარ-პატარა საქართველოებად”** (და არა, კუთხური მეტყველებებისა და კუთხური ეთნოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით შექმნილ სამეფოებად) - კახეთის, ქართლის, იმერეთის, აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სამეფო-სამთავროებად. თითქმის ყველა სამეფო-სამთავროს მეფე/მმართველი **ბაგრატიონთა სამეფო დინასტიიდან** იყო, მაგრამ მათ შორის ხშირად იმართებოდა ძმათამკვლელი ომებიც, რაც უფრო და უფრო ასუსტებდა ქართველ ერს.

მე-18 საუკუნეში მეფე ვახტანგ VI შეეცადა ქვეყნის აღორძინებას; მან, ანთიმოზ ივერიელის დახმარებით, 1708-1709 წლებში დააარსა პირველი ქართული სტამბა, სადაც 1712 წელს დაიბეჭდა “ვეფხისტყაოსანი”.

1744-1798 წლებში ერეკლე II ავიდა აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) სამეფოს ტახტზე. მან სერიოზული ნაბიჯები გადადგა სა-

ქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერებისთვის, მაგრამ პროცესის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო; სიცოცხლის დასასრულს ერეკლე მეორემ გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა ერთმორწმუნე რუსეთისათვის.

1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გეორგიევსკში დაიდო ურთიერთვალდებულებითი ხელშეკრულება, რომელსაც “გეორგიევსკის ტრაქტატი” ეწოდა.

რუსეთთან დადებული ამ ხელშეკრულების [შეუსრულებლობის] გამო, მე-18 საუკუნის დასასრულს, სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოს ერთდროულად შეუტია ოსმალეთმაც და ირანმაც. ამავე პერიოდში, 1790 წელს, ქართველ მეფე-მთავრებს ჰქონდათ მცდელობა, გაეერთიანებინათ საქართველო (1790 წლის “იბერიელთა ერთობის ტრაქტატი”). გაერთიანებას ხელი შეუშალა რუსეთის იმპერიამ, კერძოდ, ერთმორწმუნეობის მანტიით მოსულმა დამპყრობელმა 1801 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის იგნორირებითა და სამხედრო ძალის გამოყენებით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და მიიერთა საქართველოს ეს ნაწილი³. რუსეთის იმპერიამ მოგვიანებით დაიპყრო დასავლეთ საქართველოც.

შდრ.: ერეკლე მეორის არჩევანი სახიფათო აღმოჩნდა: ირანი იძულებული გახდა რუსეთისათვის დაეთმო აღმოსავლეთ საქართველო; თურქეთს დარჩა სამხრეთ საქართველო - ისტორიული მესხეთი: **განადგურდა** პატარ-პატარა ქართული სამეფოები და დიდი ხნით გადაიდო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს აღორძინების შესაძლებლობა.

ოსმალეთსა და ირანთან მეზობლობასა თუ ბრძოლებში საქართველომ სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა; ქართველი ერის დიდმა ნაწილმა საკუთარი რწმენაც გადაირჩინა, მაგრამ “მოყვრად” მოსულ ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოების შემდეგ განადგურდა ქართული სამეფოები; ამ კატასტროფის მიზეზი იყო ირან-ოსმალეთის აგრესიებით თავმოებზრებული ქართველი მეფე-მთავრების ორიენტირება ერთმორწმუნე მზარდ სახელმწიფოზე, რომელმაც, სტრატეგიულ კავკასიაში გაბატონების მიზნით, 1801-1865 წლებში ბოროტად გამოიყენა ქართველთა ნდობა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბარბაროსულად **მოსპო** ბაგრატიონების მრავალსაუკუნოვანი სამეფო დინასტია, **გააუქმა** ყველა ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც კი (1811).

რუსეთის მიერ კავკასიაში განხორციელებული აგრესიის შემდეგ საქართველოს ძირითადი ტერიტორია მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუსები უგულვებელყოფდნენ ქართველთა **ტრადიციებსა** და ჩვევებს, ცდილობდნენ ძირფესვიანად აღმოეფხვრათ ქართული ენა, კულტურა⁴; თითქმის ყველა მონასტრის უძველესი ფრესკები თეთრად გადაიღება...

³ იხ. 1801 წლის 18 იანვრისა და 12 სექტემბრის მანიფესტები:

<http://www.amsi.ge/istoria/sab/moskovi0.html>

⁴ ამავე პერიოდში კავკასიის მთავარმართველი **ერმოლოვი** რუსეთის იმპერატორს სწერდა:

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცალკეული პირები (ალექსანდრე ბატონიშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, ეკატერინე დადიანი, დიმიტრი ყიფიანი...) წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის იმპერიას. ქართული ეროვნული ცნობიერების ასაღორძინებლად მათი გზა გააგრძელეს და ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაშალეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, გიორგი წერეთელმა და სხვა პატრიოტებმა (ივ. გვარამაძე, ნ. დადიანი, ალ. ყაზბეგი, ივ. ბუჭურაული, ბ. ნიჟარაძე, ნ. ჯანაშია, პ. ჭარაია, გ. შერვაშიძე...), რომელთაც, პირველ რიგში, დაარსეს **“წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“**; პარალელურად, დაიწყო საქართველოს ყველა კუთხის შესწავლა, რომ მყარ მეცნიერულ საფუძველზე აედორძინებინათ ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერება.

1917 წლის მარტში საქართველოს ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონი.

1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა; კერძოდ, **საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად**, რომლის მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანიანი. 1920 წლის 7 მაისს რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველოსგან მოითხოვა ნეიტრალიტეტის გამოცხადება. საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტოდ ცნო, ასევე: ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ და იაპონიამ.

რუსეთის ნების შესაბამისად, ნ. ჟორდანიას ხელისუფლებამ **საქართველოს ნეიტრალიტეტი** გამოაცხადა, რის გამოც საქართველო დატოვეს ევროპული სახელმწიფოების ჯარებმა; ამით ისარგებლა ბოლშევიკურმა რუსეთმა და 1921 წელს, დაარღვია რა საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება, დაიპყრო საქართველო; კერძოდ, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის არმია შემოიჭრა საქართველოში და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია. საქართველოს კანონიერი მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ამ დროიდან ვიდრე 1990 წლამდე, საქართველო ანექსირებული იყო საბჭოთა რუსეთის - კომუნისტური რუსეთის - იმპერიის მიერ.

1921-1990 წლებში საქართველოში არ შეწყვეტილა ანტიიმპერიული მოძრაობა. საბჭოთა კავშირის დიქტატორული რეჟიმი მრავალი წლის მანძილზე რეპრესიებით ცდილობდა ამ მოძრაობის ჩახშობას. საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ იმპერიამ ერთ-ერთი ბოლო დანაშაული ჩაიდინა 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც საბჭოთა არმიამ სასტიკად დაარბია და დახვრიტა მომიტინგენი და მოშიმშილენი - გმირები, რომლებიც საბჭოთა იმპერიის ძლევამოსილობის პერიოდში ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

კავკასიის სამუდამოდ დამორჩილება თუ გვსურს, უნდა გავანადგუროთ ქართველი ერი: “თუ არ იქნება საქართველო, რუსეთისთვის აღარ იარსებებს კავკასიის პრობლემა“...

ეს კარგად იცის, კავკასიის დაპყრობის ყველა მოსურნემ; 1992-93 წლებში სწორედ ამიტომ დაამხეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება... **დღესაც ამიტომაა საქართველო მძაფრი დაპირისპირების ეპიცენტრში.**

საქართველოს იძულებით ყოფნას საბჭოთა იმპერიაში წერტილი დაუსვა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებმა, რომელიც მომზადდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურობით. მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა პოლიტიკური ბლოკი: “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, რომელსაც სათავეში ედგა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი **ზვიად გამსახურდია**.



1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საერთო-სახალხო რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (ეთნიკური კუთვნილობის მიუხედავად), გამოხატა თავისი არჩევანი; რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად, 1991 წლის 9 აპრილს - **საბჭოთა იმპერიასთან ქართველთა მორალურ-ზნეობრივი გამარჯვების ორი წლის თავზე** - საქართველოს რესპუბლიკამ გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა. ამავე დღეს საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრების მიერ ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს⁵.

⁵ შესაბამისად, წესით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე საქართველოს მოსახლეობამ უნდა იზეიმოს 9 აპრილს და არა - 26 მაისს; შდრ.: საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ათეული საუკუნეების წინ გამოცხადდა, რის გამოც არავის ახსოვს საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების /დამოუკიდებლობის გამოცხადების/ დღე.

1991 წლის 26 მაისს საქართველოში გაიმართა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც საქართველოს მოქალაქეთა ხმების 87% მოიპოვა **ზვიად გამსახურდიამ** და იგი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა საერთაშორისო კანონმდებლობის პრიმატისა და დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოების შესახებ. ამავე ხელისუფლებამ საქართველოში მყოფ საბჭოთა რუსეთის (საბჭოთა კავშირის) სამხედრო შენაერთებს **საოკუპაციო ჯარის სტატუსი მიანიჭა.**

რუსეთის იმპერია არ შეეგუა საქართველოს დამოუკიდებლობას. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის წამყვანი სახელმწიფოების მაშინდელ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შედეგად რუსეთმა დათმო აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიის ქვეყნები, მაგრამ დროებით დაინარჩუნა კავკასია, შუა აზია, უკრაინა, მოლდოვა და ბელორუსია. თავისი გავლენის ველად მიჩნეულ ცენტრალურ კავკასიაში ორ სახელმწიფოს - **საქართველოსა და აზერბაიჯანს** - უკვე გამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, მაგრამ რუსეთის იმპერიამ რამდენიმე ცდის შემდეგ, 1992-93 წლებში, შეძლო საქართველოსა და აზერბაიჯანის კანონიერი ხელისუფლებების დამხობა (ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა წამყვანმა ქვეყნებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს 9 აპრილის “დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის” საფუძველზე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში)⁶.

კრემლმა საქართველოში ძალაუფლება გადასცა ე. შევარდნაძის მარიონეტულ რეჟიმს, რომელმაც, მიუხედავად ე.წ. დაბალანსებული პოლიტიკის დეკლარირებისა, საქართველო დააბრუნა რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში - ხელი მოაწერა საქართველოს დსთ-ში შესვლას, ოკუპანტი ქვეყნის - რუსეთის - ჯარს მიანიჭა “მეგობარი ქვეყნის ჯარის” სტატუსი და შესაძლებლობა მისცა რუსეთს, მოეხდინა საქართველოს ისტორიული კუთხეებს - **აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ფაქტობრივი ოკუპაცია.**

ქართველი ხალხი, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობა ვერ ეგუებოდა რუსული იმპერიის ველში დაბრუნებას; შესაბამისად, ხალხის განწყობა 2003 წელს გადაიზარდა “ვარდების რევოლუციაში”; დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილი ამ რევოლუციით შევარდნაძის ხელისუფლება შეიცვალა მიხეილ სააკაშვილის მიერ დაფუძნებული “ნაციონალური მოძრაობით”. “ვარდების რევოლუციის” შეუქცევადობა კარგად დაინახეს რუსმა პოლიტიკოსებმაც, ამიტომ თავდაპირველად ისინი შეეცადნენ, ხელისუფლებაში მოეყვანათ პრორუსი პო-

⁶ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ფაქტი სამართლებრივად დღემდე არ შეფასებულა; მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: **ვ. გურული**, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა (<http://sangu.ge/images/vguruli/11cnob.pdf>). მომდევნო პერიოდში რუსეთის ხელისუფლებამ გაანადგურა იჩქერიის (ჩეჩნეთის) დამოუკიდებლობის მოსურნე ყველა პოლიტიკური დაჯგუფება და ფიზიკურად გაანადგურა იჩქერიის სამი პრეზიდენტი (ჯოხარ დუდაევი, ზელიმხან იანდარბიევი და აჰმედ მასხადოვი).

ლიტიკოსებიც, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების კულუარულ ბრძოლებში იმხანად გაიმარჯვა პროდასავლურმა კურსმა.

პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ოფიციალურად უარი თქვა რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნებაზე, ჩაატარა პლემბის-ციტი ნატოსთან ინტეგრაციის თემაზე და, ხალხის ნების გათვალისწინებით, მზაობა განაცხადა ნატოში შესასვლელად. სწორედ ამის გამო 2008 წლის აგვისტოში რუსეთის იმპერია შეეცადა, დაესაჯა საქართველო (7-11 აგვისტოს ომი).

რუსეთის მორიგი აგრესიისგან საქართველო იხსნა ევროკავშირის სახელმწიფოებისა და აშშ ერთიანმა პოზიციამ, თუმცა, რუსეთმა მაინც განახორციელა **საქართველოს ნაწილობრივი ანექსია**: ფაქტობრივად მიიერთა საქართველოს ორი ისტორიული მხარე - აფხაზეთი და შიდა ქართლი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). საპასუხოდ, **საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის სამხედრო შენაერთებს აღუდგინა საოკუპაციო ჯარის სტატუსი და განაცხადა დსთ-დან გამოსვლა.**

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს (2008) ომის შემდეგ კრემლი აკონტროლებს საქართველოს უფრო მეტ ნაწილს, ვიდრე ომამდე (1992-2008). რუსეთს ეს არ აკმაყოფილებს; რუსეთის პოლიტიკური ელიტის აგრესიულ ნაწილს არა მხოლოდ ამიერკავკასიაზე, არამედ მთელ ევრაზიაზე სურს კონტროლი; ამ მიზნით ის ცდილობს, ევროატლანტიკური ალიანსის საპირწონედ შექმნას ევრაზიის კავშირი (რომელსაც ზოგი “ექსპერტი” ჩინური საფრთხის ბუფერადაც წარმოადგენს).

XXI საუკუნის დასაწყისშიც რეგიონში მრავალმხრივი გეოპოლიტიკური ვექტორები იკვეთება, რაც უფრო ართულებს საქართველოს პროდასავლური კურსის პერსპექტივას. ამ ფონზე 2012 წლის ოქტომბერში ჩატარდა არჩევნები, სადაც დამარცხდა პრეზიდენტ მ. სააკაშვილის პოლიტიკური გაერთიანება (“ნაციონალური მოძრაობა”); სახელისუფლებო პარტიის დამარცხების მთავარი მიზეზი იყო არასწორი საშინაო პოლიტიკა, ქართული ნაციონალური (ეროვნული) ფასეულობებისადმი უპატივცემულობა, მძაფრი სოციალური უთანასწორობა და ტოტალური უსამართლობა (ძალოვანი სტრუქტურების მიერ სასამართლოს სრული დამორჩილება).

ხელისუფლებაში მოვიდა ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ბლოკი: “ქართული ოცნება“, რომელმაც გამოაცხადა საგარეო ორიენტირების უცვლელიობა (ევროკავშირსა და ნატოსკენ სწრაფვა) და სამართლიანობის დამკვიდრება.

საქართველოს უმთავრესი პრობლემა დღემდე მოუგვარებელია - რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დეოკუპაცია მომავლის საქმედ რჩება; მეტიც, გარე ძალები ცდილობენ, საბოლოო დანაწევრების მიზნით, საქართველოს თავს მოახვიონ **კონფედერაციული** თუ **ფედერაციული** მოწყობა.

ცივილიზებული დასავლეთი თუკი არ შეეცდება საქართველოს აგრესიული მეზობლების გეოპოლიტიკური ამბიციების მოთოკვას და ხელს არ შეუწყობს კავკასიის ცენტრში **საქართველოს უნიტარული სახელმწიფოს** აღორძინებას, უახლოეს ათწლეულში ისევ მოსალოდნელია რუსეთის მიერ საქართველოს (და არა მხოლოდ საქართველოს!) სრული ანექსია, ან (კონ)ფედერაციად გამოცხადებული საქართველოს გადანაწილება რამდენიმე წამყვან **გეოპოლიტიკურ მოთამაშეს** შორის.

ქართველთა მიერ დაფუძნებულ მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოს - საქართველოს - გადარჩენის ორი რეალური გზა არსებობს:

1. საქართველოს შესვლა **ევროკავშირში** ეროვნულ-სახელმწიფო-ფოებრივი ღირებულებების (ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, მართლმადიდებლობა, უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფო...) დაცვაზე ორიენტირებული ხელისუფლების არსებობის პირობებში;
2. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების დაცვაზე ორიენტირებული ხელისუფლების მიერ დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშებთან შეთანხმების მიღწევა **საქართველოს/კავკასიის სრული ნეიტრალიტეტის** შესახებ (ნოე ჟორდანიათა ხელისუფლების მსგავსად თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი საქართველოს ძორივ კატასტროფას მოუტანს); ამ გზის რეალური პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს.


ქართული ენა - ქართველთა დედაენა და საქართველოს სახელმწიფო ენა. საგარეოდ, ქართული ენა, სულ მცირე, 3500 წლისაა. არსებული მონაცემების მიხედვით, ქართული ენა სახელმწიფო ენაა ბოლო 23 საუკუნის მანძილზე, ხოლო საეკლესიო ენაა V საუკუნიდან დღემდე.

მსოფლიოში ქართულ ენაზე /და მის დიალექტებზე/ 7 მილიონზე მეტი ადამიანი მეტყველებს. ეთნიკურ ქართველთა ნახევარი საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა ცხოვრობს.

ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ჯგუფს განეკუთვნება. ქართული ენა რეალიზებულია 30-მდე კუთხური სახესხვაობით (ქართველური დიალექტით).

ქართული ანბანი. ქართველთა მწიგნობრული კულტურის ერთ-ერთი შედეგი - ქართული ანბანი - მსოფლიოს 13 ანბანს შორისაა და ერთ-ერთი უძველესია; სხვა ანბანთაგან ქართული ანბანი გამოირჩევა იმითაც, რომ უზუსტესად ასახავს სამწიგნობრო ენის ფონემატურ სტრუქტურას.

ქართული საიტორიო ტრადიციის მიხედვით, ქართული ანბანი შექმნილია მეფე ფარნავაზის დროს - ძვ.წ. IV-III საუკუნეებში. არქეოლოგ ლევან ჭილაშვილის აზრით, ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლებად უნდა ჩაითვალოს XX საუკუნის 90-იან წლებსა და 2000-2003 წლებში ნეკრესში (კახეთი) აღმოჩენილი წარწერები - **ნეკრესის წარწერები**, რომლებიც შექმნილი ჩანს წარმართობის ეპოქაში და თარიღდება ახ. წ. I-II საუკუნეებით; მდრ.: **დავათის სტელაზე** აღმოჩენილი ასომთავრული წარწერა ახ. წ. IV საუკუნისაა; პალესტინაში, ბეთლემში ვირჯილიო კორბოს მიერ 1953 წელს აღმოჩენილი ქართული წარწერები - დათარიღებულია 430-იანი წლებით, ხოლო **ბოლნისის სიონის წარწერა** შესრულებულია 492-493 წლებში:



ქართული ანბანი სამი სახისაა:

ქართულ სამწერლო ენაში დღეს გამოიყენება **მხედრული ანბანი**, ეკლესიაში კი - **ასომთავრული** და **ნუსხა-ხუცური**. მხედრული ანბანი შეიქმნა 33 ასო-ბგერას (გრაფემას), რაც სრულყოფილად ასახავს თანამედროვე ქართული ენის ბგერით შემადგენლობას - ქართული ენის 28 თანხმოვანს და 5 ხმოვანს; ქართველურ კილოებში გვხვდება სხვა სამეტყველო ბგერებიც, რომელთაც ქართველმა მეცნიერებმა შესაბამისი გრაფემებიც შეუქმნეს.

აღმსარებლობა. თანამედროვე საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია (83,9 %); მოსახლეობის ნაწილი არის მუსლიმანი (9,9 %), ნაწილი - გრიგორიანელი, ნაწილი - კათოლიკე და სხვ. ისტორიულად საქართველო ტოლერანტული სახელმწიფოა, რასაც ცხადყოფს საქართველოს ბევრ ქალაქსა თუ სოფელში გვერდიგვერდ არსებული სხვადასხვა კონფესიის სამლოცველოები.

20-25 საუკუნის წინ ქართველი ხალხის ძირითადი რელიგია იყო “წარმართობა”; **წარმართი** ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს წაღმა სვლას - **სწორად სვლას**; მღრ: **უკუღმართი**.

ისტორიული ცნობების მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები იყვნენ მოციქულები: **ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა**. საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა IV საუკუნის 20-იან წლებში გამოცხადდა. ქართველთა განმანათლებელია წმინდა ნინო (კაბადოკიელი). მან ლოცვა-კურთხევით განკურნა დედოფალი ნანა და მოაქცია მეფე მირიანი.

ქართველ ორთოდოქს ქრისტიანთა (მართლმადიდებელთა) გამორჩეულ ჯვარს განსხვავებული ფორმა აქვს; იგი **წმ. ნინოს ჯვრად იწოდება**: ნინომ ჯვარი ვაზის ტოტებისა და საკუთარი ნაწნავისგან შექმნა და ამ ჯვრით მოაქცია საქართველო.

ქართლში პირველი საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა დედაქალაქში - მცხეთაში; ქართლის ეკლესიის მეთაური ატარებდა მთავარეპისკოპოსის ტიტულს; მისი უფლებამოსილება ვრცელდებოდა ამჟამინდელი საქართველოსა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის მოსახლეობაზე.

ქართული ეკლესია V საუკუნემდე იერარქიულად ექვემდებარებოდა ჯერ ანტიოქიის, მერე კი - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს (466-468 წწ.). ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ქართლში ერთდროულად დაარსდა 12 საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო ეკლესიის მეთაურმა მიიღო კათალიკოსის ტიტული. ამ დროიდან ქართული ეკლესია ავტოკეფალური გახდა. VI საუკუნეში ქრისტიანობის განმტკიცებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით **კაბადოკიელ მამებს**.

XI საუკუნეში საქართველოში დაარსდა რიგით V საპატრიარქო მსოფლიოში. სრულიად საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქი⁷ გახდა მელქისედეკ I, რომელიც ამ 1010-1033 წლებში იყო სრულიად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი; საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ მელქისედეკ I წმინდანად შერაცხა.

⁷ მანამდე, ვახტანგ გორგასლის დროიდან მოყოლებული (V ს.), ეკლესიის მეთაური **კათალიკოსის** ტიტულს ატარებდა.



მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა საქართველოში სამწიგნობრო კულტურის განვითარებაში: ეკლესია-მონასტრებთან იყო სკოლები და აკადემიები (გელათში, იყალთოში), სადაც იღვწოდნენ ბერ-მონაზვნები; მათ შექმნეს ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ იმპერიის ხელისუფლებამ გააუქმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (1811) და ქართული ეკლესია აქცია საეგზარქოსოდ. 1852-69 წლებში საეკლესიო ქონება ხაზინას გადაეცა და სამღვდელოებას ჯამაგირი დაენიშნა. 1917 წ. 12 (25) მარტს ქართულმა სამღვდელოებამ აღიდგინა ავტოკეფალია და სექტემბერში აირჩია კათალიკოს-პატრიარქი.

1977 წელს აირჩიეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, რომლის ლოცვა-კურთხევითაც საქართველოში მრავალი ეკლესია და ტაძარი აღადგინეს და ააგეს. აღნიშვნის ღირსია სამების საკათედრო ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი სამონასტრო კომპლექსია მსოფლიოში, მისი სიმაღლე 83 მეტრია; სამების ტერიტორიაზე 12 ეკლესია და სამლოცველოა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის პერიოდში ქართული ეპარქიების რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა⁸.

⁸ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ღვაწლის შესახებ იხ.: **ს. ვარდოსანიძე**, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II. თბილისი, 2008 წ.; **ტ. ფუტყარაძე**, ქართული ენა - ქართველთა ეროვნული სიცოცხლე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ეპისტოლეების, ქადაგებებისა და სიტყვათა მიხედვით; ქართველური მემკვიდრეობა, XIV, ქუთაისი, 2010 წ., გვ. 9-35.

9. ქართველოლოგია; ქართველოლოგიის დარგები

ქართველოლოგია ქართველთმცოდნეობას ნიშნავს; სიტყვა წარმოქმნილია ქართველ- და “ლოგია“ ფუძეების შეერთებით. სიტყვის მეორე ნაწილი - “ლოგია“ ბერძნული წარმოშობისაა; შდრ.: *λόγος (logos)*, *λέγω* - “სიტყვა“, “თქმა“, “მიზეზი“, “შესაბამისობა“; *λογία* - “გამოხატვა“, “გამოთქმა“. შინაარსობრივად **ქართველოლოგია** არის **მეცნიერება** (არგუმენტირებული თვალსაზრისი) **ქართველების შესახებ**.

სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ლექსიკონებში “ქართველოლოგია“ გამოიყენება ვიწრო და ფართო გაგებით; მაგ., “ქართული ენციკლოპედიის“ ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ეგიდით 2008 წელს გამოქვეყნებულ ენციკლოპედიაში: “ქართული ენა“ ვკითხულობთ:

“ქართველოლოგია - ქართველებისა და საქართველოს შემსწავლელი ჰუმანიტარული დარგებიდან ერთ-ერთი. იკვლევს ქართველური ენებისა და მათი დიალექტების ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, გრამატიკულ და სემანტიკურ სტრუქტურებსა და ისტორიას, ქართულის, როგორც სალიტერატურო ენის ფუნქციონირებისა და ნორმალიზაციის საკითხებს“. ამავე ენციკლოპედიაში წარმოდგენილ სტატიაში: “ქართველოლოგია“ (გვ. 497-502) საუბარია მხოლოდ ქართული ენისა და სხვა ქართველური იდიომების კვლევის შესახებ.

ტერმინი “ქართველოლოგია“ გაცილებით ფართო მნიშვნელობითაა წარმოდგენილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქართველოლოგიის ცენტრის“ (Fond For Kartvelian Studies) გვერდზე⁹:

“ქართველოლოგია - ქართველთმცოდნეობა, ფართო გაგებით მოიცავს ქართული კულტურის ისტორიისა და ენის შემსწავლელ ყველა ჰუმანიტარულ დარგს: ენათმეცნიერებას, ფოლკლორისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას, ეთნოგრაფიას, ნუმიზმატიკას, ისტორიას; ეკონომიკას, სამართალმცოდნეობას, ეპიგრაფიკას, პალეოგრაფიას, წყაროთმცოდნეობას...”

უფრო ტევადი და ლოგიკურია “ქართველოლოგიის“ შემდეგი განმარტება:

ქართველოლოგია - მეცნიერება ქართველთა ენობრივი სამყაროს (დედაენისა და დიალექტების), ქართველთა წერილობითი და ზეპირი კულტურის, ქართველთა რწმენა-წარმოდგენების, ანთროპოლოგიისა და ენობრივ-ეთნიკური ისტორიის შესახებ.

ჰუმანიტარული მეცნიერებების ზოგადი დარგების (ენათმეცნიერება, ეთნოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ფოლკლორისტიკა...) პარალელურად არსებობს კერძო მეცნიერებებიც; შდრ., მაგ., ზოგადი

⁹ <http://www.kartvfund.org.ge/index.php?act=page&id=45&lang=ge>

ენათმეცნიერება და ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, ინდოევროპული ენათმეცნიერება, სომხური ენათმეცნიერება... კერძო მეცნიერებები შეიძლება განვიხილოთ როგორც მოცემული ეთნოსის /ერის, საზოგადოების/ შემსწავლელი მეცნიერების შემადგენელ ნაწილებადაც; მაგ., **ქართველოლოგიაში მოიაზრება: ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება**, რომელიც შეისწავლის: ქართველთა ენობრივ სამყაროს, ქართველთა სამწიგნობრო ენის ისტორიას, ქართული ენის ბუნებას (ფონემატურ სტრუქტურას, მორფოლოგიას, სინტაქსს, სემანტიკას, ლექსიკას.../), ქართული დამწერლობის ისტორიას, ქართულ ლექსიკოგრაფიას, ქართული ტექსტების კორპუსს, ქართულ ენას, როგორც ინტერნეტსივრცის ენას და ა.შ.

ქართული (ქართველური) ეთნოლოგია - მეცნიერება, რომელიც სწავლობს ქართველთა წარმოშობას, ქართული ეთნოსის ისტორიულ ევოლუციას (ანუ ეთნიკურ ისტორიას), ისტორიულ და თანამედროვე ყოფაცხოვრებას, რიტუალებსა და რწმენა-წარმოდგენებს, ეთნიკურ და ეროვნულ ცნობიერებას, ეთნიკური და ეროვნული იდენტობისა და თვითმიკუთვნებულობის საკითხს, ეთნოსის/ერის სამომავლო პერსპექტივებს და ა.შ.

ქართული ლიტერატურის ისტორია - მეცნიერება ქართველთა მიერ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ;

ქართული მუსიკის ისტორია - მეცნიერება ქართველთა მიერ შექმნილი მუსიკალური მემკვიდრეობის შესახებ;

ქართული ფოლკლორისტიკა - მეცნიერება ქართველთა მიერ შექმნილი მითების, ლეგენდების, ზღაპრების, ხალხური ლექსების, კაფიების შესახებ, ზოგადად, ქართველური ზეპირსიტყვიერების შესახებ;

ქართული კულტურის ისტორია - მეცნიერება ქართველთა კულტურის ისტორიის შესახებ;

ქართული ხელოვნების ისტორია - მეცნიერება ქართველთა ხელოვნების ისტორიის შესახებ;

ქართველი ერის პოლიტიკური ისტორია - მეცნიერება ქართული საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ისტორიის შესახებ (შდრ., საქართველოს ისტორია - მეცნიერება საქართველოს სახელმწიფოსა და აქ მცხოვრები ხალხების ისტორიის შესახებ) და სხვ.

II. ქართველოლოგიის ორგვარი “სტანდარტი“

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური თუ კულტურულ-პოლიტიკური წარსული მრავალი საუკუნის მანძილზე აღიწერებოდა როგორც ქართველი მემკვიდრეების, ისე მეზობელი თუ მომხდური ხალხების მიერ. როგორც წესი, ერთმანეთს ყოველთვის არ თანხვდება მოცემული ერის წარმომადგენელთა და გარეშე თვალთ დანახული ისტორიები; გარდა ამისა, არაიშვიათად, **მოვლენების აღქმაც და კვალიფიკაციაც სუბიექტურად ხდება.** მეცნიერთა მიზანია განსხვავებულ თვალსაზრისთა შეჯერება, სინამდვილესთან მიახლოებული ისტორიის დადგენა და მიწოდება ფართო საზოგადოებისათვის.

გაცილებით რთულია დაპურობილი საზოგადოების რეალური ისტორიის წარმოჩენა, რამდენადაც დამპურობელი თავისთვის სასარგებლო ვარიანტს ქმნის, ხოლო დაპურობილ საზოგადოებას საშუალება არა აქვს, სრულყოფილად განახორციელოს საკუთარი ისტორიის კვლევა და გააგებინოს ცივილიზებულ მსოფლიოს... ქართველი ერის შესახებ ისტორიგრაფიული ხასიათის ნაშრომების ქმნადობის პროცესია ამის საუკეთესო მაგალითი; კერძოდ, ბოლო **200 წელიწადში, როცა მსოფლიოში შთამბეჭდავად განვითარდა ჰუმანიტარული მეცნიერებანი**, საქართველო ოკუპირებული და ანექსირებული ჰქონდა რუსეთის იმპერიას; შესაბამისად, ქართველოლოგია ორგვარად იგვემეზობდა:

- **მეცნიერულად** - ქართველი ერის ღირსეული შვილებისა და კეთილსინდისიერი უცხოელი ავტორების ხედვის შესაბამისად;
- **კვაზიმეცნიერულად** - რუსეთის იმპერიის ინტერესების შესაბამისად; მიზანი: საქართველოს ტერიტორიის შენარჩუნება ქართველი ერის ენობრივი და ეთნიკური დანაწევრების გზით (“გათიშე და იბატონეს“ პრინციპი).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ორი ცნობილი მეცნიერის - რუსეთის იმპერიის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული **ნიკო მარისა** და მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარების მოსურნე **ივანე ჯავახიშვილის** დაპირისპირება 1918-1924 წლებში; კერძოდ, 1905 წლისგან განსხვავებით, ამ პერიოდში ნიკო მარი ცდილობდა ქართული კულტურისა და ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის იმგვარად წარმოდგენას, რომ საქართველო დამოკიდებული გამხდარიყო რუსეთის იმპერიაზე, ივანე ჯავახიშვილი კი ესწრაფვოდა ქართველოლოგიის განვითარებას მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად; ამ დისკუსიის დროს ივანე ჯავახიშვილმა ნიკო მარის მისამართით თქვა:

“ერეკლე მეფეს იმისთვის არ დაუდგია რუსეთთან ხელშეკრულება, რომ საქართველოს ისიც დაეკარგა, რაც მას აუცილებლად ჰქონდა და თუ აკად. ნ. მარს თავისთავი რუსის ხალხის მესაიდუმლე მრჩეველად და მოძღვრად მიუჩნევია და თავის პოლიტიკურს მრწამსსა და ზნეობას ძალასა და ძალმომრეობაზე არ ამყარებდეს, მას [ნ. მარს] რუსეთის დროებითი მთავრობისათვის უნდა მოეგონებინა სწორედ ის, რის დავიწყების არც პოლიტიკური და არც ზნეობრივი უფლება მართლაც რომ

არ ჰქონდა: გატეხილი ფიცისა და დარღვეული ხელშეკრულების აღდგენა!.. აკად. ნ. მარჩმა იმ დროს, როდესაც ჩვენი ქართული უნ-ტის გახსნის ნებართვას ვთხოვლობდით, რუსეთის მაშინდელ მთავრობაში წინადადება შეიტანა, რომ თბილისში საჯაროდ რუსული სახელმწიფო უ-ტი გახსნილიყო. რა მიზნით? იმ მიზნით, რომ, რათგან რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ერნი საერთო ეროვნულ-ნათესაობრივ კავშირსა და შედუღებას მოკლებულნი არიან, მათ ისეთი კულტურული დაწესებულებანი ესაჭიროებათ, რომელნიც ამ შედუღებას ხელს შეუწყობენ¹⁰.

ტარიელ ფუტყარაძე ი ა ვაშაკიძე

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ი ს

ორგვარი დაგეგმვა

1917-1935 წლებში



Two Types of Planning of Kartvelology in 1917-1935

Tbilisi
2011

მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველოლოგიის დაგეგმვის მიმართულებით ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის დაპირისპირება ხუთი მიმართულებით წარიმართა; ხუთივე დღესაც აქტუალურია; კერძოდ:

1. ქართველური ენობრივი სამყაროს ორგვარი სეგმენტაცია:

ნიკო მარი: “ქართველთმცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი, უგულებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ. სვანურს, მეგრულს,

¹⁰ ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში, თბ., 2011, გვ. 117-123.

ჭანურს და მათ ქართულის “დამახინჯებულ” თქმად ანუ დიალექტად სთვლიდნენ“.

ივ. ჯავახიშვილი (ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992, 53-54):

“1908 წელს ნ. მარი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად “ქართულსა და მასთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს გარდა, ესე იგი ეგრეთ წოდებულ ქართველთა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას, ქართველთა, იბერთა [იგულისხმება მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან“-ო (ნ. მარი, 1908, გვ. 1). მაშასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის “ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები”, დიალექტები იყო მხოლოდ... ნ. მარის ზემომოყვანილი დებულების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად იქნება გაცოცხლებული, რადგანაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში: “კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები“ იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეხვდება: “ქართველთმცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი, უგულვებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ., სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის “დამახინჯებულ” თქმად ანუ დიალექტად სთვლიდნენ“-ო... ავტორს დაევიწყებია, რომ ამგვარივე “ნაციონალისტური“ შეხედულება მასაც ჰქონდა და 1905 და 1908 წლებში “მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა... 1915 წელს კი წერდა: ქართველებს, მეგრულ-ჭანებს და სვანებს ენობრივად და ტომობრივად იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს...”.

2. ქართულენოვან განათლებაზე ორიენტირებული უნივერსიტეტი თუ რუსულენოვანი უნივერსიტეტი?

ივანე ჯავახიშვილი ითხოვდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებას, რომელიც ქართულენოვან განათლებას მისცემდა ქართველ ახალგაზრდობას, ნიკო მარი კი ქართულ ენას არ მიიჩნევდა განათლებისა და მეცნიერების ენად, ხოლო ქართული უნივერსიტეტის დაარსებას **რუსეთისათვის საბედისწერო მოვლენად თვლიდა**¹¹.

3. ივ. ჯავახიშვილი იბრძოდა, რომ ქართული ხელნაწერები დაბრუნებოდა საქართველოს; ნ. მარი კი აპროტესტებდა რუსეთის მიერ საქართველოსთვის ქართული ხელნაწერების გადმოცემას¹².

¹¹ იხ., იქვე, გვ. 96.

¹² იხ. იქვე, გვ. 145.

4. ივ. ჯავახიშვილს სურდა, საქართველოში მეცნიერული კვლევა-ძიების ორგანიზება განხორციელებულიყო ქართველების მიერ ევროპელებისა და ამერიკელების დახმარებით; ნ. მარი კი მხოლოდ რუსეთის პრეროგატივად თვლიდა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მეცნიერული კვლევის ორგანიზებას¹³.

5. ქართული კულტურის ისტორიის გათვალისწინებით, ივ. ჯავახიშვილი ქართველებს კულტურულ საზოგადოებად მიიჩნევდა; ნ. მარი კი "რატომღაც" თვლიდა, რომ საქართველო მეცნიერული შემოქმედებისათვის უნაყოფო ქვეყანაა...¹⁴

საბჭოთა პერიოდის მეცნიერება ნიკო მარის გზით წავიდა: რუსეთის იმპერია კვაზიმეცნიერული (ცრუმეცნიერული) "დასკვნების" საფუძველზე მრავალი ათეული წელია **საინფორმაციო ომს** აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ; კერძოდ, ქართველოლოგიის სფეროში წარმოებული სამეცნიერო-საინფორმაციო ომის შედეგად მთელ მსოფლიოში გავრცელებული:

❖ ანტიქართული ეთნოლინგვისტური და ისტორიოგრაფიული რუკები, რომლებშიც საქართველო ე.წ. "ენობრივი" საზღვრების მიხედვითაა დანაწევრებული /ამ გზით მსოფლიოში მკვიდრდება ქართველთა განსახლების მცდარი საზღვრები და მზადდება ჩვენი ქვეყნის მორიგი დანაწევრების სქემა/;

❖ იდეოლოგიზებული დებულებები ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიის შესახებ; ამ თვალსაზრისით, ყველაზე უფრო არამეცნიერული და ქართველი ერისთვის საშიშია მე-19 საუკუნის ბოლოს პეტერბურგში შექმნილი და საბჭოთა პერიოდში გააქტიურებული ე.წ. ქართიზაციის (ქართველიზაციის) თეორია, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, ქართველმა (ქართლებმა) გააქართველეს: კახელები, მესხები, თუშები, ფშაველები, ხევსურები, იმერლები, მეგრელები, სვანები, რაჭველები, ლეჩხუმლები, აჭარლები და ა.შ.

❖ არაადეკვატური საენციკლოპედიო ინფორმაციები ქართველთა ენობრივ-ეროვნული იდენტობისა და კულტურის შესახებ (იხ. ქვემოთ)...

ამ ყოველივეს ემატება ისიც, რომ სხვა მცირერიცხოვანი ერების მსგავსად, ქართველობისთვისაც დიდი გამოწვევაა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება თანამედროვე მსოფლიოში. ამ ფონზე დღეს, საქართველოს დეოკუპაციის პროცესში, არსებითია, რომ საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი სამსახურის მიერ აკადემიურად

¹³ უდრ.: როგორ შეიძლება საქართველოში დღესაც **ქართველოლოგიის პრიორიტეტები** განსაზღვროს იმ უცხოელმა, რომელიც ქართველურ ენობრივ სამყაროს ბოლშევიკური რუსეთის მესვეურთა ანალოგიურად ანაწევრებს. სამწუხაროდ, 2006 წლიდან 2014 წლამდე ასეთი "ექსპერტების" მიერ ხდება ქართველოლოგიის მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო დაფინანსების განაწილება.

¹⁴ იხ. იქვე, გვ. 136-145.

და დროულად დაიგეგმოს მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარება; კერძოდ, აუცილებელია:

➤ **ქართველების, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიაში (ხოფა-რიზეს, ბორჩხა-შავშეთ-იუსუფელის მხარეები) მცხოვრები ავტოქთონი ქართველების ეთნიკური იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობისათვის ზრუნვა** /ამ რეგიონში მეტია ეთნიკური ქართველების ასიმილაციისა და ქართული ენის გაქრობის საფრთხე/.

➤ **ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და უდიდესი მემკვიდრეობის - ქართველთა კუთხური მეტყველებების (მეგრულის, ლაზურის, ხევსურულის, სვანურის, ტაოურის, თუშურის...) - შენარჩუნებისათვის სტრატეგიის შემუშავება;**

➤ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების აღდგენის სტრატეგიის შემუშავება და ყველა სახის უმცირესობისათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლებით ინტეგრაციის რეალური პირობების შექმნა;

➤ **ქართველოლოგიის მიმართულებით სტრატეგიული კვლევების განხორციელება; ყველა დონის სასწავლო დაწესებულებაში სწავლების დაგეგმვა აკადემიური ქართველოლოგიური კვლევების მიხედვით;**

➤ კავკასიისა და მისი მიმდებარე რეგიონის სახელმწიფოების მეცნიერთა ერთობლივი კვლევებისა თუ სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებით ქართულ-ირანული, ქართულ-ჩრდილოკავკასიური, ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-აზერბაიჯანული ისტორიული ურთიერთობებისა და პერსპექტივების კვლევა;

➤ **ობიექტური ეთნოლინგვისტური და ისტორიოგრაფიული რუკების დამუშავება, ორთოგრაფიული და ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენა;**

➤ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური და სახელმწიფოებრივი იდენტობის შესახებ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული არასწორი ინფორმაციების დაბალანსება; თანამედროვე ქართველოლოგიური კვლევების შედეგების მიწოდება საერთაშორისო სამეცნიერო თუ საენციკლოპედიო წრეებისთვის;


➤ **მანქანური თარგმანების კომპიუტერული პროგრამებისა და ქართული ეროვნული ტექსტების ნაციონალური კორპუსის შექმნა** /რომელშიც შევა სალიტერატურო ენისა და მისი ქვესისტემების - მეგრულის, სვანურის, ლაზურის, ტაოურის, ხევსურულის, იმერულის, ქართლურის...მონაცემები/; **ქართული ენის ქცევა თანამედროვე გლობალური ქსელის ენად...**

ქართველოლოგიის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველოლოგიის დარგების სწავლებასა და მომავალი ქართველოლოგების აღზრდას, ისეთი სპეციალისტების აღზრდას, რომელთათვისაც არსებითი იქნება, ერთი მხრივ, სიმართლის მეცნიერული კვლევა, მეორე მხრივ კი, ქართველთა რეალური ისტორიისა და ფასეულობების წარმოჩენა; ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა ერთი ფრაზა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის 1922 წლის მოხსენებიდან:

“თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოთხი წლის თავთან დაკავშირებით /წარმოშობისა და დაარსების მოკლე ისტორიით/“:

“ჩვენ, ქართველმა მეცნიერებმა მშობელი ერის კეთილდღეობის და წარმატებისათვის ხელისშესაწყობად [პეტერბურგის] აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტს თავი მივანებეთ და სამშობლოში წამოვედით ქართული უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნელად... ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც საზოგადოებრივი ალლო აქვს, ეროვნული შეგნება მოეპოვება და მთლად გადაგვარებული არ არის, ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გასაგები უნდა იყოს“¹⁵.

საქართველოში აკადემიური ქართველოლოგიური კვლევების დაგეგმვა-გააქტიურება ბევრს დღემდე არ მოსწონს, რამდენადაც თანდათანობით ირღვევა ქართველი ერის ისტორიული საცხოვრისის მიტაცების მოსურნე სახელმწიფოების მესვეურთა მიერ შექმნილი იდეოლოგიები და **“გათიშე და იბატონეს“** კონცეფციაზე ორიენტირებული კვაზიმეცნიერული დებულებები.



¹⁵ ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა, თბ., 2011, გვ. 112-113.

1. ქართველთა თვითსახელწოდება - ქართველი

ქართული წყაროების მიხედვით, ქართველთა ძირითადი თვითსახელწოდებაა ქართველი (< ქართუ-ელ-ი), რომლის ფუძესთან (ქართ-უ) უშუალო კავშირშია უძველესი ქართველური ტომის სახელი - ქალდები (ქალდ-ი) და ლაზთა საცხოვრისის ძველი სახელი - ქალდეა (მდრ., ქალდეა - ქალდების საცხოვრისი). ლოგიკური ჩანს გასულ საუკუნეში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომ ქართ-ველ- და ქალდ- ფუძეები მომდინარეობს უძველესი ურარტულ-კავკასიური ღვთაების - ხალდის - სახელიდან.

1.1. ქართველ- ფუძის ისტორია

წყაროებში ქართველი პირველად ჩნდება VII საუკუნეში, თუმცა ეს ტერმინი უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო აქტიურ გამოყენებაში; მაგ., წყაროების მიხედვით, “ნათესავით ქართველები” არიან: ეგრისელი სტეფანე სანანოძეს, აფხაზი (არგვეთელი) წამებულები დავით და კონსტანტინე, შავშელი მამა პროხორე, ტაოელი მამა იოვანე, სვანი ბერი იოვანე ქსცხიანისძე...

ლოგიკურია დავუშვათ, რომ “ქართველი” აღნიშნავდა ქართლის (უცხოური წყაროების ძველი კოლხეთის) საზღვრებში მცხოვრებ ყველა ქართველურ მოდგმას.

“ქართლის ცხოვრების“ (1955, გვ.24-25) მიხედვით ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს “ყოველთა ქართველთა“ საცხოვრისის - ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის (ეგრისწყლის მარჯვენა მხარე ვიდრე “მდინარე მცირისა ხაზარეთისა“) მცხოვრებნი თავიანთი ნებით დარჩნენ ბერძენთა გავლენის ველში, დანარჩენი ქართლი კი (ქართველთა სახელმწიფოს დიდი ნაწილი) ფარნავაზ მეფემ დაყო რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ; კერძოდ:

I. მარგვის საერისთავო (ლიხის მთიდან შავ ზღვამდე რიონის მარჯვენა მხარე: ამჟამინდელი იმერეთი, გურია და ქობულეთის რაიონი);

II. კახეთის საერისთავო (“არავთვან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“);

III. ხუნანის საერისთავო (“ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი“);

IV. სამშვილდის საერისთავო (“სკვრეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“);

V. წუნდის საერისთავო (“ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტაანი“);

VI. ოძრვის საერისთავო (“ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“);

VII. კლარჯეთის საერისთავო (შავშეთ-იმერხევი, ლივანა, ლაზეთის დიდი ნაწილი სურმენემდე);

VIII. ეგრისის საერისთავო (შიდა ეგრისი: რიონის მარცხენა მხარე ეგრისწყლამდე სვანეთის ჩათვლით);

IX. სასპასპეტო: “ტფილისითგან და არაგვთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა-ქართლი”.
საერისთავოებისა და სასპასპეტოს საზღვრების რუკა დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



ახ.წ. I-II ათასწლეულების მიჯნაზე ტერმინი **ქართლს** ცვლის **საქართველო** (ან: **ერთობილი საქართველო**).

ქართულ-ქართველ- ფუძის ისტორიისა და ეტიმოლოგიის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგვარი მოსაზრება გამოითქვა (სამეცნიერო ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005):

ილია ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ **ქალდი** ფორმისგან წარმოიქმნა ქართველთა ეთნარქის სახელი: **ქალდი > ქალდისი > ქართლოსი**.

ნ.მარი **ქართ-ქართლ-ქართველ-** ფუძეებს უკავშირებდა **ქასდ-** ეთნონიმს: **ქასდივ- > ქართივ- > ქართივ-ელ-ი > ქართველი**. ნ. მარის აზრით, **ქასდ-** ფორმისგანაა მიღებული **ქალდ-ხალდი-ც**.

ივ. ჯავახიშვილი ერთმანეთთან აკავშირებდა **ქართუ/კარდუსა** და **ქართველს**; კერძოდ, მისი აზრით, სიტყვა **ქართველის** პირველი ნაწილი “**ქართუ**” ჩვენი ქვეყნის სახელი უნდა იყოს, რომელიც ქართველთა თავდაპირველ საცხოვრისს ერქვა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს თავდაპირველი საცხოვრისი იყო ურარტუ. ურარტუს **ხალხი თავისთავს ქალდის ანუ ხალდის ეძახდა**. საფიქრებელია, რომ ეს **ქალდები** ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ (ივ. ჯავახიშვილი, 1960, გვ.411).

ქალდეასაგან **ქართველის** მომდინარეობა პოპულარული გახდა XX საუკუნის პირველი ნახევარში მოღვაწე მწერლებისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია **გრიგოლ რომაქიძის** რემინისცენციები (რომელსაც, ფაქტობრივად, ლინგვისტური არგუმენტების თვალსაზრისით, ვერ გასცილდა

ბევრი მკვლევარი); XX საუკუნის დასასრულს კი ამგვარი მიდგომა კვლავ გაააქტიურა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც, იმოწმებდა რა ნიკო მარის მოსაზრებას, ქართველთა სახელსა და საცხოვრისს მთა **კარდუს** სახელთან (ამჟამინდელ არარატთან) და ღვთაება **კარდუს**თან აკავშირებდა..

ქართველ- და **ქართლ-** ფუძეების ეტიმოლოგიისა თუ ისტორიის შესახებ არსებობს სხვა, ასევე, საუკუნის წინ შექმნილი თვალსაზრისი, რომელსაც დღესაც იზიარებს მეცნიერთა ერთი ნაწილი; მაგ., სარგის კაკაბაძის აზრით, ქართლი (არმაზის ძველი სახელი) დაკავშირებულია “ქართა” (ბაგა), ქორი, ქორედი, ქარდავი და სვან. “ქვილთხი” (მალალი) სიტყვებთან. იხ., ასევე, გიორგი მელიქიშვილის მოსაზრება: ეთნონიმი **ქართველი** მომდინარეობს ინდოევროპული **ქართა** (“ზღუდე”, “ციხესიმაგრე”, “კომ-კი”...შდრ., სომხ. **კერტ**, რუს. **გოროდ** და სხვ.) ფუძიდან: ქართა-ელი > ქართა-ე-ელ-ი > ქართველი.

ამ ვარაუდს დამაჯერებელი არგუმენტაცია არ ახლავს.

აკ. შანიძე თვლიდა, რომ თავდაპირველად **ქართლი** აღნიშნავდა ერს, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში **დაიპყრო** მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები... დაპყრობილი ხალხი ალბათ იყო **მესხები**, რომელთაც ასიმილაცია მოუხდინეს დამპყრობელ ქართლს (ერს) და მიიღეს მათი სახელი. აკ. შანიძის ვარაუდითვე, დამპყრობელი ხალხი - **ქართლი** იგივე **პართონი** ანუ პართიელები არიან; შესაბამისად: **პართნი** > **ქართლი** (მოხდა პ > ქ პროცესი და ნ/ლ სუბსტიტუცია); მისივე აზრით, სიტყვა **ქართველი** მიღებულია **პართაველი** ფორმისგან: **პართაველი** > **ქართველი**.

ამ მოსაზრებაში საკამათოა როგორც ლინგვისტური არგუმენტაცია, ასევე, მოსაზრება მესხების ე.წ. გაქართველების შესახებ: “მესხები” ოდითგანვე ქართველები იყვნენ.

დავით მუსხელიშვილი იმეორებს მოსაზრებას, რომ **ქართველი** მომდინარეობს სიტყვა **ქართუ**-სგან, რომელიც, “ადგილი შესაძლებელია, პუნქტსაც და ქვეყანასაც ეწოდებოდა”; ის ნიკო ბერძენიშვილის კვალად თვლის, რომ არსებობდა **ქართი/ქართუ** ტომი, რომელმაც შემდგომ მოახდინა სხვა ქართველურ ტომთა კონსოლიდაცია-ასიმილაცია.

ისტორიულ წყაროში არ დასტურდება ქართის **სახელით ცნობილი ტომი**. ვარდა ამისა, დაუსაბუთებელია მოსაზრება, რომ ერთმა ქართველურმა ტომმა მოახდინა სხვა ტომების ასიმილაცია.

როგორც წესი, ეთნონიმისგან ეთნონიმის წარმოება არ ხდება; თუკი **ქართუ** ერქვა ტომს, შეუძლებელია დავუშვათ, რომ მასზე -ელ სუფიქსის დართვით წარმოიქმნა ახალი ეთნონიმი: ქართუ > ქართუ-ელ-ი; შდრ., მოსალოდნელი არ არის ასეთი წარმოება: სვანი > *სვან-ელ-ი; დასაშვებია -ეთ-და -ელ- სუფიქსების მონაცვლეობა: კახ-ეთი - კახ-ელ-ი, იმერ-ეთი - იმერ-ელ-ი...

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, წარმომავლობის -ელ- სუფიქსის შემცველი ეთნონიმის - **ქართუ-ელ-ი** - საყრდენი ფუძე **ქართუ-** უნდა იყოს, რომელიც შეიძლება იყოს ქორონიმი /ადგილის სახელი/ ან ღვთაების სახელი; ვფიქრობ, მეტი არგუმენტი ეძებნება მოსაზრებას, რომ ეთნონიმი “**ქართველი**” **მომდინარეობს ურარტულ-კავკასიური წარმართული ღვთაების - ხალდის/ქართის/ქართუს - სახლისგან**: ქართუ > ქართუ-ელ-ი.

1.2. ქართველ- და ქართლ- (ქართლი) ფუძეთა მიმართება

ქართლ- ფუძე იწლება ქართ- ძირად და -ლ- სუფიქსად; ქართლ- ფუძე-ში არსებული -ლ- სეგმენტი იგივე მონაცემი ჩანს, რაც არნ. ჩიქობავას მიერ სხვა სახელურ ფუძეებში გამოყოფილი უძველესი ფენის სუფიქსი; შდრ.:

სამწიგნობრო ქართული: თოვ-ს, თოვ-ლ-ი და ზან.: თვირი/თირი;

სამწიგნობრო ქართული: სახე, სახ-ლ-ი, სახ-ელ-ი და ზან.: ოხორი;

სამწიგნობრო ქართული: თეს-ავ-ს, თეს-ლ-ი და ზან.: თასი;

სამწიგნობრო ქართული: მატყლი, ზან. მონტყორი და სვან.: მწტყ;

სამწიგნობრო ქართული: ძალლი და ზან. ჯოლორი, სვან.: ჟაღლჷ/ჟელჷ;

სამწიგნობრო ქართული: თაფლი და ზან.: თოფური, სვან.: თუ (< თაფუ; გ. მაჭავარიანი)...

სამწიგნობრო ქართული: კუმ-ევ-ა/კმევა, კუმ-ოდ-ა (“მთაი იგი სინაი კუმო-და”) და კომ-ლ-ი/კუმ-ლ-ი; ზან. კუმა (კვამლი, კომლი), კუმ-აფ-ა (კმევა, შე-ბოლვა); სვან.: კუმ/კუმჷ (კვამლი, კომლი);

სამწიგნობრო ქართული: კოჭი, კოჭ-ლ-ი და აჭარ.: კოჭ-ალ-ი;

სამწიგნობრო ქართული: კოჟ-რ-ი (“გამაგრებული და ამობურცული ადგი-ლი კანზე”) და აჭარ. კოჟი/კოჟო “კოჟრი”; შდრ.: სვან. კოჯ (კლდე), ქარ-თულ-ქართველური ტოპონიმები: კოჟრ-ებ-ი, კოჯ-ორ-ი;

სამწიგნობრო ქართული: სისხლი, ზან.: ზისხირი, სვან.: ზისხ; აგრეთვე: ქერცი, ქერც-ლ-ი და ქეცი; წუხ-ს და (მ)წუხ-რ-ი, მამა და მამ-რ-ი, დედა და მდედ-რ-ი, სი-დედ-რ-ი (იგივე სი- გამოიყოფა: სიძე, სიმამრი, სიტყვა, სით-ბო, სიგრძე... ფორმებში; აქ სი- თვისების აღმნიშვნელი პრეფიქსია).

-ლ-/რ-ს ძირითად ფუნქციად შეიძლება განვსაზღვროთ წარმომავლო-ბა-კუთვნილობის გამოხატვა; შესაბამისად, ჩვენს შემთხვევაში, ლოგიკური ა ვივარაუდოთ, რომ ქართ-ქართუ- ღვთაების აღმნიშვნელი ფუძეზე -ელ-სუფიქსის დართვით წარმოიქმნა ქართველთა ავტოეთნონიმი: ქართუ-ელ-ი, -ლ- სუფიქსის დართვით კი - ქართ-ლ-ი - ქვეყნის სახელი.

ქართ-ქართუ-სგან ნაწარმოები სიტყვები: ქართ-ლ-ი და ქართუ-ელ-ი ქართ-ქართუ-ს თვისობრიობის ქონას, ანუ ქართუ/ქართ-ისგან მომდინარეობას გამოხატავს.

აქვე სამსჯელოა ქართ - ქართუ ფორმების განმასხვავებელი სეგმენტის უ/ჷ-ს ფუნქცია:

არქაულ ქართულში (შესაბამისად, საერთოქართველურში) გვაქვს სიტყვების ერთი ჯგუფი, რომელიც უ/ჷ ბგერით ბოლოვდება: ბირთუ, ბორ-ცუ (შდრ., ფალაური "ბურზ"), დათუ, ეშუ, ვერხუ, თაგუ, იდაყუ, იჭუ, იხუ, კიცუ, ლეკუ, ლელუ, მდოგუ, ნაძუ, ნეზუ, ნერწყუ, ნეზუ, პეშუ, რიცხუ, ფე-

სუ (შდრ., სამუალო სპარსული “ფას“), ფეტუ, ფიჭუ, ღაწუ, შაშუ, ცერცუ, ცილუ (შდრ., ოსური ცირღ), ძარღუ, ძეძუ, ჯაჭუ... აღსანიშნავია, რომ მეგრულ-ლაზურ ვარიანტებში, როგორც წესი, ლაბიალური კომპონენტი გადაადგილდება სიტყვის ფუძეში: დათვი - თუნთი, ილაყვი - ღუყი, თაგვი - მთუგი, ლელვი - ლული, მაყუ (მაყუალი) - მუყი, მაჩვი - მუნჩქი, ჩხიკუ - ჩხვიკი...

შდრ., აგრეთვე: ბირთუ/ბირთვი - ბურთი, კიცუ/კიცვი - კვიცი...

სავარაუდოა, რომ **ქართუ** სიტყვაში ბოლოკიდური უ არ არის რაიმე ფუნქციის მქონე სუფიქსი; უ სემანტი ქართველურ-კავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი ლაბიალიზაციის (/ლაბიოველარიზაციის) პროცესის გამოვლინებაა: ლაბიალიზებული თანხმოვნების ლაბიალური ელემენტი ზოგ დიალექტურ წრეში რეალიზდება ვ/უ ბგერად; შდრ.:

საერთოქართველური **ქართ°** > სალიტ. ქართული: **ქართუ**;

საერთოქართველური **ქართ°** > მეგრული **ქორთუ**...

ღვთაების სახელისგან ეთნონიმისა და ქორონიმის წარმოქმნა უჩვეულო მოვლენა არ არის ძველ სამყაროში (შდრ., მაგ., ღვთაება **ასური**, ხალხი - **ასურები** და ქვეყანა **ასურეთი**).

1.3. ხალდ-/ქალდ- და ქართ- ფუძეთა მიმართების ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული ასპექტები

ლინგვისტური თვალსაზრისით, დაბრკოლება არ ახლავს **ხალდ- /ქალდ- და ქართ-** ფუძეთა დაკავშირებას: სამივე ფუძის პირველი თანხმოვანი უკანაენისმიერი ყრუ თანხმოვანია, ხმოვანი იგივეა, მეორე თანხმოვანი ნუნისმიერი (წინაენისმიერი) სონორია, მესამე კი - კბილისმიერი თანხმოვანი.

ურარტულ-კავკასიური ღვთაების სახელის: **ხალდ-**ის, **ქალდ-/ხალდ-** ფუძისა და **ქართ-** ფუძის მიმართებისათვის საინტერესოა კიდევ რამდენიმე გარემოება:

1. სტრაბონის მიხედვით (გეოგრაფია, XII, 3, 19-24), ტრაპიზონსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ **ქალდები - ძველი ხალიბები**, რომელთაც ჰომეროსი **ჰალიძონებს** და **ალიბებს** უწოდებს:

ხალიბი/ჰალიბი → ალიბი ლოგიკური ლინგვისტური პროცესია.

2. “აბოს წამებისა“ და მოვსეს ხორენაცის “სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით, ქალდია/ხალდეა/ხატიქი არის იგივე ჭანეთი/ჭანივექი (იხ.: ქართული მწერლობა, I, გვ.454 და მ.ხორენაცი, 1984, გვ.162, 277);

შდრ., შავიზღვისპირეთში არსებული **ხალდის პროვინცია** შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში; იგი შემოიფარგლებოდა ტრაპიზონის რეგიონით (მასში არ შედიოდა რიზეს მხარე). ტრაპიზონთან ახლოს **ხალდიის ქართულ ქვეყანას** - დავით კურაპალატის კუთვნილ მხარეს - ასახელებენ ქართველი მემკვიდრეები (სუმბათ დავითის ძე, 1449, გვ.70; “მატიანე ქართლისა“, გვ.285). საყურადღებოა ისიც, რომ VIII საუკუნიდან ბერძნულ წყაროებში **ტრაპეზუნტის მხარეს ლაზიკა** ჰქვია; ქართულ წყაროებში (იხ. მაგ., გიორგი მთაწმინდელის “აკათისტოს საკითხავის“ ქართული ვერსია) ამ ტერიტორიას **მეგრელთა მხარეს** უწოდებენ (იქვე, გვ.214);

3. ადიღური ენის შაფსულური დიალექტის ხაყუჩურ კილოკავში **ქართველის** აღსანიშნავი ძველი სახელია **ხალგდე**; აქვე შევნიშნავთ, რომ ადიღურში არაბუნებრივია **ლდ** თანხმოვანთმიმდევრობა და **ღ** ნეიტრალური ხმოვნით ხდება ამ არაკანონიკური კომპლექსის სუბერაცია;

4. ჭოროხის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე იყო **ქართველური ქალაქი ქალდია** - ვერცხლის საბადოების ქალაქი (ტიმოთე მთავარეპისკოპოსის “მიმოხილვა... აღმოსავლეთის ადგილთა“; იხ. პ.ინგოროყვა, 1954, გვ.285);

5. **შუა ლაზეთში**, ამჟამად თურქეთის საზღვრებში მოქცეულ დაბა ოფის ზონაში, რიზესა და სურმენეს შორის მდებარეობს პუნქტი **ხალდი** და **ხალ-**

დის მთა; მდინარე ოფის წყლის სათავეებშია პუნქტი **ხალდიზენი** (ზენა ხალდი) - ზემო ხალდი. ოფის წყლის ზემო შენაკადს ეწოდება **ხალდიზენის ხევი**, მთებს კი - **ხალდიზენის მთები**;

ბ. საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებშიც რამდენიმე **ხალდე** დასტურდება: კავკასიონის კალთებზეა **მყინვარი ხალდე** და მდინარე **ხალდეჭალა**; აქვეა სოფელი **ხალდე**.

შენიშვნა: გამორიცხული არ არის, რომ ინდოევროპული “ქართაც“ ირიბად დაკავშირებული იყოს ღვთაების სახელის ფუძესთან: ქართ-/ხალდ-თან; კერძოდ, ძველ პერიოდში, როგორც წესი, ღვთაება დაცული იყო გარემო მტრებისგან; შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მომხდური ინდოევროპული ტომებისთვის **კარგად დაცული ღვთაება ხალდი/ქართუ/ქართი აღქმულიყო ციხესიმაგრედ, შემოღობილ ადგილად;** შესაბამისად, ხურიტულურარტულ-ქართველური **ღვთაების სახელი (ხალდი/ქართუ/ქართი) ინდოევროპულ ენებში გადააზრიანდა ქალაქად, ციხესიმაგრედ.**

ამრიგად, ეთნონიმი **ქართველი** მომდინარეობს წარმართული ქართველურ-ურარტული ღვთაების სახელისგან; შესაბამისად, ლოგიკურია, რომ **ქართველი** ქართველური მოდგმის ყველა თემის საერთო სახელია და არა ერთი რომელიმე ქართველური ტომისა.

ეთნონიმ **ქართველების** უცხო ენებზე თარგმნისას, სასურველია, თარგმანშიც აისახოს დედნისეული ვარიანტი; მაგ., ინგლისურად უკეთესია - **kartvels**, ხოლო თურქულად - **kartveller**. აქვე აღვნიშნავთ:

სხვადასხვა დროის ძველი უცხოური წყაროები ქართველს უწოდებდნენ ხან - **იბერს**, ხან - **კოლხს** (შდრ.: სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ გაბატონებულია მცდარი თვალსაზრისი, რომ **იბერი** და **კოლხი** სხვადასხვა ეთნოსის აღმნიშვნელი სიტყვებია); შესაბამისად, **კოლხური ენა/კულტურა** და **იბერიული ენა/კულტურა** სინონიმური მნიშვნელობის ტერმინებია და ნიშნავს **ქართველთა ენას/კულტურას**.

2. ცდომილებები ქართველთა საცხოვრისის აღმნიშვნელ სახელებში (ისტორიული კონტექსტი)

მოცემული ერის/სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული საკუთარი ტერიტორიის საზღვრები ზოგჯერ არ ემთხვევა მეზობელთა ხედვას; გარდა ამისა, ხშირია, როცა ერთი და იგივე ეთნონიმი (თუ ქორონიმი) სხვადასხვა დროს აღნიშნავს ორ ან მეტ საზოგადოებას (თუ ქვეყანას); მაგ., აბაზა სამი მნიშვნელობით დასტურდება:

- აბაზა/ებზე/ობეზი - ქართველი (ყარაჩაულ-ბალყარულ ენაში და ძველ რუსულში);

- აბაზა - აფხაზი /თვითსახელწოდებით - აფსუა/ (თურქულში);

- აბაზა - ამჟამინდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ერთი ნაწილის - აბაზების - აღმნიშვნელი ეთნონიმი.

უფრო მეტ პრობლემას ქმნის მოცემული ეთნონის ისტორიული ტერიტორიის საზღვრებისა და ისტორიული გზის განსხვავებული ხედვა, რომელიც კონკრეტული ეთნონიმებისა თუ ქორონიმების გააზრებაშიც აისახება.

2.1. ქორონიმის (ეთნონიმის) სემანტიკის განსხვავებული ინტერპრეტაციების მიზეზები

ქორონიმი მოცემული ეთნონის (ეთნოსების) მიერ დაფუძნებული სახელმწიფოს სახელია; ეთნონიმი კი არის ერთი ენის, კულტურის, ისტორიული მესხიერებისა და ტერიტორიის მქონე საზოგადოების აღმნიშვნელი ტერმინი (მდრ.: თემონიმი - მოცემული ერის ერთი-ერთი თემის სახელი).

მსოფლიოში ეთნოსთა რაოდენობა 5000-დან 7000-მდე მერყეობს, სახელმწიფოთა რაოდენობა კი 200-ს არ აღემატება. კაცობრიობის ისტორია ეთნოსთა და სახელმწიფოთა ბრძოლისა თუ გაერთიანების უწყვეტი პროცესია. გაერთიანება ზოგჯერ ნებაყოფილობითია, ზოგჯერ - იძულებითი. ეთნოსთა თუ სახელმწიფოთა დინამიური ურთიერთობის დროს არსებითი როლი ენიჭება ერთმანეთის საზღვრების ცოდნასა და ცნობას. არაიშვიათად, ეთნოსთა თუ სახელმწიფოთა ბრძოლების დროს, ეთნონიმთა და ქორონიმთა შინაარსი ყალბდება, რომ მოიძებნოს ოკუპაციისა თუ იძულებით შემოერთების “ლეგიტიმური” საფუძვლები; როგორც წესი, სუბიექტურობა იგვემება მემატთანეთა თუ ისტორიკოსთა ნაშრომებით: რეალობის დამახინჯებით ხდება პოლიტიკური პროცესების პროვოცირება. მსჯელობას გავაგრძელებთ საქართველოს მაგალითით.

საქართველოს ისტორიულ საზღვრებსა და ქართველი ერის თანამედროვე ისტორიას განსხვავებულად ხედავენ ქართველი, რუსი თუ აფსუური წარმოშობის პრორუსული პოლიტიკოსები თუ მეცნიერები (ი.კორიაკოვი, ვ.არძინა, რ.ხაჯინბა...). ბუნებრივია, საქართველოს (თუ სხვა ქვეყნის) მიმართ ამგვარი სუბიექტურობისგან დაზღვეულნი არ იქნებოდნენ ძველი ბერძნები, რომაელები, სპარსელები, სომხები თუ სხვა მეზო-

ბელი ხალხები. ეს კარგად ჩანს არა მხოლოდ ისტორიულ წყაროებში, არამედ - ეთნონიმების გააზრებაშიც.

როგორც წესი, მეზობელი ხალხებისთვის ეთნონიმები იქმნება საზღვრისპირა ტომის (ან თემის) სახელის მიხედვით (აღმანები **Allemand** - გერმანელები ფრანგებისთვის), ან რომელიმე დამაკინებელი სემანტიკის მქონე ფუძისგან (ნემეცი "მუნჯი" - რუსთათვის...); ასევე, არაიშვიათად, სხვა ერის აღმნიშვნელი ეთნონიმი იქცევა ხოლმე უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვად (მაგ., ეთნონიმი **ლულუ** ზოგადად მტრის სახელად გადააზრინდა ურარტულში).

მოვლენა მარტივად იხსნება: ისტორიული ამბების შეფასება ხდება სასურველი თვალთახედვიდან:

აღამიანი (მემატიანე) თავისი დროისა და ქვეყნის ათვისების სისტემიდან აღიქვამს და მისთვის მისაღები (/ცნობილი) ტერმინებითა თუ ეთნონიმ-ქორონიმებით იაზრებს გარესამყაროს; მსჯელობის, დისკუსიის დროს კი თავისი **ენობრივ-კულტურულ-პოლიტიკური ხედვით** აყალიბებს თვალსაზრისებს საკუთარი თუ სხვისი ისტორიის, აწმყოსა თუ მომავლის შესახებ.

არაიშვიათია ძველი ამბების აღწერა თანამედროვე ვითარების მიხედვითაც, შესაბამისად - ახალი ეთნონიმების გადატანა ძველ დროში; მაგ.:

ტ. ძვ.წ. XII საუკუნის ამბების აღწერისას ჰომეროსი ლაპარაკობს ფინიკიელების შესახებ, ამ დროს კი ფინიკიელები ბუნებაში არ არსებობენ (**ილიადა**, შესავალი, გვ.38);

ჟ. ბიბლიის შემქმნელნი ეთნარქებს აღადგენენ თავიანთი თანამედროვე ხალხების სახელების მიხედვით; შდრ., აგრეთვე: ანგარიშს უწევს რა თავისი დროის ვითარებას, "ქართლის ცხოვრების" შესავლის ავტორი (რომელიც, ჩანს, IX საუკუნეში ცხოვრობდა) მისთვის ცნობილი საქართველოს კუთხეების მიხედვით ასახელებს: ეგროსს, ქართლოსს, კახოსს, კუხოსს, გარდაბიოსს, გაჩიოსს...

ზ. ძვ.წ. III საუკუნეში მოღვაწე აპოლონიოს როდოსელს ძვ.წ. XIII საუკუნის აიეტის ქალაქად - კოლხას ძველ დედაქალაქად - **ქუთაისი** აქვს მიჩნეული, ქალაქი, რომელიც დიდ ასპარეზზე გამოდის მხოლოდ ძვ.წ. VII-VI საუკუნეების შემდეგ.

ისტორიის (ნებისმიერი სხვა დარგის) კვლევისა თუ სწავლების დროს არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტერმინთა გამჭვირვალობას, ხოლო თარგმანების დროს - ზუსტ შინაარსობრივ შესაბამისობას; მაგ., ქორონიმი **საქართველო** დღეს ჩვენთვის გულისხმობს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასაც, მაგრამ რუსეთის იმპერიულ ველში პოლიტიზებული მკვლევრისათვის რუსული ტერმინი **გრუზია** საქართველოს ამ უძველეს კუთხეს არ მოიცავს. პირუთენელი მკვლევარი ვალდებულია, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოიჯნოს ქართული ტერმინი **საქართველო** და პროიმპერიული მეცნიერის მიერ გამოყენებული **გრუზია**: მკითხველს განუმარტოს, რომ მაგ., 1992-2005 წლების **საქართველოს** საზღვრებს ზუსტად არ ასახავს, მაგ., ო. ბლაჟბას მიერ გამოყენებული ქორონიმი **გრუზია**.

სამწუხაროდ, არასწორი რუკები თუ ინტერპრეტაციები დამკვიდრებულია თანამედროვე ევროპულ ვებგვერდებზეც კი; მაგ., მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის ვებგვერდზე წარმოდგენილი საქართველოს ისტორიული რუკების მიხედვით ქართული სახელმწიფო - GEORGIA - არ არსებობდა მე-13 საუკუნემდე¹⁶; GEORGIA-ს ნაცვლად რუკებზე ჩანს: Iveria, Colkhida და Abkhazia. არაქართველი მკითხველისთვის მიწოდებულია ინფორმაცია, რომ საქართველოს სახელმწიფო შეიქმნა მხოლოდ მცირე დროით: XIII საუკუნეში; შდრ.:

1. ევროპა III საუკუნეში: რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოებია: ლაზიკა, კოლხეთი და იბერია¹⁷:



2. ევროპა IV-V საუკუნეებში¹⁸; აქ უკვე მხოლოდ ლაზიკა და იბერიაა დამოუკიდებელი სახელმწიფოები (არადა, ამ დროს არსებობს ვანტანგ გორგასალის ერთიანი სახელმწიფო, რომელიც საერთოდ არ ჩანს ამ ვებპორტალის რუკებზე!):



¹⁶ <http://www.euratlas.com/summary.htm>

¹⁷ <http://www.euratlas.net/history/europe/300/index.html>

¹⁸ იხ., მაგ.: <http://www.euratlas.net/history/europe/400/index.html>

3. ევროპა 900 წელს; ამ რუკაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოდგენილია "დიდი აფხაზეთი"; საინტერესოა ისიც, რომ რუკის შარშანდელ ვარიანტზე აფხაზეთის სამეფოს გვერდით იყო Georgia და თბილისის სახელმწიფო; ამჟამინდელ ვარიანტზე¹⁹ კი არის იბერია და თბილისის სახელმწიფო; მდრ., რუკების ავტორთა აზრით, იბერიის ადგილას 1100 წლიდან ჩნდება სახელმწიფო სახელად Georgia; მათთვის უცნობია, რომ ქართლი და საქართველო ერთ ქვეყანას აღნიშნავს:



¹⁹ <http://www.euratlas.net/history/europe/900/index.html>

4. ევროპა 1000 წელს; ამ რუკაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოდგენილია უკვე იბერია და კახეთი²⁰:



ევროპის ისტორიის ამ გვერდზე საქართველოს შესახებ არსებული სხვა რუკებიც საეჭვოა; უფრო არსებითი ისაა, რომ აქ ერთმანეთს გაუაზრებლად ცვლის ქართველთა სახელმწიფოს აღმნიშვნელი სხვადასხვაენოვანი ქორონიმები: ქართლი, კოლხეთი, ლაზიკა, იბერია, გეორგია, კახეთი, აფხაზეთი... და საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ თითქოსდა სხვადასხვა დროის სახელმწიფოებთან გვაქვს საქმე და არა, ძირითადად, ერთ სახელმწიფოსთან, რომელიც ქართულ წყაროებში ჯერ **ქართლად**, შემდეგ კი - **საქართველოდ** აღინიშნებოდა. ევროპის ისტორიის გვერდის ავტორებს ქართველ კოლეგებთან ერთად უნდა ემუშავათ და სათანადო კომენტარებით უნდა დაეცვათ ისტორიული რეალობა.

საფიქრებელია, რომ შუა საუკუნეების რუკებზე, ერთი მხრივ, **აფხაზეთისა** და **იბერიის** გვერდიგვერდ არსებობა, მეორე მხრივ კი - ქორონიმ **იბერიას** შეცვლა ქორონიმ **გეორგიათი** შემთხვევითი არ არის: სამწუხაროდ, პოლიტიზებულ მეცნიერთა ერთი ნაწილი დღეს ცდილობს დააჯეროს მსოფლიო, რომ: ისტორიულად **აფხაზეთი** სხვაა, **საქართველო** კი სხვა; რომ **აფხაზეთი** არ იყო ქართულენოვანი სახელმწიფო (ამგვარი პათოსითაა შექმნილი ეს რუკებიც), რომ **საქართველო** თურმე არ არის **იბერია** და **საქართველო** დავით აღმაშენებლის დროს შეიქმნა...

სინამდვილეში, ქართულ წყაროებთან ერთად სპარსული და ბერძნული წყაროებიც ადასტურებს, რომ ამ პერიოდში დამოუკიდებლად არსებული აფხაზეთი ქართულენოვანი სახელმწიფო იყო, მეტიც, XI-XII საუკუნეების სპარსულ წყაროებში სრულიად საქართველო აფხაზეთადაც კი იხსენიება.

მსჯელობას გავაგრძელებთ **ლაზიკა-ევრისისა** და **კოლხეთ-ქართლის** მიმართებაზე ყურადღების გამახვილებით.

²⁰ <http://www.euratlas.net/history/europe/1000/index.html>

2.2. ლაზიკა და ეგრისი

ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ქართველ თუ არაქართველ ისტორიკოსთა მიერ სინონიმებადაა მიჩნეული, ერთი მხრივ, ტერმინები: **კოლხეთი, ლაზიკა, ეგრისი**, მეორე მხრივ კი, ტერმინები: **იბერია და ქართლი**.

მათი გათანაბრება შეუძლებელია, ვინაიდან:

- არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ **ძველი კოლხეთი** აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილსაც მოიცავდა;
- ბერძნულ-რომაული წყაროების არაქართულენოვანი ტერმინით: **ლაზიკა** აღინიშნებოდა ბერძენ-რომაელთაგან დაპყრობილი ქართველთა საცხოვრისი, რომლის საზღვრები ხშირად იცვლებოდა და რომელიც ბერძენ-რომაელთა მიერ არ მოიაზრებოდა ქართველთა დომინანტობით შექმნილ ქართულენოვან სახელმწიფოში;
- ლაზიკისგან განსხვავებით, ქართული ტერმინით - **ეგრისი** - მოაზრებული მხარე მუდამ იყო ქართველთა სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილი.

რთული გასააზრებელი არ უნდა იყოს შემდეგი ფაქტი:

არაქართულენოვანი ტერმინი **ლაზიკა** და, შესაბამისად, უცხოელებს დაქვემდებარებული ლაზიკის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ისტორია, ძირითადად, ბერძნულ-რომაული წყაროების ხედვითაა შექმნილი, ხოლო ქართული ტერმინი **ეგრისი** და მისით აღნიშნული საქართველოს ერთი კუთხის ისტორია ქართველი მემკვიდრის ალქმა-შეფასების ასახვაა:

ქართული წყაროები უძველესი დროიდან ახ.წ. VII საუკუნემდე და IX საუკუნიდან **ეგრისს** ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ხედავს, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური წყაროებით კი, **ლაზიკა** იბერიასა თუ ქართლში არასოდეს მოიაზრება; ამ ფონზე როგორ შეიძლება **ტოლომის ნიშანი** დავსვათ დასახელებულ სიტყვა-ფორმებს /ლაზიკა და ეგრისი/ შორის?

მივყვეთ ძველ წყაროებს და თვალი გავადევნოთ საზღვრების სხვადასხვაობას თუ მკვლევართა უზუსტობებს:

ბერძნულ-რომაულ წყაროებში ლაზებს პირველად ახსენებს მითრიდატეს ისტორიკოსი მემნონი (I ს.) თავის “ჰერაკლეს ისტორიაში”. მემნონი ლაზთა საცხოვრისად მკაფიოდ განსაზღვრავს დიოსკურიის მიდამოებს (სოხუმი-ანაკოფიის რეგიონს).

არიანემ (95-175) თავისი თვალთ ნახა ქალაქი **ძველი ლაზიკე**. მოგვიანებით ამ ქალაქს ნიკოფსიად მოიხსენიებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99).

ამჟამად, რომ წელთაღრიცხვათა მიჯნამდე ლაზები დიოსკურიის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ; შდრ.: არიანესთან (II ს.) ლაზები და კოლხები თანაარსებობენ: ისინი სხვადასხვა ტომს წარმოადგენენ (ძველი ბერძნები... 1983, გვ.159).

არიანე თავის “პერიპლუსში” წერს:

“ამჟამად **ლაზებს** უჭირავთ ტერიტორია ძიდრიტებიდან აბასკებამდე“; ე.ი. დაახლოებით ჭოროხიდან კოდორამდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100). შდრ., V საუკუნის “პერიპლუსის” ანონიმი ავტორი: “ძველი აქეიდან

ძველ ლაზიკამდე და მდ. აქეთუნტამდე (ეს კი არის სოჭიდან დაახლოებით 30 კმ.-ით დაშორებული - თ. ყ.) უწინ ცხოვრობდნენ ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანხლენები, მახელონები, **კოლხები** და **ლაზები**, ახლა კი ცხოვრობენ ზინები“.

ასტრონომიისა და გეოგრაფიის ფუძემდებელი კლავდიოს პტოლემემაგოსი (100-178) კოლხიდას უწოდებს ტერიტორიას მდ. კორაქსიდან (ბზიფიდან) მდ. ფასისამდე (როინამდე), სადაც ცხოვრობენ ტომები: **ლაზები**, მანრალეები და ეკრიკტიკის (ეგრისის) ქვეყნის მცხოვრებნი; ამ კოლხიდის ჩრდილოეთით - სარმატიაში - ცხოვრობენ: აქადები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100, 160).

შემდგომ პერიოდში ლაზები უფრო აქტიურად იხსენიებიან; ტერმინი **ლაზიკა** უკვე პოლიტიკური ერთეულის სახელად ზოგადდება, რომელსაც ზოგჯერ აფხაზეთიც ენაცვლება; მაგ., ამიანე მარცელინე (IV ს.) წერს: იმპერატორი ვალენტი “დასთანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდ. კიროსი (მტკვარი) დადებულიყო და სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა“; შაბურის “მოსვლით შეშინებულმა პაპამ და ასევე კილაკემ ...სცადეს, შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე.ი. ჩვენს მიწებს] ლაზიკისაგან ჰყოფენ“ (გეორგიკა, 1961, გვ.90, 128).

აგათანგელოსი (IV ს.): “წმინდა გრიგოლი... ზოგ [მღვდელს] გზავნიდა იბერთა ქვეყანაში (არაბული თარგმანის მიხედვით **გეორგიაში**), ზოგს ლაზთა ქვეყანაში (არაბულის მიხედვით - **აფხაზეთში**; გეორგიკა, 1961, გვ.71).

იხ., აგრეთვე: პრისკე პანიონელი (V ს.): “მას შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა...” (გეორგიკა, 1961, გვ.254).

შდრ., ქართული წყაროების მიხედვით, **აფხაზეთის /სამეგრელოს/ ქართული სამეფოს შავიზღვისპირა საზღვრებია ნიკოფსია და ტრაპიზონი**; მაგ., **იოვანე საბანისძე** აფხაზეთის ქართული სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვრად მიიჩნევს ნაფსას/ნიკოფსიას (აფსართა საცხოვრისს; შდრ., პ.ინგოროყვა, 1954, გვ.121, 211), ანუ ქალაქ ძველ ლაზიკას, ხოლო სამხრეთ საზღვრად - ტრაპიზონს, ხალდიის ჩათვლით.

ნიკიფორე კონსტანტინოპოლელიც (IX ს.) ლაზიკის სამხრეთ საზღვრად მიიჩნევს ტრაპეზუნტს; კერძოდ, ირაკლი კეისრის ლაშქრობის აღწერისას ის წერს: “ირაკლიმ სცადა ლაზიკის გზით შეჭრილიყო სპარსეთში; როდესაც მოაღწია ტრაპეზუნტამდე - ლაზიკის საზღვრამდე, მისმა ცოლმა შვა ძე“.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ 1042 წელს ქართულად გადმოღებული ამ ტექსტში ლაზიკა თარგმნილია სამეგრელოდ:

“და მოღწია, რა **ტრაპეზუნტედ სანახებთა სამეგრელოდსათა...**“ (გეორგიკა, 1952, გვ.207-208; იხ., აგრეთვე, პ.ინგოროყვა, 1954, გვ.214-215).

შდრ.: ნიკეტა ხონიატე (XII ს.): ბიზანტიის კეისარს ტიტულებში შეაქვს ...ლაზთა, იბერთა, ბულგართა, სერბთა... ღვთივმმართველი (გეორგიკა, 1966, გვ.131).

განსხვავებულია ქართული და სომხური წყაროების ცნობები:

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ლაზების მთელ საცხოვრის ძველ

პერიოდში ეგრისი ეწოდებოდა; საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ VII-IX საუკუნეთა გეოგრაფიაში ერთიმეორისაგან გარჩეულია **ლაზივის** პროვინცია (რიზეს მხარე) და **ჭანივის** ანუ **ხალდიის** (ხალტეთის, ტრაპიზონის) პროვინცია. მათ შორის საზღვარი გადიოდა ოფი-სურმენეს სექტორში“ (პ.ინგოროყვა, 1954, გვ.210);

შდრ., აგრეთვე:

სომხური უსახელო გეოგრაფიის მიხედვით, VII-IX საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში თითქოსდა ოთხი მცირე ქვეყანა იყო: მარგველივი (=მარგვეთი), ეგრევიკი (=ეგრისი), ლაზივი (=ლაზეთი) და ჭანივი (=ჭანეთი ანუ ხალდეთი - ტრაპიზონის მხარე).

აშქარაა, რომ ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ცნობები გვაქვს ლაზების ვინაობისა თუ საცხოვრისის შესახებ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბერძნულ-რომაული თუ ქართული წყაროების ინფორმაციები სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის ასახვაა, შესაძლებელი ხდება წინააღმდეგობების ახსნა:

ქართველთა საცხოვრისის დაპყრობილი ნაწილის მცხოვრებთ ბერძენი თუ რომელიმე მემატეიანენი ლაზებს უწოდებენ, დაპყრობილ ტერიტორიას კი - ლაზიკას; **ქართული წყაროების მიხედვით კი დასავლეთ საქართველო ქართლის სახელმწიფოს შემადგენელი ერთ-ერთი სამთავროა;** კერძოდ:

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქორონიმი **ეგრისი** (ქართველთა ერთ-ერთი შტოს - მეგრთა - საცხოვრისი) ოდითგანვე **ყოველი ქართლის** (ანუ, სრულიად საქართველოს) ერთ-ერთი ძირითადი და განუყოფელი მხარეა; ისტორიულ წყაროში სამგვარი **ეგრისი** დასტურდება:

- ეგროსის წილი ეგრისი: ლიხიდან ყუბანის შესართავამდე და ტრაპიზონამდე (ჩათვლით);
- ქუჯის საერისთავო, ანუ შიდა ეგრისი: ტერიტორია ეგრისწყლიდან (ღალიძგადან) - რიონამდე;
- მეფე არჩილის სამკვიდრო **ეგრისი** საზღვრებით: ეგრისწყალი (ღალიძგა), შორაპანი, გურიის საზღვარი, შავი ზღვა და კავკასიონის მთაგრეხილი.

“ქართლის ცხოვრების“ სათანადო ადგილის უზუსტო წაკითხვის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ **ქუჯის დროინდელ ეგრისთან** მიმართებით არასწორადაა წარმოდგენილი **მარგვეთის** საზღვრები; კერძოდ, ყველა ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გვეუბნება:

“ერთნი გაგზავნა მარგვის ერისთავად და მისცა მცირით მითთვან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ“.

ივ.ჯავახიშვილისა და ს.ყაუხჩიშვილის მიერ ფრაზა “რიონს ზემოთ“ გააზრებულ იქნა როგორც “რიონის ზედა წელი“, შესაბამისად, მხოლოდ **ზემო იმერეთი** ჩაითვალა **მარგვეთად**; სათანადოდ ჩასწორდა “ქართლის ცხოვრებაც“:

ღედნისეული ფრაზა: ვიდრე ზღუადმდე დაუსაბუთებლად შეიცვალა ფრაზით: **ვიდრე ზღუადმდე ეგრისისა** (“ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ.24; შენიშვნა).

ჩვენი აზრით, ფრაზა “რიონს ზემოთ“ ნიშნავს რიონის სამხრეთით; შდრ., “ქართლის ცხოვრების“ ამ მონაკვეთში სხვა შემთხვევაშიც **ზემოთ - ქვემოთ** ოპოზიცია გულისხმობს დაპირისპირებას: **სამხრეთი - ჩრდილოეთი**; მაგ., იქვე წერია: “ეგრის წყლის **ქვემოთა** არ ისურვა განდგომა ბერ-

ქენტაგან“ - იგულისხმება ეგროსის წილი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი - ლალიძგას ჩრდილოეთი მხარე ვიდრე ყუბანის შესართავამდე; შდრ., ძველი ბერძენი გეოგრაფების თუ ისტორიკოს-მოგზაურთა ტექსტებშიც ზმნისართები **ზემოთ, ქვემოთ** ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება.

ვევიქრობთ, ლეონტი მროველის აზრით, **მარგვეთი** მოიცავდა ტერიტორიას ლიხის მთიდან შავ ზღვამდე და რიონიდან მესხეთის მთებამდე (სამცხე-აჭარამდე); შდრ., ივ.ჯავახიშვილის ჩასწორების გაზიარების შემთხვევაში, “ქართლის ცხოვრების“ ამ პერიოდში აუსახავი რჩება: გურია, ბაღდათი, ვანი.

საყურადღებოა, რომ ლეონტი მროველის “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, **ეგროსის** წილ მხარეში - ეგრში/ეგურში (იმერეთში; ქ.ც. I, გვ.331), რომელიც, ამავე დროს, **ქართლის ნაწილად განიხილება** (იხ., მაგ., გვ.141), რამდენიმე საერისთავო შედის (ეგროსის რამდენიმე ერისთავის შესახებ იხ., მაგ., გვ.57); კერძოდ, დიდ ეგროსში მოიაზრება: **შიდა ეგროსი** (საეგრო/ოდიში), **არგუეთი** (გურიაც აქ იგულისხმება; შდრ., 1080 წელს “დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქეთა“ - გვ.319), **სუანეთი** (ეს ტერმინი ზოგჯერ ფარავს ეგროსს; იხ. გვ.27: “ეგროსი სვანეთია“; შდრ., ქუჯი - ეგროს-სვანეთის ერისთავი), **სამოქალაქო, აფხაზეთი** (“ქვეყანა ეგროსწყალსა და კლისურას შუა“), **აფშილეთი, თაკუერი** (ლენხუმი), **ჭყონდიდი, ნიგალი** (აქ მეგრნი ცხოვრობენ - გვ.377), **კლარჯეთი** და სხვ. შდრ., “სომხური გეოგრაფიის“ (გვ.92-93) მიხედვით, კოლხეთი (დასავლეთ საქართველოს გაგებით), შეიცავს ოთხ ქვეყანას: მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი და ჭანეთი (ხალდეების ქვეყანა).

საყურადღებოა ის, რომ **დიდ ეგროსში** ლეონტი ადგილს არ ტოვებს სხვა ეთნიკური (არაქართველური) ჯგუფების ძიებისათვის: **ლეონტი მროველს აფხაზებიც ეგროსიანებად მიაჩნდა** (ბინგოროყვა, 1954, გვ.140; შდრ., ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ.543, 551, 553). შდრ., ქართლის ერისთავის სახელი აბაზა: **ივანე აბაზას ძე**; გვ.296. არც სხვა ქართველი მემკვიდრეები მიუთითებენ ამ ვრცელ რეგიონში, ქართულის გარდა, რომელიმე სხვა ენის არსებობის შესახებ.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართული წყაროების მიხედვით, არც ერთი (დიდი თუ მცირე) **ეგროსი დამოუკიდებელი სახელმწიფო არასოდეს ყოფილა**: ეგროსის ძირითადი ნაწილი ყოველთვის ქართლის სამეფოს ხერხემალს წარმოადგენდა; ქართლის მეფეებიც დასავლეთ საქართველოს, ან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი იყვნენ.

შდრ.: ბერძენ-რომაელთა დაქვემდებარებაში იყო ეგროსის ნაწილი, რომელსაც ისინი ლაზიკად მოიხსენიებდნენ.

ქართული წყაროები საქართველოს ისეთ ერთიან ქვეყნად წარმოგვიდგენს, რომლის განაპირა ნაწილებს ზოგჯერ მომხდური იპყრობდა; ამგვარ ხედვას მხარს უჭერს არქეოლოგიური და ლინგვისტური ძიებებიც. არადა, ზოგი ისტორიკოსის აზრით, თითქოს, მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო უძველესი დროიდან X საუკუნემდე მოწყვეტილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს.

ფაქტია:

ბერძნულ-ბიზანტიური ტერმინი **ლაზიკა** სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერიტორიას მიემართება; ეს ქორონიმი იშვიათად თუ ემთხვევა ქართული წყაროების **ეგრისს** (შდრ., მაგ., IV და VII საუკუნეების ვითარება); შესაბამისად, მეტად საეჭვოდ გამოიყურება ტერმინების: **ეგრისისა** და **ლაზიკის** გაიგივების მიხედვით ისტორიკოსთა მიერ მიღებული დასკვნები.

ამდენად, გადასასინჯია ამ მცდარი სინონიმურობის მიხედვით აგებული საისტორიო მსჯელობანიც; მაგ., ამგვარი ფაქტების ფონზე, ბუნებრივია, მეტად პირობითია ლაზიკისა და ეგრისის მეფე-მთავრების ერთ რიგში წარმოდგენა; შდრ.: ბიზანტიის მიერ დაპყრობილ ეგრისის ნაწილს (რომელსაც ისინი ლაზიკას ეძახდნენ) განაგებდა იმპერიის მიერ დანიშნული მმართველი, რომელიც დროდადრო, შესაძლოა, არ ემორჩილებოდა “ცენტრს“, ხოლო პარალელურად, ქართლის ნაწილ **ეგრისის საერისთავოს** მართავდა ერისთავი, რომელიც თავისი სამშობლოს - ქართლის - მეფის ნებაყოფლობითი მორჩილი იყო.

კიდევ ერთი სადავო აზრი:

ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, IV საუკუნის შუა პერიოდში ეგრისის მეფეა გუბაზ I...

რეალობა კი ასეთია:

ქართველ მემატიანეთა ცნობებით, ამ დროს **საქართველოს შემადგენლობაშია ეგრისიც და მარგვეთიც** (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.146, 185, 243); თითქმის ამავე პერიოდში ვახტანგ გორგასალი კანონიერი მეფეა შიდა ეგრისში; გუბაზი კი, ბიზანტიური წყაროების მიხედვით, ლაზიკის - ბიზანტიას დაქვემდებარებული ქართლის ნაწილის - მეფეა და არა ეგრისის იმ ნაწილისა, რომელიც ქართლში შედის.

შდრ., “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, **შიდა ეგრისი**, როგორც არჩილ მეფის უშუალო სამკვიდრო, მემკვიდრეობით გადადის მის ძმასა და შვილებზე...

რომელ წყაროს უნდა ვენდოთ:

იმპერიის ისტორიკოსისას თუ ქართველისას? მით უმეტეს, ქართველი მემატიანის ცნობები დეტალურია და თანამიმდევრული, ხოლო ბიზანტიური ინფორმაციები - ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივი.

2.3. კოლხეთი და ქართლი

დღეს ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, ძვ.წ. VI საუკუნიდან ვიდრე დავით კურაპალატამდე (ახ. წ. X ს.) გვერდიგვერდ არსებობდა ორი ქართული სახელმწიფო: **კოლხეთი** და **იბერია**, ანუ შედარებით გვიანდელი ეგრისი-ლაზიკა და ქართლი-იბერია (იხ., მაგ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 422).

განსხვავებული მოსაზრება აქვს **მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს**, რომელიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის გადმოცემისას, ეყრდნობა რა "ქართლის ცხოვრებას", ასკვნის, რომ უცხოური ქორონიმებით: **კოლხეთი** და **იბერია** მოაზრებული ტერიტორიების მკვეთრად გამიჯვნა შეუძლებელია (ა.ჯაფარიძე, 1996, გვ.86-114).

ამ შემთხვევაშიც მივყავთ კონკრეტული მონაცემების ანალიზს:

1970 წელს გამოქვეყნებული "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" I ტომის VIII თავის სათაურია: "**კოლხეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში**", ხოლო IX თავისა - "**ქართლი (იბერია) ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში**" (ქართველთა სახელმწიფოებრიობის ისტორია მსგავსადაა გააზრებული ბევრ სხვა ნაშრომშიც).

რომელი უტყუარი წყაროებით მტკიცდება, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ქართველთა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა?

ამ პერიოდის არც ერთი უცხოური წყარო ქართველთა ქვეყანას ორ სახელმწიფოდ არ განიხილავს. წყაროების მიხედვით, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულში ქართველთა მრავალი ტომი ჩანს; ბერძნულ-ასირიულ-ურარტული და ქართული ცნობების ანალიზით კი ერთი დიდი სახელმწიფოს არსებობა შეიძლება დავუშვათ; ამ მხრივ საინტერესოა ბერძნულ-ბიზანტიური სამყაროს ცნობილი სპეციალისტის - ა.ურუშაძის დასკვნა:

"თავდაპირველად ბერძნები კოლხეთში მთელ ქართველურ სამყაროს გაულისხმობდნენ" (ა. ურუშაძე, 1964, გვ.6).

შდრ., ქართული წყაროებიც ეგრისსა და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ განიხილავენ. **ამგვარ ინფორმაციას ადასტურებს კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები** (მოიცავს ჭოროხის, რიონის, ენგურის, მტკვრის შუა და ზემო წელის ხეობებს; ცხინვალის მხარესა და ჩრდილო კავკასიის ნაწილს; შედარებით ვრცლად იხ., ქვემოთ).

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ ჟამთააღმწერთა ხედვა უფრო ობიექტურია (აღრეულ ქართლში განიხილება ეგრისიც), ვიდრე ძველი ბერძნების, რომაელების, ბიზანტიელებისა თუ არმენების.

შდრ.:

არ არსებობს სარწმუნო წყაროები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ძვ.წ. VI-III საუკუნეებში კოლხეთისგან დამოუკიდებლად არსებობდა იბერია; ქართველ მემატიანეთა ცნობებს მხარს უჭერს ბერძნული წყაროებიც:

ტერმინები: კავკასიის იბერია და აღმოსავლეთის იბერები (შდრ., პირინეის იბერები) პირველად ჩნდება ძვ.წ. IV-II საუკუნეების ავტორებთან: მეგასთენესთან, თეოფრასტოსთან, დიონისე პერიეგეტთან... (ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები... 1993, გვ.61). **უფრო გვიანდელ ცნობებში კოლხიდა იბერიაშიცაა მოაზრებული**; მაგ., პლუტარქეს ცნობით, კავკასიის მთავარი ერები ალბანელები და იბერები არიან: იბერები ბინადრობენ დასავლეთით მესხეთის (ეგფრატ-ჭოროხ-მტკვარ-არაქსის წყალ-

გამყოფ) მთებთან და პონტოს ზღვასთან, ალბანელები კი - აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასთან. სტრაბონთან სვანებიც იბერებად არიან მოხსენიებულნი.

მდრ., აგრეთვე:

ვატიკანში დაცული “საეკლესიო ანალების“ მიხედვით, “**იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება**, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს მქადაგებელ პაპ წმ. კლემენტის (პაპობის წლები - 88-97) შემწეობით მიიღო... რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს (ი.ტაბაღლა, 1984, გვ.171).

რომაული წყაროების **იბერია** მხოლოდ **აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს** (ლაზიკა - დასავლეთი საქართველო) **ტერიტორიით იფარგლება ე.წ. მითრიდატეს ომების პერიოდში**; ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, ქართული წყაროების მიხედვითაც, II-I საუკუნეებში ქართველთა სახელმწიფო დასუსტებულია: მისი ტერიტორიების ნაწილი რომმა დაიპყრო, ნაწილი - არმენიამ; მითრიდატე ევპატორის პონტოს სამეფოც ქართველური ტომებითა და ტერიტორიებით იყო ძლივამოსილი.

მდრ., ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზისა თუ გორგასლის **ქართლი** მოიცავდა: ჭოროხის, მტკვრის შუა და ზემო წელის, ლიახვის, რიონის, ენგურის, კოდორის, ბზიფის ხეობებს; თითქმის ამავე ტერიტორიას მოიცავს კოლხური არქეოლოგიური კულტურაც, ე.ი. **აიეტის აია-კოლხაც**.

ვფიქრობ, **ძველი კოლხეთი** (კოლხურ-ყობანური არქეოლოგიური კულტურის ველი) სრულიად საქართველოს მოიცავს და **უფრო** ქუჯ-ფარნავაზის წინაპრების ქართლის **სინონიმად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვიდრე ლაზიკისა ან ეგრისისა**. რაც შეეხება ლაზიკა-იბერიის მიმართებას:

ლაზიკა და იბერია რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში ქართული სახელმწიფოების აღმნიშვნელ ტერმინებად მკვიდრდება წელთაღრიცხვათა მიჯნიდან, მაშინ, როცა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რომაელები ბატონდებიან და, თავდაპირველად მათივე ხელშეწყობით, სრულიად ქართლის დასუსტების მიზნით, სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრები ქართველური ტომების ტერიტორიაზე იქმნება **პონტოსა და ლაზიკის** სამეფოები. სპარსელების პოლიტიკურ ველში დარჩენილი ქართული სახელმწიფოს ნაწილი (რომელშიც ეგრისის დიდი ნაწილიც შედიოდა), **იბერიის** სახელით დამკვიდრდა.

ლაზიკასა და იბერიას შორის საზღვრად სარაპანისს პირველად უთითებს სტრაბონი. სარაპანისი გათანაბრებულია ამჟამინდელ **შორაპანთან** (რიონის ხეობაში), მაგრამ მას ჭოროხის ხეობაში ათავსებს მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე).

შესაძლებელია, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, ან რომელიღაც სხვა პერიოდში ბერძნებისა და სპარსელების მიერ კონტროლირებული ქართული მიწების საზღვარი მართლაც გადიოდა რიონის შორაპანზე, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ ქუჯ-ფარნავაზისა თუ მირიანის დროინდელი ერთიანი საქართველოს არსებობაში; ვფიქრობ, **არ არსებობს საფუძველი, ოდითგანვე** (მაგ., ძვ.წ. VI-III საუკუნეებში თუ გორგასლის დროს) **დამოუკიდებლად არსებულ სახელმწიფოებად გამოვაცხადოთ კოლხეთი და იბერია, ან ქართლი და ეგრისი**.

3. ქართველთა ეთნოგენეზი (წარმომავლობა) და თავდაპირველი საცხოვრისის საკითხი

ქართველთა წარმომავლობის შესახებ არსებობს ბიბლიური, მითოლოგიური და მეცნიერული შეხედულებები; მოკლედ განვიხილავთ სხვადასხვა თვალსაზრისს.

3.1. ბიბლიური და მითოლოგიური თვალთახედვა

ბიბლიური ხედვა. “ძველი აღთქმის“ მიხედვით, დედამიწის **ერთენოვანმა მოსახლეობამ** თვითწარწყმედით წარღვნა მოივლინა; გადარჩა მხოლოდ ნოეს სახლეული.

ერთენოვანი კაცობრიობის მეორე მოდგმაც - ნოეს მოდგმაც არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა: ბაბილონის გოდოლის მკრეხელობით (ამპარტავნობის ცოდვა) აღამიანთა მოდგმა სრულ განადგურებას იმსახურებდა, მაგრამ უფალმა შეიცოდა ისინი და “ენები აურია“, დანაშაული ბოლომდე რომ არ მიეყვანათ (და თვითგანადგურება არ "მოემკოთ“).

“ბაბილონის გოდოლის“ ეპიზოდში უფალმა კაცობრიობის ახალი მოდელი - მრავალეროვანი კაცობრიობა შექმნა. ენების გაჩენით შექმნილი **მრავალენოვანი კაცობრიობა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა** (ვრცლად იხ., ტ.ფუტკარაძე, 2000, გვ.95).

ნოეს სამ შვილთაგან ერთ-ერთის - **იაფეტის** - შთამომავლებად მიიჩნევს ქართველებს ბიბლიაც და რომაულ-ბიზანტიური ტრადიციაც:

შესაქმე, IV,22; X,2; XI, 28: იაფეტი > თუბალი > მოსოხი; აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმა იქმნება ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან (სწორედ ამ დროს შეიქმნა წინასწარმეტყველ ქალ დებორას სიმღერა), როცა ახლო აღმოსავლეთში აქტიური არიან **მოსხები**.

“შესაქმის“ ინფორმაციას განმარტავს იოსებ ფლავიუსი:

იაფეტის ძემ “**თობელმა** დააფუძნა **თობელები**, რომლებსაც ახლა **იბერები** ეწოდებათ. **მოსოხენები** დაფუძნებულნი არიან **მოსოხის** მიერ, ახლახან მათ **კაბადოკიელები** ეწოდათ, მაგრამ მათი ძველი სახელწოდების ნიშანიც ჩანს, რამეთუ მათ დღესაც აქვთ ქალაქი **მაზაკა**, რაც ნათელყოფს მათთვის, ვისაც გაგება შეუძლია, რომ ასე ეწოდებოდა ოდესღაც მთელ ტომს“...

შდრ., **თაბალი** მდებარეობდა ძველი მაზაკას, დღევანდელი კაისერის რაიონში - სამხრეთ-დასავლეთ კაბადოკიაში;

შდრ., აგრეთვე: მაზახა - <> *მასახა-/მესხ-.

იოანე პეტრიწის მიერ ბიბლიური და ბერძნული ეთნონიმები ასეა თარგმნილი: **თობელები** - თოვილნი, **იბერები** - ივირნი, **მოსოხენები** - მესქინნი (ი. ფლავიუსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელი სიტყვაობისანი, თბ., 1987, გვ.103; შდრ.: თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.210).

სტრაბონის დროს მოსხების ქვეყანა სამ ნაწილად განიხილება; სტრაბონის ცნობით, მოსხების ქვეყნის ერთი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე - იბერებს, მესამე - არმენიელებს.

XI საუკუნის მოღვაწე ლეონ გრამატიკოსი უცვლელად იმეორებს წინა თაობების მოსაზრებებს და იაფეტის შვილად მიჩნეულ **მესხოსგან** მომდინარედ მიიჩნევს მესხებს, რომელთაც ახლა კაბადოკიელები ეწოდებათო (გეორგიკა, 1963, გვ.3-4).

ახ.წ. XII საუკუნეში შედგენილი სახელმძღვანელო (და შინ საკითხავი წიგნი) - **“ცხოვრება ქართველთა მეფეთა“** (ქართველი ერის ისტორია) - ბიბლიური ნოეთი იწყებს ქართველობის ისტორიას:

“ქართლის ცხოვრების” მიხედვით, ქართველთა ეთნარქია თარგამოსი. ამ სახელს სხვაენოვანი ვარიანტებიც უდასტურდება: **თარგამოსი < *თარგამა; შდრ., ხეთური თეგარამა, ბიბლიური თოგარმა, თაბალის ქვეყნის ქალაქი თოგორმა, თილ-გარიმუ** (ასურული), სომხური **თორგომა**.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, თარგამოსის ბაბუაა **იავანი/ავანი** და არა - გომერი: **იაფეტი > ავანი²¹ > თარშისი > თარგამოსი:**

“ესე თარგამოს იყო ძე **თარშისი**, ძისწული იაფეტისი, ძისა ნოესი“ (ქ.ც., I, გვ.3); ტექსტში მოსალოდნელი იყო ძე **თარშისისი**, ვინაიდან ბიბლიის ქართულ ვარიანტებში **ავანის** ერთ-ერთი შვილია **თარშისი** (სხვაგან - **თარშში**); ქართულში გვერდიგვერდ მოსალოდნელი ორი **-ის-** სეგმენტისგან ტექსტში ერთ-ერთი დაიკარგა.

შდრ.: რ.გორდეზიანი, 1993, გვ.8:

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, **თირაშს** (ბიბლ. თირასს) – იაფეტის ძეს – ჰყავდა ძედ თარგამოსი; ამ ბიბლიურ **თირასს** უკავშირდება ეტრუსკების წარმომავლობაც; ეტრუსკებისა და კავკასიელების წინაპარი ერთია – თირას იაფეტის ძე.

ვფიქრობთ, ნათელია:

ქართველთა წარმომავლობის შესახებ ძველი ქართველური ტრადიცია მიჰყვება ბიბლიურ ცნობებს და წარმოადგენს შემდეგ ისტორიას:

იაფეტის შვილიშვილის შვილი - **თარგამოს თარშისის ძე** - იბერიულ-კავკასიურ-მცირეაზიური მოდგმის მამამთავარი. თარგამოსის რვა შვილი და მათი ნათესავნი ანატოლიასა და კავკასიაში მოვიდნენ ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდეგ, მაშინ, როცა “განეყვნეს მუნ ენანი და განიბნეს მუნით ყოველსა ქუეყანასა“. თარგამოსის შვილთა სახელები (ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკი, ჰეროსი, კავკასი, ეგროსი) ცხადყოფს, რომ ქართველთა წინაპრები მთელ ახლო აღმოსავლეთს (კავკასიის ჩათვლით) თავიანთი სანათესავოს სამკვიდროდ თვლიდნენ.

ასევე, სარწმუნო ჩანს ვარაუდი, რომ “ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილის ავტორისათვის და, საერთოდ, ამ სახელმძღვანელოს შემდგენელთათვის ჰაოსის შთამომავლები - სომხები - ქართველთა მოძმენი, ასევე, იბერიულ-კავკასიური მოდგმისანი არიან და არა - ინდოევროპულენოვანი არმენები, რომლებიც კავკასიაში გვიან, ურარტუს დაცემის შემდეგ მოდიან; **ლეონტი მროველისეული სომხები ურარტუელები არიან**, ხოლო “ქართლის ცხოვრების“ “სომხური ენა“ ურარტულ ენას გულისხმობს (მსჯელობისათვის იხ.: რ. გორდეზიანი, 1993, გვ.47).

²¹ ავანი/ამანი = ამირანი? ბუნდოვანია -ირ- სეგმენტის წარმომავლობა.

ლინგვისტური მონაცემები ცხადყოფს, რომ თანამედროვე არმენების ენაში ძლიერი ქართველურ-კავკასიური სუბსტრატია (ლექსიკა, კავკასიული ხშულები...); ანთროპოლოგიური მონაცემებიც ცხადყოფს, რომ თანამედროვე სომხები წარმოადგენენ ადგილობრივი (ქართველურ-კავკასიური) და მოსული ინდოევროპული ტომების ნარევს. საინტერესოა ისიც, რომ საკუთრივ ქართველური სახელი: **“სომეხი”** ქართულ ენაში დარჩა მოსულ არმენთა სახელად; ეს ცხადყოფს არმენთა მოსვლა-დამკვიდრების ხანგრძლივ და მშვიდ პროცესს. შესაბამისად, ქართველ მემატიანეთათვისაც სომხები მონათესავე ხალხად ითვლებოდა.

საინტერესოა ისიც, რომ თარგამოსის შვილთაგან მხოლოდ ქართლოსისა და ჰაოსის შთამომავალთა ენები - ქართული და სომხურია ნახსენები; მემატიანის მიხედვით, სომხური უფროსი ძმის ენა იყო, რომელიც შეცვალა ქართულმა; ქართული ენა ეროვნულ ენად მკვიდრდება ნაბუქოდონოსორის დროს (ძვ.წ. VI საუკუნე); ამიტომაც, რომ მემატიანენი არსად ახსენებენ ეგროსის, ჰეროსის, კავკასოსის... მემკვიდრეთა მეტყველებებს.

წინარე ქართველურ ენობრივ სიტუაციასთან მიმართებით, საინტერესოა "ენათა აღრევის" (კაცობრიობის ახალი მოდელის – მრავალენოვანი/მრავალეროვანი მოდელის - შექმნის) ბიბლიური ქრონოლოგიაც:

ბიბლიური წელთაღრიცხვის მიხედვით, დასაბამიდან ქრისტემდე ივარაუდება 5604 წელი (იოვანე ზოსიმეს ქრონოლოგიაში – 5500). ბიბლიის თანამედროვე გამოცემების მონაცემთა შეჯერებით, ადამიდან ნოეს შვილებამდე პერიოდი მოიცავს 2142 წელს; წარღვნა მოხდა ადამს აქეთ 2242 წელს, ანუ ქრისტემდე 3362 წელს.

ადამიდან ნოემდე პერიოდს 2242 წლით განსაზღვრავს იოვანე ზოსიმეც თავის ნაშრომში: "ცნობად დასაბამითგანნი წელნი და ქრისტემდთ მოსვლითგანნი". ნოე დაბადებული ჩანს ქრისტემდე 3962 წელს – წარღვნამდე 600 წლით ადრე. ნოეს შემდეგ მე-5 თაობა იყო ფალეკ; "დღეთა მისთა განინაწილა ქუეყანა" (შესაქმე, X, 25). ნოედან ფალეკამდე გასულია 750 წელი; ფალეკი დაიბადა 3212 წელს; **ე.ი. ენები აღრეულა ქრისტემდე 3212 წლის წინ...** შდრ.: ძველ წყაროებზე დაყრდნობით, ვახუშტი ფიქრობს, რომ ნოეს შვილთა განყოფა უნდა მომხდარიყო დასაბამიდან 1758 წელს, ანუ ქრისტემდე 3846 წელს). **ამჟამად, რომ ბიბლიის მიხედვით, ბაბილონის გოდოლის მისტერია, ანუ ერებისა და ენების გაჩენა** ივარაუდება **ძვ.წ. III ათასწლეულში** (დაწვრილებით იხ.: ქება და დიდება ქართულისა ენისად; შემდგენელ-რედაქტორი ტ.ფუტკარაძე, თბ., 2000 გვ.89-92).

ბიბლიური ქრონოლოგია თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა ფაქტი:

ბიბლიის მიხედვით, ენების აღრევა ივარაუდება ძვ.წ. III ათასწლეულში - ევრაზიის ისტორიის იმ პერიოდში, როდესაც მეცნიერების მიერაც ნავარაუდევია დიდი ეთნიკურ-ენობრივ-კულტურული მერვეები; კერძოდ: ახლო აღმოსავლეთის ავტოქთონ მოსახლეობას ინტენსიურად შეერივნენ ინდოევროპელები და სემიტები.

ფაქტია ისიც, რომ მრავალსაუკუნოვანი ბიბლიური ტრადიციისა და ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, **ქართველობა ბიბლიური “ენების აღრევისას” წარმოქმნილ მსოფლიოს უძველეს ერთა შორისაა და მის საცხოვრისად კავკასია-ანატოლია მიიჩნევა.**

მითოლოგიური თვალთახედვა. ბერძნული მითოლოგიის ზევსამდელი

ლმერთი - ტიტან **იაფეტის** შვილი - პრომეთე ზევსმა დაამარცხა და კავკასიონს მიაჯაჭვა; წინარებერძული (პროტობერძული) მოსახლეობის ლმერთის (ჟ. დიუმეზლი, ს. ყაუხჩიშვილი, ზ. გამსახურდია...) კავკასიასთან იდენტიფიკაცია საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ იაფეტის ძე პრომეთე იბერიულ-კავკასიური მოდგმის სიმბოლოდ წარმოედგინათ ძველ ბერძნებს (ნიმანდობლივია, რომ ბიბლიურ კომენტარებშიც ეთნარქი **იაფეტი** ქართველებთანაა დაკავშირებული).

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისით, ბერძნული მითოლოგიის ტიტანები და გმირები წარმოდგენენ არაბერძნულ, წინარებერძულ სამყაროს - **პელაზგურ** კულტურას; პელაზგები კი ქართველურ სამყაროსთან ასოცირდებიან (ო. ხერანერის მსჯელობის შესახებ იხ.: ზ. გამსახურდია, წერილები, ესეები, 1991, გვ.31; პელაზგებისა და კოლხიბერების საერთო წარმომავლობაზე იხ. რ. გორდეზიანი, 1993, გვ.8).

შემთხვევითი არ ჩანს **პრომეთეს** მსგავსება ქართველურ-კავკასიურ **ღვთაება ამირანთან** (სახელის ქართველურ-კავკასიური ვარიანტებია: საერთოქართველური **ამირან**- სვანური: **ამრიმ/მირიმ/ამირმ/მირან**; მეგრული: **არამ** /< არან < ამირან/; აფხაზური: **ამრ-სკ-გლ-აბრსკილ-**; ოსური: **ამრან-**; სომხური: **მჭერი**).

ქართული მითოლოგიის ტრაგიკული პერსონაჟის - **ამირანისა** და ტიტან **პრომეთეს** - იგივეობის მტკიცებას ბევრი არგუმენტი ეძებნება. ბერძენ მწერალთა ცნობით, ქრისტიანობამდელ საქართველოში არსებობდა პრომეთეს მითის მსგავსი ლეგენდა; "ელინთა მწერლები, უკვე V-IV საუკუნეებიდან მოყოლებული, ამ თქმულებას - კავკასიურად და თვით პრომეთეოსის მიჯაჭვის ადგილად კავკასიას მიიჩნევდნენ. პრომეთეოსის ამბავს კავკასიურად თვლიდა შაგ., გამოჩენილი გეოგრაფი სტრაბონიც".

გარდა ამისა: **ღვთიური წარმომავლობა, უკვდავება, ღვთიური განძის** (ცეცხლის, ყამარის) **ქვეყნად ჩამოტანა, ღრუბელთბატონის დამარცხება** (მღრ, ზევსის მოტყუება), **"ახალი" ლმერთისგან კავკასიონზე მიჯაჭვა, მიჯაჭვული გმირისთვის არწივის მიერ ღვიძლის კორტნა** და სხვა სიმბოლური ინფორმაცია-პასაჟები უთუოდ ააქტუალურებს პრომეთესა და ამირანის იგივეობის საკითხს. აშკარაა ისიც, რომ წინარებერძულ-პროტობერძული ღვთაების შესახებ მითის ქართულმა ვარიანტმა ქრისტიანობის შემდეგ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა: ზღაპრადქცეულ მითში ზევსის ადგილი ქრისტელმერთმა დაიჭირა, ხოლო ძველი ღვთაება ზღაპრულ გმირად გადააზრიანდა.

წინარებერძული და ანტიკური კულტურების მკვლევართა აზრით, ძვ.წ. მესამე ათასწლეულის შუა პერიოდამდე ხმელთაშუა ზღვის აუზსა და მცირე აზიაში ყვაოდა არაინდოევროპელი ხალხების მიერ შექმნილი დიდი კულტურა; ვარაუდობენ, რომ ამ წინარებერძული კულტურის შემოქმედთა უმთალო შთამომავლები არიან: დღევანდელი ქართველები, პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები და სხვა (მსჯელობისა და ლიტერატურისათვის იხ. რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, თბ., 1980).

მესამე ათასწლეულიდან ხმელთაშუაზღვისპირეთში ძლიერდებიან ინდოევროპელი ტომები, "რაც ბერძნულ მითოლოგიაში სიმბოლიზებულია იაფეტის ძის - ტიტან პრომეთეს - მიჯაჭვით კავკასიონზე; პრომეთე იაფეტური კაცობრიობაა, ზევსი - ინდოევროპული კაცობრიობა"; ზევსის მიერ პრომეთეს კავკასიაში **მიჯაჭვა მითოლოგიური შიფრირებაა** იმ ფაქტისა, რომ ინდოევროპელთაგან დამარცხებული წინაბერძნული მოდგმისა და კულტურის ცენტრად შემორჩა კავკასია - ქვეყანა, სადაც შენახული აქვთ ოქროს საწმისი - საკრალური განძი (ზ. გამსახურდია).

შეგვიძლია, ვთქვათ: ბიბლიისა და ბერძნული მითების განმმარტებელთა თვალსაზრისით, ქართველთა შორეული წარსული უკავშირდება იმ ძველ მოსახლეობას, რომელიც ევრაზიის ცენტრალურ ნაწილში - ანატოლია-კავკასიაში ცხოვრობდა.

3.2. ქართველთა მიგრაციის თეორია

ქალდეადან მოსვლის თეორია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ქართველები ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში მოვიდნენ ისტორიული ქალდეიდან, რომ ქართველთა ისტორიული საცხოვრისი იყო ქალდეა/ხალდე/ქართუ, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიაში, ჩრდილო მესოპოტამიასა და ტიგროს-ევფრატის სათავეებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვაქვს მიგრაციის თეორიის დასაბუთების მცდელობა; მაგალითისათვის მოვიყვანთ ივ. ჯავახიშვილის მსჯელობას:

“ყველა ქართველი ტომის სამშობლო, როგორც ვიცით, ქალდეა იყო (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.); მაშასადამე, კავკასიაში ქართველები იქიდან უნდა მოსულიყვნენ... კავკასიის ყველა უუძველეს საფლავში ნაპოვნი თავების გაზომვამ დაამტკიცა, რომ თავდაპირველად ჩვენს ქვეყანაში თავგრძელები ანუ დოლიხოკეფალები ცხოვრობდნენ; ხოლო უკვე განსვენებულმა პროფ. ვირხოვმა აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართველები და სომხები განსაკუთრებით თავმოკლენი ანუ ბრახიკეფალები არიან... კავკასიის ქართველები ძვ.წ. IX საუკუნის შემდეგ უნდა მოსდგომოდნენ“ (ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1908, გვ.28, 50-55).

სამხრეთ ამიერკავკასიიდან მიგრაციის თეორია. თ.გამყრელიძისა და ვ.ვიანოვის მიხედვით, ქართველები თავიდანვე ცხოვრობდნენ სამხრეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, მცირე კავკასიონის (მესხეთ-ჯავახეთის რეგიონის) ცენტრალური და დასავლეთი ნაწილების მთიანეთში. დასახელებულ ავტორთა აზრით, ძვ.წ. III ათასწლეულში აქედან სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში (კოლხეთის დაბლობისკენ) განხორციელდა **ქართველური მიგრაციების პირველი ტალღა** (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.); მათი მეტყველებისა და დამხვდური ჩრდილოკავკასიური ტიპის **ენების შერევით** სათავე დაედო სვანურ ენას; “თანდათან სვანური ენა ჩრდილოეთისაკენ, დიდი კავკასიონის ქედის მიმართულებით განდევნა **მომდევნო მიგრაციულმა ტალღამ**, რომელიც პირველს მოჰყვა დაახლოებით ცხრა საუკუნის შემდეგ;“ ამ პროცესში წარმოქმნილმა მეტყველებამ “შემდეგში მოგვცა ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ენა - მეგრულ-ლაზური“; დასავლეთ მცირე კავკასიონის ფარგლებში დარჩენილი საერთოქართველური ენის დიალექტები საფუძვლად დაედო ქართულ ენას, რომლის მატარებლები, **განსახლდნენ რა დასავლეთის მიმართულებით**, განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაეფინენ კოლხური ენის მატარებელთ, რის შემდეგაც მოხდა ლაზური და მეგრული ენების წარმოშობა; ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით **გადაადგილებულმა ტომებმა** აქედან (ამჟამინდელი აღმოსავლეთ საქართველოდან - ტ.ფ.) განდევნეს აღმოსავლურკავკასიური ტიპის ენებზე მოლაპარაკე ხალხი (თ.გამყრელიძე, ვ.ვიანოვი, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, 1984, გვ.880-881).

წარმოდგენილი ვარაუდი გამყარებული არ არის ფაქტებით; შეუძლებელიცაა, ვინაიდან არ არსებობს 4000 წლის წინანდელი რაიმე ლინგვისტური ფაქტი. არც ანთროპოლოგიური მონაცემები ადასტურებს

საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების მოსულობას; კერძოდ, თანამედროვე ანთროპოლოგთა დასკვნით, კავკასიის ანთროპოლოგიურმა ტიპებმა შესამჩნევი თანდათანობითი ტრანსფორმაცია განიცადეს, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტი გენეტიკური ერთიანობა დასტურდება უძველესი დროიდან დღემდე.

დაუსაბუთებელია უძველეს პერიოდში ე.წ. ქართველური სამი ენის არსებობაც; ამგვარი დაშვების საფუძველს არ იძლევა არქაული ცნობები ქართველური ტომების შესახებ:

ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი დასკვნით, “უძველესი დროიდანვე მოყოლებული ქართველები მრავალ ტომად დანაწილებული ყოფილან; ქრისტეს შემდეგ ისტორიული წყაროებით ცნობილი თითქმის ყველა ტომი ქრისტეს წინათ მრავალი საუკუნის მანძილზეც საისტორიო ასპარეზზე მოქმედებდა” (ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.401); კერძოდ, ხეთურ, ასირიულ, ურარტულ, ბერძულ-რომაულ-ბიზანტიურ, სომხურ და სხვა უცხოურ წყაროთა ჩვენებით **II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულში ქართველი ტომების ისტორიულ ტერიტორიაზე** (ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე რეგიონში) **ცხოვრობდნენ** ქართველურ ენა-კავებზე ანუ დიალექტებზე მოლაპარაკე და, შესაბამისად, ქართველურად მიჩნეული შემდეგი ტომები: **მუშქები /მესხები, დიახნები /ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები /სასპეირები, ქუთები, კორაქსები, მარები, ბექქედრები, ჰალიძონები /ხალიძები, ხალდეები /ქალდეები, მოსინოელები /ჰეპტაკომეტები, ბიძერები, ძიდრიტები, მაკრონები /მაკროკეფალები, ფასიანები, მელანქლადნები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი /ეკექედრები, ჰენიონები, სანები /ჭანები, სანიგები, ლაზები, აბაზები /ობეზები, სვანები /მისიძიელები, სუანო-კოლხები, ამარანტები, ტუსკები, კახები, კუხები, ჰერები, ჯავახები, ფხოველები...**

რის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამდენი ტომის მეტყველება მხოლოდ სამ ან ოთხ ენად დაჯგუფდება? მით უმეტეს, თანამედროვე მეცნიერებაშიც კი არ არსებობს ენისა და კილოს გამიჯვნის მყარი კრიტერიუმები.

ვფიქრობთ, უძველეს ქართველურ ენა-კილოთა მიახლოებითი რაოდენობის დასადგენად უფრო გამოსადეგია ძველ წყაროებში დადასტურებული ტომების სახელთა რაოდენობა; 20-მდე ძველი ქართველური ტომის არსებობის პირობებში არალოგიკურია, რომ, დღევანდელი ვითარების შესაბამისად, ამჟამინდელი სვანების, მეგრულ-ჭანების თუ მესხ-ქართლელების “ენების“ მიხედვით, 4000-5000 წლის წინაც დაუშვათ მხოლოდ **სამი ქართველური ენობრივი ერთეულის** არსებობა.

ფრიად საეჭვოა ქართველურ ენობრივ ერთეულთა დაშლის დათარიღება ძვ.წ. III ათასწლეულით. ამგვარი დათარიღება სათავეს იღებს გ. კლიმოვის შრომებიდან; კერძოდ, XX საუკუნის მეორე ნახევარში ენათმეცნიერმა გ.კლიმოვმა ე.წ. ლექსიკო-სტატისტიკური მეთოდის (იხ., სვოდეშის გლოტოქრონოლოგიური მეთოდი) გამოყენებით ივარაუდა, რომ ჯერ კიდევ 5000-4000 წლის წინ არსებობდა სამი ქართველური ენა (შესაბამისად, სამი ქართველური ტომი: ქართი, ზანი, სვანი), რომელთაგან ერთ-ერთი ენა - ქართული ენა - გაბატონდა კულტურის ენად. ამ მოსაზრებამ “გაამყარა“ უფრო ადრე პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილი ე.წ. ქართიზაციის თეორია (ქ. პატკანიანი, ნ. მარი), რომლის მიხედვითაც “ქართველების“ ენა გაბატონდა სხვა ქართველური ტომების (სვანების, მეგრულ-ლაზების) ენებზე; შედეგად მოხდა მათი ქართიზაცია /ქართველიზაცია (ამგვარი თვალსაზრისის კრიტიკისათვის იხ., ქვემოთ).

3.3. ცენტრალურ კავკასიაში ქართველთა ავტოქთონობის თეორია

ცენტრალურ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ქართველთა ავტოქთონობის თეორია არგუმენტირებულად პირველად წამოაყენა ბ. კუფტინმა. მისი აზრით, “სამხრეთი კავკასია”²² წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსაც და უძველეს სამშობლოსაც²³.

შდრ., აგრეთვე:

“ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ამასთანავე, საფიქრებელია, რომ ისინი ნაწილობრივ დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოსახლეობდნენ, კერძოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ტერიტორიაზე“ (გ.მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ.341-342).

წარმოდგენილი მოსაზრება ძირითადად გაზიარებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

ვფიქრობთ, უფრო ლოგიკური ჩანს მოსაზრება, რომ ქართველები ავტოქთონები ვართ **კავკასია-მცირეაზიაში. ეს მოსაზრება წარმოადგინა** აკად. ს.ჯანაშიამ 1940 წელს.

ს. ჯანაშიას, ივ.ჯავახიშვილისა და ნ.ბერძენიშვილის თანაავტორობით 1943 წელს გამოქვეყნებულ “საქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში ს.ჯანაშიას კონცეპტუალური სქემა ასე გამოიყურება:

“ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან“; უძველეს ხანაში (დაახლოებით 5000-6000 წლის წინათ) ქართველთა წინაპრები (ხეთურ-იბერიული გვარტომობის ხალხი) ცხოვრობდნენ წინა აზიაში (მესოპოტამიიდან კავკასიონამდე); ისინი აქედან გავრცელდნენ სამხრეთ ევროპასა (ბალკანეთის, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე) და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე. შემდეგ მათი საცხოვრისი შეიზღუდა მცირე აზიით; **ქართველთა უშუალო წინაპრები არიან ხეთა-სუბარები, რომლებიც განფენილნი იყვნენ ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე; ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ქართველთა საცხოვრისის ცენტრი თანდათანობით ინაცვლებს ჩრდილოეთისკენ**²⁴.

²² ლოგიკური იქნება, საქართველოს ტერიტორია განვიხილოთ ცენტრალურ კავკასიად; შდრ, სამხრეთი კავკასიაა ამჟამინდელი ყარსის, ერზერუმის, ართვინისა და რიზეს მხარეები (მსჯელობისათვის იხ., ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა, ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები, თბ., 2007). შდრ.: ქართველი არც ევროპელია, არც აზიელი; **ქართველი კავკასიელია.**

²³ ბ.კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ., 1949, გვ.14-16, 37.

²⁴ ჰ. კლარკის, ნ.მარის, ივ.ჯავახიშვილისა და სხვათა თვალსაზრისებზე დაყრდნობით, მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული ემიგრანტ მეცნიერსა და საზოგადო მოღვა-

ს.ჯანაშიას კონცეფცია სათავეს იღებს **დიბუა დე მონპერსესა და ფრიდრიხ ჰომელის** მოსაზრებებიდან; სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ჯერ კიდევ 1881 წელს დიმიტრი ბაქრაძე წერს:

„ეჭვ გარეთ უნდა გვქონდეს, რომ ხსენებულ ხალხთ (ტიბარენნი, მოსიკენი, მაკრონნი, კოლხნი, იბერნი, ალბანნი) **ნამდვილად ჰქერიათ თითქმის მთელი სივრცე ჰალისის მდინარიდამ მოყოლებული ვიდრე კავკაზის მთებამდე...** ახლა იმათ ქართულ შთამომავლობაში თითქმის არ ეჭვნეულობენ“ (დ.ბაქრაძე, ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველი ტომის დასაწყისზე, ტფ., 1881, გვ.26).

სხვადასხვა თაობის მკვლევართა ნაშრომების გათვალისწინებითა და ენობრივ სტრუქტურათა (შთამბეჭდავი ლექსიკური პარალელები, ძირითადი ფონემატური სტრუქტურა, აგლუტინაციურობა, ერგატიული კონსტრუქცია...) შეპირისპირებითი ანალიზით საფუძველი გვეძლევა, ს.ჯანაშიას კვალად, ვივარაუდოთ:

ძვ.წ. V-III ათასწლეულების კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ მონათესავე **წინააზიურ-კავკასიური** ტომები: ხურიტები, ხათები, კავკასიელები; პირველი დიდი გაერთიანებები შექმნეს: **ხურიტებმა** - ჩრდილოეთ შუამდინარეთში, **ხათებმა** - ცენტრალურ მცირე აზიაში/ანატოლიაში; მოგვიანებით, **ანატოლიასა და კავკასიაში (ჰალისის, ჭოროხის, მტკვრის, რიონის, ევფრატის, არაქსის ხეობებში)** ჩანან: **მუსხები, ქაშქები, ურარტუელები, კოლხები, დაიანელები...**

ამ მსჯელობას მხარს უჭერს მუსიკათმცოდნეთა დასკვნაც, მაგ., ნ.მაილსურაძის აზრით (1989, გვ.71), “კავკასია ოდესღაც **წინააზიური მუსიკალური კულტურის არეალში** შედიოდა. მოგვიანებით ყალიბდება ამ კულტურის კავკასიური ვარიანტი, რომლის წარმოქმნა მრავალხმიანობის ჩასახვა-განვითარებას უკავშირდება“.

კვლევის ამ ეტაპზე უფრო ლოგიკურია, ვთქვათ:

ძვ.წ III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ხურიტულ-ხათურ-კავკასიურ ტომთა დივერგენციისა და კონვერგენციის ხანგრძლივ პროცესში ყალიბდებიან ცნობილი მუშქები, ქაშქები, აბეშლაელები, ურარტუელები, კარდუხები, სპერები, კოლხები, ჰალიძონები/ხალიბები...

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კავკასიაში ლოკალიზებული საერთოქართველური ენის მქონე ხალხის ერთი ნაწილი - **ქართველურ-კავკასიური მოდგმა** (კოლხები, მოსხები/მუსკები, ტაოელები, აბაშები/აბაზები, ჩრდილოკავკასიელები...) ჰალისის, მტკვრის, ჭოროხის, რიონ-ყვირის, ენგურის, ლიახვის ხეობებში და ჩრდილო-კავკასიის ნაწილში ქმნის **დიდ კოლხურ-ყობანურ კულტურას**; რომელსაც, პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ **აია-კოლხეთის** ეთნო-კულტურა. ალბათ, ნაწილობრივ, მის ველშივე ჩანან ე.წ. ნაირის ქვეყნები, ცენტრალური კაბადოკიის აღმოსავ-

წეს - რევაზ გაბაშვილს:

ძვ.წ. IV ათასწლეულში კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე და ინდოეთიდან იბერიის ნახევარკუნძულამდე (ესპანეთი) მცხოვრები მაღალი კულტურის მქონე ხალხი კავკას-ქალდეურ ერთ რასას წარმოადგენდა (რ.გაბაშვილი, კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში, თბ., 2001, გვ.18).

ლეთ (და ჩრდილო-აღმოსავლეთ) ნაწილში მცხოვრები მესხ/მუშქების, ქაშქების, ტიბარენებისა და სხვა ქართველური ტომების საცხოვრისები.



აქვე აღვნიშნავთ, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე რთულია, საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაითვალოს სამხრეთ ევროპისა (ბალკანეთის, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე) და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს არაინდოევროპელი მოსახლეობის (ბასკების, პელაზგების, ეტრუსკების...) და პროტოქართველური ხალხის (ენების) ნათესაობის პრობლემა, თუმცა, საამისოდ ბევრი საყურადღებო მონაცემი არსებობს.

ამრიგად, სპეციალისტთა კვლევების შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველთა წინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი იყო კავკასიაც და მცირე აზიის ერთი ნაწილიც; თუმცა, **რთულია საზღვრების ზუსტად განსაზღვრა**. უძველესი პერიოდის წერილობითი წყაროების არარსებობის პირობებში ამ მიმართულებით გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს არქეოლოგიურმა ძიებებმა, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ენათა დივერგენცია/ინტერფერენციის დათარიღებით შესაძლებელი გახდება მოცემული ეთნოსის ისტორიისა და არქეოლოგიური კულტურის სინქრონიზება.

4. (წინარე) ქართველური ტომები და მათი სახელების ისტორია

XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის იდეოლოგიის უპირველეს კერაში - პეტერბურგის უნივერსიტეტში იშვა და საბჭოთა პერიოდში გაბატონდა მოსაზრება, რომ უძველესი დროიდან დღემდე არსებობს სამი ქართველური ტომი სამი განსხვავებული ენით: ქართვები, ზანები (მეგრელ-ჭანები) და სვანები; უფრო ძლიერებისგან - "ქართვებისგან" - მოხდა სხვა ქართველური ტომთა ასიმილაცია - ქართიზაცია... გაჩნდა საოცრად არაადეკვატური ფრაზა: **ქართი - ტომიყლაპია** (ნ.ბერძენიშვილი). როგორც ქვემოთ ვნახავთ, არც ერთი ისტორიული წყაროს მიხედვით **არ ჩანს ქართის ტომის არსებობის კვალიც კი**. არადა, ძველ უცხოურ თუ ქართულ წყაროებში ოცამდე ქართველური ტომის სახელი დასტურდება.

ვფიქრობ, მხოლოდ სამ ქართველურ ტომზე საუბარი დიდი შეცდომაა; ასეთი თვალსაზრისი არ ეფუძნება ისტორიულ წყაროებს და არგუმენტირებული არ არის არც ლინგვისტური მონაცემებით. როგორც ქვემოთ ვნახავთ, უძველეს პერიოდსა თუ წელთაღრიცხვის მიჯნაზე **ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ათეულობით ტომი არსებობდა**; მათი დიდი ნაწილის ქართველურობა ეჭვს არ იწვევს.

4.1. ხურიტები, ურარტუელები, ხათები, ქაშქები, მუშქები, დაიანელები (ტაოელები), კოლხები, კოლები, (კოლაელები), კარდუხები, თაბალები

პირველ რიგში, ზოგად შტრიხებში წარმოვადგენთ ქართველურ თუ წინარექართველურ (იბერიულ-კავკასიურ-წინააზიურ) იმ ეთნონიმებს, რომელთა ნაწილი ქართველთა წინაპრების აღმნიშვნელი ჩანს (გრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005):

ხურიტები, მითანელები, მათიენები (მითანი/მითანის მოსახლეობა), ურარტუელები - ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომები ბინადრობდნენ მდინარე ეფრატის შუაწელს ზემოთ ჩრდილოეთით გადაჭიმულ ოლქებში (ჩრდილო მესოპოტამიაში); ამ ქვეყანას უშემერები - **სუბირს**, აქადელები და ასურელები **სუბართუს** ეძახდნენ (შდრ., სუბართუ - გეოგრაფიული სახელი). ძვ.წ. XVI საუკუნიდან მათ შექმნეს **მითანის** დიდი სახელმწიფო. სპეციალისტთა დასკვნით, ხურიტების/მითანის ენა აგლუტინაციური ტიპის²⁵ და ერგატიული კონსტრუქციისა იყო²⁶; მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (არნ.ჩიქობავა, ი.ლიაკონოვი,

²⁵ აგლუტინაციური ტიპის ენა - მრავალრიცხოვანი აფიქსების (პრეფიქს-სუფიქსები) მქონე ენა; თითოეულ აფიქსს კონკრეტული ფუნქცია აქვს; ქართული ენა აგლუტინაციური ტიპის ენაა.

²⁶ ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენა - ენა, რომელშიც სუბიექტის გამოსახასიათებლად არის სპეციალური ბრუნვა; მაგ., ქართულ ენაში ასეთია მოთხრობითი ბრუნვა.

ს.სტაროსტინი, ნ.ნოზაძე), იგი ენათესავება იბერიულ-კავკასიურ ენებს:

არნ. ჩიქობავას აზრით, იბერიულ-კავკასიური ენები (მათ შორის ქართულიც - ტ.ფ.) ენათესავება ახლო აღმოსავლეთის ძველი კულტურის მკვდარ ენებს: **ხეთურს, ჰარულს/ხურიტულს, მიტანი-ენას, ურარტულს, ელამურს...** ქართული ენა არის ხეთურ-იბერიული წრის ცოცხალი ენა; არსებული განსხვავებანი მეორეულია (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 006).

ხურიტების განსახლების საზღვარი ძირითადად ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალის ნაწილს. მითანი დაემხო ძვ.წ. XIII საუკუნეში. სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ გაძლიერდნენ დაიანი/დაი-აენე, კოლხა, ურარტუ და ე.წ. ნაირის სხვა ქვეყნები. ითვლება, რომ ხურიტულის უმუალო მემკვიდრეა ურარტული, რომელიც თვალსაჩინოაა შეცვლილი, რაც სხვა მონათესავე თუ უცხო ენებთან ინტენსიური შერევებით აიხსნება:

ძველ მსოფლიოში ტომთა დაპყრობითი ომები შერევის დიდ ალბათობას ქმნიდნენ; შდრ., მაგ.: “ენით სემიტი ასურელები ანთროპოლოგიურად ნარვე ხალხს - სემიტური ელემენტისა და ხურიტების შერევის პროდუქტს წარმოადგენენ“ (გ.მელიქიშვილი, 1999, გვ. 29).

ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში სამხრეთ ამიერკავკასიისა და დღევანდელი ირან-თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებობდა იმ დროისათვის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო - ურარტუ; თავად ურარტუელები თავიანთ ქვეყანას **ბაინილის** უწოდებდნენ (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, 1971, გვ.407), ხოლო თავიანთ თავს - **ხალდებს** (ი.ემშანიშვილი, 1927, გვ.3); შდრ., ურარტუელთა ღმერთი იყო **ხალდი**.

ასურულ წყაროებში ურარტუს სახელად დადასტურებულია **ურუატრი**; შდრ., ბიბლიური **არარატი** და ბერძნული **ალარუდ**.

ივ.ჯავახიშვილის აზრით, ალაროდებ/ურარტუელებშიც უნდა ვიგულისხმოთ ქართველთა უმუალო წინაპრები (ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.437). მისივე აზრით, რამდენადაც ძვ.წ. V-IV საუკუნეებში მოღვაწე ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე ამ რეგიონში **ალაროდების** ნაცვლად უკვე **არმენიელებს** ასახელებს, შესაძლებელია, ვიმსჯელოთ არმენების კავკასიაში მოსვლის შედარებით ზუსტ თარიღზეც; შდრ., არმენებს არ ახსენებს ძვ.წ. VI საუკუნის ისტორიკოსი ჰეკატაეოს მილეტელი (550-480).

ქსენოფონტესავე ცნობით, **არმენებს** დიდი ბრძოლები აქვთ **ხალდებთან**; ეს მეტყველებს იმაზეც, რომ ურარტუელთა მეზობლად მოსული არმენების დამხვდურია ურარტუელთა ერთ-ერთი ტომი - ხალდები. ყოველ შემთხვევაში, შემთხვევითი არ უნდა იყოს **ეთნონიმ ხალდისა** და ურარტუელთა **ღმერთის სახელის - ხალდის** ფონეტიკური დამთხვევა.

შდრ., მკვლევართა ყველა თაობის მიერ **ხალდები ქართველურ ტომად მიიჩნევა**.

ხათები - ძვ.წ. XXIII საუკუნიდან ათასი წლის მანძილზე ცენტრალურ ანატოლიაში (კაბადოკიისა და პონტოს ტერიტორიაზე) არსებობდა ხათის ძლიერი სახელმწიფო.

უშემერულისა და ხურიტულის მსგავსად, **ხათური ენა** ითვლება ერგატიული კონსტრუქციისა და აგლუტინაციური ტიპის ენად; სპეციალისტთა ვარაუდით, იგი ენათესავება თანამედროვე ქართველურ და აფხაზურ-ადი-

ღურ ენებს (ქრ. გირბალი, ი.დუნაევსკაია, ვ. ივანოვი). ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ხათური, როგორც ოფიციალური ენა, შეცვალა მოსული ინდოევროპული ეთნოსის ენამ - **ხეთურმა**, მაგრამ ხათური ტომების ენა-კილოები დარჩა ყოველდღიურ გამოყენებაში. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ხათური ენობრივი ფაქტები გარკვეული ტრანსფორმაციებით შემოგვენახა ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ქასქები/ქაშქები და აბეშლაელები - ძვ.წ. XVII-XIII საუკუნეების ხეთურ ლურსმულ წყაროებში, ასევე, ასურულ, ეგვიპტურ უგარიტულ ტექსტებში მოხსენიებულია ხალხი, რომლის აღმნიშვნელი სახელი იყო: **ქასქა/ქაშქა**, გაშგა, კაშკა, კაშქა, ქაშკა; კაშკაშ (ეგვიპტ.), კაშკაია, კაშკა, კაშკუ (ასურ.); **Ktkym** (უგარიტ.)/... ისინი ცხოვრობდნენ ხეთებისგან ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოგვიანო ხანის ანატოლიაში (პონტოში).

ასურული და ხეთური წყაროების ქაშქებ/ქასქების ერთ-ერთ სახელად (სინონიმად) მიჩნეულია ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული **აბეშლაელები**.

ივ.ჯავახიშვილის, პ.უშაკოვისა და სხვათა აზრით, **ქაშქები** მერმინდელი კოლხების წინაპრები არიან; საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ვფიქრობ, დასაშვებია ვარაუდი, რომ **ხათებისა და ხურიტების** მონათესავე **ქასქები, აბეშლაელები, ხუბუშქიელები, ურარტუელები...** წინარექართველურ-კავკასიურ ტომთა აღმნიშვნელი სახელებია; ამ და სხვა ტომებისგან ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ჩამოიძვრნენ ქართველებიც, ჩერქეზებიც, ვაინახებიც და ლეკებიც... სხვაგვარად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ ძველი წინააზიური ენების კვალი შთამბეჭდავია ქართველურშიც და სხვა იბერიულ-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღურ, ვაინახურ, დაღესტნურ) ენებშიც²⁷.

მუშქები, მუშქა/მუშქი, მოსხები, მოსოხი/მეშენი, მოსხიკეს მცხოვრებლები - სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, ძვ.წ. XII-VII საუკუნეების ასურულ ლურსმულ წყაროებში მოხსენიებული **მუშქები**, ბიბლიური **მოსოქ-/მოსოხ-მეშენ**- სახელწოდებები (შესაქმე, X 2, 22-32), ბერძნულ-რომაული ტექსტების **მოსოხები**, ძვ. წ. IV საუკუნეში არსებული სახელმწიფო **მოსხიკე** - **მოსხების/მესხების ქვეყანა**, “ქართლის ცხოვრების” **არიან ქართლი** და ქართველთა ერთი ჯგუფის აღმნიშვნელი თემონიმი **მესხი** ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია; კერძოდ, ისინი მიემართება **ქართველურ მოდგმას**, რომლის განსახლების (თუ მოძრაობის) ძირითადი ტერიტორიაა: **ზემო ევფრატისპირეთი** (ძვ.წ. XII ს.), **კაბადოკია-ჭალისის შუა დინების სამხრეთი** (ძვ.წ. VIII ს.), **პონტოს ტერი-**

²⁷ უდრ., ძველ ეთნონიმებთან მასალობრივად ახლოს მყოფი სხვა საკუთარი სახელებიც დასტურდება როგორც ქართველური, ასევე, ჩრდილოკავკასიურ საზოგადოებების აღსანიშნავად (ქაშაგი, აბაზა/ებზე...).

ტორის ნაწილი და, ბოლოს, კავკასია.

ვფიქრობ, სავსებით დასაშვებია, რომ მუშქთა წინაპრებად მოვიაზროთ ხათებისა და ხურიტების მონათესავე და მათი განსახლების ველში მცხოვრები ქართველურ-კავკასიური მოდგმა; ლოგიკური ჩანს მუშქებისა და ქაშქების მონათესავეობის დაშვებაც;

შდრ.:

ხეთები ქასქებთან დებდნენ სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებას, ქასქები და ხათები კი მონათესავე ტომებად ითვლებიან. რამდენადაც, **არა-ინდოევროპელი ხათების** ტერიტორიაზე ინდოევროპელი ხეთები მოსულეები არიან, ლოგიკურია ვარაუდი, რომ ხათების შესაძლო მემკვიდრე ქასქებსა და ხეთებს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო; შესაბამისად, სხვაგვარად დადგება ქართველურ ტომთა მიგრაციის მიმართულების საკითხიც.



ბერძნულ წყაროებში მოსხების ტომი პირველად ნახსენებია ძვ.წ. VI ს. ბერძენი მწერლის - ჰეკატაეოს მილეტელის მიერ; მისი მოწმობით, **მოსხები კოლხური ტომია** (ჩვენი აზრით, აქ კოლხური ქართველურის სინონიმია - ტ.ფ.); ისინი ცხოვრობდნენ მათიენების (მითანის) მეზობლად - მესოპოტამიის ჩრდილოეთით, ანდა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43-44).

ჰეროდოტეს (ძვ.წ. V ს.) მიხედვით, **მოსხები** კოლხებთან (აქ უკვე კოლხები მხოლოდ ერთ-ერთი ქართველური ტომის სახელია - ტ.ფ.), სასპეირებთან, ხალიბებთან (ქალიბებთან), მაკრონებთან, ტიბარენებთან, მოსინოიკებთან და მარებთან ერთად ცხოვრობდნენ მცირე აზიის ჩრდილოეთით შავი ზღვის აღმოსავლეთ თუ სამხრეთ სანაპიროზე სპარსეთის მეფე დარიოს I-ის (ძვ.წ. 524-485) დროს (იხ. ჰეროდოტე, 1976, გვ.634; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.47, 660).

სტრაბონის (ძვ.წ. 64 - ახ.წ. 24) მიხედვით, **მოსხები** ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე კოლხების გვერდით, ჰენიოხებისა და კერკეტების სამხრეთით (საკითხის მიმოხილვისათვის იხ., გ.ქავთარაძე, ანატოლიაში ქარ-

თველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 82-86); სტრა-ბონისვე ცნობით, აღრინდელი **მოსხური ქვეყნის** ერთი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე - იბერებს და მესამე - არმენიელებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.140-145).

იოსებ ფლავიუსის აზრით (37-95), **მოსხენები** დაფუძნებულნი არიან **მოსხის** მიერ და “ახლა მათ კაბადოკიელები ეწოდათ; კაბადოკიელთა ეს ძველი სახელი შემორჩენილია მათი დედაქალაქის სახელად, რომელიც არის **მაზახა**“ (იოსებ ფლავიუსი, 1987, გვ.103).

ეგსტათი ანტიოქელთან (280-360) კაბადოკიელთა წინაპრებად დასახელებულია **მესხენები**, მათ ეთნარქად კი - **ოსოხი** (გეორგიკა, 1961, გვ.34). ორი საუკუნის შემდეგ კი პროკოპი კესარიელი **მესხთა** (მესხთა) საცხოვრისად მიიჩნევს იბერიის გასწვრივ არსებულ მთებს (გეორგიკა, 1965, გვ.127).

სტეფანე ბიზანტიელთან (IV-VII ს.ს.) დადასტურებულია ეთნონიმი **მოსხი**; იგი, მიჰყვება რა სტრაბონს, მოსხებს ასახელებს კერკეტების ზემოთ (ე.ი. სამხრეთით - ტ.ფ.). XI საუკუნის მოღვაწე ლეონ გრამატიკოსი უცვლელად იმეორებს წინა თაობების მოსაზრებებს და იაფეტის შვილად მიჩნეულ **მესხოსისგან** მომდინარედ მიიჩნევს მესხებს, რომელთაც ახლა კაბადოკიელები ეწოდებათ... (გეორგიკა, 1963, გვ.3-4).

მოსხ-მესხ-მესხ- ტერმინთან დაკავშირებით საინტერესოა ჩრდილოკავკასიურ ენათა მონაცემები:

პ.უსლარისა და ა.დირის ცნობებით, დაღესტნურ ენათა სამყაროში **ქართველების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს - მოსოქი/მუსექი**; იგი მიემართება, აგრეთვე, წოვათუშებსაც.

ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ქართლის მოსახლეობა მუშქ-მესხების უშუალო მემკვიდრეა; ტაზონიმ **მცხეთისა** და ქორონიმ **სამცხის** მიმართება ამის კიდევ ერთი არგუმენტი ჩანს: სა-**მესხ-ე** > *სამსხე > სამცხე; **მესხ-ე**თა > *მსხეთა > მცხეთა.

სადავო არ უნდა იყოს, რომ **მოსხები/მესხები ერთ-ერთი ძველი ქართველური ტომის სახელია, რომელიც მეზობელ თუ არამეზობელ ხალხთაგან ისტორიის ერთ მონაკვეთში განზოგადებული იყო “ყოველთა ქართველთა” სახელად.**

დაიანელები, დიაუხელები, ტაოხები. ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ ლურსმულ ტექსტებში დამოწმებულია **დაიანის ქვეყანა**; მკვლევრები ამ სახელწოდებას უკავშირებენ ურარტული ლურსმული ტექსტების **დიაუხს**, ბერძნული წყაროების **ტაოხოსის**, ძველი სომხური წყაროების **ტაიქს** და ისტორიული საქართველოს ერთ კუთხეს - **ტაოს** (ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. გრ.გიორგაძე, 2002); ვარაუდობენ, რომ ეს იყო ძლიერი ქართველური ტომი (შდრ.: გ.მელიქიშვილი, ი.დიაკონოვი და სხვ. **დიაოხის** მოსახლეობას ხურიტულენოვნად მიიჩნევენ), რომლის მეფე სენზე გამარჯვებითაც საგანგებოდ ტრაბახობდა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (1115-1077).

დაიანელები/ტაოხები/ტაოელები ცხოვრობდნენ თორთუმის, ევფრატისა და მტკვრის სათავეებში; სარწმუნო ჩანს, დიაოხის დედაქალაქი **შაში-**

ლუ (შაშილო/სასირო) მდებარეობდა ცნობილი თორთუმის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე - ამჟამინდელი ესენდურაკის ადგილას (გ.ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 2005, გვ. 13-18).

ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში **ტაოხები** პირველად გვხვდებიან ქსენოფონტესთან (ძვ. წ. V—IV ს.ს.): ტაოხები, რომლებიც ცხოვრობენ მერმინდელ ოლთისის ოლქში, სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებიან და **ხალიბებთან** ერთად სპარსელი სატრაპის - ტირიბაძის - მოქირავნეები არიან (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.52). მოგვიანებითაც, მაგ., სტეფანე ბიზანტიელიც (IV-VII ს.ს.) ტაოხებს შიდა პონტოში მოსახლე ტომად თვლის; მისი ცნობით, “ზოგიერთები მათ ტაოელებსაც ეძახიან, როგორც ამბობს სოფიანეტე თავის “ანაბაზისში“ (გეორგიკა, 1936, გვ.284).

კოლხები. ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ ლურსმულ ტექსტებში დადასტურებულია გეოგრაფიული ტერმინები: **კილხი** და **კულხა/კოლხა**, რომლებიც გაიგივებულია ბერძნულ-რომაული წყაროების **კოლხი** და **კოლხის** სახელწოდებებთან; ივ.ჯავახიშვილის აზრით, კოლხები ასურული წყაროების **კასკები** არიან (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.30).

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია ნ.მარის აზრი, რომ კოლხთა პოლიტიკური გაერთიანება ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში (ძვ.წ. VII ს. 20-იან წლებამდე) იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, ცენტრით ჭოროხის ხეობაში; VII საუკუნიდან მისი ცენტრი გადადის დასავლეთ საქართველოში - რიონისპირეთში.

აკ. ურუშაძის და სხვათა ვარაუდით, თავდაპირველად, **ბერძნები კოლხეთში მთელ ქართველურ სამყაროს გულისხმობდნენ**. ურარტული წარწერებიცა და თანამედროვე არქეოლოგიური მონაცემებიც ცხადყოფს ამ აზრის სისწორეს; ამჟამად, რომ **ძველი კოლხეთი** მხოლოდ დღევანდელ დასავლეთ საქართველოსა და ქართლს არ მოიცავდა; კოლხეთის დიდი ნაწილი - მტკვრის ზემო წელისა და ჭოროხის ხეობები - დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია მოქცეული.

ბერძნულ წყაროებში ტერმინი “**კოლხიდა გაია**“ უეჭველად დასტურდება ძვ. წ. VIII საუკუნის პოეტთან - ევმილე კორინთელთან; სავარაუდოა, რომ **კოლხიდის** პარალელურად ბერძნები იყენებდნენ ტერმინ **აიასაც** (არსებული მდიდარი ლიტერატურის მიმოხილვა იხ.: მ. ინაძე, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009).

დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას არიანე (II ს.) უკვე **ლაზების** სახელით იხსენიებს: “ლაზიკას ჩამოუდის მდინარე, სახელად რეონი, სადაც კოლხებს ძველად ციხე აუგიათ“...(ბერძენი მწერლები... 1983, გვ.188). ამ პერიოდიდან ერთმანეთს ხშირად ენაცვლება ტერმინები: კოლხი და ლაზი; მაგ., V საუკუნის ანონიმი ავტორი წერს: “დიოსკურიიდან ვიდრე აფსარის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომლებსაც კოლხები ეწოდებოდათ და მერე გადაერქვათ ლაზები“ (გეორგიკა, 1965, გვ.6)...

იპოლიტე რომაელი (III ს.), ამიანე მარცელინე (IV ს.), ეპიფანე კვიპრელი (314-403) და მრავალი სხვა მოგვიანებითაც ტერმინ **კოლხებს** ირჩევენ,

სხვები კი **ლაზებს** იყენებენ; მაგ., იოანე ლიდე (VII ს.) წერს:

“კოლხიკეს ამჟამად ლაზიკეს ეძახიან ლაზების ჰეგემონობის გამო“ (გეორგიკა, 1970, გვ.3; ს.ყაუხჩიშვილის კომენტარი).

აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.): “ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას... ლაზები ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით“ (გეორგიკა, 1936, გვ.27, 50).

კოლხა უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული პროვინციის **კოლას** სახელისგან (ი.ჯავახიშვილი, 1950, გვ.12):

კოლა/კოლ-ი - კოლ-ხ-ი; ქართულ წყაროებში ფუძე **კოლა** აღრიდანვე დასტურდება, ხოლო ქორონიმის მეორეული ვარიანტი **კოლხეთი** ქართულში ბერძნულის ანალოგიით გვიან იქმნება. შდრ., პატრიარქ ნიკონის მატთანეში საქართველოს აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინია **კოლხეკია**).

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდის კერასუნტის რეგიონში, ჰალისისა (კიზილ-ირმაკის) და ჭოროხის აუზებში, თანამედროვე დასავლეთ საქართველოსა და მტკვრის შუა და ზემო წელის მხარეებში ჩამოყალიბდა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, **რომლის თავდაპირველი ბერძნული (?) სახელი შეიძლება ყოფილიყო აია** (შდრ.: აიეტი; შდრ., აგრეთვე: დაიაენი, ტაო); **შემდეგ ამ სახელს ჩაენაცვლა კოლხა/კოლხიდა.**

ძვ.წ. XII-VIII საუკუნეებში ამ გაერთიანებაში ჰეგემონობდა კოლხების ძლიერი ტომი, რომლის სახელის მიხედვით აისახა ეს სახელმწიფო მეზობელი სახელმწიფოების დოკუმენტებში თუ ბერძენი მწერლებისა და მოგზაურების მხსიერებაში; **იგი ამ პერიოდში უკვე მოიცავდა შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროს /აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილის ჩათვლით/... მეტიც, როგორც ზოგი ბერძნული წყარო, ასევე, თანამედროვე არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფენ, რომ ე.წ. “დიდი კოლხური კულტურა“ მოიცავდა დღევანდელ ქართლსაც და ჩრდილო კავკასიის დიდ ნაწილსაც.**

კოლები. კოლები პირველად დასტურდებიან ჰეკატაეოს მილეტელთან (ძვ.წ. 549-472); ფსევდო-სქილაკსის (ძვ.წ. IV ს.) ცნობების მიხედვით, კორაქსები და კოლები დაახლოებით ბზიფის შესართავის რაიონში არიან საგულვებელი (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.83). ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის ანონიმური პერიპლუსის ავტორი კოლების ქვეყანას - **კოლიკეს** ასახელებს, ერთი მხრივ, ჰენიოხების, კორაქსებისა და, მეორე მხრივ, მელანქლაინების, მაქელონების, კოლხების მეზობლად (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.105); შდრ., სტეფანე ბიზანტიელი: კოლები - ტომი კავკასიონთან; კავკასიონის ქვედა ფერდებს ეწოდება **კოლების მთები**, ქვეყანას კი **კოლიკე** ჰქვია (გეორგიკა, 1936, გვ.281).

ლოგიკურია, რომ საქართველოს ისტორიული პროვინცია **კოლა**, ეთნონიმი **კოლ-ხ-ი/კოლ-ხ-ა** და **კოლები/კოლიკე** საერთო ფუძისგან წარმომავალი სიტყვები იყოს; შდრ., პ.ინგოროყვა ვარაუდობს (1954, გვ.138), რომ **კოლხი** და **კოლაელები** სინონიმებია.

პ.ინგოროყვას აზრით, კოლასგანაა ნაწარმოები კლარჯი: კოლ-არ-ი >

კოლარჯი (პ.ინგოროყვა, 1954, გვ.138); მას ახსნილი არა აქვს ჯ-ს წარმომავლობა, მაგრამ დაკავშირება სწორი ჩანს:

შეიძლება დავუშვათ, რომ *კოლარ- და დიალექტური კოლაჯ- (ზანურში ბუნებრივია რ > ჯ პროცესი სიტყვის ბოლოს: ხარი > ხოჯი, ქმარი > ქომონჯი...) ფორმების კონტამინაციით მივიღეთ კოლარაჯ- ფორმა, რომელმაც მოგვცა კლარჯ- ფუძე; ასევე, არაა გამორიცხული, -რ- ფონეტიკურ ჩანართად მივიჩნიოთ:

კოლ-არ- > კოლაჯ- > კლაჯ- > კლარჯ- (საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს).

ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ **კოლხები, კოლები და კოლაელები** ერთი ტომის სამი შტოა, ან ერთიდაიმავე საზოგადოების აღმნიშვნელია.

კორაქსები. ძვ.წ. VI საუკუნეში მოღვაწე ჰეკატაეოს მილეტელის ცნობით, **კორაქსები** კოლხური ტომია.

სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. VI-V ს.) კორაქსებს ასახელებს ჰენიოხების შემდეგ (თ. ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 47). კორაქსებს ასხელებს ფსევდოსკლაქსიც (ძვ. წ. IV ს.); მისი აზრით, კორაქსები ცხოვრობენ ჰენიოხებზე სამხრეთით და კოლებზე ჩრდილოეთით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამათზე კიდევ უფრო სამხრეთით არის ტომი კოლხებისა და მის ტერიტორიაზეა დიოსკურისი. ასე რომ, ამ ავტორის თანახმად, კორაქსების ტომი თანამედროვე სოხუმზე უფრო ჩრდილოეთით არის ნავარაუდები (თ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.10). კორაქსები და კოლები დაახლოებით დღევანდელი ბზიფის (კლავდიოს პტოლემეაძის მიხედვით, მდინარე კორაქსის) შესართავის რაიონში არიან საგულვებელნი (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 83).

შდრ., არისტოტელეს (ძვ. წ. 384-322) "მეტეოროლოგიაში" ვკითხულობთ: "კავკასიონის ქვემოთ არის ტბა (კასპიის ტბა), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ზღვას უწოდებენ. რადგან ამ ტბას მრავალი და დიდი მდინარე ერთვის და ცხადი გამოსავალი კი არა აქვს, იგი მიწის ქვეშ მიედინება კორაქსებისკენ და გამოდის პონტოს ე.წ. სიღრმეებთან".

არისტოტელე არ საზღვრავს მათ საცხოვრისს და არც მათ ეთნიკურობას, ვინაიდან, ჩანს, რომ მის მკითხველ თუ მსმენელ საზოგადოებას ამისი საგანგებო ახსნა არ სჭირდებოდა" (თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.10).

სტეფანე ბიზანტიელი (IV-VII ს.) თავის "გეოგრაფიულ ლექსიკონში", ჰეკატეს "აზიის" კვალად, კორაქსებს მიიჩნევს კოლხურ ტომად (შდრ., მისთვის ლაზები სკვითური ტომია; გეორგიკა, 1936, გვ.280-281); ამავე ავტორის მიხედვით, "კერკეტების ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ქარმატები, ხოლო ქვემოთ ჰენიოხები და კორაქსები..." (გეორგიკა, 1936, გვ.289).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, **კორაქს-** ფუძე დაიშლება **კორ-** ძირად და **-ქს-** სუფიქსად, სადაც, **-ქს-** იგივე "საკვეცი" **-ხ-** არის, რაც გვაქვს კოლ-ხ-ფორმაში (ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.411).

ლოგიკურია კოლ-, კორ- ფუძეების, ასევე, **კოლხების, კოლაელების, კორაქსების,** გვიანდელი **კლარჯების** საერთო წარმომავლობის საკითხის დასმა; ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ უკვე ჰეკატაეოსის დროს **კორაქსები, კოლები და კოლხები** მონათესავე, მაგრამ სხვადასხვა ტომები არიან; შდრ.: სხვა შემთხვევებშიც მონათესავე ქართველურ ტომებს ერთი ფუძიდან ნაწარმოები მსგავსი სახელები აქვთ (იხ.: სანი, ზანი, ჭანი... ხალიბი, ქალდი, ხალდი, კარდუხი...).

კარდუხები. ქსენოფონტეს ცნობით, ეს მეომარი და უბატონო ტომი ებრძვის როგორც ბერძნებს, ასევე სპარსელებსა და არმენებს; მათი საცხოვრისი ამ დროს მიუვალ მთებშია: “მოლაშქრებმა ტყვეებისგან გაიგეს, რომ თუ ისინი შეძლებენ კარდუხების მთების გადალახვას და მდინარე ტიგროსის სათავეებზე გადასვლას, მივლენ არმენიაში“ (ქსენოფონტი, 1976, გვ. 63-66, 74-75).

კარდუხებით დასახლებული ტერიტორიის საზღვრებია: ჩრდილოეთით - თანამედროვე ბოტან-ჩაი, დასავლეთით - ტიგროსი, სამხრეთით - თანამედროვე ქურთისტანის მთიანეთის დასავლეთი ნაწილი.

ბერძნულ-რომაულ წყაროებში კარდუხების სახელის ვარიანტებია: **გორდუენოდ** და **ჩორდუენი** (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 52). ტომი **კარდუენები** ამავე ტერიტორიაზე დასტურდება მოგვიანებითაც; იხ., მაგ., პეტრე პატრიკიოსი (VI ს.): რომაელებსა და სპარსელებს შორის მოლაპარაკების ერთ-ერთი სადავო საგანი იყო ქვეყანა **კარდუენე** (მას რომაელები ითხოვდნენ), რომელიც ტიგროსის სათავეებთან მდებარეობდა (გეორგიკა, 1936, გვ. 193).

კარდუ/კარდუ-ხ- ფუძესთან აკავშირებდა **ქართუ**(-ელ-) ფუძეს ივ. ჯავახიშვილი (1960, გვ. 411-412); **კარდუ-** ფორმას **ხალდ-** ფუძისგან მომდინარედ თვლის ა. სვანიძე;

შდრ., უფრო ადრე, **ქართუ-ელ-** ფორმას **ქალდ-ე** (ქალდეა) სახელთან აკავშირებდა ილია ჭავჭავაძე: “ძალიან ჭკუასთან ახლოა და ადვილად საფიქრებელი, რომ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული “ქალდი”, “ქალდისი” იგივე “ქართლისი” იყოს...” (ი. ჭავჭავაძე, 1941, გვ. 376).

ქსენოფონტეს მიერ დადასტურებული **კარდუხები** მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ ქურთთა წინაპრებად მიიჩნევა; ამგვარ დაკავშირებას სხვები უსაფუძვლოდ თვლიან და **კარდუხებს** ქართველთა წინაპრებად მიიჩნევენ.

ძველ ბერძნულ წყაროებშივე **ხალდები** ქართველურ ტომად ითვლება (იხ. ქვემოთ), ხოლო ძველ სომხურში **kordu-k** **ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონი**ა. პრობლემა შემდგომ კვლევას ითხოვს.

თაბალები, თობელები. ძვ.წ. IX-VII საუკუნეების ასურული წყაროების **თაბალის ქვეყანას** (თა-ბა-ლუ) მკვლევართა უმრავლესობა ანტიკური ხანის დიდ კაბადოკიაში ათავსებს; მაგ., ბ. ლანდსბერგერის ვარაუდით, **თაბალი** მდებარეობდა ძველი **მაზაკას**, დღევანდელი კაისერის რაიონში - სამხრეთ-დასავლეთ კაბადოკიაში; მიჩნეულია, რომ თაბალების სახელი ასახულია ბიბლიური ეთნარქის - **თუბალ-თობელის** სახელში (შესაქმე, IV, 22; X, 2; XI, 28).

ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მტკიცებულებანი, რომ **თუბალ/თობალის** ჩამომავალნი არიან ტიბარენები, ტიბარები, იბერები ანუ ქართველები (იოსებ ფლავიუსი, ვივიან დე სენ მარტენი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა... მსჯელობისათვის იხ.: ივ. ჯავახიშვილი, 1908, გვ. 22-23; ს. ჯანაშია, 1959).

თაბალებსა და ტიბარენებს სხვადასხვა ხალხებად მიიჩნევენ ნ. ხაზარაძე (შდრ.: **თაბალი** - გვიანდელი ხეთური პოლიტიკური გაერთიანება მცირე აზიაში); მისი აზრით, ასურული **თაბალ-**, ძველებრაული **თუბალ-** და ძველ ბერძნულად ნათარგმნ ბიბლიაში დამოწმებული **თობელ-** შეუძლებელია ქართველური დიალექტური (შესაბამისად, ქართულ-სვანურ-მეგრული) ვა-

რიანტები იყონ, ვინაიდან იდენტურ სახელთა მსგავსი ვარიანტულობა ხშირია ასურულ, ხეთურ, იეროგლიფურ-ლუვიურ, ძველ ებრაულ და ძველ ბერძნულ ენებში; მაგ., შდრ.: ასურული **გამირ-**, **მუშქუ** და ძველბერძნული **გომერ-**, **მეშეჰ-**; ხეთური **კუმმანი** და ასურული **კამმანუ**; ხეთური **თეგერ-მა** და ძველბერძნული **თოგორმა**...

ნ.ხაზარაძის ლოგიკური დასკვნით, “თაბალისათვის ნავარაუდები ტერიტორია ძველთაგანვე ხეთურ-ლუვიური ტომების გავრცელების არეალში შედიოდა“ (ნ.ხაზარაძე, 2001; აქვე იხ. საკითხის შესწავლის ისტორია). შდრ.: ქალაქი **მაზახა/მაზაკა**, რომელიც **მუშქთა/მოსხთა** დედაქალაქად მოიაზრება, მასალობრივად აშკარად უახლოვდება ***მასხ-/მასახ-/მესხ-** ფუძეს; ნ.ხაზარაძის დასკვნით კი, სწორედ ამ ქალაქის სიახლოვეს ცხოვრობდნენ თობალებიც²⁸.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების **თობელები/თეობელები** და ქართული თარგანების **თოვილები** სახელდებიან მხოლოდ ბიბლიურ კონტექსტში; კერძოდ, იოსებ ფლავიუსი (I ს.):

“... თობელმა დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ“ (გეორგიკა, 1961, გვ.34;

შდრ., XII საუკუნის ქართული თარგმანი: “დაამკვიდრებს უკუე **თოვილისა თოვილთასა**, რომელნი აწ **ივირად** იწოდებიან“).

ევსტათი ანტიოქელი (280-360) კი წერს:

“**თობელისგან** წარმოიშვენ **თეობელები**, დღეს რომ **იბერები** ეწოდებათ (გეორგიკა, 1961, გვ.34);

ლეონ გრამატიკოსი (XI): “... თობელისგან - თობელები, ახლანდელი იბერები, მესოხისგან - მესხენები, ახლანდელი კაბადოკიელები“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1983, გვ.49)... შდრ., გიორგი სინგელოზი (VIII-IX): თობელისგან წარმოდგნენ თეტალიელები, ხოლო მოსოხისგან - ილირიელები (გეორგიკა, 1941, 61-62)...

კვლევის ამ ეტაპზე უბასუხოა კითხვა: თაბალები ინდოევროპული ტომია თუ ქართველურ-კავკასიური?

²⁸ შდრ.: ბიბლიური **მეშეჰი** და **თობელი** სხვადასხვა ხალხების წინაპრებად ივარაუდებიან. ბიბლიის განმმარტებელნი თობელის შთამომავლებად იბერებს მიიჩნევენ; მკვლევართა აზრით კი, იბერები ტიბარენების ჩამომავლები არიან... ცხადია, ამ მიმართულებით კიდევ ბევრია საკვლევი.

4.2. ტიბარენი, სასპერები, იბერები, ქუთები, ჰალიძონები, ხალიბები, დიქერები, ძიდრიტები, მაკრონები, ფასიანები, ეკექედრები

ტიბარენები/ტიბარენი. ჰეკატადოს მილეტელის (ძვ.წ. 549-472) მიხედვით, ტიბარენი ცხოვრობდნენ თანამედროვე ორდუს მიდამოებში (თ.ყაუხჩიშვილი, 1978, გვ.44). ჰეროდოტეს (ძვ.წ. 484-425) ცნობით, მეფე დარიოსისგან (524-485) “მოსხებს, **ტიბარენებს**, მაკრონებს, მოსინოაქებსა და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი” (ჰეროდოტე, 1975, გვ.226).

ქსენოფონტემ (ძვ.წ. IV ს.) ტიბარენები ნახა მოსინოაქებს დამორჩილებული ხალხების მეზობლად, შავი ზღვის სანაპიროზე; მისი რწმუნებითაც ტიბარენების ქვეყანაში იყო ელინთა ახალშენი **კოტიორა/ორდუ**. ფსევდო-სკილაქსი ტიბარენებს მოსინიკების მეზობლად ასახელებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 84-85).

აპოლონიოსი (ძვ.წ. 295-215) ტიბარენთა ქვეყანას ათავსებს ხალიბების (/ხალდების) ჩრდილოეთით (ა.როდოსელი, 1975, გვ.107).

სტრაბონის მიხედვით, ტიბარენები ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ, ხალდ-ხალიბებსა და სანებთან ერთად (აქვეა მოსხური მთები, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 146).

შავი ზღვის სანაპიროების აღწერის დროს ამიანე მარცელინე (IV ს.) წერს: მდინარე ჰალისის აუზში ცხოვრობენ: ხალიბები (სტრაბონის აზრით, იგივე **ქალდეები**, რომლებმაც პირველად მოიპოვეს და დაამუშავეს რკინა), ბიზერები, საპირები, **ტიბარენები**, მოსინიკები, მაკრონები... “რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან” (გეორგიკა, 1961, გვ.110-111).

სტეფანე ბიზანტიელის მიხედვით, ქვეყანა **ტიბარენია** არის პონტოში, ხალიბებისა და მოსინიკების მეზობლად (გეორგიკა, 1936, გვ.285)...

ბერძნულ-რომაულ წყაროებში არსადაა მითითებული, რომ ტიბარენები და იბერები ერთი და იგივე ხალხია, მაგრამ ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას კვლევების შემდეგ **ტიბარებისა** და **იბერების** იგივეობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებულია.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია ეთნონიმების: **ტიბერ-ენ-/ტიბარ- და იბერ- ფუძეების** საერთო წარმომავლობის დაშვებაც:

ტიბერ- < - - > იბერ-.

რაც შეეხება ამ ეთნონიმებით აღნიშნული ტომებს:

ისინი მონათესავენი უნდა იყვნენ, რამდენადაც ერთ არეალში ცხოვრობენ და მსგავსი სახელებითაც მოიხსენებიან; აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: ხშირია შემთხვევები, როცა მონათესავე ტომებს საერთო წარმომავლების სახელები აქვთ.

საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

სასპედრები, იბერები (კავკასიის იბერიები) - ჰეროდოტეს მიხედვით, **სასპედრები** ცხოვრობდნენ კოლხიდასა და მიდიას შორის: “კოლხიდიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპეირების ტომი” (ჰეროდოტე, 1975, გვ.76).

ჰეროდოტესთან საერთოდ არაა ნახსენები **იბერები**, ამიტომ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სასპეირები იგივე **ჰიბერები/იბერები** არიან (ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია...).

ჰეროდოტესთანვე სასპეირები, მატეინები (მითანელები) და ალაროდელეები (ურარტუელები) გვერდიგვერდ მოიხსენიება; შდრ., ტომთა მეორე ჯგუფი: მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინოდეები და მარები (იხ. იქვე, გვ.227).

ეს ცნობებიც მიუთითებენ, რომ ნაკლებარგუმენტირებულია, სინონიმებად გამოცხადდეს ეთნონიმები: ტიბარენები და სასპეირები. ტიბარენები და სასპეირები აშკარად სხვადასხვა ქართველური ტომია; შდრ.: **სასპეირებისა და იბერების** იგივეობის დაშვებაც შესაძლებელია.

სასპეირების გვიანდელ სახელად, სავარაუდოა, განზოგადდა ტერმინი **იბერები**, რომელიც ადრე ერთი პატარა ტომის სახელი უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ. IV-III საუკუნეების ისტორიკოს მეგასტენეს “ინდიკას” მიხედვით, ნაბუქოდონოსორ II-მ (ძვ.წ. 605-562) **იბერები** პირინეიდან აყარა და პონტოს მარჯვნივ დაასახლა.

სტრაბონის ცნობით (XI,2,18), იბერიაში არის პატარა ქალაქი ფრიქსიპოლოსი, გვიანდელი **იდესა** ანუ **ოდრხე**.

საყურადღებოა ტერმინ **იბერია** სპარსული ვარიანტები:

ძვ.წ. III საუკუნეში ძველ სპარსულად (პართულად) საქართველო (ივერია) იხსენიება როგორც **ვირშან/ვირჩან**, ხოლო საშუალო სპარსულში - **ვ.რუჩან**; შდრ., შაპურ I-ის სამეფოვან წარწერაში სპარსულის პარალელურ ბერძნულ ტექსტში გვაქვს **იბერია** (გ.წერეთელი, 1993, გვ.98).

სტრაბონის აზრით, იბერების მონათესავენი არიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მკვიდრი **სარმატები და სკვითები** (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.145-149); შდრ., ამავე პერიოდში ბერძნები წერდნენ, რომ **მოსხების ქვეყნის ერთი ნაწილი აქვს იბერებს**.

სტრაბონის (და მითრიდატეს ისტორიკოსების) შემდეგ უცხოური წყაროები დღევანდელ აღმოსავლეთ და ისტორიულ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს, ძირითადად, **იბერიის/ივერიის** სახელით (ან მისი ფონეტიკური ვარიანტებით) მოიხსენიებენ; ამავე პერიოდიდან ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში დასავლეთი და ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო **ლაზიკად** იწოდება.

ისტორიული, თუნდაც **ფარნავაზისდროინდელი ქართლის ამგვარი დანაწევრების საფუძველია სპარსეთისა და რომის მიერ საქართველოს განაწილება და არა** საკუთრივ **ქართული რეალობა**.

ჩვენი აზრით, წელთაღრიცხვათა მიჯნიდან ტერმინები: **იბერია/იბერები და ლაზიკა/ლაზები** ბერძნულ-რომაულ წყაროებში პოლიტიკური ვითარების ამსახველი იყო და არა ეთნიკური სინამდვილისა; შდრ.:

იოსებ ფლავიუსისთვის ბიბლიური თობელის (თოვილის) კუთვნილი ტერიტორია არის იბერია/ივირი; კლავდიოს პტოლემეაიოსი (100-178) კი იბერიის საზღვრებს ასე წარმოადგენს:

ჩრდილოეთით სარმატია, დასავლეთით - კოლხიდა (სურამის ქედი), სამხრეთით - დიდი არმენია, აღმოსავლეთით - ალბანია (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.149).

აპიანეს (90-170) ცნობით, იბერებმა 70 000 კაცი დაახვედრეს პომპეუსს მტკვართან (აპიანე, 1959, გვ.199).

დიონისიოს პერიეგეტის (II ს.) “მსოფლიოს აღწერილობაში” თანამედროვე ჭოროხის ჩრდილო-აღმოსავლეთით კასპიისა და შავ ზღვებს შორის არსებულ ყელში ცხოვრობენ აღმოსავლეთის იბერები; შდრ., მისი რწმენით, ჰენიოხები და ძიგიები **პელაზგების** ჩამომავლები არიან, ხოლო კოლხები - ეგვიპტელების (თ.ყაუხჩიშვილი, 1967, გვ.149-151).

შდრ., სოკრატე სქოლასტიკოსი (380-440): “ეს იბერები ცხოვრობენ ევქსინის პონტოსთან; ესენი გამოსულები არიან ისპანიის იბერთაგან” (გეორგიკა, 1961, გვ.229-230);

შდრ., აგრეთვე, სტეფანე ბიზანტიელი: “იბერია ორია, ერთი ჰერაკლეს სვეტებთან, მდინარე იბერისაგან ატარებს სახელს; მას იხსენიებს აპოლოდორე... მეორე იბერია სპარსელების გვერდითაა. ეთნიკურია იბერები, როგორც პიერები, ბიზერები” (გეორგიკა, 1936, გვ.278-279).

იპოლიტე რომაელი (III ს.) იბერებს ათავსებს კაბადოკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეს: “მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეებში, სკვითები, კოლხები და ბოსპორელები” (გეორგიკა, 1961, გვ.19).

შდრ., გელასი კესარიელი (IV ს.): “იმავე ხანებში ღმერთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც ღმერთი არ სწამდათ” (გეორგიკა, 1961, გვ.186). იბერიის ამგვარ მდებარეობას ადასტურებს ეპიფანე კვიპრელი (314-403), თემისტოისი (317-338), ევსევი კესარიელი (260-340), არმენიელი აგათანგელოსი (IV ს.), ამიანე მარცელინე (IV ს.), ერემია სოზომენე (V ს.), რუფინუსი (V ს.), თეოდორიტე კვირელი (393-458), მენანდრე პროტიქტორი (VI), გიორგი ამარტოლი (IX ს.).

განსაკუთრებით საყურადღებოა ნიკიფორე ქსანთოპულოსის (XIII-XIV ს.) ცნობა, რომელიც **იბერია**დ მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს ნაწილსაც:

“იმ მხარეში, სადაც არის დიდი სებასტოპოლისი, აფსარის ციხე, პისის ნავსადგური და მდინარე ფაზისი, მოსახლეობენ: იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები”;

შდრ.: “ხოლო იგი ანდრია წამოვიდა ამისოდან და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკას ქალაქში²⁹... იქიდან წამოვიდა და შეჩერდა იბერიაში; მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში” (გეორგიკა, 1967, გვ.113-114);

შდრ., აგრეთვე, ლაონიკე ხალკოკონდილე (XV ს.): **იბერია** გადაჭიმულია ეგრეთწოდებულ **ბათუმიდან და მდინარე ფაზისიდან ვიდრე ახალციხემდე**; ისტორიკოსის აზრით, **იბერიაში შედის სამეგრელოც, გურიაც...** (გეორგიკა, 1970, გვ.91).

საყურადღებოა კიდევ ორი ცნობაც:

²⁹ “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ანდრია პირველწოდებული მოვიდა ტრაპეზუნტში - მეგრელთა სოფელში; ანუ, ბერძნული წყაროს **ლაზიკა** ნათარგმნია **სამეგრელოდ**.

სტრაბონთან დამოწმებული გადმოცემით³⁰, **ოქროს საწმისი აღმოსავლეთის იბერთა ქვეყანაში, კერძოდ, სვანთა მხარეშია**; ხოლო დედის მხრიდან აბაზგური (მეგრულ-ჭანური? - ტ.ფ.) წარმომავლობის იოვანე ცეცეს აზრით, **იბერების ტომისანი არიან აბაზგებიც** (გეორგიკა, 1967, გვ.23).

თუკი ვერწმუნებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მტკიცებებს (იხ.: ი. ჯავახიშვილი, 1908, გვ.23; ი. ჯავახიშვილი, 1950, გვ.18; ს.ჯანაშია, 1959, გვ.48) და დავუშვებთ, რომ ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებული ქართული პროვინცია **სპერი/ისპირი** (შდრ., „ქართლის ცხოვრება“: მდინარე სპერი - ჭოროხი; სპერის ზღვა - შავი ზღვა), ჰეროდოტეს მიერ ნახსენები თემონიმი **სასპეარები**, ქორონიმი **იბერია** და საქართველოს სპარსული სახელწოდება **ვირშან/ვირჩან** საერთო წარმომავლობის ფუძეებია, მაშინ იბერიის ქართულ ვარიანტად და, საერთოდ, წარმოდგენილ ვარიანტთა ამოსავალ სახედ უნდა დავსახოთ სწორედ **სპერი**³¹. შესაძლოა, დროის გარკვეულ მონაკვეთში, მეზობლებმა **სპერი** - ერთი ქართული მხარის/ტომის სახელი - განაზოგადეს ქართველთა ზოგად სახელად.

წარმოდგენილ ანალიზს მხარს დაუჭერს **სპერ-, იბერ- ბერ-, ვერ-...** ფორმების ფონეტიკურ ვარიანტებად მიჩნევის შესაძლებლობაც; კერძოდ: ლოგიკური სქემის მიხედვით, **სპერ-** ფუძისგან კანონზომიერად ქართულშივე შეიძლება მიგვეღოს, ერთი მხრივ:

სპერ > ძპერ > ძბერ/იბერ (ს > ძ > ი, ს > ძს/ძპ და ს > პ > 0 პროცესები ბუნებრივია ქართველური დიალექტებისათვის), მეორე მხრივ:

სპერ > ჰპერ > ჰბერ > ბერ/ჟერ/ვერ/ვირ;

შდრ.: სპარსულ-სომხური ვარიანტები: ვერია/ვირქი/ვრკან/ვირქან/ჟარუჩან, გურგან, გურჩ/გურჯ; აქედან კი, აზიური თუ ევროპული სხვა ვარიანტები: გეორგია, ჯეორჯია, გურჯისტან, გრუზია; შდრ., აგრეთვე: არაბული წყაროების **ჯურზან/ჯურჯანი** და საქართველოს ერთი ქალაქის, რაიონის სახელი - **გურჯანი**.

სპერ- > ბერ- > ვერ-/ვირ- გზის დაშვების შემთხვევაში ნათელი გახდება სომხურ **ვირ-ქ** ფორმაში **-ქ** სეგმენტის არსი:

სომხური **-ქ** მომდინარე ჩანს კავკასიურ-წინააზიური ენობრივ ველში გავრცელებული **-ხ-** მორფემიდან, რომელიც კრებითობა-წარმომავლობა-მრავლობითობას გამოხატავდა; შესაბამისად, ვირ-ქ-ი, შდრ.: იბერ-ნ-ი, იბერ-ებ-ი. სომხური ფორმის ამგვარ წარმომავლობას ცხადყოფს სომხურშივე დადასტურებული **ვერია** ფორმაც, რომელიც ჯერ კიდევ ფსევდო მოვსეს ხორენეცის გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში დასტურდება.

შენიშვნა: პატრიარქ ნიკონის მატთანეში საქართველოს აღსანიშნავად ერთდროულად სხვა სამი ტერმინია გამოყენებული: კოლესკია/კოლოს, ივერი და გურზი (საქართველოსა და ქართველების... ტერმინოლოგია, თბ, 1993).

ქუთები, კოიტები/კვიტები. “ანაბასისის“ დასასრულს ქსენოფონტე

³⁰ სტრაბონი, 1964, გვ. 473: XI, II, 19; თ.ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 126; შდრ., მიუშენკოს თარგმანი: სტრაბონი, 1879, გვ. 507.

³¹ შდრ., სპერი/ისპირი ჭოროხის ერთ-ერთი სახელია; ს.ჯანაშია, 1952, გვ. 274

ჩამოთვლის იმ ქვეყნების მმართველებს, რომლებიც ბერძენმა მოლაშქრეებმა გაიარეს; აქვე ასახელებს იმ ხალხებსაც, რომლებიც თავისუფალნი არიან; მათ შორისაა კოდეტები:

“**კარღუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოდეტები** და ტიბარენები დამოუკიდებელი არიან“ (ქსენოფონტე, 1967, გვ.115).

თ.ყაუხჩიშვილი ამ ხალხს ქართული მოდგმისად მიიჩნევს და მის სახელად აღადგენს **ქუთ-/კვიტ-** ფუძეს, რომლისგანაც მიღებულად მიაჩნია **ქუთაისის** სახელიც (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.58-59).

საყურადღებოა, რომ მოგზაურობის აღწერისას ქსენოფონტე **კოდეტების** შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ **მოსინიკებსა** და **ტიბარენებს** შორის ასახელებს ერთ ტომს, რომელიც ბერძენებისადმი მეგობრულად განწყობილია; მათაც ხალიბებს უწოდებს (შდრ.: მანამდე ქსენოფონტეს ჯარმა გამოიარა ბერძენთა მიმართ მტრულად განწყობილი, ტაოხების მეზობელი ხალიბების ქვეყანა). შესაძლოა, ქსენოფონტეს (ან მის რომელიმე რედაქტორს) მორჩილ-მეგობრული “ხალიბები” და კოდეტები ერთმანეთში აერია...

ასევე, ვერ გამოირიცხება, რომ **კოდეტების** აღმნიშვნელ სახელთან იყოს დაკავშირებული ამავე ტერიტორიაზე არსებული ქალაქი **კოტიორა** (გვიანდელი ორღუ). აქვე აღვნიშნავთ, რომ ქუთაისის სახელის ყველა ვარიანტის მორფოლოგიური ანალიზი (განსაკუთრებით სვანური **ქუთაშ** << ***ქუთა-ში** << ***ქუთა-იშ-ი**) მხარს უჭერს ტოპონიმის ფუძედ **ქუთა-ს** (ბერძნული ფორმით: კოტა/კოდეტა) განხილვას (იხ. ქვემოთ).

პ.ინგოროყვას აზრით, შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ერთმანეთს ემთხვევა ჯიქეთში მდებარე “ძველი ლაზიკის” თემის სახელწოდება (**ქუთასი/ქოთაში**) და ამჟამინდელი ქალაქის - ქუთაისის - სახელი.

ვფიქრობთ, **კოდეტები** ფორმისთვის ამოსავალია ***ქუთები; შდრ.: VI** საუკუნის მოღვაწის - პროკოპი კესარიელის - ცნობით, ძველად ქუთაისს **კოდეტაიონი** ერქვა); შდრ.: მ.ინაძის მიხედვით, **ქუთ-** ფუძიანი სახელი კოლხთა მიწას, მხარეს აღნიშნავდა (მ.ინაძე, 1994, გვ.64).

საკითხს შემდგომი კვლევა ესაჭიროება.

ჰალიძონები, ხალიბები და ხალდები/ქალდები. ჰალიძონების ტომი დასტურდება ჰომეროსთან; მათი ქვეყანა **ალიბე** შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეა საგულგებელი.

სტრაბონის აზრით, ჰომეროსის **ჰალიძონები, ხალიბები და ქალდები** (რომლებიც ცხოვრობენ ტრაპიზონტისა და ფარნაკიის ზემოთ), ერთი და იგივე ხალხია (XII, 3,19-24). ეს აზრი გაზიარებულია თანამედროვე მეცნიერებაშიც (იხ., მაგ., თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.34-35).

ანტიკურ წყაროებში ხალიბები კოლხურ ტომადაა მიჩნეული (რ.გორდენიანი); აღსანიშნავია ისიც, რომ ხალიბები/ჰალიძონები გაიგივებული აქვს სტეფანე ბიზანტიელსაც (გეორგიკა, 1936, გვ.288); **ეს ტომები რკინის (ლითონის) დამუშავების პიონერებად მიიჩნევიან.**

გარაუდობენ, რომ ურარტულ წყაროებში მოხსენიებული დიდი გაერთიანება **ხალიტუ** ხალიბთა ტომების სახელმწიფო იყო. **ხალიბები** გაიგივე-

ბულნი არიან **ხალდეებთან**; ხალიბებს მოგვიანებით **ჭანებად** იხსენიებენ; მი-
ყვეთ ისტორიულ ცნობებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით:

ჰომეროსი (ძვ.წ. VIII ს.): “ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოს მო-
ჰყვენ ვერცხლის შორეული საბადოდან - ალიბეს მხრიდან“ (ჰომეროსი,
1975, გვ.95).

ტიბარენების მეზობლად ასახელებენ ხალიბებს ჰეკატაძოს მილეტელი
(ძვ.წ. VI ს.) და ფსევდო-სკილაქსი (ძვ.წ. IV ს.).

ჰეროდოტეს მიხედვით, ხალიბები ცხოვრობენ მცირე აზიის ჩრდილო
სანაპიროზე მისიებს, მარიანდინებსა და პაფლაგონელებს შორის (ჰერო-
დოტე, 1975, გვ.45, 660).

ქსენოფონტე (ძვ.წ. IV), სტრაბონისგან განსხვავებით, **ხალიბებსა** და
ხალდებს სხვადასხვა ტომებად მიიჩნევს, კერძოდ: ბერძენმა მოქირავნებმა
ჯერ მძიმე ბრძოლებით გაიარეს **კარდუხების** ქვეყანა, შემდეგ მათ ვანის
ტბის მეზობლად მცხოვრები **ხალდები** შეხვდნენ, შემდეგ ასევე მძიმე ბრძო-
ლებით გაიარეს ტაოხებისა და **ხალიბების** ქვეყნები და შემდეგ, კერასუნ-
ტსა და ორდუს შორის ისევ შეხვდნენ მოსინოაკებს დამორჩილებულ და
ბერძენებისადმი კეთილგანწყობილ **ხალიბებს**.

შდრ., სტრაბონი: “**ხალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ**“ XI,
14,12; XII, 3,12).

ქსენოფონტე, როგორც თვითმხილველი, ბევრად სარწმუნო ცნობებს
უნდა გვაწვდიდეს; ამდენად, ტერმინების: **ხალიბებისა** და **ხალდების** სინო-
ნიმებად მიჩნევა გაჭირდება (შდრ.: ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.419; თ.ყაუხ-
ჩიშვილი, 1976, გვ.147), მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე პორფირო-
გენეტი (912-959) ხალდიის თემის დედაქალაქად ტრაპეზუნტს ასახელებს
(გეორგიკა, 1952, გვ.300).

უფრო ლოგიკური ჩანს, ვივარაუდოთ, რომ **ხალიბები** და **ხალდები**
უკვე ქსენოფონტეს დროს ორი სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ქართველუ-
რი ტომია; არ არის გამორიცხული, რომ მათი სახელები ერთი სიტყვის ვა-
რიანტები იყოს; ამოსავალი ფუძე **ხალ-/ჰალ-** საგულვეტელია მდინარე **ჰა-**
ლისის სახელშიც; **ხალ-დ-**, **ჰალ-ის-** და **ხალ-იბ-** ფორმებში ქართველური
ენობრივი სამყაროს გარეთ საკვლევი დარჩება მხოლოდ **-იბ-** სუფიქსის სა-
კითხი, თუკი გამოირიცხება, რომ **-იბ** არ მომდინარეობს ქართველური -ებ-
კრებითობა-მრავლობითობის სუფიქსისგან (*ხალ-ებ-ი > ხალიბი); შდრ.:
ხალ-დ-/ქალ-დ- ფუძეში -დ-/ად- წარმომავლობა-კუთვნილებითობა-კრები-
თობის ისეთივე მაწარმოებელი შეიძლება იყოს, როგორც -ლ-/ალ-/ელ-, -ნ-
-/ან-/ენ-, -ს-/ის-/ეს- და სხვ. შდრ., აგრეთვე: ხარ- (ხარი) ფუძე და ხალ-
დი/ქართუ - მამრობითი ღვთაება (ფუძეთა მიმართება საკვლევი).

ხალდები/ქალდები ცხოვრობდნენ ვანის ტბის მიდამოებშიც; ურარტუს
დაცემის შემდეგ ამ ტერიტორიის ნაწილი დაიპყრეს მოსულმა **არმენებმა**.
როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან ხალიბთა ცენტრი გადმოდის შავიზღვისპი-
რეთში.

ხალიბებს იაფეტის შთამომავალ ტომად მიიჩნევს ბერძნული ტრადიცია
(იხ., მაგ., გეორგიკა, 1961, გვ.13). ხალიბებს მეომარ და რკინის დამამუშავე-
ბელ ხალხად თვლიან: აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი, დიონისიოს პე-
რიეგეტი (II ს.), ამიანე მარცელინე (IV ს.) და მრავალი სხვა.

სასურადადებოა კიდევ ერთი გარემოება:

იოანე ცეცეს აზრით, სკვითური წარმოშობის ხალიბების ტომი ცხოვრობს ტრაპიზუნტთან ძალიან ახლოს; მათთან მოიპოვება საუკეთესო რკინა (გეორგიკა, 1976, გვ.27-37). აშკარაა, რომ ტერმინი **სკვითები** ამ შემთხვევაში ან ქართველურ-კავკასიურ ტომებს მიემართება, ან უცხო ტომთა ზოგადი სახელია (შდრ.: ბარბაროსი), რამდენადაც რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში სკვითებად იხსენიებიან კოლხებიც, მონღოლებიც, თათრებიც, ხვარაზმელებიც. ლოგიკურია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი, რომ სკვითები ზოგადი ტერმინია, მაგრამ გამოიყენება არა საერთოდ არაბერძენთა, არამედ, მოცემულ კონტექსტში, უცნობ ტომთა აღსანიშნავად.

ჩანს, მოგვიანებით, ზოგ უცხოურ წყაროში ტერმინები: **ხალდები** და **ხალდია** განზოგადდა ქართველურ ტომთა ერთი ჯგუფის აღსანიშნავად; იხ., მაგ., იოსებ გენესიოსი (X ს.):

“შემდეგ შექმნა სახელგანთქმული საერთო ჯარი აგარიანთა, ინდთა, ეგვიპტელთა, ასირიელთა, მიდიელთა, აბაზგთა, ჯიქთა, იბერთა, კაბირთა, სლავთა, ჰუნთა, ვანდალთა და გეტთაგან და ყველა იმათგან, ვინც მანის მწველებლობას იზიარებდა, აგრეთვე ლაზთა და ალანთაგან, **ხალდთა** და არმენიელთაგან და ყოველგვარ სხვა ტომთაგან შექმნა ჯარი და მთელ აღმოსავლეთში გაბატონდა“.

იხ., აგრეთვე: გეორგიკა, 1952, გვ.232 და გეორგიკა, 1966, გვ.111 (ს.ყაუხჩიშვილის კომენტარი ანნა კომენენს ცნობაზე), სადაც გაზიარებულია აზრი, რომ **ხალდები** ლაზურ-ჭანური ტომია.

დიძერები, ბიძერები/ბიზერები, ბუზერები. ჰეკატაეოს მილეტელთან (549-472) დადასტურებული **დიძერები** ცხოვრობენ მდინარე ჭოროხის სამხრეთით, დაახლოებით მდინარე ორხოფიდან მდინარე არხავემდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.44).

ქსენოფონტე ბიძერებს საერთოდ არ ახსენებს, ხოლო იქ, სადაც მან კოლხები ნახა (ტრაპეზუნტ-კერასუნტის მიდამოები), 50 წლის შემდეგ ფსევდო-სკილაქსი აღწერს ბიძერების ტომს, რომლებიც კოლხთა უშუალო მეზობლები არიან; თ.ყაუხჩიშვილის აზრით, ამ ცნობათა განსხვავებულობა შეპირობებულია იმით, რომ ქსენოფონტეს დროს კოლხების სახელი აერთიანებდა იქ მცხოვრებ წვრილ-წვრილ ტომებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.81-84).

აპოლონიოს როდოსელი **ბიძერებს** საპირებსა და კოლხებს შორის მოსახლე ტომად მიიჩნევს (აპ. როდოსელი, 1975, გვ.91); სტრაბონი მათ ჰეკატაკომები-მოსინიკების გვერდით წარმოადგენს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.146); დიონიოს პერიეგეტთან (II ს.) ბიძერები ბეჭირებისა და მაკრონების მეზობლები არიან (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.92). V საუკუნის ანონიმი ავტორი **ბიზერებს** ათავსებს აფსარის წყლიდან ვიდრე არქაბამდე (გეორგიკა, 1965, გვ.3).

თ.ყაუხჩიშვილის საყურადღებო შენიშვნით, ბიძერების სახელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ტოპონიმი **ვიწე**; შდრ., გ. მელიქიშვილს ამ ტერმინის დანაშთად მიაჩნია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული ოლქის სახელი **ოდრხე** (გ. მელიქიშვილი, 1970, გვ.382). ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია **ვიწ-** და **ბიძ-** ფუძეების კავშირი: ბიძ-ერ-; -ერ-/-არ- ქართველური

კრებითობის სუფიქსია; შემდგომ დაკვირვებას საჭიროებს ბიზ-/ბიძ-, ბას-/ფას- (ფას-იან-ი) ფუძეთა მიმართება.

ბიძერების ქართველური (კოლხური) წარმომავლობა სადავო არ ჩანს. ჩვენი აზრით, ამ და სხვა შემთხვევებშიც საკამათოა დროის მოცემულ მონაკვეთში არსებული ყველა ტომის (ხალიბების, ტიბარენების, მოსკინიკების, დრილების...) მეტყველების მიჩნევა საკუთრივ ლაზურ-ჭანურად (შდრ., მაგ., ივ. ჯავახიშვილი, 1960, გვ.423). ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება ითქვას, რომ **ეს ტომები ლაპარაკობდნენ ძველ ქართველურ დიალექტებზე**, რომელთა დიდი ნაწილი საერთოდ დაიკარგა, ნაწილი კი სხვადასხვა პლასტების სახით შემორჩენილია თანამედროვე ქართველურ დიალექტებში (მეგრულ-ჭანურში, სვანურში, მესხურში, მაჭახლურში, ტაოურში და ა.შ.).

ძიღრიტები. არიანეს მიხედვით, “მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიღრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან” (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.158). ძიღრიტები პრიტანიდიდან (ფურტუნ-სუ) აფსაროსამდე ცხოვრობდნენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100); ნ.ლომოუძის აზრით, ძიღრიტებს ეჭირათ დღევანდელი აჭარის ტერიტორია.

არიანეს თხრობაში ფარსმანის სამფლობელოს შავ ზღვამდე გავრცობის აღიარება მეტყველებს, რომ ფარსმანის მიერ აღდგენილი ქართლი მოიცავდა შავიზღვისპირეთსაც.

მაკროკეფალები, მაკრონები. ჰეკატაედოს მილეტელი (549-472) მაკრონებს ასახელებს დიდერებსა და მარებს შორის; მისი აზრით, მაკრონები ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტის რაიონში.

ჰეროდოტეს (ძვ.წ. V) ცნობით, მაკრონები სირიელების მეზობლები არიან. ჰიპოკრატესთვის (460-356) ცნობილი მაკროკეფალები, იგივე მაკრონები, ცხოვრობენ ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.63, 84).

ქსენოფონტე (435-355) მაკრონებს ასახელებს სკვითინებსა და კოლხებს შორის; მაკრონები და კოლხები სხვადასხვა ხალხია: მაკრონები ქსენოფონტეს ბერძენ მოლაშქრეებს ეხმარებიან, კოლხები კი - ებრძვიან; ქსენოფონტესვე ცნობით, ტერმინი **მაკრონი** ამ ტომის თვითსახელწოდებაა (ქსენოფონტე, 1967, გვ.86-87).

ჰეროდოტეს ცნობით, მაკრონებმა კოლხებისგან ისწავლეს წინადაცვლეთა (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43, 52, 63; ჰეროდოტე, 1975, გვ.156); შდრ., თ.ყაუხჩიშვილის აზრით, მაკრონები იგივე სანები/ჭანები არიან (1976, გვ.100); იგი მაკრონებს აიგივებს თანამედროვე მეგრელებთან და **ეგრ-** ძირთან აკავშირებს პტოლემეაიოსის მიერ დადასტურებულ **ეკრიტიკე** ფუძესაც (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.55, 100).

შუუძლებელია, **მაკრონ-** და **ეკრიტიკ-** ფუძეებით ნაწარმოები სახელები ერთსა და იმავე ქართველურ ტომს მიემართებოდეს ერთსა და იმავე ენასა და დროში, მით უმეტეს, მაკრონები ტრაპიზონში ცხოვრობდნენ, იმდროინდელი ეგრისი/ეკრიტიკეს ქვეყანა კი რიონსა და ლალიძგას შუაა; თუმცა, დასაშვებია ამ ფუძეთა საერთო წარმომავლობა (ოღონდ, არა როგორც ე.წ. ქართული და ზანური ვარიანტებისა!).

შდრ., აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. III ს.): “ფილირებს ზემოთ მაკრონებია, მაკრონებს იქეთ - ბეჰირთა გვარი, შემდეგ - საპირთა ტომი, მათ გვერდით - ბიძერები და ზემოთ - მეომარ კოლხთა ტომები“ (1975, გვ.90-91).

არიანეც სხვადასხვა ტომებად თვლის მაკრონებს, სანებს, კოლხებს, სანიგებს... (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99).

დიონიოს პერიეგეტი (II ს.) მაკრონებს ე.წ. პონტოელ ტომებში ასახელებს: ბიძერები, ბეგირები, მაკრონები, ფილირები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები; ესენი ცხოვრობენ “ევქსინის პონტოს სანაპიროზე, ფასისიდან დასავლეთისკენ, ვიდრე თრაკიის სრუტემდე”; თ.ყაუხჩიშვილის შენიშვნით, დიონიოს პერიეგეტის აზრი ეფუძნება ძველ ცნობებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.92).

მაკრონებს ასახელებს ამიანე მარცელინეც (IV ს.): “შავი ზღვის ნაპირზე ხალიბების შემდეგ ვრცელი მიწები უჭირავთ... ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს... ხალხებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან“ (გეორგიკა, 1961, გვ.111).

მიუხედავად იმისა, რომ მემნონსა და სტრაბონს **მაკრონების** გვიანდელ სახელად **სანები** მიაჩნიათ, არიანე მათ მაინც გვერდიგვერდ ასახელებს, როგორც სხვადასხვა ტომებს:

ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე) ცხოვრობდნენ: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები (იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99); თავად არიანე სანებსა და ჭანებს მიიჩნევს სინონიმებად... ეს წინააღმდეგობრივი ცნობები, ერთი მხრივ, სათუოს ხდის მაკრონებისა და სან-ჭანების იგივეობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ცხადყოფს ამ ტომთა ნათესაობას.

V საუკუნის ანონიმი ავტორი, რომელიც არიანეს ეყრდნობა, **მაკრონების** ნაცვლად ასახელებს **მაქელონებს** (გეორგიკა, 1965, გვ.7-8): “ძველი აქეიდან ძველ ლაზიკამდე და მდინარე აქეუნტამდე (სოჭის მიდამოებში) უწინ ცხოვრობდნენ ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანხლენები, **მახელონები**, კოლხები და ლაზები, ახლა კი ცხოვრობენ ზიხები“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.130; აქვე იხ. აგრეთვე: მახერონ- და მანრალ-ფუძეები); მინაძის აზრით, **მახელონები** იგივე **მაკრონებია** (მინაძე, 1953, გვ.231-233).

მახელონ-/მაქელონ- და მაკრონ- ფუძეებს შორის დიდი მსგავსებაა; შეგვიძლია დავუშვათ სიტყვა-ფორმათა მექანიკური დამთხვევა, თუმცა, შეიძლება ვილაპარაკოთ მათ საერთო წარმომავლობაზეც; კერძოდ: *მაქარ-ონ- — მა-ხელ-ონ- — მა-ქრ-ონ/მა-კრ-ონ-:

საყრდენი ფუძეა *კარ-/ქარ-/კრ-/ხელ- (შდრ.: ქარ-თ-/კარ-დ-); **მა-** და **-ონ-** ქართველური აფიქსებია; შდრ., აგრეთვე, **მაკრიელები**: მა-კრ-იელ- (სქოლიასტის განმარტებით, **მაკრიელები** მაკრონები არიან; აპ. როდოსელი, 1975, გვ.70, 231).

ფასიანები. ამგვარი სახელწოდების ტომს ახსენებს ქსენოფონტე (ძვ.წ. V–IV ს.):

“...[სტრატეგოსები] მოვიდნენ ქსენოფონტთან და უთხრეს, რომ ისინი ინანიებენ [ყოველივეს]. ამასთან, გამოთქვეს აზრი, რომ რადგანაც ჩვენ გვაქვს ხომალდები, უმჯობესია გავცუროთ ფასისისკენ და დავიპყროთ ფა-

სიანთა ქვეყანა. იქ მაშინ აიეტის ჩამომავალი მეფობდა“.

შდრ., ესქილე “განთავისუფლებულ პრომეთეოსში“ ევროპისა და აზიის საზღვრად ფასისს თვლის, ხოლო ფასიანები ტაოხების, ხალიბების და ჰესპერიტების (სვისპირიტების, სასპეირების) მეზობლები არიან. ფასიანებს ამავ ტერიტორიაზე ასახელებს დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I ს.): კარდუხები, არმენიელები, ხაები (ე.ი. ტაოხები), **ფასიანები**, ხალდები, სკოტინები, მაკრონები, კოლხები, მოსვინოიკები, ტიბარენები (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.124).

კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) ცნობების მიხედვით, არაქსი ფასისია, აქვეა ქართული (იბერთა) პროვინცია ფასიანი/ბასიანი (გეორგიკა, 1952, გვ.271-272).

ლოგიკური ჩანს ვარაუდი, რომ არაქს-ფასისის რეგიონში არსებული ძველი ტერმინი **ფასიანები** შემონახული იყოს ტოპონიმ **ბასიანის** სახით.

ფას- (> **ფსა**) ძირი ქართული წარმომავლობისაა და წყალს ნიშნავს; შდრ.: სუ-ფსა (< სურ-ფსა < სურების ფსა - სურების წყალი; შდრ.: ფს-ელ-).

საყურადღებოა თ.მიქელაძის დაკვირვება ბერძნულ მითოლოგიაში კოლხების ეთნარქის - კოლხის - შესახებ; კერძოდ, **ეთნარქი კოლხი ფასისის შვილად არის მიჩნეული**, ფასისი კი წყლის ღვთაებაა (თ.მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974).

აქ საინტერესოა ის, რომ ბერძენთა ცნობიერებაში წყლის ღვთაება (შესაბამისად, მდინარეების აღმნიშვნელი სიტყვა) **ფასისი** და კოლხიდა (მხარე მდინარეებუხვი?) ფაქტობრივ სინონიმებადაა მიჩნეული, რაც ლოგიკურია, მაგრამ, ამის მიუხედავად, არა გვაქვს საფუძველი, რომ თუნდაც ქსენოფონტეს დროს არაქსიდან კავკასიონამდე არსებული ტერიტორია ერთი ქართული ტომის - ფასიან-კოლხების - საცხოვრისად გამოვაცხადოთ; როგორც აღვნიშნეთ, ამ რეგიონში გაცილებით მეტი ქართველური ტომი ცხოვრობს; მაგ., ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) მიხედვით: ბიძერები, კოლხები, გელონები, მელანქლადენები, კოლხები, კორაქსები, ჰენიოხები, აქადები, ტორეტები, კერკეტები... თავად ქსენოფონტე მხოლოდ არაქსისა და ჭოროხის ხეობაში ასახელებს: ტაოხებს, ხალიბებს, სკვითინებს; შდრ., არიანე (ახ.წ. II ს) - არაქსიდან კავკასიონამდე: ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები...

ერთი რამ ფაქტია: **ფასიანები** და **კოლხები** სხვადასხვა ქართველურ ტომთა სახელებია, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთებში, სხვა **თემონიმა** მსგავსად, განზოგადებული იყო ქართველური მოდემის ხალხის აღსანიშნავად.

ეკექედრები/ეკხირიელები, ეკრიკტიკ/ეკრექტიკე. ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) ცნობების მიხედვით, ეკექედრები ცხოვრობდნენ მდინარეებს: არქაბისსა და ოფიუნტს შორის; მათი საცხოვრისი ივარაუდება ათინას (ფაზარის) რეგიონში; გ.მელიქიშვილი ამათ სახელწოდებას უკავშირებდა - ეგრ- (ეგრისი) ძირს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.84). შდრ., V საუკუნის პერიპლუსში დაცული ცნობა: “მდინარე არქაბიდან მოკიდებული ვიდრე

ოფიუნტის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ეგრეთ წოდებული **ეკხირიელე-ბის** ტომი (ხოლო ამჟამად ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიონები). აფსარის წყლიდან ვიდრე მდინარე არქაბემდე წინათ ცხოვრობდნენ ეგრეთ წოდებული ბიზირები; ამჟამად ცხოვრობენ ზიდრიტები“ (გეორგიკა, 1965, გვ.3).

ამჟარაა, რომ საქმე გვაქვს დაწერილობის მცდარ წაკითხვასთან: **ეკხირიელები და ეკექეალები** ერთი და იგივე ხალხია; აქვე განსახილველია ტერმინი **ეკრიკტიკე**, თუმცა, პტოლემეაიოსის მიერ დამოწმებული **ეკრიკტიკეს** ქვეყანა არის რიონის მიდამოებში (ამავე ტერმინს იმოწმებენ: პომპონიუს მელა, პლინიუსი...).

წარმოდგენილ სიტყვათა, აგრეთვე, მაკრონ-, მახერონ- მანრალ-, კერკეტ-, კეგრიტიკე- ფუძეთა ამოსავალ ფორმად განიხილება **ეგრ-** ძირი (ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.233, 257); **ეგერ-/ეგორ-** ფუძე მართლაც შეიძლება დავსახოთ **ეკექეალები /ეკხირიელები /ეკრიკტიკე /ეკრექტიკე** სიტყვების ამოსავლად, მაგრამ მაკრონ-, მახერონ- და მანრალ- ფუძეთათვის ამოსავლად მისი მიჩნევა გაჭირდება.

4.3. ჰენიოხები, სანები, ჭანები, ლაზები, აფხაზები, აფშილები, აფსარები, აფსუები, სვანები, სვანოკოლხები, ამარანტები, დვალეები, ტუსკები/ თუშები...

ჰენიოხები/ჰენიოქები. ძველი წყაროების მიხედვით, ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე ცხოვრობენ, ხოლო შედარებით ახალი, I-II საუკუნეების ცნობების მიხედვით კი, ისინი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე - რიზე-აფსაროსის რეგიონში ჩანან; კერძოდ:

ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) ცნობების მიხედვით, აქადები და ჰენიოქები თანამედროვე ტუათსესა და გაგრას შორის უნდა ვივარაუდოთ, საიდანაც, შემდგომ, ჭიქების დაწოლის გამო, ისინი სამხრეთით გადაადგილდნენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.83; თ.ყაუხჩიშვილი, 1980);

არისტოტელეს აზრით (384-322), “ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყავისგამზდელი ტომი, შემდეგ კი მილეტელები“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.19, 57, 73).

პლინიუსი (ძვ.წ. I ს.): “ამ მხარეში მთებს იქით მდებარეობს იბერია, ხოლო სანაპიროზე ცხოვრობენ ჰენიოხები, ლაზები...”.

სტრაბონი ვრცლად მსჯელობს ჰენიოხთა შესახებ; მისი რწმენით, კავკასიელი ჰენიოხები არიან ბერძენი (ლაკონელი) ჰენიოხების შთამომავლები, რომლებიც პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გადმოსახლდნენ იასონის ლაშქრობის შემდეგ და რომლებიც ზღვაზე მეკობრეობით ცხოვრობენ; მათ ჰყავთ 4 ბასილევსი (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.137).

კოლხთა მეზობლად ასახელებს ჰენიოხებს ი. ფლავიუსი (I ს.).

აფსაროსამდე (გონიომდე) ნახა ჰენიოხები არიანემ (II ს.); მისი ცნობით, ჰენიოხებსა და მაკრონებს ერთი მეფე ანქიალე ჰყავთ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.101).

აპიანე (II ს.) ჰენიოხებს ასახელებს მითრიდატეს მოკავშირეებში ტავრების, აქეელების, ლეგკოსირების, ხალიბების, სკვითებისა და არმენიელების გვერდით (აპიანე, 1959, გვ.23, 25, 144, 196).

V საუკუნის ანონიმი ავტორი, რომელიც არიანეს მიჰყვება, ჰენიოხთა ტომს ნარევად აცხადებს და მათ ასახელებს საკუთრივ კოლხების (აგრეთვე, სანებად ჩათვლილი დრილების) და მაქლონების შემდეგ, ზიდრიტებამდე და ლაზებამდე, ე.ი. შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (გეორგიკა, 1965, გვ.7-8).

შავი ზღვის სანაპიროზე ასახელებენ ჰენიოხებს უფრო გვიანაც; II საუკუნეში ისინი მაკრონ-მახლონებთან ერთად რიზე-აფსაროსს შორის ქმნიან ერთიან სახელმწიფოს; IV-V საუკუნეებში კი შავი ზღვის სანაპიროზე ჰენიოხები აღარ ჩანან (თ.ყაუხჩიშვილი, 1980, გვ.68-71).

ლინგვისტურ გამოკვლევებში **ჰენიოხ-** ფუძე დაკავშირებულია **ჭან-** ძირთანაც: **ჭან-/ჰენ-** > **ჰენ-**; **ჰენ-** ფუძე **ჭან-**ის სვანურ ვარიანტად მიიჩნევა; საერთოქართველურ ფორმად ივარაუდება ***წენ-** (ბ.გიგინეიშვილი).

ჭან- და **ჰენ-** ძირებს შორის **ჭან-** ფორმის ძირითადობას ხელი შეიძლება შეუშალოს იმ ფაქტმა, რომ ბერძნულ წყაროებში ჰენიოხ- ძირი თითქმის 500 წლით ადრე ფიქსირდება, ვიდრე **ჭან-**; ჰენ- და ჭან- ფუძეთა საერთო წარმომავლობა შესაძლებელია, მაგრამ ფონეტიკური პროცესების სხვა გზა

შეიძლება დავუშვათ (იხ. ქვემოთ).

ჩვენი აზრით, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ცალ-ცალკე ტომებად თუ თემებად არსებობდნენ ჰენიოხებიც, სანებიც, სანიგებიც, ჭანებიც... მათ კონკრეტული საცხოვრისი და თავიანთი სამეტყველო ენა/დიალექტი ჰქონდათ. ცხადია, დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი მონათესავე ტომს შეერია (და გაქრა).

სანები, ჭანები. მემნონისა (I ს.) და სტრაბონის (I ს.) მტკიცებით, “ისინი, ვინც წინათ მაკრონები იყვნენ, ახლა სანები არიან“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.94, 146, 233; თ. ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.22).

არიანე (II ს.): კოლხების მეზობლები არიან **ჭანები, იგივე სანები**; თ. ყაუხჩიშვილის დასკვნით, რამდენადაც არიანე იყენებს ოთხ პარალელურ ფორმას (სანნოი, ტსანნოი, თიანნოი/ტიანნოი, ტუანნოი), ცხადია, რომ ბერძენს უჭირს ქართული ჭ-ს წარმოთქმა (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99-100).

არიანეს აზრს ეხმიანება დინისიოს პერიეგეტის (II ს.) კომენტატორის - ევსტათი ეპისკოპოსის (XII ს.) განმარტებაც: “ძველ მაკრონებს ახლა სანები ეწოდებათ, რაც ადგილობრივი გამოთქმით “ჭანებს“ ნიშნავს (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.94); შდრ., პროკოპი კესარიელი: **ლაზები კოლხები** არიან“ (გეორგიკა, 1965, გვ.120).

ჭანებისა და სანების სახელთა დაკავშირება, ალბათ, რეალურია; შესაძლოა მათი საერთო წარმომავლობის მტკიცებაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ სომხური **ჭანივ-/ჭანეთ-** ფორმის დამოწმებით **ჭან-** და **სან-** ფუძეების სინონიმურობა ნათლად და დასაბუთებული ბ. გიგინეიშვილის მიერ.

ს. ჯანაშიას აზრით, ამოსავალია სან- ძირი, რომლის თავკიდური ბგერიდან ჩრდილოეთ სამეგრელოში წარმოიქმნა ზან-/წან-, ხოლო სამხრეთ სამეგრელოში (ჭანეთში) - ჭან-. არნ. ჩიქობავას ვარაუდით, **სანი** იგივეა, რაც **ზანი**.

ამიანე მარცვლინეს “ისტორიაში“, ერთი მხრივ, ჭანების ქვეყანა, მეორე მხრივ კი - ლაზიკა **არმენების** მეზობლადაა; მემატიანის ცნობით, სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა **ჭანების** ლეგიონის მეთაური ვეტრანიონი. ძველი კომენტატორები - ანრი ვალუა და ლინდენბროგი აღნიშნავენ:

“ამ კონტექსტში მოხსენებული **ძიანნი**, იგივე **ძანნი**, **თზანნი**, **შანნი** და **თჰანნი**, ლაზებისა და სომხების მოსაზღვრე ხალხია“ (გეორგიკა I, 1961, გვ.89, 124, 128, 161, 173); აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ქსენოფონტეს მიერ ნანახი **ხალდეებიც** კარდუხების მეზობლად (იმავე არმენების მიერ დაპყრობილი მიწების!), მთებში ცხოვრობენ, შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ, რომ ხალდეებიც და ჭანებიც კარდუხების მონათესავე თუ **კარდუხების** შემადგენელი ტომები არიან.

შდრ.: “ხალდეები, რომლებიც ჩვეულებრივ ერთ-ერთ ჭანურ ტომად არის მიჩნეული, ასევე განთავისუფლებულან სპარსთაგან და ამ დროისათვის არმენიელებთან და მარდებთან ერთად სპარსელი სატრაპის, ორონტას და მისი სარდლის - არტუხას მოქირავნეები არიან...“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.53).

ამ თვალსაზრისით, მეტად ფასეულია **მ. ხორენაცის ცნობა** კეისარ ტა-

კიტეს მკვლევლობის შესახებ:

“ტაკიტუსი თავისიანებმა მოკლეს პონტოელთა ჭანეთში, ესე იგი **ხალდეთში**“ (მოვსეს ხორენაცი, 1984, გვ.162, 277); შდრ., ს.ყაუხჩიშვილის თარგმანი: “ტაკიტე მოკლულ იქნა პონტოს პროვინცია **ჭანიუკში**, ესე იგი **ხალტიკში** (გეორგიკა, 1936, გვ.262, შენიშვნა).

ჭანიკეს ქვეყანას პონტოში მოიაზრებს იოანე მალალაც (491-578):

“იმავე ტაკიტეს მეფობის დროს მოხდა ომი პონტოში და თვით მეფე გამართა იქ საომრად და ის მოკლული იქნა პონტოს ერთ ქვეყანაში ჭანიკეში...“ (გეორგიკა, 1936, გვ.262).

პროკოპი კესარიელი ვრცლად მსჯელობს ჭანების შესახებ; იგი თვლის, რომ **ჭანები** არ არიან ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი; ჭანები - არაზღვისპირა ხალხი - ცხოვრობენ მთებში, შუახმელეთზე, არმენიელების გვერდით: “...იმ ადგილების მარჯვნივ აღმართულია ჭანეთის მთები, რომელთა გადაღმა რომაელთა ქვეშევრდომები, არმენიელები ცხოვრობენ. ამ ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე, სახელად - ბოასი, რომელიც მას შემდეგ, რაც გამოივლის მრავალ ჭალას, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ე.წ. ევქსინის პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი, ვინაიდან, როდესაც ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს... მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები **აკამფსის** უწოდებენ...” (გეორგიკა, 1965, გვ.120-122).

შდრ., აგრეთვე: “არმენიის ადგილებიდან პერს-არმენიაში რომ მიდინარ, მარჯვნივ არის ტავრი, მიმავალი იბერიაში და იქ მოსახლე ხალხებამდე, ხოლო მარცხნივ მეტად დაქანებული, დიდ მანძილზე გაჭიმული გზა არის და აღმართულია მეტად ციცაბო და მუდამ ნისლითა და თოვლით დაფარული მთები, საიდანაც გამოდის მდინარე ფაზისი და მიდის კოლხეთის ქვეყნისაკენ. აქ მოსახლეობს **ჭანების ტომი**, თავიდანვე ბარბაროსები, რომელნიც არავის ქვეშევრდომები არ არიან, წინა ხანებში **სანებად** წოდებული, ირგვლივ მოსახლე რომაელების მძარცველნი“ (გეორგიკა, 1965, გვ.53)³².

ბიზანტიურ წყაროებში სხვადასხვა ტომად ითვლება ჭანი და ლაზი; ნიკიფორე გრიგორასი (XIVს.):

XIV საუკუნის I ნახევარში ტრაპიზონის იმპერიაში მეფე ბასილის ქალიშვილსა და ცოლს შორის დაწყებული შინაბრძოლების დროს **ლაზები**, **ჭანები** და ყველა სხვა ადგილობრივი თავიანთ მშობლიურ, კომენოსთა ოჯახიდან გამოსულ, დედოფალ ანა ხუთლუს აძლევდნენ უპირატესობას, პალეოლოგოსთა გვარიდან გამოსულ ირინესთან შედარებით (გეორგიკა III, 1967, გვ.146).

ს.ყაუხჩიშვილი: “ერთ-ერთი შესაძლებელი ახსნა (იმისა, თუ რატომ ვერ მოახერხა ბიზანტიის იმპერიამ, ისევე შეეერთებინა ტრაპეზონის სამე-

³² ნათელია, რომ აქ იგულისხმება მდინარე **ჭოროხი** (და არა - რიონი). აქვე აღვნიშნავთ:

ლაზებისა და ჭანების განსახლების, ასევე, ლაზეთის ეპარქიის საზღვრების შესახებ ბოლო პერიოდში საინტერესო არგუმენტები წარმოადგინა პროფ. ა. ჯაფარიძემ /იხ., მიტროპოლიტი ანანია, საქართველოს ისტორია საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით, თბ., 2013/.

ფოს ტერიტორია, როგორც ბიზანტიის იმპერიის დანარჩენი ტერიტორიები) ის იქნება, რომ ჩვენ ვაღიაროთ: “ტრაპიზონის სამეფოს“ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართული ტომისაგან - **ჭანებისაგან** - შედგებოდა“ (გეორგიკა, 1967, გვ.164).

სანიგები/სანიხები/სანიკები. მემონის მიხედვით (I ს.), სანიგები ჩანან დიოსკურიის მიდამოებში ლაზებთან ერთად. აქვე ადასტურებს მათ პლინიუსიც და არიანეც; მაგ., იხ. არიანე:

“ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე) ცხოვრობენ კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები“.

შდრ., არიანე: **ლაზები ცხოვრობენ ჭოროხიდან კოდორამდე;** კოდორის ხეობაში ცხოვრობენ აფსილები; აფსილების საცხოვრისის (კოდორის ხეობის) შემდეგ მდინარე შახემდე - **სანიგები;** სანიგების ტერიტორიაზეა ქალაქი სებასტოპოლისი (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.23, 99, 171-172). მეცნიერთა ნაწილი სანიგებს ზანებად მიიჩნევს, ნაწილი - **სვანებად.**

ჩვენი აზრით, სულაც არ არის აუცილებელი **სანიგების** გაიგივება ზანებთან თუ სვანებთან; სხვადასხვა ავტორთან სანიგები სანების, ლაზების და სვანების პარალელურად სახელდება და, ბუნებრივია, ისინი იმ ერთ-ერთ ქართველურ ტომად ჩავთვალოთ, რომელიც გაქრა ასპარეზიდან.

იპოლიტე რომაელის (III ს.) ცნობით, კაპადუკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერიელები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეებში - სკვითები, კოლხები და ბოსფორელები. “სანები, ეგრეთწოდებული სანიგები, რომლებიც გადაჭიმული არიან ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის პარემბოლე აფსაროსი [და სებასტოპოლისი], ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი, ვიდრე ტრაპეზუნტამდე ცხოვრობენ და გადაჭიმული არიან ეს ტომები“ (გეორგიკა, 1961, გვ.20).

შდრ., ევსევი კესარიელი (260-340):

“კაბადოკიის გადაღმა მარჯვნივ არიან არმენიელები, იბერები და ბერანები, ხოლო მარცხნივ - სკვითები, კოლხები და ბოსპორანები, აგრეთვე [სანები], რომელთაც სანნიგები ეწოდებათ და რომლებიც ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლი [კაუსილიმანი], და მდინარე ფაზისი. ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული არიან ეს ტომები“ (გეორგიკა, 1961, გვ 31-32).

აფსილებთან, ბექედრებთან და ლაზებთან ერთად აბაზგიის მეზობლად მცხოვრები სანიგები სკვითურ ტომადაა ჩათვლილი სტეფანე ბიზანტიელის (IV-VII ს.) მიერ. იხ., ბასილი სოფენელი (IX ს.):

“...რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს იქ, ვიდრე ლაზების და სანიგების ქვეყნამდე, დაფუძნებულ იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები...“ (გეორგიკა, 1952, გვ.201).

სამეცნიერო ლიტერატურაში **სანიგი/სანიხი**, ერთი მხრივ, მიჩნეულია ჰენიოხის ფონეტიკურ ვარიანტად, ჰენიოხთა მეორე სატომო სახელად (მართლაც, ჰენიოხებიც და სანიგებიც ერთ საცხოვრისში მოიაზრებიან), მეორე მხრივ კი, სანიგები და სანები ერთმანეთთანაა გაიგივებული.

რამდენადაც **სანიგები, ჰენიოხები** და **სანები** არიანესთან ერთდროუ-

ლად სახელდებიან, თანაც, სანიგები და სანები სხვადასხვა ადგილზე ცხოვრობენ, უფრო ლოგიკურია, დაეუშვათ, რომ ეს სამივე ქართველური ტომი დროის რაღაც მონაკვეთში დამოუკიდებლად არსებობდა. მათი ნათესაობის სამტკიცებლად საკმარისი ჩანს არა მხოლოდ საცხოვრისის ქართველური არეალი, არამედ მათ აღმნიშვნელ სახელთა საერთო წარმომავლობაც; შდრ.:

სან-/*ჰან- > ჰენ-: სან-ი, სან-ი-ხ-ი, სან-ი-გ-ი/სანიკი და *ჰენ-ი, ჰენ-ი-ო-ხ-ი; **ხ-/-გ-** კრებითობის სუფიქსია.

ნიშანდობლივია: სანების, სანიგების და ჰენიოხების გაიგივებისა თუ ერთმანეთში აღრევის რომაულ-ბიზანტიური ტრადიცია ამ ტომთა საერთო წარმომავლობითა და ახლო ნათესაობითაა განპირობებული. არაიშვიათად, ზოგი თანამედროვე ავტორიც ერთმანეთთან არასწორად აიგივებს ძველ ქართველურ ტომებს; მაგ., ნ. დობორჯინიძე ცდილობს რა დაასაბუთოს, რომ მეგრელები და სვანები უძველესი დროიდანვე საკუთარი “ენების” მქონე ხალხებია, აცხადებს, რომ **სვანები** არიან ბერძნული წყაროების **სანები**³³. სინამდვილეში, იპოლიტე რომაელის ტექსტში ტერმინი **Σάνοι** იკითხება როგორც **სანი და არა - სვანი**; შდრ., ბერძნულად **სვანი** სხვაგვარად იწერება: **Σόανες**³⁴; შესაბამისად, რომელიმე ისტორიული წყარო თუ თანამედროვე ფაქტი საფუძველს არ იძლევა, ვინმემ ქართულენოვანი ეროვნული სამწიგნობრო კულტურის მიღმა დააყენოს **სვანი, ჰანი, ლაზი** თუ **მეგრელი**; ისინი “**უმწიგნობრო ენების**” მქონე “**მცირე ხალხებად**” გამოაცხადოს და წაართვას მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის შექმნაში მონაწილეობის დიდი ისტორია³⁵.

ლაზები. ბერძნულ-რომაულ წყაროებში ლაზებს პირველად ახსენებს მითრიდატეს ისტორიკოსი მემნონი (I ს.) “ჰერაკლეს ისტორიაში”³⁶. მემნონი ლაზთა საცხოვრისად მკაფიოდ განსაზღვრავს დიოსკურიის მიდამოებს (სოხუმი-ანაკოფიის რეგიონს); ლაზებთან ერთად მემნონი ასახელებს **სანეგებს/სანიგებს** (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.24; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.171-172).

არიანეს (95-175) ცნობით, არსებობდა ქალაქი **ძველი ლაზიკე**, რომელიც მან თავისი თვალთ ნახა; მოგვიანებით ამ ქალაქს ნიკოფსიად მოიხსენ-

³³ ნ. დობორჯინიძე, რელიგიური ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროები სამწერლობო და არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ. კრ., ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2007, გვ. 264.

³⁴ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთთან სამართლიანადაა გაიგივებული **სანები** და **ჰანები**, რომლებიც, ასევე, ქართველები არიან; ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 123-126.

³⁵ გადამწყვეტ არგუმენტად ვერ გამოდგება ურთიერთგამომრიცხავი ბერძნულ-ბიზანტიური ცნობები; აუცილებელია ქართული თუ უცხოური ისტორიული ცნობების სწორად წაკითხვა და კრიტიკულად გააზრება.

³⁶ ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ ლაზებს პირველად ახსენებს **პლინიუსი**.

ნიებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99); ამკარაა, რომ ახალ წელთაღრიცხვამდე ლაზები დიოსკურიის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ.

არიანესთან **ლაზები** და **კოლხები** თანაარსებობენ და სხვადასხვა ტომები არიან (ძველი ბერძნები... 1983, გვ.159). არიანე (II ს.) თავის “პერიპლუსში” წერს: “ამჟამად ლაზებს უჭირავთ ტერიტორია ძიდრიტებიდან აბასკებამდე“; ე.ი. დაახლოებით ჭოროხიდან კოდორამდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.23; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100). “ლაზებს იქით ცხოვრობენ აფსილები, აფსილების მოსაზღვრეები არიან აბაზგები, აბაზგების მეზობლად არიან სანიგები, რომელთა ქვეყანაში მდებარეობს სებასტოპოლისი“; მაშასადამე, სებასტოპოლისი-ცხუმი აბაზგების ტერიტორიაზე კი არ ყოფილა, არამედ სანიგების ქვეყანაში...³⁷.

შდრ., არიანე:

ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე, ამჟამინდელ ნოვომიხაილოვსკაიამდე) ცხოვრობენ შემდეგი ტომები: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები. საკუთრივ ლაზები ცხოვრობდნენ აფსაროსიდან (გონიო თუ სარფი) დაახლოებით მდ. კოდორის (ძველი ჰოპოსი) შესართავამდე.

შდრ., სტეფანე ბიზანტიელი (IV-VII ს.): ლაზები - სკვითური ტომი, არის [ბონტოში], აქვეა სოფელი “ძველი ლაზიკე“, როგორც ამბობს არიანე... (გეორგიკა, 1936, გვ.281).

ასტრონომიისა და გეოგრაფიის ფუძემდებელი კლავდიოს პტოლემემაფოსი (100-178) **კოლხიდას** უწოდებს ტერიტორიას მდ. კორაქსიდან (ბზიფიდან) მდ. ფასისამდე (რიონამდე), სადაც ცხოვრობენ ტომები: **ლაზები, მანრალეები და ეკრიკტიკის** (ეგრისის) ქვეყნის მცხოვრებნი; ამ კოლხიდის ჩრდილოეთით - სარმატიაში - ცხოვრობენ: აქადები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100, 160).

შემდგომ პერიოდში **ლაზები** უფრო აქტიურად იხსენიებიან; ტერმინი ლაზიკა უკვე პოლიტიკური ერთეულის სახელად ზოგადდება, რომელსაც ზოგ წყაროში **აფაზეთიც** ენაცვლება; მაგ., ამიანე მარცელინე (IV ს.) წერს:

იმპერატორი ვალენტი “დათანმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდ. კიროსი (მტკვარი) დადებულყო და სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა“; მახურის “მოსვლით შეშინებულმა პაპამ და ასევე კილაკემ ...სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე.ი. ჩვენს მიწებს] ლაზიკისაგან ჰყოფენ“ (გეორგიკა, 1961, გვ.90, 128).

შდრ., აგრეთვე, აგათანგელოსი (IV ს.):

“წმინდა გრიგოლი... ზოგ [მღვდელს] გზავნიდა **იბერთა ქვეყანაში**, ზოგს **ლაზთა ქვეყანაში**.“ საინტერესოა არაბული თარგმანი, სადაც იბერიის ნაცვლად არის **misist ad Georgian**, ხოლო ლაზიკის ნაცვლად - **ad regionem Abchazorum** (გეორგიკა, 1961, გვ.71)...

საყურადღებოა, რომ ეპიფანე კვიპრელი (314-403) ლაზებს სემის შთამომავლად თვლის (სემისა: კაბადოკიელები, ფინიკები, პონტოელები, მარ-

³⁷³⁷ გეორგიკა, 1952, გვ.235; ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა.

მარიდები... ხალიბები, ლაზები, მოსინიკები, იბერები, ფრიგიელები...), ხოლო კოლხებს - იაფეტისად (იაფეტისა: მიდიელები, არმენიელები, ამაზონები, კოლხები, კაბადოკიელები, ტიბარენები, ხალიბები, მოსინიკები, კოლხები, სკვითები...); სემის ტერიტორიაში შედის: პალესტინა, სირია, ევროპა, ლაზია, იბერია, კასპია... (გეორგიკა, 1961, გვ.39-41).

ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი (IX ს.) ლაზიკის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრად მიიჩნევს ტრაპეზუნტს; კერძოდ, ირაკლი კეისრის ლაშქრობის აღწერისას ის წერს: “ირაკლიმ სცადა, ლაზიკის გზით შეჭრილიყო სპარსეთში; როდესაც მოაღწია ტრაპეზუნტამდე - ლაზიკის საზღვრამდე, მისმა ცოლმა შვა ძე“; 1042 წელს ქართულად გადმოღებულ ამ ტექსტში **ლაზიკა თარგმნილია სამეგრელოდ:** “და მოაღწია რა ტრაპეზუნტედ - სანახებთა სამეგრელოდსათა...” (გეორგიკა, 1952, გვ.207-208).

შდრ., აგრეთვე: ნიკეტა ხონიატეს (XII ს.) ბიზანტიის კეისრის - მანუელის ტიტულუმში შეაქვს: ლაზთა, იბერთა, ბულგართა, სერბთა... ღვთივმმართველი (გეორგიკა, 1966, გვ.131).

შდრ., თამარის ისტორიკოსი:

1204 წელს თამარმა ბერძენთა მეფეს წაართვა: ლაზია³⁸, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია... (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ.141-142). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ მეფეებს ლაზეთი/ლაზია არასოდეს უცვნიათ თურქეთის შემადგენლობაში (პ.ინგოროყვა, 2003, გვ.40).

რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში მიღებულია აზრი კოლხებისა და ლაზების იგივეობისა; შდრ., მაგ., იოანე ლიდე: “კოლხიკე, რომელსაც ახლა ლაზიკეს ეძახიან...” (გეორგიკა, 1965, გვ.242); იოანე ცეცე: “კოლხები სკვითები არიან, მათ ლაზებიც ეწოდებათ და ცხოვრობენ აბაზგების, წინანდელი მასაგეტების მახლობლად (გეორგიკა, 1952, გვ.7; თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.132)...

მიუხედავად ამისა, არალოგიკურია, ვილაპარაკოთ ამ ტერმინთა სინონიმურობაზე, რამდენადაც ორივე გამოყენებულია როგორც ვიწრო ეთნიკური, ასევე, ფართო პოლიტიკური მნიშვნელობით; მით უმეტეს, შეუძლებელია, იდენტური იყოს მათი ზოგადი შინაარსი, ვინაიდან ძველი კოლხეთი გაცილებით ფართო არეალს მოიცავდა; ერთი კი უდავოა:

ლაზებისა და ჭანების წინაპრებიც, ხალიბებიც, ხალდეებიც, მუშქებიც და ბევრი სხვა ტომიც ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდის კოლხურ თუ

³⁸ ქართული წყაროს **ლაზია** მოიცავს ეგრისის იმ ნაწილს, რომელიც დაპყრობილი ჰქონდათ ბერძენებს, კერძოდ, ტერიტორია: **რიზედან ტრაპიზონამდე;** სწორედ ეს “ლაზია“ შევიდა ტრაპიზონის იმპერიაში:

"ცნა რა ესე თამარ მეფემან ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმინდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხუნა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა **მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი** (იგულისხმება ეგრისის ცენტრალური ნაწილის მკვიდრნი - ტ.ფ.), და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტ[ი]ორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თჳსსა **ალექსის კომნინანოსსა**, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თუთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი“.

მოსხურ მოდგმად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ ტომთა გაერთიანებას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა.

ლაზ- ფუძეს ქართველურ ენობრივ ველში ფონეტიკური ვარიანტები არ უჩანს; სავარაუდოა, რომ ლაზ- ფუძე უცხოური წარმომავლობისა იყოს (შდრ., ქართველური წარმომავლობის ეთნონიმებს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი უდასტურდებათ).

აბაზები, აფხაზები, ებზეები/ობზეები, აბაზგები/აბასკები, აბაძახები/აბაზახები

აფხაზ- ფუძესა და მასთან ფორმობრივ-სემანტიკურად დაკავშირებულ ლექსემებს, აფხაზ და აბაზა ტომთა ისტორიას მრავალი მეცნიერი იკვლევდა; ბოლო პერიოდის შემაჯამებელი ხასიათის გამოკვლევები ეკუთვნის თ.გვანცელაძეს; აფხაზურ ენაში სუპერსტრატული ფენების გამოწვლილვითი შესწავლის შემდეგ იგი ასკვნის:

“დღევანდელ აფხაზთა წინაპრებს შავი ზღვის სანაპიროზე არ უცხოვრიათ ახ.წ. V საუკუნემდე; აფხაზთა თავდაპირველი სამშობლო **აფსნი** მდებარეობდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, მდინარე ყუბანის აუზში. მისი ძირითადი მასა აქვე ბინადრობდა 1561 წლის ახლო ხანებამდე... თანამედროვე აფხაზური ეთნოსის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა (თვითსახელწოდებით – აფსუათა; ტ.ფ.) მოსვლამდე მცხოვრებ კოლხურ მოსახლეობას“ (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.60, 2004, გვ. 58-63). მისივე ვარაუდით, აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ ენებზე აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო **ა-აბაზ-ა > აბაზა**; ამოსავალი ფორმაა ***ა-ფას-ა**, რომლისგანაც **-ჟა** სუფიქსითაა ნაწარმოები **აფსუა < *ა-ფას-ჟა** (თ.გვანცელაძე, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისთვის; აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998, გვ.38-39).

წარმოდგენილ საყურადღებო ნაშრომებში ჩვენთვის საკამათოა მხოლოდ ქართული **აფხაზ-** ფუძის წარმოქმნის გზა; კერძოდ, თ.გვანცელაძის აზრით, აფხაზ- ფუძე მომდინარეობს ჩერქეზული **აბაზა ხა** კომპოზიციისგან: აბაზა ხა “ქვემოური აბაზა“ (ჩერქეზ. “ხა“ ითარგმნება, როგორც **ქვემოური, ქვემოთა**): ჩერქეზ. **აბაზა-ხა/აბზახა > მეგრ. აბზაზა > ქართ. აფხაზი** (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.38); ვფიქრობთ, უფრო ნაკლებწინააღმდეგობრივია **აბაზ-ხ-ი > აფხაზ-ი** გზის დაშვება, სადაც **-ხ-** კრებითობის სუფიქსია. ჯერ მივყვეთ წყაროების ჩვენებას:

არიანე (II ს.): ტრაპიზონიდან ძველ აქაიამდე შემდეგი ტომები გავიარეთ: კოლხები, სანები (ქსენოფონტეს დრილები), მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, **აფსილები, აბასკები**, სანიგები, ძილქები; “ლაზების მეზობლები **აფსილები** არიან; მათმა მეფემ - იულიანემ მეფობა შენი მამისგან მიიღო. **აფსილების** მეზობლები **აბასკები** არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან“ (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.158-159). აბასკები სანიგებს ზემოთ, მთებში სახლობენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100-101); ამავე კონტექსტში **აბაზგებს** ახსენებენ V ს. მოღვა-

წე თეოდორიტი კვირიელი (გეორგიკა, 1961, გვ.227), V ს. ანონიმი ავტორი (გეორგიკა, 1965, გვ.8), სტეფანე ბიზანტიელი (გეორგიკა, 1936, გვ.284) და სხვები. შდრ., აგათანგელოსის ტექსტის არაბულ თარგმანში ლაზთა ქვეყანა **Abchazorum**-ად ითარგმნება (გეორგიკა, 1961, გვ. 71).

მოგვიანებით ფართოვდება ტერმინ **აბაზგიით** მოაზრებული ტერიტორია; მაგ., ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912-959), თავის შვილს აცნობს რა ბიზანტიის მეზობელ თუ დაპყრობილ ტომებს, აბაზგიის შესახებ ამბობს:

“ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი, მდინარე ნიკოფსიიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე უჭირავს აბაზგიის ქვეყანას“ (გეორგიკა, 1952, გვ.233).

ნიკოფსიის ლოკალიზება არ ჭირს, მაგრამ საკამათოა **სოტერიუპოლისის** საკითხი; ზოგი მას ბიჭვინთად მიიჩნევს, ზოგი - სოხუმად (საკითხის მიმოხილვისთვის იხ. ს. ყაუხჩიშვილის მსჯელობა, იქვე, გვ.231-235). X საუკუნეში **აბაზგიის** სახელით, არაიშვიათად, მთელი დასავლეთ საქართველო მოიხსენება, შესაბამისად, ლოგიკურია, ქალაქი სოტერიუპოლისი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე უნდა ვეძიოთ ნიკოფსიიდან დაახლოებით 300 მილის მანძილზე.

ძველი ქართველი მწიგნობარნიც კარგად იცნობენ ტერმინ **აბაზგიას**, მას დასავლეთ საქართველოდ თვლიან და აფხაზეთად თარგმნიან; იხ., მაგ., “მიმოსლვასა შინა წმინდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებაჲ შორის **აგაზგიაჲსა**, რომელ არს აფხაზეთი“ (გეორგიკა, 1991, გვ.214; იხ., აგრეთვე, აქვე, გვ.219).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ X-XII საუკუნეების სხვა უცხოური წყაროებით, **აფხაზი** უკვე ქართველის სინონიმადაა ქცეული; მაგ., **იოანე იტალოსი** იოანე პეტრიწს **აბაზგ გრამატიკოსს** უწოდებს, რაც ამ კონტექსტში ქართველ გრამატიკოსს ნიშნავს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **იოანე პეტრიწი** არა მხოლოდ დიდი ფილოსოფოსი, არამედ შეუღარებელი მოქართულე და სიტყვათშემოქმედი იყო; გარდა ამისა, ის სიტყვებს ქართველური დიალექტებიდანაც ამკვიდრებდა; მაგ., სამხმიანი გალობის მეორე ხმის აღსანიშნავად მან შემოიღო ტერმინი **ჟირი**, რომლის მეგრული წარმომავლობა უდავოა; ლოგიკურია დავუშვათ, რომ ეს დიდი ქართველი მოღვაწე ეგრისის მკვიდრი იყო (შდრ.: ნ.მარის აზრით, იოანე პეტრიწი ტომით აფხაზი იყო). საყურადღებოა აგრეთვე ე.ხინთიბიძის დაკვირვება: ექვთიმე მთაწმინდელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა “ვარლამ და იოასაფის“ რომანი, რომელიც ბერძნულიდან გადაითარგმნა ლათინურად. ლათინურად მთარგმნელის კომენტარით, “ბერძნული თარგმანი შეასრულა ტომით აბაზგმა ბერმა ეფთვიმემ“ (ე.ხინთიბიძე, 1998, გვ.15).

ე.ი. **ქართველი ექვთიმე მთაწმინდელი, ლათინთა აზრით, ტომით აბაზგია**. ამავე პერიოდში აფხაზეთი სრულიად საქართველოს ნიშნავს სპარსულ წყაროებშიც (კ.ტაბატაძე, 1993, გვ.222-226); შდრ.: ასურელი ისტორიკოსი ზაქარია რიტორი აფხაზთა/ქართველთა ქვეყანას **ბაზ-გ-ონ-**თა ქვეყანას უწოდებს; მსჯელობისათვის იხ. ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ. 402.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი:

დელით აბაზგური წარმომავლობის იოვანე ცეცეს (1110-1180) აზრით,

აბაზგები იბერთა ტომისანი არიან (გეორგიკა, 1976, გვ. 20-25); შდრ., აქვე, ერთგან მითითებულია იოვანეს დედის აბაზგობა (გვ.23), მეორეგან კი - **მისი დედის იბერიელობა** (გვ. 25); ამავე დოკუმენტის მიხედვით, იოვანეს **აბაზგი ბებია** ამაღლაში ახლდა იბერიის მეფის ასულს - მართას.

ჩანს, აფხაზეთის მოსახლეობა ქართველებად ითვლებოდა მეზობელი ხალხებისათვისაც: ყარაჩაელების, ბალყარელებისა და რუსებისთვის; კერძოდ:

შემთხვევითი არ ჩანს ის ფაქტი, რომ ტერმინი **აბაზა/ობეზი/ებზე** ჩრდილო კავკასიის ზოგ ხალხში და ევროპულ თუ ძველ რუსულ წყაროებში **ქართველის** სინონიმი; მაგ.: პაპ ინოკენტ IV-ის ელჩი იოანე დე პლანო კარპინი, რომელმაც მონღოლეთში იმოგზაურა 1246 წელს, საქართველოს **გეორგიანია**-ს ეძახის, ქართველებს კი - გეორგიან-ებ-ს ანუ **ობეზ-ებ-ს** (ს.ჯანაშია, 1959, გვ.53).

XIV-XVI საუკუნეების რუსული წყაროს მიხედვით, **ობეზი** საქართველოს აღნიშნავდა. ფაქტის ახსნა იოლად შეიძლება: მაშინდელი სლავების ენაშიც ქართველთა სახელად განზოგადდა მეზობელი ტომის სახელი - აბაზა, რამდენადაც სლავებისთვის აბაზა, ეგრისელი, სვანი, კახელი თუ მესხი ერთი ოდენობა იყო; შდრ., აგრეთვე: კავკასიაში გვიან მოსული ყარაჩაელებისა და ბალყარელებისთვისაც ქართველების აღმნიშვნელი ტერმინია **ებზე** (< აბაზა). ამავე დროს, **ებზე** საკუთრივ სვანებს, ზოგ შემთხვევაში კი რაჭველებსაც აღნიშნავს; შდრ., **აბაძა** ჯიქთა თვითსახელწოდებაცაა და დღევანდელი **აბაზებისაც** (აბაზები რამდენიმე საუკუნის წინ გაემიჯნენ **აფსუებს**).

ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ძველი დროიდან მოყოლებული, ვიდრე XVI-XVII საუკუნეებამდე, ჯიქებისგან განსხვავებით, **აბაზები/აბაზგები/აფხაზები** ევროპაშიც და აზიაშიც ქართველურ (იბერიულ/კოლხურ) სამყაროსთან ასოცირდება; სამართლიანადაც: შუა საუკუნეებში სხვა ქართველური მოდემის თემებთან ერთად აფხაზებიც ქმნიდნენ ერთიან ქართველურ სახელმწიფოსა და სამწიგნობრო კულტურას. გაერთიანებულმა საქართველომაც დიდხანს შეინარჩუნა “სამეფო აფხაზეთის” სახელი .

ერთიანი საქართველოს აღორძინების პარალელურად, აფხაზეთის ხელისუფალნი იღვწოდნენ ქართული ეკლესიის ერთიანობის აღსადგენადაც; მაგ., “აფხაზი” მეფე-მთავრების (ლეონ II, თეოდოს II, დემეტრე II, გიორგი I, კონსტანტინე III, გიორგი II, ლეონ III... აგრეთვე: ცხუმის ერისთავი ოთალო შერვაშიძე (XII ს.), მხედართმთავარი დარდინ შერვაშიძე (XIII ს.) და სხვ.) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები იყო:

- დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოსვლა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან და ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიასთან შეერთება;
- ქართულენოვანი საეკლესიო ცენტრების მშენებლობა;
- ბრძოლა ქართული სამყაროს პოლიტიკური გაერთიანებისათვის;
- ჩრდილოკავკასიური მოძმე ხალხების გაქრისტიანებისათვის ბრძოლა და ამ გზით ქართული სახელმწიფოს საზღვრების უზრუნველყოფა (ლ.ახალაძე).

ლოგიკური ჩანს, გვერდიგვერდ განვიხილოთ: აბაზ-/აბაზა/აბაძ-/აბაზ-...

ფუძეები; გარდა ამისა, ტაო - ტაო-ნ-ი, კოლა - კოლ-ნ-ი... მიმართებების პარალელურად, დასაშვებია აბაზ- - აბაზ-ნ-, აბაზა - აბაზა-ნ-... წყვილების დაშვებაც: **აბაზ-ნ-/*ამას-ნ-** ფუძეში წარმომავლობითობა-კრებითობის **-ნ-** სუფიქსის გამოყოფა ლოგიკური ჩანს, როგორც ამას ადრეც ვარაუდობდნენ (ნ. მარი, ს. ჯანაშია ქ. ლომთათიძე, ო. კახაძე...).

აბაზ-ნ- ფუძისგან ნ-ს მეტათეზისით უნდა წარმოქმნილიყო აფხაზ- ფუძე (შდრ., მსგავსი ფონეტიკური პროცესი ქართულში: **წათხ-/წყათ-, ბაღლ- / ბღარ-, ბარტყ-/ ბღარტ-, ბერტყ-/ბღერტ-** და სხვ..). არ არის გამორიცხული, რომ ჩერქეზულმა აბაზანა ფორმამ, ფორმობრივი მსგავსების გამო, გვიან შეიძინა “ქვემო აბაზას” შინაარსი. ადრინდელი ქართველური ***აბაზ-ნ-** ფუძის ადაპტირებული ვარიანტებია ბერძნული აბასხ-, აბაზგ- და აბასკ- ფორმებიც (**აფხაზის** სხვადასხვაგვარი ეტიმოლოგია აქვთ: ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, თ. გვანცელაძეს, ო. კახაძეს, ე. ოსიძეს, თ. გამყრელიძეს, დ.მუსხელიშვილს, ა.ლომთაძეს, რ.შეროზიას...).

ლინგვისტური ეტიმოლოგიები - მეტ არგუმენტებს, ხოლო საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს. აქ უდავო შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ ორი სხვადასხვა **ქართველურ-კავკასიური** ტომი - **აფსილ-აფსარები** და **აბაზგ-აფხაზები** - საუკუნეების მანძილზე, საკუთრივ ქართველურ ტომთა მსგავსად, ერთიან ქართველურ კულტურულ-ისტორიულ თუ სახელმწიფოებრივ ველში ცხოვრობდა... ფაქტია ისიც, რომ ისტორიულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოშიც (კოდორიდან შავ ზღვასთან ყუბანის ძველ შესართავამდე) ოდითგანვე ცხოვრობდნენ ქართველურ-კავკასიური მოდგმის ტომები (ზანები, სანიგები, სვანები, აფსარები, აბაზები...). შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ამ ტომთა საცხოვრისები და პოლიტიკური გავლენები ერთმანეთის ტერიტორიებზე მონაცვლეობდა (შდრ. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, 2012).

თ.გვანცელაძის ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული ძიებებით ნათლადაა ნაჩვენები, რომ **XVI-XVII** საუკუნეებში ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან - ყუბანის ხეობიდან - თანდათანობით გადმოდის და ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რამდენიმე ხეობაში კომპაქტურად სახლდება ერთ-ერთი აბაზური ტომი, **თვითსახელწოდებით - აფსუა**.

XVII საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოკავკასიელი მოძმე ტომის არსებობა დასტურდება ევლია ჩელების ცნობით, კერძოდ, მისი მონაცემებით 1641 წელს აბაზას ქვეყნის მოსახლეობა აბაზურ და ქართულ (მის მეგრულ დიალექტზე) ენებზე ლაპარაკობს (ევლია ჩელები, 1971, გვ. 100; შდრ., პ.ინგოროყვა, 1954, გვ.133).

ვფიქრობთ, რამდენადაც აბაზების ნაწილი (აფსუა) მოძმე ქართველური მოსახლეობის - **აფხაზების** - საცხოვრისში ნელ-ნელა მკვიდრდება, მეზობელ სხვა ქართველთა ცნობიერებაში **ჩამოსულები იგივეებიან** დამხვედურებთან და თემონიმი **აფხაზი** მათაც მოიაზრებს. დროთა განმავლობაში ადგილობრივ აფხაზთა ნაწილი ითქვიფება მეგრელებში, ნაწილი - აფსუებში; შესაბამისად, ქართველური თემონიმი **აფხაზი/აფხაზა** ქართველურ ენობრივ ველში **აფსუების** აღმნიშვნელად

გადააზრიანდა და აქედანვე შევიდა სხვა ენებშიც³⁹. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის გაბატონებამდე აფსუა-აფხაზებიც თავს თვლიდნენ ქართული კულტურის თანაავტორებად.

ქართველური ენობრივ-კულტურულ-სახელმწიფოებრივი სივრციდან ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ სხვა იბერიულ-კავკასიურ ტომთა მკვეთრი განმხოლოება იწყება კავკასიაში ოსმალეთის გაძლიერების შემდეგ, ხოლო **აფსუა-აფხაზი ხალხის იდენტობა** (ეროვნული მეობა - ტ. ფ.) “პოლარულად შეცვალა ცარისტულ-საბჭოური იდეოლოგიის მძლავრმა ზეგავლენამ 1864 წლიდან დღემდე” (თ. გვანცელაძე).

კავკასიის სრული დაპყრობის მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო აქაური მოსახლეობის გასახლება ან სრული გაუცხოება ტრადიციული ქართველურ-კავკასიური სივრციდან; მაგ., საქართველოს ძირძველი კუთხიდან - ევროსის წილი ქვეყნის ნაწილიდან - ადღერ-სოჭი-ტუაფსეს რეგიონიდან რუსეთის იმპერიამ 1864 და 1878 წლებში გაასახლა ქართველთა მონათესავე ხალხები: უბიხები, ჩერქეზები, აფსუა-აფხაზები (უფრო ადრე და ამავდროულად პერიოდშიც, რუსულ-თურქული ანტიქართული გარიგებით, ქართველობისგან იცლება სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოც).

ქართველთა და აფხაზთა (ჩერქეზთა, ვაინახთა, ლეკთა...) გასამიჯნავად/დასაპირისპირებლად საბჭოთა იმპერიამ უფრო ეფექტურად გამოიყენა კულტურული გაუცხოების მეთოდი, ვიდრე მეფის რუსეთმა; ქართული (აფხაზური) მოწინავე აზრის აქტიურობის მიუხედავად (იხ. შერვაშიძეების, ანჩაბაძეების, ემხვარების და სხვათა მოღვაწეობა), უფრო სწრაფად და ხელოვნურად გაგრძელდა გადარჩენილი აფხაზების გამიჯვნა ერთიანი ქართველური (აფხაზურ-ევრისულ-ქართლურ-კახურ-მესხური) ისტორიიდან, კულტურიდან თუ ეთნოსიდან; პროცესმა პიკს მიაღწია 1991-93 წლებში რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოში განხორციელებული პუტჩის დროს, როდესაც **აფხაზეთიდან რუსეთის იმპერიამ გამოდევნა ერთიანი ქართველურ ცნობიერებაზე ორიენტირებული ქართველებიცა და აფხაზებიც**, ხოლო დარჩენილი აფხაზურ-ქართულ-სომხურ-რუსული მოსახლეობითურთ, ფაქტობრივად, მიიტაცა აფხაზეთის ტერიტორია.

შდრ., რუსეთმა იოლად განახორციელა ქართველთა მონათესავე სხვა ეთნოსების - **ჩერქეზებისა და ვაინახების** - დაშლა პატარა-პატარა ხალხებად: აბაზებად, აბაზანებად, შაფსულებად, ადილელებად, ყაბარდოელებად... ჩეჩნებად, ინგუშებად; შემდეგ კი მათი ტერიტორიებიც მიითვისა (თუმცა აქაც დასჭირდა მოსახლეობის ერთი ნაწილის დეპორტაცია თურქეთსა და შუა აზიაში).

³⁹ შდრ., ამგვარივე “ტრანსფორმაციით” სომეხი იქცა მოსული **არმენების** აღმნიშვნელად, ქართული პროვინციის სახელი - **სომხთი** - კი ქართულ ენაში გადააზრიანდა მოსულთა დომინანტობით დაფუძნებული სახელმწიფოს სახელად.

ეს ფაქტი მარტივად შეიძლება აიხსნას:

უცხო ტომის დასახლების მიუხედავად, ჩვენი წინაპრები დიდი ხნის მანძილზე მაინც თავისად თვლიდნენ “სომხთსაც” და აქ ჩამოსახლებულ ხალხსაც (ბოლო დრომდე ქართველობა ასევე ფიქრობდა შიდა ქართლის - ცხინვალის მხარის - შესახებაც).

აფსილები/აფშილები, აფსარები, აფსუები. აფსილები პირველად დასტურდება არიანესთან; მისი ცნობების მიხედვით, აფსილები ცხოვრობდნენ კოდორის ხეობაში.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, აბაზგთა მსგავსად, აფსილებიც ქართველური ტომი იყო (ს.ჯანაშია, ს.ყაუხჩიშვილი, დ.მუსხელიშვილი და სხვ.), ხოლო ზოგის აზრით, მათი მემკვიდრეები თანამედროვე აფხაზები (აფსუები) არიან (გ.მელიქიშვილი, ზ.ანჩაბაძე...).

აგათია სქოლასტიკოსის (VI) მიხედვით, **აფსარები კოლხებისა და მისიმიელების/სვანების მონათესავენი არიან.**

გვიანდელი ავტორები და კომენტატორები აფსილებს სკვითურ ტომს უწოდებენ (მაგ., სტეფანე ბიზანტიელი IV-VII ს.); შდრ., კოლხი ადრეული სკვითთა მეფეა, მედეა - სკვითთა მეფის ასული (ლიბანიოსი, ახ.წ. IV ს.); მაკრონები სკვითური ტომია (აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი, ახ. წ. I-II ს.); კოლხები აზიელი სკვითები არიან (იოანე ცეცე XII ს.); სკვითები ევვიპტელთა კოლონისტები არიან (ჰეროდოტეს ცნობა კოლხების შესახებ პინდარეს სქოლიასტთან) და ა.შ. ე. ი. ამ კონცეფციით, აბაზგი და აფსილიც ისევეა სკვითი, როგორც კოლხი და მაკრონი... (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.102).

აშკარაა, რომ არიანეს დროს **აბაზგები და აფსილები** სხვადასხვა ქართველურ-კავკასიური ტომი იყო; შდრ., დ.მუსხელიშვილი, 2000, გვ.17-34: "აფშილს" არც გეოგრაფიულად (საცხოვრისის მიხედვით - ტ.ფ.), არც ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო "აფსუასთან" ... გვაქვს საფუძველი, **აფშილები** ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომად ჩავთვალოთ, რომლის ნაწილი გვიან საუკუნეებში შეერწყა მეგრელებს, ნაწილი კი - გააფსუვდა" (იქვე)⁴⁰.

ლოგიკური ჩანს მოსაზრება, რომ **აფს-** ძირისგან ქართველური სუფიქსებითაა მიღებული ქართველური: ***აფშ-ელ-ი, აფს-ილ-ი, აფს-არ-ი** ეთნონიმები (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.34, 39); აშკარაა **აფს-** ძირის პოგნიერება **აფს-უა** ფუძეშიც. ფაქტია ისიც, რომ **აფსუა** თემი ცხოვრობდა ყუბანის ხეობაში, **აფსილები/აფსარები** - კოდორის ხეობაში სვანების საცხოვრისამდე (ე.ი. კოდორის ხეობის კავკასიონის გადასასვლელები სვანებს ეჭირათ, რაც გამორიცხავს ამ გზით აფსუათა გადმოსვლას). ასევე, უეჭველი ჩანს ქორონიმ აფხაზეთი/აბაზგია-ს წარმომავლობა აფხაზ-/აბაზგ-ფუძისგან და არა - აფსუა/აფსილისგან; მაშასადამე, ლოგიკური იქნება დავასკვნათ: ერთი ფუძისგან სხვადასხვა სუფიქსით წარმოქმნილი რამდენიმე თემონიმით სხვადასხვა მონათესავე ქართველურ-კავკასიური ტომი აღინიშნებოდა (აბაზა, აფხაზი, აფშილი, აფსარი, აფსუა...); შესაბამისად, ოთხი ეთნონიმით (**აბაზა, აფსარი, აფსუა და აფხაზი**) ერთი საზოგადოების აღნიშვნა გვიანდელი მოვლენაა.

სვანები, მისიმიელები. სვანები პირველად სტრაბონთან მოიხსენიებიან (სოანას/შოანას); მაშინაც ისინი კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ; ვარაუდობენ, რომ სვანები აღრიდანვე განსახლებულნი იყვნენ, აგრეთვე, ჩრდი-

⁴⁰ შდრ.: ნ.ლომოურის აზრით, აფშილები უეჭველად აფსუები არიან.

ლო კავკასიაშიც - თერგსა და ყუბანს შორის არსებულ ტერიტორიაზე; შდრ., მაგ., მემანდრე პროტიქტორი (VI ს.), რომელიც, აღწერს რა ბიზანტიისა და სპარსეთის დავას სვანეთის გამო, ვრცლად იძლევა სვანთა დახასიათებას (გეორგიკა, 1936, გვ.213-233); მისი ცნობით, სვანები კავკასიის მთების გარშემო ცხოვრობენ (გეორგიკა, 1936, გვ.231).

ჩანს, სვანებს კავკასიონის სტრატეგიული გადასასვლელები ეჭირათ, ვინაიდან ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დიდხანს გრძელდებოდა წინააღმდეგობა სვანეთის დანარჩუნების გამო (იხ. გეორგიკა, 1936, გვ.213-233). პლინიუსის მიხედვით, სვანები დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ: “მდინარე ხობი კავკასიის მთებიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დის“; ამასვე ამტკიცებს გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვებაც, მაგ., ლეჩხუმი, ლეხაჩილე და სხვა. “შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ...” (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.46-47). ჩვენი აზრით, პლინიუსის ცნობის სხვაგვარი განმარტებაც შეიძლება:

ამ პერიოდის წყაროებში, არაიშვიათად, ერთმანეთს ფარავს ტერმინები: სუანი, სანი, ზანი, სუანოკოლხი, ევრსვანი... ჩანს, სტრაბონისა და პლინიუსის დროს ტერმინი **სვანი** იმ რამდენიმე ქართველური ტომის (ევრისის ნაწილის, დვალეთის, სკვიმიის, საკუთრივ სვანეთის მოსახლეობის...) გამაერთიანებელი, კრებითი სახელია, რომელთაც რომაელები ვერ აკონტროლებდნენ (შდრ.: ლაზიკა - რომაელთა გავლენის სფერო): ყურადღების ცენტრში სვანების მოქცევა, ჩანს, განაპირობა კავკასიის უღელტეხილების სტრატეგიულობამ.

ჩვენი აზრით, ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულს ჯერ კიდევ დაუმოწეულია ზანურ-სვანური დიალექტი; სწორედ ეს ადრეული ზანურ-სვანური (და არა მეგრული ან სვანური) დიალექტური ფენა უნდა ვივარაუდოთ **ოსურ-ალანური ენის სუბსტრატად** (მასალისათვის იხ. ვ.აბაევი, 1949, 324-329);

შდრ.: გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოსურში ზანური/ავსილური სუბსტრატი გაჩნდა კოდორის ხეობაში ოსების ექსპანსიის დროს (ნ. აფხაზავა, 1998). როგორც ცნობილია, სუბსტრატის არსებობა მიუთითებს დამხვდური და მოსული ეთნოსების ხანგრძლივ ურთიერთობას; ვფიქრობთ, შეუძლებელია, ოსთა მეტყველებაში ზანური სუბსტრატის წარმოქმნა დავუშვათ კოდორის ხეობაში ალანთა **მოკლევადიანი ექსპანსიის** პერიოდში. რაც შეეხება ოსურში საკუთრივ სვანური ლექსიკის არსებობას:

ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები ოსების მეტყველებაში სვანური და აფხაზური ლექსიკა (როგორც **ადსტრატული ფენა**) შევიდა სვანთა, აფხაზთა და ოსთა მეზობლობის პირობებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, ზანურ-სვანური კონტინუუმის ბაზაზე საკუთრივ სვანური მეტყველების ჩამოყალიბება სწორედ წელთაღრიცხვათა მიჯნიდან ხდება ქართველურ (ზანურ) მეტყველებაზე ჩრდილოკავკასიურ ტომთა მეტყველების დაფენებით (მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, 1998).

აქვე აღვნიშნავთ, რომ არა მხოლოდ სვანური, არამედ **არაიზოლირებული ნებისმიერი მოსახლეობის მეტყველება (ენა/კილო) წარმოქმნილია დივერგენციული და კონვერგენციული პროცესების შედეგად.**

სტრაბონის მიხედვით, სვანები გამოირჩეოდნენ სიმამაცით და დიდი ფიზიკური ძალით. სტრაბონის ცნობითვე, სვანებს ჰყავთ ბასილევსი და 300

მამაკაცისგან შემდგარი საბჭო; საჭიროების უამს გამოჰყავთ 200000-კაციანი ლაშქარი. სტრატონი სვანების საცხოვრისში არსებულ მდინარეებთან აკავშირებს ოქროს საწმისის მითს; **სტრატონთანვეა ძველი ცნობა**, რომ ოქროს საბადოების გამო (რომლისგანაც წარმოიშვა მითი ოქროს საწმისის შესახებ), დასავლეთის იბერების ანალოგიით, **სვანებს ზოგი აღმოსავლეთის იბერებსაც უწოდებს**, რამდენადაც ოქროს საბადოები არის ორივე იბერიაში (რუსული თარგმანისათვის იხ., სტრატონი, 1964, გვ. 473, XI, II, 14-19).

შდრ., თ.ყაუხჩიშვილის თარგმანი და მსჯელობა:

სვანების ქვეყანაში “ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ ოქროს დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე... (დაზიანებული ტექსტი)... თუ არ დებენ იბერებს მსგავს სახელს დასავლეთელებისას, რომელთაც აქვთ ოქროს საბადოები ორივე მხარეს: **ეს აღდგოლი შეიძლება გავიგოთ ორნაირად**: ა) ესპანეთის იბერებს ორივე მხარეს აქვთ ოქროს საბადოები; **ბ) ოქროს საბადოები აქვთ, როგორც ესპანეთის იბერებს, ისე საქართველოს იბერებს**“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 126; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.139-144).

სვანები სხვა წყაროებშიც ჩანან:

პრისკე პანიონელი (V ს.):

“დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს; სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (?ლაზთა სარდლის) წინააღმდეგ“ (გეორგიკა, 1961, გვ.261);

პროკოპი კესარიელი (VI ს.): “მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სვიმნიაცა და **სვანიაც** და, ამრიგად, მოხირისიდან იბერიაში მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (გეორგიკა, 1965, გვ.202).

აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) ვრცლად მსჯელობს **მისიმიელთა** შესახებ; მისი ცნობით, ეს ხალხი კოლხთა მეფის ქვეშევრდომია, მსგავსად აფსილებისა, ოღონდ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს. ისინი აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთით; აგათიას **მისიმიელები** მიაჩნია კოლხთა და აფსილთა ნათესავად; ს. ყაუხჩიშვილის ლოგიკური ვარაუდით, **მისიმიელები/მისიმიანები** სვანური ტომია (გეორგიკა, 1936, გვ.86, 161-162, 172, 347-348).

მისიმ- ფუძე შეიძლება დავაკავშიროთ სვანთა თვითსახელწოდებასთან; შესაძლოა, წარმოდგენილი ბერძნული ფორმა **მუშუან-** ფუძის დამახინჯებული ვარიანტი იყოს: **მუშუან-** > ***მუშუნ-** > **მიშინ-/მისიმ-**; შდრ.: ქვემოსვანური - მუშუან, ბალსხემოური - მუშან, ბალსქვემოური - მუშნი, ლატალური - მუშუან/მეშან; **მეშან** ფორმისთვის ამოსავალი შეიძლება იყოს **მო-შან-**: მო-შან/მო-სან; შდრ.: მო-ფრანგ-ე, მო-ხევ-ე.

შდრ., პ. ინგოროყვა, 1954, გვ.144: “***მე-სიმი-ან-**ი თავისი გრამატიკული გაფორმებით წმინდა ქართულ ტიპს წარმოადგენს: **მ-** თავკიდური პრეფიქსია, რომელიც ერთვის ეთნიკურ სახელებს, ხოლო **-ან-**, ასევე, ეთნიკური სახელების დეტერმინანტი სუფიქსია. აქვე შევნიშნავთ, რომ პ. ინგო-

როყვას საყურადღებო ვარაუდით (1954, გვ.142), მისიმიანეთის ძველი სახელია **კოლაეთი**, რამდენადაც ანტიკურ წყაროებში კოდორის ხეობაში მოსახლე ტომს ეწოდება კოლიკე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლადაა გარკვეული **სვან-** ფუძისგან წარმოქმნილი ვარიანტების ფონეტიკური საფუძვლები: საერთოქართვ.

სვან- → ზანურ-სვანური → **შუან** (→ მო-შუან-) → ზან. **შონი**;

ზანურ-სვანური შუან → აფხაზ. ა-შუან-უა...

ვფიქრობთ, ეტიმოლოგიურად, **სან-, ზან-, ჭან-, სვან-** საერთო წარმომავლობის თემონიმებია; ამოსავალი ჩანს ლაბიალიზებული *სან- ვარიანტი⁴¹, რომელიც, ჩანს, საერთოქართველურშივე არსებობდა; სწორედ ამ ლაბიალიზებული ბგერის მეზობლობას უნდა შეეწყო ხელი ***შან-/შვან-** > **შონ-** პროცესისთვის.

სუანოკოლხები. თემონიმი **სოუანოკოლხი** დასტურდება მხოლოდ კლავდიოს პტოლემეადოსთან (100-178); სუანოკოლხები ცხოვრობენ ჰენიონებსა და მდინარე კორაქსს (ბზიფს) შორის; დაახლოებით ამ ადგილებში არიან და სხვა ავტორები **სანიგებს** ასახელებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.160-162). რამდენადაც პტოლემეადოსი სუანოკოლხებს კოლხეთს გარეთ ათავსებს, გაჭირდება იმ აზრის გაზიარება, რომ ისინი ის სვანები არიან, რომლებიც კოლხეთში ცხოვრობენ (მდრ., თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.161).

პტოლემეადოსის სახელმძღვანელო ძირითადად მიჰყვება ფსევდო-სკილაქსს, არიანესა და პლინიუსს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.164); ბუნებრივია, ის იცნობს სტრაბონსაც; გამომდინარე აქედან, უნდა დავუშვათ, რომ იგი ეთნონიმ **სანიგებს** გააზრებულად ცვლის **სუანოკოლხებით**, რომლითაც, ჩანს, აღნიშნავს ძველი კოლხების მემკვიდრე ერთ-ერთ ტომს; ამგვარი ხაზგასმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ, პტოლემეადოსის მიხედვით, სუანოკოლხები ცხოვრობენ მისეული კოლხეთის გარეთ - სარმატიაში. საყურადღებოა ისიც, რომ ჰეკატაეოს მილეტელი (ძვ.წ. 549-472) დღევანდელი მდინარე ბზიფის რაიონში ასახელებს **კოლხურ ტომს - კორაქსებს** (მდრ., მისი აზრით, კოლხები ბზიფის აუზსა და დიოსკურიას შორის არიან). სუანო-კოლხებს სვანებისა და მეგრელების შერევით წარმოქმნილ ტომად მიიჩნევს ივ.ჯავახიშვილი (1960, გვ.429).

პ. ინგოროყვას აზრით, სვანო-კოლხების აღმნიშვნელი უნდა იყოს ტერმინი ეგერ-სვანიც, რომელიც გვხვდება სომეხ ისტორიკოს ფავსტოს ბიზანტიელთან (პ.ინგოროყვა, 1954, გვ.145).

ამარანტები. სტეფანე ბიზანტიელის (IV-VII ს.) ცნობით, ამარანტები კოლხური ტომია; მათი ქვეყნიდან მოდის ფაზისი (გეორგიკა, 1936, გვ.275); აქვე: კოლხეთში არსებობს მთა **ამარანტიონი**; მდრ.: მკვლევრები ამ ტოპონიმში **ამირანის მთას** ხედავენ.

⁴¹ ლაბიალიზებული ბგერა - არაბაგისმიერი სამეტყველო ბგერა, რომელსაც "დაჰკრავს" ბაგისმიერობის ელფერი.

დვალები. ანტიკურ წყაროებში დვალები ახ.წ. I საუკუნიდან იხსენებიან **თალის, ვალის და უალის** სახელწოდებით (რ. თოფჩიშვილი, 2002, გვ. 62). ძველი ქართული წყაროებისა თუ თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილის მიხედვით, დვალები ქართველები არიან (ზოგი მათ **ნახებად** თვლის); დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო 1859 წლამდე, ვიდრე რუსეთის იმპერიამ ეს ქართური მხარე საქართველოს საბოლოოდ არ ჩამოაჭრა.

ტუსკები. კლავდიოს პტოლემეაძის აღმოსავლეთ სარმატიაში ასახელებს **ტუსკებს, დიდურებსა და სანარებს**. თ.ყაუხჩიშვილის აზრით (1976, გვ.167), ესენი უნდა იყვნენ წოვათუმები, დიდოელები და წანარები. გაუმართლებელი ჩანს ადრეულ პერიოდში წოვათუმებისა და ჩალმათუმების დამორიშორება; თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენთვის ცნობილი თუმების დიდი ნაწილი ერთ-ერთ ქართველურ კილოზე მეტყველებს, ხოლო უფრო მცირე ნაწილის - წოვა-თუმების - მეტყველება ემსგავსება როგორც ვაინახურს, ასევე - ძველ ქართულს, ლოგიკური იქნება, დავუშვათ **ტუსკების/თუმების ქართველობა:**

თუმების ვაინახურ ტომად მიჩნევის შემთხვევაში გაჭირდება მტკიცება, რომ საქართველოსგან მაღალი მთებით მოწყვეტილმა მოსახლეობამ ისწავლა და საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა ქართული მაშინ, როცა დაივიწყა რეგიონში ინტენსიურად გამოყენებული დედაენა - ერთ-ერთი ვაინახური ენა (თ.უთურგაიძე, 1996).

ვფიქრობთ, **ტუსკები** ქართველური წარმომავლობის ხალხია, რომელთა ნაწილის (წოვათუმების) მეტყველება ძლიერ შეიცვალა მეზობელი თუ “სისხლის ძიებას“ გამოქცეული ვაინახების გავლენით. ამ პოზიციას ამყარებს ლინგვისტური მონაცემებიც: წოვა-თუმურში არსებითი ადგილი უჭირავს **ადრეულ ქართულ სუბსტრატს** (მ. მიქელაძე, 2004, გვ. 45); შდრ.: გ. ცოცანიძის აზრით, თუმური მოსახლეობა ენობრივად განსხვავებულ ორ ჯგუფად განიყოფა: ჩალმათუმებად და წოვათუმებად (გ. ცოცანიძე, 1993, გვ. 539). ა. შავხელიშვილის აზრით, წოვათუმური ნახურად ქცეული ქართველური ენაა, ხოლო ბ. შავხელიშვილის მტკიცებით, წოვათუმური ენა გარდამავალი, დამაკავშირებელი რგოლია ქართველურ (განსაკუთრებით ძველ ქართულ) და ვაინახურ ენებს შორის (ბ. შავხელიშვილი, 2003).

წარმოდგენილი თავის შემაჯამებელი მსჯელობის ნაცვლად, ქვემოთ დავასახელებთ იმ ქართველურ ტომებს, რომლებიც, თვითმხილველ მოგზაურთა თუ მეცნიერთა აზრით, არსებობდნენ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს:

ჰეკატაძის მილეტელი (ძვ.წ. 549-472): მელანქლაძენები, კორაქსები, კოლები, მოსხები, ხოდეები, ბეჟედრები, დიდერები, მაკრონები, მარები, მოსინოიკები, ტობარენები, ხალიბები. საინტერესოა ის გარემოება, რომ კორაქსებისა და მოსხების შესახებ ჰეკატაძის ამბობს, კოლხური ტომებიაო (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43);

ჰეროდოტე (484 - 425): კოლხები, სასპედრები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინოიკები, მარები; მათი მონათესავენი არიან: ალაროდინელები (ურარტუელები), მათიენები (ჰეროდოტე, 1975);

ქსენოფონტე (435-355): კარდუხები, ტაოხები, ხალდები, ხალიბები, ფასიანები, სკვითინები, მაკრონები, კოლხები, დრილები, ჰესპერიტები, მოსინიკები, კოტები (მორჩილი ხალიბები? - ტ.ფ.), ტიბარენები (თ.მიქელაძე, 1967);

ფსევდო-სკილაქსი (IV ს.): სავრომატები, მადოტები, სინდები, კერკეტები, ტორეტები, აქადები, ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, მელანქლადნები, გელონები, კოლხები, ბიძერები, ეკექედრები, ბექედრები, მაკროკეფალები, მოსინოდეები, ტიბარენები, ხალიბები.

არიანე (II ს.): ტრაპიზონიდან ძველ აქაიამდე შემდეგი ტომები გავიარეთ: კოლხები, სანები (ქსენოფონტეს დრილები), მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები (არიანესთან ლაზები და კოლხები თანაარსებობენ და ხაზგასმით სხვადასხვა ტომებია - ტ.ფ.), აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები;

ნიკოლოზ დამასკელი (ძვ.წ. 64 - ახ.წ. 14): კოლხები, სინდები, ტავრები, მოსინები, კერკეტები, სავრომატები...

ამ ტომთა გარდა, აღმოსავლეთ საქართველოში ამავე პერიოდში ცხოვრობდნენ აგრეთვე:

კახები, კუხები (ივ.ჯავახიშვილი, 1969, გვ.437) და **ჰერები** (ჰერთა ვინაობის შესახებ იხ. კ.ფიცხელაური, 1973, გვ.197).

კახების ქართველურობა დღესაც ყველასთვის თვალსაჩინოა; **კუხების მხარე** - კუხეთი, როგორც ერთი ქართველური ტომის საცხოვრისი, VIII საუკუნემდე არსებობს; შემდეგ კი კახეთში მოიაზრება; შდრ., აგრეთვე: დ.მუსხელიშვილის აზრით, ლეონტი მროველის მიერ მოცემული საზღვრები კახეთის, კუხეთისა და ჰერეთისა ძვ.წ. IV-III საუკუნეების ვითარებას ასახავს (დ.მუსხელიშვილი, 1966, გვ.5-38).

ზოგ მკვლევარს **ჰერები** ალბანურ ტომად მიაჩნდა, მაგრამ ჰერეთის ტერიტორიაზე გავრცელებული წამყვანი იარაღები თუ სხვა ნაკეთობანი კახეთ-კუხეთსა და ქართლში მოპოვებულ მასალასთან ერთად ერთ საფუძველზეა წარმოშობილი და, ბუნებრივია, მასთან შეუდარებლად მეტ მსგავსებას იჩენს, ვიდრე ჰერეთის სამხრეთითა და აღმოსავლეთით გავრცელებულ მასალასთან, რომელიც სულ სხვა საწყისებზეა შექმნილი (კ.ფიცხელაური, 1973, გვ.197). გარდა ამისა, ჰერების ამჟამინდელი შთამომავლები – **ინგილოები** თავიდანვე ქართველები (მონოლინგვური ქართულენოვანი მოსახლეობა) რომ არ ყოფილიყვნენ, სრულ არაქართველურენოვან გარემოცვაში ვერასოდეს ისწავლიდნენ ქართულს.

კახთა, კუხთა და ჰერთა გვერდით უნდა დავასახელოთ: **ფხოველები** (ხევსურები, ფშავლები, მოხვევები, მთიულ-გუდამაყრელნი) და დასავლეთ საქართველოს მკვიდრი **სკვიმები/ცხუმები/*ჩხუმები/ჩხუმნი**⁴².

შდრ.: **სკვიმ/*ცქვიმ-, ჩხუმ-/ლე-ჩხუმი**; სავარაუდო **ცკვიმ-/ცხვიმ-/ჩხვიმ-/ჩხუმ-/ცხუმ-** მოსალოდნელი ფორმების თავკიდური თანხმოვანთკომპლექსის გადმოსაცემად ბერძნულში გამოყენებულია **სკვ/სვ** მიმდევ-

⁴² საკითხის ისტორიის, ბერძნული წყაროების **სკვიმიის, სვიმიის, ცხუმ/ლეჩხუმი-სა და თაკვერ-რაჭის** შესახებ იხ. ლ.ფრუიძე, 1993, გვ.471-478; დ.ლეთოდიანი, 2003, გვ.18-30.

რობა; ეს გვაგვარაუდებინებს, რომ ახ.წ. VI საუკუნეში ლეჩხუმის ოფიციალური სახელი იყო საერთოქართველური აგებულების სიტყვა: **ცკვი-მი/ცხვიმი**. ლეჩხუმი დიალექტური ვარიანტია; **ლე-/ლა- საერთოქართველური სუფიქსი ჩანს**, რომელიც პროდუქტიულია ზანურსა და სვანურში; საკუთრივ ქართულში დადასტურებული მასალისათვის იხ.: ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, 1988, გვ.268: **ლა-რტყ-ი, ლა-რთხ-ი...** და მ.ჩუხუა, 2003, გვ.77: **ლე-ჟვერ-ი = სა-ჟვერ-ე. დანიშნულების ლა-/ლე- აქ წარმომავლობა-კრებიტობის -ეთ-/-ათ-, -არ-/-ერ- სუფიქსების ფარდია**; შდრ., პარალელური წარმოებები: **ლე-ჩხუმი-ი, სა-ქართველ-ო და ცხუმი-ი, ცხუმი-არ-ი, სხიმ-არ-ი/სქიმ-არ-ი, სვან-ეთ-ი...**

ამრიგად, აშკარაა, რომ II ათასწლეულის დასასრულიდან წელთაღრიცხვათა მიჯნამდე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველურად მისაჩნვეი და, სავარაუდოდ, **ქართველურ ენა-კავებზე** (/დიალექტებზე) **მოლაპარაკე შემდეგი მონათესავე ტომები**: მუშქები/მოსხები/მესხები, დაიანელები/დიაუხები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები/სასპეირები/საპირები, ქუთები/კოიტები/კვიტები, კორაქსები, მარები, ბეჭედრები, ჰალიძონები/ხალიბები, ხალდები/ქალდები, მოსინოძეები/ჰეპტაკომეტები, დიძერები, ბიძერები, ძიდრიტები, მაკრონები/მაკროკეფალები, ფასიანები, მელანქლაინები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკექედრები, ჰენიოხები, სანები/ჰანები, სანიგები/სანიკები, ლაზები, აფხაზები, აბასკები, აფსარები, სვანები/მისიმიელები, სვანო-კოლხები, ტუსკები, კახები, კუხები, ცხუმები, ფხოველები, ჰერები...

ამ ტომთა დიდი ნაწილის ქართველურობის შესახებ სარწმუნო ცნობები ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოიპოვება (მაგ., აგათიას აზრით, მისიმიელები, კოლხები და აფსილები ნათესავეები არიან). ზოგი უძველესი ქართველური ტომი საერთოდ დაიკარგა (მაგ., გუგართა ტომის შესახებ იხ. ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.24-33); **ბევრის სახელიც დღემდე შემორჩა ქართველური თემების** (მესხები, ტაოელები, ლაზები, სვანები, ფხოველები, მეგრელები, ჰერები, კახელები და სხვა), **ან კონკრეტული ადგილის, რეგიონის** (კოლხეთის დაბლობი, ოძრხე, ვიწე, ქუთაისი...) **თუ რომელიმე ხალხის** (მაგ., სომხების...) **სახელების სახით.**

5. ქართველთა სახელმწიფოს - ქართლის (საქართველოს) - საზღვრები ქართული წყაროების მიხედვით

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველთა უძველეს სახელმწიფოებად მიჩნეულია **დიაოხი/დაიაენი** და **კოლხა/კულხა**. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ქორონიმი “დიაოხი” შემონახულია საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის სახელში: “ტაო”.

ბერძნული წყაროების მიხედვით, “კოლხას” ძველი სახელი იყო “აია”. არ გამოირიცხება, რომ **აია** და **დაიაენი** ერთსა და იმავე ქვეყანას აღნიშნავდნენ. ბერძნებისა თუ სხვა მეზობლების თვალშიც **აია/დაიაენიც** და **კოლხა/კოლხიდაც** ქართველების სახელმწიფოება; შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ბერძნულ წყაროებში **აია-კოლხიდა** ერთი სახელმწიფოს სახელად გაიგივდა; მაგ., ევსტათი თესალონიკელის (XII ს.) აზრით, ჰომეროსი კოლხიკეს იხსენიებს სახელით: “აიაიე”, რომელსაც კოლხები უწოდებენ თავიანთ ქვეყანას; აია კოლხების ქალაქია, შესაბამისად, ქვეყნის სახელიც და მეფის სახელიც (აიეტი) მას უკავშირდება⁴³.

აიასა და კოლხეთს აიგივებს ჰეროდოტეც.

5.1. ქართველთა სახელმწიფოს საზღვრები ძველი წყაროების მიხედვით

უცხოელებისათვის **აია-კოლხად** ცნობილ ქვეყანას ძველი ქართული ტრადიცია **ქართლად** მოიხსენებს. სავარაუდოდ, ძველი ქართლი ანუ აია-კოლხა იქმნება ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში არსებული წინარექართველური ტომისგან. ამავე პერიოდშია სავარაუდებელი სახელმწიფოს გამაერთიანებელი ენის - საერთოქართველური ენის არსებობაც.

კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალი საშუალებას იძლევა, კონკრეტულად ვისაუბროთ კოლხას საზღვრების შესახებ; კერძოდ, **კოლხურ-ყოზანური კულტურის გავრცელების მთელ არეალსა და ქრონოლოგიურ საზღვრებს თუ გავითვალისწინებთ**, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლხური კულტურის შემქმნელი მოდგმის თუ სახელმწიფოს პოლიტიკურ-კულტურული გავლენის თავდაპირველი ველი მოიცავდა შავიზღვისპირეთს სინოპიდან სოჭამდე, ჭოროხის ხეობას, მთელ დასავლეთ საქართველოს, მტკვრის ზემოწელს მცხეთის ჩათვლით, ლიახვის ხეობას და ჩრდილო კავკასიის ნაწილს (ი.გაგოშიძე, 2003, გვ.95).

შდრ.: ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ კოლხური კულტურის საზღვრები მოიცავდა II ათასწლეულში მცხოვრები ქას-ქების/მუსქების/მოსხების, შესაბამისად, ძვ.წ. IV-III საუკუნეების მოსხიკეს

⁴³ გეორგიკა, VIII (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა), გვ.2, თბ., 1970 წ.

მოსახლეობის განსახლების ტერიტორიასაც მდინარე ჰალისის აუზამდე (ნ.ხაზარაძე, 1984, გვ.193).

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში ქართველთა ტერიტორია ექცევა ორი ძლიერი მეზობლის (სპარსეთისა და საბერძნეთის) გავლენის ველში:

ისტორიული ქართლის (ძველი კოლხეთის)⁴⁴ აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (მე-19 სატრაპია) აქემენიდების სპარსეთის (ძვ.წ. 550-330) ხელში გადადის, სამხრეთ-შავიზღვისპირეთის ნაწილი კი ბერძნების კონტროლის ქვეშ ექცევა.

სპარსელთა გეოპოლიტიკურ ველში არსებული ქართული წყაროების აღმოსავლეთი ქართლი, ხარკს უხდის რა სპარსეთს, ნომინალურად ინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

ძვ.წ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის დამარცხების შემდეგ, ქართველებს მიეცათ ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის შესაძლებლობა. ქართველთა მეფის სტატუსი მიიღო ბერძენთა მიერ დანიშნულმა აზომ; აზო წარმოშობით სამხრეთი მესხეთიდან/კაბადოკიიდან ჩანს (გ.გოილაძე, ნ.ხაზარაძე).

“ქართლის ცხოვრების” მიხედვით, ფარნავაზის სატახტო ქალაქი გახდა მცხეთა; აზოს მმართველობას დაექვემდებარა აღმოსავლეთ საქართველოც (გვიანდელი მცირე იბერიაც), ეგრისიც, მოსხიკეს ტერიტორიაც და ჩრდილო კავკასიის ნაწილიც კი (ოსნი, ლეკნი და ხაზარნი) - **ბერძენთა პროტექტორატის ქვეშ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა ქართველურ ტომთა დიდი ნაწილი** (ჭოროხის, მტკვრის შუა და ზემო წელის, იორ-ალაზნის, არაგვის, რიონ-ენგურისა და კოდორ-კლისურის ხეობები).

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბერძნების ინტერესში შედიოდა კავკასიონის უღელტეხილების კონტროლი და აზოს ამიტომაც აარჩევინეს დედაქალაქად **მცხეთა**.

ქართლის საზღვრებს დაახლოებით ამგვარადვე განსაზღვრავს **“მოქცევაჲ ქართლისაჲ”**:

ალექსანდრემ აზოს “მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისაჲ” (მატბერდის კრებული, 1979, გვ.320).

საბერძნეთის დაქვემდებარებას ქართველობა დიდხანს ვერ შეგუებია: ბერძენთა შინაარეულობის ჟამს (დიადოხოსების ბრძოლა), ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, მცხეთის მამასახლისის - უფლოსის შთამომავალ სამარას - მემკვიდრე ფარნავაზმა და ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ, ჩრდილოკავკასიელ მოძმეთა დახმარებით, დაამარცხეს ბერძნული ორიენტაციის აზოს ჯარები და, ფაქტობრივად, დიდი კოლხეთის საზღვრებში აღადგინეს **სრულიად ქართლის** სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი საქართველოს მეფის უფლების შესახებ მსჯელობა საინტერესო-

⁴⁴ ისტორიული ქართლი სამ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ: **დასავლეთი ქართლი** - დასავლეთ საქართველო (ცენტრალური ეგრისი); **აღმოსავლეთი ქართლი** - დღევანდელი ქართლ-კახეთ-კუხეთ-ჰერეთი, **სამხრეთი ქართლი** - ისტორიული მესხეთი /ტაო-კლარჯეთ-ლაზეთი (რიზემდე)/.

დაა წარმოდგენილი მემატეანის მიერ; კერძოდ, მეფობის ერთ-ერთი პრეტენდენტი - ქუჯი - ეუბნება მეორეს - ფარნავაზს:

“შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი” (ე.ი. ვინაიდან ქართველთა შორის გამორჩეული გვარის შთამომავალი ხარ, ჩვენ, ყველანი - სხვა ქართველები - შენ უნდა დაგემორჩილოთ)... ერთიანი ქართლის მეფე ფარნავაზმა სახელმწიფო რვა დიდ საერისთავოდ დაყო. “ქართლის ცხოვრების“ ეს მონაკვეთი საინტერესოა საქართველოს მაშინდელი საზღვრების თვალსაზრისით:

სრულიად ქართლის აღდგენის შემდეგ **“ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვდრთა მის აღგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითაგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხეგოჯი.**

მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მკვდარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი.

ერთნი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუამდე, რიონს ზემოთ (ყველა ვარიანტში იკითხება “ვიდრე ზღუამდე“; შტრ.: ს.ყაუხჩიშვილისეული გასწორება). **და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშნა.**

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაგვითაგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინართგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშულდის ერისთავად, და მისცა სკვირეთისა მდინართგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვართგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტაანი.

მექუთე გაგზავნა ოძრვის ერისთავად, და მისცა ტაშისკართგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა.


ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა-ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, აღგილთა და აღგილთა, განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთა-

გან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთავო“... (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.24-25).

ამ ვრცელ ამონარიდში ყურადღებას მივაქცევთ ფარნავაზ-ქუჯის სახელმწიფოს გაერთიანება-აღდგენის ნებაყოფლობით ხასიათს:

ეგრის წყალს ქუემოთა მხარეში - ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა ქართველობამ არ ინება (!) ბერძნებისგან განდგომა და ისევ ბერძენთა პროტექტორატის ქვეშ დარჩა... ძველი ქართველი მემკვიდრის აზრით, ეს მხარეც ეგროსის წილია, ხოლო გვიანდელი ჩანართის მიხედვით - აფშილ-აფხაზეთი. რომაული წყაროების ცნობით, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ამ ადგილებში (დიოსკურიის მიდამოებში) **ლაზები** ცხოვრობენ.

მაშასადამე, “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ძვ.წ. IV და ახ. წ. VI საუკუნეების საქართველოს (ქართლის) რუკა დაახლოებით ასე უნდა გამოიყურებოდეს:



ქართველთა სახელმწიფო ამავე საზღვრებში იყო წელთაღრიცხვათა მიჯნაზეც და შემდგომ პერიოდშიც; იხ., მაგ., “ქართლის ცხოვრება“ პირველი საუკუნის საზღვრების შესახებ:

“ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თჳსი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, პერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა - ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თჳსსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თჳსსა. და მოკუდა ადერკი“.

“ქართლის ცხოვრებაში“ დეტალურადაა აღწერილი (რაც სარწმუნოს ხდის ამ თხრობას) ჩრდილოდასავლეთ საქართველოს საზღვრის პრობლემა გორგასალის დროს:

გორგასალის გამეფების წინა პერიოდში ბერძნებმა აფხაზეთიდან გადმოლახეს ეგრისწყალი და დაიპყრეს ტერიტორია ვიდრე ციხე-გოჯამდე, რის გამოც “იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს: განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ...“ და ვიძიოთ ჩუენ შური პირველ ოვსთა ზედა, და შემდგომად-მცა ვქებნეთ საზღვარი

ქართლისა ბერძენთაგან“ (ფარნავაზიდან მოყოლებული გორგასლამდე ბერძენებთან ქართლის საზღვარი იყო ეგრისწყალი - ღალიძგა).

გორგასალმა ბერძენებისგან იარაღის ძალით დაიბრუნა კუთვნილი ტერიტორია (ციხეგოჯიდან ეგრისწყლამდე) და დაიპყრო ბერძენთა მხარეს დარჩენილი ეგროსის წილი მხარეც: ეგრისწყლიდან ყუბანის შესართავამდე (ამ ტერიტორიას მემატთანე "აფხაზეთს" უწოდებს).

გორგასალის კეისართან დამოყვრების შემდეგ კი საზღვრის საკითხი ასე გადაწყდა:

“და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძენეთისა, ქუეყანა ზღუს-პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: ეგრის-წყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა - ესე საზღვარი არს საბერძენეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მივიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუ-მოგუეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა და დაუწერა **ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი** (ეგროსის წილი მხარე კელასურიდან ყუბანის შესართავამდე - ტ.ფ.) **უკუ-სცა ვახტანგ ბერძენთა“.**

შდრ.: შიდა ეგრისსა (ქუთაისის ქვეყანა) და სუანეთში გორგასალის ერისთავი იყო სამნადირი...

ეგრისი ქართლის მეფის საკუთრებაა VII-VIII საუკუნეების მონაცემების მიხედვითაც (სტეფანოზის, მირისა და არჩილის /705-745/ მეფობის ხანა); კერძოდ, **მირის ანდერძიდან** ჩანს, რომ კლარჯეთი, გურია, ეგრისი, არგუეთი ქართლის მეფეთა “საუხუცესო“ (უშუალოდ მეფისათვის განკუთვნილი) საკუთრებაა; კერძოდ, ანდერძში მეფე მირი არჩილს ეუბნება:

ქართლის “ნახევარი შენ და ნახევარი მათ (ქალიშვილებსა და სიძეებს - ტ.ფ.). ხოლო **საუხუცესოდ რომელ მქონდა**, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: **ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი, გურია**. ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა...“ .

აქვეა ქართლის საერისთავოების ჩამონათვალი.

1. კლარჯეთი, ჯავახეთი;
2. თრიალეთი, ტაშირი, აბოცი;
3. და 4. ზენა სოფელი (მტკვრის შუა წელის აუზი: საზღვრები: აღმოსავლეთიდან მდინარე არაგვი და არმაზის ხევი, დასავლეთიდან - ლიხის ქედი, სამხრეთიდან - თრიალეთის ქედი, ჩრდილოეთიდან - კავკასიონი), რომელიც ამ დროს გაყოფილი იყო **ორ საერისთავოდ**;
5. კოტმანითგან ქურდისხევამდე;
6. ჯუარი, ხერეკი, ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი, თბილისი;
7. აფხაზეთი - დიდი ეგრისის ნაწილი კლისურიდან ყუბანის შესართავამდე (ძველი ეგრისის ეს ნაწილიც არჩილისადმი ლეონის მორჩილების გამო ქართლის ნაწილად იქცა):

“დაემკვიდრა არჩილ **ეგრისს ვიდრე შორაპნამდე**“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 243-244).

შდრ., არაბობის პერიოდში, როცა საქართველო დანაწევრებულია, აფხაზეთში ქართლის ქართულენოვანი ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდე-

ბა; ამ დროის აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საზღვრები ასე აღიწერება:

იოვანე საბანისძე:

“...საზღვარ არს ზღვად იგი პონტოდსად, სამკვდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთად, მისაზღვრამდე **ქალდიასა**, ტრაპეზუნტიად მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეადსად და ნაფსაჲს (ე.ი. ნიკოფსიის) ნავთსადგურით...” (ქართული პროზა, I, გვ.128-129).

X საუკუნის შუა წლებში ქართული წყაროების აფხაზეთის სამეფო (გაერთიანებული დასავლეთ საქართველო, ცენტრით ქუთაისში) ფაქტობრივად დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტია; იგივე კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი, როცა თავის შვილს ასწავლის უცხოელთათვის მიმართვის წესებს, იბერიის (ტაო-კლარჯეთის!) კუროპალატსა და აბაზგიის მთავარს ერთ რანგში განიხილავს (გეორგიკა, 1952, გვ.293); აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდის ქართული წყაროები აფხაზეთს საქართველოს ერთ-ერთ ქვეყანად - “ჩუენს ქუეყანად” თვლის.

ს. ჯანაშიას რედაქტორობით გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში იყო ასეთი ფრაზა: **“აფხაზთა ერისთავმა ადვილად დაიპყრო ეგრისი და არგვეთი...”**.

მსგავსი ინტერპრეტაცია ტექსტის არასწორად გაგების შედეგია; ამის შესახებ კომენტარი გააკეთა პავლე ინგოროყვამ:

“პირველწყარო “მატიანე ქართლისაჲში” პირდაპირ აღნიშნულია, რომ აფხაზთა ერისთავი ლეონ განუდგა ბერძნებს და “დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდგა მეფე აფხაზთა”; ე. ი. აფხაზთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრო ეგრისი, არამედ, განუდგა რა დამპყრობელს, ორივეში გაბატონდა და დედაქალაქად ქუთაისი აირჩია“...(პ. ინგოროყვა, 1954, გვ.115-116); **სწორედ ამ დროიდან დასავლეთ საქართველოს სახელად დამკვიდრდა აფხაზეთი.**

საერთოდ, ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა (ასეთი გამონაკლისები ყველა ქართულ სამთავროს ჰყავდა), **აფხაზეთის მეფე-მთავრები** ზოგადქართველური ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი საქმის მოთავეები იყვნენ; მათი მოღვაწეობითაც ჩანს, რომ რუსეთის იმპერიის კავკასიაში გააქტიურებამდე **აფხაზები სხვა ქართველური თემებისგან თვისობრივად არ განსხვავდებოდნენ.**


აფხაზეთი და ეგრისი - “ქართლის ცხოვრების” მიხედვით ცნობილი ეს ორი ქართული კუთხე - გორგასლის მეფობის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილს მოიცავდა, რომელიც დაპყრობილი არ ჰქონდა ბიზანტიას; ჩანს, აფხაზეთი იყო ეგრისწყალიდან ციხეგოჯამდე, ეგრისი კი - ციხეგოჯიდან ლიხამდე; შდრ.:

“მასვე ჟამსა გამოვიდნენ ბერძენნი აფხაზეთად... და **დაიპყრეს ეგრისწყლიდან ვიდრე ციხეგოჯამდე**“ (ქ.ც., 1955, გვ.146,4-5);

შდრ., იქვე, გვ.157, 19:

დაპრობილ აფხაზეთში ბიზანტიელების მიერ მმართველად დასმული იყო ლეონ, რომელიც “უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს; და [ვახტანგ გორგასალმა] სამ წელ წარტყუნენა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე“.

ე.ი. ვახტანგ გორგასალმა შემოიმტკიცა ბერძენთაგან ახალდაპრობილი ქართული ქვეყანა - აფხაზეთი. ვახტანგ გორგასალის ქართლი ისევ დანაწევრდა სპარსელების, არაბებისა და თურქ-სელჯუკების შემოსევებით; ქართველთა სახელმწიფო თავის საზღვრებში აღდგა XI-XV საუკუნეებში; ქართველურ-კავკასიურ ტომთა საცხოვრისის გათვალისწინებით, ერთიანი სქართველოს საზღვრები სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:



5.2. ქართველთა სახელმწიფოს საზღვრები გიორგი მერჩულის მიხედვით

გიორგი მერჩულის “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” ვკითხულობთ: “არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყვებელ ექმნა ქვეყანასა ჩვენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიწრონი იერუსალემით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტედსმიერთა ბრძანებითა მიწრონისა კურთხევად ქართლს განაწესა იერუსალემისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სინარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების”.

წარმოდგენილ კონტექსტში “ფრიადი ქვეყანა” ნიშნავს “მრავალ მხარეს”; შესაბამისად, გიორგი მერჩულის ტექსტი ასე უნდა გავიაზროთ:

ქართლის სახელმწიფოს ქმნის ქართველთა ის მხარეები (კუთხეები), რომელშიც ქართულ ენაზე სრულდება ლოცვა; ეს მხარეებია: შიდა ქართლი, ეგრის-სვანეთი ანუ აფხაზეთი, სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, ტაო, კლარჯეთი, კახეთი და სხვ. (იგულისხმება, რომ ზოგ ქართულ პროვინციაში, მაგ., ტრაპიზონის მხარეში ბერძნულენოვანი ეკლესია იყო).

მიუხედავად იმისა, რომ არაბობის დროს და შემდეგ X საუკუნემდე ქართლის სახელმწიფო დანაწევრებულია რამდენიმე ერთეულად, ქართველი მემკვიდრეები და საეკლესიო მოღვაწენი ქართლს მაინც ერთიან ქართულ სამყაროდ და ქართულენოვანი ეკლესიის ველად მოიაზრებენ.

გიორგი მერჩულის ეს ფრაზა შეიძლება განვიხილოთ როგორც მოწოდება ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს აღდგენისათვის.

საბჭოთა პერიოდში შექმნილი ისტორიოგრაფია საკამათოს ხდის დასავლეთ საქართველოში - ეგრის-სვანეთში ანუ აფხაზეთში - ქართულენოვანი ეკლესიის არსებობის საკითხსაც; ქართული წყაროების (იხ., მაგ., რუის-ურბნისის ძეგლისწერა) მიხედვით, დასავლეთ საქართველოც და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილიც ქართველთა სახელმწიფოსა და ქართულენოვანი ეკლესიის ნაწილია; ამ მხრივ ნიშანდობლივია გიორგი მერჩულის ცნობაც:

IX საუკუნის შუა პერიოდში დამოუკიდებლად არსებულ დასავლეთ საქართველოს სამეფოს (აფხაზეთის)⁴⁵ მეფის - დემეტრე ლეონის ძის (825-

⁴⁵ 523 წელს ირანელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს; ამან ერისთავებს საფუძველი მისცა, თავიანთი სამფლობელოები დამოუკიდებელ სამეფოებად გამოეცხადებინათ. პროცესს ხელი შეუწყო არაბობამაც. IX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე უკვე იყო: ეგრის-აფხაზეთის, კახეთის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის... სამეფოები. ყველა სამეფოში ხელისუფლების კანცელარიის ენა - ქართული, ხოლო კულტურა - ზოგადქართული იყო; ეს იძლევა საფუძველს, რომ ითქვას: დაქუცმაცებულობის ჟამს ერთიანი საქართველო იშლებოდა მცირე საქართველოებად და არა - თავისი კუთხური კულტურის მქონე სამეფოებად. IX საუკუნიდან არაბთა სახალიფო სუსტდება; შესაბამისად, ჩნდება პირობები ერთიანი საქართველოს აღდგენისათვის. X საუკუნის 70-იან წლებში ეგრის-

861) - ნებაართვით, **გრიგოლ ხანძთელმა აფხაზეთში** (ამჟამინდელ იმერეთში) **აკურთხა ქართულენოვანი ეკლესია - უბე, რომელსაც შესწირა თავისი წიგნები**. მეფე დემეტრე სინარულით აღავსო მონასტრის დაფუძნებამ; მან უხვი შესაწირი გაიღო (ამ პერიოდში ბიზანტია ცდილობს, გავლენა იქონიოს აფხაზეთის სამეფოზე; დემეტრემ არაერთხელ დაამარცხა დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი ბიზანტიელების ჯარი; იგი, ასევე, წინ აღუდგა 853 წელს საქართველოში შემოჭრილ ბულა თურქსაც).

თუკი განვაზოგადებთ გიორგი მერჩულის მსჯელობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი ერის ერთიანობისა და საქართველოს (ქართლის) დამოუკიდებლობის სიმბოლოებია ქართული ენა და “მირონის კურთხევის უფლება”.

შემთხვევითი არ არის, რომ ქართველური წარმომავლობის მისათითებლად ქართველი მემატიანენი იყენებენ ფრაზას: **“ნათესავით ქართველი”**; მაგ., VIII საუკუნის 30-იან წლებში მურვან ყრუმ დაიპყრო აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო) და აწამა “ნათესავით ქართველნი” დავით და კონსტანტინე ერისთავები; შდრ., ასევე, IX საუკუნის საეკლესიო მოღვაწის - წმინდა ილარიონ ქართველის დახასიათება: **ილარიონი - “ნათესავით ქართველი, ქუეყანით კახეთით”**; შდრ., ასევე: **ნათესავით ქართველი მესხი იოვანე მთაწმინდელი** და სხვ.

დასავლეთ საქართველოსთან მიმართებით სავსებით დამაჯერებელია **მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მსჯელობა**⁴⁶; კერძოდ, მისი აზრით, საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი მთლიანად ეწინააღმდეგება ძველ ქართულ წყაროებსა და რუის-ურბნისის ძეგლისწერას, რომ ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს წმინდა ეკლესია იმთავითვე მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც; იხ., მაგ., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა:

წმინდა ნინომ მოაქცია “ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა”, ხოლო ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა “ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა” (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545)...

მიტროპოლიტ ანანიას აქვე დამატებით არგუმენტებად მოჰყავს უცხოური წყაროებიც:

“ძეგლისწერის” ამ ცნობას ეთანადება უცხოელ ავტორთა ცნობებიც, მაგ., IV საუკუნის ავტორის გელასი კესარიელისა და ეპისკოპოსი გელასი კვიზიკელის (IV) ცნობებით, წმინდა ნინომ მოაქცია „იბერები და ლაზები“⁴⁷; არსებითია ისიც, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს რუკების მიხედვით, მათი იურისდიქცია ვრცელდება რიზმდე:

სვანეთის მკვიდრის - ერისთავ იოანე მარუშიანის აქტიურობით გამეფდა ბაგრატ მესამე (975-1014 წწ.), რომელიც ერთდროულად რამდენიმე სამეფოს მემკვიდრე იყო. ბაგრატის გამეფებით ქართული ქვეყნების უდიდესი ნაწილი ერთ სამეფოდ - საქართველოდ - გაერთიანდა. ერთიანი სახელმწიფოს აღორძინების პროცესი დასრულდა დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) დროს.

⁴⁶ იხ., მისი “ანალიზი 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულისა (საქართველოს ეკლესიის ისტორიის არასწორი ასახვა)“.

⁴⁷ შდრ., ასევე: სომეხთა კათალიკოსის - იოანეს ცნობით, VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში მცხეთის კათალიკოსი კირიონი იმავდროულად იყო



დამატებით მსჯელობას ითხოვს **“აბაზგიის ეპარქიის”** საკითხი: ფარნავაზისა და ქუჯის ამბების თხრობის დროს მემატინე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეგრისწყალს მარჯვნივაც ქართველები ცხოვრობდნენ; კერძოდ: ეგროსს ერგო ტერიტორია ლიხიდან ვიდრე მდინარე ხაზარეთის-წყლის (ყუბანის) შესართავამდე (ქართლის ცხოვრება, გვ.5,12-15), მაგრამ ბერძნებთან ომის შემდეგ “ეგრისწყალს ქუემოთა დარჩა ბერძენთა, რამეთუ **მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა**” (იქვე, გვ.24, 1-2). მოგვიანებით, ამ ნაწილის სახელად დამკვიდრდა აფხაზეთი. **აფხაზეთის** ბიზანტიური სახელწოდება იყო **“აბაზგია”**.

გორგასალის ეპოქამდე მხოლოდ ამ მცირე ნაწილს აკონტროლებდა ბიზანტია, შესაბამისად, ქართველური მოდგმით დასახლებულ ამ ნაწილში შეიძლება არსებულიყო **აბაზგიის ეპარქია**, რომელიც გარკვეული დროით, ვიდრე ეს ტერიტორია არ შემოუერთდა ქართლის სამეფოს, ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს (იხ., გეორგიკა, 1952, გვ.129, 137-138).

გორგასალის ეპოქაში, ეგრისწყალს იქით დარჩენილი ეგროსის ქვეყნის ნაწილიც სახელმწიფოებრივად ქართლის ნაწილი ხდება.

არაბობის დროს, როდესაც ცალკე არსებობს დასავლეთ საქართველოს სამეფო, იქმნება აფხაზეთის საკათალიკოსოც (IX-X სს.), რომელიც, სტატუსის მიუხედავად, მალევე სრულიად საქართველოს (მცხეთის) საკათალიკოსოს ექვემდებარება⁴⁸. უფრო საინტერესო ისაა, რომ, ერთიანობის

ეგრისის არქივისკოპოსი: “კირიონ ქართლის კათალიკოსი, წინანდელი დროის წესების შესაბამისად, იყო არქივისკოპოსი ეგრისისა და გუჯარეთისა, ქართლის ეკლესიის მრევლისა” (იოანე დრასხანაკერტი. 1937. გვ.9).

⁴⁸ მხოლოდ XV საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მაშინდელი **ქართველი** პოლიტიკური მმართველების - ბაგრატ VI-ის, დადიანისა და გურიელის სურვილით, ცაიშისა და ბედიის მთავარეპისკოპოსი იოვაკიმე, **დასავლეთ სა-**

აღდგენის შემდეგ **მცხეთის სამოციქულო ეკლესიის მიერ** აფხაზეთის საკათოლიკოსო სამართავად გადაეცა **დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის ეპარქიები**, რაც მოწმობს, რომ აფხაზეთის საკათოლიკოსოც ქართული იყო.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს: დროის მცირე მონაკვეთში კონსტანტინეპოლს შეიძლება ექვემდებარებოდა მხოლოდ ბიზანტიის მიერ დაპყრობილი ბიჭვინთა-ახალი ათონის მხარის (მდინარე კლისურას ჩრდილოეთით არსებული ეგრისის) ეპარქია და ბიზანტიის მიერ დაპყრობილ ლაზეთის ტერიტორიაზე - ტრაპიზონ-რიზეს მხარეში - არსებული ეპარქიები. დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილი (**ამჟამინდელი იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, ლაზეთის ნაწილი**) კი ყოველთვის მცხეთის სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით დღემდე ყალბდება საქართველოს ეკლესიის ისტორია, მეტიც, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მეფეები და პატრიარქები არაქართველებად ცხადდება⁴⁹.

აფხაზეთის ეკლესიის ქართულობას ცხადყოფს მრავალი ფაქტი; აქ დავასახელებთ მხოლოდ ორს:

1. **აფხაზეთის საკათოლიკოსოს 23 კათოლიკოს-პატრიარქი ჰყავდა; ცნობილია მათი ბიოგრაფიები: უკლებლივ ყველა ეთნიკური ქართველი იყო**⁵⁰.

2. როგორც ითქვა, პოლიტიკური ამბიციების მქონე ქართველმა მეფე-მთავრებმა XV საუკუნეში სრულიად საქართველოს (მცხეთის) საპატრიარქოსგან გამიჯნეს **აფხაზეთის საკათოლიკოსო**. XVI საუკუნეში

ქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხა დასავლეთ საქართველოში შემთხვევით ჩამოსულმა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა (1470/1474-1484). ამ აქტის ჩამდნთ ივ. ჯავახიშვილი “ერთიანი საქართველოს მესაფლავეებს“ უწოდებს. თავად იოვაკიმე ცნობილი ქართველი მოღვაწე იყო; მან გამორჩეული ამაგი დასდო იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს, რის გამოც მას საუკუნო აღაპი დაუწესეს.

⁴⁹ შდრ., მაგ.: დოსითეოს ქუთათელს (გვარად წერეთელს), დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გამგებლობა (1792-1814 წლებში) უბოძა სოლომონ II-მ. დოსითეოსი მხარს უჭერდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. 1789 წელს იგი იყო იმერეთის საერო და საეკლესიო თავკაცთა იმ ჯგუფში, რომელმაც წინადადებით მიმართა ერეკლე II-ს, გაეერთიანებინა და თავისი ძალაუფლებისათვის დაექვემდებარებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რასაც, სამწუხაროდ, ერეკლე II-მ უარით უპასუხა.

1819 წლის იმერეთის აჯანყების დროს დოსითეოს ქუთათელი რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მოთავე. რუსეთში გადასახლების დროს იგი გზაში (სურამთან) მოკლეს. დაკრძალულია ანანურის მიდამოებში.

⁵⁰ ერთ-ერთი ბოლო პატრიარქი (1696-1742 წლებში) იყო **გრიგოლ II**, ერისკაცობაში გრიგოლ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე; მან დაიბრუნა ფეოდალებისაგან მიტაცებული საკათოლიკოსო მამულები ოდიშისა და გურიის სამთავროებში, ასევე, რაჭის საერისთავოში; გრიგოლ II აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩრდილოკავკასიელთა აგრესიის გააქტიურების გამო აფხაზეთის საკათოლიკოსო რეზიდენცია **ბიჭვინთიდან გელათში** - ქართველთა გარემემტრისგან ყველაზე მეტად დაცულ ქრისტიანულ და საგანმანათლებლო ცენტრში - **გადმოიტანეს**.

შენიშვნა: საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) მეფის რუსეთმა უკანონოდ გააუქმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიაც, კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა აღმოსავლეთ საქართველოშიც (1811 წ.) და დასავლეთ საქართველოშიც (1814 წ.).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: დროის გარკვეულ მონაკვეთში კონსტანტინეპოლს შეიძლება ექვემდებარებოდა მხოლოდ ბიზანტიის მიერ დაპყრობილი ბიჭვინთა-ახალი ათონის მხარის (მდინარე კლისურას ჩრდილოეთით არსებული ეგრისის) ეპარქია და ბიზანტიის მიერ დაპყრობილ ლაზეთის ტერიტორიაზე - ტრაპიზონ-რიზეს მხარეში - არსებული ეპარქიები. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით დღემდე ყალბდება საქართველოს ეკლესიის ისტორია; მეტიც, IX-XI საუკუნეების წინააღმდეგობრივი ბიზანტიური წყაროების საფუძველზე აფხაზეთის სამეფოს მეფეები არაქართველებად ცხადდება ზოგი სპეციალისტის მიერაც კი; **მაგალითისთვის მოვიყვანო ცნობებს გიორგი I-ის შესახებ:**

ქართული წყაროების მიხედვით, გიორგი პირველი ქართველთა გაერთიანებული სამეფოს მეფეა, ბიზანტიური წყაროების მიხედვით კი - აფხაზეთისა: აფხაზეთი ქართული სახელმწიფოა; შდრ., ისტორიული ცნობების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში არსებული ეს სამეფო მოიცავდა მსაერისთავოს, რომელთაგან შვიდის **ავტოქთონ მოსახლეობას** საკუთრივ ეთნიკური ქართველები წარმოადგენდნენ (რ. მეტრეველი). ამ სამეფოს მართავდნენ ქართველები - “აფხაზთა მეფეები”; კერძოდ, “აფხაზთა მეფეები” იყვნენ: გიორგი II (912-957), ლეონ III (957-967); შემდეგ იყო თეოდოს III (975-978).

თეოდოსის ტახტიდან გადაყენების შემდეგ, 978 წელს დავით III ბაგრატიონი (კუროპალატი) აფხაზეთში ამეფებს მცირეწლოვან ბაგრატს. სწორედ ამ პერიოდში ეყრება საფუძველი დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ **საქართველოების (!)** გაერთიანებას⁵¹.

1008 წელს აღდგენილ-გაერთიანებული დიდი საქართველოს პირველი მონარქი ხდება **აფხაზთა და ქართველთა** (ტაო-კლარჯეთის), **რანთა და კანთა მეფე ბაგრატი**, შემდგომში ბაგრატ მესამედ წოდებული; შემდეგ ერთიანი საქართველოს მეფე ხდება მისი შვილი გიორგი I, რომელიც თავისი სამშობლოს დამპყრობელი ბიზანტიის დაუძინებელი მტერი იყო.

შდრ., იოანე ზონარას (XI-XII) “მსოფლიო ქრონიკაში” მოთხრობილი ამბავი (გეორგიკა, 1966, გვ.233-239; ტექსტს ვიმოწმებთ ს.ყაუხჩიშვილის თარგმანისა და კომენტარების მიხედვით):

ბარდა ფოკასა და ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ ბიზანტიის **მეფე ბასილი** გაემართა იბერიაში (ტაო-კლარჯეთში - ტ.ფ.), სადაც მოაწესრიგა ის სადავო საკითხები, რომლებიც გაჩნდა იბერიის კუროპალატ

⁵¹ დიდი საქართველოს აღორძინების გამორჩეული ორგანიზატორი იყო ერისთავი იოვანე მარუშისძე (მარუშიანი).

დავითის გარდაცვალების გამო და წავიდა ფინიკიისკენ... შემდეგ მობრუნდა და გაილაშქრა აბაზგიის წინააღმდეგ, ვინაიდან მისმა მპყრობელმა გიორგი I-მა დაარღვია ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულება... ფიცხელ ომში დამარცხდა აბაზგიის მთავარი გიორგი, რომელიც **შიდა იბერიისკენ** (? - ტ.ფ.)⁵² გაიქცა და ზავი ითხოვა; **მან მძევლად მისცა თავისი ძე ბაგრატი** (ბაგრატი IV).

შდრ., ამავე ამბის შესახებ ქართველი მემკვიდრის მონათხრობი:

“ხოლო მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისასა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა, მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხო-თესლითა ურიცხვთა. ხოლო გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინა-აღდგომად მისსა. და დაიბანაკეს ორთა-ვე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალ-დღე, და არ მიმართეს ბრძოლად ურთიერთას. მორიდა გიორგი მეფემან, მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი. და მუნით მოვიდა კოლას, და გამოუდგა კუალსა, და მოუდგა უკანა ბასილი, მეფე ბერძენთა. და შეკრბეს უკანა-მავალნი გიორგისნი და წინა-მავალნი ბასილისნი, და იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა, რომელსა რქვან შირიმნი. და მოისრნეს ორ-კერძო-ვე მრავლად, მოკლნეს ერის-თავნი და დიდებულნი: რატი, ძე ლიპარიტისი, და ხურსი. და გვანად ეწია ჳმა გიორგი მეფესა, ვითარმედ ომი არს უკანა-მავალთა ზედა. მაშინ უბრძანა სპათა თვსთა და აღიჭურნეს მსწრაფლ. განვიდა თვთ გიორგი მეფე, რამეთუ **ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უჭორცო**, და მის თანა სიმრავლე სპისა მისისა. და მოვიდა მუნით ბასილი მეფე ყოვლითა სპითა მისითა. შეკრბეს იმიერ და ამიერ, იქმნა ბრძოლა დიდი, და მოისრნეს ბერძენნი ფრიად, და წარმოიღეს ავარი. ეზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ **სივლტოლად განემზად ბასილი მეფე**.

ხოლო ვითარ სულ-მოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს. წარმოუდგეს უკანა ბერძენნი და დაპოვნეს ურიცხვნი პირითა მახვლისათა მოუწია ლაშქარმან არტანს, ტყუე ყვეს და მოაოჯრეს არტანი. და რაჟამს წარვიდა გიორგი მეფე თრიალეთს, წარმოუდგა უკანა, ასწყუდა ქუეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს. კუალად-ცა დაეახლნეს ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა, გარნა დაუშალეს შებმა მეორედ.

შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკუ-მოიარა ჯავახეთი და არტანი. და კუალად უბოროტესადრე შურის-გებით მოაოჯრნა ქუეყანანი იგი; წარვიდა და დაიზამთრა **ქუეყანასა ხალდისასა**, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა. და ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულისათს...

...და ყვეს მშვიდობა და დაიზავნეს, და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თვისი ბაგრატი წელიწდისა სამისა და ციხენი რომელ პირველ გაეცნეს აზნაურთა დაუცალნა და მისცნა; სხუანი-ცა ციხენი პირველ მიცემულნი და უკანის თოთხმეტნი; და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს. ხოლო რომელნი-მე ამა ქუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა. და წარვიდა ბასილი მეფე და თანა წარიყვანა **ბაგრატი უფლის-წული მძევლად ძე გიორგი მეფისა ჩუენისა**. აღუთქუა ფიცითა აღთქმა, ვითარმედ: წელსა მესამესა გამოვიგზავნო; ძე შენი. და იყო. სამ წელ ქალაქსა სამეფოსა

⁵² ბიზანტიური წყაროს “იბერია“ თუ ტაო-კლარჯეთია, “შიდა იბერიად“ უნდა ვიგულისხმოთ ამჟამინდელი ცენტრალური ქართლი (მცხეთა-სურამის არეალი).

კოსტანტინეპოლეს და წელსა მესამესა გამოგზავნა, ვითარცა აღუთქუა..."

ვრცელი (დეტალური) ციტატა ცხადყოფს, რომ ძირითად შტრიხებში **ბიზანტიელი და ქართველი მემატიანის თხრობა ერთნაირია, თუმცა, სხვაობა გვაქვს საზღვრების აღიარების კონტექსტში:**

ამკარაა, რომ ბიზანტიური წყაროს "იბერია" და ქართველი მემატიანის ქართული სახელმწიფო ერთი და იმავე საზღვრების მქონე არ არის:

ქართლის მეფე გიორგი I ბიზანტიელი ავტორის მიერ ითვლება მხოლოდ აფხაზეთის მეფედ; გარდა ამისა, ის აცხადებს, რომ ბასილმა ილაშქრა აბაზგიაში; სინამდვილეში, გიორგი I გაერთიანებული საქართველოს მეფეა, აფხაზთა (მეგრელთა/იმერელთა) და ქართველთა (ქართლელთა) მეფეა, ხოლო ქართლის მეფე ბიზანტიელთა აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებს სამხრეთ საქართველოში და არა - დასავლეთ საქართველოში.

ფეიქრობ, ქართული წყაროების დეტალური ინფორმაციები უფრო სანდოა; გარდა ამისა, საკამათო არ არის, რომ გიორგი I აღორძინებული "ყოველი ქართლის" (ტაო-კლარჯეთ-ეგრის-ქართლ-კახეთ-ჰერეთის) - სრულიად საქართველოს - მეფეა და არა - მხოლოდ აფხაზეთის (ეგრისის) მხარისა. სწორედ გიორგი პირველის შვილთაშვილის - დავით აღმაშენებლის - დროიდან იწყება **საქართველოს ოქროს საუკუნე.**

XI-XV საუკუნეებში ქართველთა სახელმწიფოს საზღვრები უცვლელი რჩება (მიუხედავად მონღოლთა აგრესიისა); უდრ. გიორგი ბრწყინვალის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები⁵³:

KINGDOM OF GEORGIA DURING THE REIGN OF KING GEORGE V 1314 - 1346



⁵³ [http://commons.wikimedia.org/wiki/File: Georgia_during_the_reign_of_King_George_V.jpg?uselang=ka](http://commons.wikimedia.org/wiki/File:Georgia_during_the_reign_of_King_George_V.jpg?uselang=ka)

5.3. “ივერიელთა ერთობის ტრაქტატი” (1790)

XV საუკუნის 60-იანი წლებიდან ვიდრე 1555 წლამდე (ამასიის ზავი: საქართველოს ნების საწინააღმდეგოდ, ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს საქართველო) საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია დაიშალა **“პატარ-პატარა საქართველოებად”**: ჯერ წარმოიქმნა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს სამთავრო; შემდეგ კი, XVI-XVIII საუკუნეებში, გურიის, ოდიშის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები. მიუხედავად შუა საუკუნეების ფეოდალურ-პარტიკულარისტული ტენდენციების არსებობისა, ერთიანი ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება არასოდეს დანაწევრებულა: ყოველ სამეფოსა თუ სამთავროს ხელისუფალი ერთიანი საქართველოს აღორძინებას ესწრაფვოდა და საქართველოს გარეთ სრულიად საქართველოს ინტერესებს იცავდა; ამ თვალსაზრისით საინტერესოა ოდიშის მთავრის ლევან II-ის (დადიანის) მოღვაწეობა (1611-1657 წ.წ.), რომელმაც განაახლა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ატენის სიონი; გადააწერინა თუ განაახლებინა ბევრი ქართული წიგნი (მაგ., მდივანბეგ **მამუკა თავაქარაშვილს** გადააწერინა “ვეფხისტყაოსანი“) და სხვ. უცხოეთში საკუთარ თავს წარადგენდა როგორც “მეფე ივერიისა“.

შუა საუკუნეების მემკვიდრეობა, საქართველოს რომელი კუთხიდანაც არ უნდა ყოფილიყვნენ, აღწერდნენ ერთიანი საქართველოს ისტორიას; მცხეთის კათოლიკოსს კი კვლავ **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით მოიხსენიებდნენ** (ს. ვარდლოსანიძე).

შღრ., ასევე:

1595 (არაბული წელთაღრიცხვით: 1003) წელს შედგენილი “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით, ოსმალეთი საქართველოს ორგანულ ნაწილად თვლიდა: სამცხეს, ორივე ტაოს (ჭოროხის ხეობას), კოლას, არტაანს (მტკვრის ზემო წელს), პალაკაციოს, ჯავახეთს, სამცხეს⁵⁴. მე-16 საუკუნის სხვა თურქული დოკუმენტების მიხედვითაც, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ერზერუმამდეა; კერძოდ, ქართველთა კუთვნილებად ითვლება: კოლა, არტაანი, შავშეთი, ოლთისი, არტანუჯი, ისპირი, თორთუმი, ბასიანი...⁵⁵. საქართველოს სამხრეთ საზღვარს ძირითადად ასევე წარმოადგენენ: მე-17 საუკუნის ცნობილი

⁵⁴ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გამოსაცემად მოამზადა სერგი ჯიქიამ), წიგნი II, თბ., 1941, გვ. VIII

⁵⁵ თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის (თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანებითურთ და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ), თბ., 1983, გვ. 31-54 და სხვ. აქვეა ცნობები სამხრეთ საქართველოს ისტორიული გზებისა და მათ გამო ოსმალეთ-ირანის გეოპოლიტიკური დაპირისპირების შესახებ.

თურქი ისტორიოგრაფი ქათიბ ჩელები⁵⁶ და თურქი მოგზაური ევლია ჩელები.

შენიშვნა: ევლია ჩელები შავშეთის ქართველების ენის ნიმუშების მოყვანისას ლაზური (მეგრული) დიალექტის ფორმებსაც ურევს (იხ., ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთუშიძემ, თბ., 1971, გვ. 290-305).

XVII საუკუნიდან ძლიერ მტრებთან ბრძოლაში უფრო და უფრო სუსტდება ქართველთა წინააღმდეგობა და საქართველოს სტრატეგიული მიწა-წყლის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებს ოსმალეთი აკონტროლებს, აღმოსავლეთ ნაწილს - ირანი.

დამპყრობელთა მიმართ **მეტი წინააღმდეგობა** იყო საქართველოს (ქართლის) იმ მხარეებში, რომელთა ცენტრში მყარად იდგნენ ბაგრატიონები (საკუთრივ ქართლი, კახეთი, დასავლეთ საქართველო...), განაპირა მხარეებში კი რთული პროცესები განვითარდა. მოვლენების განვითარების ხასიათი განსაზღვრა დამპყრობელთა პოლიტიკამაც:

ირანის პოლიტიკა აგრესიული იყო (ქართველების წინააღმდეგ ხშირი გალაშქრება, დეპორტაცია...), რის გამოც, “არსებობისათვის ბრძოლაში”, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები მხნეობას ინარჩუნებდნენ; პარალელურად, ეძებენ ძლიერ მოკავშირეს. ოსმალეთმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწია **“რბილი პოლიტიკით”**:

სამხრეთ საქართველოსა (ტაო, არტანუჯი, ერუშეთი, აჭარა, ლაზეთი, ლივანა, იმერხევ-შავშეთი...) და დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი...) გამორჩეულ ცენტრებში საკუთარი ჯარი ჩააყენა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით დაიწყო მოსახლეობის ისლამიზაცია⁵⁷. ოსმალეთმა საქართველოს განაპირა ნაწილებში შეძლო წარმატების მიღწევა (ამ მხარეებში მეტი იყო ადგილობრივ ფეოდალთა სეპარატიზმიც); კერძოდ:

ისლამიზაციის პროცესი წარმატებით განახორციელდა სამხრეთ საქართველოსა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ამ მხარეებიდან მოსახლეობის ნაწილი გადავიდა დასავლეთ საქართველოში); გადარჩა: გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი).

XVIII საუკუნეში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებისთვის ერთმანეთს ეცილებიან ოსმალეთი, ირანი, რუსეთი; 1790 წელს შეიქმნა ისტორიული დოკუმენტი - “ივერიელთა ერთობის ტრაქტატი” - რომლის მიზანი იყო ოსმალეთის იმპერიის გარეთ დარჩენილი საქართველოს გაერთიანება. ტრაქტატის სრული დასახელება ასეთია:

⁵⁶ ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, საქართველოს ისტორიის წყაროები, 10 (თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ), თბ., 1978, გვ. 136-141.

⁵⁷ გეოპოლიტიკური დაპირისპირებების პროცესში უმთავრესი გეოპოლიტიკური რესურსია მოსახლეობა; დამპყრობლის მიერ დაპყრობილი მოსახლეობის რელიგიის (ცნობიერების) შეცვლის შემდეგ წარმატებით ხორციელდება საინტერესო რეგიონის უმთავრესი გეოპოლიტიკური რესურსის - დემოგრაფიის - მართვა.

“ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოხათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოთა ქალაქსა ტფილისს 1790 წელსა”⁵⁸.

ტრაქტატი მოიცავს შესავალ ზოგად ნაწილსა და ოთხი ქართული სამეფო-სამთავროს პირველი პირების მიერ შექმნილ 4 დოკუმენტს; კერძოდ, შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

“ვინაიდგან (ვინათგან) ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა **სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა** აქვსთ ერთმორწმუნება (ერთმორწმუნეობა), არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან **შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი**, აქვსთ მავასხებლობითიცა (მავასხელობითიცა) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა (ზემოხსენებულად) ქვეყანათა ივერიისათა (ივერიისა) მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუვსთქვამთ (აღვთქვამთ) მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა პაზრთა ცხად იქმნების”.

შესავალ ნაწილს მოჰყვება “ტრაქტატი პირველი“, რომელსაც ხელს აწერს ერეკლე - მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ასევე: დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა - დარეჯანი, საქართველოს კათოლიკოსი ანტონი და ყველა დროს ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი, მეფე ერეკლეს ვიცე-კანცლერი - სოლომონ ლიონიძე.

მოვიყვანთ ერთ ამონარიდს ერეკლე მეორის ტექსტიდანაც:

“აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა (თანავალდებულებით - ტ.ფ.) თვით ძეთა ჩემთა, თავადთა საქართველოსათა, კეთილშობილთა და საზოგადოთა ერთა, სჯულუდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ქვემოთსა ივერიისა თანა და ვამცნებ ყოველთავე, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ!”

ერეკლე მეორის ტრაქტატის მონაცვლე დანარჩენი სამი “ტრაქტატი“ ეკუთვნით იმერეთის მეფე სოლომონს, ოდიშისა და სხვა სამთავროთა მთავარს გრიგოლ დადიანს და გურიის მთავარს სიმეონს. თავის მხრივ, ისინიც აცხადებენ, რომ ერთ სხეულად ერთიანდებიან ზემო ივერიის ქართველებთან.

წარმოდგენილი ციტირებების შინაარსი უფრო გასაგები რომ იყოს, განვმარტავ რამდენიმე ფრაზას:

- **ყოველნი ივერიელნი;**
- **ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი;**
- **ერთისა ენისა მქონებელნი;**
- **მავასხებლობითი/მავასხელობითი სიყვარული;**
- **ერთ გვამად შეერთება.**

⁵⁸ ტექსტი იხ.: ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 501-507.

ყოველნი ივერიელნი.

“ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ოდითგანვე ტერმინი “ქართველი“ აღნიშნავდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ხევი, ჰერეთი), ისე, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი, ოდიში ანუ სამეგრელო, იმერეთი, გურია) და სამხრეთ საქართველოს - ისტორიული მესხეთის (სპერისპირი, აჭარა, ლაზეთი, ლივანა, შავშეთი, ტაო, ერუშეთი, სამცხე, ჯავახეთი) ისტორიულ, ავტოქტონ მოსახლეობას.

1555 წელს ამასიის ზავით ოსმალეთისა და ირანის მიერ საქართველოს გაყოფის შემდეგ, ვიდრე 1790 წლამდე, ტერმინი “საქართველო“ დაკნინდა ოდენ აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილის - საკუთრივ ქართლის პროვინციის აღსანიშნავად; სამაგალითოდ მოვიყვანთ ერთ ფრაგმენტს თავად ერეკლე მეორის “განწესებიდან“ /“განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისდამი სამეფოსათვის საქართველოსა“/:

“ის განწესებაები, რომელნიც ქვეით დაიწერება ჩემის სახელისა და საქართველოს დიდთა და მცირეთათვისა, ისინი სრულებით უნდა მიიღოთ და ჩემმა შვილებმაც და შვილიშვილებმაც და **საქართველოსა და კახეთისა** ერთა...“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1965, გვ. 509).

პარალელურად, არაბობის პერიოდში, ასევე, ერეკლეს დროს “ქართველი“ დამცრობილი იყო მხოლოდ ქართლელის აღმნიშვნელად. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ერეკლე მეორის ტექსტებში გამოყენებული სიტყვა “საქართველო“ ხან ქართლის სამეფოს, ხან კი ერეკლეს სამფლობელოს - ქართლ-კახეთს აღნიშნავს.

სოლომონ ლიონიძის ინიციატივით შექმნილი ტრაქტატის ხელმომწერებმა კარგად იცოდნენ, რომ ერთი ისტორიის, ერთი ენისა და ერთი სისხლის მქონენი იყვნენ, ამიტომ **ბუნდოვანებისგან თავის დასაღწევად** გაააქტიურეს უცხოურ წყაროებში საქართველოსა და ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები: **ივერია და ივერიელნი**: ამ ტექსტის მიხედვით, ივერია არის სამეგრელოც და კახეთიც, სვანეთიც და მესხეთიც (შდრ., სამეგრელოს მთავრის - ლევან დადიანის - ტიტული: მეფე ივერიისა).

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დოკუმენტიც ტერმინების: “ივერიელი“ და “ივერია“ გააქტიურებამ მომდევნო საუკუნეში თავისი ისტორიული მნიშვნელობა და არსი დაუბრუნა ტერმინებსაც: “საქართველო“ და “ქართველი“.

ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სარწმუნო მტკიცებით, ქორონიმი “ივერია“ წარმოიშვა ერთი ქართული პროვინციის სახელისგან - “სპერისგან“.

1790 წლის ტრაქტატის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ივერია (=საქართველო) იყოფა ორ ნაწილად: **ზემო ივერია და ქვემო ივერია**.

ზემო ივერიაა აღმოსავლეთ საქართველო - ქართლ-კახეთი და ერეკლეს სხვა სამფლობელოები. **ქვემო ივერია არის იმერეთის სამეფო, ოდიში (დღევანდელი სამეგრელო) და დადიანის მმართველობას**

დაქვემდებარებული სხვა სამთავროები (იგულისხმება აფხაზეთის ნაწილი, სვანეთი, ლეჩხუმი) და გურია⁵⁹.

ცალკე მსჯელობის საგანია ტერმინი: “ქვეყანა”. მსგავს კონტექსტში “ქვეყანა” გვანსოვს ცნობილი ფორმულიდან: “ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების...”. მსგავსი სემანტიკისაა 1790 წლის ტრაქტატის ტექსტში გამოყენებული **ქვეყანაც**: “ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისა მეფენი და მთავარნი ...

ქვეყანანი ივერიისა ნიშნავს ერთი სახელმწიფოს - ივერიის - შემადგენელ ნაწილებს, ივერიის მხარეებს, კერძოდ: ქართლს, კახეთსა და ერეკლეს სხვა სამფლობელოებს; ასევე - იმერეთის სამეფოს, გურიის სამთავროს, ოდიშს და დადიანს დაქვემდებარებულ სხვა მხარეებს (იგულისხმება აფხაზეთის ნაწილი, სვანეთის ნაწილი, ლეჩხუმი).

შენიშვნა: 1790 წლის ტრაქტატზე“ ხელმოწერის დროს ქართველთა ისტორიული საცხოვრისი დიდი ნაწილი ოსმალეთის მფლობელობაშია (აჭარა, ლაზეთი, სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი, ტაო-კლარჯეთი, სპერი). ამჟამად საქართველოს დაბრუნებული აქვს ისტორიული მესხეთისა და ლაზეთის მხოლოდ მცირე ნაწილი (სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, მაჭახლისა და ლაზეთის მცირე ნაწილი), ხოლო მაჭახლის ნაწილი, ლივანა, შავშეთ-კლარჯეთი, ამიერ- და იმიერტაო, ერუშეთი, სპერი და ლაზეთის დიდი ნაწილი ამჟამინდელი თურქეთის შემადგენლობაშია (დღეს არარეალურია საზღვრების შეცვლასა თუ ტერიტორიების გადანაწილებაზე საუბარი, მაგრამ აუცილებელია თურქეთის საზღვრებში მოქცეული ავტოქთონი ქართველობის ენობრივ-ეთნიკური იდენტობის დაცვა-გადარჩენა).

ერთისა ენისა მქონებელნი.

მე-18 საუკუნის დასასრულის ქართველ ხელისუფალთა ტექსტებში, ჩვენი აზრით, მთავარი ფრაზაა: **“ერთისა ენისა მქონებელნი”**. უძველესი დროიდან მოყოლებული, ვიდრე კავკასიაში რუსეთის იმპერიის დამკვიდრებამდე, ქართველთა ყველა თაობა თვლიდა, რომ ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს. საბჭოთა პერიოდში იყო აქტიური მცდელობა, მეგრელთა, სვანთა, ლაზთა თუ მესხთა დედაენად ქართულის ნაცვლად გამოცხადებულიყო ადგილობრივი კილოები. ზოგი სუბიექტი დღესაც ცდილობს, სამეგრელოს, სვანეთის, ლაზეთის ქართველებს წაართვას 20-საუკუნოვანი ეროვნული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ისტორია და აცხადებს, რომ მაგ., მეგრელთა დედაენა მეგრულია და არა - ქართული⁶⁰.

ბუნებრივია, ჩვენთვის უფრო სარწმუნოა “იბერიელთა ერთობის ტრაქტატის” ხელმოწერთა თვალსაზრისი⁶¹.

⁵⁹ “ივერია“ ამავე კონტექსტითაა წარმოდგენილი გ. წერეთლის მიერ გამოქვეყნებულ 1778 წლის საეკლესიო დოკუმენტში (რომელიც ეხება მღვიმევის მონასტერის აღდგენის თემას):

“ჩვენ ყოვლისა ივერიისა ბატონმა, ტომობით დავითიანმა, მპყრობელმან წმინდისა ამის მონასტრის ამა: ბატონიშვილმან გიორგიმ ვიგულისმოდგინეთ: ჟამთა ვითარებისგან მონასტერი ესე საერისკაცოდ გამხდარიყო, ხოლო ჩვენ აღვაშენეთ და შევაძვეთ შიგ წყობილობითა დასაკვლელად ჩვენდა და **თანხორც ჩვენთა დადიანის ასულის მზეხათუნის** ვყავთ და ყოველთა მკითხველთა და აღმოგკითხველთა შენდობას ვითხოვთ“ (ტექსტს ვიმოწმებთ ს. ვარდოსანიძის წიგნიდან “ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები“, თბ., 2004, გვ. 35).

⁶⁰ იხ., მაგ., ნ. ლადარია, სოციოლინგვისტიკა, 2000.

⁶¹ არ მგონია, რომელიმე თანამედროვე პირმა თუ მკვლევარმა უფრო კომპეტენტურად განუსაზღვროს დედაენის სტატუსი 221 წლის წინ ტრაქტატის ხელმოწერა გრიგოლ დადიანსა თუ მეფე სოლომონს.

მავასხელობითი/მავასხელობითი სიყვარული.

221 წლის წინანდელი ტრაქტატის ხელმოწერნი“ - ერთისა ენისა მქონებელნი“ ზემო და ქვემო ივერიის მეფენი და მთავარნი, ალბათ, მაშინდელი თუ გვიანდელი “სკეპტიკოსებისთვისაც“ საუბრობენ ივერიელთა ერთიანობის სხვა არსებით საფუძველზეც; კერძოდ, ისინი წერენ: აქვთ “მავასხელობითიცა (მავასხელობითიცა) სიყვარული, ვითარცა სისხლით ხათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“.

აქ საკვანძო სიტყვაა: **მავასხელობითი**, რომელსაც ხელნაწერებში უდასტურდება მეორე ვარიანტიც: **მავასხელობითი**.

ამოსავალი ფუძეა “ვასხება“, რომელიც ძველ ქართულში “სესხებას“ ნიშნავს; საეკლესიო მწერლობიდან დავიმოწმებთ ორ წინადადებას:

“ავასხებდენ შენ ხათესავთა მრავალთა, ხოლო შენ არ ივასხებდენ“;

“ივასხის ცოდვილმან და არა მიაგის“...

სიტყვები: მიმღეობები: მა-ვასხ-ელ-ობ-ით-ი და მა-ვასხებ-ლ-ობ-ით-ი ეყრდნობა **ვასხ-** ზმნური ფუძის თემისნიშნის და უთემისნიშნო ვარიანტებს და არსებითად ერთი სემანტიკისანი არიან.

“ტრაქტატის“ მოცემულ კონტექსტში მავასხელობითი/ მავასხელობითი ღრმამინაარსიანი ებითეცია და სიტყვასიტყვით ნიშნავს:

ურთიერთვალდებულებით სიყვარულს; შესაბამისი ფრაზა კი ასე გაიგება: იბერიელები (ქართველები) - სისხლისმიერი ნათესაობის გამო სამუდამო ვალდებულებით ერთმანეთთან მარადიულად დაკავშირებული ხალხი - ერთ გვამად, ანუ ერთ სხეულად შეკრული საზოგადოება.

აქვე შევხვები **გვამ-** სიტყვის ისტორიასაც:

არქაულ ქართულში “გვამი“ ნიშნავდა ქარქაშს, სხეულს, ორგანიზმს.

XVII- XVIII საუკუნეებში “გვამს“ ორგვარი სემანტიკის მქონედ წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანი:

გვამი - პირი, ხატი;

გვამი - “სულისგან შეზავებული ხორცი“ ანუ ადამიანი.

თავად ერეკლე მეორე იყენებს ტერმინს: სამგვამოვანი ღმერთი: კერძოდ, 1791 წელს ერეკლე მეორის მიერ განახლებულ და ხელმოწერილ დოკუმენტში: განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისთადმი სამეფოისათვის საქართველოსა“ ვკითხულობ: “სახელითა ერთ-არსისა და სამგვამოვანისა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმინდისათა ვსწერ შე, მეორე ირაკლი ბაგრატიოვანი...“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 507).

ამრიგად, 221 წლის წინანდელ დოკუმენტში ქართველი მეფე-მთავრები აცხადებენ, რომ ისინი, ერთი ენით, სისხლით, ისტორიით ერთნი და ერთი ეკლესიის შვილები, **ისევ ერთიანდებიან ერთი სულის მქონე ერთ სხეულად**⁶².

შენიშვნა: საინტერესოა პარალელის გავლება, ერთი მხრივ, ქართველთა ერთიანობის ისტორიულ ძეგლში - 1790 წლის ტრაქტატში - წარმოდგენილ

⁶² 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გარეშე ძალები ისევ გააქტიურდნენ საქართველოს დასანაწევრებლად და ქართველი ერის დასაშლელად. სწორედ ამიტომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ, ინება, შექმნილიყო ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი, რომლის სათაურიც ასე ყდერს: “ღვთისმშობლის წილხვედრი სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი (2009-2010 წწ.). სასიხარულოა, რომ მას საქართველოს ბევრი მოქალაქე აწერს ხელს და ადასტურებს თავის ერთგულებას ქვეყნისა და საქართველოს ეროვნული ფასეულობებისადმი.

ივერიელთა ერთობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებსა და მეორე მხრივ, ერის ტრადიციულ და ეთნოსის თანამედროვე დეფინიციებს შორის.

ისტორიული საქართველოს საზღვრები ნაწილობრივ აღდგა ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის ომების დროს; კერძოდ, შესაძლებელი გახდა, საქართველოს საზღვრებში მოქცეულიყო ოსმალეთის საქართველოს ნაწილიც; საქართველოს სამხრეთი საზღვრების შესახებ დავიმოწმებთ ფრანკმენტს ივანე ჯავახიშვილის კვლევიდან⁶³:

“საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს საზოგადო სახელად **ზემოქართლი** ეწოდებოდა, საკუთრივ კი, და უფრო ხშირად, მესხეთს ეძახდნენ... მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს **თემს** შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რომ მოვყუროთ შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმი-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო... ქართველთა მოსახლეობის უუკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უჭირავთ. ასე იყო წარსულშიაც. **მათი კილო მეგრულს ახლო უდგება.** ოდესღაც ლაზების ანუ ჭანების მოსახლეობა ტრაპიზონსაც კი სცილდებოდა და თვით ეს ქალაქი და ოლქიც მათ ქვეყანას ეკუთვნოდა”.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1801 წლიდან დღემდე, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ, საქართველოს საზღვრებს ფაქტობრივად განსაზღვრავს რუსეთის იმპერია; მაგ., 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით (მარტი, 1878) და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით (ივლისი, 1878) ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი: კოლა-არტაანი, ტაო (ოლთისი, თორთუმი, იუსუფელი...), შავშეთი, ართვინი, ლივანა, მაჭახელი, აჭარა, ლაზეთის დიდი ნაწილი; ეს ტერიტორიებიც⁶⁴ ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა⁶⁵.

მსოფლიოს მიერ საქართველოს სახელმწიფოს თანამედროვე საზღვრები აღიარებულია საბჭოთა პერიოდში არსებული საზღვრების მიხედვით, კერძოდ, **1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე** თანამედროვე მსოფლიომ ცნოს ის საზღვრები, რომელიც განესაზღვრა საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის ველში დარჩა 1921 წლის 16 მარტს ბოლშევიკური რუსეთისა და ათა-თურქის მიერ დაფუძნებული თურქეთის რესპუბლიკის გარიგებით (1921 წლის 23 სექტემბერს ყარსში ამ ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულ ე.წ. საბჭოთა საქართველოს საზღვრების “კანონიერებაზე” ბოლშევიკური რუსეთის მთავრობამ ხელი მოაწერინა საქართველოში რუსეთის წარმომადგენლობას - საქართველოს ბოლშევიკური მთავრობას).

⁶³ ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ., 1919; http://www.amsi.ge/istoria/ij/javaxiSvili_s.html

⁶⁴ ვ. გურული, საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1919-1920), თბ. 2013, გვ. 6.

⁶⁵ საქართველოს ნების წინააღმდეგ ეს ხელშეკრულება გაფორმდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსეთის ჯარი ბრძოლებს აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ და საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას - ნოე ყორღანის მთავრობას - ჯერ კიდევ დატოვებული არ ჰქონდა საქართველოს ტერიტორია. მოსკოვში დადებული ამ შეთანხმებით რუსეთმა თურქეთს დაუთმო სამხრეთ საქართველო (სამცხის ნაწილი, ჯავახეთის ნაწილი, ერუშეთი, კოლა-არტაანი, ტაო, შავშეთი, ართვინი, ბორჩხა, მაჭახელას ხეობის დიდი ნაწილი, ლაზეთის დიდი ნაწილი).

6. საერთოქართველური ენა და ქართველთა სამწიგნობრო ენა

საერთოქართველური ენა ის არქაული მონაცემია, რომელიც არის **სათავე** ყველა ქართველური ენობრივი ერთეულისა. ლინგვისტთა დასკვნით, საერთოქართველურ ენაში დაახლოებით ისეთივე ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-სემანტიკური ვარიანტები აღდგება, როგორც გვქონდა არქაულ ქართულ სამწიგნობრო ენაში (ვრცლად იხ., ტ. ფუტყარაძე, 2005).

სპეციალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა საერთოქართველური ენის არსებობის დროის შესახებ; ზოგი მეცნიერის აზრით საერთოქართველური ენა 3000 წლისაა, ზოგის მიხედვით კი - 5000-6000 წლისა. ქრისტიანობამდელი პერიოდის ქართულენოვანი წარწერები არ არის შემონახული⁶⁶, შესაბამისად, ამოსავალი ქართველური ენის სტრუქტურისა და ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ **დაბეჭითებითი მსჯელობა** შეუძლებელია. ქვემოთ წარმოვადგენთ მეტ-ნაკლებად ლოგიკურ თვალსაზრისებს.

6.1. საერთოქართველური ენის არსებობის დრო. ქართველთა და სხვა ეთნოსთა ენები “ქართლის ცხოვრების” მიხედვით

საერთოქართველური ენის არსებობის დროის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა:

თ. გამყრელიძის, ვ. ივანოვის, მ. ქურდიანისა და სხვათა აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულში უკვე დამოუკიდებლად არსებობდა სამი ქართველური ენა: ქართული, სვანური და ზანური (მეგრელ-ჭანური)⁶⁷; შესაბამისად, მათი აზრით, საერთოქართველური ენის არსებობის სავარაუდო დროა ძვ.წ. V-IV ათასწლეულები.

ამგვარი მოსაზრება ძირითადად ეყრდნობა ენათა დათარიღების ე.წ. **გლოტოქრონოლოგიური მეთოდით** (ლექსიკური ერთეულების ცვლილების მიხედვით ენის ასაკის განსაზღვრა) მიღებულ შედეგებს; წარმოდგენილი მეთოდი ნაკლებოვანია: ეს მეთოდი ვერ ითვალისწინებს სამეტყველო კოდების შერევით გამოწვეული ცვლილებების ხარისხს, შესაბამისად, კვლევის თანამედროვე დონეზე მას ვერ დავუყრდნობით⁶⁸.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ ერთ-ერთ არგუმენტად მოხმობილია ძვ.წ. II ათასწლეულში დადასტურებული მიკენური **კოას/კო-**

⁶⁶ წარწერების არმქონე არქეოლოგიური კულტურა არც ერთ ენაზე არ მეტყველებს, ამდენად, კერამიკა თუ ლითონის ნაწარმი რაიმე მტკიცების საშუალებას არ იძლევა.

⁶⁷ კერძოდ, სვანურის გამოყოფა ივარაუდება III ათასწლეულის დასაწყისში, ზანურისა კი - ძვ.წ. II ათასწლეულში (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ. 909; თ. გამყრელიძე 1998, გვ. 3; იხ., აგრეთვე, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 27,

⁶⁸ გლოტოქრონოლოგიური მეთოდის კრიტიკისათვის იხ.: კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972; დ. კრისტალი, 1989, გვ. 331; ტ. ფუტყარაძე, 2000, გვ. 327; თ. გვანცელაძე, 2004 და სხვ..

ვო “ტყავი“ სიტყვა, რომელიც, მათი აზრით, მომდინარეობს უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში თითქოსდა არსებული “ზანური ენის“ *ტყავ- ფუძისგან (რომლის ამოსავალ ვარიანტად ივარაუდება საერთოქართველური *ტყავ- ფუძე; თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984, გვ.908-90).

წარმოდგენილი არგუმენტიც არ არის სარწმუნო, რამდენადაც მეგრულ-ლაზურში არ არსებობს და არცაა სავარაუდო ტყავ- ფუძე:

როგორც წესი, საერთოქართველური *ტყავ- ტიპის ფუძეებში ბაგისმიერი ვ-ს არსებობის გამო ზანურ კილოებში გვაძლევს ე ხმოვანს, შესაბამისად, ლაზურ-მეგრულში მოსალოდნელია და არის კიდევ: ტყებ- ფუძე (ტყები “ტყავი“); შდრ.: *ძარღვ- > ჯერღვ, *არჩვ- > ერცქემ- და სხვ.

თ.გამყრელიძის, ვ.ივანოვის, დ.მუსხელიშვილის, მ.ქურდიანისა და სხვა ავტორთა მიერ გაანალიზებული სხვა ლექსიკური პარალელებიც ვერ იძლევა დამაჯერებელ დასკვნას საერთოქართველური ენის ძვ.წ. V-III ათასწლეულში არსებობის შესახებ; კერძოდ, ამგვარი საკამათო მასალის მიხედვით ვერ დავადგენთ საერთოქართველური თუ საკუთრივ ქართული ენის არსებობის დროს; გარდა ამისა, რეკონსტრუირებული და არადოკუმენტირებული ენების სავარაუდო ლექსიკური ბაზის მიხედვით ასეთ შორეულ დროში რთულია დადგინდეს: **სესხებასთან გვაქვს საქმე თუ საერთო წარმომავლობასთან.**

საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ მეცნიერებისთვის დღემდე ცნობილი ეთნიკური ერთობები ძვ.წ. IV-III ათასწლეულებიდან დასტურდება; გარდა ამისა, ძვ.წ. III ათასწლეულში ნავარაუდევია მსოფლიოს ყველა ენა უკვე მკვდარია, ხოლო აღდგენილი პრაენების (მით უმეტეს, პროტოენების) სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება თანამედროვე ენებისგან; თუკი, მაგ., **შუმერების დროს ზანურის, სვანურის თუ ქართულის არსებობას დავუშვებთ**, გამოდის, რომ მსოფლიოში არსებულ ენათაგან 5000 წლის მანძილზე მხოლოდ ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური “ენები“ ინარჩუნებენ თავისთავადობას, რაც არალოგიკურია:

მსოფლიოში არ არსებობს დიდი სამწერლობო ტრადიციის მქონე ენაც კი, რომელსაც 50 საუკუნის განმავლობაში შეენარჩუნებინოს თავისი ძირითადი სახე; მით უმეტეს, ასეთი ვერ იქნება უმწერლობო ტომობრივი ენა თუ კილო. 1000 წლის მანძილზეც კი მხოლოდ დიდ სამწერლობო ტრადიციას შეუძლია, შეანელოს ენის მნიშვნელოვანი ცვლილების პროცესი; 4000-5000-წლიან თვისობრივ უცვლელობაზე კი, ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია.

ენათა დათარიღების შესახებ მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ **სამწერლობო ტრადიციის მქონე და უმწერლობო** ენების ასაკის ტიპოლოგია:

თუკი აწმყოდან გავადევნებთ თვალს ამჟამინდელ ენებს, აღმოჩნდება, რომ წერილობითი ტრადიციის ენების უმრავლესობა ვერ გადაშორდება 2000 წელიწადს; მით უმეტეს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ე.წ. უმწერლობო ენებმა თუ დიალექტებმა თავი შეინარჩუნეს 5000 წლის მანძილზე.

უფრო ლოგიკური ჩანს კ.ბერგსლანდის, ჰ.ფოგტისა და არნ.ჩიქობავას თვალსაზრისი; კერძოდ:

კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი: ჰიპოთეტური საერთოქართველური ენა “ძვე-

ლი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულში უნდა მოვითავსოთ“ (კ.ბერ-გსლანდი, ჰ.ფოგტი, 1972, გვ. 255);

არნ.ჩიქობავა: “იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს; სავარაუდოდ, **სამი ათასი წლის წინანდელს (შესაბამისად, საერთოქართველური ნავარაუდევია ძვ.წ. I ათასწლეულში - ტ.ფ.)**, და, ალბათ, ძველ ადგილ--სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს. ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არაერთს სხვა ენას გადაჰყრიან; საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქრალა/გათქვეფილა სხვა ენაში. ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს “გასაოცარი ნაირგვარობა“ ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში (ასევე, ლექსიკაშიც) ნიშანდობლივი საერთო თვისებები შერჩენიათ“ (არნ.ჩიქობავა, 1979, გვ.253)...

საერთოქართველური ენის არსებობის დროზე გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს ქართველურ კილოებში არსებულმა იმ სიტყვებმა, რომელთა საერთოქართველური არქეტიპი ნასესხებია და შესაძლებელია სესხების დათარიღებაც; მაგალითად, ვფიქრობთ, **საერთოქართველურშივე არსებული, სპარსულთან ზიარი ზოგი სიტყვაფორმა ძვ.წ. VI საუკუნეს ვერ გაშორდება** (შესაბამისად, უფრო ადრე გამოირიცხება საკუთრივ ზანურ-სვანური ენობრივი ერთეულების არსებობა); ასეთი ჩანს: **ზარი, კუ-ართი, ტყე, ძეწკვი, წით-ს/წით-ელი...** დიდი ალბათობით, წარმოდგენილი ფორმები სპარსული წარმომავლობისაა ან სპარსულის გზითაა შემოსული (სათანადო მსჯელობისათვის იხ. მ.ანდრონიკაშვილი, 1966).

ცნობილია, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს ქართველური ტომები მოიცავდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთს (სოჭიდან სინოპემდე), მტკვრის ხეობის დიდ ნაწილს და ჭოროხის ხეობას მთლიანად; ამ პერიოდში ამავე ტერიტორიაზე არსებობს არქეოლოგიური კულტურა, რომელიც ცნობილია **“კოლხური კულტურის სახელით“**. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ კოლხური კულტურის საზღვრები ძირითადად თანხვედბა ქუჯისა და ფარნავაზის ერთიანი სახელმწიფოს საზღვრებს.

ვფიქრობ, ლოგიკურია დავშვათ, რომ საერთოქართველური ენა არსებობდა ძვ.წ. II-I ათასწლეულებში - **კოლხური კულტურის არსებობის დროს და ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე**⁶⁹.

როგორი აგებულებისა იყო საერთოქართველური ენა?

მეცნიერთა მიერ აღდგენილი (რეკონსტრუირებული) საერთოქართველური ენა უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების ენას ჰგავს (ვრცლად იხ., 6.3.).

კოლხური კულტურის ენის - საერთოქართველური ენის - არსებობის დროისა და **სტრუქტურის** დადგენის თვალსაზრისით, საყურადღებოა ქართველური სამყაროდან ბერძნულში ნასესხებ სიტყვათა ჩვენება:

საუკუნეების მანძილზე ბერძნულში შესული ქართველური ტოპონიმე-

⁶⁹ უფრო ადრე, V-III ათასწლეულებში შეიძლებოდა არსებულიყო საერთო იბერიულ-კავკასიური ენა.

ბი და ეთნონიმები, როგორც წესი, საერთოქართველური (resp. ქართული სამწიგნობრო ენის) ფონემატური სტრუქტურის მიხედვითაა წარმოდგენილი; მაგ: ჰესიოდეს მიერ VIII საუკუნეში დადასტურებულია **ფათისი** (შდრ., ფოთი); III-I საუკუნეებში გვაქვს: **კუტაიისი, სარაპანისი** (შდრ., **შორაპანი**), **ეკრ(ა)ტიკეს (ეგრისის) მიწა, აბაზკოი (აფხაზეთი), აფშილეთი, სუანი...** (განსხვავებული მსჯელობისათვის იხ. რ. გორდეზიანი, 1993, გვ.39, 48, 55, 61, 63). ჩანს, ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულს ბერძნებისთვის ცნობილი იყო სწორედ საერთოქართველური თუ სამწიგნობრო ქართული-სეული: **ფათ-, კუთაის-, სარაპანის-** და **სუან-** ფორმები, რაც გვაგვარაუდებინებს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზეც, წელთაღრიცხვითა მიჯნაზეც და შემდეგაც, ბერძნებს ურთიერთობა ჰქონდათ საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის ანალოგიური ენის მქონე ქართველობასთან. არსებობს ე.წ. თარიღიანი ტოპონიმიც: **ქუთაისი**:

არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, **ისტორიულ ეგრისში** არსებული ეს ქალაქი დაარსებულია ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში; ყოველ შემთხვევაში, ამავე პერიოდში ბერძნულ წყაროებში დაფიქსირებული სახელწოდება ზუსტად ემთხვევა საერთოქართველურ/ქართულ ვარიანტს - **ქუთათისი/ქუთაისი** - და არა - მეგრულ კილოურ ვარიანტს - **ქუთეში**; ძვ.წ. I ათასწლეულში რომ ყოფილიყო ჩამოყალიბებული მეგრული მეტყველება, ბერძნულში ქუთაისის სახელად დამკვიდრდებოდა **ქუთეში**.

მაშასადამე, უფრო ლოგიკურია დავუშვათ:

საერთოქართველური ენის ბაზაზე ქუჯ-ფარნავაზის ეპოქაში შეიქმნა **ქართველთა სამწიგნობრო ენა** (ვრცლად იხ., ნ.2.), რომელიც, როგორც ქართველთა ეროვნული ენა, ქართველი ერის, ასევე, ქართველთა მიერ აღორძინებული სახელმწიფოს მთავარ მაკონსოლიდირებელ ფაქტორად იქცა⁷⁰. შდრ.: მემატთანე ამ პროცესს “**ენის გავრცობას**“ უწოდებს:

“და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არ-ლა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა. და ამან (ფარნავაზმა - ტ.ფ.) შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

საინტერესოა ისიც, რომ “ქართლის ცხოვრებაში“ საერთოდ არ არის საუბარი არც ცალკეულ ქართველურ ტომთა ენებსა თუ დიალექტებზე და არც ჩრდილოკავკასიურ ენობრივ ერთეულებზე. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ მემატთანისთვის ენის სტატუსი აქვს მხოლოდ იმ მეტყველებას, რომელიც **ზოგადტომობრივი თუ ეროვნული ენაა**; კერძოდ, თარგამოსის კავკასიური მოდემისთვის ასეთი იყო ჯერ სომხური (ურარტული), შემდეგ კი - ქართული (ფარნავაზიდან მოყოლებული მემატთანის

⁷⁰ ქრისტეს შემდეგ პერიოდში ძველი ქართველური კილოებისა და მათ შორის არსებული გარდამავალი მეტყველებების საფუძველზე ყალიბდება თანამედროვე ქართველური კილოები. საქართველოს განაპირა რეგიონებში დიალექტების სახეს განსაზღვრავს მეზობელ ეთნოსთა ენების ადსტრატული თუ სუპერსტრატული გავლენებიც.

დრომდე)⁷¹.

იმავე მემატიანის აზრით, ფარნავაზამდელ ქართლში ქართულთან ერთად თანაარსებობდა შემდეგი ენები: **“სომხური /ანუ ურარტული ენა - ტ.ფ./, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ეს ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“**.

აქ სამსჯელოა **სომხური ენის საკითხი**, რამდენადაც, “ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილში გადმოცემული ამბები წინ უსწრებს **კავკასიაში არმენების მოსვლას**; ზოგი მკვლევარი არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ქართველი მემატიანის “სომხური ენა“ არ გულისხმობს ამჟამინდელ სომხურ (არმენულ) ენას; თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჰაოსის შთამომავლების საცხოვრისი მოიცავს ურარტუს ტერიტორიას, ლოგიკურია დასკვნა, რომ ქართველი მემატიანის **“სომხური ენა“ ქართველურის მონათესავე ურარტულთა ენას გულისხმობს** (მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: რ. გორდეზიანი, 1993, გვ.47; ა. ჯაფარიძე, 1994, გვ.72; ჯ. კაშია, 1999; რ. აბაშია 1999).

შდრ.: ინდოევროპული ენის მქონე **არმენები** კავკასიაში გვიან, ურარტუს დაცემის შემდეგ მოდიან. ლოგიკური ჩანს სპეციალისტთა დასკვნაც, რომ **ჰაიკი/ჰაოსი** კავკასიაში მოსახლე (ავტოქთონი) ურარტულ-ხურიტული მოდგმის ხალხის ეთნარქია, ხოლო **არმენიაკი** - მოსული ინდოევროპელებისა (მ.სანაძე, 2001, გვ.42-43).

მსჯელობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:

ამჟამინდელი სომხები წარმოქმნილი არიან ავტოქთონი სომხებისა (ურარტულელების) და მოსული არმენების შერწყმით; მოხდა ენათა შერევა: დომინანტ ენად იქცა მოსული არმენების ენა; მხოლოდ ენათა შერევით შეიძლება აიხსნას ინდოევროპულის წარმოშობის არმენულ (ამჟამინდელ სომხურ) ენაში იბერიულ-კავკასიური ენის მძლავრი ფენის არსებობა და **ქართველების მიერ არმენებისთვის “სომხების“ წოდება**⁷².

⁷¹ მითრიდატეების პონტო და კაბადოკია ძირითადად ქართველური ტომებით დასახლებული ქვეყნები იყო, მაგრამ ქართველურ სახელმწიფოდ იმიტომ ვერ დაიმკვიდრეს თავი, რომ იქ სახელმწიფო ენა და დამწერლობა არ იყო ქართული; შდრ., საქართველოში პონტო-კაბადოკიიდან არიან მოსულნი აზოც, წმინდა ნინოც და კაბადოკიელი წმინდა მამებიც; მათ აქ ეგულებოდათ თავიანთი ნათესავების ძირითადი საცხოვრისი. საქართველოში წმინდა გიორგის გამორჩეული თავყვანისცემა ეთნიკური ფესვებითაც შეიძლება იყოს მოტივირებული.

⁷² შდრ.: მოსულ ხალხს სხვა შემთხვევებშიც შერჩა დამხვდური (და ასიმილირებული) საზოგადოების სახელი: ხათები >> ხეთები; აფხაზები >> აფსუები.

6.2. ქართველთა სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემა; სამწიგნობრო ენის სტილური სახესხვაობანი

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული სამწიგნობრო ენა ქართულ-კახელ-იმერელ-გურულელებისა და მეგრულ-სვანებისთვის საერთო ენაა... **წარმართობისდროინდელი საერთო შემოქმედებაა** (1908, გვ. 4; 1979, გვ. 154-156).

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის შესახებ; მაგ., არნ. ჩიქობავა ფიქრობდა, რომ **ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე**; ახალი ქართული სალიტერატურო ენა კი ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 114-115; იხ., აგრეთვე: ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 172-173).

გიორგი ახვლედიანის რედაქტორობით გამოქვეყნებულ “ენათმეცნიერების შესავალში“ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მიხედვით (ავტორია გ. ნებიერიძე) “ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს...” (გ. ახვლედიანი, 1972, გვ.27).

ქართველთა სამწიგნობრო ენის ამოსავალ ენობრივ სისტემად ქართლურის თუ ქართლურ-კახურის მიჩნევას ხელს უშლის ერთი არსებითი გარემოება:

არქაული ქართული წერილობითი ძეგლების ენას აქვს ბევრი ისეთი თავისებურება, რომელიც ნამდვილად არ ახასიათებს არც ქართლურ და არც კახურ დიალექტს; თუკი დავუშვებთ, რომ ქართლური/კახური სამწიგნობრო ენის დაფუძნების შემდეგ შეიცვალა, ამგვარივე დაშვება შესაძლებელია სხვა ქართველური კილოების მიმართაც.

უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა იმ ენისთვის, რომელიც არსებობდა ძვ.წ. I ათასწლეულში; ასეთი ენა საერთოქართველური ენაა, რომლის რეკონსტრუირებული ფორმები თითქმის იდენტურია ყველაზე ძველი (ე.წ. ხანმეტი) ტექსტების ენისა. შდრ.:

სხვადასხვა ანბანთა შეპირისპირების, ასევე, უძველესი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ **ასომთავრული ანბანი წარმართული პერიოდის ძეგლია** და შექმნილია არა უგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა. ამავე აზრს ემხრობა პ. ინგოროყვაც. ცნობილი წყაროების ახლებური ანალიზისა და ბოლო წლებში მიკვლეული ძეგლების შესწავლის საფუძველზე **რ.პატარიძემ** ქართული ანბანის შექმნის თარიღად ივარაუდა **ძვ. წ. 415 წელი (რ. პატარიძე, 1989)**. სხვადასხვა პროფილის ბევრი სხვა მკვლევარიც (აკ.ბაქრაძე, გ.ნარსიძე, მ.ჩხარტიშვილი, ზ.ალექსიძე, ლ.ჭილაშვილი...) ქართულ ანბანს წარმართული ხანის ძეგლად მიიჩნევს. შდრ., აგრეთვე, “მატიანე შემეცნებათას“ ცნობა: **“არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაცა შინა ფარნავაზამდე...”**

ქართული დამწერლობის შექმნის დროისა და საბაზო ენის დადგენის პროცესში არსებითია ისტორიული რეალობისა და ენობრივი ფაქტების გათვალისწინება.

ლექსიკა. ქართველური სამწიგნობრო ენისა და კილოების მონაცემთა შეპირისპირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რეკონსტრუირებული საერთოქართველური ლექსიკის მორფოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად ემთხვევა არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს; მასალა ვრცლადაა წარმოდგენილი ნ.მარის, ა.ცაგარელის, პ.ჭარაიას, არნ.ჩიქობავას, გ.კლიმოვის, ჰ.ფენრიხის, ზ.სარჯველაძის, მ.ჩუხუას და სხვათა ლექსიკონებში, ამიტომ მრავალ ნიმუშთაგან აქ მხოლოდ რამდენიმე ტიპურ შემთხვევას წარმოვადგენთ:

საერთოქართვ. ***ასული**, სამწიგნ.ქართ. ასული, მესხ. ასული, ზან. ოსური, სვან. ასუშ;

საერთოქართვ. ***თაფლი**, სამწიგნ.ქართ. თაფლი, მესხ. თაფლი, ზან. თოფური, სვან. თუ/თუი;

საერთოქართვ. ***ყურძენი**, სამწიგნ.ქართ. ყურძენი, მესხ. ყურძენი, ზან. ყურზენი, სვან. ყურძელ...

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურისთვის აღდგენილია სამწიგნობრო ტრადიციის ამსახველი ლექსიკაც; კერძოდ, მ.ჩუხუას აზრით (2006), საერთოქართველურში სამწერლო ტრადიციის არსებობას მხარს უჭერს ისეთი ფუძეები, როგორცაა: წიგნ-“წიგნი“, ქერტ-“ქალაღი, ტყავის ნაჭერი“ და სხვ.

ფ, უ და ჰ ბგერები. საერთოქართველური ფუძეების ფონემატურ სტრუქტურაში სამი კლასი გამოიყოფა: **თანხმოვნები** (ჩქამიერები, სონორები), **სონანტები** და **ხმოვნები**. ფუძეების ხმოვანთა სისტემაში თანამედროვე ქართველურ ენა-კილოთა მიხედვით აღდგება **ა, ე, ო ხმოვნები. ი და უ ბგერები** ხან მარცვლოვანი, ხანაც უმარცვლო ალოფონებით წარმოდგებიან და, შესაბამისად, ქმნიან **სონანტთა კლასს. ი/ა და უ/უ/ვ** სონანტები დღესაც არსებობს თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში (შდრ.: თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიხედვით, თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში სონანტთა კლასი გამოირიცხება). თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხისა და სხვათა აზრით, საერთოქართველურ სონანტთა რიგში აღდგება **მ, ნ, რ, ლ** ფონემებიც. არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ქ.ლომთათიძე, თ.გვანცელაძე და სხვა ცნობილი მეცნიერები სამართლიანად თვლიან, რომ საერთოქართველურშიც და დღესაც **მ, ნ, რ, ლ** ბგერები **სონორებია და არა სონანტები**. სპეციალისტთა დიდი ნაწილი საერთოქართველურში ძირითადად იმავე თანხმოვნებს აღადგენს, რომლებიც გვაქვს არქაულ სამწიგნობრო ქართულში: ხშულები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ; ჯ, ყ. ნაპარალოვნები: ზ, ს; ყ, შ; ღ, ხ; ჰ. სონორები: მ, ნ, რ, ლ. მკვლევართა ერთი ნაწილის (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, მ.ქურდიანი) აზრით, საერთოქართველურ ენაში წინანუნისმიერი ძ, ც, წ, ზ, ს და უკანანუნისმიერი ჯ, ჩ, ჭ, ყ, შ ბგერების გვერდით დამატებით სავარაუდოა უჟანუნისმიერი (შუასიბილანტური) ძ', ც', წ', ზ', ს' თანხმოვნების არსებობა. ამ მოსაზრებას ფაქტობრივი მასალა ნაკლებად

უჭერს მხარს.

ამრიგად, ქართული ანბანის საყრდენი მოდელის ძიების თვალსაზრისით არსებითია ის, რომ ასომთავრულში დასტურდება: **ჯ, ღ** და **ჟ** ბგერების აღმნიშვნელი გრაფემები; ისინი არსებობდა არქაულ ქართულშიც, საერთოქართველურშიც და არ არის დამახასიათებელი ქართლური და სამცხურ-ჯავახური კილოებისთვის (თუმცა დღესაც ბუნებრივია ქართველურ კილოთა უმრავლესობისთვის; გარდა ამისა, **ჯ, ღ** და **ჟ**-ს აღმნიშვნელი ასოები XIX საუკუნემდე გამოიყენებოდა სამწიგნობრო ენაში). “არქაულ ქართლურსა“ და მესხურს თუ წარმოვიდგინთ ამ ბგერებითურთ, ბუნებრივია, “არქაული ქართლურის“/მესხურის და საერთოქართველურის იდენტური მონაცემები “არქაულ ქართლურს“/მესხურს საერთოქართველურთან გაგვითანაბრებს; ე.ი. ამ შემთხვევაშიც, ლოგიკურია ვთქვათ, **რომ ასომთავრულის ფონემური საფუძველი** უფრო საერთოქართველურია, ვიდრე ქართლური (სადაც არ ჩანს **ჯ**).

ხმოვანთკომპლექსები. ერთი მორფემის შიგნით ქართველური ქვესისტემებისთვის დამახასიათებელი არ არის ხმოვანთკომპლექსები; მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთმიმდევრობები (განსაკუთრებით: აე, ეა, აო, ოე, ეო) ყველა ქართველურ დიალექტში განიცდის ცვლილებებს: წარმოიქმნება დიფთონგი, გრძელი ხმოვანი, ან ერთი ხმოვანი. მსგავსი რამ არ დასტურდება სამწიგნობრო ენაში; შესაბამისად, შეუძლებელია დავუშვათ, რომ არქაული სამწიგნობრო ენა რომელიმე ჩვენთვის ცნობილ ქართველურ კილოს ეყრდნობა. ამ შემთხვევაშიც, ქართლური (თუ სხვა რომელიმე კილო) უფრო გვიანდელი გამოდის, ვიდრე ასომთავრულის საყრდენი მეტყველება. ბუნებრივია, ეს ფაქტიც კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ არქაული სამწიგნობრო/სტანდარტული ენისთვის ამოსავალ სტრუქტურად მივიჩნიოთ არა ქართლური ან მესხური, არამედ - საერთოქართველური ენა.

უენიშვნა: თუ დავუშვებთ ე.წ. “არქაული ქართლურის“ არსებობას და წარმოვიდგინთ, რომ მასში ხმოვანთკომპლექსები თავდაპირველი სახით არსებობდა, ასეთი “არქაული ქართლური“ საერთოქართველურს ან, სამწიგნობრო ენას დაემთხვევა. ხმოვანთკომპლექსების ისტორიიდან გამოვინარე, თითქოს უფრო ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ქართლური მომდინარეობს სამწიგნობრო ენიდან** და არა სამწიგნობრო ენა - ქართლურიდან; ესეც ნაკლებარგუმენტირებადია, ვინაიდან ქართველურ სინამდვილეში არც ერთი კილო არ იღებს სათავეს სალიტერატურო ენიდან: **ყველა კილოშია** ისეთი არქაული გრამატიკული თუ ლექსიკური ფაქტები, რომლებიც სამწიგნობრო ენის ველში არ დასტურდება, მაგრამ **სავარაუდოა საერთოქართველურში.**

მოთხრობითი ბრუნვა. ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში მოთხრობითი (ერგატივი) ერთადერთი ბრუნვაა, რომლის ნიშნის ძირითადი ალომორფები (-მან/-მა/-მ) საერთოქართველურში არ აღდგება: არქაულ სამწიგნობრო ენაში ერგატივი წარმოდგენილია სახელის **ფუძით** (**აბრაამ**), უბრუნველი ნაცვალსახელებით (**მე, შენ, ჩვენ, თქვენ, მან, მათ,**

ვინ, თვითონ), ან **მან ნაწევრიანი** ყალიბით (კაც-მან); სვანურ კილოებში ე.წ. ადილური ტიპის ერგატივია გაბატონებული, ხოლო ზანურ კილოებში ერგატივს აწარმოებს **-ქ** სეგმენტი (რომელიც, ჩვენი აზრით, მეგრულ, რაჭულ, ტაოურ, იმერხეულ და სხვა ქართველურ კილოებში ფართოდ გავრცელებული **ქე/ქი/ქო/ქვე/კი/ხო/ჰო** ნაწილაკის ნაშთია; ტ.ფუტკარაძე, 2005, გვ. 317-318). შესაბამისად, ლოგიკურია დავუშვათ, რომ იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკური ბრუნვის - ერგატივის **-მან/მა** და **-ქ** ნაწილაკებიანი ქართველური ვარიანტები ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის ფორმირების შემდეგ (შდრ.: საერთო იბერიულ-კავკასიური ტიპის ერგატივად თუ არ მივიჩნევთ, სვანურ კილოებში არსებული ე.წ. “ადილური ერგატივი“ ჩრდილოკავკასიურ სუპერსტრატად შეიძლება ჩავთვალოთ; მისი დამკვიდრების საწყისი დრო შეიძლება დაუკავშირდეს “ქართლის ცხოვრების“ ცნობას წელთაღრიცხვათა მიჯნაზე კავკასიონის სამხრეთით ჩრდილო კავკასიელების გადმოსახლების შესახებ).

სხვაგვარად: საერთოქართველურისა და არქაული ქართული სამწიგნობრო ენის მსგავსად, მეგრულ-ჰანურისა და სვანური კილოების მოთხრობითში არ გვაქვს -მან მორფემა იმიტომ, რომ **ქართველური დიალექტების** -მა/-ქ ელემენტებიანი მოთხრობითი ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის შექმნის შემდეგ; ე.ი. მოთხრობითი ბრუნვის -მა და -ქ ალომორფები ჩნდება ახ წ. IV-VII საუკუნეების შემდეგ; ეს კი მიუთითებს საერთოქართველურისა და არქაული ქართულის თანაარსებობას წელთაღრიცხვათა მიჯნაზე და შიშინა დიალექტური წრის გვიანდლობას.

ხანმეტობა. სვანურ და ფხოვურ კილოებში პირის ნიშნად დღემდეა შემორჩენილი არქაული სამწიგნობრო ენისთვის დამახასიათებელი ე.წ. ხანმეტობის დროინდელი **ხ-** პრეფიქსი:

ახ.წ. V-VII საუკუნეების **ქართული ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგიურად**, სვანურში **ხ-** პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშხი “იწვი“, ხ-ასყი “აკეთებ“, ხ-ატბიდე “ათბობ“... ხ-ალატ “უყვარს“, ხ-აჰჰდი “აძღვეს“, ხ-აგდი “სძინავს“...). იგივე ხ- პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის **ხ+ჟ-** სეგმენტში (საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: გ.როგავა, 1956; მ.სუხიშვილი, 1986; ნ.მაჭავარიანი, 1986), კერძოდ, საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, სვანურ კილოებშიც პირველი პირის ნიშანია ჟ/ვ, რომელიც არაბაგისმიერი ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად იკარგება, ხოლო თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში შემონახულია ინფიქსის სახით (მსგავსი დისტრიბუცია ჩვეულებრივია სხვა ქართველურ კილოებშიც). რაც შეეხება **ხ+ჟ-** სეგმენტის **ხ-**ს, ლოგიკური ჩანს, დავუშვათ:

ხ- პირველი პირის ზმნურ ფორმაში არსებული ირიბი ობიექტის ნიშანია; დროთა განმავლობაში, სვანურ ფორმებში **ხჟ-** ერთიან მორფემად გადააზრიანდა და სხვა შემთხვევებშიც განზოგადდა.

ჰ/ხ/ს (< სა-/რა-) პრეფიქსისათვის ამოსავალი ჩანს **კლას-კატეგორიის ნიშნობა** (არნ.ჩიქობავა, 1944), ვინაიდან სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი, გრამატიკულად განსხვავებული პირის – მესამე ობიექტისა და მეორე სუბიექტის წარმოდგენა ერთი და იმავე ნიშნით; შდრ., ძველი სამწიგნობრო

ენის მონაცემები: აღხუმათე, შეხუაბთ... ჰესცოდე, ჰკითხე.

ძველ სამწიგნობრო ქართულშიც და სვანურ, თუშურ, ხევსურულ მასალაშიც (მი-ხ-გვრიან, ხ-ქონდა, და-ხ-კაზმავს, ხ-მკიდი, და-ხ-ფარვენ...) ამოსავალია **ს/ჰ**; დიალექტებში სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: **ს/ჰ > ჰ > 0 და ს/ჰ > ხ > (ლ)**: სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში სწორედ **ხ-ს** (და არა **ჰ-ს**) შეუძლია მოგვცეს მჟღერი **ღ**; შდრ., ხევსურული: მალ-გვრის, ღგვანდი, ღგონება (შდრ., ა.შანიძე, 1920 და ა.ჭინჭარაული, 1960, გვ.96-98). გურულ-აჭარულ კილოებშიც გვაქვს პირის ნიშნად ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული **ხ** (იხ. ქ.ლომთათიძე, 1938; მ.ცინცაძე, მ.ფალავა, 1998 და სხვ.), ოღონდ, აქ **ჰ > ხ** პროცესი ფუძისეული თანხმონითაცაა განპირობებული; შესაბამისად, გურულ-აჭარულში გამოვლენილი **ხ** ხანმეტობის პერიოდისად ვერ მიიჩნევა.

აშკარაა:

მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ხ-**, ანუ ე.წ. ხანმეტობა **საერთოქართველური მოვლენა ჩანს**. საერთოქართველურშივე არსებული **ჰ/ხ** მონაცვლეობის შედეგი უნდა იყოს ზოგ კილოში **ჰ > 0** პროცესის განვითარება, ზოგან კი **ხ-ს** დამკვიდრება (შდრ.: მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ხანმეტობა და ჰაემეტობა საკუთრივ ქართული ენის ორ კილოს ასახავს).

გასარკვევი რჩება ამოსავალი ფონემის საკითხი:

ფონეტიკური პროცესების ხასიათის გათვალისწინებით, უფრო ლოგიკურია არნ.ჩიქობავასა და გ.როგავას თვალსაზრისი **ხ-ს** უწინარესობის შესახებ. ნივთის კლას-ნიშანი **ხ**, როგორც გ.როგავა ვარაუდობდა, ფონეტიკურ ნიადაგზე გვაძლევდა **ჰ-სა** და **ხ-ს** შორის გარდამავალ ბგერას (საკითხის ისტორიისათვის იხ. გ.როგავა, 1956). ჩანს, სამწიგნობრო ენის სტანდარტიზაციის ძველ ეტაპებზე ზოგი ლიტერატურული სკოლა პირის ნიშნად **ჰ-ს** აზოგადებდა, ზოგი სკოლა კი - **ხ-ს**; საბოლოო ნორმად კი დამკვიდრდა ზმნური ფუძის დასაწყისის შესაბამისი ბუნებრივი ფონეტიკური ვარიანტები: ბაგისმიერებთან და უკანაენისმიერებთან - **ჰ**, წინაენისმიერებთან - **ხ**, სხვა შემთხვევებში - **0**. ე.ი. **ზანურ-სვანური კილოების ფორმირების პროცესში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად** საერთოქართველურ ენაში (ენობრივ კოინეში) **გააქტიურებული იყო ხ ვარიანტი**.

ძირითადი დასკვნა: ხ- პრეფიქსის პოვნეირებით სვანური კილოები სრულად ასახავს არქაულ სამწიგნობრო ენას, ფხოვური კილოები კი - ოდნავ სახეცვლილ ვარიანტებს; შესაბამისად, ერთი მხრივ, ხანმეტობა საერთოქართველურ მონაცემად უნდა ჩავთვალოთ და, მეორე მხრივ, შეუძლებელია, სვანური 1000-2000-წლიანი შუალედით დავაშოროთ არქაულ სამწიგნობრო ქართულს, რომელშიც **საერთოქართველური ხანმეტობა** ასახული.

ხანმეტობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა თ.გვანცელაძის დაკვირვებაც: სამწიგნობრო ქართულის **ნარ-თანიანი** მრავლობითი, **ხუცესი** და ზანური კილოების **უჩაში** საშუალებას უნდა იძლეოდეს, ზანურის გამოყოფის დროდ განვსაზღვროთ ახ.წ. V საუკუნე; კერძოდ, **ხუცესი** ასახავს ხანმეტობის პერიოდს, ხოლო **უჩაში** - ჰაემეტობისას (აზრი გამოთქმუ-

ლია ზეპირი საუბრის დროს). იგივე ხ- პრეფიქსია სვანურ ხოშა “უფროსი“, “დიდი“ სიტყვაში (ხ-უცესი/უჩაში/ხ-ოშა სიტყვებში ხანმეტობის ხ- პრეფიქსი გამოყოფა ა. მანიძემ; იხ. გ. როგავა, 1956, გვ. 293).

წარმოდგენილ მოსაზრებებთან მიმართებაშია გასაზრებელი საერთო-ქართვ. სა – ზან. ო შესატყვისობის საკითხიც:

- ცნობილია, რომ სამწიგნობრო ქართულის სა- პრეფიქსს ზანურში შეესაბამება ო-; ჯერ კიდევ ნ. მარისგან სამართლიანად მიჩნეულია, რომ ზანურში დაკარგულია თანხმოვნითი ნაწილი: საქათმე/ ოქოთუმე, სახლი/ოხორი, *სოცხალი/ცოცხალი/ოჩხარი... სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: საერთოქართვ. *სა-/ჰა > ზან. ჰო/ო (არ არის აუცილებელი, დავუშვათ, რომ ზანურში გვქონდა ს-ს შესატყვისი ისეთი შ, რომელიც ვერ ძლებს ო-ს წინ; შდრ., მ. ჩუხუა, 2003, გვ. 338).

ვფიქრობთ, სამწიგნობრო ქართულის V-X საუკუნეების ხანმეტობა-ჰა-ემეტობა-სანნარეობა, სვანურ-თუშურ-ხევსურული ხანმეტობა, ზანური *ჰუჩაში > უჩაში და *ჰო > ო პროცესები დროის ერთ მონაკვეთში იღებს სათავეს. რამდენადაც, სვანურ-ფხოვურმა კილოებმა პირის ნიშნად შემოინახა -ხ/ღ, ლოგიკურია დავუშვათ, რომ ზანურ-სვანური დიალექტური წრე ფორმირდება ჰაემეტობა/ხანმეტობის პერიოდში; ეს დრო კი ემთხვევა ზანურ-სვანური დიალექტური წრის გამომიჯვნის ჩვენ მიერ ზემოთ ნავარაუდევ პერიოდს – ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან ჩნდება წყაროებში სვანების თემიც და მათი სახელიც: სოანას/შოანას “სვანი“).

რატომ არ შენარჩუნდა ხანმეტობა სხვა ქართველურ კილოებში? პასუხი მარტივია: განვლილი 15 საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულის გავლენა უფრო აქტიური იყო ცენტრალურ, ვიდრე განაპირა ქართველურ კილოებზე, შესაბამისად, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრთან მუდამ ახლოს მყოფი ცენტრალური კილოები (ქართლური, კახური, იმერული...) მიჰყვებოდნენ სამწიგნობრო ენის ნორმების ცვალებების დინამიკას; შდრ.: ქართული სამწიგნობრო ენა ნორმირებულია და ნაკლებად იცვლება (ინარჩუნებს საერთოქართველურის ძირითად ნიშნებს), თუმცა, ხალხური მეტყველების (ცენტრალური კილოების!) გავლენით საერო მწერლობის ენა გარკვეულწილად მაინც იცვლება; თავის მხრივ, ხალხური მეტყველება (განსაკუთრებით ცენტრალური კილოები) განიცდის სამწიგნობრო ენის გავლენას... ამგვარი ინტენსიური ურთიერთობა არ არის სამწიგნობრო ენასა და განაპირა ქართველურ კილოებს შორის, ამიტომაც, ლოგიკურია, განაპირა ქართველურ კილოებში ბევრი არქაიზმიც გვქონდეს (საერთოქართველურთან მეტად დაშორების მიუხედავად) და ინოვაციაც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალურ კილოთა მოსაზღვრე რეგიონებში ამ კილოებისა და სამწიგნობრო ენის ინტენსიური გავლენით, განაპირა კილოები უფრო და უფრო თმობს თავის პოზიციებს; მაგ., ბოლო რამდენიმე საუკუნეში (ხალხში გვარების ფორმირების შემდეგ!) მეგრული მეტყველების ტრანსფორმირება მოხდა ზემო გურულ და ქვემოიმერულ კილოკავებად.

თემის ნიშნები. ქართველური კილოების დათარიღებისა და სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის განსაზღვრისათვის

საინტერესოა ზმნურ თემის ნიშანთა ჩვენება: არქაული სამწიგნობრო ენისათვის ბუნებრივი იყო თემისნიშნისა და უთემისნიშნო ზმნებიც; ანალოგიური ვითარებაა სვანურ კილოებშიც, რაც გვაფარაუდებინებს, რომ არქაული სამწიგნობრო ენა და სვანური დიალექტები საერთოქართველურ ვითარებას ასახავს. დროთა განმავლობაში ქართულ სამწიგნობრო ენაში გაძლიერდა თემის ნიშნის დართვის, ხოლო სხვა ქართველურ ქვესისტემებში უნიფიკაციის ტენდენციაც; კერძოდ, თუ ფხოვურ კილოებში, გურულში, ზემომიერულსა და აჭარულში მკრთალად შემორჩა არქაული სამწიგნობრო ენის (ანუ საერთოქართველურის) მსგავსი ვითარება, ქართლურსა და კახურში თითქმის აღარ გვხვდება უთემისნიშნო ზმნები, ხოლო მესხურსა და მეგრულ-ჭანურში თემის ნიშანთა სრული უნიფიკაციაც მოხდა (მასალისათვის იხ., ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ. 360-374).

ამრიგად, თემის ნიშნების მიხედვით, სვანური და არქაული სალიტერატურო ენა თანადროულ ვითარებას ასახავს; სამწიგნობრო ენა ეყრდნობა იმ მოდელს, რომელიც დაცული აქვს სვანურს, და არა მეგრულ-ჭანურს, მესხურს ან ქართლურს.

სხვა სახის ლინგვისტური მასალის მოტანაც შეიძლება... ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მეტი არგუმენტები ეძებნება მოსაზრებას, რომ ქართული სამწიგნობრო ენა დაეფუძნა საერთოქართველურ ენას, რომელიც ისტორიულად შეიძლება განვიხილოთ, როგორც საერთო იბერიულ-კავკასიური ენის ერთ-ერთი დიალექტი; დიალექტი, რომელიც საუკუნეების წინ იბერიულ-კავკასიური თემების/ხალხების უპირველეს სამწიგნობრო, საეკლესიო და კულტურის ენად იქცა.

ქართველთა სამწიგნობრო ქართულის შექმნის პროცესში სხვადასხვა კუთხის ქართველების მონაწილეობას უშეგებენ ის მეცნიერებიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ ქართული სამწიგნობრო ენისთვის ამოსავალია ქართლური კილო; შდრ., მაგ.:

არნ.ჩიქობავას დასკვნა: ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით (არნ. ჩიქობავა, 1948);

ნ.მარის მოსაზრება: “ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები, და სხვანი... საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხელ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის...” (ნ.მარი, 1905, გვ.9-10).

ქართული სამწიგნობრო ენა შექმნის დღიდან დღემდე უწყვეტად ფუნქციონირებს, რის გამოც ის არსებითად არ შეცვლილა (განსხვავებით ბერძნული, სპარსული თუ სომხური ენებისგან). მიუხედავად ამისა, ზოგი მეცნიერი თვლის, რომ არსებობს ორი ან სამი სალიტერატურო ქართული ენა: ძველი ქართული ენა, ახალი ქართული ენა (ნ. მარი, აკ. შანიძე, არნ, ჩიქობავა, ი. კორიაკოვი, გ. გოგოლაშვილი...); კერძოდ:

ქართველთა სამი სხვადასხვა სამწიგნობრო ენის - ძველი ლიტერატურული ენის, საშუალო საუკუნეების ლიტერატურის ენისა და ახალი ქართული ენის - შესახებ მსჯელობა პირველად წარმოდგენილია ნ.მარის ნაშრომში (ნ.მარი, 1922, გვ.5).

აკ. შანიძემ და მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა უკრიტიკოდ მიიღო ამგვარი შეფასება. არნ. ჩიქობავამ აჩვენა, რომ საშუალო ქართული არის “ძველი” და “ახალი” ნორმების შერევა, შესაბამისად, მან განავითარა მოსაზრება, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ძველი და ახალი ქართული ენა. ბ.ჯორბენაძის აზრით, ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ხუთი ან ექვსი ეტაპი (საკითხის მიმოხილვისათვის იხ., ტ.ფუტყარაძე, 1993).

ჩვენი აზრით, **გაუმართლებელია სამწიგნობრო ქართულის წარმოდგენა ე. წ. ძველ, საშუალო და ახალ ქართულ ენებად (ან ძველ და ახალ ენებად) ბერძნულისა და სხვა ენათა მსგავსად** (ძველი ქართული ენისა და ახალი ქართული ენის არსებობის დაუსაბუთებლობის შესახებ იხ.: რ.თვარაძე, 1985, გვ.19; ზ.გამსახურდია, 1991, გვ.534; ტ. ფუტყარაძე, 1993; ტ.ფუტყარაძე, 1998; ც.ბენდელიანი, 2003...); კერძოდ:

უძველესი პერიოდიდან დღემდე ქართული ენის განვითარებაში არ ჩანს რაიმე სახის წყვეტილობა; სასაუბრო და სამწერლობო ენა ერთმანეთისაგან თვისობრივად არ განსხვავდება, ამდენად, პერიოდები და ეტაპები უნდა გამოიყოს არა ქართული სალიტერატურო ენის “საფეხურებრივი” განვითარების, არამედ ქართული ენის სხვადასხვა მიკროსისტემის ფუნქციონირების მიხედვით; კერძოდ: ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში არ გამოიყოფა ორი, სამი, ხუთი ან მეტი ეტაპი; V საუკუნიდან IX საუკუნემდე აქტიურად გამოიყენებოდა მხოლოდ სასულიერო მწერლობის ენა (რესპ. სტილი) და ხალხური კილო-კავები; XI-XIX საუკუნეებში გვერდიგვერდ ფუნქციონირებდა სასულიერო მწერლობის “სტილი”, საერო მწერლობის “სტილი”, სამეცნიერო მწერლობის “სტილი” და აგრეთვე, ქართული ენის მრავალრიცხოვანი ხალხური მიკროვარიანტები კონკრეტული კილო-კავების სახით.

შენიშვნა: სამეცნიერო ენის განვითარებაში ხანგრძლივი წყვეტილობის გამო, ერთიან “სტილზე” საუბარი, ბუნებრივია, ჭირს.

60-იანელთა აქტიური ძალისხმევით, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული სამწერლობო ენის სამი ვარიანტის (resp. სტილის) ნაცვლად მკვიდრდება ერთი - საერო მწერლობის “სტილზე” დაფუძნებული ქვესისტემა, რომელიც ხალხურ მიკროსისტემებთან ერთად ქმნის ერთ მთლიანობას და დღემდე ვლინდება როგორც ქართველი ერის ერთიანი და მძლავრი ენერგია.

ძველი და ახალი ბერძნული მართლაც სხვადასხვა სტრუქტურის ენებია და მათ შორის გაგებინებაც შეუძლებელია; შდრ., ქართველურ სინამდვილეში ძველი და ახალი ქართული ენობრივი ქვესისტემები ერთმანეთისაგან თვისობრივად არ განსხვავდება: “განსხვავებულ დროთა ჭრილებსა და ჰორიზონტალურ განშტოებებში ქართული ენა სტრუქტურულ სახეს

არსებითად ყველა დონეზე ინარჩუნებს⁷³; გარდა ამისა, საუკუნეების მანძილზე ლექსიკური ფონდის გასაოცარი სიმყარის გამო, არც გაგებინება გამხდარა პრობლემა. სამწიგნობრო ქართულის ამგვარი სტაბილურობა განსაზღვრა უნიკალურმა სიტუაციამ: **იგი თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე ერთდროულად არის სახელმწიფო ენაც, საეკლესიო ენაც და სამწერლობო ენაც**; ამდენად, უფრო ლოგიკურია, ვილაპარაკოთ ქართული სამწიგნობრო ენის სტილურ ვარიანტებზე; კერძოდ, საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ფუნქციონირებდა და დღესაც არსებობს ერთი სამწიგნობრო ენის საეკლესიო, სალიტერატურო, საკანცელარიო, სამეცნიერო სტილები და ხალხური მეტყველების ნაირსახეობანი⁷⁴.

სამწიგნობრო ენის სტილური სახესხვაობანი ერთმანეთს არც დროში ენაცვლებიან:

XI საუკუნეში არ წყდება “ე.წ. ძველი ქართული”; ამავე სტილით იწერება საეკლესიო ხასიათის შრომები XII-XVIII საუკუნეებშიც და XIX ს. პირველ ნახევარშიც კი; გარდა ამისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურება ამჟამადაც ამ ენით მიმდინარეობს; ე.ი. ქართული სამწიგნობრო ენის საეკლესიო და საერო-სამეცნიერო სტილები დღესაც თანაარსებობენ საეკლესიო და საერო ველების მიხედვით; ეს სტილური ვარიანტები არ არიან სხვადასხვა დროის ენობრივი დონეები. გარდა ამისა, თავისი ფუნქციონირების ყველა პერიოდში ქართული საერთო-ეროვნული ენა წარმოდგენილია თავისი “მრავალგვარი ნაირსახეობით”. შესაბამისად, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული საერთო-სახალხო ეროვნული ენის სტილური ვარიანტების **ფუნქციონირების პერიოდებზე** (და არა რამდენიმე ქართული სამწიგნობრო ენის არსებობაზე), მაგ.:

დამწერლობამდელი პერიოდი: ფუნქციონირებს ზოგადქართული ენობრივი კონინე, მისი ოფიციალური (სახელმწიფო), საკულტო სახესხვაობები და ქართველური კილოები;

V-X საუკუნეები: ფუნქციონირებს საეკლესიო ენა და ქართველთა ზეპირი მეტყველების ოფიციალური და ხალხური ნაირსახეობები;

IX-XX საუკუნეები: გვერდიგვერდ არსებობს სამწერლობო ენის ნორმირებული საეკლესიო, სალიტერატურო (საერო-საკანცელარიო), სამეცნიერო სტილები, ტერიტორიული და სოციალური დიალექტები, ჟარგონები და ა.შ.

⁷³ თ.უთურგაიძე, 2002, გვ.19; შდრ., თ.უთურგაიძე, 1966, გვ.12.

⁷⁴ შდრ., გ. გოგოლაშვილი (2004, გვ.32-37) ცდილობს, დაასაბუთოს, რომ არსებობს სამი საერთო-სახალხო ქართული ენა (ძველი, საშუალო და ახალი) და ორი ქართული სალიტერატურო ენა (ძველი და ახალი). გ.გოგოლაშვილის მსჯელობა ასეთია: “ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა ჩვენს წარმოდგენაში სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულებია” (გვ.35); “არ არსებობს ერთიანი საშუალო ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ არსებობს საშუალო ქართული ენა, როგორც ენობრივი რეალობა თავისი მრავალგვარი ნაირსახეობით” (გვ.37). ვფიქრობთ, ქართული სამწიგნობრო ენის სტილური ვარიანტები არ წარმოადგენენ სხვადასხვა სალიტერატურო ენას.

**6.3. სახელმწიფო ენა, დედაენა, კილო, კილოკავი;
უმწერლებო ენისა და კილოს გამიჯვნის საკითხი და ე.წ.
ქართოზაცია/ქართველიზაციის მცდარი თეორიის კრიტიკული
ანალიზი**

მოცემული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ოფიციალური ურთიერთობების (სახელისუფლებო სტრუქტურების, მეცნიერებისა და კულტურის) ენას **სახელმწიფო ენას** უწოდებენ. როგორც წესი, სახელმწიფო ენად მკვიდრდება ამ სახელმწიფოს დამფუძნებელი ეთნოსის დედაენა; ევროსაბჭოს სამართლებრივი ბაზის მიხედვით უფლებრივად ერთმანეთისგან განსხვავდება სახელმწიფოში მცხოვრები ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობისა და მიგრანტი (ამ სახელმწიფოში გვიან დამკვიდრებული) უმცირესობის ენები⁷⁵.

არაიშვიათად, სახელმწიფო ენის სინონიმად დასტურდება ტერმინი **ეროვნული ენა; ეროვნული ენა** ამ მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ, თუკი ტერმინ **ერს** მოვიაზრებთ მოცემული ქვეყნის მოქალაქეების აღსანიშნავად; როცა **ერი** ერთ ეთნოსს გულისხმობს, მაშინ **ეროვნული ენა** ერთი ნაციის, ერთი მოდგმის ხალხის ენას აღნიშნავს; ასეთ შემთხვევაში **ეროვნული ენის** სინონიმად **დედაენა** უფრო გამოდგება (**დედაენასა** და **ეროვნულ ენას** სინონიმებად მიიჩნევს ცნობილი ენათმეცნიერი გურამ რამიშვილი).

როგორც წესი, ერთ ერს (ეთნიკური გაგებით) ერთი დედაენა აქვს (ფრანგებს, ქართველებს, სომხებს...), ერთ სახელმწიფოს - ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ენა, შესაბამისად, ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებს რამდენიმე ოფიციალური ენაც შეიძლება ჰქონდეთ (შვეიცარიელებს, კანადელებს...), ხოლო ერთი ენა რამდენიმე ქვეყნის სახელმწიფო ენა შეიძლება იყოს (ესპანური სახელმწიფო ენაა ესპანეთშიცა და სამხრეთ ამერიკის რამდენიმე ქვეყანაშიც).

ცივილიზებული საზოგადოების **კულტურის ენა** (ღვთისმსახურების, მეცნიერების, მწერლობის, თვითშემოქმედების) და სახელმწიფო ენა, როგორც წესი, არის ტრადიციული დამწერლობის მქონე ენა. **კულტურის ან სახელმწიფო ენა** მოცემული ხალხისთვის შეიძლება იყოს: **საკუთარი ენა - დედაენა, სხვისი ენა - უცხო ენა** (მაგ., უკვე რამდენიმე ათეული წელია, აფხაზების კულტურის ენაა თავსმოხვეული რუსული ენა). ბუნებაში ორი დედაენა არ არსებობს, თუმცა, ხშირად გვერდიგვერდ ფუნქციონირებს დედაენა, როგორც ეროვნული ენა და მშობლიური კილო, როგორც კუთხური მეტყველება. ასეთი თანაარსებობა **დიგლოსიად** იწოდება.

ტერმინი “დიგლოსია” პირველად გამოიყენა ჩ. ფერგიუსონმა; როგორც წესი, **დიგლოსიის** შესახებ მაშინ საუბრობენ, თუკი მოცემულ საზოგადოებაში გამოყენებულია ორი მონათესავე სამეტყველო კოდი; ამათგან

⁷⁵ ავტოქთონი უმცირესობის ენებისთვის შექმნილია “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების მიხედვით”; ყველა სახის უმცირესობებისთვის კი - “ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ”.

ერთი პრესტიჟულია (როგორც წესი, სტანდარტული ენა), ხოლო მეორე (როგორც წესი, დიალექტი) - არაპრესტიჟულია.

არაპრესტიჟული მეტყველების ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს დამოუკიდებელი ენაც; შესაბამისად, არსებობს ერთენოვანი (ენა, კილო) და ორენოვანი დიგლოსია. **ერთენოვანი დიგლოსიის** ნიმუშია, მაგ., ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული კილოს, ან ქართული სამწიგნობრო ენისა და კახური კილოს თანაარსებობა⁷⁶.

სახელმწიფო ენისგან განსხვავებული ცნებაა: **დედაენა (Muttersprache; Mather tongue, Native language)**. როგორც წესი, **დედაენა** არის წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც, როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალ თაობას აერთიანებს (მაგრამ, თუ მაგ., რომელიმე აფრიკელი დაიბადა საფრანგეთში და ის თავის დედაენად ფრანგულს თვლის, ბუნებრივია, მის დედაენად ფრანგული მიიჩნევა). დედაენა **მთავარი ენაა** და არა მაინცდამაინც მხოლოდ ბიოლოგიური დედის ენა.

შდრ.: დედაენა პიროვნების სახეა, სახელმწიფო ენა კი ქვეყნის ღირსების საზომი.

დედაენას შეიძლება ჰქონდეს დიალექტები - ამ ენის ქვესისტემები, რომლებიც, როგორც ზეპირი ვარიანტები, ფუნქციონირებენ მოცემული ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ან რომელიმე სოციალურ წრეში. მოცემული **უმწერლობო სამეტყველო ერთეული** ჩაითვლება მონათესავე სტრუქტურის მქონე სამწიგნობრო ენის დიალექტად, თუკი უმწერლობო სამეტყველო ერთეულის მფლობელ საზოგადოებას **ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს ამ სამწიგნობრო ენის შექმნაში**.

შესაბამისად, **უმწერლობო ენად** უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედებისა თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. **უმწერლობო ენაც** ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს.

შდრ.: **დიალექტი** - მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის

⁷⁶ შდრ.: ზოგი მეცნიერი (მ. ქურდიანი, თ. ბოლქვაძე...) “დიგლოსიად” თვლის მხოლოდ ორი ენის პარალელურად გამოყენებას: “დიგლოსია ისეთი სტაბილური ენობრივი სიტუაციაა, რომელშიც თანაარსებობენ მონათესავე ენები და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციით, პრესტიჟით, სალიტერატურო მემკვიდრეობით, სტანდარტიზაციითა და სხვა მახასიათებლებით. ქართულის, მეგრულისა და სვანურის ურთიერთობა სწორედ ისეთი სტაბილური, მრავალსაუკუნოვანი სოციოლინგვისტური სიტუაციის ნიმუშია, რომელსაც დიგლოსიას უწოდებენ” (თ. ბოლქვაძე, 2011, გვ.294); იხ., ასევე, მ.ქურდიანი 1999: “სვანეთსა და სამეგრელოში ისტორიულად დამკვიდრებულია ორენოვნება: სვანურ-ქართული და მეგრულ-ქართული“; ეს “ორენოვნობა” იქვე ბილინგვურ დიგლოსიადაა მიჩნეული.

მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს.

სხვა სიტყვებით:

კონკრეტული სამეცნიერო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი ამ სამეცნიერო კოდის მფლობელ საზოგადოებას **ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში.**

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უფრო ზუსტი იქნება, **ენისა და დიალექტის** განმარტებები ასე ჩამოვაყალიბოთ:

ენა - ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც არის სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციის (ინფორმაციის გაცვლის), ცოდნის შენახვის საშუალება და კონკრეტული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) ერთიანობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი;

შდრ.: დიალექტი - მოცემული ენის ერთ-ერთი განშტოება (ქვესისტემა) - მოცემული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) დედაენის ზეპირი სახესხვაობა, რომელიც არის შედარებით მცირე ტერიტორიაზე განფენილი ამ საზოგადოების ნაწილის, ან ამ საზოგადოების რომელიმე სოციალური ფენის მეტყველება.

მსოფლიოს ხალხებისა და ენა-კილოების ისტორიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენობრივი ვარიანტების სოციალური იერარქია თავისთავად რეგულირდება სამწიგნობრო ენასთან მიმართებით; კერძოდ, აქტუალურია სქემა:

ერი — მისი სამწიგნობრო ენა — ამ ერის ცალკეულ თემთა საშინაო მეტყველებანი.

როგორც წესი, ერს/ეთნოსს აქვს ენა, ხოლო ერის ნაწილს - დიალექტი/კილო; სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოება თუკი თავს აღიქვამს დამოუკიდებელ ეთნოსად, მისი მეტყველება კვალიფიცირდება ენად, ხოლო თუკი მოცემული საზოგადოება თავს თვლის ერის ნაწილად, მისი მეტყველება დიალექტია. ყველა თანამედროვე, განვითარებულ ერს თავისი დედაენის მიხედვით აქვს სამწიგნობრო კულტურა; შესაბამისად, იოლია გაირჩეს **სამწიგნობრო ენა და დიალექტი**. პრობლემურია მონათესავე **უმწიგნობრო ენისა და დიალექტის** გამოიყვნა; როგორც წესი, მათი გამოიყვნა შესაძლებელია სოციოლინგვისტური (პრესტიჟულობა, ფუნქციონირების შეზღუდულობა...) თუ კულტურულ-პოლიტიკური⁷⁷ (ექსტრალინგვისტური) კრიტერიუმებით.

⁷⁷ მაგ., მოლდოვურ მეტყველებას რუმინელები რუმინული ენის დიალექტად მიიჩნევენ, რუსები კი - დამოუკიდებელ ენად; აზერბაიჯანულ ენას თურქები თურქულ კილოდ მიიჩნევენ, სხვები კი - დამოუკიდებელ ენად... შდრ., ასევე, არაიშვიათად, რელიგიით განსხვავებული და ენობრივად ახლო მდგომი თემები დამოუკიდებელ ეთნოსებად მიიჩნევენ თავს, შესაბამისად, მათი მეტყველებებიც დამოუკიდებელ ენებადაა კვალიფიცირებული; მაგ.: ინდური (ინდუსთა მეტყველება) და პაკისტანური (მუსლიმან ინდოელთა მეტყველება); ბოსნიური (მუსლიმან სლავთა მეტყველება), სერბიული (მართლმადიდებელ სლავთა მეტყველება) და ხორვატიული (კათოლიკე სლავთა მეტყველება) მცირედით განსხვავებული ერთი ენის სახესხ-

არ არსებობს არც საკუთრივ ლინგვისტური (ბგერათშესატყვისობა, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური...) და არც ლოგიკური (გაგებინება) მყარი კრიტერიუმი⁷⁸, გაიმიჯნოს მოცემული სამწიგნობრო ენის მონათესავე უმწიგნობრო ენა და ამ სამწიგნობრო ენის დიალექტი. მაგ., დედამიწაზე არსებული ენობრივი ერთეულები, როგორც წესი, ენებად და დიალექტებად კვალიფიცირებული არ არის **გაგებინების კრიტერიუმის** მიხედვით; თუმცა ამ ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს წერილობითი ტრადიციის არმქონე ენობრივი ერთეულების სტატუსის განსაზღვრისას:

თუ მონათესავე საზოგადოებებს არ გააჩნიათ წინაპრებისგან შექმნილი საერთო მწიგნობრობა, ასეთ შემთხვევაში, არ არსებობს ეროვნული მეობის ჩამომძეწავი, გამაერთიანებელი კულტურულ-ენობრივი სისტემა; შესაბამისად, საერთო ეთნოკულტურული ერთობის ცოდნის არარსებობისა და მეტყველების **გაგებინების დაბალი ხარისხის პირობებში**, უმწერლობო მონათესავე კონტინუუმები ამ საზოგადოებების მიერ **ენებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი.**

წერილობითი ტრადიციის მქონე საზოგადოების ზეპირი (ხალხური) მეტყველების სტატუსის განსაზღვრისას **გაგებინების კრიტერიუმს** ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან, ლოგიკაში **გაგებინება** მეტად პირობითი ცნებაა და, რაც მთავარია, ამგვარი **ე.წ. ხალხური** (არაპროფესიონალური) მიდგომით იძულებულნი გავხდებით, წერილობითი ტრადიციის მქონე თითქმის ყველა ენა რამდენიმე ენად დავშალოთ: **მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ენას მოეპოვება ისეთი დიალექტი, რომლის გაგება გაუჭირდება სხვა დიალექტის მფლობელს;** არათუ კილოებს შორის, არამედ კილოკავებს შორისაც კი ხშირად არა გვაქვს გაგებინება.

როგორც აღინიშნა, **გაგებინება** არ არის ლინგვისტური კრიტერიუმი (ვრცლად იხ.: ტ.ფუტკარაძე; 2002, თ.გვანცელაძე, 2003). გარდა ამისა, საყოველთაოდაა ცნობილი (იხ., მაგ., ჰ.პაულის, ჰ.ჰირტის, გ.ჟირმუნსკის, გ.ტ.შარბატოვის, ნ.ე.იუშმანოვის, ვ.ა.ჟუკოვსკის და სხვათა გამოკვლევები), რომ გაგებინების არარსებობის თუ საკუთრივ ლინგვისტურ მახასიათებლებში დიდი განსხვავების მიუხედავად, არაბთა, გერმანელთა, სპარსელთა, ჩინელთა, ესპანელთა, იტალიელთა, ფრანგთა, იაპონელთა და მრავალ სხვა ხალხთა “საშინაო მეტყველებანი” საერთოეროვნული სამწიგნობრო ენის დიალექტებად ითვლება; მეტიც, არაიშვიათად, ადამიანები ვერ ფლობენ სამწიგნობრო ენას, მაგრამ მათ დედაენად მაინც ზოგადეროვნული ენა მიიჩნევა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ნ.ი.კონრადის დასკვნას:

“იაპონიასა და ჩინეთში არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქშიც მოსახლეობის ნაწილი საერთოდ ვერ ფლობს საერთო სალიტერატურო ენას

ვაობებია; შდრ., იუგოსლავიის დაშლამდე არსებობდა მხოლოდ ერთი ენა - **სერბულ-ხორვატული ენა**; დღესაც ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ სინამდვილეში არსებობს **ერთი ენა**, რომელსაც სამ სხვადასხვა სახელს არქმევენ რელიგიით განსხვავებული ზემოთ დასახელებული სამი თემის წარმომადგენლები.

⁷⁸ ზოგი შეცდომით თვლის, რომ გაგებინება ლინგვისტური კრიტერიუმი (ბოლო ამგვარი მსჯელობის შესახებ, იხ. თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე... 2003, გვ.615).

და ზეპირი ურთიერთობების დროს იყენებს თავის დიალექტს“ (ნ.ი.კონრა-დი, 1960)... ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იაპონელს, რომელიც ვერ ფლობს სამწიგნობრო ენას და მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს, დედაენა არა აქვს, ან მისი დედაენა მისივე დიალექტია: საერთო-სამწიგნობრო ენის არ-მცოდნე იაპონელისთვისაც დედაენაა სალიტერატურო იაპონური.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოს სხვა ენებისა და მათი კილოების მსგავსად, მომიჯნავე ქართველურ კილოებს შორის გაგებინების პრობლემა ნაკლებადაა; მაგ., ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის აბაშის რაიონში არსებული გარდამავალი ზონის მეტყველება შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს მეგრულსა და იმერულს შორის.

მომიჯნავე მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის გაგებინება რთულდება მთავორიანი ლანდშაფტის პირობებში (სამეგრელო და სვანეთი, კახეთი და თუშეთი...): ბუნებრივი ბარიერები ხელს უშლის ინტენსიურ კომუნიკაციას; შდრ., თითქმის ყველა ენაში მკვეთრად განსხვავებულია არამომიჯნავე კილოებიც.

ენისა და კილოს გამიჯვნისთვის ლინგვისტურ ნიშანთაგან სანდო კრიტერიუმად ზოგს ენობრივ ერთეულებს შორის არსებული ბგერათშესატყვისობა მიაჩნია. **ბგერათშესატყვისობის** არსებობა-არარსებობის მიხედვით, მსოფლიოში არსებული არც ერთი ენა თუ დიალექტი არ არის კვალიფიცირებული; გარდა ამისა, მრავალ მონათესავე ენას შორის ბგერათშესატყვისობა არ ვგაქვს და პირიქით: კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები ვგაქვს დიალექტებად მიჩნეულ ენობრივ ერთეულებს შორის (გერმანულში, ჩინურში, იაპონურში...), მეტიც, მაგ., ჩრდილოკავკასიურ ენებში ბგერათშესატყვისობები დადასტურებულია თქმებშიც კი...

და რაც მთავარია:

ბგერათშესატყვისობით დგინდება ენათა თუ დიალექტთა ნათესაობა, მაგრამ არა - მოცემული ენისა თუ კილოს სტატუსი.

ზოგი ფიქრობს, რომ ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა უნდა მოხდეს მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ. ამ მეთოდს გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც, საზოგადოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის ის უცხო აღმოჩნდება; მაგ., სალიტერატურო იაპონურის ან სინჰალურის არმცოდნე გლეხი თავის მშობლიურ დიალექტს თუკი გაიაზრებს დედაენად, იგი მისდაუნებურად გაემიჯნება საკუთარ უძველეს სამწიგნობრო კულტურას.

საკუთარი ეროვნული ისტორიის არცოდნის გამო, ზოგადქართულ სამწიგნობრო კულტურას თავისი ნებით ემიჯნება თურქეთში მცხოვრებ ლაზთა ერთი ნაწილი; მათ არ იციან, რომ:

- ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში არსებითი წვლილი სწორედ ლაზ-მეგრელები-საა;

- განსხვავებით გერმანული, იტალიური, ესპანური და სხვა ენებისგან, ქართველთა **სამწიგნობრო ენა** საერთოქართველური ენის ბაზაზე შეიქმნა (და არა რომელიმე კილოს მიხედვით);

- მათი წინაპრები საუკუნეების მანძილზე სხვა ქართველებთან ერთად საერთო ენაზე ქმნიდნენ სამწიგნობრო კულტურას...

საქართველოში მცხოვრები და განათლებული ლაზებისთვის ეს ისტორიული სიმართლე ცნობილია; შესაბამისად, განსხვავებულია მათი ენობრივ-ეროვნული თვითაღქმაც.

შდრ.: უცხოეთში მყოფ ზოგ ლაზს ეს სინამდვილე ე.წ. ქართული იმპერიული აზროვნების გამოვლინება ჰგონია. არაიშვიათად, ლაზთა ამგვარი განწყობა მართულია რომელიმე იმპერიის მესვეურთა მიერაც. ქართველურ კულტურასთან ლაზთა თვითგაიგივებას, თვითიდენტიფიკაციას ართულებს საერთო ქართველური ენის დივერგენციის ის მცდარი ქრონოლოგიებიც, რომლებიც აქამდე იყო დამკვიდრებული.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

ეთნიკურ-ეროვნული თვითაღქმის თვალსაზრისით, არსებითია ცოდნა საკუთარი ფესვებისა; შდრ.: საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებში მცხოვრები თანამედროვე მეგრულ-ლაზების მიერ კარგადაა გაცნობიერებული, რომ **მათი წინაპრების დეაწლის შედეგითაა ქართული/ქართველური სამწიგნობრო კულტურა**; თურქეთში/რუსეთში მცხოვრებთათვის კი უკვე გაუცხოებულია იოანე ლაზის, ჭყონდიდლების, ბაგრატიონების და სხვა მოღვაწეთა მიერ ნალოლიაგები სამწიგნობრო ენაც და კულტურული ტრადიციაც; მაგალითად, მათთვის უცნობია ეს ფაქტიც (ი.ყიფშიძე, 1917):

XII საუკუნის ერთიანი საქართველოს დიდი **მეფე თამარი** ლაზური ხალხური თქმულებების გამორჩეული გმირია, მსგავსად სვანური, მეგრული, ჰერული, ტაოური, აჭარული, ფშავ-ხევსურული, ქართლ-კახური თუ იმერხეული გადმოცემებისა; გარდა ამისა, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, ლაზეთშიც თამარის სახელს უკავშირდება მრავალსაუკუნოვანი ხიდების, ციხესიმაგრეების, ტაძრების მშენებლობა და ა.შ. აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ სოფელ მაკრიალის (ამჟამინდელი ხოფის რაიონის სოფელი ქემალფაშა) მკვიდრი მემედ-ალი ვეზიროვლი-ანჩაბაძის ცნობით, **ლაზები თამარ მეფეს ლაზად თვლიან**; მეტიც, მაკრიალელთა (ქემალფაშელთა) რწმენით, **თამარ მეფის საფლავი მაკრიალის ტაძარშია (თამარის სახე ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია ქართველთა საერთო ისტორიული მენსიერებისა, შესაბამისად, ქართველთა ეროვნული თვითაღქმისა).**

სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზურ-მეგრულისა და ქართულის სხვადასხვაობის სამტკიცებლად იმოწმებენ ე.წ. **სისტემურ ფონემატურ-გრამატიკურ სხვაობას.**

სამწიგნობრო ქართულისგან მეტ-ნაკლებად **განსხვავებულია** სხვა ქართველური ქვესისტემებიც (იმერულიც, ხევსურულიც, ფერეიდნულიც, ლაზურიც, ბალსზემოურიც...) და სხვა მონათესავე (აფხაზური, ჩეჩნური, დაღესტნური...) თუ არამონათესავე (რუსული, ჩინური...) ენებიც.

რომელი მყარი კრიტერიუმით ვავლებთ ზღვარს, მაგ., ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის?

მეგრული ფონემატური სტრუქტურა იმერულის ანალოგიურია; სახელური პარადიგმაც ძირითადად იმეორებს არა მხოლოდ ადრინდელი სა-

მწიგნობრო ენის ბრუნვათა სისტემას, არამედ ქართული ენის ხევისურული დიალექტისაც კი; ასევე, თვისობრივად ერთგვარია მეგრულისა და იმერულის მწკრივთა სისტემა და სხვ. გარკვეული სხვაობებიც არსებობს, მაგრამ საკმარისია ისინი მეგრულისა და იმერულის **თვისობრივი სხვაობის** სამტკიცებლად?

შდრ.: ჩვენი აზრით, **სისტემური სხვაობაა**, მაგ., ქართულსა და მის მონათესავე აფხაზურს შორის, ქართულსა და არაბულს შორის, და არა სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულს, ან თუშურს შორის. აქვე დაისმება კითხვა: **არსებობს თუ არა ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა (სისტემურ სხვაობათა!) ის ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში?**

ასეთი ზღვარის დადგენა შეუძლებელია:

დაკვირვება ცხადყოფს, რომ **სხვადასხვა ენად სახელდებულ სისტემებს შორის არსებულ ლინგვისტურ სხვაობათა პროცენტული მაჩვენებელი შეუზღუდავად მერყეობს; შესაბამისად, მონათესავე უმწერლებო ენისა თუ კილოს სტატუსი ვერ დგინდება ე.წ. საკუთრივ ლინგვისტური მონაცემებით.** დღეს მსოფლიოში არსებული ენების სტატუსი, როგორც წესი, განსაზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით (იხ. ქვემოთ).

ენის განმარტების არცერთი ვარიანტიც არ იძლევა საშუალებას, გავმიჯნოთ ენა და კილო; შდრ., მაგ.:

ენა არის გარკვეული სემანტიკის მქონე ბევრით ნიშანთა - ენობრივ ნიშანთა - ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, ცოდნის შენახვისა და კომუნიკაციის საშუალებას.

შდრ.: ცალკე აღებული დიალექტიც (როგორც მოცემული ენის ქვესისტემა/მიკროსისტემა) ბევრით ნიშანთა ბუნებრივად მოწესრიგებული სისტემაა; დიალექტიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციის საშუალებას; შესაბამისად, ენის ამ ლოგიკური დეფინიციის მიხედვით ვერ გავმიჯნავთ ენასა და კილოს. ბევრი ქვეყნის (იაპონიის, ჩინეთის, ესპანეთის, საქართველოს, არაბეთის...) ზოგ რაიონში ძირითადად დიალექტით ხდება არაოფიციალური კომუნიკაცია.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, საქართველოში მეფის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის ბატონობის პერიოდში იყო მიზანმიმართული მცდელობა, მეგრულისთვის, ლაზურისა და სვანურისთვის დაემკვიდრებინათ დამოუკიდებელი ენების სტატუსი; კერძოდ, მათ მოიხსენიებდნენ როგორც: უმწერლობო ენებს, ტომობრივ ენებს, არასამწერლობო ენებს... **ამგვარი კვალიფიკაციის მიზანი იყო ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება.**

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობას იმთავითვე გაეცა პასუხი ჯერ ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლებისგან (გრიგოლ დადიანი, ივანე მარგიანი, წმინდა ამბროსი ხელაია...), შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილისგან (და მისი თანამოაზრეებისგან (ს. ხუნდაძე, თ. სახოკია, კ. გამსახურდია...); კერძოდ, ივ. ჯავახიშვილმა 1937 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში: **“ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და**

ნათესაობა“ (თბ., 1992, 53-54) ამხილა ნ. მარი, რომელიც 1912 წლამდე ამტკიცებდა, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ქართული ენის დიალექტებიაო, 1912 წლის შემდეგ კი, როცა გახდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შეცვალა შეხედულება და ისინი დამოუკიდებელ ენებად გამოაცხადა.

ფაქტია:

ქართველური ენობრივი სამყაროს იდეოლოგიების თემა აქტუალური იყო ჯერ კიდევ 100 წლის წინ.

საბჭოთა იმპერიის პირობებში გაბატონდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც, უძველესი პერიოდებიდან (ძვ.წ. III-II ათასწლეულებიდან) თითქოსდა არსებობდა სამ მონათესავე ენაზე მოლაპარაკე სამი ქართველური ტომი: ქართი, ზანი და სვანი; ამათგან ქართველების/ქართვეების ენის ბაზაზე შეიქმნა სალიტერატურო ენა, რომელიც, მოგვიანებით, მეგრულ-ლაზთა და სვანთა კულტურის ენადაც იქცა - ქართვეების ტომის ენა გაბატონდა სხვა ტომების ენებზე; **შესაბამისად, მოხდა ქართველთა სხვა ტომების გაქართება/გაქართველება.**

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ასეთ იდეოლოგიებულ და დაუსაბუთებელ თეორიას ზოგი ახლაც იზიარებს⁷⁹. დღეს ე.წ. ქართიზაციის თეორია ორგვარი ინტერპრეტაციით გვხვდება:

1. იძულებითი ქართიზაცია: ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებმა მოსახლეობამ - ქართველებმა - თავიანთი ენა და კულტურა ძალით მოახვია თავს დასავლეთ საქართველოს ბარში

⁷⁹ ქართველოლოგიაში ენისა და კილოს გამიჯვნის ისტორიის შესახებ იხ., თ. გვანცელაძე, 2006, სადაც წარმოდგენილია ლოგიკური მსჯელობა და შესაბამისი დასკვნები; შდრ.: **პოსტსაბჭოთა პერიოდშიც** ზოგი ამტკიცებს, რომ მეგრული, ლაზური, სვანური უმწიფრობრო ენებია; მაგ., წერილში: “რელიგიური ისტორიო-გრაფიის უძველესი წყაროები სამწერლებო და არასამწერლებო ქართველური ენების შესახებ“ (იხ. კრებული: “ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა; თბ., 2007) **ნ. დობორჯინიძე** ბერძნული წყაროს **მცდარი იკითხვის** საფუძველზე მრავალსაუკუნოვან არასამწერლებო ენებად აცხადებს კოლხურსა და სვანურს; იხ., აგრეთვე, თ. ბოლქვაძის წერილი: “ქართველური დიგლოსია“, რომელშიც მრავალსაუკუნოვან უმწერლობო ენებად მიჩნეულია: მეგრული, ლაზური და სვანური. არც დასახელებულ ავტორებთან და არც მათ წინამორბედებთან არ ჩანს, თუ რომელი კრიტერიუმის მიხედვით არის, მაგ., სვანური მეტყველება მრავალსაუკუნოვანი “დამოუკიდებელი ენა“ (როგორც, ქართული ენა)... ამის მიუხედავად, ზოგი არქეოლოგი არქეოლოგიური მასალის ეთნოკვალიფიკაციისას მაინც იღებს საფუძვლად ე.წ. სამი ქართველური ენის თეორიას და საეჭვო ღირებულების ეთნოლინგვისტურ რუკას ადგენს (იხ., მაგ., ო. ჯაფარიძე, 2006, გვ. 366, 353: “ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საქართველოს ეთნიკური რუკა ასე გამოიყურება: კოლხეთის მთიანეთში - სვანი, კოლხეთის ბარში - ზანი, აღმოსავლეთ საქართველოში - ქართველი“).

ვფიქრობთ, ძველ წყაროში მოხსენიებული სვანების კულტური მეტყველება დიალექტად უფრო უნდა გავიაზროთ, ვინაიდან უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე სვანეთის ქართველობაც მონაწილეობდა ერთიანი ქართული ეროვნული პროლეტის - ქართული სამწიგნობრო ენის - შექმნაში.

მცხოვრებ მეგრელებს, ლაზებს, კავკასიონის კალთებზე მცხოვრებ სვანებს, ფხოველებს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ჰერებს, სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მესხებს და სხვ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს “კონცეფცია” მომდინარეობს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ქეროპე პეტროსის ძე პატკანიანისგან (პატკანოვისგან). აღმოსავლეთ საქართველოს ძველი მოსახლეობის აღსანიშნავად საბჭოთა პერიოდში დაამკვიდრეს ეთნონიმი **ქართი** (“ქართველს” ზოგი ავტოქთონად თვლის, ზოგი - მოსულად); პარალელურად გაჩნდა საოცარი ფრაზაც: **ქართი - ტომიყლაპია**: “ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა (კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნა) მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უდიდესი ნახტომი: **ქართის ტომმა** მცხეთა დაიპყრო და აქ შეიქმნა ახალი ქართლი. ამის შემდეგ ამ ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა. **ქართი ტომიყლაპია**: იბერები, მესხები, ზიდრიტები, კახები, ჰერები, ფხოვი, ჭართალი, ბაზალი, დუალი, ეგრე, სვანი, აფხაზი, აფშილი, სანიგი“ (ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ. 237). ე.წ. ქართველისგან სხვა ქართველურ ტომთა ასიმილაციის დაუსაბუთებელ მოსაზრებას სამეცნიერო ლიტერატურაში “ქართიზაციის“, “გაქართვების“, “ქართველიზაციის“, ან “გაქართულების“ სახელით იხსენიებენ (იხ., მაგ., ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ. 225, 353, 406-409; გ.მჭედლიძე, 1996, გვ. 111, 115, 370, 534 და სხვ.).

2. ნებაყოფლობითი ქართიზაცია: ზანური და სვანური “ენების“ მფლობელებმა თავიანთ სალიტერატურო ენად ნებაყოფლობით მიიღეს მოძმე “ქართვების“ სალიტერატურო ენა. ამ მოსაზრების თვალსაჩინო ნიმუშად წარმოვადგენთ ციტატას ა.ონიანის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომიდან: “ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ქართველურ ენებზე, ბევრი სხვა მონათესავე ენათა ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა (მეცნიერება, ხელოვნება)... ქართული იყო მთელი ქართველი ხალხის **ბუნებრივი (და არა - თავსმოხვეული)** საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა და ერთადერთი სალიტერატურო ენა. ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც ისტორიამ **ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა** და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) **ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან** (ხაზგასმა ყველგან ჩემია - ტ.ფ.). ნათქვამიდან ჩანს, რომ სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) უმწერლობო ენაა“ (ა.ონიანი, 1998, გვ. 3-4; მსგავსი მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: რ.გორდეზიანი, 1993, გვ. 70).

საბჭოთა პერიოდში არავის დაუსვამს კითხვა:

რა კრიტერიუმის მიხედვით მიიჩნევა, რომ მაგ., 10, 5 თუ 1 საუკუნის წინ არსებული მეგრული მეტყველება უმწიგნობრო ენაა, ზანური ენის დიალექტი თუ ქართული ენის დიალექტი?

შდრ.: საბჭოთა პერიოდამდე ცნობილ ქართველ მეცნიერებს, საზოგადო თუ სასულიერო მოღვაწეებს არასოდეს გაუზიარებიათ მოსაზრება **ქართველთა რამდენიმე ენის არსებობის** შესახებ და არც **ე.წ. ქართიზაციის თეორია**, მაგრამ XX საუკუნის საბჭოთა იმპერიის (ბუნებრივია, ამ პერიოდის საქართველოს) სამეცნიერო წრეებში ეს იყო წამყვანი **სამეცნიერო თეორია**; მეტიც, ამ ვარაუდის (!) “სრულყოფის” ცდად უნდა ჩაითვალოს:

- **ქართებისა და ქართლელების** გაიგივება (გ.მელიქიშვილი, 1973, გვ. 118, 125-127),

- ქართული ეკლესიისათვის **პროზელიტიზმის** დაბრალება (დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33: “...ქართული ეკლესიის კულტურული-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის”),

- **ქრისტიანობის გამოცხადება ქართიზაციის** პროცესის ხელისშემწყობად⁸⁰.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ე.წ. ქართიზაციის თეორია** პირველად გააკრიტიკა **მიტროპოლიტმა, პროფესორმა ანანია ჯაფარიძემ**, რომელმაც, ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თავისი ხედვა ასე ჩამოაყალიბა:

“ნ.მარისგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის “ქართიზაციისა” ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა; სინამდვილეში კი, ძველი წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას “ქართიზაცია” არ ესაჭიროებოდა, რადგან ძველთაგანვე (და ფარნავაზის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის “ქართლის ცხოვრებას”, ძველ ქრონიკებს და ძველ ავტორებს... დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა... შესაბამისად, ამ ტომებს ქართიზაცია არ სჭირდებოდათ...” (ა.ჯაფარიძე, 1996, გვ.195-197, 213, 215-216; იხ., აგრეთვე, ა.ჯაფარიძე, 1998, გვ.261-263; ა.ჯაფარიძე, 2003).

“**ქართიზაციის**” თეორიის უსაფუძვლოებას ცხადყოფს სხვა რამდენიმე არსებითი ფაქტი:

ტ. არც ერთ საისტორიო (თუ სხვა სახის) ქართულ თუ უცხოურ წყაროში არ დასტურდება **ქართის ტომი**; ვინც არ არსებობდა, როგორ შეეძლო სხვისი დაპყრობა (ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 325)? ანგარიშგასაწევია ისიც, რომ საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართველური ტომების/თემების

⁸⁰ შდრ., გ.მჭედლიძე, 1996, გვ. 368: “ქართულ ენაზე ქრისტიანობის აღმსარებლობა ქართიზაციის პროცესს უწყობდა ხელს და ამით **ეთნიკურ** (? - ტ.ფ.) ბარიერებს სპობდა“.

თუ სამთავროების გაერთიანების იდეა თითქმის ყოველთვის დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისგან (მათი წინამძღოლებისგან) მოდიოდა; იხ., მაგ., ქუჯის, მარტუშიანის, დავით კურაპალატის, ლეონიდების, ბაგრატ III-ის, ჭყონდიდლების, ლევან დადიანისა ("იბერიელთა ერთობის ტრაქტატი") და სხვათა ძალისხმევა.

9. ქართველთა სამწიგნობრო ენა არ ეფუძნება ჩვენთვის ცნობილ რომელიმე ქართველურ კილოს, მათ შორის, არც ქართლ-კახურს. ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა ზოგადქართულ, საერთოქართველურ ენას; ის ყველა ქართველური თემის შემოქმედება და საკუთრებაა; შესაბამისად, არც ერთ ქართველურ ტომსა თუ თემს თავისი კუთხური ენა თუ კულტურა არ გაუფრცვლებია სხვა ქართველურ ტომებსა თუ თემებზე. **აქვე დაისმება კითხვა:**

მეგრული (ოდიშური) მეტყველება მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველთა ერთ-ერთ დიალექტად ითვლებოდა (ქართველთა სხვა კილოების მსგავსად) და რას მოემსახურა, ან მოემსახურება XXI საუკუნეში მისი სტატუსის შეცვლაზე მსჯელობა? მით უმეტეს, სვანთა, მეგრელთა და ლაზთა ზეპირი მეტყველებების მიხედვით ახალი სამწიგნობრო ენების შექმნა?

პასუხი ერთია: ამგვარი "აქციებით" დასახელებულ ქართველთა გაუფრცვლდებათ და, **ფაქტობრივად, დაეკარგებათ ქართულ-ქართველური მწიგნობრობის სახით არსებული საკუთარი დიდი კულტურული წარსული**, თუნდაც ის თექვსმეტსაუკუნოვანი წარსული, რომელიც დიდწილად შექმნილი ეგრისში დაბადებული მწიგნობრების მიერ.

გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილი ყველა ქართველური იდიომი (მეტყველება) მომდინარეობს საერთოქართველური ენიდან: უეჭველია, რომ მეგრულ-ლაზურიც, სვანურიც და სხვა ქართველური ზეპირი კილოები ძველი ქართული ენის მეორეული სახესხვაობები არიან და არა - დამოუკიდებელი ენები (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ქვემოთ).

ფაქტია ისიც, რომ საუკუნეების მანძილზე ეგრის-სვანეთშიცა და მესხეთშიც, კახეთ-ჰერეთშიცა და საქართველოს მთიანეთშიც წარმართული შელოცვები, ქრისტიანული მწერლობის ნიმუშები თუ მხატვრული ხასიათის ნაწარმოებები იქმნებოდა ქართულ სალიტერატურო ენაზე, რომელიც ყველა კუთხის ქართველის ისტორიული დედაენაა.

10. "ქართიზაციის" თეორიას ეწინააღმდეგება ქართველთა ავტოქთონობის მტკიცების შესაძლებლობაც:

ანთროპოლოგიური მონაცემების გარდა, საქართველოში ქართველთა ავტოქთონობას ადასტურებს ქართველთა ისტორიული სამშობლოს ის აღწერილობაც, რომელსაც იძლევა საერთოქართველური ლექსიკა:

ენათმეცნიერებაში არსებობს წარმატებული მცდელობები, მონათესავე ენებისა თუ დიალექტების შეპირისპირებით აღდგეს ის ლექსიკა, რომელიც ახასიათებს მოცემული ხალხის ისტორიულ სამშობლოს; კერძოდ, წინარე ენის ლექსიკის მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ მოცემული ხალხის წინაპრების ცხოვრების პირობებზე, საცხოვრისის გეოგრაფიასა და ცხოვრების წესზე. ქართულ სინამდვილეში ამგვარი მცდელობა ჰქონდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძეს თავის პოლემიკური ხასიათის ნაშრომში: "აი, ისტორია". წარმოდგენილ პრობლემას საგანგებო წერილი უძღვნა მ. ქურდიანმა; სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი საერთოქართველური ლექსიკის

(ზღვა, ტბა, ღელე, წყალი... ხევი, კლდე, გორი, ტყე, ტყვრი, წვიმა, თოვლი, გვალვა, ყინვა, ზვავი, თბილი... ძელი, ნაძვი, წიფელი, წაბლი... შველი, მაჩვი, ეშვი... შაშვი, კაკაბი, ჩხართვი, ძერა, მერცხალი, თოლია, ტრედი... ღორჯო, ჩხამი...) საფუძველზე იგი ასკვნის:

“საერთოქართველური ენის დიალექტებზე მეტყველი ტომები ცხოვრობდნენ, დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან მოყოლებული, სამხრეთით საკმაოდ ვრცლად განფენილ ტერიტორიაზე, რომელიც სრულად მოიცავდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიასაც. ჩრდილოეთი საზღვარი ქართველთა პირველსაცხოვრისისა იყო დიდი კავკასიონი, დასავლეთ საზღვარს კი შავი ზღვა წარმოადგენდა“.

შდრ.: საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა მოსვლის სამტკიცებლად თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი თვლიან (გვ.881), რომ სვანურში **სუბსტრატულია**⁸¹ დამხვედური ჩრდილოკავკასიური ენობრივი მონაცემები.

სვანურ კილოებში მართლაც უთამბეჭდავია ჩერქეზული ენობრივი ფენა (იხ. ს.ჯანაშიას გამოკვლევები), მაგრამ უფრო ლოგიკური იქნება, ვილპარაკოთ **სუპერსტრატზე**⁸² და არა **სუბსტრატზე**; კერძოდ, მრავალი ფაქტი არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ სვანური მეტყველება არქაული ქართულის ის განშტოებაა, რომელსაც ინტენსიურად შემოერია მოძმე კავკასიელთა ენობრივი ელემენტები.

ქართველთა ენობრივი დანაწევრების მცდელობა პიკს აღწევს საბჭოთა იმპერიაში, კერძოდ, სტალინის ეპოქაში; მაგ., ი. სტალინის წიგნში: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (თბ., 1951) ვკითხულობთ:

„კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... **რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ.,** რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩვენია - ტ.ფ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

ანტიქართული დეზინფორმაციული მანქანა დღესაც საქართველოს დაშლილად, ქართველებს კი სხვადასხვა ეთნოსად წარმოადგენს:

ცენტრალური კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს - საქართველოს - გეოპოლიტიკური ღირებულებების მქონე სივრცის კონტროლის მოსურნეთ ხელს არ აძლევს ერთიანი და ძლიერი საქართველო; მაგ., ამავე დისკურსშია გასააზრებელი საქართველოს გარეთ და, ასევე, საქართველოს შიგნით (ზუგდიდში, ბათუმში, თბილისსა თუ ქუთაისში) არსებული მცირერიცხოვანი ჯგუფების “მოღვაწეობა“, რომლებიც საბჭოთა

⁸¹ სუბსტრატი - მოსული ეთნოსის მეტყველებაში შემონახული დამხვედური ასიმილირებული ეთნოსის ენის კვალი.

⁸² სუპერსტრატი - დამხვედური მოსახლეობის ენაში შემონახული მოსული ასიმილირებული ეთნოსის მეტყველების კვალი.

კვალიფიკაციის ინერციით მეგრულ-ლაზურსა და სვანურს “უმწერლებო ენებს” უწოდებენ და მათთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას ითხოვენ.

შენიშვნა: ტერმინი: “უმწერლობო ენა” შეურაცხყოფელია სულ მცირე, 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველების - იოვანე ლაზის, ჭყონდიდლების, მარტილელი იოვანე მინჩხისა თუ იოვანე აფხაზის (მეგრელის) მშობლიური კუთხეების მცხოვრებთა - საშინაო მეტყველებისთვის. მათი ისტორიული სამწიგნობრო დედაენა ქართულია, კუთხური კილო კი — ლაზურ-მეგრული თუ სვანური მეტყველების რომელიმე ვარიანტი: ხოფური, ვიწურ-არქაული, ათინური... ბალსზემოური, ბასქვემოური, ლენტეხური, ლაშხური... შდრ.: უკლებლივ ყველა ენათმეცნიერის აზრით, მეგრულ-ლაზურიცა და სვანურიც ქართული სამწიგნობრო ენის სახესხვაობებია და არა ქართულისგან ისე არსებითად განსხვავებული ენები, როგორც, მაგ., აფხაზური, რუსული, სომხური, ინგლისური, ოსური და სხვ. შესაბამისად, “რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ლაზურ-მეგრულ თუ სვანურ იდიომებს უმწერლობო სახესხვაობებად განვიხილავთ თუ ქართული ენის დიალექტებად, ვინაიდან, “ევროპული ქარტია” არ განიხილავს სახელმწიფო ენის სახესხვაობებსა და დიალექტებს.

ეს ჯგუფები ცდილობენ, ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დეზინტეგრაციას; მაგ., მათ მიერაა შექმნილი ქვემოთ წარმოდგენილი რუკა²⁹:



ამავე კონტექსტში აღვნიშნავ, რომ ბოლო პერიოდში რუსეთში, თურქეთსა თუ საქართველოში ისევ გააქტიურდნენ ჯგუფები, რომლებიც

²⁹ <http://tinyurl.com/ct98yrp>.

ცდილობენ საქართველოში ეთნიკურ უმცირესობად გამოაცხადონ **მესხებიც და აჭარლებიც**; ასეთი კვალიფიკაცია წარმოდგენილია ზოგ ევროპულ ცნობილ ლექსიკონშიც კი (იხ., მაგ., ლარუსის 2005 წლის გამოცემა)⁸³.

ვფიქრობ, ის, ვინც ლაზთა, მეგრელთა, სვანთა, აჭარელთა თუ მესხთა საშინაო კილოებს **უმცირესობების ენებად** აცხადებს, აგრძელებს კ. იანოვსკის, ი. ვოსტორგოვისა და ი. სტალინის მცდელობას, **ამ ქართველებს დაუკარგოს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ქმნალობაში მონაწილეობის ისტორია** და უკულტურო საზოგადოებებად - **უმწიგნობრო ენების მქონე “მცირე ერებად”** გამოაცხადოს; მდრ.:

საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისთვის ცნობილია, მაგრამ ჩანს, ევროპასა თუ აზიაში ბევრმა ექსპერტმა არ იცის, რომ ისტორიული (თუ თანამედროვე) **ქართული სამწიგნობრო კულტურის შემქმნელ პიროვნებათა უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ**: ლაზები, აჭარლები, მეგრელები, სვანები, ლივანელები, ტაოელები, შავშეთ-იმერხეველები და სხვ. ამ ე. წ. ექსპერტთათვის უცნობია ისიც, რომ არქაული ქართული სამწიგნობრო ენის სტრუქტურის მქონე ენაა ამოსავალი ყველა თანამედროვე ქართველური კილოსათვის; ყველა ქართველური ქვესისტემის ძირითადი ლინგვისტური მახასიათებელი საერთოა.

ბუნებრივია, ქართველთა ერთიანობისა და საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს მოსურნეა აჭარელთა, მესხთა, სვანთა თუ მეგრელთა

⁸³ ლარუსის ენციკლოპედიის შეცდომის სათავეა აჭარის ავტონომიის არსებობა: ჩანს, ფრანგმა ავტორებმა ვერ დაუშვეს, რომ საქართველოში ავტონომია აქვთ ქართველებს (მათ არ იციან რეალური ისტორია); აქ მოკლედ აღვნიშნავთ: რთულ გეოპოლიტიკურ ველში არსებული მცირეტერიტორიანი საქართველო სიცოცხლისუნარიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უნიტარული სახელმწიფო იქნება; ეს მომხდურმაც იცის, ამიტომ საუკუნეების განმავლობაშიც და დღესაც, სეპარატიზმის სტიმულირებითა თუ (კონ)ფედერაციული წყობის თავსმობვევით, ცდილობს, დაასუსტოს საქართველოს სახელმწიფოობრიობა. ამ ანტიქართული პოლიტიკის შედეგია ბოლშევიკების მიერ ისტორიულ ქართულ მიწაწყალზე სამი ხელოვნური ავტონომიის შექმნა XX საუკუნის 20-იან წლებში; კერძოდ, მცირერიცხოვან აფხაზთა თუ ოსთათვის შექმნილ ავტონომიურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს მიუერთეს ავტოქთონი ქართველებით დასახლებული ტერიტორიები (სადაც დღეს უკვე ქართველთა **გენოციდია** განხორციელებული), ხოლო რუსეთ-თურქეთის გარიგების შედეგად, 1921 წელს გაუმართლებლად დანაწევრდა ბათუმის ოლქი (ერუშეთი, ტაო, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, ლაზეთის დიდი ნაწილი, მაჭახელი...); კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ ოლქის მცირე ნაწილში შეიქმნა აჭარის ავტონომია (საქართველოს შემადგენლობაში), დანარჩენი ნაწილი კი დარჩა თურქეთს. მთლიანი ბათუმის ოლქის მოსახლეობა ეთნიკური ქართველი იყო; ოსმალეთის დამკვიდრებამდე აქ მხოლოდ ქრისტიანები ცხოვრობდნენ. ბოლო მონაცემებით, აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუბრუნდა წინაპართა რწმენას, ნაწილი მუსლიმანია; აჭარაში ხშირია ოჯახები, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქრისტიანი და მუსლიმანი აღმსარებლობის მქონე პირები; შესაბამისად, **დღეს რელიგიითაც ვერ გავამართლებთ საქართველოში ქართველთა ავტონომიის არსებობას.**

აბსოლუტური უმრავლესობა და ლაზთა დიდი ნაწილი; ამას ცხადყოფს ჩემი თანაავტორებისა და კოლეგების: ზურაბ თანდილავას, ალექსი ყორღანიას, დავით თედორაძის, ბიჭიკო დიასამიძის, ტარიელ ებრალიძის, რევაზ შეროზიას, ეკა დადიანის, თამაზ ბერაძის, ბეჯან ხორავას, როზეტა გუჯეჯიანის, ზურაბ თორიას, დაზმირ ჯოჯუას, მაკა სალიას, ნანა გულუას, ლელა ავალიანის, ლელა მარგიანის, ლაშა გვასალიას, ქეთევან გურჩიანის, მანანა და ერეკლე საღლიანების, ფიქრი სარაჩის (თურქეთის მოქალაქე ლაზის) და მრავალ სხვათა არაერთი ნაშრომი თუ ნაწერი.

შენიშვნა: XVII-XVIII საუკუნეებიდან დღემდე სხვადასხვა რელიგიის ქართველთა ეთნიკურ არსს (იდენტობას) ძირითადად განსაზღვრავს **ქართული ენა**, როგორც ქართველთა დედაენა. ენობრივ-ეთნიკურ-კულტურული მეობა, როგორც საზოგადოების ცნობიერების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, არსებით გეოპოლიტიკურ სიმძლავრედ გვევლინება.

7. ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები

წერილობითი წყაროებით ჩვენამდე არ შემონახულა ქართული წარმართული რწმენა-წარმოდგენების აღწერილობა; შესაბამისად, სიღრმისეულად ვერ ვისაუბრებთ წინარქრისტიანული ქართული რელიგიის შესახებ. უძველესი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიისა და ქართული მითოლოგიის საფუძველზე კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ:

- წინარქრისტიანულ პერიოდში ქართველების სარწმუნოებას ქართული სახელი ერქვა: **წარმართობა**⁸⁴;

- ქართველთა ღმერთს საკუთარი სახელი არ ჰქონდა: სიტყვა-ფორმა **“ღმერთი”** ისეთივე ქართულენოვანი ეპითეტია, როგორც, მაგ., **უზენაესი** (უ-ზენა-ეს-ი), **უფალი** (უ-ფ-ალ-ი; შდრ.: მე-ფ-ე, ფლ-ობ-ა, მ-ფლ-ობ-ელი).

7.1. წარმართობა; ღმერთი, კურთხევა

ქრისტიანობამდე არსებული რწმენის მიმდევარს ქართულად **წარმართი** ერქვა. ქართულ ენაში დღესაც აქტიური სიტყვაა ამ სიტყვის ანტონიმი: **უკუღმართი**; შდრ.:

წარ-მართ-ი = წინ მავალი

უკუ-მართი = უკუ/უკან მავალი.

წარმართ- ფუძის ქართული წარმომავლობა მიაჩნებდა, რომ ქრისტიანობამდელი ქართული რელიგია - **წარმართობა** - საკუთრივ ქართულ საწყისებზე იყო აღმოცენებული. სიტყვა-ფორმა **წარმართი** დაცულია ქრისტიანული ლიტერატურის პირველივე თარგმანებიდან - ხანმეტი ტექსტებიდან (ვიმოწმებთ 1984 წლის გამოცემიდან); იხ. მაგ.: “სახელსა მისსა **წარმართნი** ხესვიდნენ” (მათე, 12, 21); “და მიხცენ იგი **წარმართთა**” (მარკოზი, 10,33)...

ქრისტიანობამდელ ქართველებს **წარმართებად** იხსენიებს “ქართლის ცხოვრების” ავტორიც და თავისი დროის ველურებს - ბუნ-თურქებსა და ყივჩაყებს - ადარებს:

ალექსანდრემ “გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად და პოვნა **ყოველნი ქართველნი** უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი **ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ**, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა **მიხვევით**, დაუკვირდა ესე ალექსანდრეს...”

არადა, სიტყვა **წარმართი**, როგორც ვნახეთ, ეტიმოლოგიურად “წინ მავალს”, “სწორად მავალს”, გადატანით, “სწორად მცხოვრებს” ნიშნავს; შდრ.: **უკუ(ღ)მართი** - უკან მავალი - არასწორად მავალი.

⁸⁴ მსოფლიოში ცოტაა ერი, რომლის რელიგიის სახელი მისივე ენის წიაღშია შექმნილი.

წარმართ- ფუძის თავდაპირველი სემანტიკის დადგენის თვალსაზრისით საყურადღებოა იოვანეს გამოცხადების ტექსტში დადასტურებული შემდეგი კონტექსტი:

21,24-26: “და ვიდოდინ **წარმართნი** ნათლითა მისითა, და მეფეთა ქუეყანისათა დიდებაჲ და პატივი **წარმართთაჲ** მისა მიიღონ. და ბჭენი მისნი არა დაეჭმენ დღისი, რამეთუ ღამე მუნ არა იყოს. და მიიღონ დიდებაჲ და პატივი **წარმართთაჲ** მუნ, რადთამცა შევიდეს“.

ბერძნული და რუსული ტექსტების მიხედვით გაწყობილ თანამედროვე ქართულ თარგმანში “წარმართის“ ადგილას გვაქვს სიტყვა-ფორმა “ხალხი“, ხოლო ბერძნულ და რუსულ ვარიანტებში: “ეთნოსის“, “ერის“, “ხალხის“ აღმნიშვნელი ლექსემები⁸⁵:

“ხალხები ივლიან მის ნათელში და მიწიერი მეფენი თავიანთ დიდებასა და პატივს შეიტანენ მასში. მისი ბჭენი არ დაიხშვიან დღისით, ღამე კი არასოდეს იქნება იქ. და მიიტანენ იქ **ხალხთა** დიდებასა და პატივს“.

ფაქტია: ადრეულ პერიოდშივე ქართულ კანონიკურ ტექსტში დამკვიდრებული სიტყვა-ფორმა **“წარმართი“**, ბერძნულის ადეკვატურად, აღნიშნავდა ხალხს, ეთნიკურ ერთობას, თუმცა, თავდაპირველი ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **“სწორად მავალი“** და აღნიშნავდა **მართლმორწმუნე კულტურულ საზოგადოებას**; შდრ.: **“წარმართი - წინ მავალი**; საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა: **უკუ მართი - უკან-უკან მავალი** ანუ არასწორად მოსიარულე, “ველური“, ბარბაროსი.

ამჟამად: **წარმართ-** ფუძე ქრისტიანობამდე არსებული ქართული რელიგიის მიმდევარის აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა და რელიგიის სახელადაც: ქართველებს თავიანთი თავი სწორად მავალ, **გამორჩეულ საზოგადოებად** მიაჩნდათ⁸⁶.

ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ **წარმართ-** ფუძე კარგავს თავდაპირველ მნიშვნელობას: წინარექრისტიანული რელიგია - **წარმართობა** - ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა, ამ რელიგიის სახელი კი ველურობისა და სი-

⁸⁵ http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/apokalips/apokalips-21.htm;

შდრ., ბერძნული ტექსტი:

καὶ τὸ ἔθνη τῶν σωζομένων ἐν τῷ φωτὶ αὐτῆ περιπατήσουσι· καὶ οἱ βασιλεῖ τῆ γῆ φέρουσι τὴν δόξαν καὶ τὴν τιμὴν αὐτῶν εἰς αὐτήν καὶ οἱ πλῶν ἐ αὐτῆ οὐ μὴ κλεισθῶσιν ἡμέραν· ἡ δὲ γὰρ οὐκ ἔσται ἔκει καὶ ἰσσοσι τὴν δόξαν καὶ τὴν τιμὴν τῶν ἔθνῶν εἰς αὐτήν.

შდრ. რუსული ტექსტი:

Спасенные народы будут ходить во свете его, и цари земные принесут в него славу и честь свою. Ворота его не будут запираются днем; а ночи там не будет. И принесут в него славу и честь народов.

http://days.pravoslavie.ru/Bible/B_otkr21.htm.

⁸⁶ ბევრ სხვა ერსაც მიაჩნია თავისი თავი გამორჩეულ **ხალხად**, სხვები კი - **ველურებად**; შდრ.: ბერძენთა ოპოზიციური წყვილი: ელინი - ბარბაროსი; ასეთივე სავარაუდო ოპოზიციას: წალმართი/წარმართი - უკულმართი.

ცულის სინონიმად დამკვიდრდა⁸⁷.

საღვთისმსახურო ტერმინოლოგიის ანალიზით, ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად ასკვნის, რომ ქრისტიანობამდელი რელიგია - წარმართობა - ზოგადქართული მოვლენა, საერთოქართველური რელიგია იყო. წარმართობიდან ქრისტიანობაში გადმოვიდა ღვთისმსახურების ლექსიკის ერთი ნაწილი⁸⁸; სამაგალითოდ განვიხილავთ სიტყვა-ფორმებს: **“ღმერთი“**,

“კუთხევა“:

ქართველთა ღმერთს კონკრეტული, საკუთარი სახელი არ ჰქონდა: სიტყვა-ფორმა **“ღმერთი“** თავდაპირველი ეპითეტია და, ვფიქრობთ, მოიაზრებს “ერთადერთობას” - უკავშირდება რა სიტყვა-ფორმა **ერთ-ს**; ამავე ფუძეს შეიძლება დაუკავშირდეს კავკასიურ-ურარტული ღვთაების სახელიც: ხალდი/ჰალდი/არდი; შდრ., ქართველური **ერთ/ართ- ფუძე**⁸⁹.

ართ- ფუძე შეიძლება დავინახოთ ქართულ სიტყვაში: მა-**ართ-**ალ-ი; კერძოდ, **მართალ-** ფუძეში უნდა გამოვყოთ ურარტულ-კავკასიური ფუძე **ხალდ-/ალდ-/ართ-** და წარმომავლობის მაწარმოებელი კონფიქსი: **მ- -ალ-**; შდრ., **მ-ართ-**ალ-ი: “ღვთის ჩამომავალი“, “ღვთისნიერი“ (შდრ. მსგავსი წარმოების ძველი ქართული სიტყვები: მ-აწყვერ-ელ-ი, მ-ტბეგ-არ-ი, მეგრ-ელ-ი...).

სამეცნიერო ლიტერატურაში **ღმერთ-** “უფალი“ ფუძეში **ერთი** (რიცხვითი ნიშანი) პირველად გამოყო თ. ჟორდანიამ; მან **ღმ-** ღმერთის სემანტიკის შემცველ ფუძედ მიიჩნია: **ღმ+ერთ-**ი.

ა. ჭინჭარაულის აზრით, **ღმერთ-** ფუძე მომდინარეობს **უერთ-/ხუერთ-** ფორმიდან - ერთის აღმატებითი ხარისხიდან: **ხუერთი > ლუერთი > ღვერთი > ღმერთი**.

ლინგვისტურად უფრო გამართულია ა. ჭინჭარაულის თვალსაზრისი, თუმცა, საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

ღმერთ- ფუძის ისტორიის კუთხით საინტერესოა ქართველური დიალექტური ფორმების წარმოქმნის გზების გააზრებაც:

— საერთოქართველური ***ღმერთ-/ღმართ-** > სვანური ***ღმერთ > ღერთ/ღერბეთ**;

— საერთოქართველური ***ღმერთ-/ღმართ-** > ***ღართ-** > ზანური ***ღორთი > მეგრული *ღოროთი > ღორონთი** (შდრ., *ტრადი/ტრედი - ტორონჯი; მეგრულისთვის ბუნებრივია თანხმოვანთკომპლექსის სუპერაცია და წინაე-

⁸⁷ ჩანს, “იოვანეს გამოცხადება“ ქართულად ითარგმნა ქრისტიანობის გავრცელებისთანავე, რამდენადაც ჩვენამდე მოღწეული სახარების თარგმანებში **წარმართ-** ფუძე, როგორც წესი, ველურს, ურწმუნოს აღნიშნავს.

⁸⁸ ჩანს, საერთოქართველურში “ლოცვის“ აღმნიშვნელი ზმნა იყო **ვამ-/ხამ-** (> ხვამ-ლ-ი); შდრ.: მეგრული **ო-ხვამ-ე**; სვანური: **ლა-ვვამ** - სალოცავი; **ლი-ვვამ-ი** - გადალოცვა (“ალავერდი”); მადლობის თქმა; **მავვამ** “მადლობა“. შდრ.: მზერა/მზირ-“ლოცვა“ (მომდინარე ჩანს “მზერა“ ფუძისგან).

⁸⁹ ურარტულთა უმადლესი ღვთაება **ხალდის** მუსასირული სახელი **აღდი** (გ.მელიქიშვილი, 1960, გვ.416), ძვ.სპარსული **arta** “ღვთაება“ და ალანურ-ოსური **ard** “ღმერთი“ ხურიტულ-კავკასიური წარმომავლობის სახელის ვარიანტებად შეიძლება მივიჩნიოთ (შდრ. მანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 26-27).

ნისმიერ თანხმოვანთან ამავე ლოკალური რიგის ნაზალური სონორის განვითარება);

— საერთოქართველური ***ღმერთ-/ღმართი** > ზანური ***ღმორთი** > ლაზური ***ღმოროთი** > **ლორმოთი** (მ-ს მეტათეზისით თავკიდურ პოზიციამი მოიშალა და მარცვალთგამყარზე შეიქმნა თანხმოვანთკომპლექსი)...

ქართულ მითოლოგიაში **უფალი** სხვა ეპითეტითაც იხსენიება: **მორიგე** - გამრიგე, უფლება-მოვალეობების გამანაწილებელი; ყველა საკითხის **რიგ**-ზე (წეს-რიგი) მომყვანი - დამრეგულირებელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ “ხშირად **მორიგე ღმერთის** ნაცვლად გამოიყენება **ღმერთი**: “**მორიგე მამა ღმერთის** სინონიმია (ნ. ბალანჩივაძე). მამა ღმერთის სინონიმია სვანური დიალექტური ვარიანტიც: **ხოშა ღერბეთ** - დიდი ღმერთი.

კურთხევა. კურთხევ- ფუძე კომპოზიტური წარმომავლობისაა; გამოიყოფა: **კურ-** (< კვერ-) და **თხევ-** (თხევა - შეხება) კომპონენტები. წარმართულ რიტუალთან მიმართებით სიტყვის ისტორია ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

წარმართობის დროს სამსხვერპლო ცხოველს - შესაწირავს თავზე კვერს დაადებდნენ/დაჰკრავდნენ; კვერის დადება განწმენდას ნიშნავდა⁹⁰. სულხან-საბას მიხედვით, **კვერი პატარა ჩაქუჩია**; შდრ.: **კვერის თხვევა** (შეხება) >> **კუერთხვევა** > **კუერთხევა** > **კურთხევა**.

ქრისტიანობაში **კურთხევა** (კვერის დადება) გადააზრიანდა თავზე **ხელის დადებად**; მაგ., მღვდლად კურთხევისას მღვდელთმთავარი სამღვდლო პირს დააჩოქებს და თავზე ხელს დაადებს. ქრისტიანობაში კურთხევა ნიშნავს “განწმენდას, “მადლის გადაცემას”, “ძალა-უფლების მიცემას”.

კუერთხევა (> **კურთხევა**) ზმნური ძირიდანაა წარმოებული სიტყვა-ფორმა: **კუერთხი** (< **კუერთხევა**).

⁹⁰ ამ კონტექსტში საინტერესოა სიტყვა „განარგნება“: “არგანი“ არის კვერთხი; “განარგნება“ განწმენდას ნიშნავს, მაგ., „განარგნა რომელი შეეკრიბა“ (ი. აბულაძე). შდრ.: ძველი აღთქმისეული მოსეს კვერთხის რაიმეზე დაკვრით (დადებით) ხდებოდა სასწაულები. კვერის/არგანის თავზე დადება ძველი აღთქმისთვისაც არის დამახასიათებელი, ხოლო მისი ტრანსფორმირებული ვარიანტი - ხმლის დადება თავზე რიტუალი იყო ძველ ევროპაში რაინდად კურთხევისას.

7.2. ამირანი და პრომეთე

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზევსამდელი ღმერთი - ტიტან **იაფეტის** შვილი - **პრომეთე** ზევსმა დაამარცხა და კავკასიონს მიაჯაჭვა.

წინარებერძნული ცივილიზაცია პროტობერითულ, იბერიულ-კავკასიურ ცივილიზაციადაც იწოდება (ჟ. დიუმეზლი, ს. ყაუხჩიშვილი, ზ. გამსახურდია...). წინარებერძნული კულტურის ღმერთის **კავკასიასთან** იდენტიფიკაცია საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ **იაფეტის ძე პრომეთე** იბერიულ-კავკასიური მოდემის სიმბოლოდ წარმოედგინათ ძველ ბერძნებს. საინტერესოა ისიც, რომ ქართველთა წინაპრად იაფეტს მიიჩნევს **ბიბლიური ტრადიციაც**.

სახელი "პრომეთე" წინასწარმეტყველს ნიშნავს; ეს სახელი ზევსამდელი კულტურის ღმერთის სიმბოლური შინაარსის მქონე **ეპითეტია**.

სამეცნიერო ლიტერატურაში პრომეთეს სახესხვაობად მიჩნეულია **ამირანი** (სახელის სხვა ვარიანტებია: საერთოქართველური **ამირან-** სვანური: **ამირმ/მირიმ/ამირმ/მირან**; მეგრული: **არამ** (< არან < ამირან); აფხაზური: **ამრ-სკ-გლ-/აბრსკილ-**; ოსური: **ამრან-**. ჯერჯერობით **უცნობია ამ სახელის ეტიმოლოგია**: კვლევის ამ ეტაპზე დაბეჭდვით ვერ ვიტყვით "ამირანი" უძველესი **ეპითეტია**, როგორც, მაგ.: "პრომეთე" (წინასწარმეტყველი), უზენაესი, უპირველესი, უკავშირდება ბიბლიურ სახელს: **ავანი/იავანი** თუ ისეთივე გვიანდელი დანაშრევი, როგორც, მაგ., **უსუბი**.

ამირანის შესახებ მითი მთელ კავკასიაშია გავრცელებული, მაგრამ მრავალი და ვრცელი ვარიანტებით მხოლოდ საქართველოში დასტურდება; ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ მითი "მიჯაჭვული ღვთაების შესახებ" ძალიან ახლობელი იყო უძველესი ქართველური სამყაროსათვის.

ქართული მითოლოგიის ტრაგიკული "გმირის" - **ამირანისა** და ტიტან **პრომეთეს** - იგივეობის მტკიცება შესაძლებელია; კერძოდ:

ტ. ორივე ღვთაებრივი წარმომავლობისაა, ორივესთან დაკავშირებულია ზეციდან ღვთიური განძის ჩამოტანა საზოგადოებისათვის (ცეცხლი, რკინის დამუშავების საიდუმლო...), ორივე მარცხდება ახალ ღმერთთან; ორივე კავკასიონზეა მიჯაჭვული.

ჟ. ადრეული ბერძნული თვალთახედვით, პრომეთეს კულტურის ბოლო ნავთსაყუდელი კავკასიაა ანუ ფართოდ განფენილი იბერიული (კოლხური ანუ ქართველური) კულტურა შემორჩა მხოლოდ კავკასიას - ასე უნდა გავიგოთ მითოლოგიური შიფროგრამა პრომეთეს კავკასიონზე მიჯაჭვის შესახებ (ზ. გამსახურდია);

მდრ.: ძვ.წ. XV საუკუნეში, კრეტის მინოსური კულტურის დაცემის შემდეგ (სანტორინის კატასტროფა) ბერძენები აქტიურად ითვისებენ წინარებერძნულ კულტურას. მცირეაზიური/წინარებერძნული კულტურის სიმბოლო - "**ოქროს საწმისი**" - კი ამ დროს ჯერ კიდევ კოლხეთშია გახიზნული თუ წაღებული (ბერძენთა ხედვით, გატაცებული!). იაზონი და მისი მეგობრები მიზნად ისახავენ "ოქროს საწმისის" დაბრუნებასაც და კავკა-

სიონზე მიჯაჭვული ამირანის გათავისუფლებასაც.

ფაქტია: ბერძნების წარმოდგენით **პრომეთე - წინაბერძნული ღვთაე-
ბა და ოქროს საწმისი - ხათების სამეფო ძალაუფლების სიმბოლო** -
ხმელთაშუაზღვისპირეთში ინდოევროპელი ტომების გაბატონების შემდეგ
კავკასიაში “ეჯაჭვება” თუ იღებს ბინას.

¶. ძველ ბერძენ მემატეანეთა თუ მწერალთა მიხედვით, ძვ.წ. პირველ ათას-
წლეულში ქართველთა სახელმწიფოში ფართოდ იყო გავრცელებული
პრომეთეს თავგადასავალის მსგავსი ამბავი; მაგ., **სტრაბონი პრომეთეს
მითს კავკასიურ ამბად თვლიდა** (ივ.ჯავახიშვილი, 1979, გვ. 201, 190;
შდრ., ს.ყაუხჩიშვილი, 1964, 33-34; საკითხის ისტორიისათვის იხ.,
ნ.ჩიხლაძე, 1992).

წინარებერძნულ-პროტოიბერიული ღვთაების შესახებ მითის ქარ-
თულმა ვარიანტმა ქრისტიანობის შემდეგ სერიოზული ტრანსფორმაცია
განიცადა: ზღაპრადქცეულ მითში ზევსის ადგილი ქრისტელმერთმა დაიჭი-
რა, ხოლო ძველი ღვთაება ზღაპრულ გმირად გადააზრიანდა (ტ.ფუტყარა-
ძე, 1995).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სერიოზული საფუძველი გვაქვს
ვთქვათ:

ამირანის მითი უძველესი ქართველური გადმოცემაა; ამირანისა და
პრომეთეს ისტორიების მსგავსებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ
ძველი ღმერთების შესახებ წარმოდგენილი ეს ისტორია მაშინდელი კულ-
ტურული მსოფლიოსათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 3 500 წლის წინ:
ტროას ომამდე - არგონავტების კავკასიაში მოგზაურობის დროს - პრომეთე
უკვე მიჯაჭვულია კავკასიონზე. აქვე, საინტერესოა ისიც, რომ ზოგი მეც-
ნიერის აზრით, ამირანი არის წარმოდგენილი ძვ. წ. III ათასწლეულით და-
თარიღებულ (3 000 წლის წინანდელ) მცხეთის ბრინჯაოს სარტყელზე.

**ჩვენამდე მოღწეული ამირანის მითის სიუჟეტის ძირითადი კონ-
ცეპტუალური ეპიზოდები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:**

ტ. ამირანის მითის მრავალ ვარიანტთაგან უმრავლესობის მიხედვით ამი-
რანი ღვთიური წარმომავლობისაა; მაგ., ამირანი ქალღმერთის (დალის)
შვილია; ამირანამდე უფრო ძლიერი გმირებიც (მაგ., ამბრი) არსებობდნენ,
მაგრამ ისინი კვდებიან; ამირანი უკვდავია;

¶. ამირანის ძმები არიან მოკვდავი გმირები (შდრ.: ფშავ-ხევსურეთში და-
ცული გამოთქმა: “ნახორცივლარი ღვთაებები”);

ჟ. ამირანისა და მისი ძმების მიერ ღვებების (წინა რელიგიის ღმერთების?)
დამარცხება;

ზ. ამირანის მიერ ქვესკნელის წარმატებული გავლა: შავი ვეშაპის მიერ
ამირანის ჩაყლაპვა და მისი მუცლიდან უფრო ძლიერი ამირანის გამოსვლა
(შდრ. გილგამეშის მოგზაურობა ქვესკნელში);

ღ. ზეციური ყამარის (შდრ.: პრომეთეს მიერ ღვთიური ცეცხლის) მოტაცება
და ზეციური გმირის - ყამარის მამის დამარცხება; პარალელურად, ამირა-
ნის ძმების სიკვდილი და გაცოცხლება;

ყ. ამირანი ხალხს ეხმარება - ასწავლის მჭედლობას (შდრ.: ხალიბებს,
ხალდებს - ძველ ქართველურ ტომებს უკავშირებენ რკინის დამუშავების

ტექნოლოგიის გამოგონებას);

ზ. გაამპარტავნებული ამირანის ბრძოლა ღმერთთან და მარცხი: კავკასიონზე მიჯაჭვა; აქ სხვადასხვა ქრონოლოგიის სამი შიფროგრამაა:

- ინდოევროპელი ტომების ექსპანსიის შემდეგ იბერიულ-კავკასიური კულტურის გავრცელების არეალის დაფიქროება კავკასიამდე: **ზევსი >> პრომეთე** (3000-4000 წლის წინანდელი ისტორიის გამოძახილი);

- ნახევრად ღვთაებრივი და ნახევრად მიწიერი პიროვნების (ამირანის) მეტოქეობა ღმერთთან ისჯება;

- ქრისტიანობისდროინდელი სუპერსტრატი - გვიანდელი დანაშრევი); ზევსის ჩანაცვლება ქრისტე ღმერთით: **ქრისტე >> წარმართული ღმერთი...** (1500-2000 წლის ისტორიის გამოძახილი).

ტ. არწივის მიერ ამირანის ღვიძლის კორტნა, ღვიძლის განახლების უნარი და მომავალში ამირანის გათავისუფლების იდეა (გვიანდელი სიმბოლიზება?): ქართველური სამყაროს დროებითი მარცხი და **აღორძინების მოლოდინი**.

ნიშანდობლივია:

ამირანისგან განსხვავებით, ბერძნული მითის გმირს - პრომეთეს - ჰერაკლე ათავისუფლებს: კავკასიაში მოგზაურობისას ჰერაკლე კლავს პრომეთეს მტანჯველ არწივს და თავისი უზარმაზარი კომბლით ამსხვრებს პრომეთეს ტანზე შემოხვეულ ჯაჭვს. **ჰერაკლეს (ჰერკულესის) მიერ პრომეთეს გათავისუფლება** შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ბერძნული სამყაროსგან პრომეთეს - წინაბერძნული ცივილიზაციის - საბოლოო “მოთვინიერება“: ზევსმა დაატყვევა, ზევსის შვილმა გაათავისუფლა.

ქართული მითოლოგია ასეთ დასასრულს არ იცნობს: **ძველქართული ხედვით ამირანი “თავს აიშვებს“, გათავისუფლება და ინსნის საზოგადოებას.**

შდრ.: ქრისტიანობის დროს საქართველოში სხვა მსგავსი კონცეპტი ჩამოყალიბდა - ქართული ენის აღდგინება ლაზარეს მსგავსად: **ქართული ენით (ერით) სხვა ენათა (ხალხთა) განკითხვა მეორედ მოსვლისას** (იხ. ქვემოთ).

მაშასადამე: ქართულ სააზროვნო სივრცეში ქართველი ერის განთავისუფლებისა თუ აღორძინების ორი სახე-სიმბოლო გვაქვს: ამირანი და ლაზარე⁹¹.

⁹¹ ლაზარეს აღდგენა **ქრისტეს მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველებაა**: მეორედ მოსვლა კაცობრიობის საბოლოო განწმენდაა; შდრ.: პირველი განწმენდა - წარღვნის დროს; მეორე განწმენდა - “ბაბილონის გოდოლის“ მკრეხელობის დროს ენების აღრევა; მესამე განწმენდა - ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს).

7.3. ქრისტიანობამდელი არაქართული რელიგიები საქართველოში

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქრისტიანობამდე საქართველოში გავრცელებული იყო წინააზიური სამღმერთიანი რელიგია; კერძოდ, გრ.გიორგაძის აზრით (1985, გვ.156): “ქართული წარმართული ღვთაებების სამეული ტიპურ მცირეაზიურ ღვთაებებს განასახიერებდა: არმაზული ტრიადა დაახლოებით ძვ.წ. III საუკუნის პირველ მეოთხედში “შექმნა” ახლადწარმოქმნილი ქართლის სახელმწიფოს პირველმა მეფემ - ფარნავაზმა ძველ მცირეაზიურ მოდელთან მიმსგავსებით; ჩანს, ასეთი “მოდელი” არსებობდა ანატოლიაში არა მარტო ხეთურ-ხურიტულ ხანაში, არამედ - მომდევნო პერიოდშიც (ძვ.წ. I ათასწლეულში), როდესაც ხეთურ-ხურიტული კულტურისა და რელიგიის ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი აღმოსავლეთ მცირე აზიაში”.

იხ., აგრეთვე, ვ.გოილაძე, 1991, გვ. 52:

“მოქცევადა ქართლისაჲ”-ში არსებული ცნობით, **გაცისა და გას** კერპები ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის მმართველად დადგენილმა აზომ არიან-ქართლიდან გადმოიტანა“; ხეთების სამეფოს დედაქალაქ **ხათუსას** (ახლანდელი ბოლნისი) “სამეფო ჭიშკარზე” არსებული ღვთაება **ხაცის** გამოსახულება და იქვე აღმოჩენილ ლურსმულ წარწერებში ამავე ღვთაების აღწერილობა იდენტურია არმაზული **გაცის** ქართული აღწერილობისა; შესაბამისად, ვფიქრობ, “**არიან-ქართლი კაბადოკიაა**, ხოლო აზოს მამის საგამგეო ტერიტორია მცირე აზიაშია საძიებელი”.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ღვთაება არმაზის** სახელი მიჩნეულია აქემენიდური ხანის **აჰურამაზდას** ტრანსფორმაციად, მაგ., ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ “ღმერთები - არმაზი, ზადენი, აინინა და დანანა ირანული ღმერთებია“. იგი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ქართველების უძველესი მთავარი ღმერთის სახელი ასახულია ქვეყნის სახელში: **ქართლი**: “ჩანს, ქართველი ხალხის ეპონიმი და თვით ხალხის სახელი მათი ძველი მთავარი ღმერთის - **ქართლის ანუ ხალდის** სახელისაგან წარმოიშვა, მსგავსად იმისა, როგორც ღვთაება **ასურის** თაყვანისმცემელი ხალხი თავის თავს უწოდებდნენ **ასირიელებს**⁹².

მეფე ფარნავაზის დროს საქართველოში დამკვიდრებული **არმაზის კერპი** მართლაც არ არის ქართული წარმომავლობისა; იგი ენათესავება არამხოლოდ ირანულ **აჰურამაზდას**, არამედ უფრო ძველ ღმერთს - ხათების **არმას**.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს **საკმარისი საფუძველი** დავასკვნათ: ძვ. წ. III-I ათასწლეულებში ქართველურ-კავკასიურ და ურარტულ-ხურიტულ სამყაროში არსებული ძირითადი რელიგიის ქართული სახელწოდება იყო “**წარმართობა**“; ამ დიდ სივრცეზე გავრცელებული იყო

⁹² <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4-----4-0-11--11-ka-50-0--20-help--100-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-10-3-1-00-0-11-1-OutfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL4.2&d=HASH01332255587901dfc14473c0.10.1>

სხვა რელიგიებიც. წარმართობის დროინდელი ღმერთი იყო **ხალდი/ქართუ**, რომლის სახელი ასახულია ქართველთა თვითსახელწოდებაშიც (ავტოეთნონიმში) და ქვეყნის სახელშიც (ქორონიმშიც)⁹³. საკუთრივ ქართველურენოვან სამყაროში ღვთაება მოიხსენიებოდა ეპითეტებით: ღმერთი, უფალი, უზენაესი, ხოშა ღერბეთი, მორიგე...

დასასრულ, ვფიქრობთ, საქართველოს მთიანეთის ანდრეზებისა თუ თქმულებებიდან ცნობილი: **კვირია, პირიმზე, კობალა, იახსარი** (ზოგადად, ღვთისშვილები)... არ არიან წარმართული ღვთაებები; დასახელებული სიტყვები **ძე ღმერთის, წმინდა გიორგის, ღვთისმშობლის...** ეპითეტები შეიძლება იყოს (“გახალხურებული ქრისტიანული“ წეს-ჩვეულებების შესახებ იხ. ქვემოთ), ხოლო **ადგილის დედა** და ზებუნებრივი ძალის მქონე სხვა სახის **მფარველნი** კი უნდა ასახავდნენ ადგილობრივ (ლოკალურ) რწმენა-წარმოდგენებს.

⁹³ ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ “ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის ავტორის მიერ საუკუნეების წინ; შდრ.: ქართლოსმა - ქართველთა ფუძემდებელმა, “უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა **ქართლი...** და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა **ქართლი, ხუნანიოგან ვიდრე ზღუამდე სპერისა...**“ (კახეთიდან შავ ზღვამდე).

8. ქრისტიანობამდელი ქართული კულტურა; ქართული ანბანი

ქრისტიანობამდელი ქართული წერილობითი კულტურა ჯერჯერობით მიკვლეული არ არის; ზოგი ცდილობს, უძველეს ქართულ (კოლხურ) დამწერლობად გამოაცხადოს “კირბები“, რომელთა შესახებ ცნობა შემონახულია ძვ.წ. III საუკუნის მოღვაწის - აპოლონიოს როდოსელის “არგონავტიკაში“: “**კოლხებს შენახული აქვთ მამაბაბური კირბები, რომელზეც ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა**“ - წერს ის.

დიდი ალბათობით, აქ საუბარია ძველ რუკებზე და არა - ანბანურ დამწერლობაზე. თუკი დავუშვებთ, რომ ამ ცნობაში მართლაც ნაწერი ტექსტი იგულისხმება, ასეთ შემთხვევაში უფრო ლოგიკურია ვიგულისხმოთ არა რაღაც ჩვენამდე არმოდწეული დამწერლობა, არამედ ქართული მრგლოვანი ანბანი, რომლის გავრცელების არეალად უნდა ვიგულისხმოთ კოლხური კულტურის გავრცელების საზღვრები - ფარნავაზ-ქუჯის პერიოდის ქართლის საზღვრები⁹⁴.

ამჟამინდელი მონაცემებით ქრისტიანობამდელ ქართულ კულტურაზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ **კოლხურ-ყობანური კულტურით** (შეუძლებელია, დღეს არსებულ რომელიმე ეთნოსთან დავაკავშიროთ უფრო ადრეული - IV-III ათასწლეულების - არქეოლოგიური კულტურა).

8.1. ქრისტიანობამდელი ქართული კულტურა

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ.წ. V-III ათასწლეულების კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში არსებობდა ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურა. იმხანად ამ სივრცეში ცხოვრობდნენ **წინააზიურ-კავკასიური ტომები**: ხურიტები, ხათები, კავკასიელები; მათ პირველი დიდი გაერთიანებები შექმნეს: **ხურიტებმა** - ჩრდილოეთ შუამდინარეთში, **ხათებმა** - მცირე აზიაში/ანატოლიაში.

მოგვიანებით, **ანატოლიასა და კავკასიაში (ჰალისის, ჭოროხის, მტკვრის, რიონის, ევფრატის, არაქსის ხეობებში)** ჩანან: **მუსხები, ქაშქები, ურარტუელები, კოლხები, დაიანელები...**

ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე საქართველოს ტერიტორია კულტურათა/ეთნოსთა შერევის ველში ექცევა⁹⁵.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კავკასიასა და წინა აზიის ნაწილში: **ჰალისის, მტკვრის, ჭოროხის, რიონ-ყვირილის, ენგურის, ლიახვის ხეობებსა და ჩრდილო-კავკასიის ნაწილში** - იქმნება **დიდი კოლხურ-ყობანური კულტურა**, რომელსაც, პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ **აია-**

⁹⁴ მეცნიერულ არგუმენტაციას ითხოვს ცალკეული მოსაზრებები საქართველოს მთიანეთში აღმოჩენილი ე.წ. წარმართული ასონიშნებისა და ე.წ. ფესტოსის დისკოს ქართველურობის შესახებ.

⁹⁵ მიმოხილვისათვის ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005.

კოლხეთის კულტურა.

კოლხური კულტურის შემქმნელი ხალხის სახელმწიფოს **ძირითადი ენა**, სავარაუდოა, იყო საერთოქართველური კოინე/ენა, რომლის უშუალო მემკვიდრეა სამწიგნობრო ქართული; შესაბამისად, მხოლოდ კოლხური კულტურის არსებობის პერიოდიდან შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული კულტურის შესახებ (არასერიოზულია, მტკვარ-არაქსის კულტურა დავაკავშიროთ დღეს არსებულ რომელიმე ეთნოსთან). აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ “ქართლის ცხოვრებაში” აღწერილი ქუჯ-ფარნავაზის ქართლის საზღვრები თითქმის იგივეა, რაც კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალი.

კოლხური კულტურა მაღალგანვითარებული საზოგადოების კულტურაა, რომელსაც ახასიათებს ოქროს, ვერცხლის, რკინისა და ბრინჯაოს მაღალი ხარისხის ნაწარმი; კერძოდ: სამეურნეო იარაღები (ცული, წალდი, თოხი...), საომარი იარაღები (შუბი, სატევარი, საომარი ცული...), სამკაულები (საყურე, ყელსაბამი, საკინძე, სარტყელი, სამაჯური...), ჭურჭელი, ყალიბები, მონათული ნაკეთობები, რელიგიური სკულპტურები და სხვ.:





ქრისტიანობამდელი ქართული კულტურის ნაწილს წარმოადგენს **ქართული წარმართული ტაძრები** (რომლებიც ნაშთების სახითაა შემორჩენილი), უძველესი ციხე-ქალაქები და კლდეში ნაკვეთი ქალაქები; მოკლედ მათ შესახებ:

თორთუმი. ისტორიულ ქართულ მხარეში - იმიერ ტაოში თორთუმის წყლის ზედა წელთან მდებარეობს ქართველთა ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქი - თორთუმის ციხე-ქალაქი. იგი დაფუძნებულია ძვ.წ. II-I ათასწლეულებიდან. თორთუმის ციხეზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები შავი ზღვიდან შუამდინარეთამდე და სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ⁹⁶.

უფლისციხე. შუა ქართლში არსებული კლდეში ნაკვეთი ქალაქი - უფლისციხე, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. აქ დიდი კომპლექსი იქმნება ძველი წელთაღრიცხვით I ათასწლეულის I ნახევრიდან. ქალაქის ზემო ნაწილში განლაგებული დარბაზების კომპლექსიდან აღსანიშნავია კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზი, რომლის ნახევარწრიული კამარა დამუშავებულია კლდეშივე ნაკვეთი რვაკუთხა კესონებით. სპეციალისტთა ვარაუდით, უფლისციხეში უნდა ყოფილიყო ღვთაება “ხალდის” სამლოცველო⁹⁷.



⁹⁶ გ. ქავთარაძე, 2006 <http://www.scribd.com/doc/17404580/-G-L-Kavtaradze-The-Location-of-Ancient-CityFortresses-of-Tao-in-Georgian>.

⁹⁷ ვრცლად იხ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, 1990; კონსტანტინე ზ. გამსახურდია, 1995; დ.მინდორაშვილი, 2008.

ციხეგოჯი. “ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: “ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვთვან მთამდე (შავი ზღვიდან კავკასიონამდე - ტ.ფ.), რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერის-თავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა **ციხე-გოჯი**“.

ძველი ქართული ციხე-ქალაქები შენდებოდა მთის თავზე, რომ მიუდგომელი ყოფილიყო (იხ., მაგ., თორთუმის, არტანუჯის, უფლისციხე...). დღეს მიღებული აზრის თანახმად, ციხე-გოჯი იგივე ნოქალაქეგია, რომელიც ბერძნულ წყაროებში არქეოპოლისად იწოდება. ნოქალაქევი მდინარის პირასაა აგებული; არქიტექტურულად კი უფრო ბიზანტიური ტიპის ციხე-ნაგებობაა; შესაბამისად, ნაკლებსავარაუდოა, რომ ნოქალაქეგია ციხე-გოჯი. შემდგომი არქეოლოგიური კვლევებით შეიძლება დადასტურდეს, ციხე-გოჯი იგივეა, რაც ბედიში ადრე დაფუძნებული ქალაქი⁹⁸, ან, სულაც, ციხე-ქალაქი მარტვილის გორაზე, თუ სხვა მიუდგომელ ადგილას იყო....

შდრ.: არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ნოქალაქევი დიდი ქალაქი იყო ძვ.წ. V-IV საუკუნეებში; იგი ელინისტური სტილითაა ნაგები; ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ კი თავისი ციხე-ქალაქი ააგო 100 წლის შემდეგ - III საუკუნის დასაწყისში.

მცხეთა/არმაზი. “ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

თარგამოსმა “მისცა ქართლოსს ქუეყანა, რომელი ზემო აღწერეთ. და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა **სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი**, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, **ხუნანითვან ვიდრე ზღუამდე სპერი-სა...**

...და ამან-ვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერთვან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს. და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთჳს აღმართებულისა“.

როგორც წესი, წარმართული სალოცავები კარგად იყო დაცული გარეშე მტრისგან; ისინი ფაქტობრივ ციხე-ქალაქების ყველაზე დაცულ ადგილას იყო აღმართული... შესაბამისად, “ქართლის ცხოვრების“ ეს მონაკვეთიც ისტორიულ რეალობას უნდა წარმოადგენდეს.

მართლაც, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში არქეოლოგიური ძიებებით გამოვლინდა ბევრი საყურადღებო ფაქტი; კერძოდ, მაგ., 1937-38 წლებში მცხეთის ექსპედიციამ, რომელსაც გამოიწვიოთ ქართველი ისტორიკოსები ივ.ჯავახიშვილი და ს.ჯანაშია ხელმძღვა-

⁹⁸ ქართლის ცხოვრება: “ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვან ბედი“.

ნელობდნენ, მიაკვლია ძველი დედაქალაქის რამდენიმე მნიშვნელოვან პუნქტს, კერძოდ: არმაზის ციხეს, სამთავროს, ბაგინეთს; გასულ საუკუნეშივე მათი საყურადღებო პარალელური მასალა გამოვლინდა ვანში (ნ.ხომტარია), სარკინეთსა და წიწამურში (ა.აფაქიძე), შორაპანში, ბიჭვინთაში და სხვ.⁹⁹

მცხეთაში განსაკუთრებით საინტერესოა მცხეთის “სვეტებიანი დარბაზი“, რომელიც ძვ.წ. IV- III სს. აგებული ორიგინალური ნაგებობაა; თუმცა მისი კომპოზიცია, სამშენებლო ტექნიკა და მორთულობის ელემენტები მიგვიტოვებენ, ერთი მხრივ წინააზიურ-ხეთური, ხოლო მეორე მხრივ - ელინისტური კულტურის ტრადიციებთან გარკვეულ სიახლოვეზე¹⁰⁰.

ქრისტიანობამდე არსებული დიდი ქართული კულტურის გამოვლინებაა ძველი კოლხური აკადემია, რომლის შესახებაც ფრაგმენტული ცნობებია შემონახული; კერძოდ, დასავლეთ საქართველოში III-IV საუკუნეებში არსებული ფასისის აკადემია (ფასისი ეწოდებოდა ჭოროხსაც და რიონსაც) - უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი; ამ სკოლას ახსენებს ბერძენი ფილოსოფოსი თემისტოისი (317-388), რომლის მამას - ევგენიოსსაც და თავად მასაც აქ მიუღიათ განათლება რიტორიკასა და ფილოსოფიაში.

ქართული წყაროების მიხედვით, ამ პერიოდში ჭოროხის ხეობაცა და რიონის ხეობაც ერთიანი ქართლის სახელმწიფოს ნაწილია; შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოდ, რომ თემისტოისის მიერ ელადის დარად მიჩნეული ქვეყანა საქართველოა.

არტანუჯი. არტანუჯი ქართველთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უძველესი მთავარი ქალაქია; იგი მდებარეობს ჭოროხის ხეობაში; ახლა მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკაში. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ სწორედ არტანუჯი იყო კოლხეთის მეფის - აიეტის სატახტო ქალაქი 33 საუკუნის წინ. არტანუჯის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ისტორიის ბევრ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენს.



⁹⁹ გ. გამყრელიძე, ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, თბ., 2008; იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000499/sruli.pdf>
<http://saunje.ge/index.php?id=1177&lang=ka>.

¹⁰⁰ თემის მიმოხილვისათვის იხ.: გ. გამყრელიძე, ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, თბ., 2008.

V საუკუნეში არტანუჯის მაღალ კლდეზე ვახტანგ გორგასალის ბრძანებით აიგო ციხე, რომელიც განადგურდა არაბების შემოსევის პერიოდში. IX საუკუნეში ციხე აღადგინა აშოტ კურაპალატმა; მანვე აქ ააშენა წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს სახელობის ეკლესია. არტანუჯი იქცა აშოტ კურაპალატისა და მისი მემკვიდრეების სატახტო ქალაქად; მან დაიბრუნა რეგიონის ცენტრის ფუნქციაც.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1080 წელს ციხე-ქალაქი გადაწვეს თურქ-სელჯუკებმა, მაგრამ 1553 წლამდე ის მაინც ქართველების ხელში იყო, ვიდრე არ დაიპყრო ერზრუმის მმართველმა ისქანდერ ფაშამ. მოსახლეობა აქ ყოველთვის ქართული იყო; XVII-XVIII საუკუნეებში არტანუჯელ ქართველთა დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილმა კი დატოვა მშობლიური მიწა-წყალი. მათ სახლ-კარში კათოლიკე სომხები და თურქები ჩასახლდნენ. ამჟამად აქ მცხოვრებთა უმრავლესობას გამაჰმადიანებული და გათურქებული ქართველები შეადგენენ; ცხოვრობენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც.

1878 წელს (სან-სტეფანოს ზავი) რუსეთმა აჭარასთან ერთად შეიერთა არტანუჯის მხარეც. 1918-21 წლებში ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი და მისი ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქი - არტანუჯი - საქართველოს საზღვრებშია.

1921 წელს, ბოლშევიკური ოკუპაციის დროს რუსეთის იმპერიამ მოსკოვის ხელშეკრულებით, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ნების წინააღმდეგ, თურქეთს გადასცა ბათუმის ოლქის დიდი ნაწილი (ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი), მცირე ნაწილი კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას დაუქვემდებარა¹⁰¹. მოგვიანებით რუსეთ-თურქეთის აღნიშნული ანტიქართული გარიგება ყარსში დადასტურებინეს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოში დასმულ მარიონეტულ ხელისუფლებას - ს.ორჯონიკიძის ხუნტას.


ოლთისი. დოკუმენტური წყაროების მიხედვით, **ოლთისი** არის საქართველოს ისტორიული მხარის - **ტაოს** - ძველი ციხე-ქალაქის სახელი. ამ ოიკონიმის ტრანსფორმირებული ვარიანტი - ოლთუ (<ოლთისი) - ამჟამად ჰქვია ოლთისის ციხის გარშემო გაშენებულ პატარა ქალაქს, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის ერზრუმის ვილაიეთში შედის.

ოლთის- ფუძეში შესაძლებელია გამოიყოს **ოლთ-** ძირი და **-ის** სუფიქსი, რომელიც ქართველურ ენობრივ ველში წარმომავლობას, ნათესაობას გამოხატავს; რაც შეეხება **-ოლთ-** სეგმენტს:

¹⁰¹ არადა, საქართველოს ეროვნული საბჭოს სამაჰმადიანო სექციის გადაწყვეტილების (1917 წ.), ასევე, ბათუმის ოლქის (აჭარა, ლივანა, შავშეთ-იმერხევი, ტაო, ლაზეთის ნაწილი) წარმომადგენელთა 1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობის დადგენილების შესაბამისად, მთელი სამუსლიმანო საქართველო (და არა, მხოლოდ აჭარა) ავტონომიის ფორმით უნდა შეერთებოდა ქრისტიანულ საქართველოს.

ვფიქრობთ, **-ოლთ-** არის ძველი ურარტულ-ქართველური ღვთაების აღმნიშვნელი სახელის - **არდის/ხალდის/ქართუს** - კიდევ ერთი ფონეტიკური ვარიანტი: ***ოლთი**.

ისტორიული **ოლთუს ციხე** დღეს ტურისტთა ყურადღების ერთ-ერთი გამორჩეული ობიექტია; ისტორიული ექსკურსის ფორმატით ციხის კარებთან ტურისტებს ხვდებათ შემდეგი წარწერა:



თარგმანი ასე გამოიყურება:

“ოლთუს სიმბოლო - ოლთუს ციხე - არავინ იცის, როდის აშენდა; ვარაუდობენ, რომ ის აგებულია ამ ადგილებში მცხოვრები ურარტუელების მიერ ქრისტეს შობამდე 1000 წლის წინ. ეს ციხე ფუნქციონირებდა ბერძენების, რომაელებისა და ბიზანტიელების დროსაც.

შიდა ციხეს გარედან აკრავს ძველი ქალაქის სქელი კედელი. შიდა ციხე-სიმაგრე დღემდე უცვლელადაა შემორჩენილი. ქალაქის გარე კედლები მდინარის აღმოსავლეთ მხარეს მიუყვებოდა.

მე-11 საუკუნეში, სელჯუკების დროს, შიდა ციხის აღმოსავლეთ ნაწილში აშენდა ახალი აბანო. მე-16 საუკუნეში ოლთუს ციხე ოსმალოების მიერ შეკეთდა“.

ძველის შესახებ ინფორმაცია ოდნავ განსხვავებულია თურქულ ენციკლოპედიებში; დავიმოწმებთ ერთ-ერთ საინტერნეტო ვერსიას:

“ქალაქ ერზურუმის რაიონის ოლთის მდინარის გვერდით გორაზე მდებარე ციხე **აგებულია ჩვენ წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში**. ციხე შეკეთებულია (განახლებულია) ბიზანტიელთა, სელჩუკებისა და ოსმალოების დროს; შეკეთების შესახებ რაიმე წარწერა დღემდე არ არის მოღწეული. ოსმალების დროს ერთი პერიოდი ოლთის ციხე ქარვასლად იყო გამოყენებული. ოლთის ციხე აგებულია გათლილი ქვით. გარე ციხე და ციხესიმაგრის გალავანი დღემდე არ არის მოღწეული...”¹⁰².

სრულიად განსხვავებულად წარმოადგენს ოლთისის ისტორიას სომხური ენციკლოპედია: “ოლთი (𐌕𐌋𐌆𐌆𐌆, 𐌕𐌋𐌆𐌆; ოლთიქ/ლთიქ/ლთის/ლხთიქ/ლთიქ) - ქალაქი დიდი სომხეთის ტაიქის ოლქის ოქალეს მხარეში; მდებარეობს ჭოროხის აღმოსავლეთი მხარის შენაკადის - მდინარე ოლთის ნაპირთან... ოლთი პირველად მოიხსენიება X-XI საუკუნეების წყაროებში, მაგრამ დაარ-

¹⁰² <http://www.kenthaber.com/dogu-anadolu/erzurum/oltu/Rehber/kaleler/oltu-kalesi->

სებულია გაცილებით ადრე. ოლთი თავდაპირველად ეკუთვნოდა მამიკონიანთა სახანარო სახლს. შემდეგ გადავიდა ბაგრატიონიანებთან (სომეხი ფეოდალები). იყო ისტორიული ტაოს საკურაპალატოს ცენტრი. ამ უკანასკნელის დაცემის შემდეგ (1000 წ.) ეს ოლქი შეიერთა ბიზანტიის საკეისრომ. ეს ძირითადად სომეხებით დასახლებული ქალაქი შემდეგ აღმოჩნდა თურქ-სელჯუკთა, მონღოლთა, თურქმანული ტომებისა და, ბოლოს, მე-16 საუკუნიდან - თურქების ხელში...¹⁰³

სამწუხაროდ, სომხურ წყაროში სრულიად იგნორირებულია ოლთისის პირველ მუხატონეთა - ქართველთა - ისტორიული უფლება და მის დასაცავად ქართველთა მიერ საუკუნეობით წარმოებული ბრძოლები.

ოლთისის ციხე ქართველური წარმოშობის დიაოხის (გვიანდელი ტაოს) ტერიტორიაზე აიგო. ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან იგი არის ფარნავაზისა და ქუჯის მიერ აღდგენილი ქართლის სახელმწიფოს ნაწილი.

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე გარკვეული დროით ტაოს იპყრობენ სომეხები. გორგასალის დროს **ტაო** ისევ ქართლის ნაწილია. იმერტაო (ბანა, ოლთისი...) ქართველთა საცხოვრისია არაბობის დროსაც. ახ.წ. X საუკუნეში ოლთისი ქართველთა მეფის - დავით III დიდი კურაპალატის რეზიდენცია იყო; დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ (1001) **ქართველთა მეფეთა მეფე** გურგენი ეცადა ოლთისის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ბიზანტიის წინააღმდეგობას წააწყდა.

ქართული წყაროების მიხედვითაც, XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური საზღვარი ოლთისის ხაზზე გადიოდა; რაღაც მომენტში **ოლთისს** ისევ ქართველები ვაკონტროლებდით; კერძოდ, 1021 წელს, საქართველოს მეფემ - გიორგი I-მა თავი აარიდა ბასილ II-თან ბრძოლას: დატოვა და გადაწვა საკუთარი ციხე-ქალაქი - ოლთისი¹⁰⁴.

“ქართლის ცხოვრების” მიხედვით XI საუკუნის მეორე ნახევარში ოლთისნი¹⁰⁵, კარი (ყარსი) და კარნუ-ქალაქი (ერზერუმი) ქართველი მხედართმთავარის - გრიგოლ ბაკურიანისძის¹⁰⁶ საგამგებლოა, რომელიც, ნომინალურად ემორჩილება ბიზანტიის იმპერატორს, მაგრამ ფაქტობრივად ექვემდებარება საქართველოს მეფეს (გიორგი II-ს), რომლის კუთვნილებათა **ტაო; კერძოდ, ქართულ წყაროში ვკითხულობთ:**

თურქ-სელჯუკების დამარცხების შემდეგ “წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვისსა ტაოს, და მოვიდა ბანას“ (ქ.ც. 1955, გვ. 318). ბანაში მას ეწ-

¹⁰³ “სომხური საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. XII, გვ. 527-528, ერევანი, 1986. სტატიის ავტორია თ. ჰაკოფიანი, რომელიც ასახელებს ორ წყაროს: ლ. იჭიკიანი, აღწერა ძველი სომხეთისა“ 1822; ლ. ალიშანი, “დიდი სომხეთის აღწერა“ 1855; შდრ. შედარებით ობიექტური ინფორმაცია დევს ინგლისურენოვან ენციკლოპედიაში; იხ., მაგ.: <http://en.wikipedia.org/wiki/Oltu>.

¹⁰⁴ “ქართლის ცხოვრება“, თბ., 1955, გვ. 284, 383.

¹⁰⁵ ოლთისნი - ოლთისი და მისი მიმდებარე ტერიტორია; შდრ.: იმერხეულ და ტაოურ კილოებში ხშირია ამგვარი წარმოება, ოლონდ -ნ-ს ნაცვლად გამოყენებულია -თ-: ჯვარი - ადგილის სახელი; ჯვარ-თ-ი - ეს ადგილი მისი მიმდებარე ტერიტორიითურთ; ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, 2006

¹⁰⁶ ეს ის ტაოელი ქართველი გრიგოლ ბაკურიანისძეა, რომელმაც ბულგარეთში ააგო პეტრიწონის ქართული მონასტერი (ამ დროს ბულგარეთი შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში). მსჯელობისათვის იხ., ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, გვ. 159-161.

ვია გრიგოლ ბაკურიანისძე, რომელსაც მან (გრიგოლმა) გადასცა ქალაქი ყარსი (ქ.ც. 1955, გვ. 318). შდრ., "ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანის ვარიანტი: "როცა გიორგი მეფე **ბანაკს** იყო, მოვიდა მასთან გრიგოლი, ბაკურიანის ძე, **უხტისა** (= ოლთისის), **კარისა** და ქალაქ **კარინის** პატრონი..." (ი. აბულაძე, 1953, გვ. 235).

საქართველოში დიდი თურქობის დროს (XI-XII სს. მიჯნა) **ოლთისის სელჩუკები ფლობდნენ, მაგრამ თურქ-სელჩუკების დამარცხების შემდეგ დავით IV აღმაშენებელმა უკან დაიბრუნა ეს მხარე** (სელჩუკებთან ბრძოლების დროს ოლთისი კიდევ ერთხელ გადაიწვა). ამის შემდგომ ოლთისი ისევ საქართველოს შემადგენლობაში იყო XIII საუკუნის 40-იან წლებამდე.

საქართველოს დიდი მეფის, თამარის მემკვიდრის - ლაშა-გიორგის - დროს სელჩუკთა მემკვიდრეებმა სცადეს ოლთისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების წართმევა, მაგრამ ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელმა მესხთა ჯარით შეძლო მათი დამარცხება და საქართველოს საზღვრებიდან განდევნა¹⁰⁷.

მონღოლთა ბატონობის ხანაში (უმეფობის პერიოდში), მცირეაზიელმა თურქმანებმა ოლთისი დროებით დაიკავეს, მაგრამ იგი მალე გაათავისუფლა სამცხის (ქართველების) ლაშქარმა.

თემურ-ლენგის შემოსევების დროს (1386-1403) მისმა ურდოებმა ოლთისი სასტიკად ააოხრეს.

ცნობილია ისიც, რომ XV საუკუნის მიწურულს, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, **ოლთისი** სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შემადგენლობაშია; ოლთისისა და მის შემოგარენს ქართული ფეოდალური საგვარეულო - ჯაყელთა დინასტია - განაგებს.

XVII საუკუნეში მანუჩარ ათაბაგმა (მანუჩარ III 1607-1628) ერთი პერიოდი ოლთისი კახეთის მეფე თეიმურაზს (1606-1648) გადასცა. მაშინ, როცა თეიმურაზ I ამალით სტამბოლში თურქეთის სულთანს - მუსტაფას (1617-1618, 1622-1623) ეახლა, მეფემ ოლთისში დატოვა თავისი მეუღლე, დედოფალი ხორეშანი. თეიმურაზ I-ის მიერ თურქეთის სულთანისადმი მორჩილების გამოცხადებამ ირანის შაჰი აბას I გააღიზიანა და **ოლთისში** დედოფალ ხორეშანის შესაპყრობად **ამირგუნე ხანი** გააგზავნა, რომელმაც ვერ შეძლო ციხის აღება და უკან გაბრუნდა.

XVI საუკუნეში ოსმალეთის სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ სამხრეთ საქართველო, მათ შორის, ოლთისი, ქართველი თავადების - ჯაყელების - დალატის გამო ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. ჯაყელები ოსმალეთის კარის მოხელეებად იქცნენ და ამ გზით ეს მხარე სამართავად დაიტოვეს.

¹⁰⁷ **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 209. **ვახუშტისვე ცნობით**: "ჭოროხის აღმოსავლეთის კიდევად არს ოლთისი, ქალაქი კარგი და კეთილ-ჰაოვანნი. აქ არის ციხე მაგარი და დიდშენი. ჯარს მეორე საჯდომი ათაბაგისა" (იქვე, გვ. 683).

ოსმალური დოკუმენტური წყაროების საფუძველზე თურქი მეცნიერი **ნები გუმიში** თურქთა მიერ ქართული მიწების, მათ შორის, **ოლთუს (ოლთისის) დაპყრობას** ასე აღწერს:

“ქართველი თავადები ამ ბრძოლაში დიდ როლს თამაშობდნენ. სტამბულში დაცულია ტოპკაპი სარაი არწივის ნაშრომი, რომლის თანახმადაც თავიდან თავადები მხარს ყვარყვარეს უჭერდნენ, მაგრამ მოგვიანებით მანუჩარის მხარეს გადავიდნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც თავადებმა შეიტყვეს, რომ ირანელების 3000 კაციანი ჯარი მათ ტერიტორიას უახლოვდებოდა, მათ მხარდაჭერა შეწყვიტეს და ამით მანუჩარი ძალზე დააზარალეს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მანუჩარი დაუფიქრებლად მოიქცა, როდესაც **ოლთუს ციხე-სიმაგრე - თავისი კუთხის დედაქალაქი** - მიატოვა. ყვარყვარემ ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა და ციხესიმაგრე დაიკავა.

ათაბაგი ყვარყვარე (1515-1535) საფავიდების მხარდაჭერას მუდამ გრძნობდა, ამიტომ ოტომანების მხარეს გადავიდა. მაგრამ 1535 წელს 15 აგვისტოს, მურკახეთის ბრძოლის დროს იგი იმერეთის მეფემ დაატყვევა და მისი ტერიტორიები თავის სამეფოს დაუმორჩილა.

მამის დატყვევების შემდეგ, ოთარ შალიკაშვილის რჩევით, უფლისწულმა ქაიხოსრომ დახმარებისთვის ოტომანებს მიმართა. თავდაპირველად ოტომანების დახმარება არცთუ ეფექტური აღმოჩნდა და უფლისწულმა იმერეთის მეფე ვერც ერთ ბრძოლაში ვერ დაამარცხა...

1543 წლის გაზაფხულზე მუსა ფაშამ სამცხის დასაპყრობად ბრძოლა დაიწყო და **ოლთუს ციხე-სიმაგრეს** ალყა შემოარტყა. ამ სისხლისმღვრელ ბრძოლაში იგი იმერეთის მეფეს, ბაგრატს (1510--1565) დაუპირისპირდა.

შერკინების დროს ფაშა დაიჭრა, რის შედეგადაც ოტომანების არმია მტერთან ბრძოლაში მალე დამარცხდა.

ეს ამბავი დაიარბეჰირის ბეგლარბეიმ, ჰადიმ ალი ფაშამ შეიტყო. იგი მაშინვე გამოემართა ბრძოლის ველისკენ და ქართველები დაამარცხა.

1545 წელს, ქაიხოსრომ ოტომანების დახმარებით, სოხოისტასთან ახლოს ბაგრატის დამარცხება შეძლო. მან შური იძია ბაგრატზე, რომელმაც ათი წლის წინ მისი სამფლობელო დაიპყრო და მამამისი დაატყვევა. ამ ყველაფრის შემდეგ ქაიხოსრო ტახტზე ავიდა. ათაბაგ ქაიხოსროს (1545-1573) მეფობის პერიოდში სამცხე კვლავ ოტომანების მფლობელობაში გადავიდა. ვახუშტის ცნობით, მან ოტომანებს ირანის წინააღმდეგ ბრძოლებაში გაწეული დახმარების სანაცვლოდ მხარდაჭერა აღუთქვა.

სამცხის დაპყრობილ ტერიტორიაზე დაარსდა ისეთი სანჯაყები, როგორც იყო თორთუმი, აღსაკალე, კემჰიდი და ლივანე...¹⁰⁸. ოსმალეთის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის ჯ. ჰამერის მიხედვით, 1549 წლის სექტემბერში ოსმალებმა დაიპყრეს ოლთისის, თორთუმის, ნაჯანის, მირახორის, აქჩაკალის და ოცამდე სხვა მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე¹⁰⁹.

ოლთისის ციხის ქართულობას ცხადყოფს მასზე აღმოჩენილი **ისტორიული წარწერებიც**: 1843 წელს ოლთისის ციხე აღწერა კ. კონმა (შემდეგ - დ. ბაქრაძემ). მათი აღწერების მიხედვით, ოლთისის ციხის შიგნით შემორჩენილი იყო სხვადასხვა სახის ნაგებობები და წარწერები; ექ.

¹⁰⁸ http://www.muslimgeorgia.org/haber_detay.asp?tur=115&id=106 (სტატია მომზადებულია ოსმალეთის არქივების მონაცემებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე; დამოწმებებისათვის იხ., მითითებული ვებგვერდი).

¹⁰⁹ მსჯელობისათვის იხ., ზ. შაშიკაძე, 2008; გვ. 260.

თაყაიშვილმა დაზიანების გამო მხოლოდ ერთი წარწერა ვერ წაიკითხა. დანარჩენი სამი ქართულენოვანი წარწერა მოგვითხრობს:

“უფალო ყოვლისშემძლო, იესო ქრისტე, შეიწყალე გაბრიელი, რომელმაც განადიდა წმინდა გიორგი და ააგო ეს საკურთხეველი”;

“ქ. დავითის მიერ შეიქმნა...“;

“ქრისტე, შეიწყალე გაბრიელი“...

როგორც წარწერებიდან ჩანს, ოლთისის ციხის ეკლესია წმინდა გიორგის სახელზე იყო აგებული და მისი ქტიტორი იყო გაბრიელი.

ციხის ტერიტორიაზე მდგარი ექვსაფსიდიანი ტაძარი ოსმალოებმა დაანგრიეს 1907 წელს¹¹⁰.

კარგი იქნება, დღეს მაინც ტურისტებისათვის ოლთუს ციხის მემორიალურ დაფაზე არსებულ წარწერას ერთი აბზაცი დაემატოს:

“ოლთისის ციხე აგებული უნდა იყოს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში წინარექართველური სახელმწიფოს - დაიაენის - არსებობის დროს; ოლთისს დიდი ხნის მანძილზე ფლობდნენ ქართველები“.

...ოლთისი, თორთუმი, არტანუჯი, ბანა, იშხანი, ხანძთა... **ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობაცა და თანამედროვე თურქეთის მოსახლეობისაც.** ნუ დავუკარგავთ ერთმანეთს ამ ისტორიას. მემორიალურ დაფაზე უნდა იყოს ქართულენოვანი წარწერაც.



¹¹⁰ **П. Закария**, Зодчество Тао-Кларджети, Тб. 1992. გვ. 111; ი. გივიაშვილი, ი. კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004. გვ. 107.

შდრ.: ივ. ჯავახიშვილის ცნობით, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ოლთისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებთან ერთად (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ, 12. თბ. 1998. გვ. 488). 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ოლთისს საქართველოს შემადგენლობაში თვლიდა; 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის გარიგებით ლენინმა და ათათურქმა საქართველო გაიყვეს; ოლთისის მხარე თურქეთს ხვდა წილად.

8.2. ქართული ანბანის შექმნის ისტორია. ქართული ანბანის საყრდენი მოდელი

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, ქართული ანბანი შეიქმნა ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში; სოფი მკვლევარის აზრით კი, ქართული ანბანი შეიქმნა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (ლიტერატურის მიმოხილვისთვის იხ. რ.პატარიძე, 1980; თ.გამყრელიძე, 1989).

ფაქტია, რომ ქრისტიანობამდელი ქართული წარწერები არ არის შემონახული, თუმცა, **ნეკრესის წარწერების** მსგავსად, კიდევ რა სიურპრიზს გვიმზადებს ახალი აღმოჩენები, ღმერთმა იცის; შესაბამისად, არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ქართული ანბანის ძირითადი მოდელი შეიქმნა წარმართულ პერიოდში, რომელიც, მოგვიანებით, ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნის პერიოდში, ბერძნული ანბანის გავლენით “დაზუსტდა” - დაემატა ქართულისათვის უცხო რამდენიმე ასო-ნიშანი (**ჭ, ცჳ...**).

ძრავალსაუკუნოვანი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართული სამწიგნობრო ენისათვის ანბანის შექმნას ქუჯ-ფარნავაზის ეპოქას (ძვ.წ. IV-III სს.) და ფარნავაზის სახელს უკავშირებს¹¹¹. ქართული ანბანის შექმნის დროის შესახებ წყაროებში დაცულია კიდევ რამდენიმე ცნობა:

ქართული საისტორიო ტრადიციით, ქართველებს ფარნავაზამდევც ჰქონიათ დამწერლობა. იგი შეუდგენიათ ქართველ ქურუმებს ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე: **“არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე. წერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი ქურუმთა მიერ, რომელთაც უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი”**¹¹²...

ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შეფასებით, V საუკუნის ასომთავრული ანბანი იმდენად ჩამოყალიბებული და დახვეწილია, რომ შეუძლებელია მას ამ პერიოდამდე არ გაეგლო დიდი ისტორია. მისი აზრით, ქართული ანბანი შექმნილი უნდა იყოს არაუგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა. ამავე აზრს ავითარებს **პ. ინგოროყვაც**.

ქართული ეპიგრაფიკული წარწერების (ბოლნისის სიონი, დავათის სტელა, პალესტინის წარწერები...), ასოების გრაფიკისა და ანბანში ასოთა თანამიმდევრობის ანალიზის საფუძველზე **რ.პატარიძემ** ქართული ანბანის შექმნის თარიღად ივარაუდა **ძვ. წ. 415** წელი.

¹¹¹ ცნობა დაცულია XI საუკუნეში ლეონტი მროველის მიერ რედაქტირებულ “ქართლის ცხოვრებაში”: “ამან [ფარნავაზმა] განავრცო ენა ქართული... და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული”.

¹¹² თეიმურაზ ბაგრატიონი, “ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ”; თეიმურაზ ბაგრატიონს დოკუმენტი დამოწმებული აქვს ანტონ II კათოლიკოსის კუთვნილი წიგნიდან “მატიანე შემეცნებათა” (1836 წელს ეს ისტორიული საბუთი ფრანგულად გამოაქვეყნა მარი ბროსემ). ვიმოწმებთ წიგნიდან: ქართული ენის ისტორია (პროფ. ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით), ქუთაისი, 2006; შესაბამისი პარაგრაფის ავტორია პროფ. ყ. ფეიქრიშვილი.

ქართული ანბანის წარმართულ ძეგლად მიჩნევას თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის **ნეკრესში აღმოჩენილი წარწერებიც, რომლის შინაარსი წარმართულია, ხოლო სავარაუდოდ - ახ.წ. II-III საუკუნე (ლ. ჭილაშვილი).**

სომხურმა ურპატრიოტულმა წრეებმა VI საუკუნის ბოლოს გააყალბეს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის - **კორიუნის** - თხზულება: "მამტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა" და ქართული ანბანის შექმნა მიაწერეს V საუკუნის სომეხ მოღვაწეს - მესროპ-მამტოცს (361-440 წწ.).

ივ. ჯავახიშვილიმა დასვა ლოგიკური კითხვა:

თუკი მესროპმა შექმნა ქართული ანბანი, მაშინ რატომ არ აღნიშნავს ამას V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი **ლაზარ ფარბელი**, რომელიც კარგად იცნობდა კორიუნის თხზულებას?

ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, კორიუნის შრომაში გვიანაა ჩამატებული მამტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ამბავი; კერძოდ, VI საუკუნის დამლევს; მისი აზრით, ამას მოწმობს ისიც, რომ მამტოცის, როგორც ქართული ანბანის შემქმნელის შესახებ არაფერია ნათქვამი სომეხი ისტორიკოსების: **ფავსტოს ბუზანდისა (V ს.)** და **მნითარ აირივანელის (XIII ს.)** ნაშრომებში. პირიქით, **მნითარი** ქართული დამწერლობის შემქმნელად **ფარნავაზს** ასახელებს (ჟ. ფეიქრიშვილი). აქვე აღვნიშნავთ, რომ VII საუკუნის დასაწყისში, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული და სომხური ეკლესიები (სპარსეთი ხელს უწყობდა სომხურ ეკლესიას და ავიწროებდა ქართულ და ალბანურ ეკლესიებს), შაჰისა და არაბების წაქეზებით გაძლიერებული სომხები ცდილობდნენ რეგიონში პირველობის დაჩემებას და ამ მიზნით ისტორიული დოკუმენტების გაყალბებასაც არ ერიდებოდნენ.

არსებითა სხვა გარემოებაც:

ანბანის შექმნა გულისხმობს ურთულეს პროცედურას - მოცემული ენის სიტყვების დანაწევრებას სამეტყველო ბგერებად და მათთვის გრაფიკული სიმბოლოებით. პირველი საფეხური - სამეტყველო ბგერების ზუსტი კვალიფიკაცია ანუ **ფონემური ანალიზი** - აკადემიური ენათმეცნიერული კვლევაა; ასეთი დონის ლინგვისტური სამუშაო მოითხოვს არა მხოლოდ ენის ფლობას (მესროპმა ქართული ენა არ იცოდა!), არამედ სამეტყველო ბგერების მახასიათებელთა (საწარმოთქმო ადგილი, მჟღერობა-სიყრუე-მკვეთრობა, ხშულობა-ნაპრალოვნობა, მარცვლის შექმნის უნარი...) ცოდნას.

ქართული სამეტყველო ბგერების დიდი ნაწილი არსებითად განსხვავდება სხვა ენების ფონემებისგან; ამკარაა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელმა უზადოდ გააანალიზა ქართული ენისთვის დამახასიათებელი თავისებური ფონემებიც და სონანტი ბგერების (ი/ე, უ/ვ) ალოფონებიც კი. ანუ: ქართული ასომთავრულის შემქმნელმა ზედმიწევნით იცოდა ქართული ენა და, ამავე დროს, იყო დიდი ენათმეცნიერიც, რომელმაც ჯერ კიდევ საუკუნეების წინ საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გამოაცალკევა ქართული ენისათვის დამახასიათებელი ე.წ. კავკასიური ყელნშული ფონემებიც კი (პ, ტ, წ, ჰ, კ, ყ), ისინი განასხვავა შესაბამისი ყრუ ფონეზიური ფონემებისგან (ფ, თ, ც, ჩ, ქ, ჯ) და თითოეულ მათგანს ისე ზუსტად მოუძებნა შესაბამისი გრაფიკული სიმბოლო (ასო), რომ დღემდე ვერავინ გააუმჯობესა ეს საოცარი მიღწევა (შდრ., სხვა ენების ანბანი ასე ზუსტად ვერ ასახავს ფონემატურ სტრუქტურას).

სამეტყველო ბგერების გარდა, ქართული ასო-ნიშნები მრავალი საუკუნის მანძილზე გამოხატავდა რიცხვით მნიშვნელობასაც; მეცნიერთა ნა-

წილის დასკვნით, ასომთავრულ ანბანს ჰქონდა, ასევე, ასტრონომიული და კალენდარული დანიშნულებაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია **ქართული ანბანის საყრდენი მოდელის შესახებ**; კერძოდ, ზოგი სპეციალისტი /ფ. მიულერი, ს. გორგაძე, ივ. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი, რ. პატარიძე.../ თვლის, რომ ქართული ასოების მოხაზულობა მომდინარეობს **ფინიკურისგან** /არამეულისგან; მეცნიერთა ნაწილის /კ. გარდტჰაუზენი, დიმ. ბაქრაძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, თ. გამყრელიძე, კ. დანელია, ვ. ბოედერი, ზ. სარჯველაძე.../ აზრით კი - **ბერძნული ანბანისგან**.

უფრო გასაზიარებელი ჩანს **ე. მაჭავარიანის** მოსაზრება, რომ ქართული ანბანის ასოთა მოხაზულობა შეიქმნა ადგილობრივ ნიადაგზე¹¹³; ეს არ გამოირიცხავს, რომ ზოგ შემთხვევაში სხვა ანბანების გამოცდილებაც შეიძლება იყოს გაზიარებული; კერძოდ, ბუნებრივია, ქართული ანბანის შემოქმედს სანიშნოდ შეიძლება აეღო რომელიმე უფრო ძველი ანბანი, მაგრამ იმდენად თავისებურია ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა და იმდენად ორიგინალურია ქართული ასოების გრაფიკული მოხაზულობა, რომ გაჭირდება ქართული ასომთავრულის პროტოტიპად რომელიმე ერთი ანბანი მივიჩნიოთ.

შესაბამისად, ლოგიკურია დავუშვათ, რომ ქართული ანბანის შემოქმედმა რამდენიმე სხვა ენის ანბანის შექმნის გრაფიკული თუ ფონემატური პრინციპების გათვალისწინებით ჩამოაყრდნობა ორიგინალური ქართული ანბანი. **სწორედ ამ კონტექსტშია საინტერესო ერთი გარემოება:**

ფინიკურში გამოიხატებოდა **ჟ** და **ღ** ბგერები, ხოლო ბერძნულში - **უ** და **ი**; ქართულ დამწერლობაში თავიდანვე გვაქვს ოთხივე ბგერის ფარდი ასო-ნიშანი; ვფიქრობთ, რომ ასომთავრულის **უ** სწორედ წყვილბაგისმიერ უმარცვლო ბგერას გამოხატავდა და არა კბილბაგისმიერ სპირანტს (დაწვრილებით იხ. ტ. ფუტკარაძე, 1998).

წარმოდგენილი ორი სონანტის ოთხივე ალოფონი აისახებოდა აგრეთვე რუნულ და, გამომდინარე აქედან, ახალ გოთურ დამწერლობაში, რომელიც ძველი გოთურისა და უნცივალური ბერძნულის მიმართებისათვის იხ. თ. გამყრელიძე, 1984, გვ. 101; აგრეთვე, რ. პატარიძე, 1980, გვ. 137); გოთურისავე **ჟ** ნიშნის სახელი ემთხვევა ქართული **უ** (ვინი) ნიშნის სახელწოდებას; შეიძლება დავუშვათ, რომ გოთური ანბანის შემქმნელს ან ქართული ანბანის იც ელო წინ, ან ქართულიც და ეტრუსკულ-გოთურიც ამ ნიშანს ფინიკურისგან იღებენ...

საყურადღებოა: ქართულში, ფინიკურის ანალოგიით, **უ/ჟ**-ს ნიშანი გამოხატავს რიცხვით მნიშვნელობას: **6**, გოთურში კი, ბერძნულის მსგავსად, 400-ს შეესაბამება; გოთური **უ**-ს ასონიშანი მე-16 ადგილზე და **70**-ს აღნიშნავს; ქართულში ამ ადგილას **ო** არის.

რაც შეეხება **უ** სონანტის მარცვლოვან ვარიანტს:

ბერძნულში, თავდაპირველად, 23-ე ასო-ნიშანი **უ**-ს შეესაბამებოდა; მოგვიანებით მას დააკისრეს **ჟ**-ს აღნიშვნა და **უ**-სთვის დიგრაფი შემოიღეს; 23-ე ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობაა **400**. ჩვენი აზრით, განვითარების ამგვარივე გზა უნდა გაეწვია ქართული ასომთავრულის 23-ე ნიშან **ჟ**-საც; იგი თავდაპირველად უ-ს გამოსახატავად შექმნეს; მოგვიანებით კი, ბერძნულის

¹¹³ ე. მაჭავარიანი, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1981; ე. მაჭავარიანი, ქართული დამწერლობა, თბ., 2006, გვ. 4.

ანალოგიით უკანა რიგის ბაგისმიერი ხმოვნისთვის შემოღებული დიგრაფის (Qq) დამკვიდრების შემდეგ, იგი უი/უი სეგმენტის სიმბოლოდ იქცა. უ/უი ქართულში ფონემა არ იყო, ამიტომაც q ნიშნის გამოყენებაში გარკვეული აღრევები დამწერლობამ თავიდან ვერ აიცილა, თუმცა, როგორც ხანმეტი ტექსტების ანალიზიდან ჩანს, q (ვიე) ძირითადად უი (და არა უი/ვი) კომპლექსს შეესაბამებოდა.

მრავალმხრივ საინტერესოა ქართულ ანბანში ასოთა განლაგების საკითხიც:

ძველი ქართული ანბანის 24 გრაფემის (C, Q, L, S, T, U, V¹¹⁴, X, Y, Z, K¹¹⁵, B, G, H, I¹¹⁶, O, P¹¹⁷, R¹¹⁸, S, L, P¹¹⁹, Q¹²⁰, Qq, P, T) თანამიმდევრობა, ძირითადად, მიჰყვება არქაულ ბერძნულს (რომელიც ქრისტიანობამდე არსებობდა!). ბერძნულის ბოლო სამ ასონიშანს ენაცვლება ორიგინალური ქართული გრაფემები: O, Q, Y, რომლებიც ბერძნულისთვის უცხო ბგერებს (ღ, ყ, შ) გამოხატავენ. ქართულისთვის დამახასიათებელ სხვა სპეციფიკურ სამეტყველო ბგერებს (ჩ, ც, ძ, წ, ჯ, ხ, ჳ, ჯ, ჳ) ქართული ასომთავრულის შემოქმედმა შემდეგი გრაფემები შეუქმნა: h, G, t, P, S, L, Y, X, U¹²¹.

რა პრინციპითაა განლაგებული ქართულისთვის სპეციფიკური ბოლო 12 გრაფემა?

არქაულ ანბანში ჰ ასონიშანს არ ჰქონდა ფონეტიკური მნიშვნელობა (თავდაპირველად ის მხოლოდ რიცხვის - 9 000 - აღმნიშვნელი იყო); დანარჩენი 11 გრაფემის ცენტრს წარმოადგენს d, რომლის გარშემოც გარკვეული კანონზომიერებით განლაგებულია 10 ბგერა; კერძოდ: ძ-ს მარჯვნივაც და მარცხნივაც განლაგებულია: 2 ყრუ ხშული, 2 ყრუ ნაპრალოვანი და 1 მჟღერი ბგერა: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჯ, ხ, ჳ, ჯ¹²². დასახელებული ბგერების სამწვეროვან ცენტრალურ ჯგუფს ქმნის წინანუნისმიერი ც, ძ, წ ფონემები. ამდენი დამთხვევა შემთხვევითი ვერ იქნება; ჩანს, ანბანის შემქმნელი ნიჭიერი ენათმეცნიერი იყო¹²³.

¹¹⁴ ვფიქრობთ, ეს ასო უფრო წყვილბაგისმიერ სპირანტს აღნიშნავს სემიტურის მსგავსად, ვიდრე - კბილბაგისმიერს.

¹¹⁵ შესაბამისი ქართული ბგერა ყელხშულია და არა - ფშინვიერი.

¹¹⁶ ი ხმოვანის უმარცვლო ვარიანტის /ჲ/ ნაცვლად ბერძნულში არის Ξ (ks).

¹¹⁷ შესაბამისი ქართული ბგერა ყელხშულია და არა - ფშინვიერი.

¹¹⁸ ბერძნულში ამ ადგილას მყოფ ასონიშანს ბგერითი მნიშვნელობა არა აქვს.

¹¹⁹ შესაბამისი ქართული ბგერა ყელხშულია და არა - ფშინვიერი.

¹²⁰ ქართული ანბანის არქაულ ვარიანტში ამ ასოს შესაბამისი ბგერა უნდა ყოფილიყო უ/ვ სონანტის მარცვლოვანი ვარიანტი.

¹²¹ 10 000 აღმნიშვნელი ჰ გრაფემას არა აქვს ბგერითი მნიშვნელობა.

¹²² შდრ., თ. გამყრელიძე, 1989, გვ. 155.

¹²³ დასახელებული ბგერების აღმნიშვნელ არქაულ ასო-ნიშნთა ნაწილი გრაფიკულად უახლოვდება ფინიკიურ (/არამეულ) ასონიშნებს; შდრ., თ. გამყრელიძე, 1989, გვ. 178-180.

8.3. ქართული ანბანის სახეები: მრგვლოვანი, ნუსხა-ხუცური, მხედრული

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორგვარი ქართული ანბანი არსებობს: **ხუცური** და **მხედრული**; თავის მხრივ, ხუცურიც ორგვარია: **ასომთავრული** და **ნუსხური**¹²⁴. ამგვარი სახელდება გამართლებული იქნება, თუკი დავუშვებთ, რომ ქართული ანბანი შექმნილია ქრისტიანობის შემდეგ.

ჩვენი აზრით, ქართული ანბანი წარმართობისდროინდელი შემოქმედებაა; შესაბამისად, უფრო ლოგიკური იქნება, ვთქვათ, რომ გვაქვს ქართული ანბანის სამი სახეობა: **მრგვლოვანი**, **ნუსხური** (ნუსხა-ხუცური) და **მხედრული**. მრგვლოვანი - ელიტარული ანბანი - გამორჩევისათვის გამოიყენება უძველესი დროიდან დღემდე; მრგვლოვანის სახესხვაობა - ნუსხური - ჩამოყალიბდა საეკლესიო მწერლობაში ანბანის ინტენსიური მოხმარებისათვის; მხედრული კი ნუსხურის ბაზაზე შეიქმნა საერო მწერლობისთვის:

ა	ბ	გ	დ	ე	ვ/ჟ	ზ	თ	ი	
Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ	Ⴈ	Ⴉ
ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
კ	ლ	მ	ნ	ძ	წ	ჭ	ყ	რ	ს
ᲁ	ᲂ	ᲃ	ᲄ	ᲅ	ᲆ	ᲇ	ᲈ	Ᲊ	ᲊ
ⴋ	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ
ⴕ	ⴖ	ⴗ	ⴘ	ⴙ	ⴚ	ⴛ	ⴜ	ⴝ	ⴞ
ⴟ	ⴠ	ⴡ	ⴢ	ⴣ	ⴤ	ⴥ	⴦	ⴧ	⴨
⴩	⴪	⴫	⴬	ⴭ	⴮	⴯	ⴰ	ⴱ	ⴲ
ⴳ	ⴴ	ⴵ	ⴶ	ⴷ	ⴸ	ⴹ	ⴺ	ⴻ	ⴼ
ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	ⵁ	ⵂ	ⵃ			
ⵄ	ⵅ	ⵆ	ⵇ	ⵈ	ⵉ	ⵊ			
ⵋ	ⵌ	ⵍ	ⵎ	ⵏ	ⵐ	ⵑ			

ნუსხა-ხუცური და მხედრული ვარიანტების გაჩენა არ არის შემთხვევითი: ჩვენმა წინაპრებმა ამ გზით განასხვავეს სასულიერო და საერო მწიგნობრობა, როგორც ორი სხვადასხვა სტილი¹²⁵.

ასომთავრულითაა შესრულებული უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები

¹²⁴ კ. კეკელიძე, 1980, გვ. 34.

¹²⁵ შტრ.: შუა საუკუნეების კულტურულ საზოგადოებაში საერო და სასულიერო მწერლობა **ენობრივად განირჩეოდა**: საეკლესიო ენისათვის გამოიყენებოდა სალიტერატურო ენის არქაული (ან უფრო პრესტიჟული) ვარიანტი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა საერო მწერლობაში გამოყენებული სტილისგან; ქართულ სინამდვილეში არამხოლოდ ენობრივად, არამედ ანბანის გამოყენებითაც სხვაობდა საეკლესიო და საერო მწერლობა: საეკლესიო ენისთვის გამოიყენებოდა ნუსხა-ხუცური, საერო მწერლობისთვის კი - მხედრული.

ბი: ნეკრესის, პალესტინის, ბოლნისის, დავათის ქვაჯვრისა და სხვა წარწერები; ასევე ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები.

ასომთავრულის გვიანდელი ვარიანტია ნუსხური, რომელიც მკვიდრდება IX საუკუნიდან და საეკლესიო ველში გაბატონებული ხდება X-XI საუკუნეებიდან. ნუსხური წერის პირველი ნიმუში დადასტურებულია “სინურ მრავალთავში“ (864 წ.), ეპიგრაფიკულ ძეგლებზე კი - ატენის სიონის წარწერაში (835 წ.).




ნუსხურში ასოები მცირე ზომისაა და თანაც კუთხოვანი, ამიტომ ამ სახეობას **კუთხურსაც** უწოდებენ. გარდა ამისა, ნუსხური იწერებოდა გაკრული ხელით. ანბანის ამ სახეობას სწორედ ამის მიხედვით დაერქვა ნუსხური (ტერმინი ნაწარმოებია სიტყვისაგან **ნუსხა**, რაც ძველად ნიშნავდა “დღესასწაულს“). საეკლესიო წიგნების წერისას ნუსხური უფრო პრაქტიკულია, ვინაიდან ესაჭიროება ნაკლები საწერი მასალა და დრო.

შდრ.: ტერმინი **“ასომთავრული“** გვხვდება X საუკუნიდან; ეს აიხსნება იმით, რომ ამ დროიდან საეკლესიო ტექსტში მრგლოვანი გამოიყენებოდა აბზაცების საწყის ასოებად, ნუსხური - ძირითად ტექსტში.

ქართული ანბანის **“მხედრული“** ვარიანტის უძველეს ნიმუშად ითვლება ატენის სიონის ერთი წარწერა, რომელიც თარიღდება X საუკუნით (982-986 წწ.).

XII საუკუნიდან თანაარსებობს ქართული დამწერლობის სამივე სახეობა. ასომთავრულსა და ნუსხურს ძირითადად სასულიერო ხასიათის თხზულებებში იყენებდნენ, მხედრულს კი, უპირატესად, საერო მწერლობის ნიმუშებში.

დღესაც იშვიათად გამოიყენება **მრგვლოვანი**: ეკლესიაში ძირითადად ისევ **ნუსხურად** დაწერილ ტექსტს კითხულობენ, ხოლო საერო ველში, ძირითადად, **მხედრული ანბანია** დამკვიდრებული.



ქართული ანბანის სამივე სახეობა და ანბანის რიცხვითი მნიშვნელობები ერთიანი სქემის სახით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ქართული ანბანი ქართული ანბანი ქართული ანბანი

მრგვლოვანი	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
ნუსხური	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ	ⴕ
მხედრული	ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
რიცხვი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მრგვლოვანი	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ
ნუსხური	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ	ⴕ
მხედრული	ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
რიცხვი	20	30	40	50	60	70	80	90	100	200
მრგვლოვანი	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ძ
ნუსხური	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ	ⴕ
მხედრული	ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
რიცხვი	300	400	---	500	600	700	800	900	1000	
მრგვლოვანი	კ	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ
ნუსხური	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ	ⴕ
მხედრული	ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
რიცხვი	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000	10000	

9. ქრისტიანობა, როგორც საქართველოს 16-საუკუნოვანი დასავლური ორიენტაცია. საქართველოს ეპარქიები

ქართველთა ეთნიკური მეობის გადარჩენის, ქართველი ერის თანამედროვე სახით ჩამოქმედებისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განუსაზღვრელია ქართულენოვანი მართლმადიდებლობითი სწავლების როლი.

9.1. სამი მოციქული საქართველოში; 16-საუკუნოვანი პროდასავლური არჩევანი

ქართული საკლესიო ტრადიციის მიხედვით, საქართველოში ქრისტეს მოძღვრება იქადაგეს მაცხოვრის მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ; შესაბამისად, საქართველოს ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა.

ქართული საეკლესიო ტრადიციული ცნობების უტყუარობას ადასტურებს როგორც ქართული, ისე უცხოური წერილობითი წყაროები. ჩვენამდე მოღწეული უცხოური წერილობითი წყაროებიდან უძველესია ორიგენეს (185-254) ცნობა, რომლის მიხედვითაც საქართველოში იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა.

საქართველოში წმინდა მოციქულთა მისიონერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა VIII საუკუნის წმინდა მამის, ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულება “ანდრიას ცხოვრება“, რომლის მიხედვითაც წმ. ანდრია მოციქულს სამეგრეო უმოგზაურია საქართველოში, კერძოდ, ეპიფანე კონსტანტინოპოლელის მიხედვით, წმ. ანდრია მოციქული პირველი მოგზაურობის დროს წამოსულა ქალაქ ამასიიდან და მისულა ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონში. აქედან იგი ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად გადასულა იბერიაში, შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ წარმართთა მოქცევის შემდეგ იგი ისევ იერუსალიმში დაბრუნებულა, სადაც სხვა მოციქულებთან ერთად მონაწილეობა მიუღია ქრისტეს აღდგომის დღესასწაულში.

ეპიფანეს გადმოცემით, მეორე მოგზაურობის დროს წმ. ანდრიამ “მოიწია ქალაქსა ტრაპიზონს“. მესამე მოგზაურობის დროს ანდრია პირველწოდებულს თან ხლებია ქრისტეს სხვა მოციქულები - სიმონ კანანელი და მატათა. მათ მოიარეს ქალაქები, იქადაგეს, სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიასა და ფაზისში“.

V საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე წმინდა მამის, თეოდორიტი კვირელის (393 - 457) “საეკლესიო ისტორიაზე“ დაყრდნობით ეფრემ მცირე აღნიშნავს, რომ ანდრია პირველწოდებულთან ერთად საქართველოში ქრისტიანობა უქადაგია მოციქულ ბართლომეს (ე. ბულბულაშვილი).

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში ანდრია მოციქულის ღვაწლი საგანგებოდაა აღნიშნული X საუკუნის დასასრულითა და XI საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ, ბიზანტიის იმპერატორის - ბასილი დიდის (970-1025) - სახელით ცნობილ თვენში; ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ანდრია მოციქული “წავიდა დიდ სებასტოპოლისში, სადაც ზღვას ერთვის მდინარეები ფსარე (ჭოროხი) და ფასიდი (რიონი)“.

ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ საუბარია ქართულ წყაროებშიც, მაგ., გიორგი მცირის “გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში”, 1104 წელს ჩატარებულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების “ძეგლისწერაში”, “ქართლის ცხოვრებაში”, XV საუკუნის საეკლესიო დოკუმენტში (1470-1474 წწ): “მცნებად სასჯულოდ¹²⁶ და სხვ.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება წილად ხვდა ღვთისმშობელს, რომელმაც საქართველოში **ანდრია პირველწოდებული** მოავლინა თავის ნაცვლად. ამავდროულად, ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში - ზემო აჭარაში - ააგო ერთ-ერთი პირველი ეკლესია; სწორედ ამ მოვლენით უნდა აიხსნას ზემო აჭარის პატარა სოფლისთვის “დიდის” წოდება: **დიდი აჭარა** (ვრცლად იხ. ქვემოთ).

უძველესი უცხოური და ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, საქართველოში ორი მოციქულია დაკრძალული - **სიმონ კანანელი** და **მატათა**.

საქართველოში დღემდე შემონახულია გადმოცემები ანდრია პირველწოდებულის შესახებ; მის სახელს უკავშირდება სოფლების სახელები სამცხესა და იმერხევში. წმინდა ანდრიას შესახებ გადმოცემები შემორჩენილია სამეგრელოშიც, რომლის მიხედვითაც მოციქულმა სასწაულებრივად მოკვება **დიდი მუნა** (ჰყონ დიდი) და გაანადგურა მუნასთან მდგომი კერპი; მან კერპის ადგილას აღმართა ჯვარი, მუნისგან კი ადგილობრივ ქართველებთან ერთად ეკლესია ააგო; გადმოცემის მიხედვით, მარტვილის ეკლესიის ტრაპეზი სწორედ იმ მუნის ძირზეა დადგმული.

ქრისტიანობა საქართველოში მოციქულების მიერ იქნა შემოტანილი, თუმცა სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნის დასაწყისში, საქართველოში **წმინდა ნინოს** ქადაგების შემდეგ გამოცხადდა; იმ დროს საქართველოში მძლავრობდა სპარსეთის გავლენა, მაგრამ ქართველმა ერმა მირიან მეფის წინამძღოლობით გააკეთა ისტორიული პროდასავლური არჩევანი; კერძოდ, I-IV საუკუნეებში საქართველოს ჰქონდა არჩევანი ორ კულტურას შორის - ირანულ ზოროასტრიზმსა და ევროპულ ქრისტიანობას შორის: საქართველომ ქრისტიანული დასავლეთი აირჩია¹²⁷.

¹²⁶ საეკლესიო სამართლის ამ დოკუმენტის შესახებ იხ.: ქართული სამართლის ძეგლები, VII, თბ., 1970; გ. ნადარეიშვილი, მცნებად სასჯულოდ (1470-1474 წწ.), ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005, გვ. 256-257.

¹²⁷ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ემთხვეოდა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს; კერძოდ, მოიცავდა ამჟამინდელი საქართველოს ტერიტორიას, საინგილოს, ლორე-ტაშირის მხარეს და ისტორიულ ტაო-კლარჯეთს. აქვე საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა **აღმოსავლეთ ჭანეთს - ზღვისპირა კლარჯეთს** (ტერიტორიას გონიო-სარფიდან რიზე-ოფის ზონის ჩათვლით), ანუ იმ ტერიტორიას, სადაც დღევანდლამდე შემონახული ქართველური მოსახლეობაც და მეტყველებაც - ლაზური ანუ ჭანური კილოები.

შდრ., ასევე: **მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის** მიერ ნათლად და დასაბუთებული, რომ კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში შედიოდა ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული **ლაზიკის ეპარქია** (მოიცავდა დანარჩენ ლაზეთს - ტერიტორიას ოფიდან - თერმიდინტამდე - მდინარე ფერმენჩაიმდე - სამსუნის მხარემდე).

პროდასავლური არჩევანის გამო ქართველი ერის, საქართველოს განადგურებას ცდილობდნენ: სპარსეთი (IV-VI სს.), არაბეთი (VII-IX სს.), თურქ-სელჩუკები (XI ს.), მონღოლები (XIII-XIV სს.), ირანი და ოსმალეთი (XVI-XVIII სს.), რუსეთი (XX-XXI სს.).

ქართველობამ ყველა ამ მომხდურს გაუძლო.

VII-XVII საუკუნეებში ქართველობისა და ქრისტიანობისათვის ბრძოლა სინონიმებად იქცა; ქართულ ენასთან ერთად ქრისტიანობა ქართველთა იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორად მოგვევლინა; მღრ.:

ტ. ჯვაროსნული ომების დროსაც დადგა საქართველო არჩევანის წინაშე; თავისი სარწმუნოების გამო საქართველომ მაშინაც ქრისტიანული დასავლეთის მხარე დაიჭირა და არა - აგრესიული თურქ-სელჩუკებისა; ამ პერიოდში საქართველოს თავისი ძლიერების **ოქროს ხანა** ჰქონდა.

ჟ. XVI-XVIII საუკუნეების კავკასიაში **ირან-ოსმალეთის** აგრესიამ (იხ., მაგ., 1555 წლის ამასიის ზავი) და მათმა მცდარმა სტრატეგიამ კავკასიაში მესამე გეოპოლიტიკური მოთამაშე - **რუსეთი** - შემოიყვანა: ირანისა და ოსმალეთის მცდელობამ, გაენადგურებინათ ქართული სამეფოები, ასევე, საქართველოსადმი ქრისტიანული დასავლეთის გულგრილობამ (იხ., მაგ., სულხან-საბას იმედგაცრუება), ქართველები აიძულა, სტრატეგიული პარტნიორი ქრისტიანულ ჩრდილოეთშიც ეძებნათ:

მუსლიმანურ ქვეყნებთან განუწყვეტელ ომში გადაღლილ და მოხუცებულ ერეკლე მეორეს /ქართლ-კახეთის მეფეს/ ეგონა, რომ ქრისტიანული (მართლმადიდებლური) რუსეთი, როგორც დასავლური კულტურის ნაწილი, საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას გააუწყვდა. ერეკლე მეორემ 1783 წელს რუსეთთან სამეგობრო ხელშეკრულებაც გააფორმა, მაგრამ ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, 1801-1811 წლებში, რუსეთმა დაარღვია იგი და:

- საქართველოში მოსპო მეფობა;
- განადგურა ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი სამეფო დინასტია;
- გააუქმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია;
- იარაღის ძალით დაიმორჩილა სხვა ქართული სამეფო-სამთავროებიც.

ოსმალეთის მიერ ბიზანტიის, ხოლო რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიების განადგურების შემდგომ მართლმადიდებლური სამყაროს სულიერი მემკვიდრეობა ფორმალურად საკუთარ თავზე აიღო რუსეთის სახელმწიფომ, რომელიც, შეეცადა, კათოლიკობასთან მკვეთრი გამიჯვნივით მართლმადიდებლური რელიგია **რუსეთის ევრაზიული იმპერიის** იარაღად ექცია¹²⁸, თუმცა ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ რუსული იმპერიული იდეოლოგიის საფუძვლად იქცა **უტოპიური კომუნიზმი**.

1917 წლის 25 მარტს ავტოკეფალიის აღდგენისთანავე საქართველოს ეკლესია შეეცადა რუსული ეკლესიის გავლენის ველიდან გამოსვლას და მაშინვე დაიწყო დასავლეთთან ისტორიული კავშირის აღდგენა¹²⁹.

¹²⁸ ამ მხრივ იდეოლოგიურ ბაზას საბჭოთა რევოლუციის შემდეგაც კი ამყარებდა ცნობილი ენათმეცნიერი ნ. ტრუბეცკოი.

¹²⁹ იხ. კირიონ II, წერილები, სტატიები (გამოსაც. მოამზადა ნატო ბუკიამ); თბ., 2006.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვის შეთანხმებით თურქეთმა და რუსეთმა საქართველოს მთავრობის ზურგსუკან შუაზე გაიყვეს საქართველოს ტერიტორია; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაცა და საქართველოს ეკლესიაც დიდხანს და ამაოდ ითხოვდა დასავლეთის მხარდაჭერას, ამ უკანონო აქტზე რეაგირებასა და საქართველოს დეოკუპაციას... აქ დავიმოწმებ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით “გენუის კონფერენციისადმი”¹³⁰ გაგზავნილ წერილს, რომელსაც ხელს აწერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ამბროსი ხელაია**:

“ჯერ კიდევ წინაქრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართულ მოდგმის ტომებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და აქტუალური ნიჭით მდიდარი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა...”

...მცირე ერთა მჩაგვრელმა რუსეთმა დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაკლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ ვანუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში... ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არ აქვს ხმის ამოღებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემძლია არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას...

ამიტომ ვითხოვ (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.): დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან...”

სამწუხაროდ, **მაშინდელი ევროპის სახელმწიფოები ვერ აღმოჩნდნენ თანამედევრულნი** დემოკრატიული ღირებულებების დაცვის თვალსაზრისით და რუსეთთან გააფორმეს ხელშეკრულებები ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

დღესაც არის მცდელობა, აღდგეს საბჭოთა პერიოდის რუსული იმპერია; ბოლშევიკური იმპერიისგან განსხვავებით, რუსეთის ამჟამინდელი იმპერიის მესვეურნი ცდილობენ, თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ მართლმადიდებლური ეკლესიაც; ამის გამო ცივილიზებული დასავლეთის გარკვეულ წრეებს უნდობლობა აქვთ საქართველოს ეკლესიის მიმართაც... ასეთი **მცდარი მიდგომის** საპასუხოდ 2014 წლის 5 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, **უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ** ევროკომისარ **შტეფან ფულესთან** საუბარში განაცხადა:

¹³⁰ 1922 წლის 10 აპრილი -19 მაისი.



“ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ იმით, რომ საქართველო, რომელმაც გამოიარა მძიმე პერიოდი კომუნისტური რეჟიმის, დღეს მიემართება ევროპის სტრუქტურებში. ევროკავშირი არის ის ორგანიზაცია, რომელსაც კარგად იცნობს ქართველი ხალხი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო გახდეს სრულუფლებიანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციის... მე მინდა ვთქვა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არასწორი ინფორმაცია გავრცელებული, თითქოს საქართველოს ეკლესია აბრკოლებს ამ პროცესს. **მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს...**”

ფაქტია:

თავისი ისტორიის მანძილზეც და დღესაც საქართველოს სამოციქულო ეკლესია არის საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისათვის მებრძოლი. ქართული კულტურა ევროპული კულტურის ნაწილია; ქართულენოვანი ქრისტიანობა ქართველობისთვის არის, ერთი მხრივ, **პროდასავლური ისტორიული არჩევანი**, მეორე მხრივ კი - **ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის განმსაზღვრელი 16-საუკუნოვანი ფენომენი**¹³¹; შესაბამისად, წესით, საქართველოს ყველა მეგობარი ქვეყანა პატივს უნდა სცემდეს ქართველი ერის ისტორიულ არჩევანსა და ტრადიციულ ფასეულობას (მღრ., იმპერიულმა რუსეთმა გაანადგურა ქართული ეკლესია 1811 წელს).

¹³¹ ქრისტიანული რელიგიური წიგნების ქართულად გადმოღებამ თავის დროზე განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის სიძლიერე; ქართულენოვანი ქრისტიანობა მომავალშიც გააძლიერებს ქართველი ერის **ეროვნულ იმუნიტეტს** (ტ. ფუტყარაძე, 2013, გვ. 45-73).

9.2. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპარქიები

საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნის დასაწყისში. 466-468 წწ. წმინდა მეფე **ვახტანგ გორგასალის** უშუალო ღვაწლით შემოღებულ იქნა ქართლის (საქართველოს) საკათოლიკოსო¹³².



VI საუკუნეში ქართლში მოქმედებდა 33-ზე მეტი საეპისკოპოსო. XI-XII საუკუნეებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უკვე ექვემდებარებოდა დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსო (თავისი საეპისკოპოსოებით), აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები (სულ 40 საეპისკოპოსო) და ქალკედონელ მართლმადიდებელ სომხურ თემთა საეპისკოპოსოები, რომელთაც სათავეში ედგათ მიტროპოლიტი.

XVI საუკუნიდან, უცხოელი დამპყრობლების განუწყვეტელი შემოსევების გამო, თანდათან სუსტდება საქართველოს ეკლესია. ყველაზე მძიმე პერიოდში, კომუნისტური მმართველობის პერიოდში კი იწყებს ხელახალ აღორძინებას.

სახელმწიფოთა საზღვრებზე უფრო მყარია საეკლესიო საზღვრები; დღეს საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია თითქმის ისტორიული საქართველოს საზღვრებს მოიცავს. თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით საქართველოს ეკლესიის ეპარქიები შექმნილია ქართველი მიგრანტებით დასახლებულ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებშიც.

¹³² საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მრავალწლიანი ძალისხმევით ამჟამად (2013 წ.) საქართველოს სამოციქულო ეკლესია მოიცავს შემდეგ ეპარქიებს:


- | | |
|---|-----------------------------------|
| 1. მცხეთა-თბილისის ეპარქია | 23. მარტყოფისა და გარდაბნის |
| 2. აგარაკ-წალკის ეპარქია | 24. მესტიისა და ზემო სვანეთის |
| 3. ალავერდის ეპარქია | 25. ნეკრესის ეპარქია |
| 4. ავსტრალიის ეპარქია | 26. ნიკორწმინდის ეპარქია |
| 5. ახალქალაქისა და კუმურდოს | 27. ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია |
| 6. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის | 28. რუსთავის ეპარქია |
| 7. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია | 29. საგარეჯოსა და ნინოწმინდის |
| 8. ბოდბის ეპარქია | 30. სამთავისისა და კასპის ეპარქია |
| 9. ბოლნისის ეპარქია | 31. გორის ეპარქია |
| 10. ბორჯომისა და ბაკურიანის | 32. სამხრეთ ამერიკის ეპარქია |
| 11. გორისა და ატენის ეპარქია | 33. სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია |
| 12. გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია | 34. სურამისა და ხაშურის ეპარქია |
| 13. დასავლეთ ევროპის ეპარქია | 35. სტეფანწმინდისა და ხევის |
| 14. დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია | 36. სხალთის ეპარქია |
| 15. დედოფლისწყაროსა და ჰერეთის | 37. ტყიბულისა და თერჯოლის |
| 16. დმანისის ეპარქია | 38. ფოთისა და ხობის ეპარქია |
| 17. ვანისა და ბაღდათის ეპარქია | 39. ქუთაისისა და გაენათის ეპარქია |
| 18. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია | 40. შემოქმედის ეპარქია |
| 19. თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის | 41. ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის |
| 20. მანგლისისა და თეთრიწყაროს | 42. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია |
| 21. მარგვეთისა და უბისის ეპარქია | 43. ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის |
| 22. მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია | 44. წილკნისა და დუშეთის ეპარქია |
| | 45. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია |
| | 46. ჭყონდიდის ეპარქია |
| | 47. ხონისა და სამტრედიის ეპარქია. |

ქვემოთ წარმოვადგენთ ეპარქიების რუკას¹³³, რომელშიც ასახული არ არის მხოლოდ ბოლო პერიოდში შექმნილი ეპარქია; კერძოდ, 2013 წელს წმინდა სინოდმა მცხეთა-თბილისის ეპარქიისგან გამოყო **მარტყოფისა და გარდაბნის ეპარქია**; მანგლისისა და წალკის ეპარქიისგან - **აგარაკ-წალკის ეპარქია**; ურბნისისა და რუისის ეპარქიისგან - **სურამისა და ხაშურის ეპარქია**; სამთავისისა და გორის ეპარქიისგან - **სამთავისისა და კასპის ეპარქია**; რუსთავისა და მარნეულის ეპარქიისგან კი - **მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია**:

¹³³ ვიზუალურად საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდიდან (2014 წლის 25 მარტი).

**საქართველოს სასოციალური
აბტოკეფალური მართლმადიდებელი
ეკლესიის ეპარქიების რუკა**

- | | | | | | |
|----|-------------------------------|----|--------------------------------|----|-------------------------------|
| 1 | მეფის ახალციხის ეპარქია | 14 | სეჩინის და ცხენეთის ეპარქია | 27 | ბოჭორის ეპარქია |
| 2 | მთიანეთის ეპარქია | 15 | ბორჯომის და ბაზრის ეპარქია | 28 | სურამის და ლესის ეპარქია |
| 3 | ტაბატაბაშის ეპარქია | 16 | ბორჯომის ეპარქია | 29 | თბილისის და მუხრანის ეპარქია |
| 4 | მთიანეთის და სანჯიხის ეპარქია | 17 | ბორჯომის ეპარქია | 30 | მეგრეთის და ზესის ეპარქია |
| 5 | მცხეთის და დარეჯანის ეპარქია | 18 | ახალციხის და აჭურის ეპარქია | 31 | აჭურის და აფხაზეთის ეპარქია |
| 6 | აფხაზეთის და ვარციხის ეპარქია | 19 | აფხაზეთის და ახალციხის ეპარქია | 32 | სეფრის და ნორქის ეპარქია |
| 7 | აფხაზეთის და უბისის ეპარქია | 20 | ბორჯომის და სანჯიხის ეპარქია | 33 | ბორჯომის და აფხაზეთის ეპარქია |
| 8 | სეჩინის და მუხრანის ეპარქია | 21 | ბორჯომის და მუხრანის ეპარქია | 34 | საფხავის ეპარქია |
| 9 | აფხაზეთის და ბაქალის ეპარქია | 22 | ბორჯომის და ბაქალის ეპარქია | 35 | ბორჯომის ეპარქია |
| 10 | ბორჯომის და მუხრანის ეპარქია | 23 | ბორჯომის და ცხენეთის ეპარქია | 36 | ბორჯომის და მცხეთის ეპარქია |
| 11 | აფხაზეთის ეპარქია | 24 | ბორჯომის და ცხენეთის ეპარქია | 37 | მთიანეთის და აჭურის ეპარქია |
| 12 | სეჩინის ეპარქია | 25 | ბორჯომის ეპარქია | | |
| 13 | მთიანეთის ეპარქია | 26 | სეჩინის და მთიანეთის ეპარქია | | |



9.3. განალხურებული ქრისტიანობა საქართველოს მთიანეთში

საქართველოს მთიანეთში ბოლო პერიოდამდე არსებული რწმენა-წარმოდგენები ზოგ მეცნიერს ქრისტიანობამდელი რელიგიის **სუბსტრატად** (ძველ ფენად) მიაჩნია. ვფიქრობთ, უფრო არგუმენტირებულია იმ მეცნიერთა მსჯელობანი, რომელთა აზრითაც სვანეთსა თუ თუშ-ფშავ-ხევსურეთში გვაქვს განალხურებული ქრისტიანული წეს-ჩვეულებები¹³⁴. წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ავტორის თვალსაზრისი ასე ჩამოყალიბდება:

საქართველოს მთაში შედარებით გვიან დამკვიდრდა ქრისტიანობა, თუმცა, ფაქტია, რომ XIII საუკუნეში საქართველოს მთა არის მნიშვნელოვანი კულტურული ბაზა ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გასავრცელებლად.

მონღოლთა აგრესიისა და, განსაკუთრებით, ირან-ოსმალეთის მიერ საქართველოს დანაწევრების შემდეგ (1555 წ.) **ბარში დასუსტდა სამონასტრო მოღვაწეობა**; ბარიდან მთაში ველარ მიდიოდნენ ეკლესიის წიაღში აღზრდილი მღვდელმსახურები; მათ ნაცვლად რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მთაში რიტუალებს აღასრულებდნენ ადგილობრივი რჩეული კაცები: დასტურები (თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ხევსა და მთიულეთ-გუდამაყარში), სტაროსტები (სვანეთში)¹³⁵. მათ მიერ განალხურდა ქრისტიანული კანონიკური ლოცვების ტექსტები, გამარტივდა რიტუალები; ამ პერიოდში **სუბერსტრატულ ფენად** (ზედფენად) გაჩნდა ახალი ლოკალური სალოცავებიც და მფარველი სულებიც¹³⁶. გარდა ამისა, საქართველოს მთიანეთში ფართოდ გავრცელებული საღვთისმეტყველო ეპითეტები (საკრალური ტერმინოლოგია) ზოგი მკვლევარის მიერ არასწორად იქნა გააზრებული; ამან შექმნა შთაბეჭდილება, რომ ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენები არაქრისტიანულია, ძველი რელიგიის გადმონაშთია.

სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილი რიტუალური თუ საღვთისმსახურებო ტექსტების ანალიზი საფუძველს იძლევა, საქართველოს მთიანეთის “პანთეონი” ქრისტიანულ მოდელად გავიაზროთ; კერძოდ, შდრ.::

¹³⁴ იხ., მაგ: ტ. მახაური: “გაწარმართების” ტენდენცია მთიელთა რელიგიურ რიტუალებსა და ზეპირსიტყვიერებაში გამოიწვია საქართველოს ეკლესიის გავლენის შესუსტებამ მთაში, საეკლესიო ღვთისმსახურების მოშლამ და ე.წ. “ხუცეს-ხევსიბერთა” ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ”.

¹³⁵ ამ სახელთა უცხოური წარმომავლობაც ცხადყოფს, რომ ეს “ინსტიტუტები” ირანისა და რუსეთის ბატონობის პერიოდშია დამკვიდრებული ბოლო საუკუნეების განმავლობაში.

¹³⁶ ეს მოხდა საქართველოს ისტორიის ბნელ პერიოდში - XVI-XVII საუკუნეებში; ამ დროს მთაში შესუსტდა ერთიანი ეკლესიის როლი და ხალხის ცნობიერებაში იშვინენ ადგილობრივი მფარველი სულები; ამავე დროს უნდა იყოს დამკვიდრებული ისეთი არაქრისტიანული ყოფითი ელემენტებიც, როგორცაა, მაგ., **სწორ-ფრობა/წაწლობა**.

დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (სვანური) მონაცემები. მამა ღმერთი - უზენაესი - არის **ხოშაღერბეთი** (ღიდი ღმერთი), წმინდა გიორგი - **ჯგირაგი**; მთავარანგელოზი - **თარინგელი**, ღვთისმშობელი მარიამი კი მარია (ლა-მარია - სა-მარიამ-ო)¹³⁷.

აქვე აღვნიშნავ, რომ “ლამარია“ არ არის ქალღვთაების საკუთარი სახელი (როგორც ამას ფიქრობდა ვ. ბარდაველიძე), ან დალის მსახური რიტუალური ქალის აღმნიშვნელი ტერმინი თუ საკუთარი სახელი (როგორც ფიქრობს ნ. წერედიანი); **ლამარია** ლა- პრეფიქსით¹³⁸ ნაწარმოები ზედსართავი სახელია და ნიშნავს **ღვთისმშობელი მარიამისთვის განკუთვნილს**: ლა-მარია - სა-მარიამ-ო (შდრ.: ლა-ბარგ - სა-ბარგ-ო; ლა-მთილ - სა-მამთილ-ო); შესაბამისად, “ლამარია წეს“ არ ნიშნავს ლამარიას ანუ ქალის წესს (ნ. წერედიანის მოსაზრებაა)¹³⁹; “ლამარია წეს“ არის **სამარიამო წესი - ღვთისმშობლისადმი განკუთვნილი წესი**¹⁴⁰.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მონაცემები. პროფესორი ვერა ბარდაველიძე ჯერ კიდევ სამოცდათხუთმეტი წლის წინ აღნიშნავდა:

“ხევსურულ **კურთხევათა** ტექსტებს აშკარად ატყვია ქრისტიანული რელიგიის ბეჭედი. ისინი უნდა წარმოადგენდნენ დროთა ვითარების გამო ხევსურეთში ზეპირგადმოცემით შერყვნილ ქრისტიანულ ტექსტებს. მათთვის სათანადო დედნის მიკვლევა თუმცაღა ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის“ (ბარდაველიძე 1938). ამ თვალსაზრისს ავითარებდა აკადემიკოსი აკაკი შანიძეც; მან გასული საუკუნის დასაწყისში ჩაიწერა ხევსურული “კურთხებას“ ტექსტი, რომლის შესახებაც 1984 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ:

“კურთხებაში ასახულია ქრისტიანული ეკლესიის ლოცვები... “მამაო ჩვენო“ თითქმის ლექსად არის წარმოდგენილი. “კურთხებაში“ სიტყვები ისეა დამახინჯებული, რომ ზოგჯერ ძნელია ამოცნობა იმისა, თუ საიდან არის ამოღებული“.

¹³⁷ ზედსართავი სახელი: “ლამარია“ (სა-მარიამ-ო) ბოლო პერიოდში გაარსებულია და გადააზრიანდა “წმინდა მარიამის“ სინონიმად

¹³⁸ ლა- პრეფიქსი იგივე ფუნქციისაა რაც სა---ო კონფიქსი.

¹³⁹ შდრ. ნინო წერედიანი, 2006: წინარექრისტიან ქართველთა მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი პანთეონი: ერთი უზენაესი - ღმერთი, დალი - მისი მეწყვილე ქალი (დალის ფორმაშეცვლილი არსი - მთარინგზელი), ჯგრაგი, **ლამარია - მათი მსახური**.

¹⁴⁰ აქვე აღვნიშნავ: **ლამარია გუიზი** უნდა გავიგოთ როგორც სამარიამო გუიზი (ღვთისმშობლობის დღესასწაულისათვის შენახული ფქვილი, ზოგადად, **სადღესასწაულო ფქვილი**) და არა, როგორც ლამარიას (როგორც უფლის მსახური ქალის) გუიზი. სვანური რწმენა-წარმოდგენების გაბუნდოვნებასა და გამითიურებას განაპირობებს, აგრეთვე, სხვა ტერმინთა არასწორი ეტიმოლოგია-განმარტება; მაგ., ლიმზგო/ლიმზგო (*ლი-მზერ; “მზერა“) - “ლოცვა“ ზმნისგან ნაწარმოები მიმღობაა: “მემზირ“; იგი მლოცველად უნდა გავიანზროთ და არა - შემწირველად; ასევე, ლემზირი - ლოცვისთვის განკუთვნილი (სადღესასწაულო) კვერი, სეფისკვერი და სხვ.

ხევსურული ხუცობის ორი დანარჩენი კომპონენტი - "მოხსენება" და "პირისქარი" ასევე ქრისტიანული წარმომავლობისა და საეკლესიო ლოცვების გახალხურებულ ვარიანტებს წარმოადგენს (ტ. მახაური).

არსებითაა ისიც, რომ ფშავისა და ხევსურეთის დღეობათა რიგი ქრისტიანულ საეკლესიო კალენდარზეა გაწყობილი, ხოლო დიდი ღმერთის (მორიგე) შემდგომ დასახელებული ღვთაების სახელი "კვირია", **ა. ლეკიაშვილის აზრით**, მომდინარეობს ქრისტე-ღმერთის (მაცხოვრის) ბერძნული სახელწოდებიდან: **კვირიოს** "უფალი".

ლოგიკური ჩანს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, თუშეთსა და ხევში არსებული ე.წ. ნახორცივლარი ღვთაებების სახელები (კოპალა, იახსარი, წყაროსთაველი, პირქუში, ხმალა, პირიმზე, თერგვაული, ბერი ბაადური...) **წმინდა გიორგის ეპითეტებია**¹⁴¹; შესაბამისად, წმინდა გიორგიმ გაანადგურა დევ-კერპნი (დევ-კერპნი - წარმართობის დროის ადგილობრივი ღვთაებების (კერპების) ზოგადი სახელი).

საინტერესო და საკვლევია უშუალოდ წმინდა გიორგის ხევსურული სახელების ისტორიაც: ვერა ბარდაველიძის¹⁴² მასალა დავაზუსტეთ ეთნოგრაფთან და მხატვართან, შოთა არაბულთან¹⁴³:

- გიორგი ნაღვრმშვენიერი (ნაღვრისპირისა) - ხახმატში (ხახმატის ჯვარი ანუ გიორგი ნაღვრის პირისა, რჯულისან-ურჯულოს სალოცავი),
- სომხოს წმინდა გიორგი (არდოტში),
- გიორგი ბეკენ-გორისა (მატილი),
- გიორგი ნაჯემ-მაბურთალი (გუროში),
- გიორგი წყაროს-გორისა (ხახაბო)...

ამას გარდა, ხახმატში კიდევ არის გიორგი ბოსლოვანისა; სოფელ ჩირდილში - წმინდა გიორგი სამკიბლისა (სამკიბლური), ქმოსტის თეთრი გიორგი მინდვრის ჯვარი, ბლოს წმინდა გიორგი ბერძნულსა დაარსული (დაარსებული), რომის წმინდა გიორგი და ოჯერჯევის წმინდა გიორგი...

ვფიქრობ, თემა: "წმინდა გიორგი ხევსურეთში" სწორედ ის "გასაღებია", რომელიც გვარწმუნებს, რომ ჩვენთვის ცნობილი ხევსურული "რწმენა-წარმოდგენები"¹⁴⁴ ქრისტიანულ საფუძველზეა განვითარებული და არა - წარმართულზე.

მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიამ საქართველოს მთიანეთის ქართველობა უფრო დააშორა დედა ეკლესიას:

¹⁴¹ "ნახორცივლარი ღვთაება" - ადამიანად დაბადებული, რომელსაც ღვთიური ძალა მიეცა. ლოგიკურია, ქრისტიანობის გახალხურებულ სახესხვაობაში წარმოდგენილი ეპითეტით მოხსენებინათ: მოციქულები, წმინდა გიორგი, წმინდა ნინო და სხვა წმინდანები.

¹⁴² "აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები" (1982).

¹⁴³ აქვე ჩართული ნახატი: "გუდანის წმინდა გიორგი" ანუ "გუდანის ჯვრის დაარსება" შესრულებულია შოთა არაბულის მიერ.

¹⁴⁴ ანდრეზები მორიგე ღმერთის, ღვთისმვილების... შესახებ.

რუსეთის იმპერიამ დააარსა “ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“, რომლის ფორმატით მთაში **ბლალოჩინები** (“კეთილმოწყვეები“) გაგზავნეს; **რუსი მოხელეების ბარბაროსობამ** მთის მოსახლეობას ეკლესიისადმი უნდობლობა ჩამოუყალიბა; სამაგალითოდ წარმოვადგენთ ხევსურულ მასალას¹⁴⁵:

“ბლალოჩინები აგრესიულნი იყვნენ ხევსურების მიმართ. უშლიდნენ ხევსურული რიტუალების ჩატარებას და, რაც მთავარია, მათ და ბარიდან ამოსულ სხვა მოხელეებს ხევსურეთიდან გაჰქონდათ ჩვენს სალოცავებში დაცული ძვირფასი ხატები, საკრალური თასები, მეფეების მიერ შემოწირული განძი... მღვდლებსა და მოხელეებს მოჰყვნიდნენ რუსი მკვლევარები; ისინი მოდიოდნენ პოლიციელებისა თუ ჟანდარმების თანხლებით; თუ რაიმე ღირებული იყო, მათაც გაჰქონდათ ხევსურეთიდან... ასე ნადგურდებოდა ხევსურეთის რელიქვიები და ასე ყალიბდებოდა უნდობლობა არამხოლოდ ეკლესიის, არამედ, ზოგადად, ბარის მიმართ“.



¹⁴⁵ მასალა მოგვაწოდა შოთა არაბულმა.

10. ქრისტიანული ქართული კულტურის ცენტრები და ხელოვნების ნიმუშები; ძველი ქართველი სასულიერო მოღვაწენი

ქრისტიანობამდელი ტრადიციის ინერციით, ქრისტიანული ეპოქის პირველ საუკუნეებში ქართული მწიგნობრული საქმიანობის ცენტრი იყო სამეფო კარი. VI-VII საუკუნეებიდან, როცა შესამჩნევად განმტკიცდა **სამონასტრო ცხოვრება**, საგანმანათლებლო და კულტურული ტერატურულ ცენტრებად იქცა **ეკლესია-მონასტრები**; კერძოდ, ქრისტიანობამ - ამ უაღრესად მწიგნობრულმა რელიგიამ - საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანულ მწერლობას. ქრისტიანობის დროინდელი ქართული ხელოვნების ნიმუშებიც ძირითადად საეკლესიო ხასიათისაა.

10.1. ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრები¹⁴⁶

ისტორიული წყაროების მიხედვით, ძველ საქართველოში მონასტრები, როგორც **რელიგიურ-კულტურული კერები**, პირველად დაუარსებიათ **კაპადოკიელ მამებს**. მათი მოღვაწეობის პერიოდად ვარაუდობენ VI საუკუნეს. მომდევნო ხანაში კიდევ უფრო მრავლდებოდა ეკლესია-მონასტრებისა და მათთან პრაქტიკული მიზნით გახსნილი სკოლების რიცხვი. აქ ხდებოდა ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება... ასწავლიდნენ საღმრთო წერილს, გალობებს, ფილოსოფიას, უცხო ენებს.

საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის ახალი ეტაპი იწყება IX საუკუნიდან, როცა ქართველებმა, ერთი მხრივ, გაიცნეს ბიზანტიური სკოლა და, მეორე მხრივ, ახლო ურთიერთობა დაამყარეს უცხოეთში არსებულ ქართულ სამონასტრო კერებთან.

ამ პერიოდში საქართველოს კულტურულ კერებს შორის უპირველესი იყო **ტაო-კლარჯეთის ცენტრები**. ტაო-კლარჯეთი ძველთაგანვე დასახლებული ყოფილა ქართველებით: ჭანებით, მეგრელებით, ტაოელებით, მაჭახლელებით, აჭარლებით, ლივანელებით, შავშელებით... VI-VII საუკუნეებში აქ აუშენებიათ ქრისტიანული სალოცავები, რომლებიც VIII საუკუნის I ნახევარში მურვან ყრუმ გაანადგურა; ამ უბედურებას მალე დაემატა ჟამიანობა (ხოლერა)... მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა ეს მშვენიერი მხარე, განადგურდა აქაური ეკლესია-მონასტრებიც.

VIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთს კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლე; მალევე განახლდა **ობიზის** იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი, რომელიც მოკლე დროში იქცა ამ კუთხის სამონასტრო ცხოვრებისა და ქართული მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად.

¹⁴⁶ პარაგრაფის მომზადებისას გამოყენებულია 2006 წელს გამოცემული ქართული ენის ისტორიის (პროფ. ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით) შესაბამისი მონაკვეთი.

ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებისა და ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობა უცილობლად დაკავშირებულია **გრიგოლ ხანძთელის** სახელთან. გრიგოლ ხანძთელის ხელმძღვანელობით თითქმის სულიერ უდაბნოდ ქცეული ტაო-კლარჯეთი დაიფარა ეკლესიებით. გრიგოლმა აქ ააგო მამათა სამი და დედათა ორი მონასტერი. ამათგან მწერლობის ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო **შატბერდი**, სადაც შეიქმნა ჰადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები, შატბერდის კრებული და ა.შ. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა **ხანძთის, იშნის, ოშკის, ხახულის, ბერთისა და პარხლის** მონასტრებსაც.

ტაო-კლარჯეთის მონასტრები გადაიქცა ქართული მწერლობის აკვნად. მათ დიდი როლი შეასრულეს ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში. აქაა შექმნილი უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რომელიც მოგვეპოვება IX-X საუკუნეებიდან. აქვე ჩამოყალიბდა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა, სადაც ქართველთა შემოქმედებითი ენერჯია ისე გაიზარდა, რომ გასცდა საქართველოს ფარგლებს და **გაგრძელდა საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო და სალიტერატურო წრეებში.**

XI-XII საუკუნეების საქართველოში ტრადიციად იქცა ნიჭიერი ყმაწვილების გაგზავნა საბერძნეთის სკოლებში სწავლა-განათლების მისაღებად. სწორედ ასეთი გზით მოხვდნენ უცხოეთში და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ: **ეფრემ მცირე, ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი** და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოეთში განათლებამიღებული ქართველები იქვე აარსებდნენ სემინარიებს, სასწავლებლებსა და შემდგომ საკუთარი სკოლის ტრადიციები გადმოჰქონდათ სამშობლოში. ამ ასპექტით განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშაობა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ცნობილია, რომ დავითმა **გელათის მონასტრის** დიდი ეკლესიის აშენების შემდეგ (1106 წ.) შემოიკრიბა სწავლული ქართველები, აქვე დააარსა **გელათის აკადემია**, რათა გელათი ქცეულიყო **მეორე ათინად თუ მეორე იერუსალიმად**. მართლაც, გელათის აკადემიამ მაშინდელ მსოფლიოში მალე გაითქვა სახელი და მოგვევლინა “სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა”.

XI-XII საუკუნეებში, როცა საქართველომ თავისი პოლიტიკურ-კულტურული განვითარების მწვერვალს მიაღწია, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სკოლები - აკადემიები შეიქმნა **გრემსა და იყალთოში.**

საქართველოში არსებული სწავლა-განათლების კერები ხელს უწყობდა ქართული მწერლობისა და ფილოლოგიური აზროვნების განვითარებას, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, უცხო ენებიდან ითარგმნებოდა მდიდარი ლიტერატურა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა უკვდავი “ვეფხისტყაოსანი”.

XIII საუკუნიდან საქართველო პოლიტიკურად იწყებს დასუსტებას, დაქვეითებას. შესაბამისად, თანდათან განდგურდა კულტურული მონაპოვარი, შეფერხდა სკოლების საქმიანობა, ზოგან კი მთლიანად შეწყდა... მაგრამ აღორძინების ხანიდან (XVII ს.) ჩვენში კვლავ გამოცოცხლდა კულტურა, ლიტერატურა, მწერლობა. განსაკუთრებით გამრავლდა ელემენტარული, პირველდაწყებითი სკოლების რიცხვი

თბილისში. გაჩნდა საშუალო სასწავლებლებიც. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ **თბილისის სემინარია**, რომელიც გაიხსნა 1755 წელს ანტონ კათალიკოსის ინიციატივით (სემინარიის პირველ რექტორად დანიშნეს **ფილიპე ყაითმაზაშვილი**) და **თელავის სემინარია** (გაიხსნა 1782 წელს).

XVIII საუკუნეში საქართველოში სასკოლო-საგანმანათლებლო საქმე წარმატებით ხორციელდებოდა, მაგრამ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ ქვეყნის განვითარება შეაფერხა.

აქვე მოკლედ წარმოვადგენთ ზოგი ძველი ეკლესია-მონასტრის ისტორიას¹⁴⁷.

პირველი ქრისტიანული სალოცავი.

“ქართლის ცხოვრებისა“ და საქართველოს ეკლესიის ტრადიციული შეხედულების მიხედვით საქართველოში **პირველი ეკლესია აიგო ზემო აჭარაში**, სოფელ დიდაჭარაში¹⁴⁸. ეს მოხდა დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის 38 წელს. ამ ცნობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა ჯერ არ გამოვლენილა და შეიძლება არც გამოვლინდეს, რამდენადაც შერეული ფოთლოვანი ტყეებითა და ნაძვნარით ცნობილ ამ მხარეში ქრისტიანული სამლოცველო თუკი აიგებოდა, აიგებოდა ხის მასალისგან. ვფიქრობ, ქართული წყაროების ცნობებს გაამყარებს სოფლის სახელწოდების ისტორია; კერძოდ:

როგორც წესი, იქ, სადაც არსებობს ტოპონიმი, რომლის ზედსართავი სახელია “დიდი“, იქვე არსებობს იმავე ფუძის ტოპონიმი, რომელსაც განსაზღვრავს სიტყვა “პატარა“; მაგ., დიდი ჯიხაიში - პატარა ჯიხაიში; დიდი ცემი - პატარა ცემი და სხვ. **დიდაჭარა** ზემო აჭარის ერთ-ერთი პატარა სოფელია, რომლის გვერდით არ არსებობს “პატარა აჭარა“.

სოფლის სახელად “აჭარა“ გვაქვს აჭარაშიც, იმერეთშიც... შესაბამისად, ვფიქრობთ, სახელწოდება “დიდაჭარა“ რომელიც პირველად “ქართლის ცხოვრების“ უძველეს ვარიანტებში დასტურდება, შეიძლება ასახავდეს ძველი მემბტიანის განწყობას, გამოარჩიოს, დიდი უწოდოს **სოფელს, სადაც მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სამლოცველო აიგო და დაფუძნდა საქართველოს ეკლესია**. დროთა განმავლობაში მწიგნობართა მიერ “გამშვენიერებული“ სახელი (დიდი აჭარა > დიდაჭარა) დამკვიდრდა ხალხშიც.

საქართველოს ბევრ მხარეშია შემორჩენილი ადრექრისტიანული ხანის ეკლესიები: ციხისძირში, მარტვილში, ატენში, ბიჭვინთაში, ნოქალაქევში,

¹⁴⁷ საქართველოს ეკლესია-მონასტრების შესახებ ვრცელი მასალა იხ.:

<http://www.orthodoxy.ge/eklesiebi.htm>; <http://kartulisticmindeebi.blogspot.com>.

¹⁴⁸ “მოციქულმა შეკრიბა იმ კუთხის (აჭარის - ტ.ფ.) მკვიდრნი, ნათელ სცა და მღვდელნი და დიაკონნი დაუდგინა. დიდაჭარლებმა წმინდა ანდრიას კურთხევით ეკლესიაც ააშენეს ღვთისმშობლის სახელზე. დადგა განშორების დრო. არ ეთმობოდა მრევლს მოძღვარი, დარჩენას ევედრებოდა. ბოლოს სთხოვეს, სასოდ და მცველად ღვთისმშობლის ხატი მანც დაგვიტოვეო. წმინდა მოციქულმა აიღო იმავე ზომის ფიცარი, მიადო წმინდა ხატს და დედა ღვთისას სახე მეყსეულად გამოისახა მასზე. ხატი დიდი პატივით დაასვენეს ეკლესიაში, ხლოო წმინდა ანდრიას დიდი სიყვარულით გამოეთხოვენ“ /<http://www.orthodoxy.ge/khatebi/atiskuris.htm/>.

განთიადში, ვაშნარში, ნეკრესში (IV), ბოლნისში (სიონი V), ურბნისში (VI), ანჩისხატში (VI) და სხვ.

მოკლედ ზოგი მათგანის შესახებ:

ციხისძირის ბაზილიკა. პროკოფი კესარიელთან დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ იუსტინიანემ განაახლა საქართველოს ამ მხარეში არსებული ძველი ეკლესიაც.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ იუსტინიანეს განახლებულ ეკლესიაში იგულისხმება არქეოპოლის-ნოქალაქევი დღემდე დაცული “ორმოცი მოწამის” ეკლესია (დიუბუა დე მონპერე, ს.ყაუხჩიშვილი); გ. ჩუბინაშვილი ფიქრობს, რომ ნოქალაქევის ეკლესია არქიტექტურული ნიშნებით V საუკუნისაა; პროკოფი კი გულისხმობს აფხაზეთში არსებულ ღვთისმშობლის ტაძარს. ა. ინაიშვილისა და ი.კვიციანის აზრით, იუსტინიანემ განაახლა ციხისძირის ბაზილიკა: “ყველანაირი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ პეტრა-ციხისძირის ყველაზე ძველი ბაზილიკა ამენებულა იუსტინიანამდე (527-565), სავარაუდოდ, V საუკუნის მეორე ნახევარში”¹⁴⁹.

ადრექრისტიანული ტაძრების ფრაგმენტებით თუ ვისმჯვლებთ, ძველ საქართველოში არსებული ტაძრები ბიზანტიური სტილითაა ნაგები; შდრ.: “ქართლის ცხოვრების” ცნობით, IV ს-ის 30-იან წლებში, როდესაც მეფე მირიანმა სახელმწიფო რელიგიად ქართლში ქრისტიანობა გამოაცხადა, მან ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს სთხოვა, ეკლესიების ასაშენებლად ოსტატები გამოეგზავნა. რამდენადაც ბიზანტიური ეკლესიები ბაზილიკური ტიპისა იყო, თავდაპირველი ქართული ქრისტიანული სამლოცველოებიც ანალოგიური იქნებოდა; მართლაც, სწორედ ბაზილიკით იწყება ქრისტიანული ტაძრების აღმშენებლობა საქართველოში.

მეხუთე საუკუნიდან ჩნდება მხოლოდ საქართველოში დადასტურებული ე.წ. სამნავიანი ბაზილიკებიც; ბაზილიკები დადასტურებულია როგორც სამხრეთ, ასევე, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. პირველი ეტაპის სამნავიანი ბაზილიკების დიდი ნაწილი ძალზე ცუდად არის შემორჩენილი, ზოგიერთი გადაკეთებულია. თავდაპირველ ვარიანტებს წარმოადგენს V საუკუნის ორი ძველი — ძველი შუამთა და მატანის ცხრაკარა¹⁵⁰; მომდევნო ეტაპისაა: ზეგაანი (VI)¹⁵¹, გაგრის ეკლესია (VI)¹⁵², ქვემო ბოლნისი (VI)¹⁵³, ნეკრესი (VII)¹⁵⁴...

საკუთრივ ქართული არქიტექტურული შედეგია ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ეფუძნება ძველი ქართული დარბაზული ტიპის საცხოვრებელ სახლს. ასეთი ეკლესიებია: V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული მანგლისის ეკლესია, ასევე: ძველი გავაზი (VI ს.), ნინოწმინდა (VI

¹⁴⁹ ქრისტიანობის კვლევები, III. გამომცემლობა “უნივერსალი“, თბილისი 2009; http://www.dzglebi.ge/statiebi/arqiteqtura/lazikis_adreqristianuli_tadzrebi.html

¹⁵⁰ www.dzglebi.ge/statiebi/arqiteqtura/samnaviani_bazilikis_arqiteqturuli_tipi.html

¹⁵¹ <http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/zegaani/zegaani.htm>

¹⁵² <http://tinyurl.com/kyec8sl>

¹⁵³ მასალისათვის ვრცლად იხ.: ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.

¹⁵⁴ http://kakheti.net/nekresi/nekresi_geo.html

ს.), მცხეთის ჯვარი (VII ს.), ატენის სიონი (VII ს.), ბანა (VII ს.), მარტვილი (VII ს.), ახტალა (X ს.)... სამაგალითოდ განვიხილავთ მარტვილისა და ახტალის ტაძრების ისტორიას¹⁵⁵:

მარტვილი. ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, პირველი ხის ეკლესია მარტვილში აიგო ანდრია პირველწოდებულის დროს. ექვთიმე თაყაიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი მიიჩნევენ, რომ არსებული ქვის ტაძარი აგებულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე; იგი თავდაპირველად მცხეთის ჯვრის ტიპისა იყო.

მურვან-ყრუს მიერ გაპარტახებული ეკლესია აღადგინა აფხაზეთის მეფე გიორგი მეორემ (922-957), რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს გაერთიანება და მიაღწია კიდეც; მან აღაზევა ქართული კულტურა და აღაწინააღმდეგა კი გაავრცელა ქართულენოვანი ქრისტიანობა. მის დროსვე საეპისკოპოსო ცენტრად იქცა მარტვილი (ჰყონდიდი). X საუკუნიდან ჰყონდიდს, როგორც საეპისკოპოსო ცენტრს, თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს კულტურულ აღორძინებაში. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი განმანათლებელნი: ქართულენოვანი ჰიმნოგრაფიის მამად წოდებული იოვანე მინჩხი (გიორგი მეფის მეგობარი), მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში ცნობილი მთარგმნელი, მწერალი, ისტორიკოსი და პედაგოგი გიორგი მთაწმინდელი (შემდგომში დავით აღმაშენებლის აღმზრდელი), ანტონ ჰყონდიდელი (თამარის თანამედროვე, თარგმნა წიგნი “სააქიმო”)... ასევე: ცნობილი მჭედელი ივანე დიაკონი (მარტვილის საწინამძღვრო ჯვრის ავტორი), ცნობილი კალიგრაფი და გადამწერი - სვიმონ ჰყონდიდელი და მრავალი სხვა. გადმოცემის მიხედვით, მარტვილის მონასტერში დასაფლავებულია საქართველოს მეფე ბაგრატ IV.



¹⁵⁵ ქართული ეკლესიების შესახებ ინფორმაციისათვის იხ, ასევე:

<http://www.orthodoxy.ge/eklesiebi.htm>

<http://saunje.ge/index.php?id=932&lang=ka;>

<http://www.dzegebi.ge/default.html;>

<http://geoah.ge/index.php?do=list&city=19>

მონასტერში იყო კრიპტერია - გადამწერ ბერთა სამყოფი. ითარგმნებოდა წიგნები, იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები. ერთ-ერთი მათგანი იყო იოანე მესტივირი - კალიგრაფი, რომელიც მოღვაწეობდა XI საუკუნეში. მისი სამყოფელი იყო სვეტი (კოშკი). იგი მონაწილეობდა მარტვილის ოთხთავის გადაწერაში.

XI საუკუნის ბოლოს თურქ-სელჩუკების შემოსევის შედეგად მარტვილის მონასტერი კვლავ სასტიკად იქნა აოხრებული.

მარტვილის მონასტერი იავარქმნეს კომუნისტებმაც.

1998 წლიდან საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის, ლოცვა-კურთხევით მარტვილი ისევ სამონასტრო კომპლექსად იქცა. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა საპატრიარქო რეზიდენცია, დაარსდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის მამათა მონასტერი, წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი. განახლდა ბერ-მონაზონთა ცხოვრება, აშენდა ახალი კარიბჭე და გალავანი¹⁵⁶.

ახტალა (აგარაკი). ქართული კულტურის ძეგლი - ახტალა (აგარაკი) ამჟამად სომხეთის საზღვრებშია მოქცეული (სომხ. Ախալաქա). ისტორიულ ლორე-ტაშირში¹⁵⁷ არსებული ციხე-ქალაქის ცენტრში არსებული ტაძარი საეპისკოპოსო კათედრა იყო მეფე ვახტანგ გორგასალის პერიოდიდან. ბაზილიკური ტიპის სამლოცველოს კვალი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

საქართველო-ბიზანტიის ომების დროს, IX-X საუკუნეებში, ამ მხარეს სომეხი ბაგრატიონები ეუფლებიან მცირე დროით. XI საუკუნის შემდეგ, ვიდრე 1921 წლამდე - ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციამდე, ეს მხარე საქართველოს შემადგენლობაშია და ქართული კულტურის ერთ-ერთი უპირველესი ცენტრია (ახტალა, ქობაერი, ჰუჯაბი...).

ქართული არქიტექტურული შედეგები - ჯვარგუმბათოვანი ახტალის ტაძარი აიგო წმინდა თამარ მეფის ეპოქაში - XIII საუკუნეში; ამავდროულად აღწევს თავის სრულყოფილებას ახტალის ციხე-ქალაქიც.

ახტალის ეკლესიის იკონოგრაფია საქართველოს ეკლესიის წმინდანთა დასის მიხედვითაა შესრულებული; კერძოდ, გამოსახულნი არიან: წმინდა ნინო, წმინდა იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, წმინდა ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელები, წმინდა ილარიონ ქართველი...

1921 წელს ი.სტალინმა ლორე-ტაშირის მხარე გადასცა საბჭოთა სომხეთს. მას შემდეგ ინტენსიურად ხდება ამ კუთხის ისტორიისა და ამ ტერიტორიაზე არსებული ტაძრების ისტორიის გაყალბება და განადგურება (მაგ., ხელოვნურად არის განადგურებული ქართული

¹⁵⁶ <http://www.dzglebi.ge/dzglebi/m/martvili.html>.


¹⁵⁷ ლორე-ტაშირი ძველი წყაროების **გოგარენეს** ნაწილია; შდრ.: სტრაბონის (ძვ.წ. 63 - ახ.წ. 24) ცნობით, გოგარენე (*Gogarene*; სომხური წყაროების **გუგარქი**) იბერიის პროვინციაა.

ამ მხარის ცენტრალურ ნაწილს - დებედის ხეობას - სომხური წყაროები ქართველთა ველს (ვრაც დაშტის) უწოდებენ. ისტორიისათვის ვრცლად იხ.: <http://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/abdaldadze/>
http://www.dzglebi.ge/statiebi/istoria/qvemo_qartlis_istoriuli_geografiidan.html

არქიტექტურის არსებითი ნიშანი - ახტალის გუმბათი; დამტვრეულია საფლავის ქვები და სხვ.).

თანამედროვე სომხეთისა და საქართველოს კეთილმეზობლობა, პირველ რიგში, უნდა რეალიზდეს ამ ქართულ მიწაზე არსებული ქართული ძეგლების აღდგენასა და აქ ქართველ მართლმადიდებელთა სამონასტრო ცხოვრების განახლებაში.

ასეთი უნდა ყოფილიყო ახტალის გუმბათი:



ახტალა ახლა (30.07.2013) ასე გამოიყურება:





ახტალის ერთ-ერთი საფლავის ქვა.

ქობაერი. ქობაერის სამონასტრო კომპლექსიც ამჟამინდელი სომხეთის საზღვრებშია მოქცეული. ამ ტოპონიმში გამოიყოფა სახელის ფუძე: “ქობა-“, -ერ- სუფიქსია; ორივე ქართული ენით იხსნება: ქობას ამოსავალი ფორმაა “ქვაბი” (გამოქვაბული): ქვაბი - ქვაბა > ქობა.

-ერ- უძველესი სუფიქსია; შდრ.: კენწი - კენწ-ერ-ო.

ანუ: ქობაერი - ქვაბიანი, გამოქვაბულიანი ადგილი. მართლაც, გამოქვებულებიანი კლდის ძირასაა აგებული უდიდესი სამონასტრო კომპლექსი (ხანძთის სამონასტრო კომპლექსზე გაცილებით დიდი!).

ქობაერის კედლებსა თუ საფლავის ქვებზე დღემდე კარგადაა შემონახული უამრავი ქართული ასომთავრთული წარწერები; მაგ., ბერი გიორგის წარწერა ასე იკითხება:

“შე დავფიქლე ეს ეკლესია, კარიბჭე გადავხურე და უცხო თესლისაგან წართმეული მიწები დავაბრუნე“.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი წარწერა: ფრიალო კლდის პირას, დიდი ტაძრის გვერდით დგას კიდევ ერთი პატარა სამლოცველო, რომლის აივანი თითქმის ქარაფზეა გადაკიდული; აქ არის განსასვენებელი, რომელსაც აქვს წარწერა (ვიზიარებთ დალი მაჩაიძის წაკითხვას)¹⁵⁸:

“ესე საფლავი შანშეს მწიგნობართუხუცესისა მათესი, დამლოცუელისა თქვენისი. შეუნდვენ ღმერთმან“.

როცა იმ დიდებული სამლოცველოს ფაქტობრივად ჰაერში გამოკიდული აივნიდან ქვემოთ გაშლილ ლამაზ სივრცეს გადახედავთ, ამ წარწერის შემდეგ ასეთი ემოციური წარმოდგენა-ლეგენდა შეიძლება დაგებადოთ: ქარაფზე არსებულ სამლოცველოს მიმენებულ აივანზე ზამთარსა და ზაფხულში, თოვლსა და ყინვაში ღია ცის ქვეშ მრავალი წლის მანძილზე იდგა ბერი და საქართველოსთვის ლოცულობდა... აქვე გარდაიცვალა ლოცვისას... და ძმებმა აქვე, აივანზე დაკრძალეს.

¹⁵⁸ გ. კალანდიასა და ქ. ასათიანის წაკითხვით: “ესე საფლავი შანშეს მწიგნობართუხუცესისა მათესი და მისისა შვილისა თეაისი. შეუნდვენ ღმერთმან“. გ. გაგოშიძის აზრით: “ესე საფლავი შანშეს მწიგნობართუხუცესისა მათესი და მისისა მეუღლისა თეონასი. შეუნდვენ ღმერთმან“.

ხანძთა. გიორგი მერჩულის “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდანაც“ და ბევრი სხვა წყაროებიდანაც ცნობილია, რომ V-XII საუკუნეებში ქართული საგანმანათლებლო კერები იყო ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, ბერთის, ფორთისა და სხვა სამონასტრო ცენტრები. მათგან გამორჩეულია **ხანცთა (/ხანძთა)**. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე საკამათოა ხანძთის ადგილმდებარეობა; კერძოდ, სულ სამი სავარაუდო **ხანძთა** გვაქვს:

ტ. ნ. მარი ფიქრობდა, რომ ხანძთის სამონასტრო კომპლექსი არის ძველ (ზემო) ფორთასთან ახლოს მდებარე **ნუკი საყდარი**; ხოლო ქვემო ფორთა შატბერდია (ასევეა ი.ჯავახიშვილის რუკაზეც); ე.ი. ოპიზა, შატბერდი და ნუკი საყდარი მომიჯნავე ხეობებშია;

ჟ. პ. ინგოროყვას საკმაოდ სერიოზული არგუმენტები (პ. ინგოროყვა, 1957, გვ.311-316) მოჰყავდა და ამტკიცებდა, რომ კარჩხალის ხევში **ქვემო ფორთა** არის არა **შატბერდი**, არამედ **ხანძთა... ქვემო ფორთაში** დღემდე შემორჩენილი: მთავარი ტაძარი (ნახევრად ჩამოშლილი), სამრეკლო, დანგრეული დამხმარე ნაგებობანი და, მოშორებით, ერთი დიდი შენობა (საოსტიგნე?), რომლის კარები საერთოდ ამოქოლილია (მხოლოდ სარკმლიდან ჩანს, რომ იქ ბევრი ღამურა ბუდობს); ქვემო ფორთაშივეა დიდებული წყარო (რომელსაც მაღალი, ღამაზი თაღოვანი კედელი აქვს ფასადად); გარშემო მართლაცაა ფიცხელი “კლდევარი”, მაგრამ არ არის “ურციცხვი მალნარი” და აქაურ კლდეებში არც შეიძლებოდა ყოფილიყო. აქვე, მიმდებარე ხეობაშია ოპიზის სამონასტრო კომპლექსიც;

ღ. ამჟამად **ხანძთა ჰქვია მხოლოდ იმერჯევის სათავის** (დიობანის, მეიდანჩიკის) **მიმდებარე ტერიტორიას**, სადაც, იმფხრეველთა და სხვა იმერჯეველთა გადმოცემით, იყო დიდი ძველი უნივერსიტეტი; აქვეა ტაძრის ნანგრევები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, ფიცხელი კლდოვანი მთებიც... აქვე დღემდე შემორჩენილია ტოპონიმები: **ჯვარი, სამებათი** (დანგრეული დიდი ეკლესიის ტერიტორია!).

სამეცნიერო წრეებში არსებული აზრთა სხვადასხვაობა შემთხვევითი არ არის; პასუხგაუცემელი კითხვები ბევრია; მაგ., თუ ამჟამინდელმა **ოპიზამ** შეინარჩუნა ისტორიული სახელი, **ქვემო ფორტად** წოდებულმა კომპლექსმა რატომ დაკარგა სახელი “ხანძთა”? შდრ., ზემო ფორთის მომცრო ტაძარიც და სახელიც V საუკუნიდან დღემდე დასტურდება; V საუკუნიდან ცნობილ **ფორთის ტაძართან** ახლოს, ქვემო ფორთაში გრიგოლ ხანძთელი აშენებს **ახალ ტაძარს** (ზემო ფორთის ეკლესია დანგრეულია არაბების მიერ); ამ ადგილს დღესაც ფორთა ჰქვია; იქნებ მას ბერძნულად **ფორთას** უწოდებდნენ და ქართულად **ხანცთას**? წერილობითი წყაროების მიხედვით, **ფორთა** და **ხანძთა** აშკარად სხვადასხვა ადგილებია; უნდა დავუშვათ, რომ ფორტა ზედა ფორტაა მხოლოდ? სახელი **ქვემო ფორტა** აშკარად ძველი, თურქობამდელი მემკვიდრეობაა; გარდა ამისა, ტაო-კალრჯეთში ბაზილიკებმაც კი შეინარჩუნეს ქართული სახელები; რალა მაინც და მაინც უდიდეს კომპლექსს შეეცვალა სახელი და ქვემო პორტად იქცა?

ძველი გზები მთებზე გადადიოდა (არ მიჰყვებოდა მდინარეების კალაპოტს); ზემო ფორტადან **სათავე-დიობანის** ხანძთამდე ფეხით/ცხენით უფრო ნაკლები მანძილია, ვიდრე არტანუჯიდან ფორთამდე; ძველი გზების გათვალისწინებაც აუცილებელია მომავალში ამ საკითხზე მსჯელობისას.

10.2. ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშები¹⁵⁹

ხატწერა. ქართული ქრისტიანული კულტურის განუყოფელი ნაწილია ხატწერა. ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით საქართველოშია დაცული ღვთისმშობლის მიერ შექმნილი პირველი ხატი, რომელს ჩვენთვის ცნობილია სახელით: “აწყურის ღვთისმშობლის ხატი - მცველი ივერიისა“ (ისტორიისთვის იხ. შენიშვნა პარაგრაფის ბოლოს).

საქართველოში შექმნილი ერთ-ერთი პირველი ხატია "აღმადგინებელი" - წმინდა ნინოს თანამედროვე, IV საუკუნის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი (დაცულია ქართლში, წილკნის მონასტერში)¹⁶⁰.

მინანქარი¹⁶¹. ქართული ტიხრული მინანქრის ხელოვნების მწვერვალია **ხახულის კარედი**, რომელიც თავისთავად ტიხრული მინანქრის ნაკეთობების კომპლექსია (100-ზე მეტი ფირფიტა, VIII საუკუნიდან მოყოლებული, XII საუკუნის ჩათვლით). კარედის ღვთისმშობელი არის ყველაზე დიდი ტიხრული მინანქარი მსოფლიოში (116X95 სმ). ხატი 1859 წელს გელათის მონასტრის გაძარცვის შედეგად გაიტაცეს, შემდეგ ბოტკინის კოლექციაში აღმოჩნდა და მხოლოდ 1923 წელს დაუბრუნდა საქართველოს უკვე ძლიერ ფრაგმენტირებულ მდგომარეობაში.



¹⁵⁹ ქართული ხელოვნების ბევრი ნიმუში დაიკარგა დამპყრობელთა შემოსევების დროს; საქართველოდან განსაკუთრებით ბევრი ძვირფასი ნივთი გაიტანეს **რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკებმა** ბოლო 200 წელიწადში (შ. ამირანაშვილი, 1968; ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაკიძე, 2011).

¹⁶⁰ ქართული ხატების შესახებ ვრცლად იხ.: <http://www.orthodoxy.ge/khatebi/icons.htm>.

¹⁶¹ მოგვყავს ლ. ხუსკივაძის ნაშრომის (1984) მიხედვით; იხ., აგრეთვე: http://www.dzeglubi.ge/statiebi/xelovneba/tixruli_minanqari.html.



კაცხის მაცხოვრის ხატი და შემოქმედის კვადრიფოლიუმი



ჩვენამდე მოღწეული ტიხრული მინანქრები არსებითად საეკლესიო დანიშნულების ნივთებია: ხატები, ჯვრები, აგრეთვე ცალკეული ფირფიტები და მედალიონები, რომლებიც ჭედურ ძეგლებზეა მოთავსებული და მორთულია, როგორც წესი, მარგალიტის მწკრივით, - პატარა ზომისაა. ოდნავ მოზრდილია ფირფიტები ქრისტეს სადღესასწაულო ციკლის სცენებით და ორი ფირფიტა წმ. გიორგის გამოსახულებით. გამონაკლისია, აგრეთვე, პანტოკრატორის ნახევარფიგურა ხახულის კარედზე - მისი ზომებია 8X7 სმ. მაგრამ ყველა მათგანს სიდიდით სჭარბობს ხახულის ღვთისმშობელი.

მინანქრული ხელოვნების უადრესი ნიმუშები, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ქართულია. ეს ძეგლები VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება. ეს მასალა არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ უთუოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადად ადრეული მინანქრები ძალზე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი.

მუზეუმში დაცული ქართული მინანქრების უდიდესი ნაწილი X და XII-XIII საუკუნეების ძეგლებია. ქართული მინანქრული ხელოვნების განვითარებაში ეს პერიოდები განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობით ხასიათდება. ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია შემოქმედის კვადრიფოლიუმი ქართული (ასომთავრული) წარწერით, სადაც მოხსენებულია **გიორგი აფხაზთა მეფე** (გარდაიცვალა 957 წელს).

X საუკუნეს მიეკუთვნება აგრეთვე ხახულის კარედის ღვთისმშობელი. ამ საუკუნის მინანქრულ ძეგლებს ძირითადად ოქროს ფონი აქვთ, მხოლოდ ორი ძეგლია X საუკუნით დათარიღებული, სადაც ფონი მინანქროვანია (და არა ოქროსი). ეს ძეგლებია - პატარა ჯვარი კაცხის მაცხოვრის ხატზე და ვარძიის ღმრთისმშობლის მედალიონები.

მომხდურთაგან ბევრჯერ გაიძარცვა საქართველო, მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიამ შეძლო, ქართველი ერისთვის შემოენახა **მრავალსაუკუნოვანი საგანძურის ნაწილი**.

1921 წლამდე მოღწეული ეროვნული განძის დიდი ნაწილი, საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის გამო, საქართველოდან იქნა გატანილი ნოე ყორდანისა დევნილი ხელისუფლების მიერ. უცხოეთში განძი საქართველოს შეუნარჩუნდა **ექვთიმე თაყაიშვილის** თავგანწირვით¹⁶²,

¹⁶² ე. თაყაიშვილმა დაარსა “საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის; მან ასევე უდიდესი როლი ითამაშა 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. 1921 წელს, როცა საქართველოს მთავრობა საზღვარგარეთ გადაიხვეწა და თან წაიღო საბანკო ვალუტა, ისტორიისა და კულტურის სამუზეუმო განძეულობა და ხელნაწერები, ეროვნულ განძს მცველად ვაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი თავის მეუღლესთან ერთად... განძის დაბრუნებისას, თბილისის აეროპორტში ბევრი ხალხი დახვდა ექვთიმეს; მას კი თვითმფრინავიდან ჩამოსვლა არ უნდოდა; როცა მიზეზი ჰკითხეს, მორიდებულად უპასუხა: “ძალიან შელანძღული, დახეული პიჯაკი და ფეხსაცმელი მაცვია და მერიდებოა” - არადა, ევროპაში ის ინახავდა უძვირფასეს საგანძურს -

ხოლო საქართველოს დაუბრუნდა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხელისუფლების მოლაპარაკების შემდეგ (ამ შემთხვევაში დადებითი როლი შეასრულა ი. სტალინმა).

საქართველოს ეკლესიის განძეულის დიდი ნაწილი დღეს საქართველოს მუზეუმებში ინახება.

შენიშვნა: "მაცხოვრის ამალღების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს, ვინ სად წასულიყო საქადაგებლად. ღვთისმშობელს წილად საქართველო ხვდა. უკვე გადაწყვიტა კიდეც, წამობრძანებულიყო, მაგრამ მოწვევულ იყო ჟამი მისი მიძინებისა. და აი, ეჩვენა ღვთისმშობელს ძე თვისი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და უთხრა: დედაო ჩემო, არა უფლებელსყო ერი იგი საზეპურო უფროის ყოველთა ნათესაეთა, მეოხებითა შენითა მათთვის... წარავლინე პირველწოდებული ანდრია შენს წილხვედრ ქვეყანაში და თან გაატანე შენი ხატი... შენ წილ ის ხატი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკანასკნელ ჟამამდეო.

შვილო ანდრია, - უთხრა დედაღვთისამ მოციქულს, - ჩემს სულს დიდად უმძიმს, რომ ჩემს წილხვედრ ქვეყანაში ჩემი ძის სახელს არ ქადაგებენ, მაგრამ როცა საქადაგებლად ვაპირებდი გამგზავრებას, გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და დარჩენა მიბრძანა. შენ უნდა წახვიდე იქ, **ქვეყანას ჩემსა წილხვედომილსა**, წაასვენო სახე ჩემი და სახე ძისა ჩემისა, რათა ვიყო გამგებელი მათი ცხოვრებისა, ხელი აღვუბყრა და შევეწიო და არავინ მტერთაგანმა სძლიოს მათ. იყავნ ნება შენი, ყოვლადწმინდაო, - მიუგო მოციქულმა, - და ნება ძისა შენისა. მაშინ ღვთისმშობელმა მოითხოვა ფიცარი, მიიღო სახეზე და ფიცარზე მისი ხელთუქმნელი ხატი გამოისახა.

მისცა დედა ღვთისამ ხატი ანდრია მოციქულს და დალოცა: "სადაც არ უნდა წახვიდე, მაღლი და შეწვენა ჩემგან შობილისა უფლისა გდევდესო თან... მეც შეგეწევიო ქადაგებაში".

წმინდა ანდრია ყოვლადწმინდა ქალწულის წინაშე დაემხო და მაღლობა შესწირა. შემდეგ აიღო წმინდა ხატი და საქართველოსკენ გამოემართა".

<http://www.orthodoxy.ge/khatebi/atskuris.htm>.

ქართული ოქრომჭედლობის მრავალ შედეგს - თუნდაც ერთი მათგანი რომ გაეყიდა, ფუფუნებაში იცხოვრებდა... სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ყველასაგან მიტოვებული გარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიამ კი იგი წმინდანთა დასში შერაცხა და უწოდა წმინდა **ექვთიმე ღვთისკაცი**.

10.3. ცნობილი ქართველი მოღვაწენი¹⁶³

ქართველთა სამწიგნობრო კულტურა საქართველოს ყველა კუთხეში **უწყვეტად იქმნებოდა** დიდი ქართველი მოღვაწეების მიერ; ისინი არქაული და თანამედროვე ხალხური ენობრივი მონაცემების შეზავებით მდიდარ, გამომსახველობით ენას ქმნიდნენ. ამ ფაქტორმა შეაპირობა სამწიგნობრო ენის თვისობრივი უცვლელობა და, სულ მცირე, **თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა**. დავასახელებთ რამდენიმე ცნობილ მოღვაწეს:

სამხრეთ საქართველოში: იოანე მოსხი, არსენ საფარელი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, იოანე მტბევალი, იოანე ოქროპირი...

დასავლეთ საქართველოში: იოანე ლაზი, იოანე მინჩხი (მარტვილელი), სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, ტბელი აბუსერიძე, ჭყონდიდლების მრავალი თაობა...

აღმოსავლეთ საქართველოში: ბაკური, პეტრე იბერი, იაკობ ცურტაველი, შიო მღვიმელი, გრიგოლ დიაკონი, იოანე საბანისძე, იოანე ბოლნელი, ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი...

საზღვარგარეთულ ცენტრებში: იოანე ზოსიმე, ბასილ საბაწმინდელი, მიქელ მოდრეკილი, ფილიპე ბეთლემელი, ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, გიორგი მცირე... მათ მოამზადეს შოთა რუსთველის ეპოქა... მოკლედ ძველ ქართველ მწიგნობართა ერთი ნაწილის შესახებ:

ბაკური (“მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ქართლის 31-ე მეფე ბაკურ III). ბაკური არის IV საუკუნეში მცხოვრები ფილოსოფოსი, იბერიის სამეფო გვარეულობის წარმომადგენელი, რომლის შესახებაც ოდენ ბერძნულ-ლათინურმა წყაროებმა შემოინახეს ცნობები; ბაკურს განათლება მიუღია ძველი კოლხეთის ტრადიციების მემკვიდრე ფილოსოფიურ სკოლაში, რომელიც დასავლეთ საქართველოში არსებულა. ბიზანტიაში ხანგრძლივი მოღვაწეობისას მას დიდი სახელი მოუხვეჭია თავისი სიბრძნის გამო, იმ ზომამდეც, რომ ერთი ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსი მას “ღმერთების საყვარელს“ უწოდებს. სავალალო ისაა, რომ ბაკურის თხზულებათაგან ჩვენამდე აღარაფერს მოუღწევია.

იოანე ლაზი (ანუ იოვანე ქართველი). IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში ქართლში სამეფო კარისა და ეკლესიის იერარქთა მეთაურობით გააქტიურებული იყო მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელსაც ერთვოდა საკუთრივ ქრისტიანული ორიგინალური შედეგების შექმნა. უმთავრეს ცენტრს წარმოადგენდა მეფე ბაკურის სამეფო კარი. სწორედ აქ სამი წლის უფლისწულის - მურვანოსის (შემდგომში - პეტრე

¹⁶³ მრავალრიცხოვან ქართველ მოღვაწეთაგან საქართველოს კუთხეების გათვალისწინებით წარმოვადგენთ ერთი ნაწილის მონაცემებს; პარაგრაფის მომზადებისას გამოყენებულია 2006 წელს გამოცემული “ქართული ენის ისტორიის“ შესაბამისი მონაკვეთი.

იბერის) აღმზრდელად დასავლეთ საქართველოდან მოიწვიეს **მითრიდატე ლაზი**. იგი 12 წლამდე ზრდიდა და მწიგნობრობას ასწავლიდა მეფისწულს.

ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, იოანე ქართველი ანუ მითრიდატე ლაზი V საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ცნობილი რიტორიკული სკოლის წარმომადგენელი იყო. იგი პეტრეს ასწავლიდა ქართულს. იოანე (მითრიდატე) უნდა ყოფილიყო ქართული ქრისტიანული საღვთისმსახურო ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ლიდერი (ა.ჯაფარიძე). პეტრე იბერთან ერთად იგი არეოპაგეტიკის ავტორად ითვლება.

იოანე ქართველი მიჩნეულია პალესტინის ქართული მონასტრის (სადაც დაცულია უძველესი ქართული წარწერები) ამგებად.

პეტრე იბერი. იბერიის მეფის - ვარაზ-ბაკურის (ან ვარაზ-ბაქარის) ძე მურვანი 409 წელს (ან 410, 412 წწ.) უნდა დაბადებულიყო. იგი, თორმეტი ან თხუთმეტი წლისა, სათანადო ამალითურთ მძევლად წარუგზავნიათ კონსტანტინოპოლში. ჭაბუკი მურვანი იმპერატორსა და კარის ფილოსოფოსებს აცვიფრებდა ნიჭითა და განსწავლულობით. მეფედედოფლის გამორჩეული სიყვარულით იყო გარემოსილი, დიდება არ აკლდა. მიუხედავად ამისა, მეფური ცხოვრების ბრწყინვალეობას მან ბერის ცხოვრება არჩია: თავის სულიერ მოძღვართან - მითრიდატე ლაზთან ერთად სასახლიდან გაიპარა და პალესტინაში, იერუსალიმში, მასთან ერთადვე ბერად აღიკვეცა; ამის შემდეგ ეწოდა **მურვანს პეტრე**, ხოლო **მითრიდატეს - იოანე**.

წმინდა ადგილების მოლოცვისა და წარმატებული სასულიერო საქმიანობის შემდეგ ისინი დაემკვიდრნენ პალესტინაში, სადაც შემდგომში პეტრე ქალაქ მაიაუმის ეპისკოპოსად დაადგინეს. ოთხმოც წლამდე იცოცხლა პეტრე იბერიელმა და დიდი გავლენა და სახელი მოიპოვა ბიზანტიაში. იმდროინდელი წყაროები მას მოიხსენიებენ, როგორც “მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმულ კაცს”, “მეორე მოციქულ პავლეს”, “მეორე მოსეს”.

პეტრე იბერის მიერაა დაწერილი “არეოპაგეტული წიგნები”, რომლებიც VI საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან შეცდომით მიეწერებოდა პავლე მოციქულის მოწაფეს დიონისე არეოპაგელს (ე.პონიგმანი, შ.ნუცუბიძე).

პეტრე იბერიელის წიგნებმა შუა საუკუნეების აზროვნებასა და კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა და იქცა რენესანსის ფილოსოფიურ საფუძვლადაც.

იაკობ ხუცესი. იაკობ ცურტაველი ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლის - “მუშანიკის წამების” - ავტორია. იაკობი ქრისტიანობისათვის წამებული დედოფლის მოძღვარი იყო და, ბუნებრივია, თავადაც არის ნაწარმოების პერსონაჟი. 476-482 წლებში შექმნილი ამ თხზულებიდან ჩანს, რომ იაკობი ბრძენი და საფუძვლიანად განათლებული პიროვნებაა. იაკობ ხუცესს ცურტაველსაც უწოდებენ. ვარაუდობენ, რომ იგი მოგვიანებით ცურტავის ეპისკოპოსიც გახდა. ცურტავი მდებარეობდა ბოლნისსა და რუსთავს შორის, იქ, სადაც ერთდებოდა ორი მდინარე - მაშავერა და ხრამი.

ცურტავეში იყო ქართლის პიტიანშის რეზიდენცია. აქვე არსებობდა კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, სადაც სწავლობდნენ ქართველებიც და მეზობელი სომხებიც. აქ უსწავლია V საუკუნის ცნობილ სომეხ ისტორიკოსს - ლაზარ ფარპელს (ლაზარ ფარპეცს).

გრიგოლ დიაკონი. გრიგოლი პირველი ქართველი ისტორიკოსია, რომელსაც დაუწერია “ქართლის მოკლე მოქცევა”; **“მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲ”** ჭელიშურ ვერსიაში ვკითხულობთ: “ვითარცა სწერია გრიგოლ დიაკონის მცირესა მას, მოკლედ აღწერილსა, წიგნსა ქართლისა მოქცევისასა” (ე. თაყაიშვილი, 1911, გვ. 714). ს. კაკაბაძის აზრით, გრიგოლი არის IV საუკუნის II ნახევრის მწერალი; 380-400 წლებში მას ჯერ ბერძნულად და მერე ქართულად დაუწერია “მცირე მოქცევაჲ ქართლისაჲ”. კ. კეკელიძე თვლის, რომ IV საუკუნეში ამ დონეზე ვერ იქნებოდა განვითარებული ქართული მწერლობა. სამწუხაროდ, ამ მოღვაწის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

იოანე მოსხი (შდრ., სამცხის ისტორიული სოფელი მუსხი) VI-VII საუკუნეების მსოფლიოში ცნობილი მწერალია. მისი ნოველების კრებული - **ლიმონარი** (“მდელო”) შემონახულია ბერძნულად და ქართულადაც (ქართულ ვარიანტში მას **“სამოთხე”** ეწოდება).

ფიქრობენ, რომ ბერძნულ “ლიმონარსა” და ქართულ “სამოთხეში” შესული ნოველები იოანე მოსხმა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად დაწერა ბერძნულადაც და ქართულადაც. არის მოსაზრება, რომ იოანე მოსხის კალამს ეკუთვნის **“სიბრძნე ბალაჰვარისი”**.

შიო მღვიმელი VI საუკუნის საეკლესიო მოღვაწეა; იგი იმ 13 ასურელ მამათაგანია, რომლებიც საქართველოში სირიიდან ჩამოვიდნენ. ვარაუდობენ, რომ ასურელი მამები, წარმოშობით - **კაბადოკიელები, ქართველური მოღვმისანი** იყვნენ (შდრ., კაბადოკიელები იყვნენ წმინდა გიორგიც, წმინდა ნინოც; ვარაუდობენ, რომ კაბადოკიელია აზოც). ილ. აბულაძის აზრით, შიო ქართველია, იგი იყო იოანე ზედაზნელის მოწაფე, შეძლებულ ღვთისმსახურ აზნაურთა შვილი, ბერად აღიკვეცა, მოღვაწეობდა ზედაზენში და მერე წავიდა სირიაში.

შიო მღვიმელის სახელთან არის დაკავშირებული მცხეთის მახლობლად დღემდე არსებული მონასტერი “შიომღვიმე”. ჩვენამდე არ არის მოღწეული მისი კრებული **“სწავლანი”**. შიო მღვიმელს აკუთვნებენ რამდენიმე **სავედრებელს - ძველი ქართული პოეზიის ნიმუშებს**; ერთ-ერთი მათგანი - “ოხითაჲ” მიმართულია ღვთის-მშობლისადმი და განმსჭვალულია ლირიზმით. შიოს ანდერძის თანახმად, “ოხითაჲ” იგალობებოდა ღვთისმშობლის ტაძარში.

იოანე საბანისძე. VIII საუკუნის მიწურულის საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო მოღვაწე და ნიჭიერი მწერალი იყო იოანე საბანისძე; სწორედ გამორჩეულობის გამო მიიღო მან ქართლის კათალიკოსის - სამოელის (780- 790 წწ.) თხოვნა, დაეწერა თხზულება ახალმოწამის - ტომით არაბი აბოს შესახებ.

790 წელს იოანე საბანისძეს უკვე დაწერილი ჰქონდა “აბოს წამება” და მას საქართველოს ყველა ეკლესიაში კითხულობდნენ.

იოანე საბანისძე არის პირველი, რომელმაც წამოჭრა ეროვნული საკითხი და განაცხადა, რომ ქართველები გაიმარჯვებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამაბაპურ წესსა და რიგს არ უღალატებდნენ. იგი დაუპირისპირდა არაბებსა და მათ მიერ გადაბირებულ ქართველებს.

ვარაუდობენ, რომ იოანე საბანისძე მოღვაწეობდა მცხეთის ჯვრის მონასტერში.

სეითი VIII საუკუნის II ნახევრის მწიგნობარია, რომელიც იერუსალიმში, საბას ლავრაში მოღვაწეობდა. აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით, მან სათავე დაუდო აგიოგრაფიული კრებულის - "მრავალთავის" შექმნას.

გრიგოლ ხანძთელი. გრიგოლ ხანძთელი VIII-IX საუკუნეების საქართველოს უდიდესი საეკლესიო მოღვაწე და პოეტია. პ. ინგოროყვას აზრით, გრიგოლ ხანძთელის კალამს 300-მდე ჰიმნოგრაფიული შრომა ეკუთვნის.

გრიგოლმა 102 წელი იცოცხლა. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მან უამრავი მონასტერი და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა აღადგინა და ააშენა. გრიგოლ ხანძთელი ქართველი ერის სულიერ მამად შეიძლება მივიჩნიოთ: **ტაო-კლარჯეთში მისმა დიდმა ღვაწლმა გადაარჩინა ერთიანი საქართველოს იდეა**, რასაც შედეგად მოჰყვა **დიდი საქართველოს** აღორძინება და მსოფლიოში გამორჩეულ ქრისტიანულ ქვეყნად ქცევა.

არსენ დიდი საფარელი. არსენ საფარელის შესახებ ცნობებს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" იძლევა. არსენი სამცხიდანაა, შვილი დიდი ფეოდალის - მირიანისა. არსენი 27 წელი კათალიკოსობდა (860-887 წწ.). კ. კეკელიძის აზრით, არსენ დიდის კალამს ეკუთვნის თხზულება "თქმული წმინდისა მამისა ჩუენისა, არსენისაჲ, მცხეთელი კათოლიკოსისაჲ, რომელიც იყო სანახებთაგან სამეზბისთა საფარით, განყოფისთჳს ქართლისა და სომხითისა". ნაწარმოები ეხება ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ ურთიერთობასა და განხეთქილების ისტორიას.

არსენის მეორე ცნობილი ნაწარმოებია "ცხოვრება და მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისა".

გიორგი მერჩულე (885-960 წწ.). გიორგი მერჩულე მოღვაწეობდა მდინარე ჭოროხის ხეობაში მდებარე ხანძთის სავანეში. ნიჭიერი და განათლებული პიროვნება იყო, ზედმიწევნით ფლობდა ბერძნულ, არაბულ, სირიულ ენებს. თარგმნიდა წიგნებს. წერდა გამორჩეულ ლექსებს, რომლებსაც მისმა თანამედროვეებმა "მერჩულიულნი" უწოდეს. პროფესიით სამართალმცოდნე იყო. აქედან მოდის მისი ზედწოდება "მერჩულე", რაც სჭულს ანუ საეკლესიო კანონის მცოდნეს ნიშნავს (ივ. ამირხანაშვილი, 2006). გიორგი მერჩულემ შექმნა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შედეგრი - "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". მას ეკუთვნის საუკუნოვანი შეფასება: **"ქართლად (საქართველოში) ფრიადი (მრავალი) ქუეყანაჲ (მხარე) აღირაცხების (ითვლება), რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებს"**.

იოანე მინჩხი. იოანე მინჩხი (სახელწოდება სოფლის სახელისგან მომდინარეობს; სოფელი **ინჩხი** ამჟამინდელ მარტვილის რაიონშია)

ქართული ჰიმნოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელია. X საუკუნის პოეტსა და მუსიკოსს მრავალი ჰიმნი აქვს შექმნილი, რომლებიც ცნობილია ტერმინებით: “მინჩხნი“, “მინჩხნისანი“; სინის მთაზე დაცულია საგალობლები, რომელთაც აწერია “მინჩხურნი“; სპეციალისტების დასკვნით, ამ რიგის ქმნილებები ეკუთვნის მინჩხის სკოლის წარმომადგენლებს და არა თავად იოანე მინჩხს.

ექვთიმე მთაწმინდელი არის ათონის სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი და უდიდესი მოღვაწე, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში. ექვთიმემ დიდი მთარგმნელობითი საქმიანობა გასწია. ის არა მარტო ბერძნულიდან თარგმნიდა ქართულად, არამედ ქართულიდანაც ბერძნულად. მისი თარგმანებია: “რაოდენნიმე წერილნი“, “ბალაჰვარი“ და “აბუკურაჲ“. ქართველი მკითხველის ინტერესებიდან გამომდინარე, თარგმნისას ექვთიმე ათონელი ახალ, თავისუფალ რედაქციას ქმნიდა; შეიძლება ითქვას, ის უცხოურ ქმნილებებს აქართულებდა. მან, როგორც ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა და დიდად პოპულარულმა მოღვაწემ, ცხადად დაანახა ბერძნებს ქართული კულტურის მაღალი დონე და ქართველი ერის საპატიო ადგილი ქრისტიან ერთა შორის.

ეფრემ მცირე. ეფრემ მცირე XI საუკუნის ცნობილი მოღვაწეა. იგი უნდა იყოს შვილი ტაოელი აზნაურის - ვაჩე კარიჭის ძისა, რომელიც იზიარებდა ბიზანტიის ორიენტაციას და კონსტანტინოპოლში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მიიღო განათლება და ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა.

ეფრემის მეთაურობით შავ მთაზე შეიქმნა ქართული მწერლობის მძლავრი კერა. ეფრემ მცირემ შეიმუშავა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, რომელიც სამ პრინციპს ეფუძნებოდა: 1. თხზულება უნდა ითარგმნოს მხოლოდ დედნიდან; 2. თარგმანი ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ტექსტს; 3. თარგმანს უნდა დაერთოს კომენტარები.

ეფრემი ფართო ერუდიციის მოღვაწეა; მან დიდი ღვაწლი გასწია **ქართული სამწიგნობრო ენის** განვითარებაში; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ეფრემი ბარბარიზმებითა და კალკებით არ ამძიმებს დედაენას და ცდილობს შექმნას, ან ცოცხალ კილოებში მოიძიოს სათარგმნი ლექსიკის შესატყვისი ქართული ერთეულები (შემდგომში სიტყვათქმნადობის ამავე კურსს აგრძელებს და ააქტიურებს **იოანე პეტრიწი**). ეფრემმა შეიმუშავა პუნქტუაციის ახალი სისტემა.

ტბელი აბუსერიძე. წმინდა ტბელი აბუსერიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ზემო აჭარაში XIII საუკუნეში. წმინდანის მამა - ზემო აჭარის ერისთავთ-ერისთავი ივანე თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა. დაქვრივების შემდეგ წმინდა ტბელის დედა მონაზვნად აღიკვეცა ეკატერინეს სახელით. წმინდა ტბელმა როგორც ჰიმნოგრაფმა, პროზაიკოსმა, ასტრონომმა, საეკლესიო მუსიკათმცოდნემ და საერთოდ, ღრმა მეცნიერული აზროვნებით გარჩეულმა მწიგნობარმა, წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართული კულტურის ისტორიას. მან ზემო აჭარაში სოფელ ხიხანში ააშენა წმინდა გიორგის ეკლესია.

წმინდა ტბელს ინტენსიური კულტურული ურთიერთობა ჰქონდა გელათის აკადემიასთან. წმინდა ტბელის ჰიმნოგრაფიულ კრებულში /“გალობანი წმინდისა იოანე ნათლისმცემლისანი, წმინდისა იოანე მახარებლისა და წმინდისა იოანე ოქროპირისანი“/ კარგად ჩანს ამ უდიდესი ღვთისმეტყველი მწერლისა და წმინდანის სახე. წმინდა ტბელი დაინტერესებული ყოფილა წელთაღრიცხვის პრობლემებით და შეუდგენია “ქრონიკონი სრული საუწყებელითა და განგებითა“, რომელშიც, ასტრონომიისა და ისტორიის ცოდნასთან ერთად, გადმოცემულია კალენდრის კოსმიური გააზრება და ქრისტიანული ესქატოლოგია. ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანია წმინდა ტბელ აბუსერიძის ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულება: “ახალნი სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“; იგი გვაწვდის ცნობებს ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საგვარეულოს - აბუსერიძეთა მოღვაწეობის და მათი კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებაც¹⁶⁴.

ქართული სამწიგნობრო ენის, ზოგადად, კულტურის ისტორიას ასევე ამშვენებენ: სტეფანე სანანოისძე (ჰყონდიდელი), დავით ტბელი, იოვანე-ზოსიმე, მიქელ მოდრეკილი, გიორგი მთაწმინდელი, სტეფანე ათონელი, თეოფილე ხუცესმონაზონი, ლეონტი პროველი, გიორგი მცირე, დავით აღმაშენებელი, იოანე პეტრიწი, არსენ ბერი, ნიკოლოზ გულაბერისძე, იოანე ანჩელი, იოანე შავთელი, არსენ იყალთოელი და სხვა. აქვე, საგანგებოდ დავასახელებთ ცნობილ მწიგნობრებს სვანეთიდან: გრიგოლ სვანი, იოანე ქანცხიანი (ქაცხიანი), გრიგოლ ქანცხიანი, ილარიონ სოფრომაძე, ტიმოთე პაპა, იოანე ფარჯანიანი, ვახტანგ ფარჯანიანი, იოანე ხარიტონიანი, გიორგი მოზდონიანი, მიქაელ ოდარიანი, უხოჯელიანი, შქერიანი, იოანე ჯავესიანი, დემეტრე იფარელი, ჰემდინიანი, იოანე დალიდიანი, ქერაბინ ხოჯელანი, დემეტრე ღოღელიანი, ივანე მულახელი და მრავალი სხვ.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ წინა საუკუნეებში მოღვაწე ჩვენი წინაპრებიც განსაკუთრებული სისათუთით იხსენებდნენ და ინახავდნენ ძველ ქართველ მწიგნობართა სახელებს; სანიმუშოდ წარმოვადგენთ ნაწყვეტს XVI საუკუნის მოღვაწის - ბაგრატ ბატონიშვილის თხზულებიდან (“მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთაჲ“): **“იყვნეს უკუე უწინარეს მოჰამედისა კაცნი წმინდანი და სასწაულთმოქმედნი, ნათესავით ქართველნი, დავით (ტბელი) და სტეფანე (ჰყონდიდელი)... რომელნი წარვიდეს იერუსალიმს და გვითარგმნეს ჩუენ წიგნები ყოველი ბერძნულისგან ქართულად“...**

¹⁶⁴ <http://www.orthodoxy.ge/tveni/agvisto/17-tbeli.htm>

11. ქართული ხელნაწერები; ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ (ქება ქართველთაჲ)

ქრისტიანობა სახალხო-განმანათლებლური რელიგიაა, შესაბამისად, ქრისტიანი მოღვაწეები ცდილობდნენ, სხვადასხვაენოვანი ხალხებისთვის დედაენით მიეწოდებინათ ქრისტეს მოძღვრება; სახარებაში სულთმოფენობის სასწაულითაა გაცხადებული ეს **გამორჩეული ტენდენცია**.

11.1. ხელნაწერები - ქართული კულტურული მემკვიდრეობა¹⁶⁵

საქართველოში ქრიატიანული წყაროების თარგმნაცა და საკუთრივ ქართულენოვანი ლიტერატურის შექმნაც, სულ მცირე, 16 საუკუნეს ითვლის. არქაული თარგმანებიცა და ორიგინალური ქმნილებებიც ხელნაწერების სახითაა შემონახული. პირველ რიგში, ითარგმნა სახარება, სამოციქულო, ფსალმუნი, დაბადება და წინასწარმეტყველთა (იერემია, ესაია, ეზრა) წიგნები; ასევე - რამდენიმე ადრეული აპოკრიფი. მაზდეანური ირანთან მწვავე დაპირისპირების პირობებში განვითარდა ორიგინალური აგიოგრაფიული მწერლობა; გაჩნდა ამავე ჟანრის პირველი ქართული თარგმანებიც.

476-482 წლებით დათარიღებული ორიგინალური თხზულების - “შუშანიკის წამების“ თანახმად, V ს-ის 70-იან წლებში საქართველოში უკვე არსებობდა სახარების, პავლეს ეპისტოლეების, ფსალმუნისა და წმინდა მოწამეთა წიგნები.

სახარება ერთ-ერთი პირველი ბიბლიური წიგნია, რომელიც ქართველებმა ქრისტიანობის მიღებისთანავე თარგმნეს. მისი უძველესი თარგმანები გვხვდება V-VII სს-ით დათარიღებულ პალიმფსესტებზე. ეს პირველი ტექსტები გადაწერილია მთავრული ანბანით. მათში ასახულია აღნიშნული ეპოქის ენობრივი თავისებურებანი; მაგ., ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირებისა და ხარისხის ფორმების წარმოება ხდება **ხ-**პრეფიქსით (ხანმეტობა).

ამ პერიოდში გადაწერილი ოთხთავები არ არის შემკული ორნამენტებით. ამგვარ წიგნებში დეკორის ფუნქციას ასრულებს მონუმენტური საზედაო ასოები (სახარებების მხატვრული ელემენტებით გაფორმება მოგვიანებით IX-X სს-დან დაიწყო).

ადრეულ ეტაპზევე შედგა საღვთისმსახურო-ლიტურგიკული დანიშნულების კრებულები:

¹⁶⁵ პარაგრაფი მომზადებულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ლელა შათირიშვილის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით; ვრცლად იხ.: <http://www.geomanuscript.ge>; http://geomanuscript.ge/Kartuli_Khelnaweri_Alboni.pdf.

ხანმეტი ლექციონარი - სამრევლო და სამონასტრო მსახურებაში სხვადასხვა დღესასწაულისთვის დადგენილი წეს-განგება, რომელიც მოიცავს ძველ და ახალ აღთქმას. ასეთი სახის ლიტურგიკული კრებულები არსებობს XI საუკუნემდე.

იაღვარი - მთელი წლის საღვთისმსახურებო ტექსტები, რომლებიც გამოიყენებოდა X საუკუნის დასასრულამდე. შემდგომ მათ ბაზაზე იქმნება: თვენნი, მარხვანი, პარაკლიტონები და ა.შ.

მრავალთავი - ღვთისმსახურების დამხმარე კრებული. აერთიანებს წმინდა მამათა საეკლესიო კალენდარზე გაწყობილ ქადაგებებს, აგიოგრაფიულ თხზულებებსა და აპოკრიფებს. მრავალთავები ადრეული კრებულებია; მათი შედგენა უკავშირდება ცალკეული საუფლო დღესასწაულის ჩამოყალიბების პერიოდს. დღემდე ცნობილია IX-XI საუკუნეების როგორც კლარჯულ-პალესტინური, ასევე ათონური წარმომავლობის ქართული მრავალთავები. მრავალთავებში გაერთიანებული თხზულებები წარმოადგენენ ადრექრისტიანულ ტექსტებს; ქრისტიანულ სამყაროში არსებული ადრეული მრავალთავების უდიდესი ნაწილი დაცულია მხოლოდ ქართულ ენაზე¹⁶⁶; შესაბამისად, **ქართულ თარგმანებს** საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანული მწერლობის ისტორიის კვლევაში. მრავალთავის ტიპის კრებულები არსებობს X-XI საუკუნეთა მიჯნამდე; შემდეგ მას ცვლის შერეული სახის კრებულები - სამრევლო-სამონასტრო განათლებისათვის განკუთვნილი საკითხავი წიგნები.

არაბობის დასასრულიდან - IX-X საუკუნეებიდან - იწყება ქართული ხელნაწერი წიგნის განვითარების დიდი აღმავლობის პერიოდი. საქართველოსა თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ (განსაკუთრებით წმინდა ადგილებში) არსებულ **ეკლესია-მონასტრებში იქმნება** ჰიმნოგრაფიული და აგიოგრაფიული კრებულები, რომლებშიც ერთიანდება თარგმნილი და ორიგინალური ქართული თხზულებები (მაგ., პარხლის მრავალთავი), დგება ენციკლოპედიური ხასიათის კრებულები (მაგ., შატბერდის კრებული), იქმნება ოთხთავის მოხატული ვარიანტები (მაგ., 897 წლის ადიშის ოთხთავი, 936-940 წწ. ჯრუჭის I სახარება...), ქართველთა გაქრისტიანების ქრონიკები ("მოქცევაჲ ქართლისაჲ...").

ამავე პერიოდიდან ძლიერდება ბაგრატიონთა სამეფო სახლისა და დიდი ფეოდალური ოჯახების ფინანსური შესაძლებლობები, რაც საშუალებას აძლევს მათ, ხელი შეუწყონ მწიგნობართა საქმიანობას; შესაბამისად, იზრდება ხელნაწერთა რაოდენობა, მაგ., წმ. ეკატერინეს მონასტრის საცავში 239 ქართული ხელნაწერი და ფრაგმენტი ინახება. ეს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი კოლექციაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სინურ-პალესტინური და კლარჯული ქართულენოვანი ხელნაწერები, ერთი მხრივ, სრულად ასახავენ თანადროული ბერძნული, ქრისტიანული, არაბული და სირიული კულტურების ტენდენციებს, მეორე მხრივ კი - კარგად წარმოაჩენენ ქართველ მწიგნობართა და განმანათლებელთა მაღალ დონეს.

¹⁶⁶ დედნები დაკარგულია; შემონახულია მხოლოდ ქართულენოვანი თარგმანები.

როგორ იქმნებოდა ხელნაწერები? V ს. ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო საწერი მასალის ორი სახეობა - პაპირუსი (ჭილი) და ეტრატი (პერგამენტი), რომელიც, როგორც წესი, ხბოს, კრავისა თუ თიკნის ტყავისგან მზადდებოდა. ქართულმა მწიგნობრობამ უპირატესობა ტყავის მასალას, ანუ ეტრატს მიანიჭა, რამდენადაც ტყავის წარმოება საქართველოში ხელოსნობის ტრადიციულ დარგს განეკუთვნებოდა. პალესტინაში მოღვაწე ქართველი მწიგნობარი ბერები საწერ მასალად ჭილსაც (პაპირუსსაც) იყენებდნენ; კერძოდ, X საუკუნეში პალესტინაში შექმნილი წიგნები - მთელი წლის სადღესასწაულო საგალობელთა კრებული - იადგარი და ფსალმუნის ფრაგმენტი ძირითადად პაპირუსზეა შესრულებული; იადგარში საწერ მასალად გამოყენებულია ეტრატიც; სწორედ ამიტომაც ეს კრებული **ჭილ-ეტრატის იადგარის** სახელწოდებითაა ცნობილი. X-XI საუკუნეებიდან ეტრატს თანდათანობით მეტოქეობას უწევს ქალაღი. XI-XII საუკუნეების მიჯნაზე იგი ჩნდება არა მხოლოდ საზღვარგარეთის ცენტრებში, არამედ საქართველოში გადაწერილ ხელნაწერებშიც. საქართველოში ქალაღი შემოდინდა ნახევარფაბრიკატის სახით.

საქართველოში XVIII საუკუნის დასასრულამდე ეტრატსა და ქალაღზე წერისათვის მხოლოდ ლერწმის კალმები გამოიყენებოდა. XVIII საუკუნიდან თანდათანობით შემოვიდა ფრთის კალმები; მოგვიანებით - ლითონის კალმებიც.

ქართულ ხელნაწერებში საწერ მასალად ძირითადად გვხვდება შავი, ყავისფერი, წითელი, მწვანე, იშვიათად ლურჯი საღებავნარევი მელანი და ოქრომელანი; კერძოდ, ბერძნული ტერმინის **“მელანი”¹⁶⁷** პარალელურად ქართულში დადასტურებულია: **შემგბარი**, რაც დუღილის შედეგად მიღებულ საწერ სითხეს გულისხმობს. მუქი მელნის აღსანიშნავი ტერმინია **შავი**, ხოლო წითელი მელნისა - **წითელი** და **სინგური**.

ცნობილია, რომ V-VI საუკუნეების ქართულ პალიმფსესტებში გამოყენებული მელანი რკინას შეიცავდა. მის დასამზადებლად გამოიყენებოდა სამელნე კაკლები ანუ მუნის დანამატები, შავი კიპაროზი და გუმიარაბიკი - აკაციის ზოგიერთი ჯიშისაგან მიღებული მყარი, გუმფისური ნივთიერება. რაც შეეხება “სინგურს”, იგი შეიცავდა: გოგირდსა და ვერცხლისწყალს. “წითელი” და “სინგური” გამოიყენებოდა სახედაო ასოების, სათაურებისა და დასაწყისების გამოსაყოფად.

წერისა და მოხატვა-შემკობის დროს გამოიყენებოდა ოქროს ფხვნილის წებოვან ნივთიერებასთან შერევით მიღებული **ოქრომელანი**.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში დაცულ უნიკალურ ხელნაწერთაგან ათასამდე **ეტრატზეა** შესრულებული. უძველესი ქართული ხელნაწერები, სახარებისა და სასულიერო მწერლობის სხვა ძეგლები ადასტურებს, რომ საქართველოში ტყავის საწერი მასალის წარმოება მაღალ დონეზე იყო: ჩვენთან იწარმოებოდა მშვენივრად დამუშავებული დიდი ფორმატის ფურცლები¹⁶⁸.

¹⁶⁷ შავი საწერ-საღებავი.

¹⁶⁸ განსაკუთრებით ძვირფასი ეტრატი მზადდებოდა ხბოს ან ცხვრის ემბრიონისგან.

საწერი მასალის დაზოგვის მიზნით, ზოგ სიტყვას შემოკლებულად წერდნენ და თავზე განივ, ოდნავ კლაკნილ ხაზს უკეთებდნენ; ამ ხაზს **ქარაგმა** ეწოდებოდა.

ეტრატისგან დამზადებული ხელნაწერი ორი სახისაა:

- **გრაგნილი** - ერთმანეთზე გადაკრებული ან მიწებებული ფურცლების ხვეული;

- **წიგნი** - რვეულებისაგან დამზადებული, აკინძული და ყდამი ჩასმული ხელნაწერი; თითოეული რვეული ერთი მთლიანი ეტრატისაგან მზადდებოდა ფურცლების ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად გადაკეცვით.

დანიშნულების მიხედვით ხელნაწერი სხვადასხვაგვარია:

➤ **საზეიმო ხელნაწერი**, რომელიც საგანგებოდ იმკობოდა მდიდრული მინიატიურებით, ფერადოვანი, მრავალფეროვანი კომპოზიციებით, თავსაძკაულებით. საზეიმო დანიშნულების ხელნაწერები ძირითადად ოთხთავები იყო;

➤ **სამონასტრო დანიშნულების ხელნაწერი**, მონასტრის ყოველდღიური საჭიროებისათვის არსებული ეგზემპლარი უმეტესწილად, სადად იყო გაფორმებული.

ხელნაწერი წიგნები ზომისა და შედგენილობის მიხედვითაც სხვაობდა; დღემდე მოღწეულია უზარმაზარი კრებულები - გულანები, რომლებიც ეკლესიაში ღვთისმსახურებისას გამოიყენებოდა (ზოგჯერ 1000 ფურცელს შეიცავდა); მათი ხელში აღება შეუძლებელი იყო; გადაჰქონდათ სპეციალური საგორავებით. ასევე, მრავლადაა შემონახული ე.წ. **სათანაო ხელნაწერები - მცირე ზომის წიგნები**, მზადდებოდა თან სატარებლად (ჯიბეში ჩასადებად)¹⁶⁹.

მოხატული და შინაარსით მრავალფეროვანი ხელნაწერი წიგნის ფლობა ღირსებას სძენდა როგორც სასულიერო, ასევე საერო პირს.


ძველი წიგნების მთარგმნელების, ორიგინალების ავტორებისა და ხელნაწერების შემკეთების გარდა, უდიდეს საქმეს აკეთებდნენ ხელნაწერების გადამწერები (კალიგრაფები); მათი ღიდი ნაწილი ამავე დროს იყო ხელნაწერების “შემმოსველი” - ყდისა და აკინძვის ოსტატი; “ტექსტის განმაცხოველებელი” - წაშლილი ადგილების აღმდგენი; “მხრეველი” - მეცნიერ-რედაქტორი; მაგ., მეცნიერ-რედაქტორიც, გადამწერიც და შემმოსველიც იყო X საუკუნის ღიდი მოღვაწე - **იოვანე ზოსიმე**.

¹⁶⁹ www.geomanuscript.ge; ქართული ხელნაწერი წიგნი V-XIX სს. ალბომი, თბ., 2012 წ

11.2. "ქებაჲს" ხელნაწერები

უცნობი ავტორის მიერ შექმნილი "ქებაჲ და ღიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლია; იგი X საუკუნის ოთხი ხელნაწერთაა მოღწეული; ოთხივე გადაწერილია უცხოეთში არსებულ ქართულ სამონასტრო კერებში - საბაწმინდის ლავრაში (იერუსალიმთან) და სინას მთაზე - წმინდა ეკატერინეს მონასტერში; კერძოდ:

პირველი ხელნაწერი გადაწერილია **იოვანე ზოსიმეს** მიერ 965 წელს და ჩართულია მის მიერვე შედგენილ ლიტურგიკულ ენციკლოპედიაში:



1. Sin 34-ის ფრაგმენტი, ამჟამად დაცულია რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციაში Gr.VII,6r. X ს-ის შუა წლები. იოვანე-ზოსიმეს ავტოგრაფი.


სხლითა ღმთა
ქებ და ღბი ქართულისა ენისა ლცყო

დამარხულ არს ენად ქართული
დღუდმდე მეორედ მოსლვისა მისისა
საწამებულად რა ყლსა ენასა ღთმან
ამხილოს ამით ენითა და ესე ენად
მძინარს არს დღესამომდე:


და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარს
[ქრქვან: და ახალმან ნინო მოაქცია
[და] კელენე დედოფალმან: ესე არი
ან ორნი დანი ვა მარიამ და მართად:
და მეგობრობად ამისთვის თქა ვდ
ყლი საიდუმლოდ ამას ენასა შინა
დამარხუ არს: და ოთხისა დღისა მკუ
დარი ამისთვის თქა დავით წყელმან
რ წელი ათასი ვა ერთი დღს
და სახრბასა შინა ქართულსა თავსა
წ მათსსა წერილი ზის რღ ასოდ არს
და იტყვს ყლად ოთხ ათასსა მარავსა:
და ესე არს ოთხი დღს და ოთხისა დღისა
მკუდარი ამისთვის მის თანავე დაფლ
ული სიკდილითა ნათღისღებისა მისისადთა
და ესე ენად შემკული და კხეული სახელი
თა ოისადთა მდაბალი და დაწუნე
ბული მოელის დღესა მას მეორედ მოს
ლვასა ოისასა და სასწაულად
ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი
წელი უმეტეს სხუათა ენათა ქეს
მოსლვითგან ვე ღღესამომდე:
და ესე ყლი რლი წერილ არს მოწამედ წარ
მოგითხარ ასი ესე წელი ანბანისა:
ღცყო წნო ღისნო ღცყო: ან:

“ქებას“ მესამე ხელნაწერი ჩართულია “სინურ მრავალთავში“. საუფლო და დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე საკითხავი ჰომილეტიკური თხზულებების ეს კრებული შეიქმნა 864 წელს **მაკარ ლეთეთელის** დაკვეთით. იგი 981 წელს მესამედ “შემოსა“ (გაახლა) იოვანე ზოსიმემ. კალიგრაფია ცხადყოფს, რომ მისივე გადაწერილია ბოლო ფურცელი, რომელიც, ვფიქრობთ, შელანძღული იყო ხანგრძლივი გამოყენების გამო; სწორედ ამ ბოლო ფურცელზე იყო “ქება და დიდება ქართულისა ენისა“; ამ ვარიანტის ტექსტიც ზუსტად ემთხვევა 965 წლის ვარიანტს¹⁷⁰:

¹⁷⁰ **დამატებითი არგუმენტებია საჭირო**, რომ ზუსტი პასაუხი გაეცეს კითხვას: სინურ მრავალთავს (864 წ.) თავიდანვე ახლდა “ქებას“ ტექსტი თუ იოვანე-ზოსიმემ დაუერთო 981 წელს?




3.Sin.32-57-33, 275 r, 864 წ. „ქებაჲს“ ტექსტი ხელნაწერში ჩართულია 981 წელს იოვანე-ზოსიმეს მიერ).




მეოთხე ვარიანტს სხვაგვარი ისტორია აქვს: სინას მთის დეკანოზის, **მიქაელის** ლოცვა-კურთხევით 981-983 წლებში შეიქმნა ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულში; ტექსტები გადაწერეს იოვანე-ზოსიმემ და ორმა უცნობმა გამამწერმა (ლ. ხევსურიანი). კრებული 983 წელს “შემოსა” იოვანე-ზოსიმემ. ამ კრებულში **მიქაელ დეკანოზის** სურვილით შეტანილ იქნა “ქებაჲს” განსხვავებული

ტექსტი, რომელიც გადაწერილია იოვანე-ზოსიმეს თანამედროვე უცნობი ბერის მიერ. **“ქებაის“ მეოთხე ვარიანტი მნიშვნელოვნად განსხვავდება მანამდე (20 წლის მანძილზე) იოვანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი სამი ერთნაირი ვარიანტისგან.** კრებულის შემმოსველ იოვანე-ზოსიმეს არც კი უცდია, გაესწორებინა ან გაესწორებინებინა “ქებაის“ მეოთხე ვარიანტი - მეოთხე სახესხვაობაშიც აესახა მის მიერ სამჯერ გადაწერილი “ქებაის“ განსხვავებული წაკითხვები; ჩანს, მიქაელ დეკანოზს სურდა, მისი ლოცვა-კურთხევით შედგენილ კრებულში შესულიყო სწორედ ის ვარიანტი, რომელმაც ჩვენამდეც მოაღწია:



ჩვენამდე მოღწეული დედანი ასე გამოიყურება:



წარმოდგენილი ფაქტები ცხადყოფს, რომ “ქებადს“ ავტორი არ არის იოვანე-ზოსიმე; მეორედ მოსვლის ჟამს გაბრწყინებაზე ორიენტირებული და ამ თვალსაზრისით **მესიანისტური ხასიათის** სასულიერო ლექსი-საგალობელი, რომლის **დედაარსია ქართველი ერის ღვთიური გაბრწყინება**, შექმნილია ბევრად უფრო ადრე (იხ. ქვემოთ); თუმცა, უდავოა, რომ “ქებადს“ ჩვენამდე მოღწევაში ღიძლია **ბერ იოვანე-ზოსიმეს** როლი; მისი ამქვეყნიური ცხოვრება იყო განუწყვეტელი ლოცვა ქართველი ერისათვის; ამ თვალსაზრისის დამამოწმებელია მისი ერთ-ერთი **ანდერძი**, რომელიც დართულია 983 წლის ხელნაწერზე:

“ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და მიქაელ, გაბრიელ, კურიკე, გიორგი, იოვანე-ზოსიმე და ყოველნი ძმანი ქრისტეანენი და **უფროდს ყოველთასა ყოველნი ქართულნი**“.

თანამედროვე პუნქტუაციური ნორმების გათვალისწინებით, ვფიქრობ, “ქებადს“ **ტიქსტი ასე უნდა წარმოჩინდეს:**

დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენად მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართად.

და მეგობრობად ამისთვის, თქუა რამეთუ ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის, თქუა დავით წინაისწარმეტყუელმან, რამეთუ “წელი ათასი ვითარცა ერთი დღე”.

და სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათწსსა, წერილი ზის, რომელ ასოდ არს და იტყუს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა, და ესე არს ოთხი დღე;

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის, მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.

და ესე ენად შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა.

და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაჲ.

11.3. "ქებად" ტექსტის ანალიზი

“ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“ ანუ “შესხმად ქართველთად და ქართველთა ენისად“¹⁷¹ ბევრმა მკვლევარმა გააანალიზა; კერძოდ, ტექსტის შესწავლისა და საგალობლის შექმნის დროს დადგენის მცდელობები იწყება 1858 წლიდან, როდესაც ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ ფრანგულად თარგმნა “ქებად“. დღემდე არაა დადგენილი ტექსტის შექმნის ზუსტი თარიღი; სავარაუდოდ დროდ მიიჩნევა: IV საუკუნე (ა.ბაქრაძე, პატარიძე, გ. ნარსიძე, მ. ჩხარტიშვილი...); VI საუკუნე (ა.ჯაფარიძე); VIII საუკუნე (ტ. ფუტყარაძე), IX საუკუნე (პ. ინგოროყვა); X საუკუნე (კ. კეკელიძე, ზ. გამსახურდია, ნ. პაპუაშვილი...). “ქებად“ შინაარსის ჩვენეული გააზრება კი ასეთია¹⁷²:

დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

მეორედ მოსვლის დღემდე ქართული ენა შენახული იქნება (იარსებებს), ვინაიდან ამ ენით უფალმა სხვა ერებს (ენებს)უნდა ამცნოს ჭეშმარიტება და განაწესოს (ამხილოს) ისინი...

და ესე ენად მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან.

ეს ენა დღემდე (დიდი ალბათობით: საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებამდე) იყო მძინარე და სახარებაში მისი სახე-სიმბოლოა ლაზარე - ქრისტეს მეგობარი.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართად.

¹⁷¹ პეტერბურგის (რუსეთის) ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდის ბერძნულ კოლექციაში დაცული (შიფრი: Gr.VII,6r) სინური მრავალთავის სარჩევში ბოლო პარაგრაფი ასე იკითხება: **“შესხმად საბადსი და საბაწმინდისად და ქართველთად და ქართველთა ენისად“**. ვფიქრობთ, პარაგრაფის პირველი ნახევარი არის **“შესხმა“** (ქება, ხოტბა) საბასი და საბაწმინდისა, ხოლო მეორე ნახევარია: **“შესხმად ქართველთად და ქართველთა ენისად“**.

¹⁷² სხვადასხვაგვარი დათარიღებისა და ტექსტის შინაარსის განსხვავებული წაკითხვებისათვის ვრცლად იხ.:

ზ. გამსახურდია, ქებად და დიდებად ქართულისა ენისად http://www.amsi.ge/istoria/zg/qebai_da_didebai.html;
ქებად და დიდებად ქართულისა ენისად, თბ., 2000 (შემდგენელ-რედაქტორი ტ. ფუტყარაძე)

<http://www.scribd.com/doc/69574791/Putkaradze-Kebai-Da-Didebai-Kartulisa-Enisai> -

ქართველი ერი (ქართული ენა) უფლის სიტყვისკენ მოაქციეს წმინდა ნინომ და ელენე დედოფალმა; ესენი არიან ორნი დანი (მღრ. “მოქცევაჲ ქართლისაჲ: თანასწორნი დანი), ვითარცა მარიამ და მართაჲ¹⁷³.

და მეგობრობად ამისთვის, თქუა რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

ლაზარესა და ქართველთა (ქართული ენის) სიახლოვე იმიტომ ითქვა, რომ, ლაზარეს მსგავსად, ქართველ ერში (ქართულ ენაში) დავანებულია დაფლვით ნათლისღების, აღდგომისა და განახლების (გაცხადების) საიდუმლო.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის, თქუა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ “წელი ათასი ვითარცა ერთი დღე”.

ლაზარესავით ოთხი დღის მკუდარი იმიტომ, რომ წინასწარმეტყველი ამბობს, “წელი ათასი ვითარცა ერთი დღე”, მღრ.: ლაზარე მე-4 დღეს აღსდგა, ხოლო ქართველი ერი ქრისტეს ნათელს ეზიარა მაშინ, როცა ის თავისი არსებობის IV ათასწლეულში იყო: ბაბილონის გოდოლიდან - ერების გაჩენიდან¹⁷⁴ - საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე 4 000 წელია.

და სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათჴსსა, წერილი ზის, რომელ ასოდ არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა, და ესე არს ოთხი დღე;

ქართულენოვანი სახარება იწყება “წ” ასოთი (გრაფემით), რომლის რიცხვითი მნიშვნელობაა 4000. სახარების პირველი ასო სიმბოლურად

¹⁷³ მირიანის მეუღლის - ნანას - გათანაბრება მოციქულთა სწორ ნინოსთან ხომ არ მიანიშნებს, რომ **საგალობლის ავტორია ნინოსა და მირიანის თანამედროვე ქრისტიანი მოღვაწე? IV** საუკუნის საქართველოში ქრისტიანულ-კულტურული აღმავლობა იწყებოდა, VIII-IX საუკუნებში კი - **ქართველთა ეროვნული მობილიზება** არაბობისგან თავდასაღწევად; ორივე ეპოქაში იყო **ფსიქოლოგიური საფუძვლები**, ლაზარესთან გაიგივებულიყო ქართველი ერის ბედი.

¹⁷⁴ “ენების აღრევა” **კაცობრიობის ახალი მოდელის შექმნაა** /ფაქტობრივად, ბაბილონის გოდოლის ეპიზოდი ახალი შესაქმნა/; იოვანეს “გამოცხადების” მიხედვით, კაცობრიობის ბოლო სახე/მოდელი შეიქმნება მეორედ მოსვლისას, რომლის შემდეგაც ახალ “იერუსალიმში” **ერები მივლენ** უფლის სანთლად დანთებულ კრავის სინათლით და მიიტანენ **ერების** (ხალხების) დიდებასა და პატივს (21,24-26); იხ.:

http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/apokalips/apokalips-21.htm;

http://days.pravoslavie.ru/Bible/B_otkr21.htm

საყურადღებოა: არქაულ ქართულ ტექსტში ერის, ხალხის ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა-ფორმა **“წარმართი”**; ჩანს, აღრეულ პერიოდში “წარმართს” **სწორად მცნოვრები, კულტურული საზოგადოების** მნიშვნელობა ჰქონდა; ამ სემანტიკური წახნავიდან უნდა განვითარებულიყო ქრისტიანობამდელი ქართული რელიგიის მიმდევარის სახელიც.

მიუთითებს ქართველი ერის (ქართული ენის) 4000-წლოვან ქრისტიანობამდელ ისტორიას, როგორც ლაზარეს დაფლულობის 4 დღეს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს, მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.

ოთხი დღის მკუდარი ანუ 4000-წლიანი ქრისტიანობამდელი დაფლული არსებობა (შენახულობა) ტოლფასია სიკვდილით ნათლისღებისა (მდრ.: “დაფლულობით“ ლაზარეს ნათლისღება).

და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა.

ქართველი ერი (ქართული ენა) მშვენიერი, უფლისგან დალოცვილი, თავმდაბალი და ღვთისმოყვარე (მარხული - ამქვეყნიური ხორციელი პატივისგან შორს მყოფი) სიხარულით მოელის უფლის მეორედ მოსვლას.

და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტესს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

ქრისტეს დაბადებიდან დღემდე (საგალობლის დაწერამდე) ქართველი ერის (ქართული ენის) სხვა ერებთან (ენებთან) უპირატესობის ნიშანია **94 წელი**: ქრისტეს დაბადებიდან 94 წლის შემდეგ დაიწერა იოვანეს გამოცხადება¹⁷⁵ რომელშიც აღწერილია მეორედ მოსვლა; **სხვა ხალხებთან შედარებით ქართველი ერის უპირატესობა გაცხადდება სწორედ მეორედ მოსვლის ჟამს.**

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ ესე წილი ანბანისაჲ.

ყოველივე ზემოთქმულის ჭეშმარიტებას ამოწმებს (ადასტურებს) ქართული ანბანის **ასონიშანი V** (რომელიც ნიშნავს 4 000 წელს და რომლითაც იწყება მათეს სახარება).

¹⁷⁵ თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ “იოვანეს გამოცხადება“ დაწერილია ახ.წ. 95 წელს.

12. ქართული მწერლობის ძირითადი ტენდენციები

საისტორიო მწერლობიდან ჩანს, რომ **ქრისტიანი ქართველი მემკვიდრეები** ველურებად მიიჩნეოდნენ წარმართ ქართველებს¹⁷⁶; მიუხედავად ამისა, ისინი ვერ მალავენ, რომ ქართული ანბანი (მწიგნობრობა) შეიქმნა ქრისტიანობამდელ პერიოდში მეფე ფარნავაზის დროს. ეს გარემოება უეჭველს ხდის ქართული მწიგნობრობის წარმართულ წარმომავლობას¹⁷⁷. ქრისტიანობამდელი ქართული მწერლობის ნიმუშები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის¹⁷⁸.

12.1. სასულიერო და საერო მწერლობა; ერთიანი ქართული სამწიგნობრო ენის ორი ძირითადი სტილი

16-საუკუნოვანი ქართულენოვანი წერილობითი კულტურა მოიცავს ორ ძირითად წახნაგს: საეკლესიო მწერლობას და საერო მწერლობას. საეკლესიო მწერლობა მოიცავს: აგიოგრაფიას, ჰიმნოგრაფიას, ლიტურგიკას (საეკლესიო წესების შესახებ ლიტურატურას), კანონიკას (მაგ., რუის-ურბნისის “ძეგლისწერა“, “კათალიკოსთა სამართალი“...)... საერო მწერლობა - საისტორიო ლიტურატურას, მხატვრულ ლიტურატურას, სამეცნიერო ლიტურატურას.

სხვა ცივილიზებული ერების ლიტურატურისგან განსხვავებით, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტურატურა იქმნებოდა და იქმნება ერთი სამწიგნობრო ენით, რომელიც რეალიზებულია საეკლესიო და საერო სტილების სახით. თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე ქართული სამწიგნობრო ენა **ერთდროულად** და უწყვეტად **არის სახელმწიფო ენაც, საეკლესიო ენაც და სამწერლობო ენაც**. V საუკუნიდან დღემდე წიგნიერ ქართველს თავისუფლად შეუძლია გაიგოს ნებისმიერი ორიგინალური ტექსტი - ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მოვლენები რაოდენობრივ ცვლილებებს თანდათანობით თუ განიცდიდნენ.

სამწიგნობრო ქართული ენის განვითარებაში არ ჩანს ერთი რომელიმე მონაკვეთი, საიდანაც ახალ ეტაპს დავიწყებთ. საუკუნეების მანძილზე ქართული სალიტურატურო ენის სხვადასხვა სტილით იწერებოდა როგორც სასულიერო, ასევე საერო და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები. V საუკუნეში ქართული სალიტურატურო ენა უკვე იმდენად იყო “დადუღებული“, რაფინირებული, ჩამოყალიბებული, რომ შემდეგ მის

¹⁷⁶ ალექსანდრემ “პოვნა ყოველნი ქართველნი... ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს... და იხილნა რა ესე ნათესავნი **სასტიკნი წარმართნი**... დაუკვირდა ესე ალექსანდრეს...”

¹⁷⁷ ქრისტიანობის დროს რომ ყოფილიყო ქართული ანბანი შექმნილი, ამას სიხარულით აღნიშნავდა ქრისტიანი მემკვიდრე (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე).

¹⁷⁸ ქრისტიანობამდელი დამწერლობის ნიმუშებად მიიჩნევა ნეკრესის წარწერები (ლ. ჭილაშვილი).

ფონეტიკურ, მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ ნორმებს არსებითი, თვისობრივი ცვლილება აღარ განუცდია.

საუკუნეების მანძილზე არსებული ქართული სამწიგნობრო ენის **საეკლესიო და საერო მწერლობის სტილური ვარიანტები ერთმანეთს დროში არ ენაცვლებიან**: XI საუკუნეში არ წყდება “ე.წ. ძველი ქართული”; ამავე სტილით იწერება საეკლესიო ხასიათის შრომები XII-XVIII საუკუნეებშიც და XIX ს. პირველ ნახევარშიც კი¹⁷⁹; გარდა ამისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურება ამჟამადაც ამ ენით მიმდინარეობს; ე.ი. ქართული სამწიგნობრო ენის საეკლესიო და საერო-სამეცნიერო სტილები დღესაც თანაარსებობენ საეკლესიო და საერო ველების მიხედვით; **ეს სტილური ვარიანტები არ არიან სხვადასხვა დროის ენობრივი დონეები**. გარდა ამისა, თავისი ფუნქციონირების ყველა პერიოდში ქართული საერთო-ეროვნული ენა წარმოდგენილია “მრავალგვარი ნაირსახეობით”.

შესაბამისად, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული საერთო-სახალხო ეროვნული ენის სტილური ვარიანტების **ფუნქციონირების პერიოდებზე** (და არა რამდენიმე ქართული სამწიგნობრო ენის არსებობაზე), კერძოდ:

დამწერლობამდელი პერიოდი: არსებობს ზოგადქართული ენობრივი კოინე, მისი ოფიციალური (სახელმწიფო), საკულტო სახესხვაობები და ქართველური კილოები;

V-X საუკუნეები: დღემდე მოღწეული ძეგლების მიხედვით, ფუნქციონირებს საეკლესიო ენა და ქართველთა ზეპირი მეტყველების ოფიციალური და ხალხური ნაირსახეობები;

IX-XX საუკუნეები: გვერდიგვერდ არსებობს სამწერლობო ენის ნორმირებული საეკლესიო, სალიტერატურო (საერო-საკანცელარიო), სამეცნიერო სტილები, ტერიტორიული და სოციალური დიალექტები და ა.შ. (ტ.ფუტყარაძე, 2005).

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის მოკლე ისტორია წარმოდგენილია ახლახან გამოქვეყნებულ (2013) “ქართული ლიტერატურის ოთხტომეულში”, რომლის I ტომი მოიცავს V-XVIII საუკუნეებს (ავტორები: რ. სირაძე, ნ. სულავა და გ. ალიბეგაშვილი); III ტომი ეძღვნება XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას (ავტორები: ლ. მინაშვილი და ი. ევგენიძე); III და IV ტომები ეძღვნება XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას (ავტორი: ა. ნიკოლეიშვილი); შესაბამისად, **“ქართველოლოგიის შესავალში”** მხოლოდ ფრაგმენტულად შევხებით ქართული ლიტერატურის ისტორიას.

ქრისტიანობის დროინდელი ქართველი მწიგნობარნი თავიდანვე (მრავალი საუკუნის მანძილზე) ორიენტირებულნი იყვნენ ქართული ეროვნული ცნობიერების წარმოჩენა-განვითარებაზე; ამ თვალსაზრისით, ქართული ეროვნული შემოქმედების ნიმუშადაა მიჩნეული “ვეფხისტყაოსანი”, რომელიც იკითხება როგორც საერო-სამირო ხასიათის

¹⁷⁹ მაგ., ტბელ აბუსერიძის ქმნილებები XIII საუკუნეში; სულხან-საბას “ქადაგებანი” XVIII საუკუნეში და სხვ.

პოემა და, ასევე - სასულიერო თემატიკის ნაწარმოები (ვ. ნოზაძე, ზ. გამსახურდია...).

ქრისტიანულ სამყაროში საქართველო იყო პირველი ქვეყანა, სადაც XII საუკუნეში შეიქმნა საერო ხასიათის ლიტერატურა. გამოთქმულია მოსაზრება, "ქართულმა ლიტერატურამ, რომელსაც, გიორგი მერჩულიდან (Xს.) მოყოლებული, საკმაოდ ჰქონდა მომზადებული ნიადაგი საერო მწერლობისთვის, XII საუკუნეში თარგმანის გზით ერთბაშად შეისისხლხორცა სპარსული მწერლობის საერო ხასიათის ძეგლები - მოხდა ორი კულტურული სამყაროს, ქართულ-ქრისტიანულისა და სპარსულ-მუსლიმურის ურთიერთგადაკვეთა, რამაც განაპირობა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება" (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ი. აბულაძე, ნ. ბართაია) ანუ, XII საუკუნეში მოხდა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზი, რასაც გვირგვინად დაედგა რენესანსული ქმნილება - საკუთრივ ქართულ ნიადაგზე "ოქროს კვეთის"¹⁸⁰ პრინციპით შექმნილი პოემა, რომელიც მრავალწახანგოვანი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური და რელიგიური განზომილებების საოცარი ერთიანობაა..

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული საერო მწერლობა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდა (კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, ა. სილაგაძე...)¹⁸¹, რომ რენესანსულ ქმნილებაში - "ვეფხისტყაოსანში" - ასახულია "არეოპაგიტული ტრადიციები", რომლებიც განავითარა იოანე პეტრიწმა; კერძოდ, "აღმოსავლური რენესანსის იდეოლოგიური ბაზისი განახლებულ და განვითარებულ იქნა ქართულ სინამდვილეში XII საუკუნის დასაწყისში (შ. ნუცუბიძე)... გარდა ამისა, "ვეფხისტყაოსანი" აირეკლავს ძველი ბერძნული საგმირო პოეზიის გამოცდილებასაც (ვ. ნოზაძე).

სამართლიანი იქნება, თუკი ვიტყვი:

კავკასიაში დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შეხვედრა უფრო შორეული წარსულიდან იწყება; კავკასიის ცენტრალური სახელმწიფო - საქართველო - სულ მცირე, 40 საუკუნის მანძილზეა დასავლური და აღმოსავლური კულტურების ურთიერთგანაყოფიერების ველი, რომელმაც დიდი ხნის წინ შექმნა **საკუთრივ კავკასიური ფენომენი**; კერძოდ, კავკასიაში ჯერ კიდევ ძვ.წ. II-I ათასწლეულებში **კოლხური ცივილიზაციის სახით ჩამოყალიბდა თვისობრივად ახალი, იბერიულ-კავკასიური (ქართველური) კულტურა**, რომლის წიაღში ჩამოიძვრწა ქართველურ-კავკასიური მსოფლადქმაც, ქართული ეროვნული საისტორიო მწერლობაც, ეროვნული მოტივებით განმსჭვალული ქართულენოვანი აგიოგრაფიაც, ევროპული და აღმოსავლური

¹⁸⁰ ვეფხისტყაოსნის თითოეულ სტროფში 4 კარედი და 16 მარცვლია. მათი საზღვარი ზუსტად სიტყვების გასაყარზე მოდის. ეს დაყოფა ნახევარკარედებში ორგვარია: 4/4 - სიმეტრიული და 5//3, ან 3//5 - ასიმეტრიული. პირველს მაღალი შაირი ეწოდება, მეორეს - დაბალი, რომელიც ოქროს კვეთის პროპორციითაა აგებული: 5,3//3,5; 3,5//5,3; 3,5//3,5; 5,3//5,3; მაგ.:

განარებოდა ხვარაშმას // სიხარულითა დიდითა;
მიღწვიან, მომიგონებენ // დამლოცენ, მოვეგონები (გ. წერეთელი).

¹⁸¹ საკითხის ისტორიისათვის იხ. ნ. ბართაია, 2011

სტილებისგან სრულიად განსხვავებული ქართული საერო ლიტერატურაც და უნიკალური ქართული ტოლერანტობაც.

რაც შეეხება საკუთრივ შოთა რუსთველის ქმნილებას:

“ვეფხისტყაოსანი” ევროპული რენესანსისა და დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთი უძველესი გამოვლინებაა, ვინაიდან მისი **საზოგადოებრივი ქცევის კოდექსი** აგებულია სხვადასხვა სოციალური ფენის თანასწორობისისა და პიროვნების თავისუფალ ნებაზე; ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა, ერთი მხრივ, ავთანდილისა და თინათინის (პატრონისა და ყმის) შეუღლება, ავთანდილისა და შერმადინის (პატრონისა და ყმის) მეგობრობა, მეორე მხრივ კი - **ქალის სრული უფლებრივი თანასწორობა** მამაკაცთან, რაც ამ დროის დასავლური კულტურისთვისაც კი მიუწვდომელია /ქალიშვილის მეფედ კურთხევა და სხვ./ (იხ. ქვემოთ).

დავით აღმაშენებლის მიერ 1106-1110 წლებში დაარსებულ გელათის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, “ვეფხისტყაოსანიც” არის ის ერთ-ერთი ქართული მოვლენა, რომელმაც საქართველოს გაუჩინა ჯანსაღი ამბიციაც, თავისი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი გამოეცხადებინა **“სხვა ათინად”** თუ **“მეორე იერუსალიმად”**; კერძოდ, როგორც ცნობილია, IX-X საუკუნეებში მეორე იერუსალიმის პრეტენზია ჰქონდა კონსტანტინეპოლს; XII საუკუნის დასაწყისში კი უკვე **დავით აღმაშენებლის** ისტორიკოსი გელათის აკადემიის შესახებ ასე წერს:

“აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა **მეორედ იერუსალიმად**, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, **სხუად ათინად**”¹⁸².

ამ ფრაზაში ჩვენთვის არსებითია მემატეანის უალტერნატივო პროდასავლური არჩევანი: ათინაც და იერუსალიმიც დასავლური კულტურის ცენტრებია. საყურადღებოა ისიც, რომ მოგვიანებით აღმოსავლეთში არ განვითარებულა ისეთი ევროპული მოვლენები, როგორცაა რომანტიზმი, სიმბოლიზმი... საქართველოში ორივე ეს მოვლენა საკუთრივ ქართული ელფერით განვითარდა - ქართულ ნიადაგზე ბევრი შედეგრი შეიქმნა¹⁸³.

მომდევნო პარაგრაფებში შედარებით ვრცლად განვიხილავთ ორ თემას, რომლებიც, ჩვენი აზრით, ნათლად წარმოაჩენენ **ქართული აზროვნების სიღრმეს** მსოფლიოში არაერთხელ განხილული ორი თემის შესახებ; ეს თემებია:

- **ხელისუფლების გადაცემის კანონიერება სოციალური თანასწორობის კონტექსტში** (12.2.),
- **პიროვნების სულიერი და ხორციელი საწყისების დაპირისპირება** (12.3.).

¹⁸² გელათის აკადემიის პირველი რექტორი (მოძღვართ-მოძღვარი) იყო ბიზანტიური რენესანსის ცნობილი წარმომადგენლების - მიქელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის მოწაფე და თანამოაზრე, ცნობილი ქართველი სწავლული - **იოვანე აფხაზი**, იგივე იოვანე პეტრიწი.

¹⁸³ ამას ვერ ვიტყვით ე.წ. პოსტმოდერნიზმის მეთოდით შექმნილი თანამედროვე ქართული ნაწარმოებების შესახებ, რომლებიც ავტორთა კრიზისს უფრო წარმოაჩენენ.

12.2. ხელისუფლების გადაცემის საკითხი შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსანში“

“ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებ 15-მდე სახელმწიფოს შორის საქართველო საერთოდ არ იხსენიება; გარდა ამისა, შეუძლებელია, ისტორიული საქართველო გავაიგივოთ პოემაში აღწერილ მხოლოდ ერთ რომელიმე სახელმწიფოსთან. ნაწარმოებში წარმოდგენილი ძირითადი ქვეყნების სახელებად შოთა რუსთველი მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა სახელებს იყენებს; ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ავტორის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მკითხველს ესაუბროს გლობალურ კონტექსტში **სახელმწიფოთა მოდელების**, მათი თანაარსებობისა და შეიდასახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების შესახებ. დიდი პოეტი დიდი მოღვაწეც იყო და მან თანამედროვეთ თუ შთამომავლებს ნათლად წარმოადგინა თავისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონცეფციები, კერძოდ, **სახელმწიფოებრივი მოწყობის მიუღებელი თუ სასიცოცხლო პრინციპები**, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა საქართველოს, ზოგადად, სახელმწიფოთა ორგანიზებისათვის.

“ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი სახელმწიფოების პრობლემები თუ პერსპექტივები ბევრ საინტერესო საკითხს თუ კითხვას წამოჭრის; წარმოდგენილ მონაკვეთში უფრო ვრცლად შევეხებით მხოლოდ ერთს - **ხელისუფლების მემკვიდრეობითობის** - საკითხს.

ფარსადანი გაერთიანებული ინდოეთის სახელმწიფოს მეფე ხდება მას შემდეგ, რაც “ინდოელთა“ მეშვიდე სამეფოს მეფემ - სარიდანმა - მას ნებაყოფლობით დაუთმო თავისი ტახტი; უძეო ფარსადანმა მემკვიდრედ სარიდანის შვილი გამოაცხადა (როგორც ეს მოხდა იმდროინდელ საქართველოში; შდრ., ბაგრატის გამეფება).

სარიდანის გარდაცვალების შემდეგ ფარსადანმა გადაწყვეტილება შეცვალა და მოისურვა, საკუთარი ღვთივკურთხეული დინასტია ჩაენაცვლებინა უცხოტომელით: სამეფოდ გამზადებული ასულისათვის ქმრად სპარსი უფლისწული - ხვარაზმმა მოეყვანა, რამაც როგორც ქალიშვილის, ასევე, რეალური მემკვიდრის გულისწყრომა გამოიწვია:

ტარიელი ასე მიმართავს ფარსადანს:

/564/ იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია! -

ერთილა მე ვარ მემკვიდრე, - ყველაი თქვენ მოგხდომია;

ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;

დღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მოჰნდომია!

/565/ ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ევე არ-მართალია:

ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,

ხვარაზმმა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?

სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?

მეფე ფარსადანი შეეცადა, სამეფო დინასტიის მემკვიდრეობის ხელყოფით გამოწვეული ტარიელის აღმფოთება **ყოფით კონფლიქტამდე** დაეყვანა და ნესტანის გამზრდელს - თავის დას (ქაჯეთში გათხოვილ-დაქვრივებულ და სამშობლოში დაბრუნებულ დავარს) - მოკვლით დაემუქრა, რომელმაც საშუალება მისცა ტარიელსა და ნესტანს, ერთმანეთი შეეყვარებინათ.

შდრ.: სამეფო დინასტიის მემკვიდრეობის კონტექსტში, დაქვრივებული მამიდის როლი საინტერესოა **რეალურ ისტორიაშიც**; კერძოდ, სულთანზე გათხოვილი იყო თამარის მამიდა რუსუდანი (დემეტრე I-ის ასული, გიორგი III-ის და), რომელიც დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. თამარი მამიდასთან (რუსუდან დემეტრეს ასულთან) იზრდებოდა. აქვე იზრდებოდა ადრე დაობლებული დავითი (სოსლანიც); რუსუდანი ბავშვობაში მზრუნველობას უწევდა სოსლანს, როგორც თავის მამიდაშვილს - დავით აღმაშენებელის შვილის - დემეტრე I-ის ქალიშვილის - თამარ მრწემის - შვილს.

რუსუდანის აქტიურობითვე თამარი გათხოვდა დავით სოსლანზე. თამარისა და სოსლანის გვერდიგვერდ აღზრდის ეპიზოდს ემსგავსება როგორც ავთანდილისა და თინათინის, ასევე, ტარიელისა და ნესტანის თანშეზრდილობა; რეალური ისტორია “გახლეჩილია” ცუდ და კარგ “ისტორიებად”:

რეალური ისტორიისგან განსხვავებით, **მამიდის თემა ტრანსფორმირებულია ავი დავარის სახედ**. ძმის შიშით, დავარი ჯერ ნესტანს გვემს და მერე ზღვაში დასაჯარგავად ატანს მონებს, ბოლოს თავს იკლავს, ტარიელი კი “ველად იჭრება”.

პოემაში ტრაგიკული ამბები დაატრიალა მეფე ფარსადანის არასწორმა განსჯამ და **არასამართლიანმა გადაწყვეტილებამ**; შედეგად შეიქმნა სახელისუფლებო კრიზისი; ამან ისე დაასუსტა “დიდი ინდოეთი”, რომ გაცილებით სუსტმა ხატაეთმა კინალამ გაანადგურა.

შდრ.: მსგავსი დღე ელოდა თამარის საქართველოსაც **უცხოტომელის - გიორგი რუსის** - ხელში; გიორგი რუსი საქართველოდან განდევნილ იქნა.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ:

შოთა რუსთველი ინდოეთის მაგალითით გვასწავლის, რომ სამეფო დინასტიის, ზოგადად, **ხელისუფლების არაკანონიერი ცვლა კატასტროფის გამოწვევია**. პოემაში ავტორი ვრცლად განიხილავს მისთვის მოსაწონ ვარიანტს:

“არაბეთის“ მეფის თანხმობით, ზედსიძე /თანამეფე/ ხდება არა უცხოტომელი უფლისწული, არამედ, სოციალური იერარქიის დარღვევით, ადგილობრივი დიდებული - ავთანდილი.

დიდი სახელმწიფოს მეფისგან ასეთი დათმობა ნაკლებრეალურია შუა საუკუნეების პოლიტიკურ ველში; მაგრამ რუსთველი გვეუბნება: ასეთი გადაწყვეტილებით ქვეყანა ბედნიერი გახდა. პოეტი იქვე გვიხატავს საპირისპირო ისტორიას: ტარიელის გამეფებაზე უარის თქმამ ქვეყანა გააუბედურა.

ვეფხისტყაოსანში აღწერილი მეფის ასულის გათხოვების ალტერნატიული სცენარები ერთი ისტორიული მოვლენის ორგვარი განვითარების შესაძლებლობის ანალიზია:

ავთანდილის გამეფებაც და ტარიელის არგამეფებაც დავით სოსლანის გამეფების ალუზიაა /პოზიტიურ კონტექსტში/.

დიდი განსაცდელის შემდეგ “ინდოეთიც” “არაბეთის“ მეფის გზას ადგას იმ განსხვავებით, რომ მეფის მემკვიდრის - ასულის - ქმარი ამავე სახელმწიფოს სამეფო გვარისაა (ტარიელი). დიდი აღბათობით, სიუჟეტის ამგვარი განვითარება შეიცავს გიორგი რუსის პრეცედენტის კრიტიკას: **მოცემული ქვეყნის მეფედ უცხო სამეფოს მემკვიდრის მოწვევა გაუმართლებელია**; შოთა რუსთველი მხარს უჭერს სამეფო

მემკვიდრეობის ზედსიძე-თანამეფისთვის გადაცემას, თუკი ზედსიძე უცხოტომელი არ არის: ვფიქრობ, ავტორისთვის ტარიელის მემკვიდრეობითი უფლება დავით სოსლანის უფლების ანალოგიურია და არა - ავთანდილისა, რომელიც მეფის ყმაა:

1992/ მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით, დიდი სპასპეტი, სახელად მიხმოზენ ავთანდილობით, მე დიდებულთ დიდ-გვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით, საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით.

რეალურ ცხოვრებაში, “ავთანდილის” გამეფების კანონიერების აღიარება უფრო რთულია, ვინაიდან იგი არ არის სამეფო გვარის მატარებელი /ტარიელის მსგავსად/. ამიტომაცაა, რომ ავთანდილის გამეფება ხდება მეორე დიდი ქვეყნის - ინდოეთის მეფის დასტურით.

ინდოეთისა და არაბეთის მეფეების მიერ ავთანდილის გამეფების კანონიერების აღიარებით, **შოთა რუსთველი ამართლებს უფრო მეტი ლეგიტიმურობის შემცველ ქორწინებას - თამარისა და სოსლანის ქორწინებას**, შესაბამისად - ქართული სამეფო გვარის ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი განშტოების წარმომადგენლის - დავით სოსლანის - გამეფებას¹⁸⁴. ამ კონტექსტშია საინტერესო ეპილოგში წარმოდგენილი მიძღვნაც /1666/:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად, ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსახმარებლად, ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად, და ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამძახარებლად.

როსტევეანისა და სარიდანის განსხვავებულობა პოეტმა საკუთრივ ლინგვისტური ხერხითაც წარმოაჩინა:

ნაწარმოებში მხოლოდ ორჯერ დასტურდება სიტყვა “სვიანი“, ერთხელ მას განსაზღვრავს სიტყვა: “ღმრთისაგან“, მეორე შემთხვევაში - არა: არაბეთის მეფე არის “ღმრთისაგან სვიანი“ /32/, ხოლო ინდოეთის მეფე - “სვიანი“ /1583/. აშკარაა, რომ ავტორისთვის სრულიად განსხვავებული მახასიათებლებია “ღმრთისაგან სვიანობა“ და “სვიანობა“: პირველი არის სულიერ-ხორციელად სრულყოფილი, უფალთან თანაზიარი მეფე, მეორე კი - ხორციელად ბედნიერი, რომელიც საბედისწერო შეცდომასაც უშვებს; კერძოდ, ინდოეთის მეფის ეს ნაკლი გამოვლინდა მის არასამართლიან გადაწყვეტილებაში - ტარიელის, როგორც ტახტის მემკვიდრის უფლების

¹⁸⁴ შდრ., დავით სოსლანის ისტორია ქართული წყაროების მიხედვით: დავით სოსლანი გიორგი პირველისა და ალანთა მეფის ქალიშვილის - ალდეს - შთამომავალია; კერძოდ: გიორგი პირველის შვილმა დემეტრემ (რომელიც ფლობდა ანაკოფიის ციხეს), თავისი ძმის საწინააღმდეგოდ, ანაკოფიის ციხე გადასცა ბიზანტიელებს და თავადაც ბიზანტიაში გაემგზავრა. მას ჰყავდა შვილი დავითი, რომელიც დემეტრეს მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ბებამ - ალდემ - იშვილა და ალანთა ქვეყანაში წაიყვანა. დავითი მალე გახდა ალანთა მეფე (ცოლად მოიყვანა ალანთა მეფის ქალიშვილი). სწორედ ამ დავითის შთამომავალი იყო სოსლანი, რომელსაც რუსუდანის მიერ საქართველოში ჩამოყვანის შემდეგ დავითი ეწოდა. საკუთრივ, დავითის (სოსლანის) დედა იყო დავით აღმაშენებლის შთამომავალი.

უარყოფაში - რამაც, საბოლოოდ კატასტროფა მოუვლინა მეფესაც და მის სახელმწიფოსაც...

ამრიგად, ტახტის მემკვიდრედ მეფის ერთადერთი ქალიშვილის არსებობის პირობებში, შოთა რუსთველი სამეფო მემკვიდრეობის პრობლემას სამ ვარიანტად განიხილავს (შუა საუკუნეებში ქალის მეფობა პრობლემური თემაა); კერძოდ:

თანამეფე ხდება მეფის ერთადერთი ქალიშვილის ქმარი:

ტ. მოცემული ერის **დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელი:**

“პირველ, ყმა ვარ, წასლვა მინდა პატრონისა სამსახურად /154/...

მე პატრონისა ჩემისა ასული შემყვარებია“/286/.

ჟ. უცხოტომელი ზედსიძე (უფლისწული);

ღ. სამეფო გვარის მქონე, მაგრამ ერთი **რომელიმე საერისთავოს მფლობელი.**

“ღვთისაგან სვიანი“ მეფე არაბეთისა - როსტეგანი - ირჩევს მეორე ვარიანტს და ამით ინარჩუნებს სტაბილურობას.

“სვიანი“ მეფე - ფარსადანი - ირჩევს პირველ ვარიანტს და ქვეყანას ღუბავს.

პოემის ავტორი სიუჟეტის მთავარ ხაზს მესამე ვარიანტის მიხედვით ავითარებს და ამართლებს ამ ვარიანტსაც (პირველთან ერთად); არ იწონებს **სამეფო გვარის მქონე უცხოტომელის** გამეფებას, ამჯობინებს, მეფეთანამეფე გახდეს შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი.

შდრ., რეალური ისტორია:

1160 წელს გიორგი III-სა და ბურდუხანს შეეძინათ ქალიშვილი - **თამარი - მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კანთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელი.**

1179 წელს მეფე გიორგიმ თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა; 1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა; 1185 წელს გავლენიან ფეოდალთა და ვაჭართა ერთმა ჯგუფმა თამარს, მისი სურვილის წინააღმდეგ, შერთო ანდრეი ბოგოლიუბსკის შვილი - გიორგი (იური). ორნახევარი წლის შემდეგ თამარი განქორწინდა; იური საქართველოდანაც განდევნეს. მეფე თამარი მეორედ დაქორწინდა დაახლოებით, 1189 წელს დავით სოსლანზე.

მაშასადამე, “ვეფხისტყაოსანში“ განხილული ყველა სახელმწიფოს “ამბავი“ XI-XIII საუკუნეების **საქართველოს განვითარების** სხვადასხვა გზის ანალიზია და არა - სხვადასხვა რეალურ სახელმწიფოთა აღწერა. ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერს ისიც, რომ “ვეფხისტყაოსნის“ ყველა პერსონაჟი, ავთანდილის მსგავსად, **ტკბილქართული**¹⁸⁵ მეტყველებს. ვფიქრობ, ამგვარად შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ შოთა რუსთველი თავის ქმნილებაში საერთოდ არ ახსენებს ქართველთა სახელმწიფოს.

¹⁸⁵ ყმა ტკბილი და **ტკბილ-ქართული**, სიკეთისა ხელის მხდელი, ამას ზედა ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი; ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულ-ქმნა მისი საწადელი, ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ღვინი ესე აწინდელი! /710/

12.3. ილიას “განდეგილის“ ტექსტი და ქვეტექსტი

...ამპარტავანი, საწყალობელი, უიდეო, უპიროვნო, ბრმა ფანატიკოსი, ეგოისტი, ბოროტი, უსაქმო მლოცველი, ლაჩარი, თვითმკვლეელი, დაცემული, დამარცხებული, დაღუპული, არაქრისტიანი¹⁸⁶... **კრიტიკოსთა უმრავლესობა დღემდე ამ ტერმინებით "ამკობს" ბეთლემელ მწირს**, არადა, ჩემი აზრით, თავად ავტორი - წმინდა ილია მართალი - **ბეთლემელ მწირს ღვთის კაცად ხატავს** (რომელიც რწმენისათვის მოკვდა!) და შთამბეჭდავად აღწერს XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში **ზნეობრივ დაღმასვლას**; წმინდა ბერის ფონზე პოეტი თანამედროვეთ (თუ მომავალ თაობებს) სთხოვს, წუთისოფელში ხორციელი ვნებების დათრგუნვასა და რწმენის სიმყარეს, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით გადარჩება ქართველი ერი.

ვფიქრობ, ილიას უკანასკნელი პოემა სწორედ იმიტომაა გამორჩეული ქმნილება, რომ აქ ოსტატურადაა გადაჭრილი ადამიანში (ერთ პერსონაში) სულიერი და ხორციელი საწყისების დაპირისპირების მარადიული პრობლემა; კერძოდ, **წმინდა ილია მართალმა “განდეგილში“ განიხილა სამი ცნობილი თეზა:**

I. ხალხის რწმენის დაკნინების გამო, მოცემულ სახელმწიფოს განადგურების საფრთხე ემუქრება. ილია ჭავჭავაძის აზრით, მლოცველებისგან დაცარიელებული ბეთლემი საქართველოა;

II. მხოლოდ მაღალზნეობრივ ადამიანს შეუძლია, ამაღლდეს ხორციელ ვნებებზე.

წმინდა ილია მართლის განდეგილი წმინდა ანტონ დიდის (და სხვა წმინდანთა) სულიერი მემკვიდრეა, შესაბამისად, ამქვეყნიური ზნეობის სახესიმბოლოა;

III. ადამიანში სულიერი და ხორციელი საწყისების მარადიული ჭიდილია; ცოცხალ ადამიანს არ ძალუხს, სრულად უარყოს თავისი ხორციელი საწყისი.

ავტორის ტექსტის საფუძველზე განვიხილოთ თითოეული წახნაგი:

I თეზა: ზნეობადაკნინებული ერი დიდი საფრთხის წინაშე დგება.

პოემის შესავალისა და დასკვნითი ნაწილის შეპირისპირებით ცხადლივ ჩანს “განდეგილის“ დედააზრი (მთავარი მიზანი): საქართველოში ზნეობრივი კრიზისია; ზნეობადაკნინებული ერი კი დიდი საფრთხის ქვეშაა:

შესავალი:

“აქა ყოფილა უწინ კრებული

ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა

და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე

ისმოდა ქება წმინდა-წმინდათა“.

დასკვნა:

¹⁸⁶ მაგ., გ. ჯიბლაძე წერს: “განდეგილობა ეგოიზმს ემყარება და ბოროტებას განასახიერებს... განდეგილმა ბუნება ვერ გააუქმა, ხოლო ბუნებამ თვით განდეგილი მოსპო“ (მსჯელობისა და ლიტერატურის მიმოხილვისათვის ვრცლად იხ., ტ. ფუტყარაძე, გამარჯვება გლოვის ღელეში, თბ., 2013.

“...და იქ, სად წმინდანთ უდიდებით
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების...
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის“.

ილიას მიერ დახატული ბეთლემელი მწირი - ზნეობრივი სისპეტაკის სიმბოლო - რწმენისათვის კვდება. ზნეობრივი გმირის გარდაცვალების შემდეგ მის სამყოფში ნადირი იბუღებს; ამ ფონით ავტორი გვეუბნება:

ქართველი ერის შვილები თუკი ქვეყნისათვის მლოცველნი არ იქნებიან, საქართველოს კატასტროფა მოევლინება - საქართველოში მხეცი დაიბუღებს.

წმინდა ილია მართალი თავის წერილებშიც ავითარებდა ამ თვალსაზრისს; მაგ., 1887 წლის 16 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში: **“ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის“** ის წერს:

“თუ რენონის მიერ ჩამოთვლილი სათნოებანი დედაკაცობისა, თუ მამაკაცობისა, აქა-იქ საზოგადოებაში დარჩენილნი, არ არიან თავმდებნი ბევრ წილად მიხრწნილის ერის გამოკეთებისა, გამობრუნებისა (ხაზი ყველგან ჩემია - ტ.ფ.), ამ სათნოებათა არქონა კი უსათუო ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგიდან ასაგველად გადადებულა... ამიტომ ერს, რომელსაც დღევრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამალგება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მოიქცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა...”¹⁸⁷.

უშუალოდ “განდეგილთან“ კავშირში ილიას მსგავსი აზრი გამოუთქვამს თავის ბიოგრაფთან - გრ. ყიფშიძესთან - პირად საუბარში; კერძოდ, გრ. ყიფშიძის ხელნაწერში ვკითხულობთ: “...ილიას აზრი ეს იყო და ეს გვიანდერბა თავისი განდეგილით: გიყვარდეთ თქვენც თქვენი უმადლესი სარწმენი, როგორც უყვარდა განდეგილს ღმერთი და სიწმინდე სულისა და თუ რამე დააშავეთ რამ იმ სარწმენის წინაშე, წინაშე თქვენის იდეალისა, თუ სასიცოცხლო პირი გექნებათ, სულის აღშფოთებამ, თქვენმა სულის მხილებამ ისე უნდა გააქროთ, როგორც გააქრო განდეგილი...”¹⁸⁸

შდრ.: სულის მხილებამ ხორციელად გააქრო განდეგილი (განდეგილში სულიერებამ გაიმარჯვა).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მწირის შესახებ პოემად ჩამოძერწილი ლეგენდა ეძღვნება ილიას დიდ მეგობარს - მეუღლესა და თანამოაზრეს - ოლღა ჭავჭავაძისას; ვფიქრობთ, ამ მიძღვნით პოემაში თავიდანვე ცხადდება ილიას აქცენტები მაღალ ზნეობასა და საქვეყნო წუხილზე (ამ პოემაში ნამდვილად არ ჩანს მყინვარისა და თერგის დაპირისპირების მსგავსი ოპოზიცია ასკეტიზმისა და “აქტიური ყოფითი ცხოვრების“ სახით).

ნაწარმოების 28 თავიდან პირველი ექვსი პოემის შესავალი ნაწილია; აქ მოთხრობილია ბეთლემის, სიმბოლურად, საქართველოს სულიერი ისტორია, რომელიც მოკლედ ასე გადმოიცემა:

¹⁸⁷ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი IX, 2006, გვ. 247-248.

¹⁸⁸ ვიმოწმებთ დ. გამეზარდაშვილის ნაშრომიდან: “ილია ჭავჭავაძის ორი სადავო ფსევდონიმის შესახებ“; განთიადი, №3, გვ. 117

გასულ საუკუნეებში “ბეთლემში” უფლისა და ქვეყნისთვის მლოცველი ბევრი ბერი იყო; ისინი “გასულან ამა ქვეყნით”; შემდეგ იქ დამკვიდრებულა ერთი წმინდა ბერი, რომელიც უფალს ლოცვით შესთხოვდა, ეხსნა ქვეყანა.

მომდევნო VII-XXVIII თავებში წარმოჩენილია ამ ერთადერთი მლოცველის შინაგანი სიმართლე და უზომო პატიოსნება:

ბერმა მძაფრად განიცადა (შეინანა!) ხორციელი ცდუნების პერსპექტივა (ბერი ქალს არც კი შეხებია!) და ეპატია კიდევ წამიერი გაორება; შდრ., მსოფლიოში არსებულ მსგავსი თემატიკის სხვა ნაწარმოებებში ბერი/მღვდელი ქალს კოცნის, აფეხმძიმებს... და მაინც მიეტყვებათ! უფლისგან პატიების მიუხედავად (ნუგეშით გადმომზირალი ღვთისმშობლის ხატი!) უსპეტაკესმა მწირმა სულ დათმო ხორციელი ქვეყანა და უფალს მიებარა.

ილიასთვის განდევნილობა საღვთო საქმეა და მისი მოშლა ქვეყნისთვის უბედურებაა. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ერთ-ერთ ვარიანტში მწირის სინონიმად, ღვთის კაცი აქვს გამოყენებული. თავად ილიასაც ახალგაზრდობაში ბერად შედგომა სურდა.

თანამედროვეებმა და მომდევნო - მენშევიკურმა თუ საბჭოთა - თაობებმა ვერ გაუგეს ილიას და ვერც გაუგებდნენ:

1907-მა, 1918-მა (დამფუძნებელი კრება) და შემდგომმა წლებმაც დაადასტურა, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში შემოსულმა და დამკვიდრებულმა ანტიღვთაებრივმა სოციალურ-დემოკრატიულმა “გლობალიზმმა” თითქმის ერთი საუკუნით უკანა პლანზე გადასწია **ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებები**.

ათეისტურ ველში “განდევლის” ვერგაგება ნიჭიერად გაამრავალფეროვნეს საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსებმა: მწყემსი ქალი გააიგივეს თერგსა და დღესთან, ხოლო განდევილი - უძრავობასა (პასიურობასა) და ღამესთან... სინამდვილეში თერგი ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური მოღვაწეობაა, მწყემსი ქალი - პრიმიტიული ყოფითი სიცოცხლის სიმბოლოა, ხოლო **განდევილი** - აქტიური სულიერი მოღვაწეობის სიმბოლო.

ილიას მიერ დახატულ წმინდა მეუღლებზე, წინამორბედთა მსგავსად, “ხორცი სულისთვის უწამებია”, კერძოდ, “ვით ჭურჭელი იგი წყმედილი, ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია” - უკეთ შეუძლებელია ადამიანის განწმენდის პროცესის მაღალმხატვრული აღწერა.

ბეთლემში მწირის მისვლით გაგრძელებულა “მუნ ლოცვის ცრემლი” ანუ კაცობრივი სინანული უფლის წინაშე:

“ღღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება

მოჰფენია კლდეს ყინულისასა,

და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,

ვითა ღელესა მას გლოვისასა“...

აქ არსებითი მნიშვნელობისაა ბიბლიური თემის შემოტანა:

ლოცვის ცრემლი არ შემწყდარა ღელესა მას გლოვისასა.

ვფიქრობ, სწორედ ეს ფრაზაა მთავარი “გასაღები” ნაწარმოების დედააზრის გასახსნელად:

მწირის გარდაცვალების შემდეგ “ლოცვის ცრემლი” წყდება “ღელესა მას გლოვისასა“...

აშკარაა, რომ ილიასთვის “ლოცვის ცრემლი“ ანუ მონანიე ცრემლიანი ლოცვა განწმენდის გზაა, რომელმა გზამაც უნდა იხსნას **ეროვნული სიცოცხლე გლოვის ღელეში**.

რას ნიშნავს “გლოვის ღელე“?

მხატვრული სახე “გლოვის ღელე“ გვხვდება “დავითის“ მკვლელობაში, კერძოდ, მე-6-8 მუხლებში ვკითხულობთ:

“ნეტარ არს კაცი, რომლისა შეწევნა მისი შენგან არს; აღსლვა გულსა თვისსა დაიდვა ღელესა მას გლოვისასა, ადგილსა მას, რომელსაცა აღუთქვა, და რამეთუ კურთხევაი მოსცეს, რომელმანცა შჯული დადვა. ვიდრე იგინი ძალითი ძალად, და გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმერთთა სიონს...”

ბიბლიის კომენტარების მიხედვით, გლოვის ღელე, გლოვის მხარე არის დევნილობის მხარე, ანუ სამოთხიდან გამოძევებული ადამიანის საცხოვრისი. გლოვის ღელე ცოდვილი წუთისოფელია, სადაც სინანულიანი ლოცვა ადამიანის მთავარი მოვალეობაა; ე. ი. დედამიწაზე/ საქართველოში ლოცვა არ უნდა შეწყდეს!

ბერები ქვეყნისთვის (მოყვასისათვის) ლოცულობენ, კაცობრივ ცოდვებს იხანებენ; ერთი მონანიე, მლოცველი ბერის არსებობაც კი ამქვეყნად ადამიანური სინანულის უწყვეტობის გამოხატულებაა; შესაბამისად, ილიას მწირის გულწრფელი ლოცვა საქვეყნო სინანულია (წმინდანის ლოცვა ყველას გადასარჩენი ლოცვაა)...

ილიას პოემაში ხაზგასმითაა ნათქვამი:

ბეთლემელი მწირის ტაძარში მისვლის შემდეგ **“გლოვის ღელეში“** ადამის ძის ლოცვა და სინანული გაგრძელებულა.

აშკარაა: ილია ჭავჭავაძისთვის ბერმონაზვნობა უდიდესი ეროვნული ღვაწლია.

II თეზა: ძლიერ პიროვნებაში სულიერი საწყისი იმარჯვებს.

განდევილის ერთ-ერთი მთავარი თემა ადამიანის იმანენტური /ბუნებრივად კოდირებული/ გაორებული არსის ჩვენება და ამ გაორების დაძლევაა. ბიბლიისა და “დავითის“ კარგად მცოდნე წმინდა ილია მართალის ბეთლემელი მწირი წმინდანის დარად დასძლევს ხორციელ საწყისს. ამის დასაბუთებას ეძღვნება “განდევილის“ VII-XXVIII თავები. პოემის ამ მონაკვეთის მოკლე შინაარსი ასეთია:

ღვთის სახლში (ბეთლემში) წმინდა ბერია. ბერის სიწმინდის დასტურად ილიას ნაწარმოებში ქალი შემოჰყავს - ეპიზოდური პერსონაჟი, წუთისოფლის სიმბოლო (და არა “ქრისტიანობის სიმბოლო“ თუ “ღვთისმშობლის სახე“, როგორც ეს ზოგ თანამედროვე კრიტიკოსს ჰგონია). ხორციელი ქალის მშვენება ააქტიურებს ბერში ამქვეყნიურ ფიქრებს, ხორციელ განცდებს; შემდეგ ბერს სატანაც ეცხადება და ხარხარით ცდილობს, დათრგუნოს განდევილი /ასეთ დროს წმინდანიც კი შეიძლება გაორდეს/...

ბერი მალევე მოერევა ხორციელ მეს და მწარედ განიცდის ამ გაორებას: გარეთ გავარდება იმ ოთახიდან, სადაც ქალს მაცდურად ეძინა და ქარიშხლიან ღამეში დილაამდე კლდე-ღრეში იხეტიალებს; დილითაც იქ ჩანს:

“ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ ჰტანტალებს

იმ კლდეებშია თმააბურცხული?
ნუთუ მწირია?... იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული...”

ვფიქრობ, ეს ეპიზოდი ილიასეული მწირის **მძაფრი სინანულის** ამსახველია: მწირი ღმერთს მიბარებული მონანიე ცოდვილია და არა - "ხიბლში ჩავარდნილი ამპარტავანი" (ზ. კიკნაძე). ვფიქრობთ, პოემაში ამ სინანულის გამო ეპატია ბერს და, ნიშნად ამისა, ეჩვენა მადლით გადმომზირალი ღვთისმშობლის ხატი.

ანალოგიური ხასიათის ნაწარმოებებს შორის (ემილ ზოლას "აბე მურეს შეცოდება", ანატოლ ფრანსის "თაისი", ლევ ტოლსტოის "მამა სერგი", მიხეილ ლერმონტოვის "დემონი", დე ვინის "ელოა", გუსტავ ფლობერის "წმინდა ანტონის განსაცდელი"...) ილია ჭავჭავაძის "განდევილი" გამოირჩევა შეცოდების **აბსოლუტური პირობითობით**:

ევას მიერ ადამის შეცდენის უძველესი თემა ნაწარმოებში სახარებისეული სიმაღლითაა გაშლილი და გადაწყვეტილი: შეცოდება იმპულსურ, არაცნობიერ დონეზეა; მწირს ფიქრშიც კი არ დაუშვია ქალის ალერსი; მხოლოდ ერთხელ მექანიკურად დაიხარა საკოცნელად და **"უცებ გაშეშდა.. ეჭა, წაწყმედავ"**! გაორება იმწამსვე დაიძლევა:

"არა და არა! არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!"

ხორცი სულისაგან წამშივე (და)იძლევა; მაცდური ხორციელება კი უკიდურესი ზომით ისჯება - მწირი სამუდამოდ განეშორება ხორციელ სამყაროს. მანამდე, ილიას ამ გენიალური ქმნილების გმირი - ღვთის კაცი ბერი - გაორებისა და **ცდუნების ოთხ საფეხურს** გაივლის:

1. პირველ ეტაპზე ბერი მხოლოდ წამიერად დატყვევდა ავდრისწინა მზის სილამაზით:

"მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას,
შესცქერდა მზესა განცვიფრებული".

ავტორის მიერ მიზანმიმართულად გამოყენებული ფრაზა: **"წარტყვევნილ იქმნა"** გვიჩვენებს, რომ განდევილი მისდაუნებურად გვერდიგვერდ აყენებს უფლის ხატსა და ამქვეყნიურ "ხორციელ" მზეს. ეს ეპიზოდი არის მწირის გაორების პირველი ეტაპი.

2. გაორების მეორე ეტაპი არის ფრაზა: "მე უბედურსა":

სიბნელიდან შემოხეტებულ მწყემს ქალთან საუბარისას მწირს გაახსენდა წუთისოფლის სიამენი, თუმცა იქვე თქვა, რომ “სული ტყვე არის წუთისოფლისა“; ამის მიუხედავად, მაინც წამოსცდა გაორების ნიშანი-ფრაზა:

“ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...”

თუმცა მან ეს წამონაცდენიც მაშინვე მოინანია.

3. გაორების მესამე ეტაპზე ბერი უკვე ქალის ხორციელმა სილამაზემ დაატყვევა:

“და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გამტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს?
ის სახე ატკბობს თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!“

შდრ.:

“სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...”

ქალის სილამაზე საკოცნელად იწვევს:

“და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...”

მწირმა კი გაუძლო:

ამ შემთხვევაშიც წამიერი გაორება დაიძლია, ვინაიდან მწირმა მაშინვე დათრგუნა კოცნის სურვილი. ცდუნების დაძლევის შემდეგ ხორციელი გული “მკვდარია” /მეცოდება გაცნობიერებულია/:

“არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!

მაგრამ ეს რაა?.. წაწყმდა თუ არა!.. -
ეს ვინ ჩასძახის ნიშნებით ყურში!
დაგძლიე თუ არ!.. - ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!“

უნდა ითქვას, რომ ამ მომენტში მწირის არსში ყველაზე მძაფრია (ტრაგიკულია) ხორციელებისა /მზე, წუთისოფელი, ქალი/ და სულიერი საწყისის დაპირისპირება; თუმცა, რამდენადაც აქვე გული უკვე მკვდარადა განხილული, ნაჩვენებია, რომ სულიერებამ გაიმარჯვა - ხორციელი მისწრაფება დამარცხებულია.

პოემის ერთ-ერთ ვარიანტში ამ ადგილას ილია “ქალი წყეულის“ ნაცვლად წერს: **ქალი ლამაზი**. თუკი ამ ეპიზოდში ავტორი დატოვებდა “ლამაზს“, ე.ი. გაორებისთვის წერტილი სხვაგან უნდა დაესვა. პოემის ბოლო რედაქციაში სიტყვა-ფორმით: “წყეული“ წმინდა ილია მართალმა მწირის გაორება დაასრულა ღთისმშობლის ხატთან, მაგრამ ღვთისმშობელი მას მაინც არ ეჩვენა. მწირის გამოცდისა თუ გაორების

მეოთხე ეტაპი - ეშმაკის ფსიქოლოგიური ზეწოლა - წინ იყო; პატივამდე ბერს ეშმაკის ზემოქმედებისთვისაც უნდა გაეძლო.

4. ეშმაკის ფსიქოლოგიურ ზეწოლას ილია ასე გადმოგვცემს:

“აბა სძლიეო!... და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ველარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში“.

განდევილი ისევ დროებით ითრგუნება; იგი მალე, ერთ ღამეში, ძლევს ეშმაკს (სხვა ავტორთა სასულიერო პირები ღღეებისა თუ თვეების მანძილზე ვერ ერევიან ხორციელ ვნებებს):

“ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუიქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.
გულზედ მოეშვო... კვლავ სითბოებით
ღედა-ღეთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღეთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...“

მწირი ქალს გაერიდა და გათენებამდე იხეტიალა კლდე-ღრეში. საღამოს ღეთისმშობლის ხატში ქალს თუ ხედავდა, დილით “კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი მადლით, ნუგეშით გადმომზირალი“... შესაბამისად, გათენებამდე ხეტიალი ავტორის მიერ სინანულადაა გააზრებული (შდრ., ნოდარ გრიგალაშვილის ინტერპრეტაცია); სინანულის შემდეგ ეჩვენა ღეთისმშობლის სახე; მსგავსი ეპიზოდია აბე მურესთანაც:

წუთისოფლის ვნებების კონცენტრირებულ სახე-სიმბოლოსთან - ქალთან - წამიერ მიახლოებას (არც კი უკოცნია!) ინანიებს ილიას განდევილი; **სინანულის ნიშნად ის დილამდე ქარაშოტში “ჰრბის, დაძრწის, ტანტალებს“**... გათენებამდე მისი ხეტიალი მორწმუნისათვის აუცილებელი სინანულია - პოემამი სინანული ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი ეპიზოდითაა გადმოცემული (და არა აგიოგრაფიული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი სტილით). ვფიქრობ, პოემის სწორედ ეს ეპიზოდი შეიცავს მწირის “თვალთდაბნელების“ შემდეგ აღძრულ დავითისეულ სინანულს:

“უფალო, შენ წინაშე არს ყოველი გულისთქმა ჩემი და სულთქმა ჩემი შენგან არა დაეფარა. გული ჩემი შეძრწუნდა და დამიტევა მე ძალმან ჩემმან, და ნათელი თუალთა ჩემთა, და იგიცა არა დაადგრა ჩემ თანა... ნუ დამაგდებ მე, უფალო ღმერთო ჩემო, და ნუცა განმეშორები ჩემგან. მოიხილე შეწევნად ჩემდა, უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო“ (დავითნი, 37, 10-11, 39-40).

შდრ., მსგავსი ეპიზოდი წმინდანთა ცხოვრებიდან:

“წმ. ისააკი პატარა გამოქვაბულში ცხოვრობდა 7 წელი. ერთხელ, საღამოს დაინახა ორი მშვენიერი ყმაწვილი, სახე მზესავით უბრწყინავდათ. მათ უთხრეს, რომ უფლის ანგელოზები იყვნენ, თან სხვა მრავალი მათგანიც აქვე იყო. ბერმა მათაც მისცა შემოსვლის კურთხევა. მალე სენაკი ეშმაკებით აივსო. მათ დაიწყეს ხარხარი, კივილი და აქეთ-იქით ხტომა. ისააკიც მათთან ერთად ხტოდა. ცოტა ხნის შემდეგ ეშმაკებმა ხარხარით დატოვეს

იქაურობა. ისააკი სამი წელი ცოცხალ-მკვდარი იყო და ბერები უვლიდნენ. გამოჯანმრთელებისა და განსაწმედელი ლოცვების შემდეგ მას ღვთისაგან მიენიჭა მადლი ელოცა შეპყრობილი ადამიანებისათვის და განეკურნა ისინი... უდაბნოში მარტოდ მყოფმა წმინდა ანტონ დიდმაც მსგავსი რამ გადაიტანა“¹⁸⁹.

III თეზა: ცოცხალი ადამიანი სრულად ვერასოდეს დათრგუნავს ხორციელ ვნებებს.

მონასტერში დილით შებრუნებულ მწირს და პარადუდან მეორედ დაბრუნებულ მურეს აღარ ახსოვთ არც საკუთარი ხორციელება და არც მაცდური, წყეული ქალი; მათში საუკუნოდაა გამარჯვებული ღვთაებრივი სულიერება. წესით, ფრანგი თუ სხვა ავტორების მსგავსად, ქართველი ავტორის ნაწარმოებიც ამ ტონზე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ილია აგრძელებს სხივის ეპიზოდს და გვეუბნება: წუთისოფელში სულს არ შეუძლია ხორცისგან სრულიად გათავისუფლება; ადამიანის სრულყოფას საზღვარი არა აქვს, სანამ ის ხორციელ გარსშია, რომ სულის სრული განწმენდა მხოლოდ სიკვდილით, მოწამეობრივი სიკვდილით ხდება.

შდრ. დ. უზნაძე: განდევნილმა თავისი ძლიერი ნებით მხოლოდ ზეციურისკენ იწყო ლტოლვა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ადამიანის ნება მიიწვ ადამიანისა და მისი აბსოლუტური სრულყოფა შეუძლებელია..

სხივის მიერ ლოცვანის “არ დაჭერის“ ეპიზოდმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ მწირი დამარცხდა. ვფიქრობ, განსხვავებულადაც შეიძლება ამ ეპიზოდის გააზრება:

ილია გვეუბნება: ღმერთს შეუწირავს ბეთლემელი მწირის ლოცვა-ვედრება და ბერის მადლის ნიშნად მოუვლენია სასწაული: დილაობით ბერი თავის ლოცვანს სხივს მიაყრდნობდა:

“როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრებდა...
და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა“.

ბერის მყისიერი გაორების შემდეგ სასწაულთმოქმედი სხივი სვეტად კიდევ ჩამოეშვება, მაგრამ ლოცვანს აღარ დაიჭერს:

ხორციელი მეს წამიერი გაბრძოლების გამო მწირმა დაკარგა უფლისმიერი სასწაულის ხილვის უნარი, მაგრამ სინანულის შემდეგ მას ეპატია შეცოდება: სვეტად ჩამოშვებული სხივი ლოცვანს აღარ იჭერს, მაგრამ სხივი სვეტად ისევ ეშვება და ბერს ნუგეშით ისევ გადმოჰყურებს ღვთისმშობლის ხატი (რომელიც გაორების ყამს ემალებოდა; იხ., ზემოთ).

აშკარაა, რომ ილიას მიხედვით, განდევნილმა ღვთისგან პატიება მიიღო; პოეტი წერს:

“კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.

¹⁸⁹ დეკანოზი ალექსანდრე, ეშმა და ეშმაკეული, წიგნიდან “ლაზარეს აღდგინება“, ტ. V, გვ. 191, თბ., 1991

არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა“...

თუმცა, მწირმა სხვა ხორციელისთვის მიუწვდომელი სასწაულის ნიშანი დაკარგა, დაკარგა ღმერთთან იღუმალი შერწყმულობა. ამის გაცნობიერებისთანავე განდევილს დაუბნელდა თვალი (მატელური) და „ღმერთოს“ ძახილით, ანუ მხოლოდ უფალზე ორიენტირებით, „უტევა სული“. ბერი სრულად გათავისუფლდა ხორციელებისგან; უფალთან მისაახლებლად ბერმა ხორციელი "სამოსი" საბოლოოდ დათმო:

“ერთი საშინლად შეკბლავლა ღმერთსა და იქავ სნივქვემ უტევა სული“.

ვფიქრობ, ილიას ეს ფრაზა ალუზიას განკაცებული უფლის ბოლო სიტყვების:

“ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევე მე“.

ამ ფრაზის სხვადასხვაგვარი გააზრებაა ცნობილი; თუ საკუთრივ წმინდა წერილიდან ამოვალთ, რთული არ არის მიხვედრა, რომ სახარებისეული ფრაზა ორ სწავლებას შეიცავს:

- ამქვეყნიური სამყარო - ხორციელი სამყარო - “სულის მახეა“; ხორციელ სამყაროში ხორციელი ვნებები ბოზოქრობს; წარმწყმედი ვნებებით სავსე ამქვეყნიურ სამყაროში - წუთისოფელში - წარმავალი სიცოცხლე არაფერია; მთავარია მარადიული სამყაროსთვის მზაობა; ხორციდან გასვლა კი სულის გათავისუფლებაა.

- განკაცებულ ღმერთსაც კი არ შეუძლია ხორციელი ტკივილისა თუ ვნების სრული იგნორირება.

შეგვიძლია დავასკვნათ:

ადამის შეილებიდან მოყოლებული, ადამიანი ცდილობს, ხორციელი ვნებების დათრგუნვით თვითხსნას; თვითხსნის პარალელურად, ძლიერი პიროვნება სხვების გადარჩენისთვის ზრუნავს; **ზრუნვის აღმატებული სახეობა ლოცვაა, ზოგადად თუ ვიტყვით, ადამიანად ყოფნის ყველაზე მაღალი მდგომარეობაა ბერ-მონაზვნობა**¹⁹⁰; სწორედ სხვისთვის ლოცვა ადამის მოდგმის მეოთხე უმთავრესი თვისებაა¹⁹¹. უფლის მიერ ადამიანის ჩამოძვრის უკანასკნელი სიმაღლე კი **რწმენისათვის სიკვდილია** - სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვაა (ქრისტეს მისტერია!):

რწმენისთვის სიკვდილი ადამიანში ღმერთის საბოლოო გამარჯვება და სხვების (სამშობლოს, კაცობრიობის...) ხსნისკენ გადადგმული შთამბეჭდავი ნაბიჯია. **ამ ადამიანურ მწვერვალს მიუძღვნა წმინდა ილია მართალმა თავისი უკანასკნელი პოემა.**

¹⁹⁰ ჩვენეულ ადამიანურ “იერარქიაში“ ყველაზე მაღლა არიან წმინდანად შერაცხილნი; შემდეგ: ბერ-მონაზვნები, დიდი მეფეები და საზოგადო მოღვაწეები (ფარნავაზი, ქუჯი, იოვანე მარუშისძე, სოლომონ ლიონიძე... აკაკი, იაკობი...), ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებზე ორიენტირებული მეცნიერები, შემოქმედნი (მწერლები, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები...); შემდეგ სახელმწიფოს ინტერესების დამცველი პოლიტიკოსები და სხვ.

¹⁹¹ შდრ. ადამიანის სხვა მარკერები: მდედრი/მამრი, კეთილი/ბოროტი, ენა/ეროვნება.

13. საზღვარგარეთის ქართველოლოგიური ცენტრები. უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველები¹⁹²

ქართული წერილობითი კულტურის განვითარებაში საგანგებო როლი დაეკისრა პალესტინის, საბაწმინდისა და ხარიტონის ლავრის, ანუ პალავრის, და სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრებს. IX საუკუნეში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით (ისტორიული ტაო-კლარჯეთი) ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სამეფო და ქვეყნის პოლიტიკურმა და კულტურულმა ცენტრმა იქით გადაინაცვლა. ამ პერიოდიდან ქართული წერილობითი ტრადიციის უდიდეს კერად იქცა სწორედ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრები; მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საზღვარგარეთ არსებულ კულტურის კერებთან, რომლებიც აქტიურად ემსახურებოდნენ ქართული მეცნიერული აზრის განვითარებას.

ყველაზე მძლავრ საზღვარგარეთულ ცენტრებად სამართლიანად ითვლება: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, სვიმეონ საკვირველმოქმედის სავანე შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, ჯვრის მონასტერი პალესტინაში და პეტრიწონის მონასტერი მაკედონიაში (კ. კეკელიძე).

13.1. საზღვარგარეთის ძველი ქართველოლოგიური ცენტრები

პალესტინა. ქართველთა სამონასტრო ცხოვრება პალესტინაში სათავეს იღებს IV-V საუკუნეებიდან. პირველი პერიოდის მონასტრებიდან ცნობილი იყო **ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდორეს, საბას** ლავრები.

ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **თეოდორეს სახელობის მონასტერი**, რომელიც უძველეს ძეგლებში მოხსენიებულია სხვადასხვა სახელით: “ქართველთა მონასტერი“, “ლაზთა მონასტერი“, “იბერთა მონასტერი“ (დღეს “ბეთლემის მონასტერსაც“ უწოდებენ).

წმ. თეოდორეს მონასტერი აგებული უნდა იყოს IV საუკუნეში ქართლის **მეფე ბაკურის** დროს. იგი V საუკუნეში (დაახლ. 440-იან წლებში) განუახლებიათ **პეტრე იბერისა და იოანე ლაზს** (რომლებიც იქ მოღვაწეობდნენ სიკვდილამდე და იქვე არიან დასაფლავებულნი), VI საუკუნეში კი მომხდარა ამ ტაძრის ხელახალი აღდგენა-განახლება მამა ანტონის მიერ (შ. ნუცუბიძე).

პეტრე იბერმა მონასტერში შექმნა სკოლა, რომლის ბირთვს შეადგენდა სირიაში მყოფი ქართველობა. არსებობს მოსაზრება, რომ ამ სკოლაში სწავლამიღებული ქართველები სამშობლოში დაბრუნებულან, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია **ასურელ მამათა მოსვლის** სახელით.

¹⁹² პარაგრაფის მომზადებისას გამოყენებულია 2006 წელს გამოცემული ქართული ენის ისტორიის (პროფ. ტ. ფუტყარაძის საერთო რედაქციით) შესაბამისი მონაკვეთი, რომლის ავტორია პროფ. ჟ. ფეიქრიშვილი.

პეტრე იბერის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარედ მიჩნეულია მაშინდელი კულტურულ-საგანმანათლებლო კერების - ეკლესია-მონასტრებისა და სასტუმროების მშენებლობა, ქართველთათვის განკუთვნილი თავმჯდომარეობის ადგილების შექმნა სირია-პალესტინაში. მისი თაოსნობით სირიაში დაარსდა ქართველთა კოლონია, სადაც, საეკლესიო-რელიგიურის გარდა, ეწეოდნენ ფართო ფილოსოფიურ-კულტურულ და სამწერლო საქმიანობას.

ქართველთა ამ უძველესი სავანის შესახებ ახალი და ფართო ინფორმაცია ჩვენში ცნობილი გახდა XX საუკუნის შუა ხანებში, როცა იტალიელი **ვირჯილიო კორბოს** მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად იერუსალიმში, ბეთლემის მახლობლად, აღმოჩენილ იქნა **ქართული მონასტრის** ნანგრევები უძველესი ქართული წარწერებით; სხვა პიროვნებათა შორის ამ წარწერებში მოხსენიებულნი არიან მეფე ბაკური და ტაძრის განმარტებლები: პეტრე იბერი (მურვანოსი), ანტონი.

ბეთლემის (პალესტინის) წარწერები ქართული გრამატოლოგიის (დამწერლობათმცოდნეობის) მეტად ფასეული დოკუმენტია. უძველესი წყაროებით ირკვევა, რომ პალესტინაში ქართველებს ჰქონიათ **20-მდე სავანე**, რომელთაგან შემოქმედებითი საქმიანობით იმთავითვე გამორჩეული ყოფილა **საბაწმინდის ლავრა**. იგი დაუარსებია 483 წელს ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს - **საბა განწმედილს** (439-532 წწ.).

საბაწმინდის ლავრაში საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა მნიშვნელოვანი ძეგლები ქართულ, სირიულ, სომხურ, ბერძნულ, არაბულ ენებზე. მაგრამ მაინც საბაწმინდის სამონასტრო კერის ისტორიაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო VIII-IX საუკუნეები. ამ პერიოდში იგი იქცა საქრისტიანო მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ კერად: წარმოებდა ინტენსიური ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობა, გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა; განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია, თარგმნითი ლიტერატურა, გახშირდა ხელნაწერთა გადაწერა, შემკობა-შემოსვა... აღიზარდნენ კალიგრაფები (მაკარი ლეთეთელი, გიორგი თბილელი, იოანე-ზოსიმე...).

ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც სინის მთაზე ინახება, VIII-IX საუკუნეებშია შექმნილი საბას ლავრაში. აქ უნდა შემუშავებულიყო ის ხელიც, რომელსაც **საბაწმინდურს** უწოდებენ. X საუკუნის დასაწყისიდან სხვაგვარად წარიმართა საბაწმინდის ტაძრის ბედი. არაბებმა უკვე აშკარად იწყეს ქართველების შევიწროება და მალე მათი გამუდმებული თავდასხმებისა და ძარცვის გამო სრულიად შეუძლებელი გახდა სავანეში ცხოვრება და მოღვაწეობა. ქართველებმა იძულებით მიატოვეს იქაურობა და მიაშურეს სხვა მონასტრებს, ძირითადად, სინის მთას. ახალ სადგომში თან გადაიტანეს როგორც სამონასტრო ტრადიციები, ისე აქ გადაწერილი და დამუშავებული წიგნების დიდი ნაწილი. სამუდამოდ შეწყვიტა არსებობა **საბაწმინდის ლავრამ**, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი უცხოეთში ქართულ მწიგნობრულ ტრადიციებს და რომლის შემოქმედებითი ცხოვრებაც ძლიერ ნაკადად ერთვოდა საერთო ქართულ ქრისტიანულ კულტურას.

ჯვრის მონასტერი პალესტინის ქართული სამონასტრო ცენტრებიდან შედარებით გვიანდელია. XI საუკუნის პირველი მეოთხედიდან, მას შემდეგ, რაც არაბთა პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი (განსაკუთრებით

მონასტრებისადმი) რამდენადმე შეიცვალა, ამ ქვეყანაში ქართველთათვის შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრების განახლება.

XI საუკუნის I ნახევარში ცნობილმა მწიგნობარმა **გიორგი პროხორე შავშელმა** დააარსა **ჯვრის მონასტერი** საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით. ტაძრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმინდლის ბრძანებით. გადმოცემით, თითქოს მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისაგან უნდა იყოს გაკეთებული ის ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს (მონასტრის სახელსაც ამ ფაქტს უკავშირებენ). გიორგი შავშელს სავანეში შემოუკრებია 80-მდე ქართველი მოღვაწე. მათი ლიტერატურული საქმიანობა ძირითადად გამოიხატებოდა სხვა ავტორთა თხზულებების გადაწერაში, მაგრამ, პალესტინაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობას აქაც მალე დაემუქრა საშიშროება. 1071 წელს იერუსალიმის აღებისას თურქ-სელჩუკებმა ქართული სავანეც დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრეს. ცოტა ხნის შემდეგ იგი კვლავ აღადგინეს და მოხატეს დავით აღმაშენებლის დახმარებით. 1273 წელს მონასტერი გადააკეთეს მეჩეთად, მაგრამ საქართველოს მეფეების ჩარევით მალევე დაიბრუნეს იგი ქართველებმა და განაგრძეს სამონასტრო ცხოვრება.

ცნობილია, რომ XVII საუკუნის 40-იან წლებში **ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილს** ჯვრის მონასტერში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩატარებია: მოუხატინებია კედლები და გუმბათი. ამ პერიოდში იერუსალიმის ქართველობასა და პალესტინის ჯვრის მონასტერს უდიდეს დახმარებას უწევდა სამეგრელოს მთავარი **ლევან დადიანი** (1611-1657). მისი ღვაწლი ასახულია მონასტრის ქართულ და ბერძნულ წარწერებში (ლ.მენაბდე).

ჯვრის მონასტერში ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები და კალიგრაფები: **არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე...** ტრადიციული გადმოცემით, აქ ერთხანს უმოღვაწია **შოთა რუსთველსაც** (მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახულია მისი ფრესკული პორტრეტი XII-XIII საუკუნეებისა).

მკვლევართა აზრით, ჯვრის მონასტრის ქართული მწერლობა თავისი ხასიათითა და შინაარსით ფაქტობრივად არის **ათონისა და საბას ლავრის** ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელება.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული, XIX საუკუნემდე, მიუხედავად უცხოელთაგან მუდმივი თავდასხმებისა და დევნა-შევიწროებისა, **ჯვრის მონასტერი პალესტინაში მაინც რჩებოდა ქართული მწერლობის უმთავრეს ცენტრად.** XVIII საუკუნის დასასრულამდე ტაძარი ნომინალურად კვლავ ითვლებოდა ქართველთა საკუთრებად, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს ხანგრძლივი ისტორიის მქონე ეს დიდებული სავანე მთლიანად დაიცალა ქართველთაგან და ყოვლად არაკანონიერად გადავიდა ბერძნების ხელში.

სირია. აღმოსავლეთ სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, **შავ** ანუ **საკვირველ მთაზე** არსებობდა ქართველთა სამონასტრო ცენტრები. შავ მთაზე ქართველები უკვე VII საუკუნიდან ეწეოდნენ სამონასტრო ცხოვრებას (კ. კეკელიძე). აქ მოღვაწეობდა **სვიმეონ მესვეტე საკვირველმოქმედი**, რომლის სახელი დაკავშირებულია ეკლესიის ისტორიასთან.

შავ მთაზე ინტენსიური მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა იწყება XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა აქ დასახლდა სამხრეთ საქართველოდან წამოსული ბევრი ცნობილი ფილოსოფოსი და მწიგნობარი: **გიორგი შეყენებული, გიორგი მთაწმინდელი, ევგრემ მცირე, საბა თუხარელი, ანტონ ტბელი** და სხვები. XI საუკუნის II ნახევარში შავ მთაზე 60-მდე ქართველი მოღვაწეობდა.

XIII საუკუნის ბოლოს შავი მთის მონასტრების ლიტერატურული საქმიანობა მთლიანად შეწყდა. როცა სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია პატარა მაჰმადიან ქალაქად იქცა, მონასტერიც გავერანდა და დაინგრა. ქართველებმაც იძულებით მიატოვეს იქაურობა სამუდამოდ.

არაბეთის ნახევარკუნძული. **სინის მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერი** მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით, სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში. ცნობილია, რომ სინის მთაზე ჯერ კიდევ VI საუკუნიდან ცხოვრობდა თითო-ორივე ქართველი, IX საუკუნეში დაარსდა ქართული სათვისტომო, რომელსაც მალე მიაშურეს X საუკუნეში არაბების ძალმომრეობით პალესტინაში შევიწროებულმა ქართველმა მოღვაწეებმა. შეიძლება ითქვას, რომ სინის მთის კოლონია საბაწმინდის მონასტრის პირდაპირი გაგრძელებაა.

სინის მთა, როგორც მიუვალი კუთხე, შედარებით მოსვენებული იყო მტრების შემოსევებისა და აოხრებისაგან, ამიტომ აქ უფრო არის დაცული და შემონახული თარიღიანი თუ უთარილო ძველი ქართული ხელნაწერები.

XI საუკუნეში დავით აღმაშენებელმა სინის მთაზე (ქორების მთაზე) ააგო ახალი ეკლესია და სენაკები ქართველ მოღვაწეთათვის, შემდგომში თამარ მეფეც უზღავნიდა უხვ შეწირულებას აქაურ ქართველებსა და მათს სავანებს. ქართველ მეფეთა მფარველობის მეოხებით, სინის მთის სავანე კიდევ დიდხანს აგრძელებდა სამონასტრო ცხოვრებასა და ლიტერატურულ საქმიანობას, მაგრამ XV საუკუნიდან აქ უკვე საგრძნობლად შენედა ყოველგვარი მოღვაწეობა, XVII საუკუნეში კი ქართველებმა მთლიანად მიატოვეს იქაურობა, რადგან საქართველოსა და აღმოსავლეთშიც ოსმალთა მხრიდან ისეთი პოლიტიკური სიტუაცია დამყარდა, რომ ქართული სავანის გადარჩენა შეუძლებელი გახდა.

სინის მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში თავი მოიყარეს ცნობილმა მწიგნობრებმა, პოეტებმა, კალიგრაფებმა, წიგნთა მმართველებმა. ესენი იყენენ: **იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე, იოანე კუმურდოელი, მაკარი ლეთეთელი** და სხვები. სწორედ მათი ერთობლივი მოღვაწეობით შეიქმნა უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც ნათლად წარმოაჩინეს აქაურ ქართველთა მრავალფეროვან ლიტერატურულ ინტერესებს. X საუკუნეში აქვე ჰქონიათ არა მხოლოდ ბიბლიოთეკა, არამედ სამკითხველო დარბაზი და სპეციალური კატალოგიც. ქართული კულტურის ისტორიაში სინის მთის მონასტრის მნიშვნელობა მეტად ფასეულია იმ მხრივაც, რომ უძველეს ქართულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი აქაური სავანის მეშვეობით შემოგვინახა. ბევრი ამათგანი დღესაც სინის მთაზეა დაცული, ზოგი კი ინახება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: თბილისის, სანკტ-პეტერბურგის, პრაღის, გრაცის, აშშ-ისა და სხვა ბიბლიოთეკებში.

ბიზანტია. ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია ბიზანტიაში VIII-IX საუკუნეებიდან დაწყებულია. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს **ილარიონ ქართველს**, რომელსაც ბიზანტიაში დაუარსებია ორი ქართული მონასტერი: ერთია **ოლიმპის** ანუ **ულუმბოს მონასტერი** მცირე აზიის

ბითვინიაში (სადაც ილარიონი მოსულა 864 წელს) და მეორე - **“ქართველთა მონასტერი ჰრომანას“** (აგებული იმპერატორ ბასილის მიერ 876 წელს ილარიონის ნაწილთა დასასვენებლად).

ამ დროისათვის ოლიმპოს მთაზე ქართველებს ჰქონიათ სამი სხვა ეკლესიაც: **ქუაბი** ან ეკლესია წმინდისა ღვთისმშობლისა, **კოზმან-დამიანე** და **ლავრა კრანია**.

წერილობითი წყაროების მიხედვით, ულუმბოს მონასტერში იმთავითვე მიმდინარეობდა ლიტერატურული საქმიანობა, რამაც უფრო ინტენსიური სახე მიიღო მას შემდეგ, რაც აქ დამკვიდრდა მამა-შვილი **იოანე** და **ექვთიმე**. იოანე ყოფილა სამცხის წარჩინებული ოჯახის შვილი. ქრისტეს სიყვარულის გამო მან მიატოვა სამშობლო, სახლი, დიდება, ცოლ-შვილი... ფარულად აღიკვეცა ბერად, შემდეგ გახდა ულუმბოს მონასტრის ძმობის წევრი, აქვე მოიყვანა თავისი მცირეწლოვანი უმცროსი შვილი **ექვთიმე**. მამა და შვილი ერთგულად ემსახურებოდნენ ქრისტესაც და ქართულ მწიგნობრობასაც. 965 წელს იოანე შვილითურთ გადავიდა **ათონის მთაზე ათანასეს ლავრაში**. იოანემ აქაც დიდად გაითქვა სახელი.

ექვთიმეს ბიოგრაფის ცნობით, როდესაც ექვთიმემ კარგად შეისწავლა ქართული და ბერძნული ენები, მამამ უთხრა: **“შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან... და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუჲმადლებია შენდა; აწ ილუაწი, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“**... და იგი ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილ, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად“ (კ. კეკელიძე).

ათანასეს ლავრაში ძმობის წევრთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. მალე მათ შეუერთდა ცნობილი ქართველი მხედართმთავარი **თორნიკე**, რომელიც იოანემ ბერად აღკვეცა იოანეს სახელით. რადგანაც ლავრაში ქართველთა რიცხვი სისტემატურად მატულობდა, ამიტომ იქვე ახლოს დამატებით ააშენეს **იოანე მანარობლის** ეკლესია და სენაკები ძმათათვის.

980-983 წლებში **ათონის** წმინდა მიწაზე ტაო-კლარჯეთის სავანეებში აღზრდილი მოღვაწეების მიერ დაარსდა **ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი**. დამაარსებელია **იოანე** (შემდგომში ცნობილი იოანე მთაწმინდელი); მან თორნიკე ერისთავის მიერ ბრძოლებში მოპოვებული სიმდიდრის ნაწილით ააგო ეს დიდებული ტაძარი, რომელიც მთელ იმ მხარეში გამორჩეული იყო მშვენიერებით, სილამაზითა და სიმდიდრით.

თავდაპირველად, მონასტრის წინამძღვართა გადაწყვეტილებით, სავანეში არ უნდა შეეშვათ ბერძნები, მაგრამ დაბალი სამსახურისათვის მაინც გახდა აუცილებელი ბერძნების მიწვევა. სამწუხაროდ, რაც დრო გადიოდა, მონასტერში მათი რიცხვი მატულობდა... სიმდიდრეს დახარბებული ბერძნები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ტაძარს, გაძარცვეს და მოინდომეს ქართველების სრულიად განდევნაც კი.

საქართველოს ხელისუფალთა ჩარევით, ქართველები XIII საუკუნის ბოლომდე, ასე თუ ისე, ინარჩუნებდნენ მონასტერს, მაგრამ XIV საუკუნის დასაწყისისათვის, როცა თანდათან სუსტდებოდა საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე, **ათონის სავანეშიც შესამჩნევად მცირდებოდა ქართველობა...** XIV საუკუნის II ნახევარში კონსტანტინოპოლის პატრიარქის - კალისტეს დადგენილებით, მონასტრის წინამძღვრად და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველებს აღარ ნიშნავდნენ.

მართალია, ქართველები მონასტრის ოფიციალურ პატრონებად მომდევნო საუკუნეებშიც ითვლებოდნენ, მაგრამ, ფაქტობრივად ბერძნები განაგებდნენ ყოველივეს და, ბოლოს, XIX საუკუნეში, **როცა საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა**, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ქართველები ათონის მთიდან და დაეპატრონნენ ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლს, “ჩვენი წინაპრების ნაჭირნახულევს“.

ათონის ივერთა მონასტერი ბიზანტიაში იყო ქართული სულიერი კულტურის მძლავრი კერა, ქართული ეროვნული იდეის მატარებელი. მონასტერში თავი მოიყარეს ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ძალებმა. აქაურ ლიტერატურულ სკოლას სხვადასხვა დროს წინამძღვრობდნენ **იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი**. აქვე მოღვაწეობდნენ **სტეფანე ათონელი, არსენ ნინოწმინდელი, იოანე გრძელისძე** და სხვ. აქ, ათონზე, ჩამოყალიბდა განსაკუთრებული **სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა**, რომელმაც წარუძღვლია კვალი დატოვა ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში.

ათონის ივერთა მონასტერში დაიწერა ბევრი ორიგინალური თხზულება, ითარგმნა ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები, ბიბლიის ტექსტები (რომლებმაც კანონიკური უფლებაც მოიპოვეს). საგულისხმოა ისიც, რომ ქართულ ენაზე არსებული აქაური ლიტერატურა ითარგმნებოდა ბერძნულ თუ სხვა ენებზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით ფასეულია ექვთიმე ათონელის მიერ ქართულიდან ბერძნულად ნათარგმნი **“სიბრძნე ბალავარისი“** - აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტურ-დოგმატური ხასიათის თხზულება, რომელიც წარმოადგენს ბუდას ცხოვრების გადმოკეთებას **საქრისტიანო მოთხრობად**.

მკვლევართა აზრით, ამ თხზულების თავდაპირველი რედაქცია, რომელიც, თავის მხრივ, გადმოკეთებული უნდა იყოს არაბულიდან არაუგვიანეს VIII საუკუნისა, გახდა ბერძნული თარგმანის დედანი და სწორედ ამ გზით გავრცელდა თხზულება მთელს ევროპულ ლიტერატურაში (პ.პეტერსი, მ.თარხნიშვილი).

ირკვევა, რომ ათონელ წმინდა მამათა მოღვაწეობა მხოლოდ მწიგნობრულ-მთარგმნელობითი საქმიანობით როდი შემოიფარგლებოდა; ათონის სავანე X-XII საუკუნეებში მტკიცე ბურჯად ედგა ჩვენს კულტურასა და საგანმანათლებლო სისტემას როგორც საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში, ისე საქართველოში. მაგალითად, სწორედ ექვთიმეს დავალებითა და ხელშეწყობით დაუწყია გიორგი შავშელს ჯვრის მონასტრის მენება... გიორგი მთაწმინდელს საქართველოდან ბიზანტიაში წაუყვანია 80 ყმაწვილი განათლების მისაღებად და ა.შ. “ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტერს“ (კ.კეკელიძე).

მაკედონია. საზღვარგარეთის ქართულ საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **პეტრიწონის მონასტერს**, რომელიც აუშენებია **გრიგოლ ბაკურიანის ძეს** 1083 წელს მაკედონიაში, სოფელ პეტრიწონში (ახლანდელი ბულგარეთი, სოფ. ბაჩკოვო). მონასტერს სახელწოდებაც ამ სოფლის მიხედვით დაერქვა.

გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნება ყოფილა. განათლებულმა, ენერგიულმა და ჰკვიანმა ბიზანტიის

იმპერატორის კარზე მალე გაითქვა სახელი და ბიზანტიის ჯარების ხელმძღვანელიც გახდა. საბრძოლო წარმატებისათვის იმპერატორებმა გრიგოლს უზოდეს დიდძალი სიმდიდრე და დაუმტკიცეს სამფლობელოდ სოფელი პეტრიწო. სწორედ ამ მამულში იქნა აგებული მონასტერი გრიგოლისა და მისი ძმის - აბაზას ძვლების განსასვენებლად.

მონასტრის მთავარი ტაძარი **ღვთისმშობლის სახელობისა** იყო, ხოლო სხვა ორი პატარა ეკლესია ატარებდა **იოანე ნათლისმცემლისა** და **მთავარმოწამე გიორგის** სახელს.

გრიგოლს ქართულ და ბერძნულ ენებზე თავად შეუდგენია მონასტრის ტიპიკონი (წესდება), სადაც იყო განსაზღვრული მონასტრის მკვიდრთათვის სავალდებულო წესები და თანვე ხაზგასმით მითითებული, რომ მონასტერი აშენდა მხოლოდ ქართველთათვის (ამიტომაც უწოდებდა გრიგოლი “ქართველთა ანუ ივერიელთა მონასტერს”).

ტიპიკონის წესების გამკაცრება და ძმობის წევრად გახდომაზე კონტროლი გრიგოლის მხრიდან უთუოდ იმითაც იქნებოდა გამოწვეული, რომ საზღვარგარეთ ყველასათვის ცნობილი იყო ბერძენთა აშკარა ცდა და განსაკუთრებული ინტერესი ქართველთა სავანეების დაპატრონებისა.

პეტრიწონის მონასტერი არ ემორჩილებოდა არც ერთ ადგილობრივ საეკლესიო და საერისკაცო ხელისუფალს. შედგებოდა 50 ბერისაგან. მონასტრის პირველი წინამძღვარი გრიგოლი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ ბერები თავად ირჩევდნენ წინამძღვარს. ღირსსაცნობია ისიც, რომ ამ პერიოდის საზღვარგარეთის სამონასტრო კერებიდან მხოლოდ პეტრიწონის მონასტერთან არსებობდა **სემინარია**, სადაც მონასტრისათვის სამღვდლოდ ამზადებდნენ **ქართველ ბავშვებს**. სემინარიაში შესვლა შეეძლო მხოლოდ ქართული წერა-კითხვის მცოდნეს; სწავლებაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

სემინარიაში ასწავლიდნენ კონსტანტინოპოლის **მანგანის აკადემიიდან** (დააარსა კონსტანტინე მონომახმა 1044-1047 წლებში) გამოსული ქართველი მოღვაწენი. ვარაუდობენ, რომ სემინარიაში ასწავლიდა სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსი **იოანე**, რომელსაც მონასტრის მიხედვით მიუღია ზედწოდება **პეტრიწი**.

XI-XII საუკუნეებში პეტრიწონის მონასტერი გახდა ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი. იქაურ მწიგნობრულ საქმიანობას, ტრადიციული აზრით, თითქმის ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწი, რომლის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ (პეტრიწონულმა სკოლამ) კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული მწერლობა ბიზანტიურს. პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე ქართველებმა ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტირებით ხელი შეუწყვეს ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნას. საქართველოში პეტრიწონის სკოლის ტრადიციები გაგრძელდა გელათის მონასტერში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ დამკვიდრდა იოანე პეტრიწი.

XIII საუკუნის დასაწყისში (1204 წელს, ზოგი ცნობით - 1189 წელს) **გვაროსნებმა პეტრიწონის მონასტერი დაარბიეს და გაძარცვეს**. ამიტომ მონასტრის საქმიანობა ძალიან შეფერხდა, მაგრამ XIV საუკუნის დამდეგამდე აქ ჯერ კიდევ იყო ქართული ელემენტი, შემდგომ კი იქაურობას მთლიანად დაეპატრონნენ სრულიად სხვები.

13.2. საზღვარგარეთის თანამედროვე სამეცნიერო ცენტრები და იქ მომუშავე ქართველოლოგები¹⁹³

საზღვარგარეთული ქართველოლოგია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. საქართველოს შესახებ აღწერილი ხასიათის ცნობებს პირველად ვხვდებით ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების (ჰეროდოტეს, არისტოტელეს, სტრაბონის, პლინიუსის, ტაციტუსის, აპიანესა და სხვ.) ნაშრომებში. ამ ასპექტით ფასეულია აგრეთვე IV-XV საუკუნეების ბიზანტიელ ავტორთა ცნობები და XIII-XV საუკუნეების დასავლეთ ევროპის მოგზაურთა ჩანაწერები, რომლებშიც აღწერილია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ბუნება, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, არამედ მითითებულია ამ მხარის კულტურის უძველესობაც. მაგრამ მეცნიერული ქართველოლოგია ძირითადად იწყება XVII-XVIII საუკუნეებიდან. ამიერიდან ევროპის ქვეყნებში ქართული კულტურის საფუძვლიანი შესწავლა ფართო ხასიათს იღებს. უცხოელთათვის განსაკუთრებით საინტერესო კვლევის ობიექტად იქცა ქართული ენა - მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენა.

დღეს კიდევ უფრო მასშტაბურია ქართველოლოგიური კვლევა. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში (იტალია, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, შვეიცარია, ესპანეთი, ნორვეგია, ბელგია, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ჩინეთი, იაპონია...) არსებობს ქართველოლოგიური ცენტრები, სადაც სწავლობენ და მეცნიერულად იკვლევენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და კულტურას. აქ იზრდებიან უცხოელ ქართველოლოგთა თაობები (ამჯერად მოკლედ ვისაუბრებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე).

იტალია. თანამედროვე საზღვარგარეთული ქართველოლოგიური ცენტრებიდან ყველაზე ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს იტალიას. ცნობილია, რომ ევროპელთაგან პირველად იტალიელები დაინტერესდნენ ქართული ენითა და დამწერლობით, ლიტერატურითა და კულტურით. აქ XVII საუკუნის I მეოთხედიდან დაიწყო ფართო ხასიათის ქართველოლოგიური საქმიანობა, რაც განაპირობა იტალიელი მისიონერების მოღვაწეობამ საქართველოში. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვის: **ანტონიო ჯარდინას, სტეფანე პაოლინის, ფრანცისკ მარიო მაჯოს, ბერნარდო ნეაპოლელს, კრისტოფორო დე კასტელის, პიეტრო დელა ვალეს** და სხვებს.

საგულისხმოა ისიც, რომ პირველი ქართული წიგნი სწორედ ამ ქვეყანაში დაიბეჭდა - 1629 წელს. **სტეფანე პაოლინიმ** და **ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა** (ირბახმა) შეადგინეს და რომში გამოსცეს “**ქართული-იტალიური ლექსიკონი**“.

¹⁹³ პარაგრაფის მომზადებისას გამოყენებულია 2006 წელს გამოცემული ქართული ენის ისტორიის (პროფ. ტ. ფუტყარაძის საერთო რედაქციით) შესაბამისი მონაკვეთი.

იტალიელი მისიონერები საქართველოში აარსებდნენ სკოლებს, სადაც ქართველ ბავშვებს ასწავლიდნენ საკუთარი გრამატიკებითა და ლექსიკონებით. საქართველოში ყოფნის დროს **კრისტოფორო დე კასტელის** შეუდგენია **სურათების ალბომი**, რომლის ნახატებიც საინტერესოდ წარმოაჩენენ XVII საუკუნისდროინდელ საქართველოს, განსაკუთრებით კი, იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიის უცნობ მასალებს. ბევრ მათგანს საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

პიეტრო დელა ვალემ რომში ჩაიტანა უძველესი ქართული ხელნაწერი (ოთხთავი) და საფუძველი ჩაუყარა ევროპაში ქართულ ხელნაწერთა შეკრებას.

ქართული ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში მეტად ფასეულია **“ქართული ენის გრამატიკა“**, რომელიც ლათინურ ენაზე დაწერა **ფრანცისკ მარიო მაჯომ** და 1643 წელს დაბეჭდა რომში (მეორედ გამოიცა 1670 წელს). მართალია, ამ გრამატიკაში ზოგი ენობრივი მოვლენა არასწორადაა ახსნილი, მაგრამ, საერთოდ, იგი საყურადღებო დასკვნებსაც შეიცავს. სანამ მარი ბროსეს გრამატიკა გამოვიდოდა, ევროპელები მაჯოს შრომით ეცნობოდნენ ქართულ ენას.

შეიძლება ითქვას, რომ იტალიელმა მისიონერებმა ქართული ენის შესახებ შექმნეს სერიოზული გრამატიკული ლიტერატურა და ერთგვარად შეუწყვეს ხელი გრამატიკული მეცნიერების დანერგვას საქართველოში.

1722 წელს ნეაპოლში დაარსდა აღმოსავლურ ენათა კოლეჯი, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტად. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი კავკასიის ხალხთა ენის, ისტორიისა და კულტურის მეცნიერულ შესწავლას. ამ დროიდან უცხოელი მეცნიერები საგანგებოდ მსჯელობდნენ ქართული ენის წარმოშობისა და ნათესაობის შესახებ. მაგალითად, იტალიაში მოღვაწე **ლორენცო ერვასი** შეეცადა, ქართული ენა დაეკავშირებინა ბერძნულ-ლათინურთან. იგი მიუთითებდა აგრეთვე ევროპელი და კავკასიის იბერების ნათესაობაზე. ერვასიმ 1787 წელს გამოსცა მრავალენოვანი ლექსიკონი. ქართულის გარდა, იგი ყურადღებას აქცევდა სხვა ქართველურ ენობრივ ერთეულებსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში მან პირველმა დაბეჭდა ჭანური დიალექტის ორი ნიმუში (ტექსტი).

იტალიაში ქართველოლოგიური მუშაობა უფრო მრავალმხრივი გახდა XX საუკუნის დასაწყისიდან, რასაც, ერთი მხრივ, დიდად შეუწყო ხელი იქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტი მეცნიერების: მ. თამარაშვილის, მიხ. თარხნიშვილის, შ. ბერიძის მოღვაწეობამ და, მეორე მხრივ, პროფ. ბერნარდო ბარბიელინის მეცნიერულმა ინტერესებმა.

1935 წელს ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის განახლებულ ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ორიენტალისტი, გრაფი ბ. ბარბიელინი. იგი ერთხანს თურმე საქართველოშიც ცხოვრობდა, კარგად გაუცვნია ჩვენი ხალხის კულტურა და ისტორია (უმოგზაურია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში), პრაქტიკულად შეუსწავლია ქართული ენა... დაუწერია ნაშრომი: “ვინ არიან ხევსურნი“.

1936 წელს ბარბიელინიმ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დააარსა ქართველოლოგიის კათედრა, აქვე შეიქმნა “კავკასიის კაბინეტი“.

ინსტიტუტში ახლო აღმოსავლეთის შემსწავლელ სტუდენტთათვის შემოღებულ იქნა **ქართული ენის სავალდებულო ორწლიანი კურსი**. ბარბიელინის მიწვევით, ქართველოლოგიის კათედრას 7 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ევროპაში სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი შ. ბერიძე, კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

დღეს ქართველოლოგიის მძლავრი ცენტრები არსებობს ვენეციისა და მილანის უნივერსიტეტებში. 1987 წელს ვენეციის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრა დააარსა ცნობილმა ქართველოლოგმა **ლუიჯი მაგაროტომ**. იგი საქართველოს ხშირი სტუმარია. საფუძვლიანად ფლობს ქართულ ენას, იკვლევს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს, ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას უცხოელ სტუდენტებს, თარგმნის ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს. სწორედ მთარგმნელობითს საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის 1999 წელს ლუიჯი მაგაროტოს მიანიჭეს ინგლისის ქართველოლოგიური ცენტრის **მარჯორი უორდროპის სახელობის პრემია**. ღირსსაცნობია ისიც, რომ ვენეციის უნივერსიტეტში ქართული ენა ისწავლება დამოუკიდებელ საგნად. ქართველოლოგიურ ცენტრს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, გამოდის ჟურნალ “გეორგიკას” იტალიური სერია... და, რაც მთავარია, იტალიის ქართველოლოგიურ ცენტრებში ნაყოფიერად მოღვაწეობენ ახალგაზრდა ქართველოლოგები: **ჯორჯო როტა, ლუკა ტაუფერი, ანდრია ფერირაზი, ჯულია ჯეროდი, ერიდანო ბასარელი, ჯორჯო ძიფერი, ბოლოს ზეკიანი, მარცელა ფრანგიპანე** და სხვ.

თანამედროვე იტალიელი ქართველოლოგია მამა **ლუიჯი მანტოვანი**. იგი 1998 წლიდან საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს, როგორც კათოლიკე მღვდელი, უაღრესად განათლებული პიროვნება. ფლობს რამდენიმე ევროპულ ენას, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესით ქართულ ენას იკვლევს. თანამემამულეებისათვის (ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს) დაწერა **“ქართული ენის მცირე გრამატიკა”** და **“ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული”**; გარდა ამისა, 2006 წელს გამოიცა მამა ლუიჯის მიერ შედგენილი ვრცელი **“იტალიურ-ქართული ლექსიკონი”**.

გერმანია. გერმანიაში (გერმანულენოვან ქვეყნებში) ქართველოლოგიური ცენტრი გამორჩეულია მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობითა და მდიდარი ტრადიციებით. მართალია, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული გერმანელი, ავსტრიელი, შვეიცარიელი მოგზაურები, დიპლომატები, მეცნიერები, წმინდა მამები საქართველოში ჩამოდიოდნენ სხვადასხვა მიზნით და მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ცნობებს აწვდიდნენ თანამემამულეებს ამ ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ, მაგრამ ქართველოლოგიის სათავედ მაინც XVII საუკუნე ითვლება, როცა გერმანელთა წიგნებში პირველად გაჩნდა ცნობები ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ.

საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში დაიწყო გერმანელებმა მსჯელობა ქართველური ენების ნათესაობის შესახებაც. მაგალითად, გ.ლაიბნიცმა (1647-1716წწ.) პირველმა სცადა მოეძებნა მსგავსება ქართულსა და ინდოევროპულ ენებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ლაიბნიცის

დასკვნები ზოგჯერ არ ეყრდნობოდა დამაჯერებელ ფაქტობრივ მასალას, მაინც, საერთოდ, ამ დიდი ავტორიტეტის შრომებში მოცემულ მსჯელობას ქართული ენის შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთის სამეცნიერო წრეებში ქართული ენის პრობლემებისადმი ინტერესის გამოჩენის თვალსაზრისით (არნ. ჩიქობავა).

კავკასიური (მათ შორის ქართველური) ენების შესახებ საინტერესო დაკვირვებებია წარმოდგენილი მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოსოფოსის - **ფრიდრიხ მიულერის** შრომებში: “ქართული ზმნის უღვლილების შესახებ“, “ქართული შრიფტის წარმომავლობის შესახებ“, “კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“ და ა.შ. ფრ. მიულერმა ქართველურ ენათა ნათესაობასთან დაკავშირებით წამოაყენა ახალი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ქართველურ-კავკასიური ენები არ ენათესავენ მსოფლიოში არსებულ არც ერთ ენას; მათ სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავთ მსოფლიოს ენათა სისტემაში - ქმნიან ცალკე დამოუკიდებელ ოჯახს.

XIX საუკუნის **II** ნახევრიდან გერმანელ ქართველოლოგთა მეცნიერული კვლევის სფეროში, ამ ზოგადი ენობრივი პრობლემების გარდა, წმინდა ლინგვისტური საკითხებიც მოექცა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვდა ქართული ენის პრაქტიკულ ცოდნას და მისი რთული (ევროპულ ენათაგან სრულიად განსხვავებული) სტრუქტურის დაწვრილების ანალიზს. ამ ასპექტით, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **ადოლფ დირის** (1867-1930 წწ.) საქმიანობა. იგი 1902-1913 წლებში ცხოვრობდა კავკასიაში, სწავლობდა ამ კუთხის ხალხთა ყოფასა და ენებს.

ა. დირის მრავალრიცხოვან ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან განსაკუთრებით ფასეულია გერმანულ ენაზე გამოცემული “თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა“ (1904), “კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი“ (1928 წ.) და ა.შ. “ა. დირის ქართველოლოგიურ ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა“ (არნ. ჩიქობავა).

ამ პერიოდის ქართველოლოგიური კვლევის ისტორიაში განუზომელია ავსტრიელი მეცნიერის, გრაციის უნივერსიტეტის სახელგანთქმული პროფესორის - **ჰუგო შუხარდტის** (1842-1927 წწ.) ღვაწლი. მსოფლიო ლინგვისტური მეცნიერების კორიფე ბავშვობიდანვე გამოჩენილი ყოფილა უცხო ენების ადვილად ათვისების განსაკუთრებული უნარით. **გერმანიკული ენების გარდა, იცოდა კელტური, სლავური, რომანული ენები, ებრაული, არაბული, უნგრული, ბასკური...** საფუძვლიანად შეუსწავლია **კავკასიური ენები**, მათ შორის, ძველი და ახალი **ქართული**, რომელიც, მისი აზრით, ნამდვილად არის “მეტად თავისებური, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა“.

ჰ. შუხარდტი სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას, ადვილად ერკვეოდა მის სტრუქტურულ თავისებურებებში, ამიტომ იყო, რომ მან პირველმა მიუთითა ზოგ ისეთ ენობრივ მოვლენაზე, რომელიც მაშინ თვით ქართველი სპეციალისტებისათვისაც კი უცნობი იყო. მაგალითად: აბრუპტივების (მკვეთრი თანხმოვნების) თავისებურება ქართულში, მახვილის ბუნება, მოქმედებითი ბრუნვის -**ივ** ნიშნიანი ვარიანტი, მოთხრობითი ბრუნვისა და გარდამავალი ზმნის რაობა (ერგატიული

კონსტრუქცია), დიალექტებში -**ყე** ნაწილაკის გამოყენება ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად და ა.შ.

3. შუხარდტს საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ქართველურ ენათა ნათესაობაზეც. ლინგვისტიკაში მანვე გაუკაფა გზა ტერმინს “ქართველური ენები”.

3. შუხარდტმა გადაარჩინა და ქართულ კულტურას შემოუნახა რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი, მათ შორის - VII საუკუნის **ხანმეტი ლექციონარი**. საგულისხმოა, რომ უცხოელმა მეცნიერმა ხანმეტი ტექსტის შესწავლა იმ დროს დაიწყო, როცა საქართველოში საერთოდ არაფერი იცოდნენ ხანმეტობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ა. შანიძე კიდევ წერდა:

“3. შუხარდტს თითქმის სწორად გაუგია ხანმეტობის არსი, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ხანმეტი ძეგლების შესწავლის წამოწყება პირველად მაინც შუხარდტის სახელთან იქნება დაკავშირებული”.

3. შუხარდტი იყო არა მარტო უძლიერესი მეცნიერ-თეორეტიკოსი, არამედ პრაქტიკოსი მასწავლებელიც. გრაცის უნივერსიტეტში მან შეადგინა ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტთა ჯგუფი.

XX საუკუნეში კიდევ უფრო მრავალმხრივი გახდა ქართველოლოგიური საქმიანობა გერმანიაში. ათეულობით უცხოელი იწყებს ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის საფუძვლიან შესწავლასა და მეცნიერულ კვლევას. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთმა მათგანმა დისერტაციაც კი დაიცვა ქართველოლოგიის საკითხებზე და მეტად ფასეული მეცნიერული დასკვნებით გაამდიდრა ქართული ლინგვისტიკა. ესენი არიან: **გერჰარდტ დეეტერსი, არტურ ლაისტი, ჰუგო ჰუბერტი, გერტრუდ პეჩი, იულიუს ასფალგი** და სხვები.

გერმანიაში (იენა, მიუნხენი, ბერლინი, ჰალე, ოლდენბურგი, ბონი...) დღესაც აქტიურად მოღვაწეობენ და საყურადღებო ქართველოლოგიური ხასიათის ნაშრომებსა და სალექსიკონო ბაზებს ქმნიან: **კარლ ჰორსტ შმიდტი, ჰაინც ფენრიხი, იოსტ გიპერტი, ვინფრიდ ბოედერი, შტეფი იუნგერ-ხოტივარი, ქრისტინე ლიხტენფელდი, ჰუბერტ ფენზენი, ულრიხ ბოკი, ვიქტორია რუიკა ფრანცი, აჰმეთ იუნალი, ვოლფგანგ შულცე, ელმარ კრისტმანი, ბერნარდ კომრი, ჰარალდ კომრი, ჰერმან ჰარცინგერი, იორგ ფასბინდერი, ესკარტ ოლსჰაუზენი, რალფ-ბერნჰარდ ვარტკე, ჰარალდ ჰაუპტმანი, ზიგმარ ფონ შნურბანი, ვინფრედ ორთმანი, ერნსტ პერნიცკა, ჰარტმუტ კიუნე...**

ქართველოლოგიაში გამორჩეული ღვაწლი აქვს **ჰაინც ფენრიხს**. იგი მეტად მრავალმხრივი შემოქმედია. მისი კვლევის საგანია როგორც ენათმეცნიერება, ისე ქართული ლიტერატურა და კულტურის ისტორია; თარგმნის გერმანულად ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. ჰ.ფენრიხის მრავალრიცხოვან ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან განსაკუთრებით ფასეულია “ქართული ენის მოკლე გრამატიკა” (1986), ა. შანიძის “ძველი ქართული ენის გრამატიკის” გერმანული თარგმანი, “ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი” (გამოიცა 1990 წელს თბილისში, თანაავტორია ზ. სარჯველაძე) და ა.შ.

ჰ.ფენრიხი შესანიშნავად ფლობს ძველ და სასაუბრო ქართულს, მეგრულ-ჭანურ-სვანურსა და რამდენიმე ჩრდილოეთ კავკასიურ ენასაც.

ქართველოლოგიაში მიღწეული დიდი წარმატებისათვის ჰ. ფენრიხი დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ქართველოლოგიურ საქმიანობას ხელს უწყობს ქართული კლუბები და სათვისტომოები, ქართველი და გერმანელი კოლეგების მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობა. იენის ფრ. შილერის სახელობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტები ერთობლივად სცემენ ქართველოლოგიურ ყურნალს - **“გეორგიკას”** (რომლის ერთ-ერთი რედაქტორი და გამომცემელია ჰაინც ფენრიხი), პარალელურად იენის უნივერსიტეტში გამოდის სამეცნიერო ყურნალი: **“ენათა ფორმები და შინაარსი”**. ორივე ყურნალში სისტემატურად იბეჭდება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის საკითხებზე.

ამერიკა. აშშ-ში ქართველოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა **რობერტ ბლეიკმა** (1886-1950 წწ.); იგი სან-ფრანცისკოდანაა. 1908 წელს დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტის კლასიკური ბერძნულის განყოფილება. შემდეგ ერთდროულად სწავლობდა ჰარვარდისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1914 წელს რ. ბლეიკი, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, მიავლინეს კავკასიაში, სამაგისტრო გამოცდები ჩააბარა ქართული სიტყვიერების დარგში. რ. ბლეიკი იყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი. გამოსცა ქართული ბიბლია და პალეოგრაფიული ტექსტები (ლათინური თარგმანითურთ), მეცნიერულად აღწერა პალესტინასა (ჯვრის მონასტერში) და ათონზე (ივერთა მონასტერში) დაცული ქართული ხელნაწერები, რომელთა მეცნიერული ღირებულება ძალიან დიდია.

დღეს შეერთებული შტატებისა და კანადის ბევრ უნივერსიტეტში (ჰარვარდის, მონრეალის, ჩიკაგოს, ვაშინგტონის, ოქსფორდის, ინდიანის, ტუსკანის, კვებეკის, ნეშვილისა და სხვ.). მოღვაწეობენ ცნობილი ქართველოლოგები: **ჰოვარდ არონსონი, აღის ჰარისი, დიენ ჰოლისკი, ქევენ თუითი, ნოელ პოლკი, კიმ ბრეითვეიტი, ჰოლ ჰედვიკი, ლუის ფრენსის სოლანო, დოდონა კიზირია... ადამ სმიტი, რონ გორნი, რობერტ დარიუსი, კრეგ მელჩერთი, სტივენ ჯონსი, ჯინ გრეგი** და სხვები.

ჰოვარდ არონსონი ცნობილი ენათმეცნიერია. მან ჩიკაგოს უნივერსიტეტში დააარსა ქართული ენის კათედრა, შემოიღო ქართული ენის სასწავლო კურსი, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე. იკვლევს ძველსა და ახალ ქართულ ენას. 1982 წელს გამოსცა **“ქართული ენის გრამატიკა”** - სახელმძღვანელო უცხოელ სტუდენტთათვის. მან დ.კიზირიასთან ერთად შეადგინა სახელმძღვანელო მეორე წიგნი (ქრესტომათია). აღსანიშნავია, რომ არონსონის გრამატიკა უცხოეთში ძალზედ პოპულარულია, პრაქტიკულად გამოყენებული.

დიენ ჰოლისკი (ვაშინგტონის ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის პროფესორი) ქართულ ენას სტუდენტობისას გაეცნო ჩიკაგოს უნივერსიტეტში (აქ ქართულ ენას ასწავლიდა ჰოვარდ არონსონი). იგი საქართველოს რამდენჯერმე ეწვია, პრაქტიკულად შეისწავლა ქართული ენა, განსაკუთრებით დაინტერესდა მთის კილოებით.

საფრანგეთი. საფრანგეთში ჩვენი ქვეყნის შესახებ პირველი ზოგადი ცნობები შუა საუკუნეებიდან ჩნდება. მაგალითად, ფრანგი მოგზაურის - **ჟან შარდენის** ვრცელ თხზულებაში “მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში” დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს. ცნობილია, რომ 1672-1673 წლებში შარდენმა იმოგზაურა კავკასიაში, მოიარა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალთ ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პირადი შთაბეჭდილებები შეავსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან, მისიონერთა ჩანაწერებიდან.

შარდენის ეს ცნობები მეტად ფასეული და სანდო მასალაა საქართველოს ისტორიისათვის, მაგრამ საფრანგეთში მეცნიერულ ქართველოლოგიურ მუშაობას საფუძველი ჩაეყარა **XIX** საუკუნის შუახანებიდან, რაც დაკავშირებულია ფრანგი ორიენტალისტის, აკადემიკოს მარი ბროსეს სახელთან.

აღიარებულია, რომ **მარი ბროსე** (1802-1880 წწ.) იყო ქართველოლოგიის მამამთავარი არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაში. მ. ბროსე ქართული ენითა და, საერთოდ, საქართველოთი დაინტერესებულა მას შემდეგ, რაც ფრანგულ ენაზე გასცნობია რუსი სწავლულის - **ევგენი ბოლხოვიტინოვის** ნაშრომი: “საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის ისტორიული მიმოხილვა”, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ქართული ენისა და მისი დამწერლობის უძველესობაზე¹⁹⁴.

მარი ბროსემ შეისწავლა ქართული ენა (მუშაობაში დახმარებას უწევდნენ მიწერ-მოწერით თეიმურაზ ბატონიშვილი და სენ მარტენი). 1834 წელს გამოსცა ქართული ენის თვითმასწავლებელი - **“ქართული ენის გრამატიკა”**, რომელშიც გათვალისწინებული იყო ანტონის, მაჯოს, დავით ბატონიშვილის გრამატიკები.

1837 წელს მარი ბროსე მიიწვიეს რუსეთში, აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. მან აქაც ჩაუყარა საფუძველი ქართველოლოგიას, ცდილობდა, ქართული ენა უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში შესულიყო. ამ მიზნით სატახტო ქალაქში კითხულობდა ჯერ საჯარო ლექციებს საქართველოს ისტორიაში, ხოლო შემდეგ (1841-1842 წწ.) - ქართული ფილოლოგიის კურსს პეტერბურგის უნივერსიტეტში.

მარი ბროსემ ფრანგულად თარგმნა და შვიდ ტომად გამოსცა **“ქართლის ცხოვრება”** და სხვა საისტორიო თხზულებანი.

1920-იანი წლებიდან ფრანგ ქართველოლოგთა შორის ნაყოფიერი მოღვაწეობით გამოირჩეოდა პარიზის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მორის ბრიერი**. წლების მანძილზე ასწავლიდა ქართულ ენას პარიზის კათოლიკური უნივერსიტეტის ძველი აღმოსავლური ენებისა და აღმოსავლეთის ცოცხალი ენების სკოლაში. იკვლევდა ძველი ქართული

¹⁹⁴ ე. ბოლხოვიტინოვი: “ქართული მატთანე ქართული დამწერლობის შექმნას მიაწერს მეფე ფარნავაზის ეპოქას”.

ენის ძეგლებს. 1931 წელს, ნიკო მარის თანაავტორობით, მ. ბრიერმა ფრანგულ ენაზე გამოცა 800-გვერდიანი სახელმძღვანელო “ქართული ენა“.

ფრანგ მეცნიერ-ლინგვისტა შორის, რომლებმაც ქართული ენა სპეციალური კვლევის საგნად გაიხადეს, აღსანიშნავია **რენე ლაფონი** (1899-1974 წწ.). იგი გახლდათ გამოჩენილი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი, კავკასიოლოგი, ქართველოლოგი. რ. ლაფონმა ქართული ენის გრამატიკის ზოგადსა თუ კონკრეტულ საკითხებს უძღვნა არაერთი ნაშრომი: “ქართული ენის უკეთ გაცნობისათვის“, “კავკასიური ენათმეცნიერება“, “იბერიულ-კავკასიური ენები“, “ბასკურ-კავკასიური ეტიუდები“, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბასკურ-ქართულ შესატყვისობებს. და ა.შ. ფრანგულად თარგმნა ქართველ ენათმეცნიერთა გამოკვლევები, “ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული თავები, ქართველ კლასიკოსთა მხატვრული ნაწარმოებები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რენე ლაფონი - როგორც ქართული და ბასკური ენების საუკეთესო მცოდნე - დაბეჭდვებით მიუთითებდა ბასკურ და ქართულ ენათა მონათესავეობის შესახებ. 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ქართული ენის შესწავლა-პოპულარიზაციაში დიდი დამსახურებისათვის რენე ლაფონს მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

დღეს რომ საფრანგეთში ქართველოლოგიური ცენტრი ერთ-ერთი ძლიერი შემოქმედებითი სკოლაა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე: **ჟორჟ დიუმენილს, ბერნარ უტიეს, რობერ ტროიმფს, ჟან პიერ გიუგლიელმს, ფრანსუა მარ ტელამონს, შარლ მერსიესა** და სხვებს. აქვე აღვნიშნავ, რომ საფრანგეთში ცხოვრობს ქართული ენის ზმნის პერსპექტიული მკვლევარი, ენათმეცნიერი **ელენ ჟერარდინი**.

საფრანგეთში არსებობს ქართველოლოგთა სამი ოფიციალური ცენტრი: პარიზის აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციის ინსტიტუტი, სორბონის უნივერსიტეტი (ქართული ენის კათედრა) და პარიზის ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის სამეცნიერო ცენტრი.

ინგლისი. ინგლისში მეცნიერული ქართველოლოგია აღმოცენდა XIX საუკუნიდან. პირველ ინგლისელ ქართველოლოგად ასახელებენ ცნობილ მეცნიერს, პოლიგლოტს, საეკლესიო ისტორიის მკვლევარს - **სოლომონ სოზარ მალანს**, რომელმაც ინგლისურად თარგმნა პლატონ იოსელიანისა და გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური ხასიათის ნაწარმოებები... მას 1872 წელს ქუთაისში ყოფნისას გელათში წირვა-ქადაგება ქართულ ენაზე ჩაუტარებია.

ინგლისური ქართველოლოგიის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი **უილიამ რიჩარდ მორფილი**. მან ჯერ დამოუკიდებლად დაიწყო ქართული ენის შესწავლა, შემდეგ, 1888 წელს, საქართველოშიც ჩამოვიდა, უფრო ახლოს გაეცნო ქართულ კულტურასა და აქაურ ცნობილ მოღვაწეებს: ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაბელსა და სხვებს... იმავე წელს ინგლისში გამოაქვეყნა თავისი პირველი ქართველოლოგიური ნაშრომი: “ქართული ენა და მწერლობა“. მას შემდეგ, წლების მანძილზე, აქტიურად იყო დაკავებული ქართველოლოგიის საკითხებით.

ქართველოლოგიის შემდგომი განვითარება ინგლისში უცილობლად დაკავშირებულია და-ძმა - **მარჯორი და ოლივერ უორდროპების**

სახელთან. მათ სრულყოფილად შეისწავლეს ქართული და ინგლისურად თარგმნეს ქართული მწერლობის ბევრი საუკეთესო ნიმუში: სულხან-საბა ორბელიანის “სიბრძნე სიცრუისა”, “ვისრამიანი”, ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის “განდევილი”, “წმ. ნინოს ცხოვრება”... **მარჯორი უორდროპმა** თარგმნა აგრეთვე “ვეფხისტყაოსანი”. სწორედ ამ შესანიშნავი თარგმანით გაეცნო პირველად ინგლისურ ენაზე მკითხველი საზოგადოება მოთას უკვდავ პოემას.

მოგვიანებით უორდროპების ოჯახის შეწირულების საფუძველზე ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდროპის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაარსდა ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის წამახალისებელი ფონდი, რომელიც ხელს უწყობს ინგლისში ქართველოლოგიური მუშაობის ნორმალურად წარმართვას. ფონდი აფინანსებს ლექციებს, კვლევით სამუშაოებსა და შრომების გამოცემებს ქართველოლოგიის დარგში.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ინგლისში სხვა ქვეყნებთან შედარებით ადრე გაიხსნა ქართული ენის კათედრები ჯერ ოქსფორდში, შემდეგ - ლონდონის უნივერსიტეტში.

XX საუკუნეში ინგლისის ქართველოლოგიური ცენტრი კიდევ უფრო გაიზარდა რიცხოვნობრივად, გაფართოვდა და მრავალმხრივი გახდა მისი შემოქმედებითი საქმიანობის თემატიკა; ამ ქვეყანაში მოღვაწეობენ: **უილიამ ალენი, დევიდ ლანგი, რობერტ სტივენსონი, სტივენ ჯოუნსი, დონალდ რეიფილდი, დევიდ ბრაუნდი, რობერტ პარსონსი, ჰაროლდ ბეილი, ქეთრინ ვივიანი, თამარ დრაგაძე, ლორდი ქოლინ რენფრიუ, რობერტ ტომპსონი** და სხვები.

თურქეთი. თურქეთში 4 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს /მათი უდიდესი ნაწილი მუსლიმანია/; მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანაში ბოლო პერიოდამდე მხოლოდ ერთი ქართველოლოგიური ცენტრი არსებობდა - **სტამბოლის ქართული სავანე**¹⁹⁵.

“სტამბოლის ქართული სავანე“ დაარსდა მაშინ, როცა საქართველოსთვის მიძიმე პერიოდში ქართველმა ერმა დაკარგა საზღვარგარეთ არსებული თითქმის ყველა კულტურული კერა; კერძოდ, **გასხვისდა:** ივერიონი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, შავი მთის, სინის მთის, ანტიოქიის ქართული მონასტრები. “სტამბოლის ქართული სავანე“ დაარსდა 1861 წელს, როდესაც სტამბოლის ერთ-ერთ ლამაზ უბანში - ფერიქოში - მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაფუძნდა დედათა და მამათა ქართული კათოლიკური მონასტრები. 1870 წელს აქვე ამოქმედდა ქართული სტამბა, მოგვიანებით კი - ქართულ-ბერძნული სკოლაც.

1908 წელს სტამბოლის ქართულ სავანეში დაარსდა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაც, სადაც დღემდეა დაცული 83 000 ერთეული წიგნი და დოკუმენტი (მათი უმრავლესობა ქართულენოვანია). 1911 წელს მალვა ვარდიძის ხელმძღვანელობით აქვე ამოქმედდა “ქართული კლუბი“, სადაც იმართებოდა კრებები, დისკუსიები, თავყრილობები, რომელთაც ესწრებოდნენ მუსლიმანი ქართველებიც.

1913-1914 წლებში მონასტრის სტამბაში იბეჭდებოდა ყურნალი “თავისუფალი საქართველო“ (გამომცემლები: მიხაკო წერეთელი, გიორგი

¹⁹⁵ ვრცლად იხ. შ. ფუტყარაძე, “სტამბოლის ქართული სავანე“, თბ., 2012.

მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე, ლეო კერესელიძე...). აქვე ჩაისახა “ქართული ლეგიონის“ დაარსების იდეაც.

სტამბოლის სავანეს მცირე ხნით შეაფარეს თავი 1921 წელს რუსეთის იმპერიის მიერ განდევნილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც (ნოე ჟორდანიას მთავრობამ).

სტამბოლის ქართული სავანის აღზრდილნი არიან ცნობილი მოღვაწენი: ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე, ანდრია წინამძღვრიშვილი, სტეფანე გიორგიძე, იოსებ მერაბიშვილი, ელისაბედ ბეჟანიძე, პიო ბალიძე, ბენედიქტი ვარდიძე, ალფონს ხითარაშვილი, პეტრე ტატალაშვილი, პავლე იაკობაშვილი, პავლე და სიმონ ზაზაძეები. მოგვიანებით ამ სავანის ბაზაზე ისწავლეს ქართული წერა-კითხვა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ აჰმედ მელაშვილმა და სხვა თურქეთელმა ქართველებმა.

* * *

ქართველოლოგიური კვლევა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაშიც; ქართველოლოგიას გამორჩეული (თუ საყოფადღებო) ნაშრომები შესძინეს: **ჰანს ფოგტმა** (ნორვეგია), **იან ბრაუნმა** (პოლონეთი), **იარომირ იედლიჩკამ** (ჩეხოსლოვაკია), **ლაიოშ ტარდმა** (უნგრეთი), **პაულ პეტეტრსმა**, **ჟერარ გარიტმა**, **მიშელ ვან ესბროკმა** (ბელგია), **გიორგი კლიმოვმა** (რუსეთი), **იური ზიცარმა** (რუსეთი) და სხვ.

უცხოეთში **ქართული** ენითა და კულტურით დაინტერესებულნი არიან აგრეთვე: კარინა ვამლინგი, ბენგტ სიგურდი, შიფტე ამირჰეჰმათი (შვედეთი), მაიქლ სტოლნი, ითამარ სინგერი (ისრაელი), ალი აქსამაზი, ჰარუნ ჩიმქე, მუზაფერ ქირი (თურქეთი), ანტონიო საგონა (ავსტრალია), ბრიან მაკგინგი (ირლანდია)... სთივენ რეპი (ამერიკა), ჯ. ჯ. ს. ვაიტენბერგი (გერმანია), სილვინ კოზაკი (გერმანია), ენთონი ისთმონდი (ინგლისი), იორგ ფასბინდერი (გერმანია), ბერნარდ ქნაპი (შოტლანდია), დარა გოლდსთეინი (გერმანია), გუდვინ ქუქი (აშშ), იან ბერტრამი (გერმანია), კლაუდია საგონა (ნიდერლანდები), ქრის თორნთონი (ფილადელფია), ანდრეას ჰაუპტმანი (გერმანია), დენის ჰამფრისი (აშშ), ს. ჰარელი (აშშ), ჰიპოკატე მაედა (იაპონია) და სხვ.

13.3. უცხოეთში მოღვაწე ქართველები¹⁹⁶

უცხოეთში მცხოვრებ ქართველთაგან ბევრი ვერ იღვწის საქართველოსათვის; მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთული ქართველოლოგიის თანამედროვე დონის შექმნაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველ ემიგრანტებსაც, რომლებიც აღვივებდნენ ინტერესს საქართველოსადმი და ცდილობდნენ, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა მოექციათ მსოფლიოს მეცნიერული აზროვნების ყურადღების ცენტრში. ქვემოთ წარმოვადგენთ ცნობებს ზოგი გამორჩეული მოღვაწის შესახებ:

მიხეილ თამარაშვილი (1859-1911 წწ.) დაიბადა ახალციხეში. განათლება მიიღო საზღვარგარეთ. თავდაპირველად სწავლობდა კონსტანტინოპოლში, **პეტრე ხარისჭირაშვილის** მიერ დაარსებულ ქართულ სასწავლებელში, შემდეგ - ესპანეთის სასულიერო სემინარიაში.

1888 წელს დაამთავრა პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი. ამავე პერიოდში იგი გაეცნო პარიზის სამეცნიერო ცხოვრებას, მუშაობდა წიგნსაცავებში, არქივებსა და მუზეუმებში.

1891 წელს მ. თამარაშვილი იძულებული გახდა¹⁹⁷, საცხოვრებლად იტალიაში გადასულიყო. მან წარმატებით დაასრულა რომის სასულიერო აკადემია და შემდეგ დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა; 1894 წელს მოიპოვა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო წოდება.

მრავალმხრივი იყო მ. თამარაშვილის, როგორც მეცნიერის, საკვლევადიებო სფერო, მაგრამ განსაკუთრებით მაინც დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიით. მან ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში გამოავლინა საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდძალი ახალი მასალა, რომელთა გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე გადმოსცა საქართველოს კათოლიკობის გავრცელების სრული ისტორია წიგნში: "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" (1902 წ.). ილია ჭავჭავაძის "ივერიაში" ამ ნაშრომს მეორე "ქართლის ცხოვრება" უწოდა.

ევროპის სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება მოჰყვა მ. თამარაშვილის წიგნს: **"ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე"** (1910). წიგნი დაიბეჭდა რომში ფრანგულ ენაზე¹⁹⁸. ამ გამოცემას მიენიჭა ვატიკანის სპეციალური პრემია. ნაშრომის შესახებ

¹⁹⁶ პარაგრაფის მომზადებისას გამოყენებულია 2006 წელს გამოცემული "ქართული ენის ისტორიის" (პროფ. ტ. ფუტყარაძის საერთო რედაქციით) შესაბამისი მონაკვეთი.

¹⁹⁷ მ. თამარაშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბრძანება, რომლის მიხედვითაც კათოლიკეთა ქართული ტიპიკონი სომხურით უნდა შეცვლილიყო; იგი რუსეთის იმპერატორთან დააბეზლეს და იძულებული გახადეს, საქართველო დაეტოვებინა; ვრცლად იხ. შ. ლომსაძე, მ. თამარაშვილი, თბ., 1964).

¹⁹⁸ ქართულად ითარგმნა 1994 წელს.

დაწერილ 50-ზე მეტ რეცენზიაში აღიარებული იყო საკითხის აქტუალობა და გამოტანილი დასკვნების ღირებულება.

მ. თამარაშვილმა საქართველოსთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო მასალა გამოავლინა საზღვარგარეთ და ხელმისაწვდომი გახდა ფართო მკითხველისათვის. მოიძია ევროპაში სულხან-საბას მოგზაურობის მასალები, სიცილიაში აღმოაჩინა კრისტოფორო დე კასტელის სურათების ალბომი, რომლის ფოტოასლის გადასაღებად და წარწერების შესასწავლად დიდი შრომა გასწია.

მ. თამარაშვილის ნიჭიერებასა და განსწავლულობას, მის ადამიანურ ღირსებებს ევროპის ქვეყნების სამეცნიერო წრეებში მაღალ შეფასებას აძლევდნენ. იგი აღიარებული იყო, როგორც იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი და მკვლევარი.

მ. თამარაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა 1911 წელს ჩივიტა-ვეკიაში (იტალია)¹⁹⁹.

1978 წელს იტალიიდან სამშობლოში გადმოსვენეს მ. თამარაშვილის ნეშტი და პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას დიდუბის პანთეონში.

შალვა ვარდიქე - კათოლიკე მღვდელი და საზოგადო მოღვაწე; დაიბადა ადიგენის რაიონის სოფ. არალში. 1911 წ. სტამბოლში შალვა ვარდიქემ დააარსა ქართული კლუბი. ქართულ კლუბში შემუშავდა **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა**. 1914 წლისთვის დაიგეგმა ქართული სკოლის გახსნაც, მაგრამ ქართული კლუბის გეგმების განხორციელებას ხელი შეუშალა I მსოფლიო ომის დაწყებამ. დიდია მისი ღვაწლი “სტამბოლის ქართული საგანის” შენარჩუნებასა და გააქტიურებაში. სწორედ საგანის ტერიტორიაზე, მონასტრის სასტუმრო სახლში მოქმედებდა 1914 წ. ჟენევაში დაარსებული **“საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი”** (რომელსაც ადგილობრივი კომიტეტები ჰქონდა ლაზეთშიც კი). “დამოუკიდებლობის კომიტეტის” მიზანი იყო გერმანიის პროტექტორატით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა; ამ კომიტეტის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტამბოლის ქართული საგანის წინამძღვარი შალვა ვარდიქე.

1918-1921 წლებში სტამბოლის ქართველთა საგანის სტამბაში დაიბეჭდა ბევრი საჭირო წიგნი²⁰⁰; ასევე, აქ იბეჭდებოდა ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ჟურნალი: “თავისუფალი საქართველო” (პირველი ნომრები) და სხვ.

შალვა ვარდიქე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. იგი ფლობდა ცხრა ენას და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში ცხრავე ენაზე აქვეყნებდა სტატიებს; უცხოელებს აცნობდა ქართული კულტურის ისტორიას.

¹⁹⁹ მან ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა ერთი სომეხი, თავად კი ვეღარ შეძლო ნაპირზე გამოსვლა.

²⁰⁰ მაგ., სტამბოლის ქართულ საგანეში 1919 წელს დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის ფასდაუდებელი ნაშრომი “საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით” (რომლის დაბეჭდვა თბილისში ვერ მოხერხდა).

შალვა ვარდიძემ ფრანგულ ენაზე თარგმნა “ვეფხისტყაოსნის“ თავები. იგი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა; კერძოდ, 1921 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნა იტალიელი მწერლისა და დიპლომატის **ვეგენი დალეჯიო დალესიოს** ნაშრომი “ქართველები კონსტანტინეპოლში“. მან არაბულ ენაზე გამოაქვეყნა “საქართველოს მოკლე ისტორია“. ბოლოს იგი იყო ბეირუთის უნივერსიტეტის ფრანგული უნივერსიტეტის პროფესორი. შალვა ვარდიძე გარდაიცვალა ლიბანში XX ს-ის 50-იან წლებში. მისი არქივი დიდი რისკის ფასად თურქეთში ჩამოიტანა და ქართველ კათოლიკეთა მონასტერს გადასცა ბიზნესმენმა და საზოგადო მოღვაწემ, სიმონ ზაზაძემ²⁰¹.

მისიელი თარხნიშვილი (1897-1958 წწ.) “მთელი დასავლეთისათვის ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის მასწავლებელი იყო... არ არსებობს საქართველოს ისტორიის, მისი ენის, ლიტერატურისა და ლიტურგიის დარგი, მათი მიმართება მეზობელი ქვეყნების ლიტერატურასა და ეკლესიასთან, რომელშიც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მას არ შეეცანოს. მან პირველმა დაანახა დასავლელ მკვლევარებს ქართული ლიტერატურის ნაკლებად ცნობილი საგანძური“ (ყერარ გარიტი).

მ. თარხნიშვილი დაიბადა ახალციხეში. სწავლობდა პირველად სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამონასტრო სკოლაში, შემდეგ - გერმანიაში (ქალაქ ეტალში). 1924 წლიდან ავსტრიაში (ვენაში) ეუფლებოდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას. 1933 წელს დაამთავრა რომის პაპის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და იმავე წელს იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1933-1943 წლებში, როგორც მღვდელი, ეწევა აგრეთვე პრაქტიკულ მოღვაწეობას საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში, 1943 წლიდან კი სამუდამოდ დასახლდა იტალიაში და მთლიანად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში.

მ. თარხნიშვილი უდიდესი განათლების მქონე პიროვნება იყო. მას ისე ბრწყინვალედ სცოდნია გერმანული, ფრანგული, იტალიური, ლათინური, ბერძნული, სირიული და რუსული ენები, რომ თითოეულ მათგანზე წერდა სამეცნიერო ნაშრომებს.

მეტად მრავალფეროვანი იყო მ. თარხნიშვილის შემოქმედებითი თემატიკა: ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია თუ საქართველოს ისტორია, მთარგმნელობითი თუ ლექსიკოგრაფიული საქმიანობა... მაგრამ მაინც ფასდაუდებელია მისი ღვაწლი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის

²⁰¹ ს. ზაზაძე 1960-1980 წლებში აფინანსებდა პარიზში გამომავალ ერთადერთ ქართულ ჟურნალს - “ბედი ქართლისას“ (რამდენიმე ნომერს - XV-XVI №43-44, 1963 წ.; XVII-XVIII №45-46, 1964 წ.; №48-49, 1965 წ. - სათანადო მინაწერიც აქვს). ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, პავლე, სიმონ და პოლ (პავლე) ზაზაძეები და სტამბოლის ქართველთა საგანე“; <http://lib.ge/book.php?author=477&book=4653>;

<http://archive.is/Ncv4S>; <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000017...>

ქართულენოვანი კულტურის ქმნალობის მიმართულებით ღვაწლი არ შეუწყვეტიათ სხვა კათოლიკეებსაც; კერძოდ, კათოლიკე ქართველთა წიაღში იშვნენ: პეტრე ხარისჭირაშვილი

უცხოეთში მოღვაწე სხვა ქართველების შესახებ ცნობები იხ. ქვემოთ; ასევე, იხ.: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka>

ბიბლიოთეკებში დაცული უძველესი ქართული წარწერების, ხელნაწერებისა და ლექციონარების გამოქვეყნება-შესწავლაში. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **ვირჯილიო კორბოს** მიერ პალესტინაში აღმოჩენილი უძველესი წარწერები, რომლებიც მ. თარხნიშვილმა პირველმა გაშიფრა მეცნიერულად და გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებანი. გარდა ამისა, მან დიდი შრომა გასწია გრაცის უნივერსიტეტისა და ვატიკანის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების გამოსაქვეყნებლად; შეუწეობდა ინტერესით იკვლევდა ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიას. ევროპელთათვის რომ ხელმისაწვდომი გაეხადა ქართული მწერლობა, **გერმანულ ენაზე თარგმნა კ. კეკელიძის “ძველი ქართული მწერლობის ისტორია“**. მ. თარხნიშვილი ევროპულ ენციკლოპედიებს სისტემატურად აწვდიდა მასალებს საქართველოს შესახებ, შეადგინა “ქართულ - ფრანგული ლექსიკონი“.

დიდა მ. თარხნიშვილის დამსახურება იმ მხრივაც, რომ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იყო უცხოეთში ქართული კულტურის ერთგული დამცველი და ქომაგი. მაგალითისათვის დავასახელებთ მხოლოდ ერთ შემთხვევას: ევროპის სამეცნიერო წრეებში იმხანად გაბატონებული იყო პ. პეტეტრსის დებულება, რომლის თანახმად “ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანი ქართულიდან უნდა იყოს შესრულებული ექვთიმე ათონელის მიერ XI საუკუნის I ნახევარში. მაგრამ მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა **დოელგერმა** სცადა დაერღვია ეს დებულება და კიდევ უარყო “ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანის ქართულიდან წარმომავლობა. მ.თარხნიშვილმა ამასთან დაკავშირებით გერმანულ და ქართულ ენებზე დაწერა ორი ნაშრომი, რომელშიც გააკრიტიკა დოელგერის თვალსაზრისი და მეცნიერულად დაასაბუთა პ.პეტეტრსის დებულების მართებულობა.

მ. თარხნიშვილი სიცოცხლეშივე იყო აღიარებული, როგორც სახელგანთქმული მეცნიერი, ღრმად განსწავლული პიროვნება. მან ევროპაში აღზარდა ქართველოლოგთა მთელი თაობა; მთელი სიცოცხლის მანძილზე რუდუნებით, სიყვარულითა და საოცარი მხნეობით თავს დასტრიალებდა უძველეს ქართულ მწერლობას.

შალვა ბერიძე (1892-1970 წწ.) - ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი, დაიბადა ახალ სენაკში. ხარკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1917-1918 წლებში მოღვაწეობდა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში, სადაც **ნ. მარისა** და **ალ. ხახანაშვილის** რეკომენდაციით იწყებს კვლევას ენათმეცნიერებაში.

1920-იანი წლებიდან შ. ბერიძე ემიგრაციაში აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას. 1930-1931 წლებში ლონდონში ინგლისურად გამოუცია ანთოლოგია: “ქართველი პოეტები“, ფრანგულად დაუწერია ნაშრომი: “ბაირონი და პუშკინი“, ხელნაწერის სახით დარჩენია “ვეფხისტყაოსნის“ სრული იტალიური თარგმანი...

1934 წელს შ. ბერიძემ დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი. 1936 წლიდან ცხოვრობდა იტალიაში, ნეაპოლში. იგი პროფ. ბ. ბარბიელინმა მიიწვია ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში

ქართველოლოგიის კათედრის გამგედ და მიანდო ლექციების წაკითხვა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ლექციებს დიდი ინტერესით ისმენდა 20-მდე უცხოელი სტუდენტი.

შ. ბერიძე უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა ჟურნალში: “ბედი ქართლისა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნები: “ქართული ენა იტალიაში“, “ბასკური და ქართული“, “რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა“, “რუსთაველი და მედიცინა“ და ა.შ. 1945 წელს ნეაპოლში დაიბეჭდა “ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი (ეს იყო შოთას უკვდავი პოემის პირველი პროზაული თარგმანი იტალიურ ენაზე).

წმინდა გრიგოლ ფერაძე (1899-1943 წწ.) - მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, პროფესორი, დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხეში. 1921 წელს კ. კეკელიძის შუამდგომლობითა და არტურ ლაისტის რეკომენდაციით საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ გრ. ფერაძე გააგზავნა გერმანიაში თეოლოგიური განათლების მისაღებად. ბერლინის უნივერსიტეტში გერმანელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მეცადინეობდა თეოლოგიასა და ორიენტალისტიკაში (ებრაულ, ასირიულ, არაბულ, კოპტურ, სომხურ, ბერძნულ ენებზე). ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი ქართველოლოგი **რ. მეკელაიანი**. 1925 წელს სწავლის გასაგრძელებლად გადადის ბონის უნივერსიტეტში, სადაც მალე მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ნაშრომში: **“მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“**. სპეციალისტების აზრით, ნაშრომში გამოტანილი დასკვნები მეტად მნიშვნელოვანი და ფასეულია ქართული ბერმონაზვნობის ისტორიისათვის. ამის შემდეგ გრ. ფერაძე ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება ბრიუსელში, შემდეგ - ინგლისში, სადაც ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტებში იკვლევს ქართულ ხელნაწერებს.

1927 წელს გრ. ფერაძე მიიწვიეს ბონის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ძველ ქართულსა და ძველ სომხურ ლიტერატურაში. ამიერიდან იწყება მისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ლათინური, ძველი სლავური, რუსული, ებრაული და სხვა აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა მას უხსნიდა გზას, პრაქტიკულად აეთვისებინა მსოფლიო ლიტერატურის მიღწევები.

1928 წელს გრ. ფერაძეს მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება. 1932 წელს მიიწვიეს ოქსფორდის უნივერსიტეტში. აქ იგი სათავეში ჩაუდგა მართლმადიდებლური თეოლოგიის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ქართული ეკლესიის ისტორიაში, ბიბლიის ძველ თარგმანებსა და ქართულ სასულიერო მწერლობაში.

1933 წელს გრ. ფერაძე მუდმივ საცხოვრებლად გადადის პოლონეთში. იგი გახდა ვარშავის ორიენტალისტიკის სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი. დააარსა ჟურნალი “პატროლოგია“. 1935 წლიდან კვლავ მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში უძველესი ქართული ხელნაწერების გამოსავლინებლად და შესასწავლად. ათონზე მან აღმოაჩინა 50 ქართული წიგნი და 13 ხელნაწერი. 1936 წელს იმოგზაურა პალესტინაშიც.

1942 წელს ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთში გესტაპომ დააპატიმრა გრ. ფერაძე. იგი მოათავსეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც დასრულდა მისი სიცოცხლე. ჰეშმარიტი სულიერი მოძღვარი გაზის კამერაში თავისი სურვილით შევიდა ერთ-ერთი ტყვე პოლონელი ებრაელის ნაცვლად. “შენ დიდი ოჯახი გაქვს: ცოლი და ხუთი შვილი. შენ უნდა იცოცხლო მათთვის... მე კი შენს მაგივრად მოკვდები მათი მომავლისათვის”, - უთხრა ტყვე ამხანაგს გრიგოლმა და კიდევ აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით.

პოლონელმა ხალხმა ღირსეული პატივი მიაგო გრ. ფერაძის ღვაწლს. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, გრ. ფერაძის სახელი სამუდამოდ ჩაიწერა მეცნიერებაში მსოფლიოს მასშტაბით. მეტად მდიდარი და მრავალმხრივი იყო მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს 64-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა მიხედვით უცხოელები ერთხმად აღიარებდნენ გრ. ფერაძის მეცნიერულ დამსახურებას და ხაზგასმით წარმოაჩენდნენ მისი მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზღვარგარეთის ქართველოლოგიაში.

ახლო მეგობრების თქმით, გრ. ფერაძეს ჰქონია უძვირფასესი მეცნიერული წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა ტყავზე დაწერილი ხელნაწერები, მათ შორის V-VI საუკუნეების ეტრათი - ქართული ისტორიის უძველესი საბუთი და სხვ. სამწუხაროდ, სამშობლომდე ვერ მოაღწია ამ უდიდესმა ბიბლიოთეკამ, პირადად არქივმა და მისმა მეცნიერულმა მემკვიდრეობამ.

1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ არქიმანდრიტი გრ. ფერაძე წმინდანად შერაცხა.

კიტა ჩხენკელი (1895-1963 წწ.) შვეიცარიაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელია. დაიბადა ქუთაისში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1913 წ.) სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში. 1920 წელს გაემგზავრა გერმანიაში ცოდნის გასაღრმავებლად. კალესა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში ეუფლებოდა ფილოსოფიას, პოლიტიკონომიას, სოფლის მეურნეობას.

1936 წელს კ. ჩხენკელმა მოიპოვა დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ ეკონომიაში და მოღვაწეობა დაიწყო ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც მალე დაავალეს ქართული ენის კურსის წაკითხვაც. მართალია, კ. ჩხენკელს უმაღლესი ფილოლოგიური განათლება არ მიუღია, მაგრამ იგი დიდი ინტერესით შეუდგა ენათმეცნიერულ საქმიანობას; რაც მთავარია, მას აქ მიეცა საშუალება სინამდვილედ ექცია სახუკვარი ოცნება - მისაწვდომი გაეხადა ევროპელთათვის ქართული ენა, რომლის ორიგინალური აღნაგობა უკვე დიდი ხანია იწვევდა უცხოელი ლინგვისტების ინტერესს.

1943 წელს კ. ჩხენკელი გადავიდა შვეიცარიაში, დასახლდა ციურხში. ციურხის უნივერსიტეტსა და კონფედერაციულ უმაღლეს სასწავლებელში მას დაავალეს **ქართული ენის სწავლება, რაც სრულიად ახალი რამ იყო მთელს შვეიცარიაში.**

კიტა ჩხენკელმა ციურხის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართული ენის კათედრა, რომელიც მალე იქცა მძლავრ ქართველოლოგიურ

ცენტრად. აქ აღიზარდნენ სახელგანთქმული ქართველოლოგები: **იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი, ლეა ფლური...**

უკვე ჯანმრთელობაშერყეულმა, მაგრამ გასაოცარი სულიერი მხნეობის მქონე მეცნიერმა - კ. ჩხენკელმა თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1958 წელს თავისი ერთგული მოწაფეების თანადგომითა და დახმარებით დაბეჭდა მონუმენტური ნაშრომი (1500 გვერდიანი) “ქართული ენის შესავალი“ გერმანულად, სავარჯიშოები და ტექსტები - ქართულად. ღირსსაცნობია, რომ იმ დროს შვეიცარიაში ქართული სტამბა არ არსებობდა, ამიტომ კ. ჩხენკელმა შვეიცარიის ხელისუფალთა ნებართვითა და ნივთიერი დახმარებით დააარსა ქართული გამომცემლობა “ამირანი“, თავად მოაწყო სტამბა, რომლის შრიფტის მშვენიერი გარნიტური საკუთარი ხელით ჩამოასხა.

მონოგრაფიის პირველი ნაწილი თეორიულია, მეორე კი - პრაქტიკული (სავარჯიშოებითა და ქრესტომათიით). საილუსტრაციო მაგალითები ამოკრებილია ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწერებიდან. “ქართული ენის შესავალმა“ მაღალი შეფასება დაიმსახურა მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში. სხვადასხვა ქვეყანაში დაიბეჭდა 50-ზე მეტი რეცენზია, რომლებშიც ერთხმად აღიარებდნენ სახელმძღვანელოს მაღალ თეორიულ დონესა და პრაქტიკულ ღირებულებას ქართულის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელთათვის. წიგნი მალე ითარგმნა ინგლისურადაც. “ქართული ენის შესავალმა“ ავტორს დიდი აღიარება მოუტანა, საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ამ შრომისათვის ციურხის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა კ. ჩხენკელს მიანიჭა ფილოსოფიის საპატიო დოქტორის (ჰონორის კაუზას) ღირსება - “დასაფასებლად ქართული ენის ღრმად წარმოდგენისა და დაუღალავი ერთგულებისათვის...”

1960 წელს კ. ჩხენკელმა დაასრულა 2500-გვერდიანი “ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენა და იწყო ნაკვეთებად მისი გამოცემა, მაგრამ თავად მხოლოდ 6 წიგნის გამოქვეყნება მოასწრო (მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ ეს საშვილიშვილო საქმე 1974 წელს დაასრულეს მისმა მოწაფეებმა).

“უცხოეთში განისვენებს კ. ჩხენკელის ტანჯული, მრავალ გაჭირვებაგამოვლილი სხეული, მაგრამ სული, ალბათ, კვლავ მზრუნველობით დასტრიალებს თავის მამულიშვილურ საქმიანობას: "ულვთო იყო მისი სიკვდილი!" - ასე შეაფასა ქართულმა ემიგრაციამ ღვაწლი კაცისა, რომელიც საზღვარგარეთ 30 წელზე მეტხანს, გარდა მეცნიერული მოღვაწეობისა, ერთგულად ქომაგობდა ქართულ მწიგნობრობასა და კულტურას... “რომელმაც მარტომ, პირადი გარჯითა და რუდუნებით მოახერხა ამერიკული წარმოების საბეჭდი მანქანა ვერიტაიპერისათვის (მანქანას ქართულის გარდა ყველა დამწერლობის შრიფტით შეეძლო ბეჭდვა) დაემატებინა მეთოთხმეტე — ქართული დამწერლობა“ (გაზ. ლიტერატურული საქართველო“, 1989, 17 თებერვალი).

ნიკოლოზ ჯანელიძე (1920-1993 წწ.) დაიბადა სამტრედიაში. სწავლობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1941 წელს გაიწვიეს სამამულო ომში. იბრძოდა ქერჩში, საიდანაც გერმანიაში მოხვდა, როგორც ტყვე. კეთილი მეპატრონის - გერმანელი გლეხისა და იმხანად გერმანიაში

მცხოვრები აკაკი გამსახურდიას დახმარებით თავი დააღწია ტყვეობას და ჩავიდა რომში სახელგანთქმულ ქართველ ემიგრანტ მეცნიერთან - მ. თარხნიშვილთან. მისი ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი და მიიღო ევროპის უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის სწავლების მოწმობა.

ნ. ჯანელიძე დაბრუნდა გერმანიაში და 1950 წლიდან დაიწყო მუშაობა ქართული ენის ლექტორად ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტებში. აქ ასწავლიდა ქართულ ენას.

ნ. ჯანელიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ლიტერატურული საქმიანობით გატაცებულმა, ხელმოკლეობის მიუხედავად, დააარსა საკუთარი **გამომცემლობა “საქართველო”**, სადაც ბეჭდავდა თარგმანებსა და ორიგინალურ თხზულებებს, ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს.

1984 წელს გამოსცა “ვეფხისტყაოსნის” შემოკლებული პროზაული თარგმანი. მისი მოღვაწეობის გვირგვინად მიჩნეულია **“ქართული ზღაპრები”**. გარდა ამისა, ქართული ენის შემსწავლელ უცხოელ სტუდენტთათვის შეადგინა “გერმანულ-ქართული სასაუბრო”, გერმანულ ენაზე დაბეჭდა ი. გოგებაშვილის მიხედვით შედგენილი **“დედაენა”**.

ნ. ჯანელიძის სახელთანაა დაკავშირებული გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ამსახველი ბევრი საინტერესო ღონისძიება, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუპოვეს უცხოეთში.

კალისტრატე (კალე) სალია (1901-1986 წწ.) დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1921 წელს გაემგზავრა გერმანიაში. ჯერ დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული ენისა და ლიტერატურის ორწლიანი ინსტიტუტი, შემდეგ კი - ქ. ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საცხოვრებლად საბოლოოდ დამკვიდრდა საფრანგეთში.

კ. სალიას სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ჟურნალთან **“ბედი ქართლისა”**.

1947 წელს კალისტრატემ და მისმა მეუღლემ - ნინომ საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის ფინანსური დახმარებითა და ნებართვით დააარსეს სამეცნიერო ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი “ბედი ქართლისა”. თავდაპირველად ჟურნალი მცირე მოცულობისა იყო, წელიწადში 4-ჯერ გამოდიოდა ქართულ ენაზე, ემსახურებოდა ვიწრო წრეს. ჟურნალის რედაქცია განთავსებული იყო სალიების ბინაში.

1957 წლიდან ჟურნალს ეწოდა **“ბედი ქართლისა - რევიუ დე ქართველოლოჟი”** (“ბედი ქართლისა ქართველოლოგიური მიმოხილვა”), იგი გაფართოვდა მოცულობითაც. მასში სტატიები იბეჭდებოდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე, ზოგჯერ იტალიურადაც. ჟურნალი შეუფერხებლად გამოდიოდა 1984 წლამდე (კ. სალიას ავადმყოფობის შემდეგ შეწყდა გამოცემა). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კ. სალია იყო ჟურნალის სული და გული, რედაქტორი და კორექტორიც კი, მეუღლესთან ერთად - გამომცემელიც.

სალიებმა ჟურნალის გარშემო შემოიკრიბეს მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები, უცხოელი თუ ჩვენი თანამემამულე მეცნიერები: მიხაკო წერეთელი, მინ. თარხნიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გრ. რობაქიძე... გ.

წერეთელი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ყაუხჩიშვილი, ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი და სხვები. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები, კავკასიოლოგები და ორიენტალისტები.

მეტად მრავალფეროვანი იყო კ.სალიას მეცნიერული მემკვიდრეობა. დაწერილი აქვს მრავალი ნაშრომი ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე.

1980 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა კ. სალიას ფუნდამენტური წიგნი **“ქართველი ერის ისტორია“**; წიგნს იმავე წელს მიენიჭა საფრანგეთის აკადემიის პრემია (ინგლისშიც გამოიცა ნაშრომის ინგლისური თარგმანი). **“ქართველი ერის ისტორიას“** მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა ევროპელმა ქართველოლოგებმა. მაგალითად, **ჰანს ფოგტი** წერდა: **“ეს არის შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც ქართველი ერი იმსახურებს. ფრანგი მკითხველისათვის იგი იქნება შესანიშნავი საშუალება ძალზე ნაკლებად ცნობილი ერის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად“**.

პროფესორი კ. სალია, როგორც ევროპაში სახელგანთქმული ქართველოლოგი, არჩეული იყო სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების წევრად; კერძოდ: იყო ჰამბურგის, ოსლოს, კამბერის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, პროფესორი; ხმელთაშუა ზღვის აკადემიის წევრი, ასევე: პარიზის სააზიო საზოგადოების, პარიზის ლინგვისტური საზოგადოების, ბიზანტიოლოგიის საზოგადოების, პარიზის საისტორიო საზოგადოების წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, აკადემიკოსი... ყოველწლიურად (15 წლის განმავლობაში) ირჩეოდა მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად.

სალიების ოჯახს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან, სამეცნიერო წრეებთან, განსაკუთრებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტთან, რომელსაც სალიებმა საჩუქრად გადასცეს საკუთარი ბიბლიოთეკის 1000 ეგზემპლარი (ქართველოლოგიური, ორიენტალისტური ლიტერატურა). ეს უძვირფასესი განძი **ნინო სალიას** სახელით ინახება საქართველოს **ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში**. სალიებმა მთელი თავიანთი ქონება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უანდერძეს²⁰². ანდერძის თანახმად, კალისტრატე სალია (მეუღლესთან ერთად) განისვენებს დიდუბის პანთეონში.

ქართველი ემიგრანტი, პოლიტიკური მოღვაწე და რუსთველოლოგი **ვიქტორ ნოზაძე** (1893-1975) დაიბადა ზემო იმერეთში. 1913 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. სწავლობდა ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი ლონდონისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საცხოვრებლად დარჩა პარიზში, სადაც გამოსცემდა ლიტერატურულ-მეცნიერულ და პოლიტიკურ ჟურნალს **“კავკასიონი“**. **მან დაწერა საინტერესო გამოკვლევები “ვეფხისტყაოსნის“ შესახებ**; კერძოდ:

²⁰² სამწუხაროდ, ანდერძის ეს ნაწილი ჯერ არ აღსრულებულა

“ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ (1953, ბუნოს-აირესი),
“ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“ (1957, სანტიაგო დე ჩილე),
“ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“ (1959, სანტიაგო დე ჩილე),
“ვეფხისტყაოსნის საზოგადოებამეტყველება“ (1959, სანტიაგო დე ჩილე),
“ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ (1963, პარიზი), “ვეფხისტყაოსნის
მიწნურთმეტყველება“ (1975, პარიზი)...

ვახტანგ ჯობაძე (1917-2007) - ხელოვნების ისტორიკოსი, კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი. 1940 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩავარდა ტყვედ და დარჩა გერმანიაში. სწავლობდა გიოტინგენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში. 1950 წლიდან ამერიკაშია და მუშაობდა იუტისა და კალიფორნიის უნივერსიტეტებში. ლოს-ანჯელესში, კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტში, განაგებდა ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს. ვ. ჯობაძე იყო ერთადერთი იმდროინდელი ქართველი მკვლევარი, რომელსაც, ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, საშუალება ჰქონდა ემოგზაურა და შეესწავლა ტაო-კლარჯეთის და ანტიოქიის ძეგლები. ავტორია მრავალი მონოგრაფიისა ქართული არქიტექტურის შესახებ, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ და უცხოურ ენებზე. მასვე ეკუთვნის კვიპროსზე ღალიის ქართული მონასტრის ნანგრევების აღმოჩენა (1981). შეისწავლა ანტიოქიაში ქართველ მონაზონთა ცხოვრება, აგრეთვე შავ მთაზე ძელიცხოვლის მონასტერი. ვახტანგ ჯობაძე გარდაიცვალა კარლსბადში; დაკრძალულია თბილისში. მას ეკუთვნის შრომები:

ოშკის ტაძარი (ორი წერილი ოშკის ტაძარზე); თბ., “მეცნიერება“, 1981;
შენიშვნები ოთხთა ეკლესიაში სიონის ალეგორიული გამოსახულების სიუხვის რქების შესახებ; ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1999, №1, გვ.69-76;
ოთხთა ეკლესიის ერთი გამოსახულების არსის შეცნობის ცდა; ხელოვნებათმცოდნეობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2005, №6, გვ.292-301;
ხანძთის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის ჯვარი და მისი არსი; ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 2003, ტ. 349, გვ.416-417;
ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში; თბილისი, 2007,
წმ. ვარლამის მონასტერი კასიუსის მთაზე: 1962-67 წლებში გათხრების დროს გამოვლენილი ქართული სკულპტურის ნიმუშები და ეპიგრაფიკული მასალა; "მრავალთავი", 2001, №19, გვ.418-435;
ჩემი თავგადასავალი; თბ. 2009.

* * *

XVI-XIX საუკუნეებში მუსლიმანურ ზღვაში მართლმადიდებლურ კუნძულად შემორჩენილ საქართველოში, ოსმალეთისა თუ ირანის გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, ბევრი ქართველი გაამუსლიმანეს; გასაგები მიზეზების გამო, ირანიც და ოსმალეთიც უფრო მართლმადიდებლობას ებრძოდა, ვიდრე კათოლიკობასა თუ გრიგორიანელობას (სომხური ქრისტიანობას); ამიტომაც ქართველთა ნაწილი კათოლიკე ან გრიგორიანელი გახდა²⁰³.

²⁰³ამ დროს ძალიან მძიმე იყო ოთხ განსხვავებულ სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ ველში მყოფი ქართველების ბედი: ზოგი მართლმადიდებლად დარჩა, ზოგი გრიგორიანელი გახდა (სულთან მუხამედ მეორის 1461 წლის ბრძანების შესაბამისად),

კათოლიკე ქართველთაგან განსხვავებით, **მუსლიმან და გრიგორიანელ ქართველებს ქართულენოვანი კულტურა არ შეუქმნიათ**; თუმცა მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ ნიჭიერმა ქართველებმა დიდი სამსახური გაუწიეს როგორც ოსმალეთის, ასევე, ირანის იმპერიებს; მაგ., სხვადასხვა დროს ოსმალეთის დიდი ვეზირი (პრემიერ-მინისტრი) 20-მდე ქართველი იყო. უთუოდ იქნებოდნენ ისეთნიც, რომლებიც **სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის**,²⁰⁴ **ლომან-ეფენდი ქარცივაძის**²⁰⁴ და **ახმედ მელაშვილის**²⁰⁵ მსგავსად, თურქულენოვან სამყაროშიც იბრძოდნენ ქართული გენის გადასარჩენად და ქართული კულტურის წარმოსაჩენად, თუმცა, სამწუხაროდ, მათი სახელები ნაკლებადაა ცნობილი.

ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული საქართველოს მცირე ნაწილის - **აჭარის** - ოსმალეთისგან გათავისუფლებისა და ქართულენოვანი სკოლების ამოქმედებისთანავე საქართველოს ამ კუთხეში აღორძინდა **წმინდა ტბელ აბუსერიძის მიერ დიდ სიმაღლემდე აყვანილი ქართული ეროვნული გზა**; კერძოდ, აჭარელი ხიმშიაშვილების, კაიკაციშვილების, აბაშიძეების, დიასამიძეების, ფუტყარაძეების, კახიძეების... შემოქმედება ისევ იქცა ქართულენოვანი კულტურის მძლავრ ნაკადად: ბოლო 150 წელში დიდებულ პატრიოტებად, პოეტებად თუ მეცნიერებად წარმოჩნდნენ: შერიფ და ნური ხიმშიაშვილები, გულო-აღა კაიკაციშვილი, ჰაიდარ და მემედ აბაშიძეები, ისკენდერ-ეფენდი ცივაძე, ნური-ეფენდი თავდგირიძე, ჯემალ ნოღაიდელი, შუქრი (შოთა) ნიჟარაძე, დავით ხახუტაიშვილი, ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე, შუშანა ფუტყარაძე, ბიჭიკო დიასამიძე, რამაზ სურმანიძე, ამირან და ნოდარ კახიძეები და მრავალი სხვა.

ოსმალეთის (თურქეთის) საზღვრებში დარჩენილ თუ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებს შორის ბოლო დრომდე ცოტა იყო ისეთი, ვინც აქტიურად ცდილობდა თურქეთის მოქალაქე ეთნიკურ ქართველებში ქართული ცნობიერების (თვითშეგნების) აღორძინებას; მათგან ორი დიდებული ქართველის - ახმედ მელაშვილისა და ვახტანგ მალაყმაძის - ისტორიებს წარმოვადგენთ.

ახმედ მელაშვილი (1922-1980). მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალი ახმედ ოზკანი /მელაშვილი/ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში. თავდაპირველად იგი აგროვებდა სამეცნიერო და პოპულარულ მასალას ქართველთა ისტორიისა და კულტურის შესახებ და აცნობდა თურქეთელ თანამემამულეთ - “ჩვენებულებს”.

XX საუკუნის 70-იან წლებში ახმედ მელაშვილი პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის ხელშეწყობით, ჩამოდის თბილისში იმ იმედით, რომ დახმარება მიიღოს თურქეთში ქართული საქმეების საკეთებლად.

ზოგი - კათოლიკე, ზოგიც - მუსლიმანი (ს. ვარდოსანიძე, 2004, გვ. 14-15). მიუხედავად ამისა, მრავალსაუკუნოვანი **ენობრივ-კულტურული იდენტობის** მქონე ქართველობამ მაინც შეინარჩუნა ერთიანი ეროვნული ცნობიერება.

²⁰⁴ იხ. შ. ფუტყარაძე, ლომან-ეფენდი ქარცივაძე, ქართველური მემკვიდრეობა, XVII, ქუთაისი, 2013 წ.

²⁰⁵ ახმედ მელაშვილის შესახებ იხ., ქვემოთ.

პარალელურად, იგი კონტაქტს ამყარებს ევროპაში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებთანაც.

1962 წელს ახმედმა სოფელ ჰაირიეში დააარსა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. 1970-იან წლებში ქალაქ ინეგოლში შექმნა კავკასიის კულტურის ცენტრი. 1968 წელს თურქულ ენაზე გამოიცა ახმედ მელაშვილის მიერ შედგენილი წიგნი “გურჯისტანი” წიგნს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი და ახმედ მელაშვილის ორი თვით დაპატიმრება მოჰყვა, თუმცა შემდეგ სასამართლომ ახმედი გაათავისუფლა და წიგნის გავრცელების ნებაც დართო.



1977 წელს ახმედ მელაშვილმა შალვა თევზაძესთან, ვახტანგ მალაყმაძესთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად დაიწყო ჟურნალ “ჩვენებურების“ გამოცემა.

1978 წელს ახმედი უკანასკნელად ჩამოვიდა საქართველოში და, როგორც ფრიდონ ხალვაში წერს, იმედგაცრუებული წავიდა. 1980 წლის 5 ივლისს კი იგი მოკლეს.

ახმედ მელაშვილის მკვლელობის შესახებ სამი მოსაზრება არსებობს:

- ახმედ მელაშვილი მოკლეს უცნობმა პირებმა;
- ახმედ მელაშვილი, როგორც დიდი ქართველი მოღვაწე, მოკლეს თურქმა ნაციონალისტებმა - “რუხმა მგლებმა“;
- ახმედ მელაშვილი, როგორც თურქული მემარცხენე პარტიის აქტიური წევრი, მოკლეს თურქმა მემარჯვენეებმა.

შესაძლებელია დაეუშვათ **სხვა ვერსიაც**: ახმედ მელაშვილი, როგორც დიდი ქართველი მოღვაწე, მოკლეს საბჭოთა იმპერიის მესვეურებმა, რადგანაც მათ ვერ შეძლეს მისი გამოყენება:

ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში კრემლის ინტერესებში ნაკლებად შედიოდა ქართველური ცნობიერების გაღვიძება საქართველოში, თურქეთსა თუ რუსეთში. ამქვეყნიური სიცოცხლის ბოლო პერიოდში თავად ახმედ მელაშვილიც დარწმუნდა, რომ საბჭოთა საქართველოში თითქმის ყველაფერს მაინც **იმპერიული კრემლი**

განაგებდა: მას გულს სტკენდა საბჭოთა კავშირში ქართველთა უუფლებობა; ეს კარგად ჩანს ფრიდონ ხალვაშის მოგონებიდან; კერძოდ, ბოლო შეხვედრისას ახმედ მელაშვილმა მეგობარ პოეტს თითქმის ატირებულმა უთხრა:

“რა სამწუხარო საქართველოა დღეს, ვის ხელშია საქართველო... აქედან მოსკოვით პირდაპირ პარიზში ვაპირებ წასვლას, იქ უკეთეს ქართველებს ვნახავ“ (ფ. ხალვაში, “ომრი“, 2007 წ., გვ. 208).

მკვლევლები შეცდნენ: წმინდა ილიას დარად, მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ, ახმედ მელაშვილი უფრო დიდ ქართველურ საქმეს აკეთებს.

ვანტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ). ვანტანგ მალაყმაძე დაიბადა 1936 წელს ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში. მისი წინაპრები 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მაჭახლიდან (სოფელ ჩიქუნეთიდან) წასულან მუჰაჯირებად და დასახლებულან სოფელ ჰაირიეში. მან განათლება მიიღო სტამბოლის ილდიზის პოლიციის სკოლაში. მუშაობდა საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე სამოქალაქო თავდაცვის სფეროში, სხვადასხვა ვილაიეთში. პენსიაზე გასვლის შემდეგ ვანტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ), ძირითადად, ინეგოლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართული კულტურის გადარჩენისა და მეცნიერული შესწავლის მიმართულებით. სამწუხაროდ, სიცოცხლის ბოლო წლებში მხედველობა დაკარგა. გარდაიცვალა 2002 წელს. დაკრძალულია ქალაქ ინეგოლის „მაჰმუდიეს“ სასაფლაოზე.

ვანტანგ მალაყმაძემ (ჰაირი ჰაირიოღლუმ) ქართული ლაპარაკი ოჯახში ისწავლა, ხოლო 1951 წელს ქართულ წერა-კითხვასაც დაეუფლა სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის ბიბლიოთეკაში. ვანტანგ მალაყმაძე აქტიურ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. მის მიერ თარგმნილი ლიტერატურული შედეგები გამოქვეყნდა „გურჯისტანში“. ვანტანგ მალაყმაძემ მოამზადა და გამოსცა „ქართული საბავშვო ზღაპრები“. წიგნი ორტომეულის სახით დაიბეჭდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ წიგნი დადებითად შეაფასა სახელმწიფო უწყებამაც — თურქეთის განათლების სამინისტრომ.

ვანტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ), ახმედ მელაშვილი (ოზკანი) და სხვა თურქეთელი ქართველი მოღვაწეები მუდამ ცდილობდნენ თურქეთის ლაზების დაახლოებას საერთოქართულ კულტურასთან. ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომლითაც თურქეთის საზოგადოება და თვით ლაზები გაეცნენ ლაზთა ისტორიის, წარმომავლობისა და კულტურის საკითხებს — ობიექტურ სამეცნიერო კვლევას ამ პრობლემებზე, იყო ვანტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) მიერ თურქულად თარგმნილი და 1992/3 წელს გამოცემული მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ნაშრომი - “ლაზების ისტორია“. ამ ნაშრომის გავრცელებით დაიწყო ლაზთა ისტორიული ეროვნული (ქართული) ცნობიერებისა და მათი ტრადიციული კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლა - ყველა მხარისათვის ობიექტური ისტორიის გააზრებინება (რომ ლაზთა ენობრივ-კულტურული და ნაწილობრივ, პოლიტიკური ისტორია ქართველი ერის ისტორიის ნაწილია).

ვანტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მას სურდა თურქეთის ქართველებისათვის მიეწოდებინა საქართველოს ისტორია თურქულ ენაზე. რამდენიმე წლის დაუღალავი შრომის შედეგად თარგმნა ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“. ბუნებრივია, პრობლემა იყო საგამომცემლო თანხის მოძიება და ამ საქმეში მას მხარდაჭერა კვლავ ცნობილმა

საგამომცემლო სახლმა “სორუნ იაინლარმა“ აღმოუჩინა. “საქართველოს ისტორია“ 1997 წელს გამოქვეყნდა; განმეორებით გამოიცა 2000 წელს. წიგნი 305 გვერდს მოიცავს; ის საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ არსებულ უმთავრეს თურქულენოვან გამოცემას წარმოადგენს.

ქართული კულტურის პოპულარიზაციის ეძღვნება ვახტანგ მალაყმადის (ჰაირი ჰაირიოღლუს) მიერ მომზადებული, შედგენილი და თურქულად თარგმნილი კიდევ ერთი ნაშრომი — „ტრაპიზონიდან აფხაზეთამდე — აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ხალხების ისტორია და კულტურა“.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, ვახტანგ მალაყმადე (ჰაირი ჰაირიოღლუ) აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა; ის იყო ქართული იდენტობისა და კულტურის გადარჩენისაკენ მიმართული ყველა კეთილი წამოწყების მონაწილე, მხარდამჭერი და, ხშირ შემთხვევაში, ინიციატორიც. ახმედ მელაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ სწორედ მან იტივრთა ეროვნულ-კულტურული მოძრაობის წარმართვის მთელი სიმიძიე. ვახტანგ მალაყმადის რჩევებითა და თანადგომით შეძლო ქართველ მოღვაწეთა ახალგაზრდა თაობამ (გურამ ხიმშიაშვილი, იბერია მელაშვილი, გურამ ქოქოლაძე, გიორგი ირემიძე, მამია დუმბაძე, ფარნა ჩალაშვილი, არჩილ ზოიძე, ელიზბარ ციმნარიძე და სხვები) დიდი ახმედ მელაშვილის მიერ დაწყებული კულტურული მოძრაობის გაგრძელება. ამავე დროს, ვახტანგ მალაყმადე იღვა 1984 და 1987 წლებში დაარსებული ქართული საზოგადოებების სათავეებთან²⁰⁶.

...ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი ემიგრანტი აღესრულა უცხოეთში; **ბევრმა მათგანმა** პირნათლად მოიხადა მამულიშვილური ვალი: წარმოაჩინა ქართველი კაცის დიდი შემოქმედებითი პოტენციალი, მაღალხნეობრიობა, შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, თუმცა, ქართველ ემიგრანტთა ნაწილმა თავისი სასიცოცხლო ენერგია სრულად მოახმარა მიძღვებ ქვეყანას და, თავისი მაღალი მდგომარეობის მიუხედავად, **სასიკეთო ბევრი არაფერი გაუკეთებია საქართველოსათვის** (მაგ., მამულუკთა ქართველ სარდლებსა თუ ოსმალეთის იმპერიის დიდგვზირთ, პეტრე ბაგრატიონს, იოსებ სტალინს...); ამ თვალსაზრისით ორსაზოგანი მოვლენაა **გიორგი სააკაძე**, რომელიც საქართველოს კანონიერ მეფეებს ებრძოდა ხან ირანის ჯარით, ხანაც - ოსმალეთის მხარდაჭერით და დიდი ზიანიც მოგვაყენა; ერთხელ კი, 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფის ბრძოლაში მის მიერვე საქართველოში ჩამოყვანილი ირანის ჯარის განადგურებით **ქართველი ერი დიდ უბედურებას გადაარჩინა**.

საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის უცხოეთში დაბადებულ თუ გახიზნულ ქართველთა ახალი თაობა, რომელიც დიდი თავგამოდებით ემსახურება შშობელი ერის კულტურას; მაგ., ირანში - **პროფესორი საიდ მულიანი**, თურქეთში - **ფევზი ჩელები**, **ფარნა ჩილოღლუ** (ჭილაშვილი), **შენოლ თაბანი** (ნიკო ლვინიაშვილი), **ერდოვან შენოლი** (დავითაძე), **ელიზბარ ციმნარიძე** (ერდარ ქუჩუკი) და სხვ.

²⁰⁶ რ. გუჯეჯიანი, ვახტანგ მალაყმადე (ჰაირი ჰაირიოღლუ) - ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თურქეთში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბ., 2011.

14. ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში

2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში დადასტურებულია საქართველოს მოქალაქეთა 60-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფი; ამათგან, პირველი ოცი ჯგუფის პროცენტული მონაცემები ასეთია:

საქართველოს მოქალაქე	4 371 535	100.0 %
ქართველი	3 611 173	83,8
აზერბაიჯანელი	284 761	6.5
სომეხი	248 929	5.7
რუსი	67 671	1.5
ოსი	38 028	0.9
იეზიდი	18329	0,4
ბერძენი	15 166	0.3
ქისტი	7110	0,2
უკრაინელი	7 039	0.2
ებრაელი	3772	0.1
აფხაზი	3527	0,1
ასირიელი	3299	0,1
ქურთი	2 514	0.1
ჩეჩენი	1271	0,07
პოლონელი	870	0,04
მოლდოველი	864	0,04
გერმანელი	651	0,03
ბელორუსი	542	0,02
ბოშა	472	0,01
თურქი (ოსმანი)	441	0,01
სხვა	4651	0,1

შდრ., მცირერიცხოვანი ჯგუფები: ჩინელები - 47, სპარსელი - 47, ჩეხი - 46, კორეელი - 22, ტაჯიკი - 15, ინგუში - 9.

დასახელებულ ეთნიკურ ჯგუფთაგან საქართველოს ავტოქტონ მოსახლეობას მხოლოდ ქართველები წარმოადგენენ; აფხაზეთის ტერიტორიაზე ავტოქტონად შეიძლება მიჩნეულ იქნენ აფხაზებიც, რამდენადაც მათ სხვაგან არსად აქვთ სამშობლო. საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს მიგრანტებად შეიძლება ჩაითვალოს ებრაელები, რომელთა სალაპარაკო ენაც ქართულია. სხვა ეთნოსები საქართველოში გვიან არიან დამკვიდრებულნი; მათგან უმრავლესობა საქართველოს სახელმწიფოს ენასაც კი ვერ ფლობს.

ქართველები საუბრონენ ქართულ სალიტერატურო ენაზე; ასევე, ქართველთა უმრავლესობა თავის მხარეში იყენებს კუთხურ მეტყველებას - რომელიმე ქართველურ კილოს.

14.1. ქართველური კილოების გავრცელების ველი²⁰⁷

საქართველოს კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრთან სიშორე-სიახლოვის მიხედვით, გამოვყოფთ სამ დიდ დიალექტურ ჯგუფს: **ცენტრალური, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული კილოები**. ამ პარაგრაფში ზოგადად წარმოვადგენთ თანამედროვე ქართველურ კილოთა გავრცელების ველს რაიონებისა და ხეობების მიხედვით.

ცენტრალური კილოები:

ქართლური დიალექტი. ქართლური ყველაზე მსხვილი დიალექტური ერთეულია. ქართლურ კილოზე მეტყველი ქართველობა საქართველოს დღევანდელი საზღვრების მიხედვით ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში - ქართლში ცხოვრობს; ქართლი ძირითადად მოიცავს მტკვრის შუა წელის ხეობას, კასპის, ქარელის, მცხეთის, გორის, ცხინვალის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ახალგორის, წალკის, ჯავის, თეთრიწყაროსა და ხაშურის რაიონებს.

ქართლური კილო ყველაზე ახლოს დგას სამწიგნობრო ქართულთან. სხვა ქართველურ კილოთაგან ყველაზე მეტ საერთოს იგი პოულობს კახურთან. ეს ბუნებრივია მათი ტერიტორიული სიახლოვისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობის გამო.

დიალექტური თავისებურებების გათვალისწინებით, ქართლურ კილოში ოთხი ძირითადი კილოკავი გამოიყოფა: ცენტრალური ანუ **შიდა ქართლური** (მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის რაიონების მეტყველება), ჩრდილო ანუ **ზემო ქართლური** (ახალგორის, აგრეთვე, დუშეთის რაიონში შემავალი სოფლების მეტყველება), სამხრეთი ანუ **ქვემო ქართლური** (გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური თქმები) და **დასავლური ქართლური** (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მეტყველება).

კახური დიალექტი. კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზეა გაშლილი. მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, კახეთში შედის: ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს რაიონები და თბილისის გარეუბანი. კახელები საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ თიანეთის რაიონში.

კახეთი იყოფა: გარეკახეთად (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყად (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთად (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხრად (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). მიუხედავად ფართო გავრცელებულობისა, კახური მეტყველება ძირითადად ყველგან ერთნაირია; გამოიყოფა სამი კილოკავი: **გარეკახური, შიგნიკახური და ქიზიყური**. ქიზიყურის სახელწოდებით ცნობილია სიღნაღისა და

²⁰⁷ პარაგრაფის მომზადებისას გამოყენებულია 2006 წელს გამოცემული "ქართული ენის ისტორიის" შესაბამისი მონაკვეთი.

ნაწილობრივ დედოფლისწყაროს რაიონების მოსახლეობის მეტყველება. დანარჩენი კილოკავებისაგან განსხვავებით, ქიზიყური მეტყველებისათვის დამახასიათებელია არქაული მოვლენები.

გურული დიალექტი. გურული მეტყველება გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს სამ რაიონში: ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში. გურიას ჩრდილოეთით სამეგრელო ესაზღვრება, სამხრეთით - აჭარა, აღმოსავლეთით - იმერეთი, დასავლეთით - შავი ზღვა. გურულ დიალექტში შთამბეჭდავია მეგრულ-ჭანური ფენა.

გურული კილო იყოფა ორ კილოკავად: **ზემო და ქვემო გურულად.** ზემო გურული მოიცავს ძირითადად ჩოხატაურისა და ოზურგეთის მთიანი რეგიონის მოსახლეობის მეტყველებას, ქვემო გურული - ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიონების მეტყველებას. გურული კილოს კილოკავებად დაყოფას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ლექსიკური და, მეორე მხრივ კი, მორფოლოგიური სხვაობა. ზემო გურული დიალექტური თავისებურებებით უფრო უახლოვდება ქვემო იმერულს, ვიდრე ქვემო გურულს.

იმერული დიალექტი. იმერეთი ერთ-ერთი დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა დასავლეთ საქართველოში. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან: **იმერეთი**, ე.ი. ლიხის მთის გადაღმა მხარე (მდრ.: **ამერეთი**). მოგვიანებით იმერეთი - კუთხის სახელწოდებად, ხოლო “იმერელი” ამ კუთხის ქართველთა სახელად (თემონიმად) ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვახუშტის თხზულებაში “იმერეთი” ძველი მნიშვნელობით გამოიყენება - გულისხმობს მთელ დასავლეთ საქართველოს: **“ბაგრატიონთა რაჟამს დაიბყრეს ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შეერთებისათჳს; აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთს... ცხენისწყალს-ზეითს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის მთამდე...”** (ვახუშტი, 1941).

იმერეთი გეოგრაფიულად ორ დიდ რეგიონად იყოფა: ზემო და ქვემო იმერეთად. ზემო იმერეთი მოიცავს საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონებს, ხოლო ქვემო იმერეთში მოიაზრება თერჯოლის, ტყიბულის, ბაღდათის, წყალტუბოს, ხონის, სამტრედიისა და ვანის რაიონები, ნაწილობრივ - აბაშის რაიონი (საზღვრისპირა სოფლები).

ზემო იმერეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ლიხის ანუ სურამის ქედი, სამხრეთით - აჭარა-იმერეთის ქედი, ჩრდილოეთით - რაჭის ქედი, დასავლეთით - სამეგრელო. ქვემო იმერეთს სამხრეთით ესაზღვრება მესხეთი, ჩრდილოეთით - ნაქერალას ქედი და ხვამლის მთა, აღმოსავლეთით - ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონები, სამხრეთით - გურია.

იმერული ერთ-ერთ მსხვილ დიალექტურ ერთეულს წარმოადგენს. იყოფა **ზემოიმერულ** და **ქვემოიმერულ კილოკავებად.**

იმერულის ენობრივი ერთეულების სტატუსის შესახებ სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა: მეცნიერთა ნაწილი (შ.ძიძიგური, ქ.ძოწენიძე...) იმერულ დიალექტს ორ კილოკავად ყოფს, ნაწილი (ა.შანიძე) - სამად (ზემო-, შუა- და ქვემოიმერული); კ.კუბლაშვილი ზემო- და ქვემოიმერულს დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულებად მიიჩნევს.

ამასთანავე, გამოყოფენ **შუაიმერულ კილოსაც** (ვ.ფანჩვიძე). შუაიმერულად მიიჩნევა ზემო და ქვემო იმერეთს შორის არსებული გარდამავალი ზოლის მეტყველება (თერჯოლური, ბაღდათური, ტყიბულური), რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც ქვემოიმერულის, ისე ზემოიმერულის ენობრივი ნიშნები.

ლენხუმური დიალექტი. ლენხუმური დიალექტი ძირითადად ცაგერის რაიონშია გავრცელებული, ნაწილობრივ მოიცავს ამბროლაურისა და წყალტუბოს რაიონების სოფლებს.

ლენხუმი ცხენისწყლის, რიონისა და ლაჯანურის ხეობებშია მოქცეული. ლენხუმს აღმოსავლეთით რაჭა (მდინარე ასკი) ესაზღვრება, დასავლეთით - სამეგრელო (ასხის მთა), ჩრდილოეთით - ქვემო სვანეთი (ყვედრემის ღელე), სამხრეთით - იმერეთი.

ლენხუმი წყაროებში პირველად მოიხსენიება VI საუკუნეში (პროკოფი კესარიელი) **სკვიმნიის** სახელით. სავარაუდოა, რომ **სკვიმ-** ფუძე იგივეა, რაც **ლე-ჩხუმ-** (**ლე-** დანიშნულების მაწარმოებელი საერთოქართველური პრეფიქსია).

გეოგრაფიულად ლენხუმს ორ ნაწილად ყოფენ: **ზემო ლენხუმად** (ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობათა, აგრეთვე, რიონის ხეობის ერთი ნაწილის სოფლები) და **ქვემო ლენხუმად** (რიონის ხეობის სოფლები ტვიმიდან ლეხიდრის ხეობის ჩათვლით სოფელ ღვედამდე).

განაპირა კილოები:

ფხოვური კილოები:

ფხოველები წყაროებში პირველად IV საუკუნეში იხსენიება. წმინდა ნინომ, სხვა ქართველ მთიელებთან ერთად (ჭართალელები, წილკნელები, გუდამაყრელები), ფხოველებსაც უქადაგა ქრისტიანობა. მათ ქრისტიანობა არ მიუღიათ, რის გამოც “ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“ (ქართლის ცხოვრება, 1995, გვ.125-126). ტერმინი “ფხოვი“ ძველ ისტორიულ წყაროებში გამოიყენებოდა ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის, კერძოდ, ფშავისა და ხევსურეთის აღსანიშნავად, შესაბამისად, “ფხოელნი“ გულისხმობდა ხევსურებსა და ფშავლებს; ამის შესახებ ვახუშტიც აღნიშნავს: “...აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურეთს, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი“ (ვახუშტი, 1941, გვ.93). ფშავ-ხევსურულთან მსგავსების გამო გამართლებული ჩანს, ამავე ჯგუფში გაერთიანდეს მთის სხვა კილოებიც: თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული.

ხევსურული დიალექტი. ხევსურეთი ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. კავკასიონის ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ **პირიქითა ხევსურეთი** და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე, ანუ **პირაქეთა ხევსურეთი**. პირიქითა ხევსურეთი მოიცავს არდოტისა და შატილის ხეობებს (ახლანდელი დუშეთის რაიონის შატილის სასოფლო საბჭოს ტერიტორია), პირაქეთა ხევსურეთი - ხევსურეთის არაგვის ხეობას (დუშეთის რაიონის ბარისახოსა და გუდანის სასოფლო საბჭოების ტერიტორია). პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი ერთმანეთს არხოტისა და დათვისჯვრის უღელტეხილით უკავშირდება.

ხევსურეთი აღნიშნული კუთხის აღსანიშნავად XV საუკუნიდან ჩნდება. სახელი დარქმეულია მხარის მთიანი, ხევებიანი ადგილმდებარეობის გამო.

ხევსურეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩნეთ-ინგუშეთი, აღმოსავლეთით - თუშეთი, დასავლეთით - ხევი და გულდამყარი, სამხრეთით - ფშავი. ხევსურეთი დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს დუშეთის რაიონს. ხევსურები ცხოვრობენ, აგრეთვე, გულდამყარისა (სოფელი ბაკურხევი) და ხევის (სოფლები: ჯუთა და ართხმო) ტერიტორიაზე და თიანეთის რაიონში.

ხევსურულ დიალექტში გამოიყოფა ორი კილოკავი: **მატილურ-მიღმახეური** და **პირაქეთულ-არხოტული**.

ფშავი დიალექტი. ფშავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს. სახელწოდება “ფშავი“ XV საუკუნიდან გვხვდება. ძველი ისტორიული სახელი **ფხოვი** დღეს მხოლოდ ერთ სოფელ - **შუაფხოს** შერჩენია. ფშავის მთავარი მდინარე არაგვია, რომელიც სამი შენაკადისაგან შედგება: ბოთანას წყალი, ასისხევი და ბოგოჩარის ხევი.

ფშავის საზღვრებია: ჩრდილო-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას აღმოსავლეთით ყოფს თუშეთისაგან და ჩრდილოეთით კი - პირიქითი ხევსურეთისაგან; დასავლეთით - პირაქეთი ხევსურეთი, მთიულეთ-გულდამყარი, სამხრეთით - დუშეთის რაიონი.

ფშავლები დღეს გაფანტულნი არიან მდინარე არაგვის, ივრის, ილტოსა და ალაზნის სათავეებში. დიდი რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე გომბორში, ერწო-თიანეთსა და შირაქში. **ერწო-თიანეთს** ხშირად ფშავის სახელითაც მოიხსენიებენ. **ფშავლები** საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში; თელავის რაიონის ორ სოფელში (ლუჩური და ლაფანყური); ყვარლის რაიონის სოფელ გძელჭალაში. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, **ფშავი** დუშეთის რაიონს მიეკუთვნება.

თუშური დიალექტი. თუშეთი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთს ეკუთვნის; მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით. აღმოსავლეთით თუშეთს დადესტანი ესაზღვრება, დასავლეთით - ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით - ჩეჩნეთ-ინგუშეთი, სამხრეთით - კახეთი. თუშეთი შემოზღუდულია წყალგამყოფი მაღალი ქედებით. პირიქითა ქედი თუშეთს ორად ყოფს: ჩრდილოეთ მხარეზეა **პირიქითა ხეობა** და სამხრეთით - **გომეწრის ხეობა**. თუშეთში ორი მდინარე მიედინება: გომეწრისა და პირიქითის ალაზანი.

წყაროებში თუშები II საუკუნიდან ჩანან. თუშეთი (**თუშთა თემი**) დღეს ოთხ თემად იყოფა: წოვები, გომეწარანი, ჩაღმები და პირიქითნი. თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრია სოფელი ომალო. თუშეთი ახმეტის რაიონში შედის.

გომეწრის, ჩაღმისა და პირიქითის თუშები თუშურ დიალექტზე მეტყველებენ, წოვათას თუშების საოჯახო სამეტყველო კოდი კი წოვათუშურია (სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ენობრივი ერთეული **ბაცბურის** სახელითაც მოიხსენიება), რომელიც ვაინახურ ენებსაც ენათესავება და ქართულსაც. სხვა ქართველებთან წოვათუშები კახური დიალექტის მსგავს გარდამავალ კილოზე მეტყველებენ.

მოხეური დიალექტი. ხევი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელზედაც გადის საქართველოს სამხედრო გზა. **ხევის**, თავისი მდებარეობის გამო, საქართველოს ისტორიაში ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო და სტრატეგიული როლი. ხევის საშუალებით საქართველო უკავშირდებოდა ჩრდილოეთით მცხოვრებ მეზობლებს. ამ გზის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტებია - ჯვრის უღელტეხილი და დარიალის კარიბჭე. ჯვრის უღელტეხილს მოხვევები ეძახიან ჯორთვაკეს (ჯვართვაკეს ანუ ჯორს (ჯორი//ჯვარი). ხევის ტერიტორია მოიცავს, აგრეთვე, სნოს ხეობას, რომელსაც ლიტერატურაში ღუღუშაურის ხეობასაც უწოდებენ. თერგისა და სნოს ხეობებთან ერთად ყაზბეგის რაიონის ფარგლებში მოქცეულია თეთრი არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეები და თრუსოს ხეობა - ისტორიული დვალეთის ერთი ნაწილი.

დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, **ხევი** ყაზბეგის რაიონში შედის. ჩრდილოეთიდან ხევის ჩრდილოეთ ოსეთი და ინგუშეთი ესაზღვრება, სამხრეთიდან - მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული ერთეულები, აღმოსავლეთიდან - ხევსურეთი, დასავლეთიდან ხევის თერგისავე ხეობაში მდებარე მცირე ეთნოგრაფიული ერთეული, თრუსო ესაზღვრება, საიდანაც ისტორიულ დვალეთშია გადასასვლელი.

მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი. მთიულეთ-გუდამაყარის მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მთიულეთი მოიცავს მდინარე თეთრი არაგვის ხეობას. მისი უკიდურესი სამხრეთი საზღვარია მთიულთკარი, ჩრდილოეთით - თრუსოს ხევი და საკუთრივ ხევი, აღმოსავლეთით - გუდამაყარი, დასავლეთით - ლომისის ქედი.

საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, მთიულეთი მდებარეობს ნაწილობრივ ღუშეთის, ნაწილობრივ ყაზბეგის რაიონების ტერიტორიაზე.

გუდამაყარის მდებარეობს შავი არაგვის ხეობაში. შავი არაგვის ქმნის ორი მდინარე: ბოსლისა და ბურ-საჭილის არაგვი. შავი არაგვი ფასანაურთან უერთდება თეთრ არაგვს. გუდამაყარს ჩრდილოეთით ხევი ესაზღვრება, ჩრდილო-აღმოსავლეთით - ხევსურეთი, აღმოსავლეთით - ფშავი, დასავლეთით - მთიულეთი.

დღევანდელი მთიულეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი ორი დამოუკიდებელი მხარის - ხადისა და ცხავატის გაერთიანების შედეგადაა მიღებული. მთიულეთი ცნობილი იყო კომუკების სიმრავლით. მარტო ხადაში 60 კომუკი ყოფილა. "...გარდა სვანეთისა, ჩვენ არ ვიცით არც ერთი კუთხე, სადაც მცირე ტერიტორიაზე ასე ბევრი კომუკი იდგეს" (პ.ზაქარაია, 1962, გვ. 50).

მესხური კილოები:

“მესხეთი” ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლის) ძველი სახელწოდებაა. ტერმინით: **“მესხური კილოები”** მოვიაზრებთ ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა (თემთა) მეტყველებას (სამეცნიერო ლიტერატურაში “მესხური” ძირითადად გამოყენებულია ან საკუთრივ სამცხურის, ან სამცხურ-ჯავახურის აღსანიშნავად); შედარებით ვრცლად

წარმოვადგენთ ტოკოლარჯულ კილოებს, რამდენადაც, ჯერჯერობით, მათ შესახებ ინფორმაცია მწირია სამეცნიერო ლიტერატურაში.

მესხეთის ტერიტორია მოიცავდა მდ. მტკვრის აუზის ზემო ნაწილს (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა) და მდ. ჭოროხის აუზს მთლიანად (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი). ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ მესხები. აქედან მოდის მხარის სახელწოდებაც - მესხეთი. XVI საუკუნეში მესხეთი ოსმალებმა მიიტაცეს და იქ ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული - ახალციხის საფაშო შექმნეს. ისტორიული მესხეთის ნაწილი (სამცხე და ჯავახეთი) საქართველოს დაუბრუნდა რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შედეგად, აღრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების (1829) თანახმად, ხოლო აჭარა - რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ ბერლინის კონგრესის (1878 წ.) გადაწყვეტილებით. ამჟამად თურქეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილია: ისტორიული ტაო, კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, მაჭახელა, ლაზეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი...

მესხური კილოებიდან დღეს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში მხოლოდ აჭარული, სამცხური და ჯავახური, დანარჩენი კი თურქეთის საზღვრებშია.

აჭარული დიალექტი. აჭარული დიალექტი ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეულია. აჭარული მეტყველება გავრცელებულია შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ხულოს, ქობულეთის რაიონებში, ნაწილობრივ - გურიის მხარეში.

აჭარას ჩრდილოეთით ესაზღვრება გურია, აღმოსავლეთით - სამცხე, სამხრეთით - თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი.

აჭარული იყოფა **ზემო** და **ქვემო აჭარულად**: ზემოაჭარული მოიცავს ხულოს, შუახევის, ქედის და, ნაწილობრივ, ხელვაჩაურის რაიონებს; ქვემოაჭარული - ხელვაჩაურსა და ქობულეთს.

სამცხური დიალექტი. ისტორიული სამცხე (ახლანდელი მესხეთი) მდებარეობს მტკვრის ხეობაში; მოიცავს ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებს.

სამცხეს დასავლეთით ესაზღვრება აჭარა, აღმოსავლეთით - ჯავახეთი, სამხრეთით - საქართველოს ისტორიული კუთხეები: ერუშეთი და შავშეთი, ჩრდილოეთით - გურია და იმერეთი. სამცხის ნაწილი - ფოცხოვის ხეობა - დღეს თურქეთშია.

სპეციალისტთა უმრავლესობა (ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, ა.შანიძე, არნ.ჩიქობავა, ზ.ჭუმბურიძე...) თვლის, რომ სახელწოდება “სამცხე” მომდინარეობს სატომო სახელისაგან: “მესხი” **სა-ე** მაწარმოებლის დართვით, კერძოდ: მესხი > სა-მესხ-ე > სა-მსხ-ე (ე ხმოვნის ამოვარდნით) > სამცხე (ს>ც პროცესის შედეგად).

სამცხური მეტყველება მეტად ახლოს დგას ჯავახურთან.

ჯავახური დიალექტი. ჯავახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ საზღვარზე. თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით ჯავახეთი მოიცავს მთლიანად ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, ნაწილობრივ - ასპინძის რაიონს.

ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრებია: აღმოსავლეთით - ქართლი (წალკისა და დმანისის რაიონები), დასავლეთით - სამცხე (ასპინძის რაიონი), ჩრდილოეთით - ბორჯომის რაიონი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - სომხეთი, სამხრეთ-დასავლეთით - თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

იმერხეული (შავშური) დიალექტი. ისტორიული შავშეთის ხეობებს შორის ქართული ენა და ქართული ტოპონიმები ყველაზე უკეთ დაცულია ბერთისწყლის/შავშეთისწყლის შენაკადის - იმერხევისწყლის (ფაფართისწყლის) ხეობის სოფლებში: ივეთში, იფხრეველში, იმნიეთში, ქოქლიეთში, წყალსიმერში, ბზათაში, შოლტისხევში, წეთილეთში, აგარაში, ხოხლევში, მანატბაში, ზაქიეთში, თეთრაკეტში, ბაძგირეთში, ხევწვრილში, ზიოსში, უბეში, დაბაში, დასამობში, ჩაქველთაში, ჩიხორში, თეთრაკეტში, უსტამისში, სურეევანში, დევიეთში, თეთრაკეტში, დიდმერეში, ლიონეთში, დავლათში, ჩიხორში, შერთულში, ფარხუხში, მაჩხატეთში, ჯვარისხევში, ანდრიაწმინდაში და სხვ. ადრე, ტერმინი “იმერხევი“ გეოგრაფიული ცნების აღმნიშვნელი იყო (გადაღმა ხევი), შემდეგ კი თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართული კუთხის - შავშეთის - ერთი ნაწილის სახელად იქცა.

ვახუშტი შავშეთის შესახებ წერს:

“ხოლო შავშეთის-წყალი გამოსდის ერთშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას. ეს დის პირველად აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთს — სამჯრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის. ამას, ჭოროხის შესართავს ზეით, მოერთვის მდინარედ ჭილოვნის-ვევი, გამოსდის არსიანის მთას, მოდის ჩდილოდამ სამჯრით გრეხით... და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერთშეთს, ფოცხვის-ვეობას და ზარზმა-ყელს; სამჯრით მზღვრის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კნილა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი და თჯნიერ მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩდილოთ მთა, არსიანიდან ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი... (ვახუშტი, 1914, გვ. 135-136).

იმერხევი დღემდე შემორჩენილი ქართული ციხეები და ეკლესიების ნანგრევები; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მხოლოდ იმერხევიში, დიობანსა და უბეს შორის, სათავესთან (მთის სახელია) ახლოს დასტურდება ტოპონიმი **ხანძთა** (სადაც ეკლესიის ნანგრევებიცაა); ხალხური გადმოცემით, აქ, ხანძთაში, ძველად არსებობდა “უნივერსიტეტი“ (დღემდე ხანძთად ითვლება ისტორიული პორტას სამონასტრო კომპლექსი). იქაურ სოფლებსა და სხვა გეოგრაფიულ ადგილებს (მთებს, ხეობებს, ველებს...) ოფიციალურად შეუტყვალეს ქართული სახელი და მათ ნაცვლად უწოდეს ოსმალური, თურქული და ქურთული სახელები. ამაზე ვახუშტიც აღნიშნავს:

“...დასავლით არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი ბოღჯის ვეობა ანუ საქართველოს-ყელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ (დღევანდელი **ერზურუმი** - ე.დ.), მიერ ჟამით უწოდეს სახელი ესე“ (ვახუშტი, 1941, გვ. 141).

შავშეთ-იმერხევი, სხვა ისტორიულ ქართულ მხარეებთან ერთად, XVI საუკუნიდან თურქეთის ქვეშევრდომობაშია. ოთხ საუკუნეზე მეტია, იგი უცხო ენობრივ გარემოში იმყოფება. იმერხევიში მცხოვრებ ქართველთა ერთი ნაწილი დღემდე ქართულად მეტყველებს. შავშეთში ძირითადად თურქულია გაბატონებული, შავშეთის სოფლების მიკროტოპონიმიაშიც მომრავლებულია თურქულენოვანი სახელები. სოფლის როგორც ძველი, ისე ახლანდელი (როგორც ქართული, ისე თურქული) სახელები სინონიმური ტოპონიმებია. იხმარება ორივე სახელი. თუმცა არის საშიშროება იმისა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქართული სახელი გაქრეს. შავშეთ-იმერხევის სოფლებში ბევრი ქართული წარმომავლობის გვარსახელი დღემდე შემორჩა, თუმცა ოფიციალურად მოსახლეობას მიღებული აქვს თურქული გვარები. იციან წინაპრების გვარებიც. ეს გვარები ბოლოვდება **-ძე, -შვილი, -იენთი, -ეთ, -ებ, -ოსან** სუფიქსებით (ნ.ცეცხლაძე, 2002, გვ. 239-243).

იმერხეული მეტყველების ნიმუშები პირველად გამოაქვეყნა ნ.მარმა (1911 წ.); 1993 წელს უფრო სრულყოფილი მასალა გამოსცა შ.ფუტყარაძემ. იმერხეველ ქართველთა უდიდესი ნაწილი დღემდე დედაენაზე თავისუფლად მეტყველებს (თუმცა ბავშვებს უკვე უჭირთ ქართულად მეტყველება). იმერხეული დიალექტი აჭარულსა და მაჭახლურს ჩამოჰკავს, მაგრამ მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნება ფონეტიკაშიც (ვ. ბგერა, პალატალიზებული ხმოვნები, დეზაფრიკატიზებული ძ...), მორფოლოგიაშიც (II სუბიექტური პირის ნიშნად ჰს აქტიური გამოვლენა, მა-, წამა- ზმნისწინების, მატოპონიმებელი -თი სუფიქსის აქტიური გამოყენება) და ლექსიკაშიც (ლენჭი/ღარჭი - მოზრდილი ბიჭი, ბახალა - გოგო, ამეზღამ - ამალამ, ძტაქანი/იტაქანი - სტაქანი, ლახანა - კომბოსტო, კოდავი - კოდალა, კუმატაძე/ყართოფი - კარტოფილი, ჯაჭკვი - ჯაჭვი...); შდრ., იმერხეველის დაკვირვება: “აჭარული და აქეური გურჯიჯა ერთმანეთ არ ეწყობა” (შ.ფუტყარაძე). იმერხეულ კილოში გამოიყოფა ზემოიმერხეული და ქვემოიმერხეული კილოკავები.

ტაოური დიალექტი. ტაო ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა, რომელიც დღეს თურქეთის საზღვრებში შედის. ტაო ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მიხედვით იყოფოდა ორ ნაწილად და “ორსავე კერძოსა ტაოსა თავისი სახელი ჰქონდა: ამიერთაო - ქვემო ტაო და იმიერთაო - ზემო ტაო. ამიერი და იმიერი ტაო ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა ოლთისისწყლის (დღევანდელი ოლთუ-ჩაი) ქვემო წელით და მისი შენაკადი ბარდუსის წყლით [დღევანდელი ბარდუს-ჩაი] (ი.ჯავახიშვილი).

ტაოს საზღვრების შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს:

“არამედ ართვინს ზეითი, იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოსკარი, ანუ ტაო. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამჯრით თორთომიდან ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა. და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მოსავლითა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, დელოვან-წრამოვანი, ღრატოიანი, წყლიანი და იწრო. და არიან ჳევთა დაბნები. კაცნიცა ეგრეთნივე. გარნა იდი და ნარუმაკი არიან,

ვითარცა თრიალეთი ანუ ჯავახეთი ყოვლითურთ... (ვახუშტი, 1941, გვ.138).

ტაო “ვევების“ სიმრავლით გამოირჩეოდა. ტაოს ქვეყანა (მხარე) რვა “ვევს“ მოიცავდა; კერძოდ, მათი სახელებია: კოლა, ბერდაცფორი, პარტიზაცფორი, ჭყატქი, ბუხა, ოქალე, აზორდაცფორი და არსიაცფორი პარხალის მთებთან (დ.მუსხელიშვილი, 1980, გვ.160). ლოგიკურია მოსაზრება, რომ უძველესი ქართველური სახელმწიფოს - **დიაოხის/ტაოხის** - სახელი **ტაოს** ფორმითაა შემორჩენილი. შემდეგ **ტაო** კოლხეთის სამეფოში შედიოდა. ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან იგი ძველი კოლხეთის მემკვიდრე ქუჯ-ფარნავაზის **ქართლის** ორგანული ნაწილია. ძვ. წ. II საუკუნეში **ტაო** სომხეთმა დაიპყრო; ახ. წ. I-II საუკუნეებიდან კი კვლავ ქართლის სამეფოშია; VIII-IX საუკუნეებში აქ ფართო სამონასტრო მშენებლობა მიმდინარეობდა: აშენდა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი...

ტაოური კარგადაა შემონახული **ვევების ხევში**, პარხალთან ახლოს მდებარე სამ სოფელში: ხევაიში (ხევევში), ბალხსა და ქობაიში (ქვაბაგში); შ.ფუტყარაძის ცნობით, პარხალისწყლის ქართულად მოლაპარაკე სოფლებია, აგრეთვე: არჯევანი, არმენხევი, ახალთი, ბალხიბარი, ბერთახევი, ბოწმინდა, გოდლეკარი, გუდასხევი, დევთისა, დიდიღელე, დიდიხევი, დოღეკარი, ელიასხევი, ვანისხევი, ვაჩეკარი, ვეჯანკეთი, იეთი, იმტკორი, კილიონი, კლდეკარი, კონწოლი, კრეველათი, კუეპრეთი/კუბრეთი, მახატეთი, ნავანევი, ნიკლოვი, ობლეკარი, ოლდემი, სარიგოლი, საფარანტე, სოროხევი, უტავი, ფარისხევი, ფიქალთი, ფიჩხეთი, ქისორეთი, ქონობანი, ქორიეთი, ცირეკარი, წვევიბარი, ჭედლიან კარი, ჭილათი, ხევმუდი, ხუცეკარი... ოლთისისწყლის ხეობის ქართული სოფლებია; ავწალა, ანზავი, ბანა, იშხანი, კარნავაზი, კიახი, კოსორი, ოლორი, ორთისი, სოლომონისი, ფანასკერტი... თორთომისწყლის ხეობაშია: ოშკი, ხახული; ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიაზეა: ბინათი, გუმფალი, კოწახური, დორთქილისა, უშხუმი, ქორთა, ხოთი, ხომხალი.

ტაოური ქართული საგრძნობლად განსხვავდება სხვა მესხური კილოებისგან; ტაოური კილოს გაგება რთულია საგანგებო შესწავლის გარეშე. ფონეტიკურ მოვლენათგან აღსანიშნავია: ხმოვან პრეფიქსთა ჰარმონიზაცია და ო-ს პალატალიზება (შემოვიარეთ . შიმივიარეთ, წამოვა > წომოვა, შემოვიდა > შომოვიდა > შომოვიდა), ჯ ბგერის არსებობა და სხვ. მორფოლოგიური მოვლენებიდან აღსანიშნავია: შა- ზმნისწინი (მაწონ შაყენებ), ზოგ სახელურ სემანტიკურ ჯგუფთან ებ- მრავლობითობის ნაცვლად ნარ- სუფიქსის გამოყენება (გზენარი “გზები“, ვენარი “ხეები“, ხენარი “ხეები“, კაპნარი “კაპნები“, კარნალი “კარები“, თენარი “მთები“), გაუხარდათ ფორმის ნაცვლად დასტურდება: გუუხარნეს, III სუბიექტური პირის ნიშნად ზოგჯერ ა-ს გამოყენება ს-ს ნაცვლად: გვაქვა “გვაქვს“, მაქვა “მაქვს“; ძველი ქართულის მსგავსად ა-ს გამოყენება -ში-ს ნაცვლად “მოსკოვა ჩაველ“, დასტურდება კითხვითი ნაწილაკი ა (“რამდენი ღარჭი გყავსა?“)... ლექსიკაშიც არსებითია სხვაობა: ხვარათი “საუბარი“, იარენობა “ძველი ამბების გახსენება“ (აქ სიტყვა “ლაპარაკი“ საერთოდ არ იციან), ღენჭი “ბიჭი, გოგო 10 წლამდე“, ბგანო “გოგო 10 წლის შემდეგ“, დედეკაცი “გათხოვილი“, ქართოლი “კარტოფილი“, აგარა “იაილები“, ჭანი “ლაზი“, ფხიკია “ფრთხალი“, დაზგნა “ანთება“, ტიკი “გუდა-სტვირი“,

გუმუთულებთ “დავიბრუნებთ“, ჩაზავდება “ჩაცვივდება“, ვედ- ფუძის ნაცვლად ზოგჯერ ვლინდება ვენ- (წევნეთ “წევდეთ“), ტრინკი “ფეხი“, ძვა “გზა“, თავშხამ “თავაღმა“, პოპოტიკი “ჩლიქი“, ისკამი “სკამი“, კედი “ძაფი“, კოწიწი (მწვანე დიდი ხვლიკი), ხულუი (პატარა ხვლიკი), სლიკვი (უფრო პატარა ხვლიკი), ყური მიყარე “ყური დაუგდე“, მუცელი მენტება “მუცელი მტკივა“ და სხვ.

მაჭახლური დიალექტი. მაჭახელი/მიჭიხიანი ისტორიული ქართული თემია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდინარე მაჭახელას და მისი შენაკადების: მინდიეთის წყლისა და ეფრატის დელის ხეობებში (მდინარე მაჭახელა სოფელ მაჭახლისპირთან უერთდება ჭოროხს). თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მაჭახელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, პირველ რიგში, ჭოროხის ხეობის მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მაჭახელას ხეობის წარსულის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული უძველეს ქართულ ხელნაწერ დოკუმენტში, რომელიც ცნობილია “მაჭახლის ხეობის სულთა მატინის“ სახელწოდებით. მასში აღნიშნულია მაშინდელი გვარსახელები, ადგილის სახელები, ტოპონიმები. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალებმა დაიპყრეს მთელი სამცხე-საათაბაგო. ამავე პერიოდიდან ლაზეთთან ერთად აჭარა-მაჭახელი ჩამოაცილეს საქართველოს; მიტაცებული ტერიტორიები სანჯაყებად (ოლქებად) დაყვეს. თავდაპირველად ცალკე სანჯაყს წარმოადგენდა მაჭახელი, რომელიც ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთში შედიოდა. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მაჭახლის მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქეთში გადაიხვეწა:

მუჭაჯირობა განაპირობა მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილმა მძიმე პირობებმა (საზღვრისპირა რეგიონებში რუსეთი სომხებს უფრო ენდობოდა; ამავე დროს, სულთნის თურქეთს იაფი მუშახელი ესაჭიროებოდა). დღეს ზემო მაჭახელი თურქეთის საზღვრებშია, ქვემო მაჭახელი კი საქართველოს შემადგენლობაშია, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონში შედის: ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, სკურდიდი, აჭარისალმართი, ქედქედი, სინდიეთი, ჭანიგრი, გორგაძეთი, საფუტკრეთი და სხვ. თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია: ხერთვისი (აქ ერთმანეთს ერთვის მინდიეთისა და ეფრატის დელეები), მინდიეთი, აკრია, ქვაბისთავი, ზედვაკე, ეფრატი.

თურქულის ინტენსიური გავლენის მიუხედავად, ზემო მაჭახელშიც დღესაც მშვენიერი ქართულით (მაჭახლური დიალექტით) ლაპარაკობენ; მაჭახლურ კილოს ორი კილოკავი აქვს: ზემომაჭახლური და ქვემომაჭახლური; დიალექტური მახასიათებლები უფრო მკაფიოდ ჩანს ზემომაჭახლურში. მაჭახლურის თავისებურებათაგან აღსანიშნავია: რ სონორის დაკარგვა, შა- ზმნისწინის აქტიური გამოჩენა (“უღელი შაადგის ქედზე“; შ.ფუტკარაძე), წა > წო პროცესი (წოველით, წოვდა...), არქაული ხოლმეობითის მსგავსი ფორმების (ითიბვის, იყიდვის, დეირგვის, ვკლიდით, ვასხმიდით...) პოვნიერება; ამ კილოში -არ სუფიქსი წარმომავლობას აწარმოებს ძველი ქართულისა და ზანურის მსგავსად (ჩხუტუნ-არ-ი: ჩხუტუნეთელი); არაიშვიათად, თავისებურია ლექსიკაც: მიწახაპაჟ “კარტოფილი“, წანწალაკი “საცალფეხო ხიდი“, დედლუცა “პატარა დედალი“, დაწონდება “მოეწონება“ და სხვ.

ლივანური დიალექტი. ისტორიული ლივანა მდებარეობდა ფეოდალური ხანის სამხრეთ საქართველოში, მდ.ჭოროხის ქვემო დინებაში.

ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: **ლივანი, ნივალი**. პირველად იხსენიება XI საუკუნეში (ნივალი). ვახუშტის მიხედვით, მოიცავდა მდ. ჭოროხის ხეობის ქვედა წელის ორივე მხარეს ართვინის სანახებიტურთ: “და ამ **ართვანის** (< არდ-ოვანი - ტ.ფ.) სანახებიტურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ვეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლივანის ვეობად. და არს ეს ლივანის ვეობა თვნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურიჩით, ლიმოთი, ზეთისხილით...” (ვახუშტი, 1941, გვ.136). შემდგომში **ლივანად** მოიაზრებოდა მდინარეების - აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია.

1549 წელს **ლივანა** ოსმალებმა დაიკავეს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამჟამად ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილს ფლობს საქართველო, დიდი ნაწილი კი თურქეთის საზღვრებში რჩება. ქართული ენის ლივანურ კილოზე მოლაპარაკე ქართველობის სოფლებია: ხელვაჩაურის რაიონში: მირვეთი, კირნათი, მარადიდი; მურღულის რაიონში: აგარა, ადუჩა, არხვა, ბაგა, ბაშქოი, ბუჯური, გევილი, გოგლიეთი, გურბუნი, დიალეთი, დურჩა, ერგეტუნა, ისკები, კაბარჯეთი, კასიმეთი, კორიდსეთი, ლომეკეთი, ოზმალი, ტრაპენი, ფოროსეთი, ქამილეთი, ქვამჩირეთი, ქობეკეთი, ქორთუკეთი, ქურა, ყავრიეთი, ჩხალეთი, ძანცული, წყალყა, ჭილაგრი, ხახური, ხორსოლი, ჯუანი... ბორჩხის რაიონში: აგარა, ავანა, არჰავეთი, ახალდაბა, ბაგენი, ბანაკნა, ბელღევანი, ბეშავლი, დამფალი, დევსქელი, ებრიკა, ვაზრია, ვალაშენი, ვინტავლი, ზედუბანი, ზელიეთი, თხილაზორი, კატაფხია, კვარჩხანი, კინცხურეთი, კირსა, ზედა მარადიდი, მურკივეთი, ნიგია, ომანა, ორჯი, ოფუჯა, ოხორჯი, პეტრული, საბავრი, უზრუმა, უკარნერე, ქართლა, კლასკური, ღვია, შუახევი, ჩარბიეთი, ჭინკური, ხება, ხინწკანა... ართვინის რაიონში: არდოლა, ბერთა, გვერდაბალები, დოლისყანა, ერთა ხიდი, თოლოგომი, ისკება, კაპარი, კორძული, ლომაშენი, მამაწმინდა, მოხობანი, ნეძვი, ოპიზა, სინკოთი, უსტამისი, ფერასხევი, შურმახი, ჩიდილა, ჩხაკათი, წეფთა, წყალოქრო, ხაიფეთი, ჯმერკი... (შ.ფუტყარაძე).

ზოგადი დაკვირვებით, ლივანურში გამოიყოფა; მარადიდული, მურღულური და ბორჩხული კილოკავები. ლივანურში **ჳ** ნაკლებად ჩანს, სხვა მესხური კილოებისგან განსხვავებით შეზღუდულია აგრეთვე **ენ > იე** პროცესი.

ლაზურის მსგავსად, ლივანურშიც გააქტიურებულია ერგატივის როლი (“მან ჩანს“, “გოგომ აკეთეფს საჭმელ“), რიგ შემთხვევაში, თავისებურია ზმნური პარადიგმა, აქტიურია II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნები, ზანურისა და ძვ. ქართულის ნორმის მსგავსად, გვ- პირის ნიშნის ნაცვლად გამოიყენება მ- (ჩვენ მაქვან; არნ.ჩიქობავა), - ნენ/-ენ მრავლობითის სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება -ეს (ბიჭები ცხიდან გამოვიდეს; შ.ფუტყარაძე), შემონახულია არქაული ქართულისთვის დამახასიათებელი კითხვითი ნაწილაკი ა და სხვ.

რაჭული კილოები:

რაჭა დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და შემოზღუდულია მთებით. ასეთი მდებარეობის გამო, მას ყოფენ ზემო და ქვემო რაჭად. **ზემო რაჭა** ძირითადად მოიცავს ონისა და, ნაწილობრივ, ამბროლაურის რაიონებს, **ქვემო რაჭა** კი - ამბროლაურის რაიონს (ლიხეთის ხეობის გამოკლებით); გამოყოფენ აგრეთვე, **მთის რაჭას**, რომელიც ზემო რაჭის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და, ისტორიული წყაროების მიხედვით, **მთიულეთი** ეწოდებოდა (ამ კუთხის რაჭველები დღესაც თავიანთ თავს “მთიულებს” ეძახიან). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სახელი არ იხმარება იმის გამო, რომ არ მოხდეს აღრევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთთან (დუშეთის რაიონი). სახელები: **მთის რაჭა, მთარაჭა** რამდენადმე პირობითია. ტერმინი “მთის რაჭა” ხალხურია და სამეცნიერო ლიტერატურაში ს.მაკალათიას ამავე სახელწოდების ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ დამკვიდრდა.

ჩრდილოეთით რაჭას ესაზღვრება ოსეთი (მამისონის უღელტეხილით უკავშირდება), აღმოსავლეთით - ცხინვალის მხარე (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ანუ შიდა ქართლი), ჩრდილო-აღმოსავლეთით - ქვემო სვანეთი, დასავლეთით - ლეჩხუმი, სამხრეთით - იმერეთი.

მთის რაჭა მდებარეობს მდ.რიონის სათავესა და გლოლის ანუ ჭანჭახის წყალს შორის. აერთიანებს ღებისა და გლოლის თემს და შედგება სამი სოფლისაგან: ღები, ჭიორა და გლოლა. მთის რაჭის სოფლები ვახუშტის თავის გეოგრაფიაში მოხსენიებული აქვს როგორც “კომკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი სოფლები”.

ზმირად რაჭა ლეჩხუმთან ერთად (რაჭა-ლეჩხუმი) მოიაზრება, რასაც ისტორიული საფუძველი აქვს, კერძოდ, ეს ორი კუთხე ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს, **თაკვერს** წარმოადგენდა. მოგვიანებით თაკვერს რაჭა გამოეყო და “თაკვერის” სახელწოდებით მხოლოდ ლეჩხუმი აღინიშნებოდა (რ.თოფჩიშვილი, 2002, გვ.71).

რაჭულში რამდენიმე კილოკავს გამოყოფენ; შიდიგური სამ კილოკავს ასახელებს: **ქვემორაჭული, ზემორაჭული და მთარაჭული**; ვ.თოფურია რაჭულში ოთხ ერთეულს გამოყოფს: **რივნისთაური — ღები-ჭიორას მეტყველება, გლოლური, ზემორაჭული და ქვემორაჭული**. ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია რაჭული მეტყველება უფრო ორ დიალექტად დავეყოთ: **მთარაჭულად** და **ბარისრაჭულად**.

ჰერული კილოები:

ისტორიული **ჰერეთი** (დღევანდელი საინგილო) ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაშია მოქცეული და მოიცავს კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებს.

დღევანდელ **საინგილოს** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით კახეთი ესაზღვრება, სამხრეთით - მდ. აგრი-ჩაი, აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთაგრეხილი.

IV-V საუკუნეებში **ჰერეთი** საქართველოს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა, ხოლო XI საუკუნიდან კახეთის სამეფოშია. XV საუკუნიდან სახელწოდება “ჰერეთი” საისტორიო წყაროებში თანდათან გაქრა, იგი კახეთის ორგანულ ნაწილად იქცა. XVII-XVIII საუკუნეებში

ჰერეთი არაერთგზის აოხრდა ლეკთა თარეშისა და შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად, შემდეგ კი რუსეთ-თურქეთის დავის საგანს წარმოადგენდა.

1921 წლიდან ს.ორჯონიკიძისა და სხვა კომუნისტი ლიდერების “დამსახურებით” საინგილო აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა.

საინგილოში ქართველებთან ერთად ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ხალხი: წახურელები, ხუნძები, აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები. ბუნებრივია, აღნიშნულ ენებთან ურთიერთობამ ქართულ მეტყველებას თავისებური დალი დაასვა. გავლენა იგრძნობა ყველა დონეზე: ფონემატურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ სისტემებში.

ინგილოთა მეტყველება განიყოფა ორ კილოდ: **ალიაბათურად** და **კაკურად** (ამ კილოებზე მოლაპარაკეთ ხშირად ურთიერთგაგებინებაც კი უჭირთ); ჰერულ დიალექტებზე მეტყველებენ 12 სოფელში; აქედან, კაკურად - კახის რაიონის 7 სოფელში (კახ-ინგილო ანუ კაკი, ალათემური, მეშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლო, თასმალო, ზაგამი), ალიაბათურად - ზაქათალის რაიონის 3 სოფელში (ალიაბათი, მოსული, ენგიანი) და ბელაქნის რაიონის ერთ სოფელში (ითითალა); თერთმეტივე სოფელი აზერბაიჯანშია. ინგილოთა ერთი სოფელი - სამთაწყარო - დედოფლისწყაროს რაიონშია.

ტერიტორიულად ქართული სოფლები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია, რაც უთუოდ განაპირობებს მათ შორის ქართული მეტყველების საგრძნობ განსხვავებას (გრ. იმნაიშვილი). “ერთიანი (საყრდენი) ეროვნული ენისგან თითქმის სრულმა მოწყვეტამ, სარწმუნოებრივმა სხვაობამ, სხვაენოვანი მოსახლეობის მოძალეობამ შედეგად ის იქონია, რომ არც ერთ სხვა ქართულ კილოს არ ახასიათებს კილოკავებად, თქმებად, ქცევებად ისეთი მრავალფეროვანი და მკვეთრი დანაწილება, როგორც ინგილოურს“ (ბ.ჯორბენაძე).

ზანური კილოები:

ზანურ დიალექტთა ჯგუფში გაერთიანებულია ორი კილო: **მეგრული** და **ჭანური**. სპეციალურ ლიტერატურაში მეგრული და ჭანური კვალიფიცირებულია ენებადაც (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, გ. კარტოზია, ა. ონიანი...), ზანური ენის კილოებადაც (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...) და ქართველურ სამწიგნობრო ენასთან მიმართებით - ქართველურ კილოებადაც (გიულდენშტედტი, ნ.მარი, ს.ხუნდაძე, ტ.ფუტყარაძე, თ.გვანცელაძე...). მეგრულ-ჭანურის აღსანიშნავად ზანურის პარალელურად გამოიყენება “**კოლხური**“ (გ. როზენი, კ. დანელია...); სავარაუდოა, რომ ძველი კოლხეთი მოიცავდა საერთოქართველური ენის მთელ ველს - ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიას, შესაბამისად, მეგრულ-ჭანური კილოების აღსანიშნავად უფრო გამოსადეგია ტერმინი: **ზანური**.

მეგრული დიალექტი. მეგრულს უჭირავს ვრცელი ტერიტორია: ოდიშის ზეგანი და თითქმის მთელი კოლხეთის დაბლობი - შავი ზღვიდან სვანეთის მთებამდის და ცხენისწყალ-რიონიდან მდ. ლალიძგამდის (არნ. ჩიქობავა, 1937, გვ. 4-5).

მეგრული დიალექტი გავრცელებულია: ფოთის, აბაშის, სენაკის, ხობის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, წალენჯიხის რაიონებში.

მეგრული მეტყველება უფრო დიდ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, ვიდრე დღეს. ამას ცხადყოფს ტოპონიმები; ივ.ჯავახიშვილი წერს: "...იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები და იმერლები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ., მთა ჯიხანჯირი (ჯიხა - ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (ჭყონი - მუხა), მდ. ოჩხამური (ო-ჩხამური, ჩხომი - თევზი), ოჭილაური (ო+ჭილაური - სა-ჭილაო), ჭყვიში, ჭყვიამაური, ჭანეთი, მდ. გობაზოული, მდ. კინტრიში, ონჭიკუთი, ონჯონეთი, სოფ. ოცანა გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო“ (ივ. ჯავახიშვილი, 1913, გვ.56). მეგრული წარმომავლობისაა ტოპონიმები: ოკრიბა, ცხენიში, წყალტუბო, ჭყვიში, ჯიხაიში... ჩანს, სამწიგნობრო ენის გავლენით, რეგიონში მეგრული მეტყველება შეიზღუდა.

ისტორიულად სამეგრელოში შედიოდა **სამურზაყანო** (დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, **გალის რაიონი** და **ოჩამჩირის რაიონის** დიდი ნაწილი), რომელიც **ენგურსა** და **ლალიძგას** შორის მდებარეობს. სახელწოდება უკავშირდება მურზაყან შერვაშიძის სახელს, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში (1705 წ.) მემკვიდრეობით მიიღო აღნიშნული ტერიტორია. "სამურზაყანოს ყველა ტოპონიმი, რომელიც დამოწმებულია შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და რუკებზე და რომელთა ეტიმოლოგიაც შესაძლებელია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ძირითადად მეგრული); ეს კი ცხადყოფს, რომ სამურზაყანო ყოველთვის სამეგრელოს ორგანული ნაწილი იყო“ (პ. ცხადაია, 2002, გვ.29).

აღმოსავლეთით სამეგრელოს ესაზღვრება იმერეთი, სამხრეთით - გურია, ჩრდილო-დასავლეთით - აფხაზეთი, დასავლეთით - შავი ზღვა.

მეგრულის კილოკავური დიფერენციაცია ი.ყიფშიძის სახელს უკავშირდება და დღემდე უცვლელი რჩება. გამოიყოფა ორი კილოკავი: სენაკური (დასავლურ-მეგრული მეტყველება) და ზუგდიდურ-სამურზაყანოული (აღმოსავლური მეტყველება) (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. XVIII).

ჭანური (ლაზური) დიალექტი. ლაზეთ-ჭანეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია. ადრეულ ხანაში (III-VI სს.) მოიცავდა შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს - აღმოსავლეთ პონტოს მთების ჩრდილოეთ კალთებს, მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზს (ახლანდელი თურქეთი, ბაიბურთისა და ისპირის მაზრების ტერიტორია). VI საუკუნის I ნახევარში ჭანეთი ბიზანტიამ დაიპყრო; საქართველოს მთლიანობის აღდგენის შემდეგ მისი დიდი ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია; ვარაუდობენ, რომ ბაგრატიონები - საქართველოს მეფენი, ლაზეთ-კლარჯეთიდან იყვნენ. XIII-XIV საუკუნეებში ლაზეთის ნაწილი საქართველოს ხელშეწყობით წარმოქმნილ ტრაპიზონის იმპერიაშია. XIV საუკუნეშივე ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილი სამცხის სამთავროს შემადგენლობაშია. 1461 წელს, თურქეთ-ოსმალთა მიერ

ტრაპიზონის იმპერიის განადგურების შემდეგ, ჰანეთი მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა; მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში. დღეს საქართველოს შემადგენლობაში არის ერთადერთი სოფელი **სარფი**, სადაც ლაზები ცხოვრობენ.

რთული ისტორიული ბედის შედეგია ის, რომ დღემდე ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებათ ცხოვრება. შესაბამისად, ლაზებში განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივი თვითაღქმის ფაქტორებზე; კერძოდ:

ლაზთა ერთი ნაწილი (ძირითადად, სარფისა და გონიო-ახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, მათ იციან, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზურ-მეგრული წარმომობისანი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები: იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარუშისძე, ჭყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა; ისინი დიდ პატივს სცემენ თამარ მეფეს, რომელიც ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხვევლთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულადაა წარმოდგენილი.

ლაზთა მეორე ნაწილი აღიზარდა თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში. მას დავიწყებული აქვს თავისი დედაქართულიც, მშობლიური კილოც და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქად მიიჩნევს.

თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე **ლაზთა მესამე ნაწილისთვის** უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნადობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან, ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი კუთხური მეტყველების (ლაზური დიალექტის) ბაზაზე ცდილობს ახლა შექმნას სამწიგნობრო ენა და “გადაირჩინოს” თავისთავადობა.

საბჭოთა პერიოდში იჩქმალეზობდა ქართველი ერის ნამდვილი ისტორია; ევროამერიკულ სივრცეშიც საბჭოური სტერეოტიპები ვრცელდებოდა; შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ნაწილი დღემდე მოკლებულია ობიექტურ ინფორმაციას ლაზთა, მეგრელთა, აჭარელთა, მესხთა, ჰერთა თუ სხვა ქართველთა ისტორიის შესახებ. სწორედ მეცნიერულად არგუმენტირებული ცოდნის ნაკლებობის შედეგია ის, რომ ზოგი **ევროპული ფონდი** ცდილობს, სულ მცირე, 15 საუკუნის წინ უნიკალური ქართული ანბანის შემქმნელ ქართველთა ერთ ნაწილს XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე “შეუქმნას” ანბანი და დამწერლობა.

მეგრული და ჰანური დღეს ერთმანეთს მოწყვეტილია, მაგრამ საუკუნეების წინ მათ შორის სხვაობა მინიმალური იყო. დღეს ჰანურს, მეგრულისაგან განსხვავებით, ძლიერი დიალექტური დიფერენცია ახასიათებს (მათ შორის ხშირად გაგებინება ჭირს), რაც სამწიგნობრო

ქართულისგან იზოლაციითა და უცხო ენობრივ გარემოში არსებობით აიხსნება. ჭანურის კილოკავებია: **ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური**. ათინურში გამოიყოფა ბულეფურ-ართამენული, ხოფურში - ჩხალური, ხოლო ვიწურ-არქაბულში - ვიწური და არქაბული თქმები .

სვანური კილოები:

სვანეთი მდებარებს დასავლეთ საქართველოში კავკასიონის კალთებზე და გარშემორტყმულია რაჭის, ლეჩხუმ-სამეგრელოსა და აფხაზეთის ქედებით. იგი იყოფა **ზემო სვანეთად** (მესტიის რაიონი) და **ქვემო სვანეთად** (ლენტეხის რაიონი). ზემო სვანეთში მიედინება **ენგური**, ხოლო ქვემო სვანეთში - **ცხენისწყალი**. ცალკე გამოიყოფა **კოდორის (დალის) ხეობის სვანეთი**, რომელიც აფხაზეთში, გულრიფშის რაიონშია.

სვანეთს აღმოსავლეთით რაჭა ესაზღვრება, სამხრეთით - ლეჩხუმი და სამეგრელო, დასავლეთით - აფხაზეთი (დასავლეთი ნაწილი), ჩრდილოეთით - ყარაჩაი და ბალყარეთი.

სვანები პირველად მოიხსენიებიან სტრაბონთან.

სვანეთი თემებად იყოფოდა. **ზემო სვანეთის** შვიდი საზოგადოება (უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი) შეადგენდა **თავისუფალ სვანეთს**, ხოლო ექვსი თემი (ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ჩუბეხევი და ლახმულა) - **სადადეშქელიანო სვანეთს** (მფლობელი: დადეშქელიანი). **ქვემო სვანეთის** შემადგენლობაში შემაგალი სამი საზოგადოება (ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი) სამეგრელოს მთავრების მფლობელობაში შედიოდა და ერქვა **სადადიანო სვანეთი**.

სვანური კილოებისა და კილოკავებ-თქმების გამოყოფა ნ.მარის სახელთანაა დაკავშირებული; მანვე დაადგინა ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნები (ხმოვნის სიგრძე, უმლაუტი, სხვაობა ბრუნებასა და უღლებაში, ლექსიკური თავისებურებანი); კერძოდ, ზემო სვანეთში გამოიყოფა: **ბალსზემოური** და **ბალსქვემოური**, ქვემო სვანეთში - **ლაშხური** და **ლენტეხური**; ზოგი მკვლევარი ცალკე კილოდ გამოყოფს **ჩოლურულს**. ბალსზემოური და ბალსქვემოური დარქმეულია ლატალსა და ბეჩოს შუა მდებარე **ბალის გადასასვლელი ქედის** მიხედვით.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ ქართველთა მეტყველებანი.

ფერეიდნული დიალექტი. ფერეიდანი ერთ-ერთი პროვინციაა²⁰⁸ ირანში, სადაც XVII საუკუნის დასაწყისში (1614-1617 წწ.) ირანის შაჰმა აბას I-მა საქართველოდან აყრილი ათასობით ქართველი (ქართლელი, კახელი) ჩაასახლა. ასე შეიქმნა შუა ირანში ქართული სოფლები: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, შულურეთი (ჩოლიურეთი), აფუსი (რუისპირი), სიბაჯი (ვამლოვანი)... ფერეიდანი ერთადერთი ირანული რაიონია, სადაც იძულებით გადასახლებულმა ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა და ქართული ადათ-წესები. სხვა რაიონებში (ხორასანი,

²⁰⁸ ქართველები ჩაასახლეს ასევე: მაზანდარანში, ხუზისტანში... ამ პროვინციებში მოსახლეობამ ქართული ენა ვერ შეინარჩუნა; მათ იციან, რომ წარმოშობით ქართველები არიან და ამჟამად სურთ, ისწავლონ ისტორიული დედაენა.

მაზანდარი, ფარსი...) ქართული მეტყველება აღარ ისმის. იქაური ქართველები თანდათან აითქვიფნენ ირანის სხვადასხვა ტომებში. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მასალებით, ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა 12-14 ათასს შეადგენს.

ფერეიდნული კილო წარმოიქმნა კახურისგან:

იზოლირებულად განვითარებისა და სპარსულის გავლენის გამო, 400 წლის წინ შუა სპარსეთში (ირანში) გადასახლებული **ქართველების დიალექტური** მეტყველება ახალ ქართულ კილოდ ჩამოყალიბდა.

არნ. ჩიქობავა: “ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც ფერეიდანის ქართველობას აკავშირებს ქართულ სულიერ სამყაროსთან; გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი... მალე დაეკარგება მას შეგნება, რომ ის “გურჯია“, როგორც კი გამოესალმება ამ შეგნების ბურჯს, ენას; ვერ უშველის ამ მხრივ ვერც ქართული ურემი, ვერც ტიპიური ბანიანი სახლი და სხვა ნაწილი ქართველურ კულტურულ სახეობისა, რომელიც მას დღემდე შერჩენია“.

ციზლარ-მოზდოკური და პლასტუნკური. ციზლარ-მოზდოკ-ურისა და პლასტუნკურის სახელით ცნობილია იმ ქართველთა მეტყველება, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში ქალაქ მოზდოკში, ციზლარის ოლქის ორ სოფელში: სასოფლოში (ალექსანდრო-ნევესკაია), სარაფანში (შელკოვსკაია) და სოჭის მახლობლად - პლასტუნკაში.

ციზლარსა და მოზდოკში ქართველები დასახლებულან 200 წლის წინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან (ხევი, კახეთი, ქართლი, იმერეთი...). გადასახლების ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო ლეკთა გამანადგურებელი თარეში. ბევრიც შამილის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყოფილა და შემდეგ იქ დამკვიდრებულა.

ისტორიული წყაროების ჩვენებით, პირველად ციზლარში ქართული ახალშენი დააარსა რუსეთს მიმავალი ქართლის მეფის - ვახტანგ მეექვსის - ამალის ერთმა ნაწილმა 1724 წელს. XIX საუკუნეში ქართველთა რაოდენობა აქ თანდათან გაიზარდა (ამას ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობებიც). დღეს ციზლარ-მოზდოკში ქართველობა მცირეა; რუსებთან ასიმილაციის გამო, ქართული ენა და ტრადიციები ძირითადად მოხუცებს ახსოვთ.



ციზლარ-მოზდოკური და პლასტუნკური ქართულნარევ სამეტყველო ერთეულს წარმოადგენს: რუსულის გავლენით ქართული მეტყველება საგრძნობლად არის შეცვლილი.

“ჩვენებურების“ მეტყველება. “ჩვენებურების ქართულით“ აღინიშნება თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების - **მუჰაჯირთა შთამომავლების** - მეტყველება (“მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს). მუჰაჯირი ქართველები თავისიანებს ანუ იქაურ ქართველებს “ჩვენებურებს“ ეძახიან.

თურქეთში იძულებით წასული ქართველების შთამომავლები დღეს ცხოვრობენ: ფაცაში, ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში. მათ დიდ ნაწილს კარგად აქვთ შენარჩუნებული როგორც ქართული თვითობა (მეობა, იდენტობა), ასევე ქართული ენა.

ნ.მარის შემდეგ “ჩვენებურების ქართლის“ მრავალი გამორჩეული ნიმუში ჩაიწერა, გამოიკვლია და გამოაქვეყნა პროფესორმა უშმანა ფუტკარაძემ.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კილოების გავრცელების ამსახველი რუკა ასე გამოიყურება:



14.2. რეგიონული ან უმცირესობის ენების საკითხი საქართველოში. იდეოლოგიზებული კვალიფიკაციები და ეთნოლინგვისტური რუკები

1999 წლის აპრილში საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი; შესაბამისად, ჩვენმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, რომ ერთი წლის ვადაში შეერთებოდა "ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" ("ენის ქარტიას"). "ენის ქარტია" მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ისტორიული (ავტოქთონი) უმცირესობის ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას; კერძოდ, "ენის ქარტიის" პრეამბულა იმთავითვე აცხადებს: "ევროპის ისტორიული რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებას". განმარტებითი მოხსენების პირველივე პუნქტში კი ვკითხულობთ: "ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი ავტოქთონი ჯგუფები, რომელთა დედაენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისაგან. ეს იმითაა განპირობებული, რომ ისტორიულად სახელმწიფოთა ფორმირება არ ხდებოდა მხოლოდ ენობრივი ნიშნით და მათი წარმოქმნის პროცესში მიმდინარეობდა მცირე ხალხების შერწყმა უფრო მსხვილ ეთნიკურ ერთეულებთან"²⁰⁹.

"ქარტიის" უმთავრესი მიზანი კულტურულ-ჰუმანიტარული ხასიათისაა. იგი მოწოდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების, როგორც ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილის, გამოყენებასა და განვითარებას... მისი ამოცანაა, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების გამოყენება განათლების სისტემასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში; ხელი შეუწყოს ამ ენებზე მხატვრული ლიტერატურისა და სამწიგნობრო კულტურის ჩამოყალიბებას, დასაშვები გახადოს მათი გამოყენება მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, აგრეთვე საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში... ქარტიის მიზანია ევროპაში რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, ეროვნული იდენტობის ფორმირებისთვის ხელშეწყობა (და არა - ენობრივი უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვა). შესაბამისად, მთავარი ყურადღება ეთმობა საკითხის კულტურულ ასპექტებს და რეგიონული ან უმცირესობის ენების გამოყენებას ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში.

²⁰⁹ http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf (ეს ვერსია დევს ევროსაბჭოს ვებგვერდის "ენის ქარტიის" განყოფილებაში: (http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/default_en.asp);
შდრ., ინგლისური ვერსია:<http://conventions.coe.int/treaty/en/Reports/Html/148.htm>.

"ენის ქარტიის" მამებისთვის არსებითია, ასევე, მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და უმცირესობათა ინტეგრაცია, ამიტომ კონკრეტულ ხელისუფლებებს მიანდეს, დაადგინონ ის კრიტერიუმები, რომლებიც:

- **განასხვავებენ** სახელმწიფო ენის მონათესავე უმცირესობის ენას სახელმწიფო ენის დიალექტისგან;

- **გაავლებს ზღვარს** ისტორიულ (ავტოქთონ) და მიგრანტ ეთნიკურ უმცირესობათა ენებს შორის.

ბოლო 150 წლის მანძილზე, საქართველოს სრული ანექსიის მიზნით, რუსეთის იმპერია ცდილობს, **ენობრივ-ეთნიკურად** დაანაწევროს ქართველი ერი (პრინციპით: "დაყავი და იბატონე"), შესაბამისად, ქართველთა **დიალექტების** ერთ ნაწილს დამოუკიდებელ ენებად აცხადებს; პარალელურად, იმპერიის მიერ მართული სამეცნიერო წრეები მთელ მსოფლიოში ავრცელებენ პოლიტიზებულ კვალიფიკაციებს და აცხადებენ, რომ ქართველები არ არიან: მეგრელები, სვანები, აჭარლები, კახელები, მესხები... ქართველი ერის დანაწევრების მოსურნენი დღეს "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" არსის გაყალბებით ცდილობენ, **საქართველოს ეთნიკურ-ენობრივ უმცირესობებად წარმოადგინონ ქართველთა დიდი ნაწილი** (მეგრელები, სვანები, ლაზები) და ამ გზით "დააკანონონ" ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დაშლა; გარდა ამისა, ისინი ავტოქთონი უმცირესობების ენებად აცხადებენ მიგრანტთა ენებს.

უდავო ფაქტია: ერთიანი ქართული სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბებაში მეგრულ-ლაზ-სვანები ისევე მონაწილეობდნენ, როგორც დანარჩენი ქართველები. მეგრულ-ჭანურ-სვანურის "უმწერლობო დედაენებად" გამოცხადება ისტორიის გაყალბება უფროა, ვიდრე (ენათ)მეცნიერული ჭეშმარიტება; მეგრულ-ლაზთა თუ სვანთა ისტორიული დედაენაა მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართული ენა.

კუთხური მეტყველებების დამოუკიდებელ ენებად გამოცხადების შემთხვევაში დგება მისი მატარებელი სოციუმის (საზოგადოების) სტატუსის საკითხიც:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **ენა** და **ეთნოსი** ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია: ენა აქვს ეთნოსს (ერს, ნაციას, ხალხს), ხოლო დიალექტი (კილო) - ამ ერის/ეთნოსის ცალკეულ ჯგუფებს (თემებს). მიუხედავად ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და ენობრივი სისტემის ვარიანტთა (დიალექტთა) სიმრავლისა, ქართველობა ერთიანი ერია, რომელსაც მრავალი საუკუნეა ძერწავს მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენაც, რომელიც მთელ საქართველოშია განფენილი. ქართველურ სინამდვილეში დღემდე არ წარმოქმნილა სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ენობრივი სისტემა; შესაბამისად, არაკვალიფიციურია ისეთი ეთნო-ლინგვისტური რუკები, რომელთა მიხედვით ქართული ენა საქართველოს ნახევარ ტერიტორიაზე არ ჩანს; მაგ., ქვემოთ წარმოდგენილი რუკის ავტორის აზრით, ცხენისწყლის ხეობაში ერთმანეთს ესაზღვრება ქართული და მეგრული "ენები":



ჩვენი აზრით, ცხენისწყალი საზღვრავს ორ ქართველურ დიალექტს: მეგრულსა და იმერულს (და არა - ორ ქართველურ ენას).

რაც შეეხება **ეთნიკურ უმცირესობებს**:

როგორც აღინიშნა, საქართველოში ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის უფლება შეიძლება ჰქონდეთ აფხაზებს; საქართველოს კანონმდებლობით, მათი ენა ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ქართულთან ერთად; შესაბამისად, **აფხაზური ენის** დაცულობის ხარისხი მაღალია.

საქართველოს მსგავსად, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში ცხოვრობს **ათეულობით** არაავტოქთონი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი; ვფიქრობთ, ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე **ახალი ეთნიკური უმცირესობების** (დისპორის) სტატუსი შეიძლება მიენიჭოს, რუსეთის ოკუპაციის პერიოდში განხორციელებული **დემოგრაფიული ექსპანსიის** პირობებში, საქართველოში ჩამოსახლებულ მიგრანტებს, რომელთა რაოდენობა საერთო მოსახლეობის 1%-ს შეადგენს. ლოგიკური იქნება, თუკი მათი ენების მიმართ გავრცელდება: **გაეროს დეკლარაცია**²¹⁰, **ეუთოს ოსლოსა**²¹¹ და **ლუნდის**²¹² **რეკომენდაციები**, **ევროსაბჭოს “ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ”** (და არა - “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ”)²¹³.

²¹⁰ მიღებულ იქნა 47-ე სესიაზე 1993 წლის 3 თებერვალს (www.diversity.ge/eng/resources.php?coi=0|14|11|11|11).

²¹¹ ოსლოს რეკომენდაციები **ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან** დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება **ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს**: ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) <http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf>.

²¹² ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999: <http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf>

²¹³ ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო, ქუთაისი, 2010

14.3. ქართული ენის ტექნოლოგიზება. ქართველური მემკვიდრეობის გადარჩენის გზები

დღეს ქართველური ენობრივი სამყარო ახალი გამოწვევის წინაშე დგას: თანამედროვე ტექნოლოგიები რადიკალურად შეცვლის მსოფლიოს ენათა მომავალს.

საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს ქართული ენის სრულმასშტაბიან ტექნოლოგიზებაზე ორიენტირებული არც ერთი ინსტიტუტი; შედეგად, ქართველი ერი და საქართველოს სახელმწიფო ყველაზე ნაკლებადაა მომზადებული ამ დიდი გამოწვევისთვის.

თანამედროვე თუ მომავალი ტექნოლოგიური ნახტომების პირობებში ქართული სალიტერატურო ენა **კულტურულ ენათა რიგში რომ დარჩეს**, აუცილებელია, დროულად განხორციელდეს ჯერ ნაწერი, შემდეგ კი, უახლოეს მომავალში - ზეპირი ტექსტის ავტომატური თარგმანი; ეს შესაძლებელს გახდის, რომ საქართველოს მოქალაქემ თავის სახელმწიფო ენაზე მიიღოს გლობალურ ქსელში არსებული ინფორმაციები.

ერისა თუ სახელმწიფოს ღირსების ერთ-ერთი უმთავრესი საზომია დედაენა/სახელმწიფო ენა. თავის დროზე მსოფლიოს მრავალი ენა დაიკარგა იმიტომ, რომ მისმა მფლობელმა ხალხმა დროულად ვერ შექმნა დამწერლობა. თანამედროვე პირობებში ბევრი სამწიგნობრო ენა და სახელმწიფო ენა **გაქრება**, თუკი მოცემული ენა დროულად ვერ გახდება ინტერნეტსივრცის, ავტომატური თარგმანებისა თუ ულტრათანამედროვე ტექნიკის ზეპირი ბრძანებით მართვის ენა... ბუნებრივია, ვერც **ქართული ენა შეინარჩუნებს კულტურული ენის ფუნქციას** ავტომატური თარგმანისა და ინტერნეტკომუნიკაციების ენად ქცევის გარეშე - სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიზების მაღალი დონის გარეშე; კერძოდ, ვფიქრობ, აუცილებელია, სახელმწიფოს პროგრამული დაფინანსებით (და არა, მოკლევადიანი საგრანტო წესით) დროულად განხორციელდეს **მრავალპროფილიანი გრძელვადიანი პროექტი**, რომლის პროდუქცია იქნება კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც:

- ტ.** ქართულ ზეპირ მეტყველებას გადააქცევს ნაბეჭდ ტექსტად,
- ჟ.** ავტომატურად აამეტყველებს ქართულ ნაბეჭდ ელექტრონულ ტექსტს,
- ღ.** გააციფრებს ნაბეჭდ პროდუქციასა და ხელნაწერებს,
- ბ.** განახორციელებს სრულყოფილ ავტომატურ ქართულენოვან მართლწერას,
- ვ.** განახორციელებს ავტომატურ თარგმანს ქართულიდან სხვა ენებზე და პირიქით...

წარმოდგენილი ამოცანების განსახორციელებლად **ასევე პროგრამული დაფინანსებით სასწრაფოდაა შესაქმნელი:**

- ქართული ენის დიდი ელექტრონული განმარტებითი ლექსიკონი /რომელშიც შევა როგორც სალიტერატური ენის, ასევე, ქართველთა დიალექტების ლექსიკაც/;
- ელექტრონული მრავალდარგოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონი;

- სამწიგნობრო ენის ნორმების ინტერაქტიული ვებპორტალი;
- საკუთარი სახელების ნორმატიული ელექტრონული ლექსიკონი;
- ქართული ენის ტექსტების ეროვნული კორპუსი, სადაც შევა ქართული სალიტერატურო ენის მასალაც და ქართველთა დიალექტური მონაცემებიც /მეგრულ-ლაზური და სვანური იდიომების ჩათვლით/²¹⁴ და სხვ.

საქართველოში **ქართული ენა არ არის მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი**; იგი სხვა საგანთა სწავლების ენაცაა; დავიმოწმებ პროფესორ ნათელა მადლაკელიძისა და პროფესორ ნანა ლოლაძის კვლევების შედეგებს და მოკლედ ვიტყვი:

არსებული **ეროვნული სასწავლო გეგმა** სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს. საჭიროა შეიქმნას ქართული სალიტერატურო ენის სწავლების ერთიანი კონცეფცია სწავლების ყველა საფეხურისათვის; ამასთან, **საგანგებო დონისძიებებია** გასატარებელი მასწავლებელთა მაღალ დონეზე **მომზადებისათვის** და არა მხოლოდ - **გადამზადებისათვის**.

ასევე, აუცილებელია, **შემუშავდეს სახელმწიფოს პრაგმატული მიდგომა ქართველთა ზეპირი საშინაო მეტყველებების გადასარჩენად**, რომელთაც ნამდვილად ემუქრებათ საფრთხე; კერძოდ, განსაკუთრებით დიდი საფრთხის წინაშე არის: სვანური, ტაოური, ლივანური, იმერხეული, რაჭული, ხევსურული, თუშური, მოხეური... ქართველთა ეს კილოები ჩვენს

²¹⁴ **ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსი (ქართველური დიალექტური მონაცემებით)** ქართულ ენას შეუნარჩუნებს ისტორიულ ეროვნულ (გამაერთიანებელ) და კულტურულ ფუნქციას.

დღეს არის მცდელობა, ქართული ტექსტების კორპუსის პარალელურად დაიგეგმოს /და შეიქმნას/ მეგრული, სვანური და ლაზური ტექსტების დამოუკიდებელი კორპუსებიც. უახლოეს პერიოდში ენობრივი კორპუსი იქცევა ერის /ეთნიკური ჯგუფების/ **იდენტობის უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორად**, შესაბამისად, **ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსის** ნაცვლად, ოთხი დამოუკიდებელი “ენის” კორპუსის (ქართულის, მეგრულის, ლაზურის, სვანურის) შექმნის მცდელობა მოემსახურება მავანთა ინტერესს, ენობრივ-ეთნიკურ-კულტურულად დაანაწევროს მრავალსაუკუნოვანი ქართველი ერი. . ასევე, პრობლემურია არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროექტიც: “საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი”, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელ ენებად ითვლება მეგრულ-ლაზური და სვანური; აქ სხვა წინააღმდეგობაცაა: საქართველოს მოსახლეობის “ლინგვისტური პორტრეტი” ვერ შეიქმნება მხოლოდ ქართველური მასალით.

ვფიქრობ, ლოგიკურია, მეგრულ-სვანურ-ლაზური დიალექტური მასალა, სხვა ქართველურ დიალექტურ (ხევსურულ, იმერულ, ტაოურ, ჰერულ, კახურ, მესხურ...) მონაცემებთან ერთად **დიალექტების სტატუსით** შევიდეს ქართული ენის ერთიან ეროვნულ კორპუსში; კერძოდ:

სხვა მრავალი ენის მსგავსად, ქართველურ ენობრივ სამყაროშიც ენა-კილოების სტატუსი ჩვენ მიერ სოციოლინგვისტური კრიტერიუმებით ფასდება, შესაბამისად, ჩვენი პროექტის მიხედვით, **ქართული ტექსტების ეროვნულ კორპუსს** აქვს ქართული სტანდარტული ენისა და ქართველური დიალექტური მასალის განყოფილებები, რომელთა ლექსიკური ფონდები ქართველთა სამწიგნობრო ენის **ერთიან პერსპექტიულ სალექსიკონო ბაზადაა გააზრებული**.

თვალწინ ქრებიან! შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია, სასკოლო საგნად შემოვიღოთ: **“ქართველთა ენობრივი სამყარო“**, რომლის პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ყველა ქართველური დიალექტის გავრცელების არეალი და მეტყველების ნიმუშები, ხოლო მეორე ნაწილში შევა სპეციალური კითხვარი და ინსტრუქცია, რომ მოცემული ქართველური კილოს მფლობელს საშუალება ჰქონდეს, შეისწავლოს და წარმოაჩინოს თავისი კუთხური მეტყველების ლექსიკა.

გარდა ამისა, ხელისუფლების მიერ დროულად უნდა დაიგეგმოს და გადაიდგას ის აუცილებელი ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს:

I. თანამედროვე პირობებში ქართული ენის კულტურული ფუნქციის შენარჩუნებას;

II. ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის უფლებების დაცვას, სწავლებასა და კვლევას;

III. ქართველთა სამწიგნობრო ენის მასაზრდოებელი ნაკადულების - ქართველთა დიალექტების - გადარჩენასა და კვლევას.

კონკრეტული ამოცანები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ქართული ელექტრონული ნაბეჭდი ტექსტის ამეტყველება:

- 1.1. სინთეზატორი ალოფონური ბაზის საფუძველზე;
- 1.2. სინთეზატორი მარცვლოვანი ბაზის საფუძველზე;
- 1.3. სინთეზატორი დიფონური ბაზის საფუძველზე და სხვ.

2. ქართული მეტყველების ნაბეჭდ ტექსტად ქცევა:

- 2.1. კარნახით ტექსტის ჩაწერა;
- 2.2. ტექნიკის ხმით მართვა და სხვ.

3. უკვე დაბეჭდილი წიგნების/თუ გაზეთების/ ტექსტებისა და ხელნაწერების ელექტრონულ ნაწერ ტექსტად ქცევა (გაციფრება);

4. ქართული ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ პროცესორებზე დაფუძნებული მართლმწერის მომზადება;

5. ქართულ-ინგლისური ორენოვანი Transfer ტიპის თარგმანის განხორციელება /ნაწერი ტექსტისა/:

- 5.1. კონკრეტულ ლოგიკურ გრამატიკულ მოდელზე ორიენტირებული ქართული ენის მორფოლოგიური პროცესორის აგება;
- 5.2. კონკრეტულ გრამატიკულ მოდელზე არაორიენტირებული ქართული ენის მორფოლოგიური პროცესორის აგება;
- 5.3. ქართული ენის სინტაქსური პროცესორის აგება;

6. ქართულ-ინგლისური ორენოვანი თარგმანის განხორციელება ე.წ. ლოგიკურ-მათემატიკური მეტაენის საშუალებით;

7. ქართული ენის ლექსიკურ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა:

- 7.1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული ენის კომბინირებული განმარტებითი ლექსიკონი.../;
- 7.2. ქართულ-ინგლისური და სხვა ორენოვანი ელექტრონული ლექსიკონების მოპოვება /შექმნა/;
- 7.3. უცხოური ტერმინების თარგმნის მუდმივი ცენტრის ამოქმედება.


8. ქართული ენის რეპრეზენტაციული (მომცველობითი) და დაბალანსებული (პრესა, ბელეტრისტიკა, საქმიანი დოკუმენტაცია, გვარსახელები, რეესტრის სხვა მონაცემები და სხვ.) ტექსტების კორპუსის შექმნა:

8.1. მორფოლოგიურ და სინტაქსურ პროცესორებზე ორიენტირებული ტექსტების კორპუსი /პროცესორი - საძიებო სისტემა, რომელიც მოძებნის ნებისმიერ მორფოლოგიურ ფორმანტს/კატეგორიას და სინტაქსურ სტრუქტურას/, დაადგენს სიტყვის სინშირეს: უფრო რომელ ლექსიკურ ერთეულებთან (colocation) თუ მეტყველების ნაწილებთან გვხვდება (colligation); გააკეთებს რეზიუმირებას;


8.2. ტექსტების მორფოსინტაქსურად ანოტირებული /ან ნახევრად ანოტირებული/კორპუსი: ნახევრად ავტომატური ანალიზატორის მეშვეობით კორპუსის ანოტირება და ანოტატორთა მიერ ხელით ჩასწორება (/შემოწმება რამდენად სწორად არის ანოტირებული ამ ანალიზატორის მიერ)/...

წარმოდგენილი ამოცანები სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

ქართულენის ტექნოლოგიზების ერთი მიმართულება -
ხმის ქცევა ტექსტად:



ქართულენის ტექნოლოგიების მეორე მართულება -
ელექტრონული ტექსტის თარგმნა და მეტყველების სინთეზი



კაცობრიობის ისტორია ხალხების **გაჩენისა** და **გაქრობის** მძიმე ქრონიკაა. ამ ფონზე სასწაულს ჰგავს ქართველი ერის 33-საუკუნოვანი სიცოცხლე, რომელიც, პირველ რიგში, ქართული ენითაა განხორციელებული... უფლის შეწევნით, დიდი კულტურული რევოლუციების ჟამს დროული რეაგირებით ხდებოდა ქართული ენისა და კულტურის ასვლა ახალ სიმაღლეზე - ჩვენ მიერ ნახსენები **სასწაული ქართველების ღირსეული წარმომადგენლების ხელით ხორციელდებოდა; დღესაც** დიდი კულტურული ნახტომი ხორციელდება ენების ტექნოლოგიებით - მხოლოდ ინტერნეტსივრცის ენად ქცევა გადაარჩენს ქართულ ენას, შესაბამისად, ქართველ ერს.

15. ქართველთა ტრადიციული წეს-ჩვეულებანი. ხალხური შემოქმედება. ქართველთა ეროვნული ხასიათი

ზოგადი მიმოხილვა/

15.1. ქართველთა ტრადიციული წეს-ჩვეულებანი.

ქართული პურობა. სხვა ხალხებისგან ქართველობას ბევრი რამ გამოარჩევს; ქართველთა ერთ-ერთი არსებითი ნიშანია **რიტუალური სუფრა: საკვებთან** (პური/მჭადი, ხაჭაპური, კუთხეების მიხედვით სხვადასხვა კერძი...) ერთად **ქართული პურობის** აუცილებელი წახნავია **სადღეგრძელოები**. ქართველი არა მხოლოდ სტუმრის მიღების დროს, არამედ საოჯახო ვახშმის დროსაც კი დალოცავს უფალს, ერს; მოიხსენიებს გარდაცვლილთ; ადღეგრძელებს: ოჯახის წევრებს, ახლობლებს, სუფრის წევრებს; ღვინის ზომიანე მეტი მიღება დიდ სირცხვილად ითვლება²¹⁵.

ბევრმა არ იცის, რომ ძირითადი ქართული სადღეგრძელოების ამჟამინდელი თემატიკა და რიგი მიჰყვება საეკლესიო ლიტურგიის (ღვთისმსახურების) ტრადიციას; კერძოდ:

პირველ საუკუნეებში ქრისტეს მიმდევრები აწყობდნენ “საიდუმლო სერობის” მსგავს (სიმბოლურ) ვახშამს, რომელსაც “სიყვარული”, ძვ. ბერძ. **αγαπιδ** “ალაპი”²¹⁶ ეწოდებოდა (I კორინთელთა 11, 20; იუდ.1, 12). შემდგომ ის ტრანსფორმირდა “**სიყვარულის ტრაპეზად**“, რომლის დროსაც

²¹⁵ საზომი - საზოგადოებაში ქცევაზე კონტროლის მოდუნება.

²¹⁶ “ალაპი” ძვ.ბერძნული ტრადიციით - მიცვალებულთა საპატივცემულო პურობა, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ კი ისეთი **სავალდებულო საეკლესიო ტრაპეზი**, რომლის დროსაც ღვინით ითქმოდა სადღეგრძელო გარდაცვლილთა ხსოვნის აღსანიშნავად.

ქრისტიანული სააღაპე ტრაპეზის დროს უცხოც და უპოვარიც უნდა დაპურებულიყო. სააღაპე ტრაპეზი კეთდებოდა ეკლესიისთვის შეწირული ღვინითა და საკვებით. დღემდე შემონახულია სვინაქსარები, სადაც დაფიქსირებულია შემწირავთა (მეაღაპეთა) სახელები; იხ. ,მაგ., 1901 წელს გამოცემული “ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპები”; შდრ., აგრეთვე:

“ალაპი გაუჩინეთ” (სამართალი ვახტანგ VI მეფისა, ქსძ, 1965);

“კარგი ალაპი გარდაიხდებოდეს, ოთხითა ფერთა საჭამადითა და მაძლად პურითა და ღვინითა და რაც გლახაი იყოს, ყველაი დაძღებოდეს” (შემოწირულობის დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი, 1259, ქსძ, 1965),

“გამიჩინეთ ალაპი დღესა თევდორობას, რაითა მღღელნი წირვითა... და დამისთევითა და პანაშვიდითა და კარლებული ტრაპეზი გარდაიხდებოდეს” (შემოწირულობის დაწერილი ძაგან აბუთელის ძისა შიომღვიმისადმი, 1260, იქვე),

“განვაწესეთ საუკუნო ალაპი წელიწადსა შინა ოთხნი” (შემოწირულობის სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი, 1545, იქვე)...

“ალაპის” შესახებ მასალა მოძიებულია **ლ. ხაჭაპურიძის მიერ**.

ლოცავდნენ უფალს, ერთმანეთს და არჩევდნენ საეკლესიო თუ საზოგადო საქმეებს²¹⁷.

VII საუკუნიდან “სიყვარულის ტრაპეზი” გავიდა ეკლესიის გარეთ²¹⁸. ვვიქრობ, სწორედ ამ დროიდან, “სიყვარულის ტრაპეზიდან” იღებს სათავეს საყოველთაოდ ცნობილი “ქართული პურობის” ამჟამინდელი სტრუქტურა.

სადღეგრძელო. ქრისტიანული ლიტურგიის შუა პერიოდში, **ბარძიშა და კვეთაში** (პროსკომიდია) **ლოცვის წარმმართველის** მიერ **იხსენიება:** ღმერთი, ღვთისმშობელი, მთავარანგელოზები, იოვანე ღვთისმეტყველი, მოციქულები, პატრიარქი, მთავრობა, ეპისკოპოსი, საბერო დასი, სამღვდლო დასი, ერის ხალხი, გარდაცვლილნი (იერარქიის მიხედვით), ბოლოს კი ლიტურგია სრულდება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლით /“**ღირს არს**“/.

დაახლოებით ასეთივე თანამიმდევრობისაა ქართული პურობის სადღეგრძელოები, ოღონდ, აქ პირველი სიტყვის მთქმელია “**პურის უფალი**” /თამადა/ - ოჯახის უფროსი, ან საგანგებოდ შერჩეული სუფრის ხელმძღვანელი. ქართულ სუფრაზეც ბოლოს არის სავალდებულო ითქვას **ღვთისმშობლის სადღეგრძელო** (სვან. “ლამარია” - სამარიამო; კახ. “ყოვლად წმინდა შეგვეწიოს“...).

ერთი არსებითი კითხვა:

სხვა ქრისტიანული ქვეყნებისგან განსხვავებით, “სიყვარულის ტრაპეზი” მხოლოდ საქართველოში რატომ იქცა დალოცვებით /სადღეგრძელოებით/ “დატვირთულ” ეროვნულ მახასიათებლად? “საკურთხად” სახეცვლილი ღვინისსუფრიანი “აღაპიც” მხოლოდ საქართველოში რატომ შემორჩა?

კითხვაზე ჩვენი პასუხი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ქართულენოვანი ქრისტიანობა ერთგული დარჩა პირველი ქრისტიანული წეს-ჩვეულებებისა²¹⁹. საუკუნეების მანძილზე მუსლიმანურ გარემოცვაში მოქცეული ქართველი ერის ყოფით (საერო) ტრადიციებსაც **არსებითად განსაზღვრავდა საეკლესიო წეს-ჩვეულებები**; შესაბამისად, “სიყვარულის ტრაპეზისა” თუ “აღაპის” ფარგლებში მიღებული ღვინით დალოცვა, გარდაცვლილთა მოხსენიება, მარადიული სასუფევლის სურვება **სადღეგრძელოებით “შემოსილ” პურობად** - მყარ საერო ტრადიციად - ჩამოყალიბდა.

ამ პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო საქართველოში წარმართული პერიოდიდან მომდინარე **ღვინის სმის კულტურასაც**²²⁰.

²¹⁷ ჩვენთან “აღაპის” ნაცვლად დამკვიდრდა “საკურთხი”.

²¹⁸ იხ., დიდი სჯულის კანონის განწესება: “სიყვარულის ტრაპეზი არ უნდა მოეწყოს საუფლო ტაძრებში და ეკლესიებში”; ლაოდიკიის კრების კანონი, 28; დიდი სჯულის კანონი, 1987.

²¹⁹ შდრ.: დასავლური ქრისტიანობის გზა პირველი ქრისტიანობიდან პროტესტანტობამდე.

²²⁰ წარმართული პერიოდის არქეოლოგიური მასალა ნათლად წარმოაჩენს ქრისტიანობამდეც ღვინის დაყენების კულტურის არსებობას.

მოკლედ “დალოცვის” აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ:

ტრადიციების მიმდევარი ქართველი ნაკლებად ეტყვის ვინმეს: “დავლით”; უფრო მიღებულია: “დავილოცოთ”.

“სუფრაზე ვისიმე დღეგრძელობისათვის წარმოთქმულ სიტყვას დღეს ჰქვია “სადღეგრძელო” (ქველ); სავარაუდოა, რომ მისი უფრო არქაული ვარიანტი დაფუძნებული იყო “დალოცვა” ზმნაზე: ასეთი წარმოება შემონახულია სვანურ კილოებში; შდრ.: **მზერა/მზირ-** “ლოცვა” (მომდინარე ჩანს “მზერა” ფუძისგან) ზმნისგან ნაწარმოები მიმღობაა: **“მემზირ”** - მლოცველი, **ლემზირი** - ლოცვისთვის განკუთვნილი (სადღესასწაულო) კვერი, **ლამზერ** “სალოცავი” და **ლამზერალი** - სადღეგრძელო.

საქართველოს თითოეული მხარის სუფრასთან **სადღეგრძელოების** თემატიკა და რივი მსგავსია, მაგრამ ზოგადქართულ ტრადიციაში მაინც ასახულია კუთხური მახასიათებლები; მაგ., მთის ქართველების პურობისას სავალდებულო სადღეგრძელოებში უფრო მეტია ხსოვნის თემა, ვინაიდან მთაში ხშირი იყო **უდროოდ გარდაცვალება** (სისხლის აღების, სახიფათო გზების... გამო); შდრ., მაგ., ზოგადქართული და თუშური სადღეგრძელოების დასახელება:

ზოგადქართული აუცილებელი სადღეგრძელოები:

1. ღმერთს დიდება - ჩვენ მშვიდობა: უფლის სადიდებელი (სვან. ხომა ღერბეთის სადიდებელი); ზოგ შემთხვევაში, განზოგადებით: წმინდანების, სალოცავების სადიდებელი.
2. სასულიერო და საერო ხელისუფლების, ასევე, ქართველი ერის, ზოგადად, **საქართველოს** დალოცვა;
3. პურობის მიზეზის დალოცვა;
4. გამორჩეული ახლობლების დალოცვა;
5. გარდაცვლილთა შესანდობარი;
6. წინაპართა დალოცვა /სადღეგრძელო/;
7. შთამომავლობის სადღეგრძელო;
8. სუფრის წევრების დალოცვა;
9. ღვთისმშობლის შეწვენა.

შდრ., თუშური სამხიარულო და გლოვის სუფრების სადღეგრძელოები:

ქორწილის სადღეგრძელოები²²¹:

1. უფლის სადიდებელი (“ღმერთო დიდებულო, საქრისტიანოს გამჩენო, მთისა და ბარის სალოცავებო, მოგვეცი მშვიდობა ჩვენ...”);
2. მეფე-პატარძლის სადღეგრძელო;
3. მეფე-პატარძლის მშობლების სადღეგრძელო;
4. მეფე-პატარძლის დედმამიშვილების სადღეგრძელო;
5. ხელისმომკიდების - ვინც ენა-ყბა გარია, ვინც დააკავშირა ერთმანეთს - მათი სადღეგრძელო;
6. ორი გვარის დანათესავების სადღეგრძელო;
7. საქართველოს სადღეგრძელო;

²²¹ მასალა ჩავიწერეთ ქვემო აღვანელი აკაკი ელანიძისგან (წარმოშობით სოფ. დართლოდან).

8. ცოდვილა-უპატრონოების შესანდობარი (ჭინჭარამოსულების, სახლ-კარჩამონგრეულების... იმ გარდაცვლილებისა, ვისაც არ ჰყავს პატრონი);
9. უგვირგვინო გარდაცვალებულთა შესანდობარი (ახალგაზრდა, ვინც ვერ დაქორწინდა და ისე გარდაიცვალა);
10. ნეფე-პატარძლის გვარებიდან გარდაცვლილთა შესანდობარი;
11. გმირების სადღეგრძელო;
12. წინაპრების სადღეგრძელო;
13. მოცემული სოფლის თამადობით, თუშეთის სადღეგრძელო;
14. სალოცავების სადღეგრძელო;
15. დედის ძმების სადღეგრძელო და ჯვრის მოტანის ცერემონიალი (დედის ძმებს მოაქვთ ნეფე-პატარძლისთვის ჯვარი, ახლავს ტკბილეული, საჩუქრები... (ტექსტი ასე იწყება: “ააშენოს დედის ძმები...));
16. მაყრების სადღეგრძელო;
17. მეგობრების სადღეგრძელო;
18. სტუმრების სადღეგრძელო;
19. ბუნების სადღეგრძელო;
20. მუსიკის სადღეგრძელო;
21. მეზობლების სადღეგრძელო;
22. “ვინც აიარა-ჩაიარა, გაიგონა ჩვენი ქორწილის მუსიკა და ჩვენს შესახებ კარგი სიტყვა თქვა, მათ გაუმარჯოს“...
23. ნეფე-პარაძლის სადღეგრძელო /მეორეჯერ/;
24. ოჯახის სადღეგრძელო;
25. ღმერთი შეგვეწიოს, ჭირს გვაშოროს, სიტკბო და სიხარული მოგვცეს...

სამკლოვიარო ტრაპეზის სადღეგრძელოები:

1. უფლის სადიდებელი;
2. მიცვალებულის შესანდობარი;
3. თანამგზავრების, ვინც წელში, თვეში, დღეში უდგანან მიცვალებულს, ანუ ვინც ახლახან მიიცვალნენ;
4. დედის ძმების /დედის ძმების გვარიდან/ გარდაცვლილთა შესანდობარი;
5. ცოდვილა-უპატრონოების შესანდობარი;
6. **თუშური სიკვდილით** დაღუპულთა შესანდობარი: მთა-გზაში, ზვავ-წყალში, მაქც-ფათერაკით (შემთხვევით, ტრაგიკულად), მტრის ხელით, ცეცხლით... დაღუპულთა შესანდობარი /შეიძლება ეს სადღეგრძელო დანაწევრდეს კიდევ ამ სეგმენტების მიხედვით/;
7. წინაპრების დიდება: ზეზვა გაფრინდაულის, შეთე გულუხაიძის, ივანე ელიზბარიძის, ჯაო ბერიკაიძის...
8. ახალი გმირების შესანდობარი (დღეს ყველა სვამს გიორგი ანწუხელიძის შესანდობარს);
9. “მთაში დასამარებულთა შესანდობარი“ (მთის სამაროვნებზე დასამარებულთა შესანდობარი - ვინც თუშეთის სოფლებში არიან დამარხულნი); ვინც ბოლოს დასამარდა, მათი თამადობით;
10. ალვანში (ბარში) დასამარებულთა შესანდობარი;
11. მიცვალებულის გვარიდან წასულთა შესანდობარი;
12. მიცვალებულის მეუღლის გვარიდან წასულთა შესანდობარი;
13. სამძახლოდან (მძახლების გვარიდან) წასულთა შესანდობარი;
14. სოფლის უბნის (მეზობლების) გარდაცვლილთა შესანდობარი;
15. მიცვალებულის შესანდობარი (სულ სამჯერ უნდა ითქვას);
16. “თავის თავხელ შედებულთა შესანდობარი“ - ვინც თავი მოიკლა;
17. უგვირგვინოდ წასულთა შესანდობარი;
18. უცხო მიწა-წყალზე დასამარებულთა შესანდობარი;

19. გარე მხრიდან მოსულთა (სტუმართა) წასულების შესანდობარი;
20. სუფრის წევრ მანდილოსანთა გარდაცვლილების შესანდობარი;
21. ვინც სამარე გათხარა, მათი გარდაცვლილების შესანდობარი;
22. სუფრის წევრ მამაკაცთა გარდაცვლილების შესანდობარი;
23. მიცვალბულის შესანდობარი;
24. მიცვალბულის ოჯახიდან ცოცხლების სადღეგრძელო: იერარქიულად: მშობლები, მეუღლე..
25. დები, ძმები....
26. შვილები, შვილიშვილები...
27. (თუ ახალგაზრდაა გარდაცვლილი, მისი მეგობრები, კლასელები...);
28. ღმერთის შეწვევისა: “ღმერთმა ზიანს გვაშოროს და ჭირ ყოფილიყოს თავის დროზე“...

თუკი სუფრა სამელოვიარო არ არის, სადღეგრძელოებთან ერთად აუცილებელია სიმღერა, ცეკვა; საქართველოს ზოგ კუთხეში ჩვეულებრივი იყო: სუფრული კაფია, შაირობა.

ტრადიციულად, ქართული პურობის თანამდევია **ბჭობა** (მსჯელობა), საზოგადო პრობლემების ანალიზი, ბიზნესპარტნიორთა დაახლოება, ნიშნობა და ა.შ.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში იშვა გამოთქმა: **“ქართული სუფრა აკადემიაა“**.

სახლეული (ოჯახი), **ნათესავი** და **ნათლული**. ქართველი ერის ერთ-ერთი ტრადიციული ინსტიტუტია სამთაობიანი ოჯახი²²² - “სახლეული“, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ძლიერი ავტონომია (საკუთარი ოჯახური წესრიგის ნაკლები გასაჯაროება).

ზოგადად, ქართველი კომუნიკაბელურია; ოჯახს გარეთ აქტიური საზოგადოებრივი ურთიერთობების გამო, საუკუნეების მანძილზე საქართველოში ჩამოყალიბდა **ნათესაობის ძლიერი ინსტიტუტი**; კერძოდ, დიდი სანაცნობო წრის ფონზე ერთ დიდ “სახლეულად“ (ოჯახად) გაიზარება **სა-ნათესაო**; სისხლით ნათესავი ქართველისთვის ოჯახის წევრია; შდრ. ამ კონტექსტისთვის შექმნილი ტერმინის შინაარსიც: **ნა-თეს-ავ-ი**: პირი, რომელიც შენი გენის მატარებელია; ეს სიტყვა მომდინარეობს “თესავს“ ზმნისგან: თეს-ავ-ს >> თეს-ლ-ი; შდრ.: თოვს >> თოვ-ლ-ი.

დიდი სანაცნობო წრიდან ახლო ადამიანების გამოიჭვნის ტრადიციის გამოხატულებაა, ასევე, **მეგობრობის**,²²³ **ნათელ-მირონობისა** და **მეზობლობის** ინსტიტუტები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ხალხურ წიაღში შობილი გამონათქვამები:

- **“ნათელ-მირონი ცხრა თაობას გასდევს, სისხლით ნათესაობა კი - შვიდ თაობას“**²²⁴;

- **მეზობელო**²²⁵ **კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო...**

²²² ოჯახი მონღოლური წარმოშობის სიტყვაა; შდრ., “очаг“ და ნიშნავს კერძას, ცეცხლს; ვფიქრობ, ქართული წარმოშობის ფუძე: **სახლ-** უკავშირდება “სახ-ელ-ი“ და “სახე“ სიტყვებს.

²²³ მეგობარი < მე-გუებ-არ-ი: ადამიანი, ვინც გიგებს, გეგუება.

²²⁴ ქორწინება აკრძალულია 7-9 თაობის ნათესავებს შორის.

ჩანს, ქართულ სივრცეში **ნათესაობა** და **მეზობლობა** თავიდანვე ძალიან მყარი ინსტიტუტები იყო; **მეგობრობის, ნათელ-მირონობისა** და **სტუმარმასპინძლობის** თემა კი საუკუნეების მანძილზე იძერწებოდა; ამით უნდა აიხსნას ქართულ ფოლკლორში სტუმარ-მასპინძლობის, მეგობრობისა და ნათელმირონობის შესახებ მრავალი კონცეპტუალური ხასიათის პოეტური შედეგის არსებობა. არაიშვიათად, ეს თემები დიდი პოეტებისა თუ მწერლების მიერაც გადაამუშავებულა; სამაგალითოდ დავასახელებთ ხალხურ შედეგს: **“შემომეყარა ყივჩაღი“**.

მეგობრობისა და სტუმარ-მასპინძლობის თემა კი ფართოდაა გაშლილი შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსანში“, აკაკი წერეთლის “გამზრდელში“, ვაჟა-ფშაველას “სტუმარ-მასპინძელში“, კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებში და სხვ..

ქართულ სინამდვილეში აქტიური საზოგადოებრივი კომუნიკაბელურობის გამოვლინებაა, ასევე, **ნადი** (კოლექტიური შრომა), **ჭირში თანადგომა** და მრავალხმიანი **გუნდური სიმღერები** /შრომაში, გლოვასა თუ ლხინში/; შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი მასშტაბის **ღია ადამიანური ურთიერთობები** (თანაცხოვრება) უნიკალური ფსიქოთერაპიის საფუძვლებს ქმნის.

ქართველური ცხოვრების წესის მახასიათებელია, ასევე, **ხანგრძლივი გლოვა** (მიცვალებულის პატივისცემა), **ჭირისუფლისადმი თანადგომა**, **სტუმარ-მასპინძლობის დიდი ტრადიცია** და სხვ.²²⁶

²²⁵ მეზობელი < მე-ეზო-(ვ)ელ-ი: პირი, რომელთანაც ერთი **ეზო** გაკავშირებს.

²²⁶ ვრცლად იხ., საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია (როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2010.

15.2. ხალხური შემოქმედება

15.2.1. ზეპირსიტყვიერება და საშემსრულებლო ხელოვნება. ამირანი-პრომეთეს თქმულების - მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მითის - შესახებ მე-7 პარაგრაფში ვისაუბრეთ. მრავალწახნაგოვანი ქართული ზეპირსიტყვიერება, ასევე, მოიცავს: მრავალ ზღაპარს (ხევს. “ამბავა“), ლეგენდას, ანდრეზს²²⁷, ლექსს, კაფიას, გამოცანას, ანდაზას... ამ სიმდიდრეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გამოცემულია ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეული, ზღაპარები, გამოცანები, კაფიები, ანდაზები²²⁸... სამაგალითოდ დავასახელებ გამოცემებს ანდაზების შესახებ: ქართული ანდაზები (შეკრებილი პ. უმიკაშვილის მიერ), ტფ. 1876; თ. სვინტიძე, ქართული ანდაზები, თბ. 1955; თ. სახოკია, ქართული ანდაზები, თბ. 1967; რჩეული ქართული ანდაზები (შეადგინა კ. ჯორჯანელმა), თბ. 2003...

გამოცემულია, ასევე, საქართველოს კუთხეებში დიალექტზე ჩაწერილი ანდაზებიც; მაგ.: ა. დავითიანი, სვანური ანდაზები (ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით), თბ. 1973; მეგრული და ლაზური ანდაზები (შემდგენლები: რ. შეროზია, ო. მემიშივი), თბ. 1994 და სხვ.

წარმოდგენილი წიგნის ფორმატში ზოგადადაც კი ვერ მიმოვიხილავთ მდიდარ ქართულ ზეპირსიტყვიერებას და შემოვიფარგლებით ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ძირითადი ლიტერატურის დამოწმებით, სადაც მიმოხილულია შესაბამისი გამოკვლევებიც: თ. ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2001; თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბ., 2002; ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2008 და სხვ.

ქვემოთ მოკლედ შევხებით მხოლოდ “ხმით ნატირალს“, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით მეტად გამორჩეულ ჟანრს წარმოადგენს.

სამგლოვიარო წეს-ჩვეულებების მსვლელობის პროცესში ხშირია მწუხარების გამომხატველი ლექსები, რომელთაც “ნატირლები“ ეწოდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ნატირლების“ ავტორები “გლოვის მგოსნებად“ მოიხსენებიან. “ნატირლები“ რამდენიმე სახისაა²²⁹:

²²⁷ ტერმინი “ანდრეზი“ ხევსურულ კილოში დასტურდება; სვანურში მისი ფარდია “ჰარაკი“. ამ ტერმინებით აღინიშნება მომავალი თაობებისათვის სამაგალითოდ შექმნილი ზეპირი მოთხრობა რეალური პიროვნების გმირობისა თუ სამაგალითო ქცევის შესახებ. ანდრეზის შესახებ ვრცლად იხ.: ზ. კიკნაძე, ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009

²²⁸ მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის პარალელურად ასეთი მდიდარი ზეპირსიტყვიერების არსებობა ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი პოტენციის დასტურია.

²²⁹ მოგვყავს ამირან არაბულის მონოგრაფიის (სამგლოვიარო პოეზია, თბ. 2006) მიხედვით.

ხმით ნატირლები - ხმამალალი გოდების ტექსტი სამგლოვიარო ცერემონიალის დროს; სანიმუშოდ წარმოვადგენთ ერთ-ერთ ხმით ნატირალს (ფშავიდან)²³⁰:

ხალხნო, რად გიკვირთ გიყი რო ვარ,
ანადა რო ვარ დახელთილი?
შვილი დავკარგე ქვეყნის სწორი,
სახე ცრემლით მაქვს დასეტყვილი.
გმინვა ვარ გულის გამლეწავი,
შავ შუალამე გადასული,
მე სულ უკუნეთ ღამედ ვივლი,
გული მაქვ, გული დავლეჯილი.
სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ,
ერთხელ შენ თვითონ რად არ მოკვდი,
თოვლივით მზეზე რად არ დასდნი?
წელან აქ ვინამ დამაყვედრა,
სუყველა შენი ბრალი არი:
სიცოცხლე თავად გააჩინე,
სიკვდილიც შენივ შვილი არი.

მოთქმა - გარდაცვლილის დატირება მისი დადებითი თვისებების აღნიშვნით, შექებით; გარდაცვლილის მჭევრმეტყველური დახასიათება; ეს არის გლოვის პოეზია (ვ. ნოზაძე).

ძახილით ტირილი - რამდენიმე მოტირალის მიერ ერთად შესრულებული მოთქმა (ერთი იწყებს, სხვები ბანს აძლევენ).

სულით ტირილი - მოტირალი ადამიანი ტირის მიცვალებულის ნაცვლად: მიცვალებულის სული თითქოსდა ჩასახლებულია მოტირალის სხეულში; მოტირალი თითქოსდა ანმოვანებს გარდაცვლილს, გოდებს გარდაცვლილის სახელით და ლაპარაკობს თავის იმქვეყნიურ მდგომარეობაზე, გასაჭირზე თუ პირად საზრუნავზე.

თვალვა - უცრემლო დატირება ბანის თანხლებით; მაგ.:

ვიტირათ უკენობისადა, ძილოო²³¹,
ძილო, ჭირიმე ძილოსაი, ძილოო,
მზიასაც წავილაღავთ შინა, ძილოო,
სახლჩიაც გავიქრობთ ცეცხლსა, ძილოო,
შამამბრუნავჩი სატანებო, ძილოო,
უნაწილოჩი სატანებო, ძილოო“.

ზარი - უსიტყვო, უტექსტო სამგლოვიარო მრავალხმიანი გუნდური გალობა;

ზრუნი - “გოდების ბანი“ - ქალთა და კაცთა შერეული გუნდების მიერ მიცვალებულთა დასამშვენებელი სიმღერა, რომლის დროსაც დატირების პროცესში იქმნება ლექსი (ახალი “ზარი“ მიცვალებულის ამქვეყნიური ღირსების, ღვაწლისა და დამსახურების შესახებ).

მოსაგონარი /ანდერძნი/ - საუკუნეთა მანძილზე ამა თუ იმ თემში, კუთხეში, ან, ზოგადად, ქვეყანაში მომხდარი ტრაგიკული ამბის/ამბების

²³⁰ <http://pshavi.ge/folk/natirali.html>

²³¹ **ძილო** - ქალის საკუთარი სახელის “ძილა“ მიმართვის ფორმა.

ამსახველი სამეცნიერო ლექსი/პოემა - “ტრაგიკული ამბების მართალი პოეტური მატრიანე“ (ა. არაბული).

ეპიტაფია - საფლავის ქვაზე აღბეჭდილი სამეცნიერო ლექსი²³².

ქართველთა ხალხური შემოქმედების მრავალფეროვნება კარგად ჩანს სხვადასხვა სტილის მრავალხმიან სიმღერებსა და ცეკვებში. თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, ამ მიმართულებით საინტერესო მასალა მოვიძიოთ ინტერნეტში. აქ ხაზს გავუსვამთ მხოლოდ რამდენიმე გარემოებას:

- ქართული მრავალხმიანი სიმღერა კოლექტიური შემოქმედებაა, რომელიც გულისხმობს ტრადიციული, ძლიერი კულტურული საზოგადოების მემკვიდრეობითობას - ტრადიციულ საზოგადოებაში პიროვნებების შემოქმედებით თანაცხოვრებას. ქართული სიმღერები სხვაობს კულტურების მიხედვით: დასავლეთ საქართველოს სიმღერები უფრო ემოციური და სხარტია; აღმოსავლური კი - მშვიდი და ფილოსოფიური.

- ქართული ცეკვა სამი ძირითადი სახეობისაა: გამოიყოფა საომარი, სახალისო და მიჯნურობაზე ორიენტირებული ცეკვები. უნიკალურია ქართულ ცეკვაში ასახული ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა: მსოფლიოს არც ერთი ხალხის ცეკვა ისე ჰარმონიულად არ ასახავს ქალისა და მამაკაცის ფაქიზ ურთიერთობას, როგორც ცეკვა “ქართული”; ამ ცეკვაში ხაზგასმულია, ერთი მხრივ, მამაკაცის სიძლიერე და დიდი მოკრძალება ქალისადმი, მეორე მხრივ კი, ქალის ჰაეროვნება და ნებელობა (დამოუკიდებლობა).

15.2.2. რეწვა და ქართული სამზარეულო. ქართველთა ნიჭიერება და შემოქმედებითი უნარის დამადასტურებელი მასალა უძველესი პერიოდიდან მოგვეპოვება; კერძოდ, ქართული მრეწველობის უძველეს თვალსაჩინო ფაქტად მისაჩნევია **საყდრისის ოქროს საბადოში ოქროს წარმოება**; კერძოდ, დადგენილია, რომ 5000 წლის წინ საქართველოში უკვე დამუშავებული ჰქონდათ ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგია²³³. ქართველური ტომების სახელს უკავშირდება ვერცხლის ნაკეთობებისა და რკინის საჭურველის (იარაღის) წარმოებაც. პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ტერმინი “საჭურველი” ძველი ქართული სიტყვაა: უკავშირდება “აღჭურვა” ზმნას. **საჭურველი** მოიცავდა უძველესი დროიდან არსებულ ყველა სახის ცივ იარაღს (ხმაღს, ხანჯალს, შურდულს, შუბს, მშვილდ-ისარს...), მუზარადს, აბჯარს... საქართველო-ოსმალეთის ომებს უკავშირდება თოფის, დამბაჩის, ზარბაზნის გამოჩენა, შესაბამისად, ოსმალურიდან შემოვიდა შესაბამისი ტერმინებიც, მათ შორის, “იარაღიც”, რომელიც ძველ ოსმალურში საბრძოლო აღჭურვილობას, “ძალას”

²³² იხ., მაგ., ამირან არაბულის მიერ გურიის სოფელ ქვენობანში ჭაბუკა თავბერიძის საფლავის ქვიდან გადმოწერილი ეპიტაფია:

“იძინე ტკბილად, ძვირფასო ქმარო,
არ შეგაშინოს სამარემ ცივმა,
მუდამ ახსოვხარ შენს დასჯილ ცოლ-შვილს,
ჩვენც სამუდამოდ შენთან გვაქვს ბინა”.

²³³ <http://www.youtube.com/watch?v=TnEosEhfcSY>

აღნიშნავდა; ოსმალურმა ტერმინმა ქართულში არქაული სემანტიკა შეიძინა, თანამედროვე თურქულში ამ სიტყვამ სემანტიკური ცვლილება განიცადა. ცეცხლსასროლი იარაღის - კაჟიანი თოფის (დამბაჩის) ერთ-ერთი სახეობა - **მაჭახელა** - XVIII საუკუნის II ნახევრიდან საქართველოშიც მზადდებოდა, კერძოდ, აჭარაში, მდინარე მაჭახელას ხეობის სოფლებში (ჩხუტუნეთი, ხერთვისი, ეფრატი, ზედვაკე...). 2007 წლის სექტემბერში თოფ “მაჭახელას” მაჭახლის ხეობის დასაწყისში ძეგლიც კი დაუდგეს²³⁴.

უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, ქართველთა სახელმწიფოში ბევრი ისეთი პროდუქცია მზადდებოდა, რომლებიც საზღვარგარეთ იცვლებოდა, ან იყიდებოდა. ამ მიზნებისათვის ჯერ კიდევ ძვ.წ. VI საუკუნეში შემოღებულ იქნა ქართული ვერცხლის ფული - კოლხური თეთრი²³⁵.

საქართველოში აღმოჩენილი ფულის ნიშნების - მონეტების - თავისებურებანი ასახავს ქვეყნის 26-საუკუნოვან ისტორიას; კერძოდ, მცირე რაოდენობისაა ქართულწარწერიანი მონეტები; გაცილებით მეტია ორენოვანი მონეტები: ქართულ-ბერძნული, ქართულ-არაბული, ქართულ-სპარსული; მაგ., საინტერესოა, რომ VI საუკუნის 80-იან წლებში, როცა ქართლში გაუქმებული იყო მეფობა და ქართველი ერი არაბების წინააღმდეგ იბრძოდა, ქართლის ერისმთავრებმა: გურგენმა და სტეფანოზმა მოჭრეს ასომთავრულწარწერებიანი ქართული მონეტა, რომელსაც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო - ჯვარი ამშვენებდა.

საყურადღებოა ისიც, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ - ბაგრატ III-მ მოჭრა ფული (მონეტა), რომელსაც ქართულად ეწერა: **“ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე”**; დავით აღმაშენებლის უნიკალურ მონეტაზეც, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული, ასევე მხოლოდ ქართულად აწერია: **“ქრისტე, ადიდე დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა”**.

ჩვენამდე მოღწეულია დამამცირებელწარწერიანი მონეტებიც; მაგ., **“მონა ყაენისა, მეფე დავით”**²³⁶.

უძრ.: 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1919 წლიდან ბრუნვაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შემოღებული **ბონები**; იმხანად ვერ მოესწრო ქართული ვალუტის შემოღება. საქართველოს ეროვნული ვალუტის დამკვიდრება მოხერხდა მხოლოდ 1995 წელს²³⁷.

საქართველოში საუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია, ასევე: კერამიკას, ხეზე კვეთას, ქსოვას, საიუველირო ხელოვნებას, მესაქონლეობას, ტყავის დამუშავებას, თაფლის წარმოებას და ა.შ. მაგ., ქალები ქსოვდნენ: წინდებს,

²³⁴ ეს პირველი ძეგლია, რომელიც ქართულ იარაღს ეძღვნება.

²³⁵ მსოფლიოში პირველი ფული გაჩნდა ძველი წელთაღრიცხვით VII საუკუნეში კუნძულ ვეინაზე (ეგეოსის ზღვა), სადაც ვერცხლის მონეტები მოჭრეს.

²³⁶ ასე აწერია მონღოლების მიერ დაპყრობილი საქართველოს მეფის - დავით ნარინის მიერ მოჭრილ მონეტას.

²³⁷ <http://www.file.ge/?p=23494#ixzz2teDq9i4k>

კაბებს, ხურჯინებს, ფარდაგებს, ხალიჩებს, აბგებს, ცხენის აღკაზმულობის მორთულობებს, სამოსელის (ტანსაცმლის) წარმოებას; მაგ., გამორჩეული სილამაზისაა ქართული ჩოხა-ახალუხი:



ყაწიმებითა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით გაწყობილი ჩოხა-ახალუხი ქართველურ-კავკასიური მონაცემი ჩანს; საქართველოში ჩოხა-ახალუხის ბევრი ვარიანტი დასტურდება; შესაბამისად, საქართველოში ჩოხის კულტურა ახალდამკვიდრებული არ უნდა იყოს.

წარმოვადგენთ მასალას საინვილოში (პერეთში) წინდის ქსოვის კულტურის შესახებ:

ქართულ ოჯახში ყველა ქალისათვის სავალდებულო იყო ქსოვის ცოდნა. კახის რაიონში ბოლო დრომდე არსებობდა ისტორიულად ჩამოყალიბებული ქსოვის²³⁸ ორი სკოლა: **კაკური** (ალათემური, ქოთოქლო, მეშაბაში, სახვა) **ალიბეგლოური**. კახისა და ალიბეგლოს წინდები, ძირითადად ფერთაწყობისა და ფერთა შეხამებით განსხვავდებიან. არის განსხვავებული სახეებიც, რომელიც მხოლოდ კახში ან ალიბეგლოში იქსოვება. სახეების მიხედვით, წინდებს შესაბამის სახელებს უწოდებენ²³⁹; მაგ.:

ასოევიან წიგნი სახედ, ვარდი ფოთოლად (ვარდი ფოთოლა წინდად), კუკური სახედ[კვირტი], იომევიან წინდად, მარწყვი [მარწყვი] სახედ, მასკულად [ვარსკვლავი] სახედ, პეპელად სახედ, ჟიჟიძი სახედ, სავარცხლი სახედ, ფურცლი სახედ, ქათმიჭკილად [ქათმის ფრჩხილად], ცხენი სახედ, ჩიტევიან წინდად, ჟვრიან წინდად, ჟვარ-ჟვარ [ხაჩ-ხაჩ] წინდად, ბულიევიან წინდად [იხვის მაგვარი], კბილევიან წინდად, ფანჩხლიან წიგნი სახედ [ზიგზავისებრი], კაპაჭრელა წინდად, ამნაყარ წინდა (ამოყრილი;

²³⁸ ინვილოურად ქსოვას “შაქნა“ (შექმნა) ჰქვია.

²³⁹ http://maraniki.blogspot.com/2011/04/blog-post_13.html

ალიბეგლო), შიბიან წინდაჲ, უშიბო წინდეგ (შიბი ერთგვარი ვიწრო ზოლია, ამოყრის ტექნიკით შესრულებული, კახი)²⁴⁰; აქვე გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს²⁴¹:



²⁴⁰ მასალა მომზადებულია მალხაზ ნუროშვილის მონაცემთა ბაზის მიხედვით: http://maraniki.blogspot.com/2011/04/blog-post_13.html

²⁴¹ პირველი ვარიანტის ავტორი უცნობია; მოქსოვილია მაჰმადიან ინგილოთა სოფელში - ითითალაში; სხვა ნიმუშების შემქმნელები ქრისტიანი ინგილოები არიან: ნინო ქიტიაშვილი /კახი, თოფაზი, ქიტიაშვილების უბანი; ნინო ოთარაშვილი /კახი, კაკისთავი; თებრო ჰაჯიშვილი; ნაბი დუკაშვილი /ს.ყარამეშა; ქენია შიოშვილი /კახი. კაკისთავი/.

ქართული სამზარეულო²⁴². ქართველმა ერმა მრავალი სახის ღვინო და ბევრი ორიგინალური ეროვნული კერძი შექმნა; კერძოდ, **ძირითადი კერძები**: საცივი, გებჟალია, ხავიწი, ხინკალი, ტყემლის საწებელი, მაწონი, კუჭმაჭი, ელარჯი, მონრაკული, ღვეზელი, ჭვიშდარი, მწვადი, ბაჟე, კორკოტი, ჩაქაფული, სინორი, ფხალლობიო, ლორი, კუპატი, ნიგვზიანი ბადრიჯანი, ჩაშუშული...

ყველეული: სულგუნი, დაპწნილი (ჩეჩილი) ყველი, მოშუშული ყველი, ჭყინტი ყველი, ძებოლილი ყველი, თუშური ყველი...

მხალეული: ჭინჭარი, ღვალო, ჯიჯილაყა, ბალბა, ისპანახი, სვინტრი, სატაცური, არჯაკელი, კომბოსტო, ნაცარქათამა, თეთრი ფხალი, კეჟერა ფხალი...

ცომეული: ქადა, ხაჭაპური, ფხლოვანი, კუბდარი, ლობიანი, ფეტვდიარი, ლომი, ძჭადი, ნაზუქი...

ნუგბარი: გოზინაყი, ჩურჩხელა, ფელამუში, თაფლაკვერი...

მწვანილი: ქინძი, მწვანე სალათი, ნიორი, ხახვი, ქონდარი, ოხრახუში (მაკიდო), რეჰანი, პიტნა, ომბალო, ტარხუნა, კამა...

სანელებელი: უცხო სუნელი, წიწაკა (> აწიწაკ > აჯიკა), სვანური მარილი...

საწებელი: ტყემალი, პამიდვრის წვენი, ნიორ-წყალი, მაცვლის წვენი, ბროწეულის წვენი, ისრიმი (მზადდება ყურძნის მარცვლებისგან)...

²⁴² სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისა და ვრცელი მსჯელობისათვის იხ. გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007.

15.3. ქართველთა ეროვნული ხასიათი²⁴³

ბიბლიის მიხედვით, სამყაროში პირველად გაჩენილ ორ შვილთაგან ერთი, **აბელი**, შრომისმოყვარეობისა და პატიოსნების განსხეულებაა, მეორე კი, **კენი** - შურიანობის გამო გაბოროტებულისა²⁴⁴. აბელი და კენი კეთილი და ბოროტი (ადამიანური) ქცევის სიმბოლოებს წარმოადგენენ. “ბაბილონის გოდოლის“ მოვლენით აღწერილია ადამიანის კიდევ ერთი არსებითი ნიშანი - **განსხვავებული ენობრივი მსოფლალქმა**.

ენით (ენობრივი მსოფლალქმით) შემოსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობა **ეთნოსად** იწოდება. ენის გარდა, კონკრეტულ გეოგრაფიულ-ეკოლოგიურ და რელიგიურ-იდეოლოგიურ ველში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გამო **მოცემულ ენობრივ სოციუმს** უყალიბდება წესჩვეულებათა განსხვავებული სისტემა, რომელიც დროთა განმავლობაში არსებითად განსაზღვრავს ეროვნული ხასიათის ძირითად წახნაგებს. შეგვიძლია ვთქვათ:

მოცემულ გეოგრაფიულ-ეკოლოგიურ (კავკასიურ, აღმოსავლურ, აფრიკულ...) ველში არსებულ **გენოტიპურ პოპულაციაში** კონკრეტული დედაენების მიხედვით ყალიბდება რამდენიმე **ეთნიკურ-კულტურული თავისთავადობა** /“ეროვნული სიცოცხლე“, რომლის ხასიათს, ასევე, ძერწავს ისტორიული, რელიგიური და იდეოლოგიური გარემო²⁴⁵.

შდრ., **მემკვიდრეობითი ნიშნები**: ტემპერამენტი, თმისა თუ კანის ფერი, მრგვალი თუ გრძელი თავის ქალა, თვალის ჭრილისა თუ ცხვირის მოყვანილობა ზეეროვნული, შეიძლება ვთქვათ, რეგიონული (კავკასიური, აღმოსავლური, აფრიკული...) მახასიათებლებია; მხოლოდ მსგავსი **გენეტიკური მარკერები საკმარისი არ არის ეროვნული ხასიათის გამოსაკვეთად**: გენეტიკური მემკვიდრეობა ე.წ. რეგიონული მონაცემია, რომლის

²⁴³ იხ., აგრეთვე: საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010, გვ. 248-259.

²⁴⁴ **შური** - მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა (საბა).

²⁴⁵ თვალსაზრისი ასეც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ეთნიკური მემკვიდრეობითი ნიშნები (ტემპერამენტი, გარეგნობა, დაავადებები...) გარკვეულწილად განსაზღვრავს ერის არსსა თუ ხასიათს; მთავარ ეროვნულ მახასიათებლებს ქმნის მრავალსაუკუნოვანი წესჩვეულებითი სისტემა და გეოგრაფიული გარემო; შდრ.: პიროვნებას ხასიათის ძირითადი შტრიხები მოჰყვება გენეტიკურად, ხოლო ხასიათის გამოვლენის ფორმა /ქცევის სტანდარტი/ უყალიბდება კონკრეტულ კულტურულ გარემოში.

ბაზაზე, როგორც წესი, რამდენიმე **ენობრივ-კულტურულ-ეთნიკური ერთობა** ყალიბდება²⁴⁶.

ეროვნული ხასიათის ერთ-ერთ არსებით წახნაგს ავითარებს ტრადიციული (მრავალსაუკუნოვანი) რელიგიური მსოფლალქმა; შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენისა და გეოგრაფიული გარემოს გვერდით, **რწმენა-წარმოდგენები ეროვნული ხასიათის ჩამომქერწავი ერთ-ერთი უმთავრესი ფენომენია**.

ეროვნული ხასიათის ფორმირებაში, დედაენისა და რწმენა-წარმოდგენების გარდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოცემული ენობრივი საზოგადოების საცხოვრისის (მიწა-წყლის) **ისტორიული კუთვნილება**; კერძოდ, ავტოქთონობა თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე გვიან დამკვიდრება მოცემულ ეთნოსში განსხვავებულ იმპულსებს ავითარებს; მაგ., ავტოქთონი მოსახლეობა ორიენტირებულია **თავდაცვაზე** (და არა - აგრესიაზე), სტუმართმოყვარეობაზე, გულარხეინობამდე მისულ სიმშვიდეზე... მოსული ეთნოსი კი, თავის **დამკვიდრებაზე, ამიტომაც** ხშირად აყალბებს ისტორიას: ცდილობს, ჩაენაცვლოს მოცემული სახელმწიფოს დამფუძნებელ ერს²⁴⁷; თვითდამკვიდრების ამგვარი გზა მოსულ ეთნოსში **აგრესიულობას** აძლიერებს.

თანამედროვე სამყაროში ადამიანთა ერთობის (საზოგადოებრივი ერთობის) - სახელმწიფოს მოქალაქის - ჩამომქერწავი ფენომენის როლს ასრულებს სახელმწიფოს კანონმდებლობაც, თუმცა, ინტერნეტ-კომუნიკაციების მომავალი სამყარო ამ მიმართულებით შესამჩნევად შეზღუდავს **სახელმწიფო მანქანის გავლენას** და გააძლიერებს ენობრივ-კულტურულ-ეთნიკურ მახასიათებლებს²⁴⁸.

²⁴⁶ თუკი ეს “გენოტიპი” მცირერიცხოვანი და სრულიად იზოლირებული არ არის.

²⁴⁷ და გააზრებულად ლახავს დამხვედურის სასიცოცხლო ინტერესებს; მაგ., 100 წლის წინ ცხინვალში ავტოქთონი მოსახლეობა - ქართველობა - ცხოვრობდა; ოსური თუ რუსული წარმომავლობის მხოლოდ რამდენიმე მიგრანტი ოჯახი იყო /ამას ადასტურებს რუსეთის იმპერიის აღწერებიც/; რუსეთის აგრესიის შედეგად დღეს ცხინვალის მხარეში სრულადაა განხორციელებული ქართველთა გენოციდი; დღეს ცხინვალის მხარეში მხოლოდ რუსეთის იმპერიის მხარდამჭერნი - პრორუსული იმპერიული განწყობის ინდივიდები - ცხოვრობენ. ანალოგიური სიტუაციაა აფხაზეთშიც, რომელიც ისტორიულად ქართულენოვანი კულტურისა თუ სახელმწიფოს წამყვანი კერა იყო.

²⁴⁸ ფიზიკურ ძალაზე ორიენტირებული ბოლო იმპერიის (პოსტსაბჭოთა რუსეთის) დაცემის შემდეგ - უახლოეს მომავალში - გეოპოლიტიკური გადანაწილების საფუძველი იქნება არა გამანადგურებელი იარაღი თუ ენერგორესურსები, არამედ ენობრივ-კულტურული კომუნიკაციების ტექნოლოგიების დონე.

აბელურ-კანტური ორიენტირები მარადიულია: ყველა დროში ზოგი პიროვნება/ერი საკუთარი მეობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული, ზოგი - სხვისი ფასეულობის მითვისებაზე. **კეთილმოქმედი და ბოროტმოქმედი** ყველა ერში არსებული ორი უკიდურესობაა; კეთილი არსის მქონეა, ბოროტს კი არსი არ გააჩნია; ყველა კულტურული საზოგადოება /ერი/ ცდილობს, მომავალ თაობებს ორიენტირად დაუსახოს **კეთილმოქმედი - ეროვნული წმინდანები თუ ეროვნული გმირები**, შესაბამისად, შეუძლებელია რომელიმე ერის სახედ წარმოვაჩინოთ ბოროტმოქმედი თუ რენეგატი; თუმცა, ყველა ერს ჰყავს და ეყოლება თავისი აბელი და კენი, თავისი დავით აღმაშენებელი და როსტომ-ხანი, წმინდა ილია და ორჯონიკიძე-ბერბიჭაშვილი...²⁴⁹ ერის საუკეთესო შვილები უნდა მივიჩნიოთ ერის სახესიმბოლოდ თუ დასახელებულ უკიდურესობებს შორის ოქროს საშუალი ვეძიოთ?

მოცემული ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირები, პირველ რიგში, აისახება ხალხურ შემოქმედებაში; ხალხური შემოქმედების იდეალები კი ტონს აძლევს ეროვნულ მწერლობას; მაგ., ქართული ხასიათის ორიენტირები კარგადაა წარმოჩენილი სიტყვის დიდოსტატებთან - შოთა რუსთველთან, ილიასთან, ვაჟასთან, ალექსანდრე ყაზბეგთან... ფილოსოფოს არჩილ ჯორჯაძესთან, კრიტიკოს გურამ ასათიანთან, ეთნოლოგ როლანდ თოფჩიშვილთან და სხვ.. ხალხურ შემოქმედებაში წარმოჩენილი ქართული ხასიათის მარკერებისა და ადამიანური ორიენტირების შესახებ ბოლო პერიოდში საინტერესო კვლევა ჩაატარა **ამირან არაბულმა** წიგნში: “ვაჟაკაცობისას ამბობენ“ (თბ, 2011 წ.).

ვ. ჰუმბოლდტის, გ. რამიშვილის... ასევე, ზემოთ დასახელებული ავტორებისა და სხვა მკვლევართა დაკვირვებების გათვალისწინებით, ზოგადად წარმოვადგენთ **ქართული ცნობიერებისა და ხასიათის** განმსაზღვრელ რამდენიმე ფენომენს (რომლებზეც ორიენტირებულია ქართული ხალხური თუ კლასიკური აზროვნება):

ქართული ხასიათის არსებით წახანაგთავან პირველ რიგში დავასახელებთ პიროვნული/ეროვნული დამოუკიდებლობისკენ (თავისუფლებისკენ) ამბიციურ სწრაფვას: **“თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყო-**

²⁴⁹ 1907 წელს საქართველოს გარედან დაქირავებულმა, მაგრამ ქართული წარმომავლობის კრიმინალებმა მუხანათურად მოკლეს ილია ჭავჭავაძე. ზოგი ამბობს, რომ “1907 წელს ჩვენ, ქართველებმა, მოვკალით ილია“... ჩვენ მათ ვპასუხობთ: **1907 წელს** ათეისტურ-კოსმოპოლიტური მიმართულების სოციალ-დემოკრატებმა ქართველებს გვესროლეს “ბერდენკას“ ტყვია.

ველსა“ (წმინდა ილია მართალი)²⁵⁰. მრავალსაუკუნოვანი სიცოცხლის მანძილზე ქართველი ერის მიზანი მუდამ იყო **თავდაცვა** - საკუთარი მეობის დაცვა²⁵¹.

სხვა არსებითი წახნაგებია:

ქართულენოვანი მსოფლადქმა. დედაენა - სამყაროს ხედვა-აღქმის მრავალსაუკუნოვანი სისტემა და აზროვნების საშუალება²⁵²; დედაენა დედის რძესავით მზა პროდუქტის სახით ეძლევა ახალდაბადებულ ადამიანს ცნობიერებას²⁵³.

სიყვარული (“მოყვასისადმი სიყვარული“). ქართველი სიყვარულის გამონატვაზეა ორიენტირებული; ეს თვისება უვითარებს მას ბუნებრივი კომუნიკაბელურობის ნიჭსაც და კეთილგანწყობასაც: ქართველი **უცხო სტუმარსაც კი** ნდობითა და სიყვარულით ხვდება (და არა - ეჭვით); შდრ., ქართული გამოთქმა: **სტუმარი ღვთისაა**²⁵⁴.

დიდსლოვნება - შურისძიების ნაცვლად, ქრისტიანული შემწყნარებლობა: საამისო კარგი მაგალითი: ილია ჭავჭავაძის მეუღლემ ხელი მოაწერა უჟამდგომლობას, სიკვდილით არ დაესაჯათ ილიას მკვლელები: “ილია ისეთი კეთილშობილი იყო, აპატიებდა“ - თქვა ოღლა ჭავჭავაძე-გურამიშვილმა.

²⁵⁰ შდრ.: “ხაზგასმული სუვერენობა არის **ქართული იდეა**“ (ა. სილაგაძე).

²⁵¹ ასე ხანგრძლივად ვერ ცოცხლობენ მყარი ფასეულობების არმქონე მცირერიცხოვანი ხალხები და დამპყრობლობაზე, სხვათა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობის (იდენტობის) განადგურებაზე ორიენტირებული (იმპერიული ამბიციების მქონე) ერები.

²⁵² ყველა ენის ძირითადი ფუნქციებია: 1. სამყაროს ხედვა-აღქმა, 2. შემოქმედებითი აზროვნება, 3. კომუნიკაცია, 4. ცოდნის შენახვა...

²⁵³ ჩვენმა წინაპრებმა გაიაზრეს რა გარესამყარო, სახელი უკვე დაარქვეს მრავალ მოვლენას/ფაქტს. ადამიანი სახელს არქმევს იმის მიხედვით, თუ როგორი/რომელი წახნაგით დაინახავს მოცემულ საგანს; შდრ., მაგ., ქართული: “მრავალძარღვა“, რუსული - “გზის პირა“, ჩრდილო კავკასიური - “ვირის ფლოქვა“, ინგლისური: “კრავის ენა“ (**Lamb's Tongue**)... სამყაროში კიდევ მრავალი მოვლენაა შესაცნობი, ასე, რომ, თუ ერთი მხრივ, ადამიანი დედაენაში იზრდება/ფორმირდება, მეორე მხრივ, გარკვეულწილად, ამდიდრებს კიდევ მას.

²⁵⁴ ტერიტორიული და ეკონომიკური პრობლემები გარკვეულწილად ზღუდავს ამჟამინდელი ქართველის მიერ სიყვარულის გამოვლენას (განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც ღირსებას ულახავს და მიწა-წყალს ართმევს).

თანასწორობა. ქართული ენის უძველეს ლექსიკაშივე ჩანს ე.წ. ქალისა და მამაკაცის სრული თანასწორობა:

ღეღა-კაცი (=მღედრი ადამიანი), **მამა-კაცი** (=მამრი ადამიანი).

ქალისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების ამსახველია, ასევე:

- ძველ საქართველოში (კოლხეთში) ქალღმერთისადმი გამორჩეული თაყვანისცემა;

- ქრისტიანობის დამკვიდრება ქალის მიერ;

შუა საუკუნეებში ქალის - **თამარ მეფის**- უბრეცვდენტო მეფობა:

შდრ., ასევე, XII საუკუნის აფორიზმი:

“ღეგვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“



განსაკუთრებით გამოსაყოფია ქართველის **შრომისმოყვარეობა**. ზარმაცი ერი ამდენ ციხესა და ეკლესიას ვერ ააშენებდა /ხშირი აგრესიების დროს განხორციელებული ნგრევების მიუხედავად/; მცირერიცხოვნობის პირობებში მხოლოდ მეტად შრომისმოყვარე ერს შეძლო, შეექმნა დიდი კოლხური კულტურა, გადაეწერა ამდენი ხელნაწერი წიგნი, აეშენებინა მრავალი **ციხე** (თორთუმი, არტანუჯი, ოლთისი, იმფხრევი, შავშეთი, წეფთი, კლდეკარი, მცხეთა, უფლისციხე, შორაპანი, ძველი სენაკი, წალენჯიხა, ხიხანი...) და **ეკლესია** (საბაწმინდის ლავრა, სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერი, ათონის ივერთა მონასტერი, ჯვრის მონასტერი... მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, მარტვილი, გელათი,

ბაგრატი, ხანძთა, ოშკი, ხახული, სამთავისი, სხალთა, ფიტარეთი, შიომღვიმე, ზედაზენი, ბოდბე, მაკრიალი...).

ტოლერანტობა - განსხვავებული რწმენისა და მოსაზრების ადამიანების თანაარსებობა /თანაცხოვრება/: ამ თვალსაზრისით სანიმუშოა საქართველოს ყველა ისტორიულ ქალაქში სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე საზოგადოებების სამლოცველოთა გვერდიგვერდ არსებობა და ქართველი ებრაელის ფენომენი; ასევე, განსხვავებულთა თანაარსებობის საუკეთესო გამოვლინებაა ქართული მრავალხმიანი სიმღერები და ქართული სუფრის სადღეგრძელოს **უალტერნატივო ტრადიცია**: ერთი თემის გარშემო სუფრის წევრთა სხვადასხვა თვალსაზრისების გამოთქმის აუცილებლობა (შდრ., სხვადასხვა პოზიციიდან გაანალიზებული ერთი თემა).

გამორჩეული ნიჭიერება²⁵⁵, რომლის გამოხატულებაა პირველობისკენ მუდმივი სწრაფვა - **სახელის სიყვარული**; ქართულ ხასიათის ამ ასპექტს ასე ახმოვანებს უპირველესი ქართველი პოეტი: “სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“... სწორედ ხასიათის ამ წახნაგით უნდა აიხსნას, რომ ქართველობას პროცენტულად ძალიან ბევრი წმინდანი და გმირი ჰყავს (ამანაც განაპირობა ჩვენი ერის **სასწაულებრივი სიცოცხლე**, სულ მცირე, 3 000 წლის მანძილზე)²⁵⁶. ამავე დროს, **პირველობისკენ სწრაფვა** არის ქართველთა ურთიერთქიშპობისა თუ შინააშლილობის მიზეზიც (შდრ. ცნობილი გამოთქმა: “ქართველს მხოლოდ ქართველი თუ დაამარცხებს“).

მორწმუნეობის გარდა, ნიჭიერებითა და პირველობისკენ სწრაფვით უნდა აიხსნას IV-XVII საუკუნეებში (როცა მხოლოდ თავდაცვისთვის არ იხარჯებოდა ეროვნული ენერჯია) ბევრი ქართული ეკლესიის დაარსება წმინდა მიწაზე; ნიჭიერებით უნდა აიხსნას ისიც, რომ ბევრმა ქართველმა დიდ წარმატებას მიაღწია უცხო ქვეყანის სამსახურშიც; მაგ., ქართველი იყო ეგვიპტესა თუ ერაყში გავლენიან (თუ მმართველ) **მამელუქთა დიდი ნაწილი** (გ. ჯაფარიძე), რუსეთის დიდი იმპერიის პირველი პირი - სტალინი (ჯულაშვილი), 20-მდე დიდგვზირი ოსმალეთში, ცნობილი სარდლები ირანში (ალავერდიხანი, სააკაძე), რუსეთში (ბაგრატიონი), ამერიკის შეერთებულ შტატებში (შალიკაშვილი) და სხვ.

²⁵⁵ ნიჭიერება - სამყაროს განსხვავებული აღქმის უნარი, რომელიც, ნებისყოფიდან ერთად, მყარი საფუძველია **პიროვნული ინდივიდუალურობისა**.

²⁵⁶ ეთნოლოგების აზრით, ეთნოსის სიცოცხლის საშუალო ასაკი 1500 წელია.

სტუმართმოყვარეობა - არანათესავის, არამეგობრის, არანათელმირონისთვის ოჯახის წევრის მსგავსად მოპყრობა. ეს ტრადიცია შეიძლება ძველი ბიბლიური ტრადიციაა; არ გამოირიცხება, უძველესი ქართული ტრადიციაც იყოს /შეიძლება უკავშირდებოდეს უპოვარისათვის დახმარების გაწევას/. რამდენადაც ქართველი ბუნებით მოსიყვარულეა და გულგახსნილი, უყვარს ნათესავი, რომელიც თავის ორგანულ ნაწილად მიაჩნია, მეგობარი, ოჯახის წევრი, მაგრამ განსაკუთრებით **უყვარს სტუმარი**, რომელიც საშუალებას აძლევს, თავისი სიკეთე, კეთილშობილება და არტისტულობა, კულტურა... წარმოაჩინოს; სტუმრის შესახებ შექმნილია კონცეპტუალური ხასიათის **ქართული ხალხური პოეტური შედეგრი** “შემომეყარა ყივჩაღი”; ეს თემაა გაშლილი აკაკი წერეთელის “გამზრდელშიც” და ვაჟა-ფშაველას “სტუმარ-მასპინძელშიც”. ქართული ხასიათის ამავდროულად წახნაგის განშტოებაა ქართველთა გულუხვობა, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს: “უხუნი - არცა თჳსსა და არცა სხჳსას კრძალავენ“ (=ერიდებიან).

ქართული ტემპერამენტი, რომელიც, პირველ რიგში, მამაცობაში ვლინდება; ამ თვალსაზრისით, საინტერესოა შოთა რუსთველის მიერ ტარიელის დახასიათება:

“ახლოს მივე, შემომხედნეს **“შმაგაო“**, ესე თქვესა“.

მუნ მივმართე მკლავმაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;

კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მაერთ ორნივე მიჰხდეს მზესა,

შუბი გატყდა, ხელი ჩაყვავ, ვაქებ: ხმალო, ვინცა გლესა!“

შდრ., “ქართლის ცხოვრებაში“ (1959, გვ. 262-263) წარმოდგენილი დიალოგი ყაენსა და ქართველთა მეფეს შორის:

ყაენი: “ვიცი სიმჴნე თქუენი ბრძოლათა შინა. თქუენ ქართველნი ურჩნი ხართ და **შმაგნი...**“

ქართველთა მეფე: “დიდო ყაენო, არა არს ჩუეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურგი შემოაქციოს. აწე ბედნიერმან თუალმან ყაენისამან გჴხილოს, თუ ვითარ დავდვათ თავი ჩუენი სიკუდილად“...

მამულის, მოყვასისა თუ ღირსებისათვის ომში ქართველთა შეუპოვრობასა და თავგანწირვაზე სხვა მრავალი გადმოცემა თუ ფაქტი არსებობს²⁵⁷.

დამარცხებული მტრის შეწყალება - შდრ., რუსთველის შეგონება:

“ესეაო მამაციისა მეტის-მეტი სიგულოვნე:

ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე;

და გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“.

²⁵⁷ სხვა ისტორიული მასალის, ასევე, ლაზებისა და სხვა ქართველების გმირობის შესახებ იხ., საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2010, გვ. 248-251.

ალექსანდრე ყაზბეგი, სვიმონ ჩოფიკაშვილის პირით, ასე აყალიბებს ქართული ხასიათის ამ წახნაგს: “ჩვენი ხალხი მტერთან იქამდისინ შეუბრალებელი არის, სანამ ღონიერია, მაგრამ მტერი თუ დასუსტდა, უბედურებაში ჩავარდა, მაშინ იმასთან მტრობა დიაცობად მიაჩნია”.

ვაჟკაცი მტრის დატირება - ქართულმა სინამდვილემ შვა მტრის დატირების საოცარი მოვლენა: ამ თვალსაზრისით თვალშეუდგამი სიმაღლისაა ხალხური ლექსი **“ვეფხი და მოყმე”**, სადაც შვილმკვდარი დედა დასტირის ვაჟკაცურ ორთაბრძოლაში დაღუპული შვილის მკვლელსაც; ეს თემა დიდოსტატურადაა გაანალიზებული ვაჟა-ფშაველას პოემებშიც: “სტუმარ-მასპინძელი” (აღაზას მიერ ზვიადაურის დატირება), “ალუდა ქეთელაური” (ალუდას მიერ მუცალის დატირება)...

ქართული ხასიათის ამ წახნაგს ეხმიანება **ვაჟკაცი მტრის დანდობაც**. ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან ბევრი საინტერესო ამბავი მოჰყავს ამირან არაბულს, საიდანაც ჩანს, რომ ქართველი თუ ჩრდილოკავკასიელი მეზობელი ხშირად თავს იკავებდა ვაჟკაცი მტრის ლაჩრულად მოკვლისგან.

ქართველთა დიდი ნაწილისთვის, ასევე, დამახასიათებელია: ოპტიმიზმი, პატრიოტიზმი, რომანტიულობა (და არა - ფუჭი მეოცნებეობა), ტრაბახის ზღვრამდე მისული თავის წარმოჩენა, გულარხეინობა, სიფიცხე²⁵⁸, “სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს” (დიპლომატია), იუმორი, არტისტიზმი (რომლითაც ფარავს ხოლმე თავი ნაკლს)²⁵⁹, სიამაყე, მეგობრობა, უცხო ქვეყანაში იოლი ადაპტირება, რაც ეროვნული მეობის დაკარგვით სრულდება²⁶⁰. ეს ფაქტი ასე შეიძლება

²⁵⁸ ალბათ ამ თვისებების გამო ითქვა ოსმალების მიერ (რომელსაც კირიონ კათოლიკოსი იმოწმებს თავის ერთ წერილში): “ქართველის პირველი ჭკუა მას, მეორე კი - მე”.

შდრ., **დამახასიათებელი ქცევა:** ქართველი გაუმართლებელი გულარხეინობით ცხოვრობს თავის მამულში; მომხდურის უზნეობა აფიცებს და არასწორ ნაბიჯებს დგამს; შემდეგ იწონასწორებს თავს და მთელი ენერჯით ცდილობს ვითარების გამოსწორებას: კრიტიკულ მომენტში თავგანწირვითა და მთელი ინტელექტუალური შესაძლებლობების მობილიზებით უმძიმეს კრიზისს აღწევს თავს... ასე იყო ისტორიულად და, ალბათ, ასე იქნება მომავალშიც.

²⁵⁹ მრავალრიცხოვან დამპყრობლებთან ურთიერთობის აუცილებლობამ, ბოლოს კი საბჭოთა იმპერიაში ყოფნამ ქართველთა ნაწილში გააქტიურა ადამიანური უარყოფითი წახნაგებიც; მაგ., ზოგჯერ უცხოურის დაყენება საკუთარ მემკვიდრობაზე მაღლა, არაპირადულისადმი ზერელე დამოკიდებულება (შდრ., განსხვავებული დამოკიდებულება ოჯახისა და ქუჩის სისუფთავისადმი), ორმაგი თუ სამმაგი სტანდარტით ლაპარაკი სიტუაციის შესაბამისად, ქართული სუფერის **ტრადიციული** ეტიკეტის დაუცველობა ღვინის ჭარბად დაღვევით...), რომლის დაძლევა ქართველობის ამ ნაწილშიც მალე მოხერხდება.

²⁶⁰ საზღვარგარეთ ამიტომაც არ არიან ძლიერი ქართული დიასპორები; ენობრივ-ეთნიკურ მეობას გაჭირვებით ინარჩუნებენ უცხოეთში კომპაქტურად მცხოვრები

ახსნას: მაგ., ებრაელებისა და სომხებისგან განსხვავებით, ქართველები ერთად ჩამოყვალბდით ჩვენსავე ისტორიულ მიწა-წყალზე და უცხოობაში “ეროვნული სიცოცხლისათვის“ ნაკლები ისტორიული გამოცდილება გვაქვს. **ქართველობა, როგორც ეროვნული მეობა, დაუპარცხებელია საკუთარ მიწაზე.** ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ფაქტი:

გასულ წელს საქართველოში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო, გამოერკვია საქართველოში მცხოვრებთა უმთავრესი სატკივარი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა დიდ ნაწილს აქვს ფინანსური სირთულე, ბევრი უმუშევარია, უმრავლესობამ უმთავრეს პრობლემად მაინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაასახელა.

ქართველი კაცის ხასიათს არსებითად განსაზღვრავს **ფანატიზმისგან შორს მყოფი ღვთის სიყვარული**²⁶¹.

ზემოთქმულის ფონზე საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისი ქართლელების შესახებ; განზოგადება შესაძლებელია **ყველა კუთხის ქართველზე**:

“მვნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მვედრობათა შინა კადნიერნი (=გაბედულნი), მკვრცხლნი, მსწრაფლნი... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაცნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თჳსა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თჳსსა, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიონ; უხუნი, არცა თჳსსა და არცა სჳსასა კრძალვენ, საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმვდომნი, მჩემებელნი (=მესაკუთრებნი), სწავლის მოყუარენი. არმედ არს ჟამი რაოდენიმე, არლარა ისახელების ცოდნა, თჳნიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცონარობად, ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხ-

თუ ავტოქთონი ქართველები, რომლებიც ბედის უკუღმართობით, სხვათა დომინანტობით შექმნილ სახელმწიფოში მოექცნენ (მაგ., ბევრი ასიმილირდა თურქულენოვან, სპარსულენოვან თუ რუსულენოვან ველში); თუმცა, ყველა დროში არიან ამ მხრივაც გამორჩეული ქართველები; მაგ., ბოლო პერიოდის მოღვაწენი: ახმედ მელაშვილი, საიდ მულიანი, ფევზი ჩელები, ელიზბარ ციმნარიძე (ელდარ ქუჩუკუკი), ერდოვან შენოლი (დავითაძე) და სხვ.

²⁶¹ ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ყველა ქართულ მხარეში გავრცელებული ერთი ხალხური თქმულება:

ღმერთი მიწას ურიგებდა ადამიანებს; ყველაზე ბოლოს ქართველები მივიდნენ.

- სად ხართ ამდენ ხანს? უკვე გავანაწილე ყველა მიწა, - უთხრა უფალმა;

- უფალო, შენ გლოცავდით და ამიტომ დავავგვიანეთ, - უპასუხეს ქართველებმა.

ღმერთს სიმართლეს ვინ დაუმალავდა?

- ერთი გამორჩეული მიწა ჩემთვის შევინახე და თქვენ მოცემთ, ასეთი კარგები რომ ხართ - უთხრა ღმერთმა ქართველებს და საცხოვრისად მისცა კავკასიის საუკეთესო ნაწილი.

ლის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავვედნი, დიდების მოყუარენი, თუალ-მგებნი და მოთაკილენი“.

თანამედროვე სამყარო ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ქართველ ერს:

შორს გათვლილი სტრატეგიით დღენიადაგ მუშაობაა საჭირო, რომ მომავალში - ელექტრონული კომუნიკაციების სამყაროში - ქართველობამ შეინარჩუნოს **ენობრივ-ეთნიკური თავისთავადობა** და ეროვნული ფასეულობები.

უფალი ყველა ერს აძლევს არსებობის შესაძლებლობას; ამ შესაძლებლობის გამოყენება კი დამოკიდებულია მოცემული საზოგადოების ფასეულობების/ღირებულებების სიმყარეზე, ერის ბრძოლისუნარიანობაზე (ეროვნული თუ პიროვნული მეობის შენარჩუნებისათვის), თავდაცვისათვის საჭირო ენერჯის მობილიზებასა და ეროვნულ ხასიათზე. ვფიქრობთ, მომავალშიც **ქართველობის “ეროვნული სიცოცხლის“ გადამრჩენი იქნება** წარსულში უკვე “აპრობირებული” **რამდენიმე ფაქტორი:**

1. თავისუფლების სიყვარული;
2. მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენის, როგორც ერისა და ქართული სახელმწიფოს გამაერთიანებელი ფენომენის განვითარება (პირველ რიგში, ტექნოლოგიზება);
3. სამთაობიანი ოჯახის, როგორც გვარისა და ერის ფასეულობების მემკვიდრეობითობის გარანტის, შენარჩუნება;
4. მთისა და ბარის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ბალანსის დაცვა.
5. ქართველისათვის ტრადიციოული მიმტევებლური ცნობიერების შენარჩუნება და **ქართული /ქართველთა/ ფასეულობების (საუნჯეთა) დაცვასა და თანამედროვე გამოწვევებზე** ორიენტირებული საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრების გაძლიერება²⁶²...

შდრ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ქადაგებების მიხედვით, **ქართველი ადამიანის საუნჯენია: I.** უკვდავი სული; **II.** ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი სამშობლო, სადაც არის: წმიდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი (რომელიც წმიდა ილიამ თავის მოწაფეს - ელისეს - დაუტოვა), კვართი უფლისა, პერანგი ღვთისმშობლისა, ლურსმანი მაცხოვრისა, საფლავნი მოციქულთა და მოციქულთა სწორისა წმიდა ნინოსი და სხვა სიწმიდენი; გარდა ამისა, ჩვენი მიწა გაპოხიერებულია მამულისა და ქრისტესთვის

²⁶² იმ პერიოდში, როცა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ძლიერ გეოპოლიტიკურ მოთამაშეს (ირანს, ბიზანტიას, არაბეთს, ოსმალეთს...) ემორჩილებოდა, **საქართველოს ეკლესია ასრულებდა ერის თვითობის** (მეობის, იდენტობის) **დამცველისა და ქვეყნის გამაერთიანებლის ფუნქციას.**

ასიათასობით წამებულის სისხლით... III. ქართული ენა; IV. ჩვენი საუნჯენია აგრეთვე: ტაძრები, მონასტრები, ხატები, ჩვენი კულტურა, ჩვენი ხელოვნება, ჩვენი მუსიკა, ჩვენი საგალობლები, ჩვენი ხატწერა, ჩვენი მინანქარი - ყველაფერი ის, რაც შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს... “ასევე არ უნდა დავკარგოთ ჩვენი სულიერი საუნჯე — ჩვენი რწმენა, ჩვენი სიყვარული, ჩვენი თანაგრძნობის ნიჭი. ქართველი ადამიანი მუდამ თანაუგრძნობს გაჭირვებულ ადამიანს. ეს საუნჯენი უნდა შევინარჩუნოთ და **ეს გადაარჩინს საქართველოს**“²⁶³.

²⁶³ ვრცლად იხ.: **ტ. ფუტყარაძე, ქართული ენა - ქართველთა ეროვნული სიცოცხლე** /სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეპისტოლეებისა და ქადაგებების მიხედვით/, ქართველური მემკვიდრეობა, XIV, 2010, გვ. 9-35 (ტომი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს).

შდრ.:

ილია ჭავჭავაძის ცნობილ კითხვაზე: “**რამ გადაგვარჩინა**“, სამეცნიერო ველში საინტერესო პასუხები არსებობს:

ს. ვარდოსანიძე: ისტორიულად ქართველობა გადაარჩინა: 1. ძლიერმა ერთიანმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა ცნობიერებამ; 2. საქართველოს მთისა და ბარის ჰარმონიული მონაცვლეობის ფაქტორმა; 3. უკიდურესი განსაცდელის ყამს საკუთარ თავში თვითგადარჩენის დიდი ძალის მონახვის უნარმა; 4. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ (2004, გვ. 46-50).

რ. თოფჩიშვილი: ისტორიულად ქართველობა გადაარჩინა განსაკუთრებულმა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ /მთისა და ბარის სიახლოვე/, ხეობებად ცხოვრებამ, შიდა სამეურნეო-ეკონომიკურმა კავშირებმა, შიდა მიგრაციულმა პროცესებმა, ტოლერანტობამ /შემწყნარებლობა: მტერს არ ვალიზიანებდით/, საქორწინო ტრადიციებმა, გმირი ლიდერების სიმრავლემ, პირველობის გამო თავგანწირვამ, ისტორიის მახსოვრობამ, წინაპრის სალოცავის ერთგულებამ /ამის გამო გარემიგრაციის ნაკლებობამ/, ლავირების უნარმა... (საქართველოს ეთნოლოგია/ეთნოგრაფია, 2010, გვ. 79-84).

დასკვნითი დებულებები:

1. კავკასიაში - გეოპოლიტიკური ვექტორების დაპირისპირების ეპიცენტრში - ჩამოძვრული ქართველი ერი და ქართველთა მიერ დაფუძნებული სახელმწიფო - საქართველო მრავალი საუკუნეა არსებობს ძალიან სახიფათო “ტრადიციული გამოწვევების” (გენოციდი, ასიმილაცია)²⁶⁴ პირობებში. “ტრადიციული გამოწვევები” ახლაც არის და მომავალშიც იქნება.

2. საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მომავალი არა აქვს ფიზიკურად მოსაზღვრე იმპერიის გეოპოლიტიკურ ველში (შეუქცევადი გახდება ქართველი ერის ფიზიკური განადგურების პროცესიც).

3. დასავლურ გეოპოლიტიკურ სივრცეში საქართველოსა და ქართველი ერის გადარჩენის პერსპექტივა რეალურია, თუკი ევროკავშირთან ასოცირებული (თუ ევროკავშირის წევრი) საქართველო შეინარჩუნებს ქართულენოვან მართლმადიდებლობასა და ტრადიციულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფასეულობებსა და, რაც მთავარია, ქართულ ენას, როგორც კულტურულ ფენომენს - თუკი საქართველოს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა ადეკვატური იქნება თანამედროვე სამყაროს “ახალი გამოწვევის” მიმართულებით და ელექტრონული კომუნიკაციების სამყაროში ქართულ ენას დროულად გადააქცევს უახლესი ტექნოლოგიების ენად.

²⁶⁴ კერძოდ, დიდი იყო საფრთხე ქართველთა ფიზიკური განადგურებისა (ბოლო აგრესია: რუსეთის იმპერიული ძალების მიერ ქართველთა გენოციდი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში) და კულტურული ასილიმაციისა - ცნობიერების შეცვლისა (დედაენის ფუნქციის მოშლა, ტრადიციული ფასეულობების ნიველირება, ისტორიული რელიგიის ჩანაცვლება...).

ბიბლიოგრაფია

1. რ.აბაშია, დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი (სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით); ქუთაისური საუბრები, IX, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2002; ქართველური მემკვიდრეობა, VII, 2003
2. მ.აბდუშელიშვილი, საქართველოს ანთროპოლოგია რკინის ათვისების ხანაში, თბ., 1987
3. მ.აბდუშელიშვილი, ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს უძველესი ისტორიისათვის, მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, თბ., 1971
4. იუსტ. აბულაძე, “შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების წარმოშობისათვის, თსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954
5. იუსტ. აბულაძე, რუსთაველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967
6. გ.ავალიშვილი, მტკვარ-არაქსის კულტურის ევროპული პარალელების საკითხისათვის; არქეოლოგიური კრებული, I, 1994
7. გ. ალასანია, ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია); ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, თბ., 2000
8. მ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, ქუთაისი, 1941
9. ზ.ალექსიძე, ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991
10. შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, 1961
11. შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი განძი და მისი დაბრუნება, თბ., 1968
12. ივ. ამირხანაშვილი, ქართული ლიტერატურის საყმაწვილო ისტორია: “ლიტერატურული საქართველო“, 2006, 28. VIII.
13. მ.ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966
14. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, I, თბილისი, 1966
15. მ.ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, თბ., 1996
16. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრების და ეთნოლოგიის ნარკვევი ილია ანთელავას საერთო რედაქციით), თბილისი-ზუგდიდი, 1999
17. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თბ., 1959
18. ა.არაბული, სამელოგიარო პოეზია, თბ., 2006
19. ა. არაბული, ვაჟკაცობისას ამბობენ, თბ., 2011
20. ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალექსოვის მიერ), თბ., 1973
21. ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 2001
22. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა. ტ. 1. თბ., 1955

23. ჯ.აფაქიძე, გვიანბრინჯაოსა და აღრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია; სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002
24. ნ.აფხაზავა, აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები); აფხაზეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1998
25. ლ.ახალაძე, “აფხაზთა” მეფეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის საკითხისათვის; დისციპლინათმორისი რესპუბლიკური კონფერენცია “ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა”, თბილისი, 4-10 ოქტომბერი, 2004
26. ვ. ბაკაშვილი, “ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის“ ექვთიმესეული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები (V-XIII სს.), თბ., 1965
27. ნ. ბალანჩივაძე, ღვთიური არსის გამოხატვა ქართულ თეოგონიაში, ლიტერატურული ძიებანი, 2002, №22
28. ალ. ბარამიძე, საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბ., 1966
29. ა.ბარამიძე, მარი ბროსე და საქართველოს ისტორია, მრავალთავი, XII, 1986
30. რ. ბარბაქაძე, ვეფხისტყაოსანი და შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციები ფერთი სისტემის თვალსაზრისით. მაცნე, ელს, 1978, N3
31. ბარბაქაძე რ., ფერი ძველ ქართულ ლიტერატურაში, კრებ. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბ., 1982
32. ვ. ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის I, ტფილისი, 1938
33. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ - საკულტო ძეგლები, ტომი I, ფშავი, “მეცნიერება“, თბ., 1974
34. ნ.ბართაია, ქართული საერო მწერლობის სათავეებთან ანუ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, გამომცემლობა “უნივერსალი“, თბილისი, 2011
35. ნ. ბართაია, ცივილიზაციათა დიალოგი XII საუკუნის საქართველოში /ქრისტიანობა და ისლამი/; ჟურნალი “სამეცნიერო აზრი“, II, თბილისი, 2013, გვ. 101-113
36. ა.ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990
37. დ. ზ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889
38. წ.ბაწაში, ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბ., 1988
39. ლ.ბებურიშვილი, მწერლობის “მოთვინიერება“ გრძელდება, თბ., 2012
40. გ.ბედომვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001
41. ც.ბენდელიანი, “სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ და “ამირანდარეჯანიანი“ ქართული სამწიგნობრო ენის პერიოდიზაციის თვალსაზრისით; ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003

42. თ.ბერაძე, ტერმინი თემი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 81, № 1, 1976
43. თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ, კრებული აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998
44. თ.ბერაძე, მ.სანაძე, საქართველოს ისტორია, წიგნი I, ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები, თბ., 2003
45. გრ. ბერიძე, ჯავახური კილო, თბ., 1988
46. მ. ბერიძე, მესხური ტოპონიმის სტრუქტურული და ისტორიული ანალიზის პრობლემები, ფილ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2005
47. მ. ბერიძე, რატომ აყალბებენ ქართულ ტოპონიმებს? თბილისი, 2006
48. მ. ბერიძე, ქართველთა გამუსლიმება და გავარის შეცვლა მესხეთში, 2006
49. მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, 2008
50. მ. ბერიძე, აწყურის ეტიმოლოგიისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XII, 2008, გვ. 31-36
51. კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის; მიმომხილველი, 6/9, თბილისი, 1972
52. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983
53. მ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969
54. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973
55. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990
56. დ. ბერძენიშვილი, წმინდა ანდრია მოციქულის ნაკვალევი საქართველოში, კრებული ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში, თბ., 2004
57. ლ.ბითაძე, ანთროპოლოგიური მონაცემები ქართველთა ეთნოგენეზისისათვის; ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002
58. ა.ბილლი, საქართველოში აღმოჩენილი ქრისტემდე VI-I საუკუნეების სამარხთა კვლევა სტეპების ხალხებთან მათი განსაკუთრებული მიმართების გათვალისწინებით (ქართული თარგმანი); "ამირანი", IX (2), მონრეალი-თბილისი, 2003
59. ვ.ბოედერი, ტერმინების - ენა და დიალექტი - გამოყენება ქართველურ ლინგვისტურ თეორიებში; ფრანკფურტის საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება, ფრანკფურტი, 12.12.2003
60. თ.ბოლქვაძე, ენა და "დიდი ტრადიცია", სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2003
61. ე. ბუბულაშვილი, წმინდა მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში და მათ სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები, გამომცემლობა "ახალი ივირონი", თბილისი, 2007 წ; "საეკლესიო ბიბლიოთეკა", ტ. VIII. თ. IV.
62. გ.ბურჭულაძე, ქართველ- სიტყვის წარმომავლობისათვის; III საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1999
63. პ.ბუხრაშვილი, ეთნიკური კულტურის შესწავლის საკითხისათვის; ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003

64. პ.ბუხრაშვილი, საცხოვრისის ფენომენის ადგილის განსაზღვრისათვის ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად; “ამირანი”, IX, მონრეალი-თბილისი, 2003
65. პ.ბუხრაშვილი, რამდენიმე შენიშვნა ა.ბილლის ნაშრომის შესახებ, “ამირანი”, IX (2), მონრეალი-თბილისი, 2003
66. ვ. გაბაშვილი, აღმოსავლური კულტურის ძირითადი თავისებურებანი (არაბულ-მუსლიმური კულტურა), თსუ შრომები, ტ. 250, თბ., 1985.
67. ვ. გაბაშვილი, შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლური კულტურა, კრებ., აღმოსავლური კულტურა, საქ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, “მეცნიერება“, თბილისი, 1980
68. რ.გაბაშვილი, კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში, თბ., 2001
69. შ.გაბესკირია, აკად. არნ. ჩიქობავა და ქართველური ენების ხეთურ (ნესიტურ) და ხათურ (პროტოხეთურ) ენებთან ურთიერთობის საკითხები; არნოლდ ჩიქობავას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998
70. შ.გაბესკირია, ქართველთა თვითსახელის, საქართველოსა და მისი დედაქალაქების ძველ სახელწოდებათა და წინარექართული ენის ისტორიის საკითხისათვის; ქუთაისური საუბრები - X, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2003
71. გ. გაბუნია, ქუთაისი და “ქუთათისის ქვეყანა“ (შიდა ეგრისი, სამოქალაქო) უძველესი დროიდან XV საუკუნემდე; საკანდიდატო დისერტაცია, 1999
72. კ.გაბუნია, ქართველური ენების კლასიფიკაციის საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კრიტერიუმების გამიჯვნისათვის; ენათმეცნიერების საკითხები, თბ., №1, 2004
73. ი.გაგოშიძე, ადრენანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964
74. ი.გაგოშიძე, არქეოლოგიური გათხრები ტახტისძირში (ქარელის რაიონი); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, კავკასიის არქეოლოგია; უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები; თბ., 1997
75. ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული. 1981
76. ი.გაგოშიძე, კოლხური კულტურა, კოლხეთი, იბერია; ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003
77. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005
78. ჯ. გამახარია, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), თბ., 2012
79. ვ.გამრეკელი, ზ.ცქიტიშვილი, 1970 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, ისტორიის სერია, 1, 1973.
80. ზ.გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი; ლიტერატურული საქართველო, 3 ნოემბერი, 22 დეკემბერი, 1989
81. ზ.გამსახურდია, “ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991
82. კ.ზ.გამსახურდია, ადრექრისტიანული ქართლის კულტურული მოზაიკა, თბ., 1995
83. თ.გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959

84. თ.გამყრელიძე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში: გადაწერის წესები დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბ., 1968
85. თ.გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989
86. თ.გამყრელიძე, „ოქროს საწმისი“ და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? ლიტერატურული საქართველო, 20-27 მარტი, 1998
87. თ.გამყრელიძე, თანამედროვე დიაქრონიული ლინგვისტიკა და ქართველური ენები; ენათმეცნიერების საკითხები, I, თბ., 2000
88. თ.გამყრელიძე, მესხეთ-ჯავახეთი - საერთო ქართველური წინარე სამშობლო; მესხეთი: ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000
89. თ.გამყრელიძე, რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი – გრძნეული მედეა (ძველი კოლხეთის ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის); ლიტერატურული საქართველო, 16-22 მაისი, 2003; ბურჯი ეროვნებისა, № 7-8, 2003
90. თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965
91. თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, 2003
92. გ. ვასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973
93. ალ. გვახარია, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან, II, თბ., 2002.
94. მ.გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1961
95. მ.გეგეშიძე, კოჯორი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966
96. ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1988
97. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1941.
98. გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1961
99. გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1967, ტ. VII
100. თ.გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ “აფხაზისა” და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 47-ე სამეცნიერო სესია, 19-22 დეკემბერი, თბილისი, 1989
101. თ.გვანცელაძე, ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურსა და აბაზურ ენებში; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
102. თ.გვანცელაძე, აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატეანის ტექსტში, თბ., 1997
103. თ.გვანცელაძე, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისთვის; აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998
104. თ.გვანცელაძე, ენათა ფუნქციონირება პოლიეთნიკურ რეგიონში მარ-

- თვადი ენობრივი პოლიტიკის პირობებში; ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000
105. თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება; ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001
 106. თ. გვანცელაძე, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და ქართველური ენობრივი სამყარო; ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003
 107. თ. გვანცელაძე, არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? ენათმეცნიერების საკითხები, № 2, 2003
 108. თ. გვანცელაძე, აკადემიური პოლემიკა თუ იდეის დისკრედიტაციის მცდელობა? ენათმეცნიერების საკითხები, № 1, 2004
 109. თ. გვანცელაძე, აფხაზთა იდენტობა და “ქართული დემოკრატია”; დისციპლინათმორისი რესპუბლიკური კონფერენცია: “ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა”, თბილისი, 4-10 ოქტომბერი, 2004
 110. თ. გვანცელაძე, შენიშვნები “გლოტოქრონოლოგიის მეთოდის” საფუძველზე ქართველურ “ენათა” დივერგენციის დროის დადგენის ცდების შესახებ; XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთაისი, 2004
 111. თ. გვანცელაძე, ჯონ მანდვილის 1375 წლის ცნობის მნიშვნელობა ეთნიკური აფხაზეთის ლოკალიზაციისათვის; საისტორიო შტუდიები, თბ., 2004
 112. ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის; მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1975
 113. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
 114. ი. გიგინეიშვილი, ი. კობლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004
 115. გრ. გიორგაძე, ხეთურ-არმაზული ტრიადები; მნათობი, 1985, № 7
 116. გრ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასკების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000
 117. გრ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002
 118. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1982
 119. გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის პერიოდიზაციისათვის; ენათმეცნიერების საკითხები, 2004, № 1
 120. ს. გოგიტიძე, ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში, ყურნალი “ჭოროხი“, 1990, № 4
 121. ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1999
 122. ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002
 123. გორგანელი ფაზრ ედ-დინ, ვისრამიანი, ალ. გვახარისა და მ. თოდუას რედაქციით, თბ., 1962

124. ლ. გორდეზიანი, კოლხეთი B-ხაზოვან ტექსტებში; ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ტ. II, ქუთაისი, 2004
125. რ. გორდეზიანი, „ილიადას“ ხომალდთა კატალოგი, თბ., 1966
126. რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, თბ., 1980
127. რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985
128. რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993
129. გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007
130. გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994
131. გ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბ., 1998
132. გ. გურული, ილიადან ილიამდე; წიგნი პირველი; წმინდა ილია მართალი. თბ., 2006
133. გ. გურული, ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921; თბი, 2007
134. გ. გურული, ეროვნული ცნობიერება. სახელმწიფოებრიობა. პოლიტიკური ორიენტაცია. თბ. 2008
135. გ. გურული, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება; თბ., 2010
136. გ. გურული, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში; დოკუმენტები და მასალები (1944-1951); თბ., 2013
137. გ. გურული, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში; თბ., 2014
138. ვ. გურული, ილია; თბილისი, 2014
139. რ. გუჯეჯიანი, ეთნოკულტურული პროცესები ბურსის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ეთნიკურ ქართველთა შორის, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, თბ., 2012
140. კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, თსუ შრომები, 245, 1984
141. კ. დანელია, ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან: „ცისკარი“, 1990, №8
142. კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბ., 1998
143. ჯ. დარმსტეტერი, სპარსული პოეზიის სათავეებთან, თარგმანი ფრანგულიდან ბაჩანა ბრეგვაძისა, თბ., 1985.
144. XXII დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ., 2002.
145. ბ. დიასამიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999
146. პ. დიუპონი, ე. სკარლატიდუ, შავ ზღვაზე უადრესი ბერძნული დასახლებების დათარიღება: აბდერის ამფორების მონაცემები; შავი ზღვის-პირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი-თბილისი, 23-26 სექტემბერი, 2002
147. ნ. დურნოვო. საქართველოს ეკლესიის ბედი. ბათუმი. 1990

148. ენათმეცნიერების შესავალი (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972
149. ეფრემ მცირე, უწყება მიზნისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებელი დაურთო თ. ბრეგვაძემ, თბ., 1959
150. ვანი, III, არქეოლოგიური გათხრები. 1977
151. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, IX, თბ., 1964
152. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II. გამომც. ორთოდოქს-კიპრელი (საბერძნეთი), 1993
153. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ.; თბ. 2001
154. ს. ვარდოსანიძე, ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები, თბ., 2004
155. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდი; თბ. 2000
156. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II; თბილისი, 2008
157. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი; თბ., 2009
158. ს. ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბილისი, 2010
159. ს. ვარდოსანიძე, XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები; თბ. 2011
160. ვ. ვაშაკიძე, ტერმინები: იბერია და იბერები ანტიკურ წყაროებში; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
161. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941
162. ვახუშტი: ქართლის ცხოვრება IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, "საბჭოთა საქართველო", თბ., 1973
163. ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე), ბიბლიოგრაფია წმ. ანდრია მოციქულზედა, ჟურნალი "მოგზაური", 1901, №12
164. პ. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002
165. ვ. ზუნზაია, ნ. ფოფორაძე, ძვირფასი და სანახელავო ქვები. 1998
166. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
167. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, თბ., 1913-1914
168. ე. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? მნათობი, 8, თბ., 1948, გვ. 89-106
169. რ. თვარაძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1996
170. მ. თოდუა, ქილილა და დამანას საბასეული ვერსია, თბ., „მეცნიერება“, 1967
171. მ. თოდუა, ქილილა და დამანას ვახტანგმეფისეული ქართული თარგმანის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ მისი

- ორიგინალის ტექსტის დადგენის საქმეში, თბ., 2009.
- 172.მ.თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბ., „მეცნიერება“, 1975
 - 173.მ.თოდუა, ვეფხის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს, ქუთაისი, 1993
 - 174.გ.თოფურია, ქართულ-ქართველური ეთნონიმიკის საკითხები (მესხეთნონიმის ისტორიისათვის); იკე, XVII, 1970
 - 175.გ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961
 - 176.გ.თოფურია, სვანური ენა, ზმნა; შრომები, I, თბ., 1967
 - 177.გ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000
 - 178.გ. თოფურია, შრომები, ტ. II, თბ., 2002
 - 179.რ. თოფჩიშვილი, რად გვჭირდება ეთნიკური ტერმინების გაუმართლებელი ხმარება? ლიტერატურული საქართველო, № 33-35, 1995; ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005
 - 180.რ.თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002
 - 181.რ.თოფჩიშვილი, ქართველი ერის ეთნიკური განვითარება; ქართველი ხალხის ეთნოგენეზისი, თბ., 2002
 - 182.ქ.თუთი, აქილევსი და კავკასია; ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998
 - 183.ქ.თუთი, კავკასიური “prosthesis motif“ და მისი ევრაზიული პარალელები; ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996
 - 184.ს. თურნავა, XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1989
 - 185.თ.იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში, თბ., 2009
 - 186.გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
 - 187.გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1975
 - 188.პ. ინგოროყვა, რუსთველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთველის კრებული, თბ., 1937
 - 189.პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954
 - 190.ი.იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957
 - 191.მ. ინაძე, ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1953
 - 192.მ.ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32, თბ., 1955
 - 193.მ.ინაძე, ტერმინები: “კულხი“ და “კოლხეთი“ ბიზანტიურ მწერლობაში; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
 - 194.მ.ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994
 - 195.მ.ინაძე, ძველი კოლხეთის სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პრობლემატიკისათვის; მნათობი, № 7-8, 2000
 - 196.პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1957
 - 197.პ.ინგოროყვა, ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო, თბ. 2003
 198. იოანე ანჩელი, გალობანი ანჩისხატისანი, ძველი ქართული პოეზია, V

- XII სს. თბ., 1979
199. ა. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973
 200. ა. იოსელიანი, ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, თბ., 1990
 201. ე. იმაილოვი, ვ. პაპავა, ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები, თბ., 2007
 202. ს. ლ. კაიშაური, კ. ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონი: იკე-ს წელიწდეული, 1977, №4
 203. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები; სა- ისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ., 1924
 204. კალმასობა, ტომი მეორე, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, "სახელგამი", თბ., 1948
 205. ვ. კახნიაშვილი, უცხოელები ქართული კულტურის შესახებ, თბ., 1966.
 206. ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულიდან: ყურნ. ხერთვისი, 2005, № 1
 207. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, თბ., 1956
 208. კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1961
 209. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980
 210. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981
 211. კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ის- ტორიული წყარო, რუსთაველის კრებული, თბ., 1984
 212. კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანო (XVII-XVIII სს. მიჯნა - 1840 წ.), თბ., 2011
 213. ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა... თამილა მგალობლიშვილმა, "მეცნიერება", თბილისი, 1978
 214. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976
 215. ზ. კიკვიძე, ტ. ფუტყარაძე, ერის სოციოლინგვისტური პროფილის ფორ- მულის აგებისათვის; XVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სა- მეცნიერო სესია, თბ., 1996; იხ., აგრეთვე: 1997 წლის "ქუთაისური სა- უბრები - IV" (სიმპოზიუმის მასალები); სიმპოზიუმის ძირითადი თემა: "ადამიანთა ერთობები (ეთნოსი, ერი, ტომი, თემი, გვარი) - ლინგვის- ტური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული ასპექტები"
 216. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქარ- თველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ., 1976
 217. კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, ჯვარი და საყმო, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ფოლკლორისა და მითოლოგიის სერია, # I, ქუთაისი, 1996
 218. ზ. კიკნაძე, აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები, მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000
 219. ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, სახელმძღვანელო, 2006
 220. ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2008
 221. ზ. კიკნაძე, ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის

- რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009
222. მ. კობიაშვილი, ანდრია პირველწოდებულის “მიმოსვლათა” გამოდახილი ქართულ მწერლობაში, ლიტერატურა და ხელოვნება, 1998, №4
223. კ. კუბლაშვილი, ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985
224. კურთხევანი: დიდნი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ I, თბ., 2002
225. ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ., 1949
226. მ. ლაბაძე, ქართველთა ეროვნული ერთიანობის ანარეკლი თურქეთის ლაზთა ფოლკლორში, „ქართველური მემკვიდრეობა“ IX, ქუთაისი, 2005
227. მ. ლაბაძე, ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა, „ქართველური მემკვიდრეობა“ XII, ქუთაისი, 2008
228. მ. ლაბაძე, ქართველურ დიალექტურ კოდთა შერევის საკითხისათვის მურღულის ხეობაში (თურქეთის რესპუბლიკა); ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადი, II; გვ. 139-144
229. მ. ლაბაძე, ისტორიულად საერთო და ინტერფერენციული დიალექტური მოვლენების გამიჯვნისათვის (მურღულის ხეობის ლაზური და ლივანური იდიომების მიხედვით); „ქართველური მემკვიდრეობა“ XVI, ქუთაისი, 2012
230. მ. ლაბაძე, მურღულის ხეობაში მცხოვრებ ავტოქტონ ქართველთა — ლაზთა და ლივანელთა — მეტყველების თავისებურებანი (სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები) სადოქტორო დისერტაცია, ქუთაისი, 2013
231. ო. ლანჩავა, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი, 1996
232. დ. ლეთოდინი, აფხაზეთის, აფშილეთის, და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1991
233. ა. ლეკიაშვილი, კვირია - მაცხოვარი, მნათობი, N11, 1986
234. ა. ლეკიაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თეონიმიდან: ღვთაება კვირიას სახელები და ეპითეტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXII, “მეცნიერება“, თბ., 1987
235. ვ. ლიჩელი, ეთნოკულტურული ინოვაციები, ძვ. წ. II-I ათასწლეულების საქართველოში; ქუთაისური საუბრები VI, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999
236. ვ. ლიჩელი, ანდრია მოციქული სამცხეში - არქეოლოგიური რეალობა, მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000
237. ივ. ლოლაშვილი, ფრაგმენტები, არმოღწეული ძეგლები და უცნობი ავტორები, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966
238. ივ. ლოლაშვილი, იოანე პეტრიწი, “სათნოებათა კიბე“, თბ., 1968.
239. ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში; თსუ შრომები, VI, თბ., 1938
240. ქ. ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, იკე, I, 1946
241. ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკი-

- თხის შესახებ; მნათობი, № 12, 1956
242. ქ. ლომთათიძე, ხელისა და ფეხის ალმნიშვნელი ფუძეების უძველესი სახეობებისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში და ზოგი ქართველური ფუძის ანალიზის საკითხი; იკე, ტ. XV, 1966
243. ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, თბ., 1976
244. ქ. ლომთათიძე, ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობიდან; იკეს წელიწადეული, IV, თბ., 1976
245. ქ. ლომთათიძე, ერთი ფონეტიკური პროცესი (ს...გ > ს...კ) და ეთნონიმ **მოსინიკების** ამოსავალი ფუძის საკითხი; აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2000
246. ა. ლომთაძე, რ. შეროზია, კვლავ აფხაზა (აფხაზი) ტერმინის შესახებ (ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენობრივი სისტემების მიხედვით); ქუთაისური საუბრები-IX, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2002
247. ბ. ლომინაძე, XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966
248. ბ. ლომინაძე მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 31
249. ბ. ლომინაძე, საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 733-753
250. ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, “გეოგრაფიული სახელმძღვანელო“; ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32, თბ., 1955
251. ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962
252. ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1963
253. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968
254. მ. ლორთქიფანიძე, ქართული წერილობითი წყაროების ცნობები VIII-XI საუკუნეების ქუთაისის შესახებ; საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები (მონსენებათა თეზისები), ქუთაისი, 20-22 ოქტომბერი, 1994 წელი
255. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 2012
256. ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966
257. ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986
258. ო. ლორთქიფანიძე, ქართული ცივილიზაცია. საიდან იწყება მისი ისტორია? თბ., 1993
259. ო. ლორთქიფანიძე, ქუთაისი უძველესი დროიდან ახ.წ. IV საუკუნემდე; ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბილისი-ქუთაისი, 1994
260. ო. ლორთქიფანიძე, ეთნოკულტურული სისტემის განვითარების დინამიკა დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრი-

- სა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში; ქუთაისური საუბრები VI, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999
- 261.ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002
- 262.დ.ლოსაბერიძე, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 146, №2, 1992
- 263.მაკალათია 1935: სერგი მაკალათია, ხევსურეთი, ტფილისი, 1935.
- 264.მაკალათია 1987: სერგი მაკალათია, მთის რაჭა, "ნაკადული", თბ., 1987
- 265.ნ.მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989
- 266.ნ.მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და ქართველთა ეთნოგენეზი; ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002
- 267.ე.მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011
- 268.ნ.მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905
- 269.ქართლის ცხოვრება I, ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955
- 270.ი. მარი, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებიდან, ჟურნ. მნათობი, თბ., 1942
- 271.ა. მარტიროსოვი, ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.
- 272.ა. მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956
- 273.ა.მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972
- 274.კ. მაჩაბელი, ძველი საქართველოს ვერცხლი. ქართული ხატები. 1994.
- 275.მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება: იკე, XXII, თბ., 1985
- 276.ნ.მაჭავარიანი, ობიექტისა და სუბიექტის პირის ნიშნით განლაგებისათვის ქართულ და აფხაზურ გარდამავალ ზმნებში; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბ., 1986
- 277.გ.მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002
- 278.ტ.მანაური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წიგნი III ("წარმართული დანაშრევები" აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ტექსტებში), თბ., 2011
- 279.ნ.მგელაძე, აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004
- 280.ი.მეგრელიძე, ქართული ენის მოამბე შევიცარიელი ქალები: გაზ. "სამშობლო", 1974, დეკემბერი
- 281.ი.მეგრელიძე, ჩეხი ქართველოლოგი იარომირ იედლიჩკა და მისი ბარათები: ჟურნ. "განთიადი", 1991, №8
- 282.გ.მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1965
- 283.გ.მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999
- 284.გ.მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973
- 285.დ.მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975
- 286.დ.მელიქიშვილი, გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა (აკადემია), ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1993, №1, გვ. 6-24; №2, გვ. 3-25

287. დ.მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001
288. დ.მელიქიშვილი, ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2009
289. მ.მენაბდე, თ.კილურაძე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981
290. ლ.მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I-II, თბ., 1980.
291. ლ.მენაბდე, რუსთაველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, თბ., 1990
292. ლ.მენაბდე, თ.კილურაძე, ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდების განსაზღვრისათვის საქართველოში კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, თბ., 2001
293. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თსუ გამომცემლობა, 2002
294. რ. მეტრეველი გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, თბ. 2006
295. რ. მეტრეველი, კავკასიის ცივილიზაცია გლობალიზაციის კონტექსტში (რუსულ და ინგლისურ ენებზე), "CAECC Press", სტოკჰოლმი, 2009
296. რ. მეტრეველი მეფეები და პატრიარქები, თბ. 2010
297. თ.მიბჩუანი, "სვანი" და "სვანეთი" ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
298. ბ.მირიანაშვილი, საერო ენა და სათემო კილო; ივერია, №166, 09.08.1888; №180, 27.08.1888
299. დ.მინდორაშვილი, უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბ. 2008
300. გ.მირცხულავა, ნ.მირცხულავა, კავკასია ადრეელითონების ხანის ევროპის არქეოლოგიურ კულტურათა სისტემაში; თსუ სიღნაღის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომები, III, 2001
301. თ.მიქელაძე, ფასიანების სადაურობისა და ადგილ-სამყოფელის გარკვევის საკითხისათვის; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32, თბ., 1955
302. თ.მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974
303. თ.მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი; მაცნე, №1, 1967
304. თ.მიქელაძე, ქსენოფონტის "ანაბასისი", თბ., 1967
305. თ.მიქელაძე, მ.ჭირაქაძე, არქეოლოგიური კულტურისა და ეთნიკური ერთობის მიმართების საკითხისათვის; ქუთაისური საუბრები, VI, ქუთაისი, 1999
306. დ.მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966
307. დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977
308. დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980
309. დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ, 1993
310. დ. მუსხელიშვილი, აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის; არტანუჯი, № 7, 2000
311. გ.მჭედლოძე, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთაისი, 1996
312. გ.ნებეირიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1999
313. მ.ნაჭყებია, ქართველთა ეთნოლინგვისტური ტერმინები; თბ.,

2006

314. მ.ნაჭყეზია, ქართული ტოპონიმები ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე (1944-1957 წლები), ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "სპეკალი", თბ., 2012, 5
315. ლ.ნეზიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები (გვიანმეზოლითი-ენეოლითი), თბ., 1986
316. ლ.ნეზიერიძე, სიონის ნამოსახლარი - აღმოსავლეთ საქართველოს გვიანენოლითური ძეგლი; ძიებანი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი), №7, 2001
317. ა.ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), თბ. 1990
318. ა.ნიკოლეიშვილი, ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში, ქუთაისი, 2000
319. შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975
320. გ.ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ფერთა მეტყველება, ბუენოს-აირესი, 1954
321. შ.ნუცუბიძე, პეტრე იბერიელი და ფსევდო-დიონისეს თხზულებანი, თბ., 1952
322. შ.ნუცუბიძე, პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები, "მნათობი", 1959, №1
323. შ. ნუცუბიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, შრომები, ტ. IV, თბილისი, 1976
324. დ.ომიძე, ხალხური ჯადოსნური ზღაპრის შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზი, თბ., 1983.
325. ა.ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998
326. ა.ონიანი, ისევ ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ; ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2003
327. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II ტ. 1993
328. ა.ორჯონიკიძე, მასალები სამცხის ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის; არქეოლოგიური ძიებანი, I, თბ., 1977
329. ალ.ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988.
330. თ.პაპავა, გაბნეული საფლავები, თბ., 1990
331. ზ.პაპასკირი, საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსული ე.წ. "აფხაზურ ისტორიოგრაფიაში"; ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი "საქართველო", ბიულეტენი, №2, თბ., 1994
332. ზ.პაპასკირი, დღევანდელი აფხაზეთი XIII-XV საუკუნეებში; აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998
333. თ.პაპუაშვილი, ცნებები "კახი", "კუხი", "ჰერი" და მათი შესაბამისი ქვეყნის სახელწოდებების "კახეთის", "კუხეთის", "ჰერეთის" შესახებ; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ, 1993
334. რ.პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980
335. ი.პეტრიწი, შრომები, 1947
336. თ.ქედნტი, დიალექტოლოგიური კვლევის ტრადიცია და სიახლე თანამედროვე იტალიაში; XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002
337. ალ.რამიშვილი, კოლხური კულტურის ინფილტრაცია შიდა ქართლში; ქუთაისური საუბრები, VI, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999
338. გ.რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა, თბ., 1995

339. გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000
340. ზ. რატიანი, წყაროთა დადადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995
341. გ. რობაქიძე, შეფერილი სმენა, თბ., 1918, N48
342. გ. როგავა, ხანმეტობისა და ჰამეტობის საკითხისათვის; აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, 1956
343. გ. როგავა, ბგერათმეცნიერებისათა დარღვევისათვის ქართველურ ენებში; იკე, XII, 1960
344. ა. როდოსელი, არგონავტიკა, 1975
345. შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966
346. ს. ყდენტი, გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), ტფილისი, 1936
347. თ. სარალიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978.
348. ი. საბანისძე, ჰაბოს წამება, ქართული მწერლობა, I, თბ., 1987
349. მ. სანაძე, საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი “ქართლის ცხოვრებისა” და “მოქცევაჲ ქართლისაის” მიხედვით; ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, თბ., 2000
350. მ. სანაძე, “ქართლის ცხოვრება” და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ., 2001
351. ლ. სანიკიძე, კვლავ ქუთაისის ასაკის განსაზღვრისათვის; ლიტერატურული საქართველო, 1971, 8 ივნისი
352. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995
353. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რონალდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010
354. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
355. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970
356. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979
357. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973
358. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973
359. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984
360. ა. სილაგაძე, ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფენურის პრობლემა, თბილისი, 1997
361. ა. სილაგაძე, ქართული იდეა, თბ., 2010
362. გ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2004
363. ი. სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი: საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988
364. ი. სიხარულიძე, ნიგალი (ლივანა): საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988
365. ქ. სიხარულიძე, კავკასიისა და მცირე აზიის ხალხთა მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენების ურთიერთმიმართების საკითხისათვის; ქუთაისური საუბრები, X, ქუთაისი, 2003
366. გ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968.
367. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005

368. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიანხვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011
369. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011
370. გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2013
371. გ. სოსიაშვილი, საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში XX საუკუნის 20 წლებში, თბ., 2013
372. სუმბათ დავითის ძე, ქრონიკა (ტაო-კლარჯეთი ბაგრატიონთა შესახებ), თბ., 1949
373. ნ. სურმავა, კირნათ-მარადიდული მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991
374. მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში; იკე, XXV, თბ., 1986
375. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში I, თბ., 1984
376. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში II, თბ., 1986
377. მ. ტაბიძე, პოლიტიკის მიზნები ენათა ომებში; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1-4, 1999
378. მ. ტაბიძე, ენობრივი პოლიტიკის საფუძვლები, მიმართულებანი და შედეგები; ახალი პარადიგმები, № 3, 1999
379. მ. ტაბიძე, ტერმინოლოგიური სიძნელეები და ენობრივი პოლიტიკა საქართველოში; XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი, 2000
380. მ. ტაბიძე, ენობრივი პოლიტიკის საკითხები ქართულ სინამდვილეში; ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002
381. მ. ტაბიძე, ენა - კულტურათა შეხვედრის, კულტურათა ურთიერთგავლენის, კულტურათა ბრძოლის სარბიელი, ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002
382. მ. ტაბიძე, ენები თუ დიალექტები; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის II კრებული, ბათუმი, 2002
383. მ. ტაბიძე, ენობრივი ვარიანტების კვლევის საკითხისათვის; ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003
384. მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები; სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2003
385. ა. ტოვარი, ბასკური ენა, თბ., 1980
386. თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966
387. თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ., 1986
388. თ. უთურგაიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნიკური წარმომავლობისათვის; ქართული ფოლკლორი, მასალები დისკუსიის თემაზე: მემკვიდრეობის საკითხები ქართული კულტურის ისტორიაში, თბ., 1996
389. თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
390. თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966.

391. თ.უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, I, თბ., 1999
392. თ.უთურგაიძე, ქართული ენა სისტემური ასპექტით; ქუთაისური საუბრები, IX, ქუთაისი, 2002
393. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964
394. აკ. ურუშაძე, ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში, თბ., 1993
395. მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები: ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005
396. მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, თბ. 2011
397. ყ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, 1992
398. ყ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში, თბ., 1996.
399. ყ. ფეიქრიშვილი, მიშელ ვან ესბროკი, ლუიჯი მანტოვანი, ნიკოლოზ ჯანელიძე: ეტიმოლოგიური ძიებანი, ქუთაისი, 2005
400. კ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000
401. მ. ფირჩხაძე, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 328, 1999
402. კ. ეციცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები ჩვ. წ. VI-VII ს., თბ., 1973
403. ი. ფლავიუსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელისი ტყვაობისანი, თბ., 1987
404. ვ. ფოიროშტაინი, თოლი (ახალი სამეცნიერო სამუშაოები და სასწავლო-პედაგოგიური პროექტები ლაზეთის, სამეგრელოსა და სამცხის ენისა და კულტურისათვის); ქუთაისური საუბრები, VII, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2000
405. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974
406. თ. ფუტყარაძე, ეთნიკური პროცესები თურქეთის ქართულ მოსახლეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათუმი, 2009
407. თ. ფუტყარაძე, ქორწილი იმერხევში, ბათუმი, 2009
408. ტ. ფუტყარაძე, საერთოქართველური ა-ს ზანური რეფლექსები; იკვს წელიწდეული, XVII, თბ., 1990
409. ტ. ფუტყარაძე, ამირანი - გმირი თუ ღვთაება? საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს XXXIV სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 17-19 მაისი, 1995
410. ტ. ფუტყარაძე, ეთნოსის, ეთნონიმისა და სხვა ტერმინთა შესახებ; ლიტერატურული საქართველო, 4-11 აპრილი, 1997
411. ტ. ფუტყარაძე, ბრუნება, როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი; საიუბილეო კრებული გიორგი როგავას, თბ., 1998
412. ტ. ფუტყარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა; სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998
413. ტ. ფუტყარაძე, აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში, ქუთაისი, 1999
414. ტ. ფუტყარაძე, საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ისტო-

- რიული დინამიკისათვის; ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000; მასალები იხ., ქუთაისური საუბრები, VI, ქუთაისი, 1999
415. ტ. ფუტყარაძე, ღვთისმსახურების ენა - “ყოველთა ქართველთა“ ერთიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი (ოფიციალური ენისა და დიალექტების მიმართების საკითხისათვის); ქუთაისური საუბრები - VII, ქუთაისი, 2000
416. ტ. ფუტყარაძე, საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და საშინაო სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით; XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი, 2000
417. ტ. ფუტყარაძე, ქუთაისის ისტორია, მისი სახელის ვარიანტები (კუტაია, კუთაისი, კვიტაიონი, კოტაისი, კოტა, ქუთათი, ქუთეისი, ქუთეში, ქუთაშ, ქუთათისი...) და ქართველურ დიალექტთა ჩამოყალიბების დათარიღების საკითხი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის II კრებული, ბათუმი, 2002
418. ტ. ფუტყარაძე, ქართველთა დიალექტები (ისტორიული ასპექტი); ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002
419. ტ. ფუტყარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის პრობლემა და ქართველთა დიალექტების დაჯგუფების საკითხი; ენათმეცნიერების საკითხები, № 1, 2003
420. ტ. ფუტყარაძე, ე.დადიანი, ზოგადქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენისა და მეგრული კილოს მიმართების საკითხისათვის ო.ქაჯაიას “მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით; XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თელავი, 2003
421. ტ. ფუტყარაძე, ქართლი - ქართველთა “ფრიადი (მრავალი) ქვეყნის“ საერთო სახელი (რომელი ქვეყნები ითვლება ქართლად “გრ.ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით?); თსუ მესხეთის ფილიალისა და გრიგოლ ხანძთელის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, 17-18 აპრილი, 2003
422. ტ. ფუტყარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, 2005, 624 გვ.; ინგლ. 395-394 გვ.; თურქ. 395-492 გვ.; <http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels>;
423. ტ. ფუტყარაძე, ენისა და კილოს გამიჯვნის სამეცნიერო პრობლემის განხილვა თუ? ენათმეცნიერების საკითხები, № 1, 2004
424. ტ. ფუტყარაძე, თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკური აღწერა “მსოფლიოს ენათა რეესტრის“ (linguarium.iling-ran.ru) მიხედვით და არსებული სინამდვილე, საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი, 2009. კრებული: “საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა)“, ბათუმი, 2008 წ. <http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo>
425. ტ. ფუტყარაძე, 1790 წლის “ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ ტექსტის სემანტიკური ანალიზი (ყოველნი ივერიელნი; ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი; ერთისა ენისა მქონებელნი;

- მავასხელობითი/მავასხელობითი სიყვარული); საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია, ეძღვნება სვეტიცხოვლის 1000 წლისთავსა და 2009-2010 წლების “სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალ ტრაქტატს“; 12 ოქტომბერი, 2010 წელი
426. ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაყიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში; თბ., 2011
427. ტ. ფუტყარაძე, ქართული ენა - ქართველთა ეროვნული სიცოცხლე /სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეპისტოლეებისა და ქადაგებების მიხედვით/, ქართველური მემკვიდრეობა, XIV, 2010, გვ. 9-35 (ტომი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს)
428. ტ. ფუტყარაძე, ვაჟა-ფშაველა ქართული სამწიგნობრო ენის, ანბანისა და ქართველური დიალექტური ლექსიკის შესახებ, ქართველური მემკვიდრეობა, XV, ქუთაისი, 2011 /ტომი ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს/
429. ტ. ფუტყარაძე, ქართველთა დედაენა: ლაზარეს შაბათი /ქართული ენის დღე/ და 14 აპრილი /საქართველოს სახელმწიფო ენის დღე/; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ქართული ენის როლი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში ; თბილისი, 14-15 აპრილი, 2011 წელი /დაიბეჭდა მოხსენებათა თეზისები/.
430. ტ. ფუტყარაძე, 1790 წლის “ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ ტექსტის სემანტიკური ანალიზი (ყოველნი ივერიელნი; ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი; ერთისა ენისა მქონებელნი; მავასხელობითი/მავასხელობითი სიყვარული); ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადული, III, ქუთაისი, 2011
431. ტ. ფუტყარაძე, ზმნურ ფორმათა პარადიგმის მანქანური მოდელირების პრობლემები - I; ქართველური მემკვიდრეობა, XVI, ქუთაისი, 2012.
432. ტ. ფუტყარაძე, ენის ქარტია“ და ეთნიკურ უმცირესობათა ავტოქთონობის საკითხი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, 2012, № 2, გვ. 76-88
433. ტ. ფუტყარაძე, საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ (გეოპოლიტიკური კონტექსტი), მარი ბროსე - 210 (სონუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული), თბ., 2012, გვ. 21-29; თანაავტორი: თამარ ბელქანია.
434. ტ. ფუტყარაძე, საღვთისმეტყველო ენა მართლმადიდებლურ ქრისტიანობასა და ისლამში - სამწიგნობრო ენის განსხვავებული პერსპექტივები, ყურნალი “სამეცნიერო აზრი“, II, თბილისი, 2013, გვ. 45-73

435. ტ. ფუტკარაძე, ქართული ენის ტექნოლოგიზება /პირველი რივის გადაუღებელი ამოცანები/; ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, II, თბ., 2013
436. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993
437. შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით: სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1995
438. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993
439. ლ. ფრუიძე, ტერმინები “ლეჩხუმი“ და “ლეჩხუმლები“, “რაჭა“ და “რაჭველები“; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
440. გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენოლოგია (კიკეთის არქეოლოგიური ძეგლები), თბ., 1963
441. გ. ფხაკაძე, მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე; სსს, I, თბ., 1978
442. გ. ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985
443. გ. ქავთარაძე, იბერიის სამეფოს “არსებობის არსი“ ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით; მნათობი, 7-8, 2003
444. გ. ქავთარაძე, კავკასიისა და ანატოლიის ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი; კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, ეძღვნება მერი ინაძეს, თბ., 2004
445. გ. ქავთარაძე, დაიანი/დიაუხის ქვეყანა და ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიცია; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი მოსე ჯანაშვილის 150 წლისთავისადმი, თბ., 2005
446. გ. ქავთარაძე, ტაოს უძველესი ციხე-ქალაქების ადგილმდებარეობის გამო; თბ., 2006
447. ივ. ქავთარაძე, დიალექტიზმები ქართული ისტორიული საბუთების ენაში; საკოორდინაციო თათბირი ქართველურ ენათა დიალექტოლოგიის საკითხების შესახებ, თეზისები, თბ., 1960
448. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985
449. გ. ქავთარია, ქუჯი, თბ., 2001
450. ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი - 20, ქუთაისი, 2013
451. ქართლის ცხოვრება /ანა დედოფლისეული ნუსხა/, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.
452. ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955
453. ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959
454. ქართული ენის ისტორია (პროფ. ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით), ქუთაისი, 2006
455. ქართული ხალხური პოეზია, კრებული შეადგინეს ზურაბ კიკნაძემ და ტრისტან მახაურმა, თსუ გამომცემლობა, 1992
456. ო. ქაჯია, მეგრულ-ქართული ლესიკონი, ტ. I-III, თბ., 2001-2002.

457. ქებად და დიდებად ქართულისა ენისაჲ (შემდგენელ-რედაქტორი ტ. ფუტყარაძე), თბ., 2000
458. გ. ქიქოძე, ეროვნული ენერგია, თბ., 1919
459. ზ. ქაქრაშვილი. ბიბლიურ პატიოსან ქვათა და ეტლთა შესახებ. 2001.
460. ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე (წიგნი შეადგინა ნ. ქუთელიამ, ლექსიკონი დაურთი ს. ჯიქიამ), თბილისი, 1982
461. მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა; ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996
462. მ. ქურდიანი, ენა და დიალექტი საკუთრივ ლინგვისტური და სოციო-ლინგვისტური თვალსაზრისით; ბ. ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 4-7 ივნისი, 1996
463. მ. ქურდიანი, სვანთა და მეგრელთა ქართული მეტყველების საკუთრივ-ლინგვისტური სტატუსის შესახებ; XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ახალციხე, 1999
464. მ. ქურდიანი, საერთოქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებისათვის (მესხი, მესხები); მესხეთი: ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000
465. მ. ქურდიანი, ტერმინი ქართველი და მისი მართებული არეების მიხედვით ცვლადი მნიშვნელობები, I; ივანე გიგინეიშვილი - 90, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 58-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001
466. მ. ქურდიანი, ტერმინი ქართველი და მისი მართებული არეების მიხედვით ცვლადი მნიშვნელობები, II; არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XII, თბ., 2001
467. მ. ქურდიანი, ხუბუშქია; კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული (ეძღვნება ნანა ხაზარაძის 70 წლისთავს), თბ., 2001
468. მ. ქურდიანი, ქართველურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები და საერთოქართველური ენის დიფერენციაციის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა; საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003
469. თ. ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2001
470. თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბ., 2002
471. ნ. ლამბაშიძე, წმინდა ანდრია პირველწოდებულის “ეთნოგრაფიული გზების“ კვალდაკვალ, “საქართველოს საპატრიარქო“, სამეცნიერო ჟურნალი, №4, 2001
472. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32, თბ., 1955
473. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957
474. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967
475. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976
476. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1983
477. თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით (აქაძეები); მაცნე, ისტორიის სერია, 1980, № 3
478. თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყარო-

- ების მიხედვით (ჰენიოხები); მაცნე, ისტორიის სერია, 1980, № 4
479. თ. ყაუხჩიშვილი, ქუთაისის სახელწოდებისათვის, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები (მოხსენებათა თეზისები); ქუთაისი, 20-22 ოქტომბერი, 1994 წელი
480. ს. ყაუხჩიშვილი, 1964 - ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობდნენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ. 1964
481. ი. ყიფშიძე, ჰანური ტექსტები (ჩაწერილია 1917 წელს; გამოქვეყნებულია არნ. ჩიქობავას მიერ 1939 წელს)
482. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი (გამოსცა კ. დანელიამ), თბ., 1994
483. შავშეთი, თბ. 2011
484. ი. შავთელი, აბდულმესიანი, ქართული მწერლობა, ტ. 3, თბ., 1988.
485. ბ. შავხელიშვილი, წოვა-თუშურის თავისებურებანი ქართველურ და ნახურ ენებთან მიმართებაში; ქუთაისური საუბრები, X, ქუთაისი, 2003
486. ბ. შავხელიშვილი, წოვა-თუშები ქართულ სოციოკულტურულ სამყაროში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "სპეკალი", 2011 წ. № 4
487. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920
488. ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია I, ხეცსურული, ტფილისი, 1931
489. ა. შანიძე, ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1986
490. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976
491. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980
492. ა. შანიძე, ქართველ-ფუძის ეტიმოლოგიისათვის; ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ., 1980
493. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1990
494. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975
495. შატბერდის კრებული, თბ., 1979
496. ზ. შაშიკაძე, ქართულ-ოსმალური ურთიერთობიდან XVI საუკუნის 30-60-იან წლებში, საიუბილეო კრებული "ნოდარ შენგელია - 75", თბ., 2008;
497. მ. შაჰინი, მაჭახლური თქმანი: ყურნ. ხერთვისი, 2005, № 1
498. ნ. შენგელია, სეღჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968.
499. ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიისათვის; სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999
500. მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ., 1970
501. ი. შილაკაძე, სომხურ-ქართული ენობრივი შეხვედრები (ლაზურ-ჰამურთი ენობრივი შეხვედრები); აღმოსავლური ფილოლოგია, V, თბ., 1983
502. მ. შილაკაძე, გლოსოლოგიები ქართულ ხალხურ სიმღერებში; ქართველ-

- ლური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999
503. რ. შმიდტ-ბრანტი, ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის პროცესები კავკასიაში; ქართველოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი “ქართველურ-ანატოლიურ-ეგეოსური ენობრივი პარალელების საკითხისათვის“, თბილისი, მაისი, 2002
504. გ. ჩანგაშვილი, საინგილო, გეოგრაფიულ-ისტორიული ნარკვევი, თბ., 1970
505. ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960
506. ი. ჩანტლაძე, ქართული ენათმეცნიერება პარიზულ “ივერიაში“; კავკასიის მაცნე, № 5, 2002
507. ი. ჩანტლაძე, თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსის ამოსავალი ვითარებისათვის ქართველურ ენებში; XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთაისი, 2004
508. ვ. ჩაჩანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974
509. ჩახრუხაძე, თამარიანი, ქართული მწერლობა, ტ. 3, თბ., 1988
510. ევლია ჩელეების მოგზაურობის წიგნი (თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუტურჩიძემ), თბ., 1971
511. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.
512. არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II(1), ტფილისი, 1937
513. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942
514. არნ. ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში; სმამ, ტ. V, № 4, თბ., 1942
515. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948
516. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, წინასიტყვაობა, თბ., 1950
517. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952
518. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა დიალექტოლოგიის ამოცანები; საკოორდინაციო თათბირი იბერიულ-კავკასიურ ენათა დიალექტოლოგიის ამოცანების შესახებ, თეზისები, თბ., 1956
519. არნ. ჩიქობავა, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებაში და კვლევა-ძიების ძირითადი ამოცანა ამ მხრივ; თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VII სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1963
520. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965
521. არნ. ჩიქობავა, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებაში; კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966
522. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968
523. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979

524. ნ. ჩხილაძე, პრომეთეს მხატვრული სახის ოპოზიციების გენეზისი და ფორმირება, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1992
525. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I, ტფ., 1936.
526. მ. ჩუხუა, ნახურ-ქართველური ბგერათმეცნიერების (კონსონანტიზმი); ვარლამ თოფურია 100, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები, 18-21 დეკემბერი, 2001
527. მ. ჩუხუა, ისტორიული ფონეტიკის ზოგიერთი საკითხის თაობაზე სვანურში; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VIII, 2003
528. მ. ჩუხუა, სისინა/შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუციისათვის საერთო-ქართველურში; არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIV, თბ., 2003
529. მ. ჩუხუა, ზოგიერთი ანთროპონიმის წარმომავლობისათვის ქართველურ დიალექტებში; XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თელავი, 2003
530. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003
531. მ. ჩუხუა, იბერიულ-ნახურ-დადესტნური ბგერათმეცნიერებისათვის; იკე, XXXV, თბ., 2004
532. სტ. ჩხენკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, ტფილისი, 1936.
533. დ. ჩხუბიანიშვილი, ქვემო ფერეიდნულის ზოგი თავისებურება (სოფ. დაშქესანას მონაცემების მიხედვით)
534. დ. ჩხუბიანიშვილი, ენობრივი დიფერენციაციისათვის ფერეიდნულში: ქუთაისური საუბრები, VI, ქუთაისი, 1999
535. დ. ჩხუბიანიშვილი, ნაცვალსახელის ზოგი სახეობისათვის ქვემო ფერეიდნულში: XXIV დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ., 2004
536. დ. ჩხუბიანიშვილი, ფერეიდნულის შესწავლის ზოგი ასპექტი: არნ. ჩიქობავასადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998
537. ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.
538. მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954
539. მ. ცინცაძე, მ. ფალავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი, 1998
540. მ. ცინცაძე, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება: XXI დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2001
541. გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი: ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კრებული, თბ., 1970
542. გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978
543. გ. ცოცანიძე, ტერმინები "თუშეთი" და "თუშები"; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
544. გ. ცოცანიძე, ქართველური ენების დიალექტური შტოები ენათა გენეალოგიურ ხეზე და მათი განთავსება ეთნოკულტურულ არეალებში;

- XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ბათუმი, 2001
545. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1971
546. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები წიგნი I (V-X სს), “მეცნიერება“, თბ., 1964
547. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1979
548. შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, 1969
549. შ. ძიძიგური, დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970
550. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973
551. გ. წერეთელი, საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები (გამოსცა გიორგი წერეთელმა), თბ., 1939
552. ბ. წიფურია, ლუიჯი მაგაროტო, ქართული ლიტერატურის მკვლევარი: “ბურჯი ეროვნებისა“, №№ 3,4, 2001
553. წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია და აფხაზეთი (კრებული შეადგინა გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ თბილისი 2006
554. ი. ჭავჭავაძე, ათ ტომად, ტ. IV, 1955
555. ი. ჭავჭავაძე, ორტომეული, ტ. II, თბ., 1941
556. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987
557. ა. ჭაჭია, რამ დაგვლუბა, რა გადაგვარჩენს, ტ. I, თბ., 2002
558. ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960
559. ა. ჭინჭარაული ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
560. დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010
561. ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვლადაკვალ, თბ., 1983.
562. ზ. ჭუმბურიძე, აბაშის ეტიმოლოგია; გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 1, 2002
563. ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978
564. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., 1984
565. ნ. ხაზარაძე, მოსხების ქვეყნის (“მოსხიკე“-ს) წარმოქმნისა და დაცემის თარიღის საკითხისათვის; თსუ ახალციხის ფილიალის შრომების კრებული, I, 1998
566. ნ. ხაზარაძე, ძველადმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 2001
567. დ. ხახუტაიშვილი, ქობულეთის ქვეყანა, I, ბათუმი, 1995
568. მ. ხიდაშელი, მტკვარ-არაქსის კულტურის მენტალური ველი; თსუ შრომები, 349, თბ., 2003
569. ე. ხინთიბიძე, ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია, თბ., 1998
570. მ. ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984
571. ლ. ხუსკივაძე, შუასაუკუნეების ტიხრული მინანქარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. 1984.
572. რ. ხუციშვილი, ლაიომ ტარდი და ქართველოლოგია, თბ., 1992.
573. ი. ჩავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა

- საქართველოში, “მომბე“, 1900, №5-6
574. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1908
575. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949
576. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950
577. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1960
578. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965
579. ი. ჯავახიშვილი, ტ. I, თბ., 1979
580. ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992
581. ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ... ენიმკი-ს მომბე, ტ. V-VI თბ., 1940
582. ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში; სმამ, ტ. III, №7, 1942
583. ს. ჯანაშია, კავკასიელ ეთნარქ-ემპონიმების ანტიკური სქემა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 4, 1943
584. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952
585. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959
586. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1987
587. გ. ჯაფარიძე, ქუთაისი, თბ., 1989
588. ა. ჯაფარიძე, ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბ., 1994
589. ა. ჯაფარიძე, დედა ეკლესია, თბ., 1996
590. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I-IV, თბ., 1996
591. ა. ჯაფარიძე, ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), თბ., 2002
592. ა. ჯაფარიძე, ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ, თბ., 2003
593. ა. ჯაფარიძე, საქართველოს ისტორია საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით, თბ., 2013
594. გ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური კულტურისა და ეთნოსის მიმართების საკითხისათვის ახ. წ. პირველი საუკუნეების კოლხეთში; ქუთაისური საუბრები, IX, ქუთაისი, 2002
595. გ. ჯაფარიძე, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ადრეიზანტიური ხანის ძეგლების გენეზისისა და ადრეული ფენების საკითხისათვის, ბიზანტინოლოგია საქართველოში - 4, საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი - ბათუმი - კაპადოკია, 24-30.2013
596. ზ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1975
597. ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული; სსმმ, ტ. XVI-ბ, თბ., 1950
598. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 1976
599. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულში, თბ., 1998
600. ო. ჯაფარიძე, კავკასიის უძველესი მოსახლეობის ეთნოკულტურული

- ისტორიის საკითხისათვის; არქეოლოგიური კრებული, II, თბ., 1998
601. ო.ჯაფარიძე, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ამიერკავკასიის უძველესი კონტაქტების ისტორიიდან, არქეოლოგიური კრებული, II, თბ., 2001
602. ჯვარ-ხატთა სადიდებლები, ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ზურაბ კიკნაძემ, ხვთისო მამისიმედიშვილმა და ტრისტან მახაურმა, "ნეკერი", 1998.
603. ბ.ჯორბენაძე, მ.კობაძე, მ.ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მორფოლოგიის ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988
604. ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989
605. ბ.ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995
606. ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998
607. В.М.Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1949
608. В. Васильевский, Хожение Апостола Андрея; Труды: I, 1909
609. М.Г. Абдушелишвили, Древнее и современное население Грузии, Тб., 1964
610. З.В.Анчабадзе, Очерки этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976
611. Т.Гамкрелидзе, В.Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984
612. Т.Гониашвили, К истории одного звука в грузинском; enikis moambe, 11, 1937
613. И.Дьяконов, Предыстория армянского народа, М. 1968
614. З.Н.Джапаридзе, Ю.А. Стрельников. Опыт машины группировки плача новорожденных детей разной национальности и пола; языковые процессоры и распознавание речи, Тбилиси, 1981
615. Джапаридзе О. На заре этно-культурной истории Кавказа, Тб. 1989
616. Ю.В.Зыцарь, О родстве баскского языка кавказскими; ВЯ, 1955, № 5
617. Ю.В.Зыцарь, О термине баск; qarTveluri memkvidreoba, II, quTaisi, 1998
618. Ю.В. Зыцарь, К происхождению некоторых соматических терминов языка басков; qarTveluri memkvidreoba, VII, quTaisi, 2003
619. В.Жирмунский, "Немецкая Диалектология", М., 1956
620. Лингвистический энциклопедический словарь; mTavari redactori v.iargseva, moskovi, 1990
621. Ш.Д. Инал-ипа, Вопросы этнокультурной истории абхазов, Сухуми, 1976
622. Г.Кавтарадзе, К хронологии эпохи энеолита и бронзы грузии, Тб., 1983
623. Г.Климов, О глотохронологическом методе датировки распада праязыка, М., 1952
624. Г.Климов, Авхазско-адыгско-картвельские лексические параллели, этимология 1967, М., 1969

625. Н.И. Корнад, "О литературном языке в Китае и Японии", 1960
626. Б.А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети; Издательство академии наук Грузинской ССР, Тбилиси, 1941
627. Б.А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949
628. Леви-Стросс, Понятие архаизма в этнологии: Структурная антропология, М., 1985.
629. О. Лорткипанидзе, К вопросу о первом упоминании г. Кутаиси в письменных источниках, Тбилиси, 1988
630. Н., Марр, Хитон Господень в книжных легендах армян, грузин и сирийцев. Из сборника статей учеников профессора Бар. В.Р. Розена, С-П., 1897
631. Н., Марр, Возникновение и разцвет древне-грузинской светской литературы, ЖМНП, С-П., 1899
632. Н. Марр, Основные таблицы... СПб, 1908
633. Н. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, С.-Петербург, 1911
634. Н. Марр, Обломки Делибабинской халдской надписи, Записки Вост. Отд. Русск. Арх. Общества, т. XXIV, Петроград, 1917
635. Н. Марр, Грузинская поэма "Витязь в тигровой шкуре" и новая историко-культурная проблема (ИАН), 1917
636. Н. Марр, К изучению современного Грузинского языка, Петроград, 1922
637. Н., Марр Из грузино-персидских литературных связей, ЗКВ, I, Л., 1925
638. Н. Марр, Из Пиринейской Грузии; ИКИАИ, т. V, Тифлис, 1927
639. Н. Марр, Этапы развития яфетической теории, Избранные работы, т. I, 1933
640. Н. Марр, Грузинский язык, сб. "Язык и история", I, 1936
641. Н. Марр, грузинский язык, Стилинир, 1949
642. Г. А. Меликишвили, Наиру-урарту, Тб. 1954
643. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959
644. Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М. 1960
645. И.И. Мещанинов, Халдоведение, Баку, 1927
646. А. Ониани, З. Сарджвеладзе, Против извращения вопросов грузинской топонимики, Тб., 1971
647. З. Папаскири, Моя Абхазия, Тб., 2012
648. Г. Рогова, К вопросу о структуре именных основ и категории грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб., 1956
649. А. Сванидзе, Материалы по истории Алародийских племен, Тб., 1937
650. Страбон, География, М, 1964
651. Арн. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик; ike, t. II, Тб., 1948

652. Е. Такаишвили, Описание рукописей, Тбилиси, II, 1911
653. Г. Церетели, Заметки о курганах и Рионской долине (Протоколы подготовительного комитета археологического съезда в Тифлисе), Москва, 1882
654. Д. Ж. Хьюйт, газета - надежное условие создания единого литературного языка; общественно-политическая газета "Гал" (газета выходит на абхазском, русском и мегрельском языках), Гал, 16-31 августа, 2004
655. Aşağı Nurdoğan, Laz masalları, İstanbul, 2005
656. Adjarian Hratchia, Étude sur la langue laze, Extrait des mémoires de la société de linguistique de Paris, Paris, 1897-1898
657. Bredemoen Berndt, Case Merge in the Black Sea Dialects. A Kartvelian Substrate Feature? Árpád Berta, Bernt Brendemoen & Claus Schönig, eds. *Symbolae Turcologicae. Studies in Honour of Lars Johanson on his Sixtieth Birthday 8 March 1996.* Stockholm: Almqvist & Wiksell
658. Bopp, Franz, Über das Georgische in sprachverwandtschaftlicher Beziehung, Berlin, 1846
659. Bucaklışı İsmail Avcı, Uzunhasanoğlu Hasan, Lazca-Türkçe sözlük, İstanbul, 1999
660. Bucaklışı İsmail Avcı, Uzunhasanoğlu Hasan, Aleksiva İrfan, Büyük Lazca-Türkçe sözlük, İstanbul, 2007
661. *Cirrent Trends in Caucasian East European and Inner Asian linguistics;* Edited by Dee Ann Holinsky, Kevin Tuite, Amsterdam/Philadelphia, 2003
662. John Colarusso, More Pontic: Further Etymologies Between Indo-European and Northwest Caucasian; *Cirrent Trends in Caucasian East European and Inner Asian linguistics,* Edited by Dee Ann Holinsky, Kevin Tuite, Amsterdam/Philadelphia, 2003
663. D. Crystal, *The Cambridge encyclopaedia of Language,* New York, 1989
664. M. Diakonoff, *The Pre-History of the Armenian People,* Translated from the Russian by Lori Jennings, With revisions by the Author, Delmar, New York, Caravan Books, 1984
665. P. Finke, Internet - Quelle: Handout Vorlesung 2: Chaos und Ordnung: Die Sprachenvielfalt. Uni Bielefeld, Fakultät für Linguistik und Literaturwissenschaft, 1996
666. Erten Metin, Lazca-Türkçe, Türkçe-Lazca sözlük, İstanbul, 2000
667. Wolfgang Feurstein, *Kaukasologen und "Anonyme Gutachten",* Katschar, Dezember, 2003
668. Ch. Girbal, *Beiträge zur Grammatik des Hattischen,* Frankfurt am Main, 1986
669. H. Harman, *Language in Ethnicity, A View of Basic Ecological Relations* by Harald Haarmann, Mouton de Gruyter. Berlin. New York. Amsterdam, 1986
670. Fr. Hommel, *Abriss der Geschichte Vorderasiens,* 1889
671. W. Konig, *dtv - Atlas zur deutschen Sprache Tafeln und Texte,* München,

1978

672. T. Lewandowski, Linguistisches Wörterbuch 3 B. Heidelberg, 1979
673. David Marshall Lang, Gürcüler, Istanbul, 1997
674. A. Linke, Studienbuch Linguistik 3. Tübingen 1996 (=RGL 121); Internet -
Quelle: Handout Vorlesung 2: Chaos und Ordnung: Die Sprachenvielfalt.
Uni Bielefeld, Fakultät für Linguistik und Literaturwissenschaft
675. N. Marr, La Langue georgienne, 1928.
676. P. H. Nelde, Contact or conflict? Observations on the dynamics and vitality
of European languages in: Language Conflict and Language Planning. Ber-
lin - New York, 1993
677. Öztürk Özhan, Karadeniz Ansiklopedik Sözlüğü, İstanbul, 2005
678. K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkau-
kasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962
679. B. Sowiński, Grundlagen des Studiums der Germanistik, Teil 1. Sprach-
wissenschaft. Köln/Wien 1970
680. Kevin Tuite, Svan, München - Newcastle, 1997
681. P. Wiesinger, "Sprache", "Dialekt" ... in: Ergebnisse des Internationalen
Symposiums. "Zur Theorie des Dialekts", Marburg/Lahn 5-10. September
1977, Wiesbaden 1980 (=ZDL, Beihefte N.F. 26)
682. L. Weisgerber, Die Sprachgemeinschaft als Gegenstand sprachwissenschaftlic-
hen, Forschung, Köln und Opladen, 1967
683. Y. Zeyrek, Ahiskalılar, Istanbul, 2003; Webmaster.hamsi.org; www.ahis-
kalılar.com

അനുഭവം

1. 1918 წლის “საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“:



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებელი კრება,—არწყული ჰირდაზირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარსებო ხისტებით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის ჰირველსავე სხდომაზე, 1918 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საფესიო იღებს და აღსტურებს საქართველოს კროტულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, საზოგადოების 5 კ. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მზადე სარეწოეო ენაშვლობის საქართველო არსებობა, როკონე დამოუკიდებელი სახელმწიფო.“
„მოურნობეე სარეწის დისარულ უოკლ შობი მტრისაკან შეფრობული საქართველო თვის წინი შეფორედა რუსოს იმ ჰარობი, რომ რუსიი ედღეებელი თვი საქართველო კარზე მტრისაკან დღევ.“
„რუსიის დიდი რეკოლევიის მსვლელობამ რუსიის ითვი მანკანი წოთბილეს შექმნი, რომ შობი სობირი ფროტეი სრულიად დამიბდა და რუსის ჯარსზე დსტრეა მბორეკვისა.“
„იმწინ რა თვისი მდდინის ამარე, საქართველომ და მისიკნი დამორკვისამთი თვის იფეს ასეე საკონი სმუვის ენკოლა და სტრინობა და შესარი თრკინთხივ შექმნეს; მარემ კარზე მხობა ზეკლეული მბორეკვისის ერთი მბორეკული ოკვინი დირიბდა და შთი მბორეკვისის სოლიტერნი მბობინიკი დიხობდა.“
„ქროლედი ერთრის მრედი მბობინობა ბუველიდდ მობითეს, რომ საქართველომ სარეწოთის ედფორებეოი ორკინიხედი შექმნის, მისი სახელმწიფოი კარზე მდდინისამდდინობისაკან თბვი ეკადინინის და დამოკიდებულ ეკროტრისის მტკლე“ უდდი ბავსი.“
„ამხედი ამანხივ საქართველოს ერთრული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არწული საქართველოს ერთრული ურდობის მერ, დღეს აუხვევის:

- 1) მბორედი საქართველოს მხალ სარეწულ ურდობის მბორეკვისა და საქართველო სრდულელად დამოკიდებელი სახელმწიფო.“
- 2) დამოკიდებულ საქართველოს სოლიტერნი ურდობა—ეკობერეული რესტრუქციი.“
- 3) სერობირისი ობინობა საქართველო შებლა სერობირული სახელმწიფო.“
- 4) საქართველოს ეკობერეული რესტრუქციის სერს სერობირისი ურდობის იფელ წკრონთ ეოდუმბოლერი ენწკრობილეს დამბორის, ენსკორეკობიკი მოსისწერე სახელმწიფოთმან და კრებამ.“
- 5) საქართველოს ეკობერეული რესტრუქციი თვის სახელმწიფო ობინწკრობი ურწკრულეკოლს იფელ მოქალაქის სობილავი და სოლიტერნი ურდობის ეარწველელე კროტეკობი, სამწმედობისი, სოლიტერნი მბობინობისი და სქესის.“
- 6) საქართველოს ეკობერეული რესტრუქციი ეკროტრისის თბობურად ამბორეს ეკობისის მის ტრკორაკე მოსხელე იფელი ვრს.“
- 7) დამოუკიდებულ კრებს ჰკრებებე მბობი საქართველოს მბორეკობისის სარეს ურდობი ერთრული საბჭო, რომელი შექმნილი თვის ერთრული ურდობისობიი წინამბეკნელობით, და დროებითი მბობინობა მხუხსტეული საბჭოს მბობინობა მბობინობისი“

Handwritten signatures and stamps in Georgian script, including names like 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი' and '1918 წლის მარტის 12'.

2. თედო სახოკია, თქვენ რაღას მისდევთ?!

სამეგრელოს “ავტონომიის” კითხვა აღძრულია ერთ ჯგუფ “მეგრელ ავტონომისტთა” მიერ. ეს კითხვა, როგორც ესენი ბრძანებენ, აღძრულია მათის სიყვარულისა და მზრუნველობით მეგრელთა პროლეტარიატის მიმართ, რომელნიც, როგორც ცალკე “ეროვნება”, თურმე ნუ ბრძანებთ, იჩაგრებიან საქართველოს უღლეური სუვერენიტეტისაგან ...

მკითხველს უკვე გაცნობილი ექნება პრესაში დაბეჭდილი წერილები ამ ავტონომისტთა უსუსურობის, თუ გნებავთ, მოღალატური საქციელისა და ბოროტ ზრახვათა შესახებ. საერთო აღშფოთების ჟამს არ შემოიძლია ჩემი, როგორც ქართველისა, კერძოდ, სამეგრელოს მკვიდრის, ხმაც არ შევეუერთო და არ გამოვთქვა ჩემი გულისწყრომა სამეგრელოს ამ არამკითხე პატრონების მიმართ.

როგორც ქართველი ერის განუყრელ, ორგანიულ ნაწილს, სამეგრელოს, რომელსაც თავისი დღენი, რაც თავი ახსოვს, დედაქართველთან უცხოვრია საერთო ცხოვრებითა, მათთან ერთად ერთ უღელში შებმულს უწევია ცხოვრების ჭაპანი, მათთან ერთად შეუქმნია საერთო კულტურა, ახლა, ამდენ საუკუნეთა შემდეგ, ვიღაც გარეწარი გამოდის და ურჩევს - შენს ღვიძლს დედას გულიდან უნდა მოსწყდეო?!

როგორ, “საქართველოს სუვერენიტეტი“ ჩაგრაგს სამეგრელოსა, რომელსაც მთელი საქართველო თვალის ჩინსავით ულოლიაგებს? ნუთუ მეოცე საუკუნეში ვინმემ უნდა თქვას: მეგრული სხვა არის და ქართული კიდევ სხვაო?! **სხვა არის ის მეგრული, რომელშიაც თითქმის ასი პროცენტი ქართული ძირის სიტყვებია?** ის მეგრული, რომელიც წარმოადგენს აწინდელის ქართულის შევსებას?! მეგრულს ოჯახში, შინაურობაში, ხმარობს ხალხი, მაგრამ მეგრული, როგორც დამახასიათებელი ეროვნებისა, არ არსებულა, ყოველსავე შემთხვევაში, ქრისტეს აქეთ. **საუკეთესო მცოდნენი ქართულის ენისა სამეგრელოს მოუცია ქართული კულტურისათვის.** მარტო სახელოვანი მქადაგებელი ანტონ ჭყონდიდელი და საქართველოს ისტორიკოსი და ქართული გრამატიკის შემდგენელი თ.ჟორდანიას კმარა, რომ სხვათა მთელი გუნდი არ ვახსენოთ.

ყოველივე “მეგრელ ავტონომისტთაც“ მშვენივრად იციან. იციან და მაინც ვითომდა “სამეგრელოს პროლეტარიატის“ ქომაგთა როლსა კისრულობენ და გაიძახიან და ვითომ ვიღაცეები უნდა დაარწმუნონ - სამეგრელოს ხალხი ცალკე ეროვნებას შეადგენს.

გვეთაკილება კიდევ ამ საანბანო ჭეშმარიტებაზე მეგრელებსვე ვეკამათოთ, და გვინდა ვეკამათოთ, მხოლოდ გვინდა სამზეოზე გამოვიტანოთ ნამდვილი მიზეზი ამისა - ეს უდავო ჭეშმარიტება სადავოდ რად გახდა, უხრიკავი სახრიკავად რამ აქცია.

ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილები გაერთიანდა, რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა. 1870-იან წლებში იერიში მი-

ტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე. აქ სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილ იყო, როგორც არადედაენა და პირდაპირ რუსულის საშუალებით ასწავლიდნენ საგნებს. ასე იყო საქმე “სამოქალაქო” და “ნორმალურ” სკოლებში. ამ სკოლებში მყოფი შეგირდები ქართულის, ანუ, როგორც ისინი ამბობდნენ და დღესაც ამბობენ, “ჩქინობურას” ე.ი. (ჩვენებურას) წერა-კითხვას კონტრაბანდით, შინაურულად, მალვით თულა სწავლობდნენ.

ასე მიდიოდა სამეგრელოს გარუსების საქმე 1890 წლამდე. ამ ხნიდან იწყება უფრო “დასაბუთებით” უარყოფა ქართული ენისა, როგორც **სამშობლო ენისა**, რომლის საშვალეებით უნდა მომხდარიყო. თანახმად რაციონალური პედაგოგიის მოთხოვნილებებისა, სწავლა-აღზრდა სამეგრელოს მოზარდი თაობისა. ამ ხნიდან სცენაზე გამოდის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი **იანოვსკი** (ტომით პოლონელი) და მისი მარჯვენა ხელი **ლევიცკი** (ისიც პოლონელი). ლევიცკიმ ჯერ შემოიღო ეგრეთ წოდებული “მუნჯური” მეთოდი სკოლებში, რომლის მიზანი იყო რუსული ენის შესწავლა ჯერ უშუალოდ, დედაენის დაუხმარებლად და მერე სრულიად განდევნა ქართული ენისა საქართველოს სკოლებიდან. ლევიცკის “მუნჯურ” მეთოდს ხმალამოღებული დაუხვდა ჩვენი ნეტარხსენებულ პედაგოგი **იაკობ გოგებაშვილი** და აღმოსავლეთ საქართველოში გასავალი არა ჰქონდა.

სულ სხვანაირად მიდიოდა საქმე იმერეთში სადაც ლევიცკი სკოლების საგუბერნიო ინსპექტორად იყო. განსაკუთრებით იერიში მიიტანეს სამეგრელოს სკოლებზე. აქ ხელზე დაიხვეს მეგრულის არსებობა, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს სხვა, განსაკუთრებული ენა არისო. რა თქმა უნდა, ლევიცკებისათვის ხელსაყრელი არ იყო აღიარება იმისა, რომ ეს სხვაობა მხოლოდ გარეგნული იყო და რომ არსებითად ქართულ ენას, როგორც ლიტერატურულს და სამშობლო ენას, უნდა დაეჭირა ადგილი სამეგრელოს სკოლებში.

ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელ პეტროვს მეგრელთათვის ცალკე ანბანიც შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული ასოებით და იმავე სემინარიის მუშაკის და შემდეგში “ცნობილი” **თადა აშორდიას** საშუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსებიც ჩააწერინა; ეს სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო სამეგრელოს სკოლებში. თ. აშორდიას კარგი ადგილი მისცეს, მატერიალურად უზრუნველყვეს, თან დაავალეს, ზუგდიდის მაზრაში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა ასეთი, სკოლებიდან გამოედევნა და ხელი შეეწყო რუსული ენის განმტკიცებისათვის.

აშორდიას, თავის მხრივ, აგენტებიც გაუჩნდნენ და გააჩაღა საქმე; სამეგრელოს სკოლა გადაიქცა ბავშვების დაჩლუნგებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად. ერთი თოფის დაცლით მთავრობამ ორი კურდღლის მოკვლა მოახერხა: **სამეგრელოს სამინისტრო სკოლებიდან ქართული გამოდევნა და გარუსების გზაზე შეაყენა სამეგრელოს მკვიდრნი.**

სამშობლო ენას, ქართულ ენას თუ კიდევ სული ედგა სამეგრელოში, ისევ სამრევლო სკოლებში. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ღვთისმსახურების ენა ეკლესიებში ქართული იყო და, რაკი სკოლები მრევლში, ეკლესიებთან იყო გახსნილი, ენაც ქართული უნდა ყოფილიყო სახმარად ასეთ სკოლებში. გაიმართა ჯერ ყრუ ბრძოლა სამინისტროს უწყებასა და ადგილობრივ სასულიერო უწყებას შორის ამ ნიადაგზე, მაგრამ გამარჯვებული ჯერჯერო-

ბით სასულიერო უწყება რჩებოდა, მხოლოდ დიდხანს არა. ლევიცკიმ გადაწყვიტა სხვა მხრივ მოეარნა საქმისათვის. ამავე **აშორდიას ახალი მისია, გიორგი მთაწმინდლობა** დააკისრა. აშორდიას უნდა “ეთარგმნა“ საღმრთო წერილი ქართულიდან მეგრულად. ეს, ლევიცკის აზრით, განდევნიდა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართულ ენას, მაგრამ **მთელი სამეგრელო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა** ასეთი უხამსობისა და არამკითხველ ჭირისუფლების წინააღმდეგ და ეს კოლექტიური გულისწყრომა და აღშფოთება სამეგრელოს მკვიდრთა გამოიხატა მაშინდელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლის დასაბუთებულ მოხსენებაში, რომელშიაც სამეგრელოს წარმომადგენელი **ერისკაცი, სხვათა შორის, ნიკო (დიდი)** დადინი მისთვის ჩვეული ოსტატობით ამტკიცებდა მთელს უგვანობას და უსაფუძვლობას ასეთი განზრახვისას. გრიგოლის მოხსენებას საფუძვლად დაედო მოხსენება ეპისკოპოს ბესარიონისა, რომელსაც, როგორც სამეგრელოს მკვიდრს, მოსთხოვეს თავისი აზრი წარმოედგინა მეგრულად საღმრთო წერილის თარგმნის შესახებ. ეპისკოპოს ბესარიონის მიერ შედგენილ კომისიაში, სხვათა შორის, მუშაობდა ჩვენი ისტორიკოსი თ. ჟორდანიანი, რომელმაც სავსებით დასაბუთა მთელი უაზრობა და ზედმეტობა ასეთი ცდისა.

ეპისკოპოს გრიგოლის მოხსენებამ ერთხანს შეაჩერა მეგრულად საღმრთო წერილის მთარგმნელნი და, მამასადამე, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენაც დარჩა.

მაგრამ, აჰა, საქართველოს საეგზარქოსოს საეპარქიო სკოლათა მეთვალყურედ დაინიშნა დეკანოზი ივ. ვოსტორგოვი. ამჟამად საქართველოს სასულიერო უწყების სწავლა-განათლების საქმეს სათავეში ჩაუდგა ანაფორას ქვეშ ამოფარებული ჯალათი და სულთამხუთავი ჩვენი სულისა, ეს ებრაელთა იროდი ჩვენი ყრმებისა, ეს კარიერისტი და საუკეთესო განმანათლებელი და გამანადგურებელი პოლიტიკისა. მახეზღარობა, ჯამუშობა, გამცემლობა, მუხანათობა გაჩნდა მასწავლებელთა შორის²⁶⁵...

განსაკუთრებით სამეგრელოსათვის შეიქმნა მძიმე დეკანოზ ვოსტორგოვის ფარფაში. იგი თამამად იძახდა - მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათს სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგივრად რუსული, სახელმწიფო ენა, ასწავლეთო. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა ეს **ანაფოროსანი პოლიტიკანი**, რომ პრესაშიაც გაბედა ამის მტკიცება. ალბათ, მკითხველს ახსოვს პროფესორ ნ.მარის პასუხიცა; აკადემიკოსმა ნ.მარმა მიწასთან გაასწორა მეტიჩარა, პოლიტიკანობით დაბრმავებული დეკანოზი, რომელმაც ისეთ სფეროში

²⁶⁵ ი. ვოსტორგოვის დაბეზღებით, რუსეთის იმპერატორმა გადააყენა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და მის ადგილას დანიშნა **რენე-გატი ქართველი** დიმიტრი აბაშიძე; რომელსაც დაევალა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნა და რუსიფიკაციის დაჩქარება. მან ეს ფუნქცია ვერ შეასრულა: 1905 დაწყებული რევოლუციური გამოსვლების გამო, იძულებული გახდა, საქართველოდან გაქცეულიყო (ს. ვარდოსანიძე).

შეტობა, სადაც არავითარი კომპეტენცია არ ჰქონდა და გამოაჩინა მარტო-ოდენ უსუსურობა.

მაგრამ ახლა მეორე მხრიდან მოიტანეს იერიში ქართულ ენაზე. სოხუმის ეპარქიაში მთავრობა რუს ეპისკოპოსებს გვიგზავნიდა. ამ ეპისკოპოსებმა და, განსაკუთრებით, არსენიმ ბრძანება გასცეს, სამურზაყანოში და მთლიანად აფხაზეთშიც წირვა-ლოცვა რუსულად უნდა ყოფილიყო. სოხუმში ჟანდარმერიის დახმარებით სდევნიდა სასულიერო მთავრობა ყველას, ვინც მრევლის გულისნადების გამოძღვლებას გაბედავდა და მოითხოვდა წირვა-ლოცვის შესრულებას სამშობლო ენაზე ეკლესიებში. ვინ მოსთვლის, რამდენი ოჯახი აატირეს ამ ნიადაგზე.

1905 წ. რევოლუციამ ცოტათი შეანელა ჩვენი რუსიფიკატორების გულმოდგინება. რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობნი, როგორც მოხალისენი. მაგრამ ყველას ბალღთა ლაღობად მიგვაჩნდა მათი ნაცოდვილი და სერიოზულობაში არ ჩამოგვირთმევია, სანამ 1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთი ავანტიურის გაღვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მზადება. მაფალუელთა ჯგუფმა მოსკოვში თხოვნა გაგზავნა: “გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისაგან, სამეგრელოს “პროლეტარიატის საცოდაობას ნულა უყურებთ და უშუალოდ შეუერთეთ რუსეთის პროლეტარიატს“.

მკითხველს ნებას ვთხოვ, მეგრული ანდაზით მოვათავო ჩემი მოკლე საუბარი: “მწევარი კურდღელს მისდევს, მაგრამ კურდღელი რაღას მისდევს? (წიარი კურდღელ მეთხოზუნია, მარა კურდღელი მუს მეთხოზუნია?).

ლევიცკი-ვოსტორგოვები ყველამ იცის, რასაც მისდევდნენ, მაგრამ თქვენ, სამეგრელოს “ავტონომისტებო“, თქვენ რაღას მისდევთ?!

3. კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი კონცეფცია

საქართველოსა და ქართველის ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიით დაინტერესებულთ შვეთავაზებთ ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაზრისს. დიდი მწერალი წინ აღუდგა იმპერიის მიერ დამკვიდრებულ ე.წ. ქართველთა ოთხი ენის დივერსიულ თეორიას და ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის გათვალისწინებით (ქართველებს გვაქვს ერთი დედაენა) დღეისთვისაც აქტუალური თეორიული პოსტულატი ჩამოაყალიბა:

“ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...” (კ. გამსახურდია, 1922; იხ. ათტომეული, ტ. VII, 1983, გვ. 411).

შდრ., აგრეთვე:

“მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა; სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც “დიონისოს ღიმილში” და ჩემს ნოველების წიგნშიაც...” “...სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოდენ გარეგან სესხს - ბარბარიზმებს - დაეყრდნოს. აქ უმთავრესია “შინაგანი სესხი”, ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა...” (კ. გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ. V, გვ. 995-956).

“XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვეცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული” (კ. გამსახურდია, 1929; ათტომეული, ტ. VII, 1983, გვ. 499).

5. ქუთაისური მემორანდუმი

“ქუთაისში 2002 წლის 11-12 მაისს გაიმართა ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმი (“ქუთაისური საუბრები”), რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ენათმეცნიერები, ეთნოლოგები, არქეოლოგები, ისტორიკოსები და ფოლკლორისტები. სიმპოზიუმის მუშაობის თემა იყო “დიალექტი, ენა, კულტურა: ენობრივი (კულტურული) სისტემისა და ქვესისტემის გამიჯვნის ზოგადთეორიული პრობლემა”.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილ მოხსენებებში, მრავალ აქტუალურ საკითხთან ერთად გაანალიზდა თანამედროვე მსოფლიოს ეთნოლინგვისტური გამოცდილება; აღინიშნა, რომ საქართველოს, ქართველი ერისა და ქართული ენობრივი სისტემის მიმართ როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში, არცთუ იშვიათად, შეინიშნება “ორმაგი სტანდარტით” მიდგომა, რაც რეალურ საშიშროებას უქმნის ქართველთა ენობრივ-კულტურულ ერთიანობას, საერთოდ, საქართველოს მთლიანობას; კერძოდ, ცნობილია, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართველური წერილობითი კულტურის, საერთოდ, ქართველური კულტურული მემკვიდრეობის შექმნაში ერთნაირი მონაწილეობა აქვს მიღებული ქართველთა ყველა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფს: ლაზებს, მეგრელებს, ქართლებს, სვანებს, კახელებს, ინგილოებს (ჰერებს), თუშებს, ხევსურებს, ფშაველებს, მოხევეებს, რაჭველებს, იმერლებს, ლეჩხუმელებს, გურულებს, ისტორიული მესხეთის ქართველობას: აჭარლებს, ლივანელებს, ტაოელებს, კლარჯელებს, ჯავახებს, სამცხელებს... ამ ფონზე ქართველთა კუთხური ენობრივი ვარიანტების გამოცხადება “უმწერლობო ენებად“, პირველ რიგში, თვით ამ ქართველებს დაუკარგავს დიდ კულტურულ წარსულს, თუნდაც იმ თექვსმეტსაუკუნოვან წარსულს, რომელიც იოანე ლაზისა და პეტრე იბერიის მოღვაწეობით იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს. გარდა ამისა, ქართველთა კუთხური მეტყველებების ცალკე ენებად გამოცხადებით იქმნება სერიოზული საფუძველი ქართველთა ენობრივი და ეთნო-კულტურული ერთიანობის დაშლისა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ისტორიული განვითარების გზების სხვადასხვაობისა, ზემოთ ჩამოთვლილ ქართველურ ეთნოგრაფიულ-ტერიტორიულ ჯგუფთა კილოების ფონოლოგიური სტრუქტურა, გრამატიკული მოდელი და ლექსიკური ფონდი ერთნაირია.

თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენა თავისი აგებულებით საერთოქართველური ენის პირდაპირი მემკვიდრეა, ამდენად, იგი ყველა ქართველისთვის დედაენას წარმოადგენს, შესაბამისად, ქართული სამწიგნობრო ენა ქართველთა თვითიდენტიფიკაციის უძველესი საფუძველია: ქარ-

თველური კილოების უმწერლობო ენებად გამოცხადება სწორედ ამ საფუძველს შლის.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან ასევე წარმოჩნდა, რომ ბევრ გაუგებრობას უდებს სათავეს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელე.

წარმოდგენილ მემორანდუმზე ხელმომწერ ქართველოლოგებს საჭიროდ მიგვაჩნია:

1. ჰუმანიტარულ დარგებში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა პოზიციების შეჯერება და საერთო თვალსაზრისის გამომუშავება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;
2. წარმოდგენილი პრობლემატიკის შესახებ საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სემინარების ორგანიზება;
3. საქართველოს ეთნოლინგვისტურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული უცხოური პუბლიკაციების მუდმივი მონიტორინგი;
4. სპეციალური ვებ-გვერდის შექმნა, მისი სისტემატური განახლება;
5. მრავალენოვანი სამეცნიერო ჟურნალის საინტერნეტო ვარიანტის მომზადება, რომელშიც ასახული იქნება ქართველოლოგთა სიმპოზიუმის მუშაობის შედეგები...

წარმოდგენილი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია:

6. გაფართოვდეს, სათანადო დაფინანსებითა და აპარატურით აღიჭურვოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
7. შეიქმნას ცნობილ ქართველოლოგთა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

ხელს აწერენ:

1. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ტარიელ ფუტკარაძე
2. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ნათელა ქუთელია
3. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე
4. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ამირან ლომთაძე
5. ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ შეროზია
6. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. თედო უთურგაიძე
7. ისტ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. როლანდ თოფჩიშვილი
8. ისტ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ნანა ხაზარაძე
9. ისტ. მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან კაშია
10. ისტ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. იულონ გაგოშიძე
11. ისტ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ჯულიეტა რუხაძე
12. თსუ მასწავლებელი რევაზ აბაშია
13. აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე
14. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. დამანა მელიქიშვილი

15. ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მანანა ტაბიძე
16. ისტ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ვანტანგ ჯაფარიძე
17. ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი თინათინ ლვინაძე
18. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ალექსი ჭინჭარაული
19. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ოტია კახაძე
20. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ., ამერიკის საინფორმაციო აკადემიის ნამდვილი წევრი გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე
21. ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი ნომადი ბართაია
22. ფილ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. მაია ნათაძე
23. ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ზაალ კიკვიძე
24. დოცენტი ზაურ მჟავანაძე
25. ფილ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მარინე ქაცარავა
26. ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ლელა ავალიანი
27. თსუ დოცენტი დარეჯან სირია

**ტექსტი ფაქსიმილეთურთ პირველად გამოქვეყნდა
კრებულში:**

**ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
(1993-2003 წლები), ქუთაისი, 2003, გვ.178**

**ბ. ღვთისმშობლის წილხვედრი სრულიად საქართველოს და
ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი
(2009-2010 წწ.)**

დიდება და მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის!

ვინაიდან ივერიის ყოველნი მკვიდრნი, მცხოვრებნი აფხაზეთს, აჭარას, გურიას, თუშეთს, იმერეთს, კახეთს, ლაზეთს, მესხეთს, მთიულეთს, ოდიშს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლს, ხევსა და ჰერეთს და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოძმენი ვართ შთამომავალნი ერთი წინაპრისა, საუკუნეთა წინ ერთ ერად ჩამოყალიბებულნი, **მრავალფეროვნებით გამორჩეული ერთი ენისა და კულტურის მქონენი**, ნათესაობითა და მოყვრობით შესისხლხორცებულნი და ასევე ამ ქვეყნის გულშემატკივარი ყოველნი შვილნი მისნი და თანამდგომნი საქვეყნოდ ვაცხადებთ:

კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და ყოვლადღლიერი ღმერთის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი - მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს, გამოხატულს ჩვენსა აზრსა და ქმედებაში, რათა თითოეულმა ჩვენგანმა, გმირი წინაპრების მსგავსად, დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ტრადიციები, ჩვენი თავისუფლება და ღირსება.

7. უწმინდისა და უნეტარისის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის - ილია II-ის საკვირაო ქადაგება

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი,
10 ოქტომბერი, 2010 წ.

გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, არც ერთმა დღემ განვლოს ისე, რომ რამე არ წაიკითხოთ ქართული ლიტერატურიდან!“

სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა!
ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს არის წმინდა კალისტრატეს ხსენება. მოგეხსენებათ, ჩვენ გვყავდა დიდი კათოლიკოს-პატრიარქი, საქართველოს ეკლესიის ბრძენი საჭეთმპყრობელი - კალისტრატე ცინცაძე. იგი იყო მმართველი საქართველოს ეკლესიისა ყველაზე მძიმე 1932-დან 1952 წლებში, ანუ 20 ურთულესი წელი! ამ საშინელმა წლებმა მის მხრებზე გადაიარა, მაგრამ ღვთის წყალობა იცავდა მას. იყო ისეთი დრო, როცა მას სიონის საპატრიარქო ტაძარში შესვლის უფლება არ ჰქონდა! მთელი სინოდი დაპატიმრებული იყო! მაგრამ ღმერთმა მოგვხედა და იგი შეიქნა ერთ-ერთი უდიდესი რჩეულთაგანი პატრიარქებს შორის. დღეს თქვენი სახელით, წმინდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით ვულოცავთ უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ანგელოზის დღეს, მისი ლოცვა-კურთხევა არ მოგვაკლოს ღმერთმა!

დღეს ასევე არის ანგელოზის დღე ჩვენი უხუცესი მღვდელმთავრის, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატესი. ვულოცავთ მეუფე კალისტრატეს ამ დიდებულ დღესასწაულს...

დღეს მინდა ვისაუბროთ ჩვენს ეროვნულ ფასეულობებზე, რომელთაც სათუთად უნდა მოვუფრთხილდეთ და დავიცვათ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება, ეს არის ჩვენი ეროვნება, ეს არის ჩვენი ენა ქართული, ჩვენი კულტურა, ჩვენი ლიტერატურა - პროზა და პოეზია, ჩვენი არქიტექტურა, ქართული ხელოვნება და მრავალი სხვ.

საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ქართველი კაცი ამ კულტურას და დღეს გაგვაჩნია უდიდესი სულიერი და კულტურული სიმდიდრე და თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ მას!

უდიდესი საუნჯეა ჩვენი ქართული ენა! იგი უძველესი და უტკბესია, რაღაც განსაკუთრებული მადლით მოსილი! როდის წარმოიშვა იგი? როდესაც ქართველი კაცი გაჩნდა ამქვეყნად, აი, მაშინ წარმოიშვა ქართული ენაც! ქართული ენა დიდებულია თავისი სიღრმით, თავისი ფილოსოფიური დატვირთვით, თავისი უძველესი ფორმებით! ამაზე მეტყველებს ისეთი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური შრომები, რომლებიც ჰქონდათ, მაგალითად, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, - ისინი გადმოცემულია ქართული ენით! ქართული ენა მდიდარია საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინოლოგიითა და ისეთი

სიტყვებით, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს, ზედმიწევნით ზუსტად გამოთქვას თავისი აზრი. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არის კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ენა.

დღეს ამაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ჩვენ შორის არიან ადამიანები, რომელთა აზრით არსებობს ე.წ. “ქართველური ენები”. მინდა გითხრათ, რომ არავითარი ქართველური ენები არ არსებობს, არის მხოლოდ ერთი ენა ქართული, თავისი მრავალრიცხოვანი დიალექტით, როგორცაა - სვანური, მეგრული, მესხური და სხვა... ეს არის არა ცალკე ენები, არამედ ერთი ქართული ენის განშტოებანი!

ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ენას! გავიხსენოთ იოანე ზოსიმეს დიდებული სიტყვები, ქართული ენის შესახებ - “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”. სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა, იოანე ზოსიმე ამ ქებაის ტექსტის გადამწერია და არა - ავტორი. მაშინ ეს შესხმა უფრო ძველიც შეიძლება იყოს. იოანე ზოსიმეს უწერია, რომ „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“, იგი აღდგება, როგორც ოთხი დღის მკვდარი ლაზარე და გაბრწყინდება; შემდეგ კი ჰიმნოგრაფი გვამცნობს, რომ მეორედ მოსვლის ყამს ქართულითა ენითა განისჯება სამყარო. ჩვენ ბევრი გვიფიქრია ამის შესახებ და, ალბათ, თითოეულ თქვენგანსაც უფიქრია, თუ რით დაიმსახურა ქართულმა ენამ ესოდენი პატივი? არსებობს წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ყამს კაცობრიობა დაკარგავს სარწმუნოებას, ჩაეფლობა ცოდვებში და მხოლოდ ქართველი კაცი დაიცავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას და აი, ამის გამო, როგორც ჯილდო, ქართველ ერს მიეცემა ეს წყალობა ღვთისა, რომ საყოველთაო განკითხვა ქართული ენით მოხდება.

მინდა მოგიწოდოთ, გავუფრთხილდეთ ჩვენს ღვთითბოძებულ ენას! დავიცვათ იგი და დავუფლოთ მას! მოგეხსენებათ, ჩვენ გაგვაჩნია სამი დამწერლობა, სამი ანბანი, უძველესი მათ შორის არის ასომთავრული (ალბათ, იმაზე ადრეც იქნებოდა სხვა), შემდეგ - ნუსხა-ხუცური და მხედრული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ მეგულება არც ერთი ქვეყანა, სამი ანბანი რომ ჰქონდეს! ზოგს თავისი დამწერლობაც კი არ გააჩნია! იმიტომ, ჩვენ მოვალენი ვართ, ვიცოდეთ სამივე ანბანი, თავისუფლად უნდა ვკითხულობდეთ სამივე დამწერლობას. ხშირად ჩვენი ახალგაზრდობა შედის რომელიმე უძველეს ტაძარში და არ შეუძლია ასომთავრული და ხუცური წარწერების ამოკითხვა. მეტსაც გეტყვით, ამ 33 წლის წინ, როცა სრულიად საქართველოს პატრიარქად მაკურთხეს, იშვიათად თუ მოიძებნებოდა ადამიანი, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური რომ სცოდნოდა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ყამნსა და კონდაკს მხედრულად იწერდნენ და ასე კითხულობდნენ ეკლესიაში. მე მათ ავუკრძალე ასეთი ქმედება და ამ სამივე ანბანის სწავლა დავიწყეთ.

სამწუხაროა, რომ დღეს მრავალი პრობლემა აქვს ქართულ ენას. არსებობენ ადამიანები, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, - ვინც ფიქრობს, რომ სვანური, მეგრული და სხვა დიალექტები ქართული ენა არ არის, არამედ, რაღაც ე.წ. ქართველური ენებია. ქართული ენა მხოლოდ ერთია, ამაზე მეთყველებს ის ფაქტი, რომ არ არსებობს არც მეგრული და არც სვანური დამწერლობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნებოდა ამის მტკიცებულებები, უძველესი ხელნაწერები. მაშასადამე, არის მხოლოდ

ერთი ქართული ენა! ამის საწინააღმდეგოდ ილაშქრებენ ის ადამიანები, რომელთაც განზრახული აქვთ, თარგმნონ ქართულიდან სვანურად და მეგრულად წმინდა წერილი და სხვა საეკლესიო წიგნები! ისინი დიდ შეცდომას უშვებენ და ნებისთ თუ უნებლიედ, ერს მტრობენ. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა შევიწინააღმდეგოთ მეგრული და სვანური დიალექტები, მაგრამ ეს ოჯახებში უნდა მოხდეს. ჩვენი ოფიციალური სახელმწიფო, სალიტერატურო ენა კი არის ერთი - ქართული ენა.

დღეს ასევე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო კიდევ ერთ, მეტად საგულისხმო საკითხზე. მოგეხსენებათ, როგორ შემოდის და მკვიდრდება თანდათან ჩვენს ლექსიკაში უცხოური სიტყვები. მაგალითად, სიტყვა „მენეჯერი“. რატომ უნდა ვამბობდეთ „მენეჯერს“, როცა შეიძლება ითქვას მმართველი? რატომ უნდა ვიხმაროთ სიტყვა „მოუ“, როცა შეგვიძლია იგივე ვთქვათ ქართულად - „ჩვენება“? ან კიდევ „ქეისი“ - ჩანთა და ა.შ. ამ ბოლო დროს ასეთი სიტყვების რაოდენობა ქართულ ენაში ძალიან მომრავლდა და არ დავიწყებ ახლა აქ ყველას ჩამოთვლას. უფრო ხშირად ეს სიტყვები დღეს ინგლისური ენიდან შემოდის. ეს არ არის გამართლებული. ჩვენი ქართული ენა ძალიან მდიდარია და ყოველ ამ სიტყვას აქვს შესაბამისი ქართული თარგმანი და თუკი ენაში არსებობს ამგვარი ტერმინოლოგია, რაღა საჭიროა უცხო სიტყვების შემოტანა და დანერგვა?

ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს და ეს ყველა სიტყვა ქართულად უნდა იყოს წარმოთქმული.

ასევე ძალიან მაწუხებს ის ფაქტი, რომ დღეს ხშირად დაწესებულებებზე წარწერები უცხოურ ენებზე კეთდება. ზოგ შემთხვევაში ქართულად არც აწერია, არამედ - მხოლოდ ინგლისურად ან კიდევ - რომელიმე სხვა ენაზე. ასეთი რამ ხშირად მინახავს არა მარტო თბილისში, ასევე, მაგალითად, აჭარაში. აი, კიდევ ერთი სიტყვა მომაგონდა, წარწერა „მოპინგი“. რატომ „მოპინგი“? განა შესატყვისი ქართული არ მოიძებნა? ამ ყველაფერზე დაფიქრება გვმართებს და სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ. თავად თუ არ გავუფრთხილდით ჩვენს ენას, სხვა, მით უმეტეს, არ გაუფრთხილდება!

ქართულმა ენამ გადაარჩინა ჩვენი ერი და ქართული ენა და ჩვენი სარწმუნოება გადაარჩინს მას ასევე მომავალშიც. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ ქართული ენა, ჩვენი დამწერლობა, სამივე ანბანი. ვფიქრობ, რომ დაწესებულებებზე წარწერა უნდა იყოს სამივე ქართული ანბანით. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს მოსახლეობას, თვალი შეაჩვიოს და შეისწავლოს სამივე დამწერლობა: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. მივმართავ ყველას, განსაკუთრებით - ჩვენს ბიზნესმენებს, თავიანთ დაწესებულებებს წარწერები გაუკეთონ სამივე ანბანზე. ამით ჩვენ მივალწევთ, რომ ერთ წელიწადში ყველას ეცოდინება სამივე დამწერლობა.

მართლაც, საოცარია ქართული ენა და, ხშირ შემთხვევაში, ქართული პოეზიის თარგმნა შეუძლებელია, იმდენად ღრმა არის ქართული ენა. ქართული ლექსის თარგმანი უცხოურ ენაზე ძალიან ფერმკრთალი და უბრალო გამოდის. ბევრს უთქვამს შესხმა ქართული ენისა, მაგრამ ბოლო დროს ბრწყინვალედ გამოთქვა ეს ირაკლი აბაშიძემ. მინდა, კიდევ ერთხელ

გაიხსენოთ ირაკლი აბაშიძის ეს სიტყვები ქართული ენის შესახებ: “ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“...

სრულყოფილად რომ ვფლობდეთ ქართულ ენას, უნდა ვიკითხოთ ქართული წიგნები. გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, არც ერთმა დღემ არ განვლოს ისე, რომ რამე არ წაიკითხოთ ქართული ლიტერატურიდან. აუცილებლად უნდა ვიკითხოთ ჩვენი კლასიკა, - ამ წიგნებში არის დიდი სიღრმე.

დალოცვილი იყავით! გახსოვდეთ მუდამ, რომ ჩვენი ეროვნული თვითშეგნება, ჩვენი ქართული ენა, მართლმადიდებელი სარწმუნოება გადაარჩენს საქართველოს!

დალოცვილი იყოს ქართული ენა, რომელსაც აღადგენს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მსგავსად ლაზარესი, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

საპატრიარქოს უწყებანი, № 33 (561), 14-20 ოქტომბერი, 2010

8. სატრანსლიტერაციო სქემა

ქართული აბჯასი			საერთო ა.მ.ი.ბ. ისო	ინგლის საერთო აბჯასი	გერმან ული აბჯასი	თურქ- ული აბჯასი	რუს- ული აბჯასი
მხედრ- აბჯასი	ასომთ აბჯასი	ხუსს- აბჯასი					
ა	ა	ა	a	a	a	a	a
ა			ä		ä	ä	
ა			ë		ë	ë	
ბ	ბ	ბ	b	b	b	b	б
გ	გ	გ	g	g	g	g	г
დ	დ	დ	d	d	d	d	д
ე	ე	ე	e	e	e	e	е
ე			ë		ë	ë	
ვ/წ	ვ	ვ	v(w)	v(w)	w	v	в
ზ	ზ	ზ	z	z	z	z	з
თ	თ	თ	t	t	t	t	
ი	ი	ი	i	i	i	i	и
კ	კ	კ	k	k	k	k	к
ლ	ლ	ლ	l	l	l	l	л
მ	მ	მ	m	m	m	m	м
ნ	ნ	ნ	n	n	n	n	н
ო	ო	ო	y	y		y	
ო	ო	ო	o	o	o	o	о
პ			ö		ö	ö	
პ	პ	პ	p	p	p	p	п
ჟ	ჟ	ჟ	ž	dz	dsj	j	ж
რ	რ	რ	r	r	r	r	р
ს	ს	ს	s	s	s	s	с
ტ	ტ	ტ	t	t	t	t	т
უ	უ(ყ)	ყ	u	u	u	u	у
უ			ü		ü	ü	
უ			ü		ü	ü	
ფ	ფ	ფ	p	p	f(v)	p	ф
ქ	ქ	ქ	k	k	q	k	
ქ			k°			k°	
ღ	ღ	ღ	gh	gh		gh	
ღ			gh°			gh°	
ყ	ყ	ყ	q	q		q	
ყ			q°			q°	
შ	შ	შ	š	sh	sch	š	ш
ჩ	ჩ	ჩ	č	ch	tsch	č	ч
ც	ც	ც	c	ts	c	ts	ц
ძ	ძ	ძ	j	dz		dz	
წ	წ	წ	č	ts		tz	
ჩ	ჩ	ჩ	č	ch	ch	tj	
ხ	ხ	ხ	h	kh	ch	kh	x
ხ	ხ	ხ	h	h		h	
ჯ	ჯ	ჯ	j	j	dsh	c	
ჰ	ჰ	ჰ	h	h	h	h	
პ			ü				

9. ქართველთა სხვადასხვაენოვანი
(ქართული, ინგლისური, რუსული, თურქული, გერმანული)
ეთნონიმები, ქორონიმები, ენა-კილოების სახელები

ათინელი - ათინელები - **ათინა** - ათინური კილოკავი
Atinian/Atinan - Atinians - Atina - Atinian dialect
Атинец - Атинцы - Атина - Атинский
Atinalı - Atinalılar - Atina - Atina ağzı
Athiner - Athiner - Athina - Athinische dialect

ალიაბათელი - ალიაბათელები - **ალიაბათი** - ალიაბათური კილო
Aliabatian - Aliabatians - Aliabati - Aliabatian dialect
Алиабатинец - Алиабатинцы - Алиабати - Алиабатинский
Aliabatlı - Aliabatlılar - Aliabati - Aliabati ağzı
Aliabather - Aliabather - Aliabati - Aliabatische

არქაბელი - არქაბელები - **არქაბე** - არქაბული კილოკავი
Arkabean - Arkabeans - Arkabe - Arkabean dialect
Аркабеец - Аркабейцы - Аркабе - Аркабейский
Arkablı - Arkablılar - Arkabe - Arkabe ağzı
Arkaber - Arkaber - Arkabe - Arkabische

აფხაზი - აფხაზები - აფხაზეთი - აფხაზური
Abkhaz - Abkhazes - Abxazeti/ Abkhazia - Abkhaz
Абхаз - Абхазы - Абхазети - Абхазский
Abhaz - Abhazlar - Abhazeti - Abhazca
Abkhaze - Abkhazen - Abxazeti - Abxazische

აჭარელი - აჭარელები - **აჭარა** - აჭარული კილო
Acharian/Acharan - Acharians - Achara - Acharian dialect
Аджарец - Аджарцы - Аджара - Аджарский
Acaralı - Acaralılar - Acara - Acara ağzı
Atscharer - Atscharer - Atschara - Atscharische

ბალსზემოელი - ბალსზემოელები - **ბალსზემო** - ბალსზემოური
Balszemoan - Balszemoans - Balszemo - Balszemoan dialect
Бальсземоец - Бальсземойцы - Бальсземо -
Бальсземойский/Верхнобальский
Balszemolu - Balszemolular - Balszemo - Balszemo lehçesi
Balssemoer - Balssemoer - Balssemo - Balssemosche

ბალსქვემოელი - ბალსქვემოელები - **ბალსქვემო** - ბალსქვემოური
Balskvemoan - Balskvemoans - Balskvemo - Balskvemoan dialect
Бальсквемоец - Бальсквемойцы - Бальсквемо -

Бальсквемойский/нижебальский
Balskvemolu - Balskvemolular - Balskvemo - Balskvemo lehçesi
Balskvemoer - Balskvemoer - Balskvemo - Balskvemoische

ბურსელი - ბურსელები - **ბურსა** - ბურსული მეტყველება
Bursan - Bursans - Bursa - Bursan
Бурсец - Бурсицы - Бурса - Бурский
Bursalı - Bursalılar - Bursa - Bursluların Gürcücesi
Burser - Burser - Bursa - Bursische

გუდამაყრელი - გუდამაყრელები - **გუდამაყარი** - გუდამაყრული
Gudamakarian - Gudamakarians - Gudamakari - Gudamakarian dialect
Гудамакарец - Гудамакарцы - Гудамакари - Гудамакарский
Gudamakarlı - Gudamakarlılar - Gudamakari - Gudamakari lehçesi
Cudamakarer - Cudamakarer - Cudamakari - Gudamakrische

გურული - გურულები - **გურია** - გურული
Gurian - Gurians - Guria - Gurian dialect
Гуриец - Гурийцы - Гурия - Гурийский
Gurialı - Gurialılar - Guria - Guria lehçesi
Gurier - Gurier - Guria - Guriische

დვალი - დვალეები - დვალეთი - დვალური
Dval - Dvals - Dvaleti - Dval
Двал - Двалы - Двалети - Двальский
Dval - Dvaller - Dvaleti – Dvaleti lehçesi
Dvale - Dvalen - Dvaleti - Dvaletische

ეგრისელი - ეგრისელები - **ეგრისი** - ეგრისული (კილო)
Egrisian - Egrisians - Egrisi - Egrisian dialect
Эгрисец - Эгрисцы - Эгриси - Эгрисский
Egrisli - Egrisliiler - Egrisi - Egrisi lehçesi
Egrisser - Egrisser - Egrissi - Egrisische

ვიწელი - ვიწელები - **ვიწე** - ვიწური კილოკავი
Vitsean - Vitseans - Vitse - Vitsean dialect
Витсеец - Витсейцы - Витсе - Витсейский
Vitseli - Vitseliler - Vitse - Vitse lehçesi
Vitser - Vitser - Vitse - Vitsische

ზანი - ზანები - *ზანეთი - ზანური კილოები
Zan - Zans - Zaneti - Zan dialects
Зан - Заны - Занети - Занский диалект
Zan - Zanlar - Zaneti - Zan lehçesi
Zane - Zanen - Zaneti - Sanische

თუში - თუშები - თუშეთი - თუშური
Tush - Tushes - Tusheti - Tush dialect
Туш - Туши - Тушети - Тушский
Tuş - Tuşlar - Tuşeti - Tuş lehçesi
Tusche - Tuschen - Tuscheti- Tuschische

ინგილო - ინგილოები - საინგილო - ინგილოური კილო
Ingilo - Ingiloes - Saingilo - Ingilo dialect
Ингило - Ингилоицы - Саингило - Ингилойский
İngilo - İngilolar - Saingilo - İngilo lehçesi
Ingilo - Ingilos - Ingilo - Ingiloische

იმერი/იმერელი - იმერლები - იმერეთი - იმერული კილო
Imeretian - Imeretians - Imereti - Imeretian dialect
Имеретинец - Имеретинцы - Имерети - Имеретинский
İmeretli-İmeretliler-Imereti-İmereti lehçesi
Imereter - Imereter - Imereti - Imeretische

კაკელი - კაკელები - **კაკი** - კაკური კილო
Kakian - Kakians - Kaki - Kakian dialect
Какец - Какцы - Каки - Какский
Kaklı - Kakhılar - Kaki - Kaki lehçesi
Kaker - Kaker - Kaki - Kakische

კახი/კახელი - კახელები - **კახეთი** - კახური კილო
Kakhetian - Kakhetians -Kakheti - Kakhetian dialect
Кახетинец - Кахетинцы - Кахети - Кахетинский
Kahetli - Kahetliler - Kaheti - Kaheti lehçesi
Kacheter - Kacheter - Kacheti - Kachetische

კოლხი - კოლხები - კოლხეთი - კოლხური
Kolkh/Kolchos - Kolkhs - Kolkheti - Kolkh
Колх - Колхи - Колхети - Колхский
Kolh - Kolhlar - Kolheti - Kolh lehçesi
Kolche - Kolchen - Kolcheti - Kolchische

ლაზი - ლაზები - ლაზეთი - ლაზური
Laz - Lazes - Lazeti -Laz
Лаз - Лазы - Лазети - Лазский
Laz - Lazlar - Lazeti - Lazca
Laze - Lasen - Lazeti - Lazische

ლაშხი - ლაშხები - ლაშხეთი - ლაშხური კილო
Lashkh - Lashkhs - Lashkheti - Lashkh

Лашх - Лашхи - Лашхети - Лашхский
Laşh - Laşhlar - Laşheti - Laşh lehçesi
Laschche - Laschchen - Laschcheti - Laschchische

ლენტეხელი - ლენტეხელები - **ლენტეხი** - ლენტეხური კილო
Lentekhian - Lentekhians - Lentekhi - Lentekhian
Лентехец- Лентехцы- Лентехи- Лентехский
Lentehli - Lentehliler - Lentehi - Lentehi lehçesi
Lentecher - Lentecher - Lentechi - Lentechische

ლივანელი - ლივანელები - **ლივანა** - ლივანური კილო
Livanian/Livanan - Livanans - Livana - Livanan
Ливанец - Ливанцы - Ливана - Ливанский
Livanalı - Livanalılar - Livane - Livane lehçesi
Livaner - Livaner - Livana - Livanische

ლექხუმელი - ლექხუმელები - **ლექხუმი** - ლექხუმური კილო
Lechkhumian - Lechkhumians - Lechkhumi - Lechkhumian
Лечхумец - Лечхумцы - Лечхуми - Лечхумский
Leçhumlu - Leçhumlular - Leçhumi - Leçhumi lehçesi
Letschchumer - Letschchumer – Letschchumi - Letschchumische

მაჭახელი - მაჭახელები - **მაჭახელი** - მაჭახლური კილო
Machakhelian - Machakhelians - Machakheli - Machakhelian
Мачахелец - Мачахельцы - Мачахели - Мачахельский
Maçahelli - Maçahelliler - Maçaheli - Maçaheli lehçesi
Matschacheler - Matschacheler - Matschacheli - Matschachelische

მეგრელი - მეგრელები - სამეგრელო - მეგრული კილო
Megrel - Megrels - Samegrelo - Megrel
Мегрел - Мегрелы- Самегрело/Мегрелиа - Мегрельский
Megrel - Megreller - Samegrelo/Mengrelya - Megrel lehçesi
Megrele - Megrelen - Megrelien/Samegrelo - Megrelische

მესხი - მესხები - მესხეთი - მესხური კილო
Meskh - Meskhs - Meskheta - Meskh
Месх - Месхи - Месхети - Месхский
Mesh - Meshler - Mesheti - Mesh lehçesi
Mesche - Meschen - Mescheti - Meschische

მთიული - მთიულები - მთიულეთი - მთიულური კილო
Mtiul - Mtiuls - Mtiuleti - Mtiul
Мтиул - Мтиульцы - Мтиулеті - Мтиульский
Mtiul - Mtiullar - Mtiuleti - Mtiul lehçesi
Mtiul - Mtiuler - Mtiuleti - Mtiulische

მოზდოკელი - მოზდოკელები - **მოზდოკი** - მოზდოკური მეტყველება
Mozdokian - Mozdokians - Mozdok - Mozdokian
Моздокец - Моздокцы - Моздок - Моздокский
Mozdoklu - Mozdoklular - Mozdok - Mozdok lehçesi
Mozdoker - Mozdoker - Mozdoki - Mozdokische

მოხევე - მოხევეები - **ხევი** - მოხეური კილო
Mokheve/Khevian - Mokheves/Khevians - Khevi-
Mokheve/Khevian dialect
Мохе́ве/Хевец - Мохевцы - Хеви - Мохевский
Moheve/Hevli - Moheveler - Hevi - Moheveler lehçesi
Mocheve/ Chever - Mocheven - CHEvi - Mochevische

რაჭველი - რაჭველები - **რაჭა** - რაჭული კილოები
Rachan - Rachans - Racha - Rachan
Рачинец - Рачинцы - Рача - Рачинский
Raçalı - Raçalılar - Raça - Raça lehçeleri
Ratscher - Ratscher - Ratscha - Ratschische

სამცხელი - სამცხელები - **სამცხე** - სამცხური კილო
Samtskhean - Samtskheans - Samtskhe - Samtskhean
Самцхеец - Самцхейцы - Самцхе - Самцхейский
Samtsheli - Samtsheliler - Samtshe - Samtshe lehçesi
Samzcher - Samzcher - Samzche - Samzchische

სვანი - სვანები - სვანეთი - სვანური კილოები
Svan - Svans - Svaneti - Svan
Сван - Сваны - Сванети - Сванский
Svan - Svanlar - Svaneti - Svan lehçesi
Svane - Svanen - Svaneti - Svanische en

ტაოელი - ტაოელები - **ტაო** - ტაოური კილო
Taoan - Taoans - Tao - Taoan
Таоец - Таойцы - Тао - Таойский
Taolu - Taolular - Tao - Tao lehçesi
Taoer - Taoer - Tao - Taoische

ფერეიდნელი - ფერეიდნელები - **ფერეიდანი** - ფერეიდნული
Pereidanian - Pereidanians - Pereidani - Pereidanian
Переиданец - Переиданцы - Переидани - Переиданский
Pereidanlı - Pereidanlılar - Pereidani - Pereydan lehçesi
Pereidaner - Pereidaner - Pereidani - Pereidanische

ფშაველი - ფშაველები - **ფშავი** - ფშაური კილო

Pshavian - Pshavians - Pshavi - Pshavian
Пшавец - Пшавцы - Пшави - Пшавский
Pşavlı - Pşavlar - Pşavi - Pşav lehçesi
Pschaver - Pschaver - Pschavi - Pschavische
ფხოველი - ფხოველები - **ფხოვი** - ფხოური კილოები
Pkhovian - Pkhovians - Pkhovi - Pkhovian
Пховец - Пховцы - Пхови - Пховский
Phovlu- Phovlular - Phovi - Phovi lehçesi
Pchover - Pchover - Pchovi - Pchovische

ქართველი - ქართველები - საქართველო - ქართველური
[**Kartvel** - Kartvels - Sakartvelo - Kartvel/kartvelian]
Georgian - Georgians- **Georgia** - Georgian
[**Картвел** - Картвели - Сакартвелო - Картвельский]
Грузин - Грузины - Грузия - Грузинский
[Kartvel - Kartveller - Sakartvelo - Kartvel dili]
Gürcü - Gürcüler - Gürcüstan - Gürcü dili
Georgier - Georgier - **Georgia** - Georgisch
[**Kartvele** - Kartvelen - Sakartvelo -Kartvelisch]

ქართლელი - ქართლელები - **ქართლი** - ქართლური კილო
Kartlian - Kartlians - Kartli - Kartlian
Картлинец - Картлинцы - Картли - Картлский
Kartlili - Kartlililer - Kartli - Kartli lehçesi
Kartler - Kartler - Kartli - Kartlische

ყიზლარელი - ყიზლარელები - **ყიზლარი** - ყიზლარული
Kizlarian - Kizlarians - Kizlari - Kizlarian
Кизларец - Кизларцы - Кизлари - Кизларьский
Kızlarlı - Kızlarlılar - Kızlar - Kızlar lehçesi
Kizlarer - Kizlarer - Kizlari - Kizlarische

შავშელი - შავშელები - **შავშეთი** - შავშური
Shavshetian - Shavshetians - Shavsheti - Shavshetian dialect
Шавшетинец - Шавшетинцы - Шавшети - Шавшетинский
Şavşetli - Şavşetliler - Şavşeti - Şavşeti lehçesi
Schavscheter - Schavscheter - Schavscheti - Schavschetische

ჩოლურელი - ჩოლურელები - **ჩოლური** — ჩოლურული კილო
Cholurian - Cholurians - Choluri - Cholurian
Чолурец - Чолурцы - Чолури - Чолурский
Çolurlu- Çolurlular - Çoluri - Çoluri lehçesi
Tscholurer - Tscholurer - Tscholuri - Tscholurische

ჭანი - ჭანები - ჭანეთი - ჭანური კილო
Chan - Chans - Chaneti - Chan
Чан - Чаны - Чанети - Чанский диалект
Çan - Çanlar - Çaneti - Çan lehçesi
Tschane - Tschaner - Tschaneti - Tschanische

ხევსური - ხევსურები - ხევსურეთი - ხევსურული კილო
Khevsur - Khevsurs - Khevsureti - Khevsur
Хевсур - Хевсуры - Хевсурети - Хевсурский
Hevsur - Hevsurlar - Hevsureti - Hevsur lehçesi
Chevsure - Chevscuren - Chevsureti - Chevsurische

ჯავახი - ჯავახები - ჯავახეთი - ჯავახური კილო
Javakh - Javakhs - Javakheti - Javakh
Джавахи - Джавахи - Джавахети - Джавахский
Cavah - Cavahlar - Cavaheti - Cavah lehçesi
Dshavache - Dshavachen - Dshavacheti - Dshavachische

ხოფელი - ხოფელები - **ხოფა** - ხოფური კილოკავი
Khopian - Khopians - Khopa - Khopians
Хопинец - Хопинцы - Хопа - Хопский
Horalı - Horalılar - Hopa - Hopa lehçesi
Choper - Choper - Chopa - Chopische

ჰერი - ჰერები - ჰერეთი - ჰერული კილოები
Her - Hers - Hereti - Her dialects
Гер - Геры - Герети - Герский
Her - Herler - Hereti - Her lehçesi
Here - Heren - Hereti - Heretinische

10. ტარიელ ფუტკარაძე, დაზმირ ჯოჯუა, ბეჟან ხორავა,

საქართველო ბოლო 5 საუკუნეში (ქრონოლოგია)

XV-XVIII საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის მუდმივმა აგრესიებმა საქართველო აიძულა მოკავშირე ეძებნა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში.

1483 წელი - კახეთის მეფის - ალექსანდრე პირველის - ელჩების ჩასვლა მოსკოვის დიდი მთავრის - ივანე III-ის კარზე.

1555 წელი - სპარსეთის შაჰ თამაზ I-სა და ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ს შორის ქალაქ ამასიაში შედგა გარიგება. ხელშეკრულების საფუძველზე ორმა იმპერიამ საქართველო შუაზე გაიყო: იმერეთი, სამეგრელო, გურია, სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის ველში მოექცა, სპარსეთის გავლენის ველში - ქართლ-კახეთი.

1561 წელი - რუსეთის ჯარის პირველი შემოსვლა საქართველოში (კახეთის სამეფოში).

1563 წელი - რუსეთის ჯარმა დატოვა საქართველო (კახეთის სამეფო).

1587-1589 წლები - პირველი ოფიციალური ხელშეკრულების (“წიგნი ფიცისა“ და “წყალობის სიგელი“) გაფორმება რუსეთსა და საქართველოს (კახეთის სამეფოს) შორის.

1720-1722 წლები - სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა რუსეთის იმპერიასა (პეტრე I) და ქართლის სამეფოს (ვახტანგ VI) შორის.

1722 წელი - რუსეთის იმპერიის მიერ “სამხედრო-პოლიტიკური კავშირის“ დარღვევა, პეტრე პირველის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის შეწყვეტა.

1723 წელი - ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა (“ოსმალის“ დამყარება) და რუსეთის მიერ სტამბოლის ხელშეკრულებით (1724) ქართლის სამეფოს აღიარება ოსმალეთის გავლენის სფეროდ.

1732 წელი - რეშტის (სპარსეთი) ტრაქტატით რუსეთმა - იმპერატორ ანა ივანეს ასულის მთავრობამ - აღმოსავლეთ საქართველო აღიარა სპარსეთის გავლენის სფეროდ (პარალელურად, იგი აიმედებდა ვახტან VI-ს, რომ სპარსეთში მოაწყობდა ერთობლივ ლაშქრობას და დაეხმარებოდა ქართლის ტახტის დაბრუნებაში).

1736 წელი - რუსეთისგან მოტყუებული ვახტან VI-ის გარდაცვალება ასტრახანში.

1760-62 წლები - ქართლის მეფის - თეიმურაზ მეორის - უშედეგო მცდელობა რუსეთთან სამხედრო კავშირის აღდგენისა.

1765 წელი - პაატა ბატონიშვილის (ვახტანგ მეექვსის უკანონო შვილის) შეთქმულება ერეკლე მეორის წინააღმდეგ; შეთქმულების დამარცხება. შეთქმულთა ნაწილის დასჯა ნაწილისა კი - პეტერბურგში გაქცევა.

1768-1774 წლები - რუსეთ-ოსმალეთის ომი. რუსეთმა ცრუ დაპირებით თავის სასარგებლოდ ომში ჩააბა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები (ჰპირდებოდა ახალციხის საფაშოს გაუქმებასა და სამცხე-ჯავახეთის შემოერთებას). 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ეკატერინე მეორემ დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროდ აღიარა.

1770 წელი - რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელის - გენერალ ტოტლებენის მუხანათობა (ოსმალეთის ჯართან ბრძოლის წინ ტოტლებენმა უღალატა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და შეეცადა ტახტიდან მის ჩამოგდებას).

1770-1779 წლები - რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შიდაქართული დინასტიური კონფლიქტის (კახ ბაგრატიონებსა და ქართლის ბაგრატიონთა მუხრანულ შტოს შორის) გამოყენება ქართლ-კახეთის დასასუსტებლად და ხელში ჩასაგდებად [რუსეთში მყოფი ალექსანდრე ბაქარის ძის, ვახტანგ მეექვსის შვილიშვილის, ე.წ. ლეგიტიმისტური მოძრაობის მხარდაჭერა].

1783 წლის 24 ივლისი - გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის “ტრაქტატის” დადება.

1785 წელი - ხუნძახის მმართველ ომარ-ხანის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს აოხრება და რუსეთის მხრიდან ტრაქტატის პირველი დარღვევა (რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დახმარება არ გაუწიეს ქართულ ჯარს).

1790 წელი - “ივერიელთა ერთობის ტრაქტატის” - ქართულ სამეფო-სამთავროთა ენობრივ-ენიკური, სარწმუნოებრივ-კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ერთიანობის დოკუმენტის - გაფორმება.

1795 წლის 8-11 სექტემბერი - რუსეთის იმპერიის კავკასიის ხაზის სარდლობის (გენერალი ი. გუდოვიჩი) ირიბი თანხმობით, სპარსეთის მიერ (აღა-მაჰმად-ხანი) ერეკლე მეორის ჯარის განადგურება და ქართლის აოხრება - საქართველოს დასჯა გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმებაზე ერეკლეს მიერ უარის გამო.

1799 წელი - ქართლ-კახეთის სამეფო დინასტიის დასუსტების მიზნით რუსეთის იმპერიის მესვეურთა (გენერალი ლაზარევი, რეზიდენტი კოვალენსკი) მიერ ბატონიშვილების დაპირისპირების პროვოცირება და ტახტის მემკვიდრედ გიორგი მეთორმეტის ვაჟის - დავითის - აღიარება.

1800 წლის 18 დეკემბერი - რუსეთის იმპერატორ პავლე პირველის მიერ “გეორგიევსკის ტრაქტატის” დარღვევა და იმპერატორის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ (გამოქვეყნდა 1801 წლის 18 იანვარს).

1801 წლის იანვარი - დავით გიორგის ძის მიერ რუსეთის ჯარის დახმარებით ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის მოსურნე იულონ ერეკლეს ძისა და “ბატონიშვილთა კოალიციის” დარღვევა მარტყოფში.

1801 წლის იანვარი - რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის დროებითი სამმართველო კოლეგიის შექმნა (დავით გიორგის ძე, გენერალი ლაზარევი, რეზიდენტი კოვალენსკი).

1801 წლის 6 მარტი - რუსეთის იმპერატორ პავლე პირველის ბრძანება ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფოს ნაცვლად საგენერალ-გუბერნატოროს შექმნისა და გენერალ-გუბერნატორად კარლ კნორინგის დანიშვნის შესახებ.

1801 წელი - გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევითა და სამხედრო ძალის გამოყენებით, რუსეთის ახალი იმპერატორის - ალექსანდრე პირველის - მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება²⁶⁶.

1802 წლის ივლისი - კახეთის არისტოკრატიის საპროტესტო შეკრება სოფ. ქელმენჭურში: ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისა და მეფედ იულონ ბატონიშვილის დამტკიცების მოთხოვნა (“ქელმენჭურის მანიფესტი”).

1802 წლის აგვისტო-სექტემბერი - იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებისა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორის მიერ რუსული მმართველობისგან ქართლ-კახეთის გათავისუფლების მცდელობა.

1803 წელი - ქართლ-კახეთის დედოფლის - მარიამის - მიერ გენერალ ი. ლაზარევის მკვლელობა. მარიამ დედოფლის გადასახლება რუსეთში.

1803-1810 წლები - საქართველოს ტერიტორიის ანექსიის მიზნით რუსეთის იმპერიის მიერ ე.წ. “მფარველობითი” ხელშეკრულებების გაფორმება ქართულ სამეფო-სამთავროებთან:

1803-1804 წლებში - ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროსთან;

1804 წელს - იმერეთის სამეფოსთან (ელაზნაურის ტრაქტატი);

²⁶⁶ 12 სექტემბრის მანიფესტები: <http://www.amsi.ge/istoria/sab/moskovi0.html>.

1808-1810 წლებში - აფხაზეთის სამთავროსთან;

1810 წელს - გურიის სამთავროსთან.

1804 წლის მაისი-ოქტომბერი - “მთიულეთის აჯანყება“: პირველი ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც დაიწყო ქართლის მთიანეთში. “მთიულეთის აჯანყების“ მიზანი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა (ერთ-ერთი შეტაკებისას რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს და რუსეთში გადაასახლეს იულონ ბატონიშვილი).

1810 წლის მაისი-სექტემბერი - რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმება. სოლომონ მეორის ბრძოლა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ - იმერეთის აჯანყება (აჯანყების დამარცხების შემდეგ სოლომონ მეორემ ოსმალეთს შეაფარა თავი. ემიგრაციაში იგი ცდილობდა, საფრანგეთის, ოსმალეთისა და სპარსეთის დახმარებით აღედგინა იმერეთის სამეფო).

1811-1814 წლები - რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, და რუსეთის სინოდის საეგზარქოსოს შექმნა.

1812 წლის იანვარი-ნოემბერი - კახეთის აჯანყება: ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთის იმპერიასთან ალექსანდრე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მიზნით (აჯანყების პირველ ეტაპზე - თებერვალი-მარტის დასაწყისში აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს გრიგოლ ბატონიშვილი, ერეკლე მეორის შვილიშვილის - იოანე ბატონიშვილის ვაჟი, რომელიც ქართლ-კახეთის დიდ ნაწილს აკონტროლებდა; მისი სახელი ეკლესიებშიც მოიხსენიებოდა ქართლ-კახეთის მეფედ. გიორგი ბატონიშვილის დატყვევებისა და რუსეთში გადასახლების შემდეგ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ბატონიშვილი).

1815 წელი - სოლომონ მეორის - რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლი ქართველი გვირგვინოსნის - გარდაცვალება ტრაპიზონში.

1819-1820 წლები - გურია-იმერეთის აჯანყება: ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთის იმპერიასთან სოლომონ მეორის შვილიშვილის - ივანე აბაშიძის - ხელმძღვანელობით ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მიზნით.

1828-1829 წლები - რუსეთ-თურქეთის ომი. ადრიანოპოლის ზავით რუსეთის იმპერიის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება თბილისის გუბერნიასთან და სამცხე-ჯავახეთიდან განდევნილი ქართველი მაჰმადიანების ნაცვლად მთავარმართებელ ი. პასკევიჩის მიერ ოსმალეთიდან დევნილი სომხების ჩამოსახლება.

1829 წელი - იმპერიის მიერ გურიის სამთავროს გაუქმება. სოფიო გურიელის გაქცევა ოსმალეთში.

1832 წელი - რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართული არისტოკრატის შეარაღებული აჯანყების მცდელობა კონსტიტუციური მონარქიის ფორმით ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მიზნით (მეფედ ივარაუდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი).

1834 წელი - რუსეთის იმპერიის მიერ სვანეთის სამთავროს დაქვემდებარება.

1837 წელი - რუსული მმართველობის დამყარება წებელდაში.

1840 წელი - რუსული მმართველობის დამყარება სამურზაყანოში.

1857 წელი - სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივი გაუქმება (იურიდიულად გაფორმდა 1867 წლის 4 იანვარს). მთავრის ოჯახის გადასახლება რუსეთში.

1857-1859 წლები - რუსეთის მიერ დადგენილი სამთავრო სახლის ორ შტოს შორის არსებული დაპირისპირების გამოყენება, რუსეთის სამხედრო ექსპედიცია სვანეთში (პ. უსლარის მეთაურობით), კონსტანტინე დადგენილიანის დახვეწა, სვანეთის სამთავროს გაუქმება და რუსული საბოქაულოს შექმნა.

1864 წელი - რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მთავარ მიხეილ შარვაშიძის გადასახლება რუსეთში.

1864 წლის 21 მაისი - რუსეთ-კავკასიის ომის დასრულების მანიფესტის გამოცხადება რუსეთის იმპერატორის მიერ.

1866-1867 წლები - აფხაზეთა აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და მთავრად გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის გამოცხადება. აჯანყების სისხლში ჩახშობა იმპერიის მიერ და აფხაზეთა გადასახლება თურქეთში (მუჰაჯირობა).

1880 წელი - იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ აფხაზეთა გამოცხადება "დამნაშავე ხალხად".

1865-1917 წლები - რუსეთის იმპერიის ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური დივერსიები ქართველთა ერთიანი ეროვნული ცნობიერებისა და ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის მოსაშლელად.

1918 წლის 26 მაისი - საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აქტის მიღება. პირველი დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება.

1918 წლის ივნისი - 1919 წლის თებერვალი - გაგრის, სოჭისა და ტუაფსესათვის ბრძოლა: საქართველოს საჯარისო ფორმირებების ბრძოლა გენერალ ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის.

1920 წლის აპრილ-მაისი - საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. აგრესორების დამარცხება და უკუგდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალების მიერ გენერალ გ. კვინიტაძის სარდლობით.

1920 წლის 7 მაისი - სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დადება მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

1921 წლის 11 თებერვალი - 18 მარტი - რუსეთ-საქართველოს ომი: საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მუხანათური დარღვევა, საქართველოს ოკუპაცია მე-11 არმიის მიერ (გენერალ ჰეკერის სარდლობით), ძალდატანებითი გასაბჭოება და ფაქტობრივი ანექსია.

1921 წლის 25 თებერვალი - საბჭოთა რუსეთის ჯარების (ე.წ. წითელი არმიის) თანხლებით საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის - საქართველოს ე.წ. რევკომი, რსდმპ კავბიურო (ს. ორჯონიკიძის მეთაურობით) - შემოსვლა თბილისში და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება.

1921 წლის 16 მარტი - საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის მოსკოვის ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს კანონიერი ხელისუფლების (ნოე ჟორდანიას მთავრობის) გვერდის ავლით. ამ ხელშეკრულებით, რუსეთმა ოსმალეთს გადასცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები (ერუშეთი, კოლა, არტაანი, ტაო, შავშეთი, ლივანა, მაჭახელი, ლაზეთის ნაწილი) და დათანხმდა აჭარის ავტონომიის შექმნას; გარდა ამისა, რუსეთმა აიღო ვალდებულება, ამ ხელშეკრულებას დაადასტურებინებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მარიონეტულ რეჟიმებს.

1921 წლის 18 მარტი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვება და ფუნქციონირების გაგრძელება ემიგრაციაში.

1921 წლის 28 მარტი - რუსეთის კპ ცკ კავბიუროს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის ე.წ. რევკომის გაერთიანებულ თათბირზე ბათუმში საქართველოს (resp. აფხაზეთის) მოსახლეობის ნების გაუთვალისწინებლად გამოცხადდა “აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკის“ შექმნა (ს. ორჯონიკიძე, გ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, ე. ეშბა, ნ. ლაკობა).

1921 წლის 21 მაისი - საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის - საქართველოს ე.წ. რევკომის - ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი დეკლარაცია ე.წ. “აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობის შესახებ.

1921 წლის 13 ოქტომბერი - ყარსის ხელშეკრულება ქემალისტურ თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მარიონეტულ ბოლშევიკურ რეჟიმებს შორის, რომელმაც დაადსტურა 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებების პირობები²⁶⁷. ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე მალევე, ქართველი ერის (საქართველოს) ნების საწინააღმდეგოდ, არაკანონიერად, შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა²⁶⁸.

1921 წლის 16 ნოემბერი - რუსეთის კვ ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პრეზიდიუმის დადგენილება. საოკუპაციო ადმინისტრაციის ამ დადგენილებით მიზანშეუწონლად ჩაითვალა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და გადაწყდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური

²⁶⁷ **ტ.ფ.:** რუსეთის მიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და შევარდნაძე-სიგუა-კიტოვანისათვის ძალაუფლების ჩაბარების შემდეგ შევარდნაძის არალეგიტიმურმა დე ფაქტო მთავრობამ 1992 წელს თურქეთის პრემიერ-მინისტრთან - ს.დემირელთან - ერთად ხელი მოაწერა “ჩარჩო ხელშეკრულებას“ (ძალაშია 1993 წლის 25 მარტიდან; რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 1998 წ. 13 მარტს; რეგისტრაციის ნომერი: 430.003.000.132), რომლითაც ყარსის ხელშეკრულება აღიარებულ იქნა საზღვრების ნაწილში... არადა, ამ დროს დევნილებაში ფუნქციონირებდა **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება.**

დღეს საქართველო არ აყენებს პოლიტიკური საზღვრების გადასინჯვის საკითხს (თუმცა, აუცილებელია, ტაო-კლარჯეთის ავტოქთონი ქართველების ენობრივ-კულტურული უფლებების დაცვა); ვაცნობიერებთ, რომ ამგვარი პრეტენზიები დიდ საფრთხეს შეუქმნის თურქეთს, შესაბამისად, არც თურქეთი უნდა იყოს დაინტერესებული, რომ აჭარის უკანონო ავტონომიის ლობირებით გაღიზიანება გამოიწვიოს მისდამი კეთილგანწყობილ თანამედროვე საქართველოში.

²⁶⁸ **ტ.ფ.:** ქართველთა ავტონომია საქართველოში გარედანა თავსმოხვეული და, არსობრივად, მსოფლიო პოლიტიკური სივრცის ანომალიას წარმოადგენს. თვითმმართველობის თვალსაზრისით, აჭარის რაიონები თუ სოფლები ისეთივე “სტატუსით“ უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც გურიის, იმერეთის, მესხეთის, კახეთის, სვანეთის, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეების დასახლებული პუნქტები; კერძოდ, ისედაც **მცირეტერიტორიან საქართველოში** გასაუქმებელია ე.წ. რეგიონული დაყოფა (გუბერნატორის ინსტიტუტი); ყველა რაიონში (მათ შორის აჭარის რაიონებშიც) არჩევითი უნდა იყოს სოფლისა თუ რაიონის ხელისუფლებები, მაგრამ უნდა შენარჩუნდეს ცენტრალიზებული ბიუჯეტი, სასამართლო ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები; ცენტრალური ხელისუფლების დოტაციით უნდა დაიგეგმოს მთიანი რეგიონების სოფლების შენარჩუნება და ა.შ..

რესპუბლიკის შესვლა საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში (საქართველოსა და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმებს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა 1921 წლის 16 დეკემბერს).

1921 წლის 17 ნოემბერი - საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის - რუსეთის კბ ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პრეზიდიუმის - დადგენილებით ქალაქი ცხინვალი შევიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური მხარის შემადგენლობაში, როგორც მისი ადმინისტრაციული ცენტრი. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ დეკრეტი გამოიცა 1922 წლის 20 აპრილს (ამ დროს ცხინვალი მხოლოდ რამდენიმე ოსი ცხოვრობდა).

1921-1922 წლები - საქართველოს პატრიოტული ძალების მიერ ორგანიზებული აჯანყებები საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ (აჯანყებები სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში).

1922 წლის 30 დეკემბერი - “საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ შექმნა და ოკუპირებული საქართველოს შეყვანა მის შემადგენლობაში (რუსეთის საბჭოთა იმპერიის სახელდება ე.წ. “საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად“).

1922 წელი - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის - ანტისაბჭოთა-ანტისაოკუპაციო მოძრაობის - ხელმძღვანელი სტრუქტურების: პარიტეტული კომიტეტის და სამხედრო ცენტრის შექმნა.

1923 წლის 19 მაისი - საქართველოს “სამხედრო ცენტრის“ წევრებისა და ეროვნული მოძრაობის სხვა მესვეურების (15 კაცი, მათ შორის გენერლები: სპირიდონ ჭავჭავაძე, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე და სხვ.) დახვრეტა რუსული საოკუპაციო ჯარის მიერ.

1924 წელი - საქართველოს მოსახლეობის საერთო-სახალო აჯანყება რუსეთის საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზნით.

1924 წლის დეკემბერი - პოლიტიკურ ემიგრაციაში ანტიიმპერიული ბრძოლის ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის: “თეთრი გიორგის“ შექმნა (ხელმძღვანელი: გენერალი ლ. კერესელიძე).

1926 წლის შემოდგომა - თბილისში “თეთრი გიორგის“ კონსპირაციული ფილიალის შექმნა (ხელმძღვანელი: ევგენი ღვალაძე; დახვრიტეს 1937 წელს).

1928 წლის აპრილი - თბილისში “თეთრი გიორგის“ მეორე კონსპირაციული ფილიალის შექმნა (ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ალექსანდრე ჭავჭავაძე; დახვრიტეს 1930 წელს).

1937-1938 წლები - იმპერიული ცენტრის მიერ ორგანიზებული სისხლიანი რეპრესიები. ქართული არისტოკრატიის, ინტელიგენციის, სამღვდელოებისა და მოსახლეობის სხვა ფენების მასოვრივი განდაგურება და გადასახლება რუსეთში.

1941 წელი - ანტისაბჭოთა ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის - "სამიანის" შექმნა (ხელმძღვანელი ადამ ბობლიაშვილი); ჯგუფის წევრები დახვრიტეს 1942 წლის შემოდგომაზე.

1951 წლის 25 დეკემბერი - იმპერიული ცენტრის მიერ 11 000-ზე მეტი ქართველის გადასახლება შუა აზიაში.

1956 წლის 9 მარტი - საბჭოთა იმპერიის დამსჯელი სამხედრო ოპერაცია თბილისში - საპროტესტო მანიფესტაციის დახვრეტა.

1956 წლის 10 მარტი - ეროვნული პატრიოტული ორგანიზაციის - "სიღნაღის ახალგაზრდა გვარდიის" შექმნა.

1956 წლის შემოდგომა - ანტისაბჭოთა დისიდენტური ორგანიზაციის - "გორგასლიანის" (ზ.გამსახურდია, მ.კოსტავა...) შექმნა.

1957 წელი - საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში მისი შეყვანის მიზნით კრემლის მიერ ინსპირირებული ანტიქართული გამოსვლები აფხაზეთში.

1961-1964 წლები - ეროვნული პატრიოტული ორგანიზაციის - "სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კავშირის" შექმნა და საქმიანობა.

1964 წელი - აფხაზეთის შეყვანის მცდელობა რსფსრ-ს კრასნოდარის მხარის შემადგენლობაში (ნ. ხრუშჩოვის გეგმა).

1967 წელი - საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში მისი შეყვანის მიზნით იმპერიული ცენტრის მიერ ინსპირირებული მორიგი ანტიქართული გამოსვლები აფხაზეთში.

1974-1976 წლები - საქართველოში პირველი ანტისაბჭოთა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის - "ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფის", შემდგომში - "საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის" შექმნა (1989 წელს ჯგუფს ეწოდა "საქართველოს ჰელსინკის კავშირი").

1978 წლის 14 აპრილი - ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მანიფესტაცია თბილისში ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, სტატუსის დასაცავად²⁶⁹.

1985-1988 - წლები - ანტიიმპერიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა საქართველოში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით.

1989 წლის 9 აპრილი - საქართველოს მოსახლეობის ფართომასშტაბიანი ანტიიმპერიული (ანტისაბჭოთა) გამოსვლა თბილისში: მიტინგებისა და შიმშილობის აქცია მთავრობის სასახლის წინ დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. კრემლის სისხლიანი ანგარიშსწორება: მოშიშმილეთა და მომიტინგეთა აქციის იარაღის ძალით დაშლა (დაიღუპა მშვიდობიან მოშიშმილეთა და მომიტინგეთა ერთი ნაწილი; ბევრი მომიტინგე მოიწამლა იმპერიის დამსჯელი რაზმის მიერ გამოყენებული მომწამლავი გაზით)²⁷⁰.

1989 წლის 10 ნოემბერი - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამალღების შესახებ (ამ არალეგიტიმური გადაწყვეტილებით, ავტონომიური ოლქი “გარდაიქმნა“ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად).

1989 წლის 16 ნოემბერი - საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის ამალღების შესახებ“ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.

1990 წლის 9 მარტი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეწოლით (ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდია) საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ადმინისტრაციის - საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 1921 წლის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტის

²⁶⁹ ტ.ფ.: შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს ყველა მოქალაქის მიერ (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად), **14 აპრილს** უნდა აღინიშნებოდეს, ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის დღე; შდრ., ქართველთა დედაენის დღე - ლაზარეს შაბათი.

²⁷⁰ ტ.ფ.: 9 აპრილს კრემლმა ვერ გატეხა ქართველი ერი: საქართველოს მოქალაქეთა გამორჩეული ნაწილის გმირობამ დიდწილად განსაზღვრა საბჭოთა (რუსეთის) იმპერიის იდეოლოგიური მარცხი, შესაბამისად, 9 აპრილი ქართველი ერის გამარჯვების დღეა (და არა - გლოვის დღე); **დიდგორის მსგავსად**, ეს გამარჯვებაც თავგანწირულ გმირთა მონაპოვარია. ამ გამარჯვებამ განაპირობა 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგიც და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებაც; შესაბამისად, საქართველომ **9 აპრილი** უნდა იზეიმოს, როგორც **დამოუკიდებლობის აღდგენის დღე**.

აღიარება. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით (“საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ”) სამართლებრივად იქნა დადასტურებული 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი. ძალადაკარგულად ჩაითვალა საბჭოთა იმპერიის შემაღენლობაში საქართველოს შეყვანასთან დაკავშირებული ყველა იურიდიული აქტი.

1990 წლის 20 ივნისი - საქართველოს ეროვნული მოძრაობის ზეწოლით იმპერიული ცენტრის საოკუპაციო ადმინისტრაციის - საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს - მიერ არასაბჭოთა, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების დანიშვნა 28 ოქტომბერს (ეროვნული ძალების ზეწოლითვე არჩევნებს ეწოდა “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები, ნაცვლად “საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა”).

1990 წლის 25 აგვისტო - დეკლარაცია აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის საპასუხოდ, იმპერიული ცენტრი ცდილობს სეცესიური მოძრაობების გაძლიერებას აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში; სწორედ ამ მიზნით, კრემლმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მარიონეტული ხელისუფლების პრორუსულ ნაწილს ცალმხრივად გამოაცხადებინა “სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი” და აფხაზეთის კონსტიტუციის უზენაესობა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

1990 წლის 26 აგვისტო - საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების “ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ” გამოცხადების შესახებ.

1990 წლის 31 აგვისტო - სოხუმში შეიკრიბა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროქართული ნაწილი, რომელმაც ლეგიტიმური კვორუმით მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის 25 აგვისტოს “დეკლარაციის” გაუქმების შესახებ.

1990 წლის 20 სექტემბერი - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს “გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ” და “დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ”.

1990 წლის 21 სექტემბერი - საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებების “ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ” გამოცხადების შესახებ.

1990 წლის 28 ოქტომბერი - პირველი მრავალპარტიული, არასაბჭოთა, დემოკრატიული არჩევნები საქართველოში. ანტიიმპერიული, ეროვნული და დემოკრატიული ძალების (პოლიტიკური ბლოკი: “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“) მოსვლა საქართველოს ხელისუფლებაში.

1990 წლის 14 ნოემბერი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდიას არჩევა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ “გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონის“ მიღება.

1990 წლის 9 დეკემბერი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზნით იმპერიული ცენტრის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არალეგიტიმური “არჩევნების“ ჩატარება.

1990 წლის 11 დეკემბერი - საქართველოს რესპუბლიკის კანონი “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“.

1990 წლის 13 დეკემბერი - ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედების შესახებ (ამ არალეგიტიმური დადგენილებით გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოქმედების შეჩერება).

1991 წლის 7 იანვარი - სსრ კავშირის პრეზიდენტის - მ. გორბაჩოვის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ (იმპერიულმა ცენტრმა მოითხოვა “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს უზენაესი საბჭოს კანონის გაუქმება).

1991 წლის 9 იანვარი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ (ამ დადგენილებით არაკანონიერად იქნა მიჩნეული მ. გორბაჩოვის ბრძანებულების მოთხოვნები).

1991 წლის 20 თებერვალი - სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული მდგომარეობისა და რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის შესახებ (ამ დადგენილებით, კრემლი შეეცადა სრული კონტროლი დაემყარებინა საქართველოს ამ ნაწილზე მაინც).

1991 წლის 23 მარტი - ყაზბეგის ოქმი. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ.

გამსახურდია შეთანხმდნენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სიტუაციის სტაბილიზაციის ღონისძიებების შესახებ.

1991 წლის 31 მარტი - საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი საქართველოში (31 მარტს საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი კითხვით: “თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?”. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ამომრჩეველთა 90-მა პროცენტმა, რომლის 88 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი - 3 657 477; რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი - 3. 302. 572; სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის - “დიახ“ - მომხრეთა რიცხვი - 3. 295. 493; სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის - “არა“ - მომხრეთა რიცხვი - 17.400). აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 347.175; რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 61, 27%-მა; კენჭისყრაში - 61, 23%-მა. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 97, 73%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 59,84%-ს. უარყოფითად გადაწყვეტას - 1, 42%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0, 87%-ს. გუდაუთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. იქ მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი გაიხსნა სოფ. ახალსოფელში. ტყვარჩელში ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი მაშინ გამოთქვა სურვილი რეფერენდუმის ჩატარებაზე, როდესაც საარჩევნო უბნებისა და კომისიების შექმნის ყველა ვადა ამოწურული იყო. ცხინვალის რაიონში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდი სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11376 იყო. გაიცა 10182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10180 ამომრჩეველმა. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადეს “ეროვნულ კონგრესში“ გაერთიანებულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, რომელთაც მოგვიანებით სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებაში მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

1991 წლის 1 აპრილი - სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება (პირველი პუნქტით საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს ეძლეოდა რეკომენდაცია, შინაგანი ჯარების გამოყენებით შემოეღო საგანგებო მდგომარეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში).

1991 წლის 9 აპრილი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება.

1991 წლის 9 აპრილი - ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალური რეზოლუცია (№ 94) “საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერის შესახებ“.

1991 წლის 14 აპრილი - საქართველოს პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

1991 წლის 15 აპრილი - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება იმპერიული ცენტრალური ხელისუფლებისადმი საყოველთაო ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ (1991 წლის 7 დეკემბრამდე, ბელოვეჟის შეთანხმებამდე, იურიდიულად არსებობს საბჭოთა კავშირი).

1991 წლის აპრილის მეორე ნახევარი - კრემლის მიერ მართვადი ძალების (ა. აბაშიძის ჯგუფის) მიერ დესტაბილიზაციის მცდელობა აჭარაში. საქართველოს მეზობელი იმპერიების გარიგებით 1921 წელს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის (საქართველოში ქართველთა ავტონომიის) რეფერენდუმის გზით გაუქმების პროცესის შეჩერება.

1991 წლის 26 მაისი - პლურალისტული და დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში (დიდი უპირატესობით პირველივე ტურში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ).

1991 წლის აგვისტო - მოსკოვის პუტჩი და სამხედრო გადატრიალების მცდელობა საქართველოში.

1991 წლის 2 სექტემბერი - ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია თბილისში (კინოს სახლთან).

1991 წლის 15 სექტემბერი - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრკ ჯარებისათვის “საოკუპაციო ჯარების სტატუსის“ მინიჭების შესახებ.

1991 წლის 29 სექტემბერი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები (ე.წ. ეთნიკური კვოტების სისტემით). 65 დეპუტატიდან 28 - ეთნიკური აფხაზი, 26 - ეთნიკური ქართველი, 11 - სხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენელი (მდრ.: აფხაზები მთელი მოსახლეობის 17 %, ქართველები - 47,5 %; 25,5 % - სხვები).

1991 წლის ნოემბერი - რუსეთის პრეზიდენტის - ბ. ელცინის ადმინისტრაციაში სპეციალური საიდუმლო კომიტეტის შექმნა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების კოორდინაციის მიზნით (ხელმძღვანელი: სახელმწიფო მდივანი გ. ბურბულისი; წყარო - გ. ბურბულისის 1996 წლის ოფიციალური აღიარება).

1991 წლის ოქტომბერი-ნოემბერი - იმპერიული ცენტრის ორგანიზებით სახელმწიფო გადატრიალების მორიგი მცდელობები საქართველოში.

1991 წლის 8 დეკემბერი - ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია) ხელი მოაწერეს სსრკ-ს დაშლას (ბელოვეჟის შეთანხმება). რუსეთის იმპერიის რეანიმაციის შემდგომ ეტაპად განიხილებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება და დსთ-ს შექმნა, რომლის შემადგენლობაში შესვლაზე საქართველომ იმთავითვე უარი განაცხადა.

1991 წლის 21 დეკემბერი - ალმა-ათის დეკლარაცია. ალმა-ათაში ახალი სახელით გაფორმდა რუსეთის იმპერია: სსრ კავშირის მემკვიდრე გახდა ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომლის შემადგენლობაში არ შევიდნენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო.

1991 წლის 22 დეკემბერი - 1992 წლის 6 იანვარი - იმპერიული ცენტრის მიერ ორგანიზებული კრინიმალური სამხედრო გადატრიალების პირველი ეტაპი - რუსეთის სამხედრო შენაერთების (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, ძერჟინსკის დივიზიის 345-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის, როსტოვის სპეცნაზის ქვედანაყოფთა), რენეგატი ქართველებისა და ქართველი კრიმინალების მიერ საქართველოს ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობებისა და ტელევიზიის დაკავება. დედაქალაქიდან საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი საბჭოს, საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განდევნა. რუსეთ-საქართველოს ომის ახალი ეტაპის დასაწყისი.

1991-2013 წლები - საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის მცდელობა (საინფორმაციო ომის კონტექსტი), რეალურად მიმდინარე რუსეთ-საქართველოს ომის სხვადასხვა ეპიზოდს: საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ოკუპაციას უწოდოს: **სამოქალაქო ომი, ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი, ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტი**²⁷¹.

1992 წლის 2 იანვარი - საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის - არალეგიტიმური ორგანოს - “საქართველოს სამხედრო საბჭოს” შექმნა.

²⁷¹ სინამდვილეში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს რუსეთის სამხედრო შენაერთებმა, ხოლო ეთნიკურ აფხაზთა და ოსთა დიდი ნაწილი დღესაც მშვიდობიანად ცხოვრობს საქართველოს იმ მხარეებში, რომლებიც რუსეთის მიერ არ არის ოკუპირებული (თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში...).

1992 წლის 3 იანვარი - საქართველოს სამხედრო საბჭოს მიერ მრავალათასიანი მანიფესტაციების სისხლიანი დარბევა თბილისში (დიდუბის მეტროსთან და დელისთან).

1992 წლის 29 იანვარი - ნახევარმილიონიანი მანიფესტაცია თბილისში არალეგიტიმური “სამხედრო საბჭოს“ წინააღმდეგ და კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერად.

1992 წლის 2 თებერვალი - საქართველოს სამხედრო საბჭოს მიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი ნახევარმილიონიანი მანიფესტაციის დახვრეტა და დარბევა თბილისში.

1992 წლის 21 თებერვალი - საქართველოს სამხედრო საბჭოს, სამხედრო საბჭოსთან არსებული ე.წ. საკონსულტაციო საბჭოსა და “ეროვნული კონგრესის“ მიერ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის გამოცხადება.

1992 წლის 7-10 მარტი - საქართველოში სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორის - ე. შევარდნაძის - მოსკოვიდან საქართველოში ჩამოსვლა და “სამხედრო საბჭოს“ გარდაქმნა “საქართველოს სახელმწიფო საბჭოდ“.

1992 წლის თებერვალი-ივლისი - საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის - “საქართველოს სახელმწიფო საბჭოს“ დამსჯელი ექსპედიციები დასავლეთ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ფუნქციონირებას განაგრძობდნენ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ორგანოები.

1992 წლის 24 ივნისი - “დაგომისის შეთანხმება“: რუსეთის პრეზიდენტმა ბ.ელცინმა და რუსეთის ხელშეწყობით საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ე. შევარდნაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებს, რომელთაც განახორციელეს აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ოკუპაცია, მიეცა ე.წ. “სამშვიდობო ძალების სტატუსი“²⁷².

1992 წლის 11 აგვისტო - სამხრეთ კავკასიის რკინიგზის დასავლეთ საქართველოს მონაკვეთზე შექმნილი მძიმე ვითარების მოგვარების საბაბით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის

²⁷² ამ დროს დასავლეთ საქართველოში ფუნქციონირებს **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება**. დაგომისის (სოჭის) შეთანხმების შემდეგ რუსეთის ჯარმა, ე. შევარდნაძის რეჟიმის გამოყენებით, დასავლეთ საქართველოშიც (სამეგრელო-აფხაზეთში) დაამარცხა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მსწრაფავი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. დაგომისის ხელშეკრულებით მომზადდა პირობები, რომ რუსეთს სრული კონტროლი განეხორციელებინა აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში (ტ.ფ.).

დადგენილება “რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ” (რუსეთის იმპერიის რეალური მიზანი იყო დასავლეთ საქართველოში მოქმედი კანონიერი ხელისუფლების სრული ლიკვიდაცია და აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონფლიქტის პროვოცირება. საამისოდ მან გამოიყენა თავისი საოკუპაციო ადმინისტრაციის წარმომადგენლები - ვ. არძინბასა და ე. შევარდნაძის რეჟიმები).

1992 წლის 14 აგვისტო - საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სამხედრო შენაერთების გადაადგილება საქართველოს ტერიტორიის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მონაკვეთში აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით; ე.წ. აფხაზური გვარდიის მიერ ცეცხლის გახსნა და რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის დასაწყისი.

1992 წლის 3 სექტემბერი - “მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი“. აფხაზეთის კონფლიქტის ინსპირატორი ქვეყნის ინიციატივით, მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ბ. ელცინმა და ე.შევარდნაძემ. ამ ხელშეკრულებით რუსეთის სამხედრო შენაერთებს მიენიჭათ “შუამავლის როლი“ აფხაზეთის ტერიტორიაზე. მიღებული დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა “კონტროლისა და ინსპექციის კომისია“, რომელსაც უნდა განეხორციელებინა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება და დაშლა. დოკუმენტით აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ხელშეუხებლობა.

1992 წლის 1-3 ოქტომბერი - გაგრის დაცემა. მიუხედავად მოსკოვში მიღწეული შეთანხმებისა, ვ.არძინბას ადმინისტრაციის შეიარაღებულმა ფორმირებამ და რუსეთის სამხედრო შენაერთებმა ქალაქ გაგრაში განახორციელეს ქართულენოვანი მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და მასობრივი დახვრეტა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის იძულებითი განდევნა და მათი საცხოვრებელი სახლების განადგურება მოჰყვა (ეთნიკური წმენდის I ეტაპი: გაგრა დაახლოებით - 27 ათასი დევნილი, გუდაუთა - დაახლოებით 8 ათასი დევნილი. სულ დაახლოებით 35 ათასი დევნილი).

1992 წლის ნოემბერი - 1993 წლის მაისი - ვ.არძინბას ადმინისტრაციის შეიარაღებულმა ფორმირებამ და რუსეთის სამხედრო შენაერთებმა გაგრის აღების შემდგომ განახორციელეს რამდენიმე უშედეგო შეტევა ქალაქ სოხუმზე (მათ შორის ყველაზე ფართომასშტაბიანი - 1993 წლის 5 იანვარსა და 15-16 მარტს).

1993 წლის 14 მაისი - მოსკოვის შეთანხმება. ე.შევარდნაძემ და ბ.ელცინმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ცეცხლის განუახლებლობის შესახებ (1993 წლის 2 ივლისს ტამიშზე, 5-6 ივლისს გუმისთასა და 7-9 ივლისს შრომა-კამანზე თავდასხმით ვ.არძინბას შეიარაღებული ფორმირების

გამოყენებით რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დაარღვიეს ეს ხელშეკრულებაც).

1993 წლის 27 ივლისი - რუსეთის გარანტიებით მორიგი “ხელშეკრულების” დადება ქალაქ სოჭში “აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმის შესახებ“. ამ ხელშეკრულებით “საქართველოს სახელმწიფო საბჭომ“ თავისი შენაერთები გამოიყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან და ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარ 23-ე და 24-ე ბრიგადებს ჩამოართვა მძიმე ტექნიკა (ამ ხელშეკრულებით მოხდა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის მომხრე აფხაზეთის მკვიდრთა განიარაღება).

1993 წლის ივლისი-აგვისტო - გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები (შ/849/1993/, შ/854/1993/, შ/858/1993/) - საქართველოზე გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მანდატის დაწესება და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 88 სამხედრო დამკვირვებლის გამოგზავნა.

1993 წლის 16-27 სექტემბერი - სოხუმის დაცემა. ვ.არძინბას ადმინისტრაციის შეიარაღებულმა ფორმირებამ და რუსეთის სამხედრო შენაერთებმა უხეშად დაარღვიეს სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმის შესახებ და 1993 წლის 16 სექტემბერს შეუტიეს ქ.სოხუმის მშვიდობიან მოსახლეობას. ქ.სოხუმის ორკვირიანი შტურმის შედეგად ვ.არძინბას შეიარაღებულმა ფორმირებამ და რუსეთის სამხედრო შენაერთებმა განდევნეს დაახლოებით 107 ათასი ადგილობრივი მცხოვრები (ეთნიკური წმენდის II ეტაპი: ქ.სოხუმი - დაახლოებით 50 ათასი დევნილი, გულრიფშის რაიონი - დაახლოებით 35 ათასი დევნილი, ქ.სოხუმის რაიონი - 22 ათასი დევნილი). მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და სოხუმის მერიის ხელმძღვანელები და მათი თანმხლები პირები. სოხუმის ალყის გამო მოსახლეობა იძულებული გახდა, უგზოობისა და უამინდობის პირობებში ჭუბერის უღელტეხილით ფეხით გადასულიყო საქართველოს სხვა რეგიონებში. მოსახლეობის ნაწილი გზაში დაიღუპა.

1993 წლის 28-30 სექტემბერი - ვ.არძინბას შეიარაღებული ფორმირებისა და რუსეთის სამხედრო შენაერთების მიერ ოჩამჩირისა და გალის რაიონების დაპყრობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების პროქართული ნაწილის გადასვლა საქართველოს დედაქალაქში (სოხუმში დარჩენილმა პრორუსულმა ნაწილმა - ვ. არძინბას დაჯგუფებამ - კვორუმის არარსებობის გამო დაკარგა ლეგიტიმურობა და იქცა რუსეთის ნების შემსრულებელ საოკუპაციო ადმინისტრაციად).

1993 წლის აგვისტო-დეკემბერი - დასავლეთ საქართველოს რაიონებში საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების

(საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს მთავრობისა და 1991 წელს არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) ამოქმედება, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბრუნება. რუსეთ-საქართველოს ომი სამეგრელოს ტერიტორიაზე. რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სადესანტო შენაერთების მიერ (ბალტინის მეთაურობით) კანონიერი ხელისუფლების სამხედრო ძალებისა და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა განდევნა (იმპერიული ცენტრის მიერ ორგანიზებული კრიმინალური სამხედრო გადატრიალების მეორე ეტაპი) და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და მთავრობამ დევნილობაში გააგრძელა ფუნქციონირება).

1993 წლის დეკემბერი - 1994 წლის მარტი - საქართველოს საოკუპაციო ადმინისტრაციის (ე. შევარდნაძის რეჟიმის) მიერ მიღებული უკანონო აქტები რუსეთის ნეოიმპერიაში (“დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში”) საქართველოს შეყვანასთან დაკავშირებით.

1994 წლის 14 მაისი - მოსკოვის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორების შესახებ. საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთსა და ზუგდიდის რაიონში) “სამშვიდობო ძალების” სტატუსით რუსეთის საოკუპაციო ჯარის განლაგება.

1994-2003 წლები - რუსეთის მიერ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში გარანტირებული მოუწესრიგებლობის და პერმანენტული ესკალაციის სტრატეგიის განხორციელება.

1996 წლის 2-3 დეკემბერი - ლისაბონის სამიტი. ეუთოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიიღეს დეკლარაცია, სადაც გამოითქვა შეშფოთება აფხაზეთში ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდის გამო.

1998 წლის 19-26 მაისი - გალის მოსახლეობის გენოციდი და ეთნოწმენდა. ვ. არძინბას ადმინისტრაციის შეიარაღებულმა ფორმირებამ და რუსეთის სამხედრო შენაერთებმა გალის რაიონში მუდმივად მცხოვრები დაახლოებით 50 000 ქართველის მიმართ განახორციელეს ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია. ერთი კვირის განმავლობაში გალსა და გალის რაიონში გადაწვეს 600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი. მოსახლეობამ დროებით თავი შეაფარა გალის რაიონის ტყეებს, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების განაპირა სოფლებს.

1999 წლის 17 ნოემბერი - სტამბულის სამიტი. ეუთოს ამ სამიტზე გადაწყდა საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების ნაწილის (გულაუთისა და ვაზიანის რუსული სამხედრო ბაზების) დაშლა და გაყვანა.

2002-2008 წლები - რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის

მხარე) მცხოვრები მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება (უკანონო პასპორტიზაცია) საქართველოს სამოქალაქო სივრცის ანექსიის მიზნით.

2003 წლის 23 ნოემბერი - “ვარდების რევოლუციით” შევარდნაძის რეჟიმის შეცვლა. ხელისუფლებაში მოსულმა მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ოფიციალურად უარი თქვა პრორუსული პოლიტიკის გატარებაზე და პროდასავლური კურსი აირჩია (რის გამოც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის იმპერია შეეცადა დაესაჯა საქართველო).

2006 წლის ივლისი - საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებების შეთანხმება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების (ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების) დაშლისა და გაყვანის შესახებ არაუგვიანეს 2007 წლის დეკემბრისა.

2005 წლის 5 იანვარი - საერთო-სახალხო პლემბისციტი საქართველოში “ნატოში” შესვლის თაობაზე. საქართველოს მოსახლეობის 75 %-მა მხარი დაუჭირა საქართველოს გაწევრიანებას “ნატოში”.

2006 წლის 24 ივლისი - კოდორის ოპერაცია. საქართველოს მთავრობამ განახორციელა საპოლიციო ოპერაცია კოდორის ხეობის ზედა ნაწილში (დალის ხეობაში) - ზემო აფხაზეთში. ზემო აფხაზეთში განთავსდა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების საპარლამენტო და ადმინისტრაციული სტრუქტურების ნაწილი. აჭარაში აღდგა გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა პუნქტი.

2008 წლის 16 აპრილი - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინის ბრძანებულება აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის” რესპუბლიკებთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარების შესახებ.

2008 წლის 31 მაისი - საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში) რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სარკინგზო ჯარების ვოლგოგრადის 76-ე პოლკის შემოყვანა (სამხედრო ტექნიკის გადაადგილებისათვის სარკინგზო პლატფორმების რეაბილიტაციის მიზნით).

2008 წლის 15 ივლისი - 2 აგვისტო - ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს საზღვრებთან რუსეთის ჯარების ფართომასშტაბიანი წვრთნები “კავკასია - 2008”, როგორც საქართველოსთან ახალი ომის მზადების ბოლო ეტაპი.

2008 წლის 7-12 აგვისტო - რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი აგრესიის განხორციელება (სისხლისმღვრელი ბრძოლებით რუსეთის სამხედრო შენაერთებმა მოახდინეს საქართველოს ტერიტორიის მესამედის ოკუპაცია).

2008 წლის 26 აგვისტო - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის - დ. მედვედევის დეკრეტები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ (ამ დოკუმენტებით რუსეთის იმპერიამ საქართველოს ტერიტორიის 18,5 %-ის ფაქტობრივი ანექსია მოახდინა).

2008 წლის 28 აგვისტო - საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის სამხედრო შენაერთებისთვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის აღდგენა და რუსეთთან დიპლომატიური კავშირების გაწყვეტა.

ტექნიკური რედაქტორი

ცოტნე ფუტყარაძე

ტექსტის კორექტურისათვის მადლობას ვუხდით:

ია ვაშაკიძეს

ნათია იაკობიძეს

სოფიო კეკუას